ISSN 0182—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

1

1992

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 67-ე № 1 იანვარი 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა 3

პროზა, პოეზია

გურამ გეგეშიძე — სისხლის წვიმები. რომანი 38
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები 103

ვახტანგ კომახიძე — მოთხრობები 109

ირაკლი აბაშიძე — ზარები ოცდაათიანი წლებიდან 117

გამოსათხოვარი

გიორგი ნატროშვილი — შენ აქ ხარ, აქ ხარ... 186
ელგუჯა ამაშუკელი — გამოსათხოვარი 191

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია,
ძველი აღთქმა

მესამე მეფეთა

თავი პირველი

1 მოხუცდა დავით მეფე, ხანში
შევიდა, ახურავდნენ სამოსლებს, მაგ-
რამ ვერ თბებოდა. 2. უთხრეს მისმა
მსახურებმა: გამოუძებნონ ჩვენს მეფე-
ბატონს ახალგაზრდა ქალწული ქალი,
რომ წარდგეს მეფის წინაშე, უვლიდეს
მას და გვერდში უწვებოდეს. მაშინ გა-
თბება ჩვენი მეფე-ბატონი. 3. დაუწ-
ყეს ძებნა ლამაზ ყმაწვილ ქალს მთელს
ისრაელში და იპოვნეს აბიშაგ შუნამე-
ლი და მიჰგვარეს მეფეს. 4. ძალზე
ლამაზი იყო ყმაწვილი ქალი, და გახ-
და იგი მეფის მომვლელი და ემსახუ-
რებოდა მას, მაგრამ მეფე არ მიჰკა-
რებია ქალს. 5. გამედიდურდა ადონია,
ხაგითის შვილი, და ასე ამბობდა: მე
უნდა ვიმეფო! გაიჩინა ეტლი და მხედ-
რები. და ორმოცდათი მალემსრბოლი.
6. არასოდეს უსაყვედურნია მამამისს,
ასე რატომ იქცევიო? თანაც თვალტა-
ნადი ყმაწვილი იყო ადონია. აბესა-
ლომის შემდეგ ეყოლა იგი დედამისს.
7. იოაბთან, ცერუიას ძესთან, და აბი-
ათარ მღვდელთან ჰქონდა საქმე და-
ჭერილი და ისინი ეხმარებოდნენ ადო-
ნიას. 8. ცადოკ მღვდელი, ბენაია იე-
ჰოიადაყის ძე, ნათან წინასწარმეტყვე-
ლი, შიმყი, რეყი, და დავითის მოყ-
მენი მხარს არ უჭერდნენ ადონიას. 9.
დაკლა ადონიამ ცხვრები, ხარები, ნა-
სუქალი მოზვრები ზოხელეთის ქვას-
თან, ყენ-როგელის მახლობლად რომ
არის, და მოიწვია თავისი ძმები, უფ-
ლისწულები, და იუდაელი კაცები, მე-
ფის მსახურნი. 10. ხოლო ნათან წი-
ნასწარმეტყველი, ბენაია, მამაცი ხალ-
ხი და სოლომონი, თავისი ძმა, არ მო-
იწვია. 11. უთხრა ნათანმა ბერსაბეს,
სოლომონის დედას: გაიგე, რომ გამეფ-
და ადონია, ხაგითის შვილი, ჩვენმა პაფ-
ტრონმა დავითმა კი არაფერი იცის?
12. ახლა, მოდი, ერთ რამეს გირჩევ:
უშველე თავს და შენს შვილს, სოლო-
მონს. 13. წადი, დავით მეფესთან, შე-
დი და უთხარი: განა შენ არ იყავი,
მეფე-ბატონო, რომ შემომფიცე შენს
მხევალს: შენი ვაჟი სოლომონი იმე-
ფებსო ჩემს შემდეგ, ის დაჯდებაო
ჩემს ტახტზე. მაშ, რატომ გამეფდა
ადონია? 14. ვიდრე შენ მეფესთან ლაპა-
რაკში იქნები, მეც შემოვალ და სიტ-
ყვას შეგაწევ. 15. შევიდა ბერსაბე
მეფესთან ოთახში. ძალზე მოხუცი იყო
მეფე და აბიშაგ შუნამელი უვლიდა
მეფეს. 16. თავი დახარა ბერსაბემ და
თაყვანისცა მეფეს. ჰკითხა მეფემ: რა
გინდა? 17. მიუგო: ჩემო ბატონო, ხომ
შეჰფიცე შენს მხევალს უფლის, შენი
ღმერთის სახელით, სოლომონი, შენი
ვაჟი, გამეფდებაო ჩემს შემდეგ და
დაჯდებაო ჩემს ტახტზე. 18. ახლა,
აჰა, ადონია გამეფდა, შენ კი, მეფე-
ბატონო, არაფერი გაგიგია. 19. მრავ-
ლად დახოცა ხარები, ნასუქალი მოზ-
ვრები და ცხვრები, მოიწვია ყველა
უფლისწული, აბიათარ მღვდელი, მხე-
დართმთავარი იოაბი, შენი მსახური
სოლომონი კი არ მოუწვევია. 20. შე-
ნსკენაა მთელი ისრაელის თვალი, მე-
ფე-ბატონო, რომ გამოუცხადო, თუ
ვინ ავა მეფე-ბატონის ტახტზე შენს
შემდეგ. 21. როცა განისვენებს მეფე-

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11—12.

საქართველოს

ბატონი მამაჩაპასთან, დაბნაშავენი
გამოვალთ მე და ჩემი შვილი სოლო-
მონი. 22. ამ ლაპრაკში იყო მეფეს-
თან, რომ მოვიდა ნათან წინასწარმეტყ-
ველი. 23. მოახსენეს მეფეს: აჰა, ნა-
თან წინასწარმეტყველი. შევიდა მე-
ფესთან და მდაბლად თაყვანისცა მე-
ფეს. 24. თქვა ნათანმა: მეფე-ბატო-
ნო! შენ თქვი, ადონია გამეფდესო ჩემს
შემდეგ და დაჯდესო ჩემს ტახტზე?
25. რადგან ჩამოვიდა დღეს, მრავლად
დახოცა ხარები, ნასუქალი მოზვრები
და ცხვარი და მოიწვია ყველა უფლის-
წული, ჯარის სარდლები, აბიათარ
მღვდელი. ახლა იქ არიან და ჭამენ და
სვამენ მის წინაშე. გაჰყვირიან: იცო-
ცხლოს მეფე ადონიამ! 26. არ მივუწ-
ვევირა არც მე, შენი მსახური, არც
ცადოკ მღვდელი, არც ბენაია იეჰოია-
დაყის ძე, და არც სოლომონი, შენი
მსახური. 27. თუ მეფე-ბატონისგან
მოდის ეს ბრძანება, რატომ არ გა-
მაგებინე შენს მსახურს, ვინ დაჯდეს
მეფე-ბატონის ტახტზე მის შემდეგ?
28. მიუგო მეფე დავითმა და უთხრა:
ბერსაბეს დამიძახეთ! და შევიდა იგი
მეფესთან და წარუდგა მეფეს. 29.
დაიფიცა მეფემ და თქვა: მოწმე იყოს
უფალი, რომელმაც მიხსნა ყველა გა-
ჭირვებიდან, 30. რომ როგორც შემოგ-
ფიცე უფლის, ისრაელის ღვთის სა-
ხელით, შენი ვაჟი სოლომონი გამეფ-
დება-მეთქი ჩემს შემდეგ და ის დაჯ-
დება-მეთქი ჩემს ტახტზე ჩემს ნაცვ-
ლად, ასე გავაკეთებ დღეს. 31. მი-
წამდე დახარა თავი ბერსაბემ, თაყვა-
ნისცა მეფეს და უთხრა: იცოცხლოს
ჩემმა პატრონმა, მეფე დავითმა, საუ-
კუნოდ. 32. თქვა მეფე დავითმა: და-
მიძახეთ ცადოკ მღვდელს, ნათან წი-
ნასწარმეტყველს, და ბენაია იეჰოია-
დაყის ძეს. ისინიც წარდგნენ მეფის
წინაშე. 33. უთხრა მათ მეფემ: იახლეთ
თქვენი ბატონის მსახურნი, შესვით
ჩემი შვილი სოლომონი ჩემს ჯორზე და
გიხონში ჩაიყვანეთ. 34. იქ სცხონ
იგი ისრაელის მეფედ ცადოკ მღვდე-
ლმა და ნათან წინასწარმეტყველმა. მე-
რე ჰკარით ბუკს და გამოაცხადეთ:
იცოცხლოს მეფე სოლომონმა! 35.
მერე ამოჰყევით მას, მოდი და დაჯდე-
ბა ჩემს ტახტზე და იმეფებს ჩემს ნაც-
ვლად. ის დავნიშნე მე ისრაელისა და
იუდას მთავრად. 36. მიუგო ბენაია იე-
ჰოიადაყის ძემ მეფეს და უთხრა: ამენ!
ასევე თქვას უფალმა, ჩემი მეფე-ბა-
ტონის ღმერთმა. 37. როგორც ჩემს
მეფე-ბატონთან იყო უფალი, ასევე
იყოს სოლომონთანაც. ჩემი მეფე-ბა-
ტონის, დავითის ტახტზე მეტად აღა-
მაღლოს მისი ტახტი. 38. ჩავიდნენ
ცადოკ მღვდელი, ნათან წინასწარმეტ-
ყველი, ბენაია იეჰოიადაყის ძე, ქე-
რეთელნი და ფელეთელნი, შესვეს სო-
ლომონ მეფე დავითის ჯორზე და გი-
ხონისკენ წაიყვანეს. 39. გამოიტანა
ცადოკ მღვდელმა კარვიდან რქით ზე-
თი და სცხო სოლომონს. ჰკრეს ბუკს
და დაიძახა მთელმა ხალხმა: იცოცხ-
ლოს მეფე სოლომონმა! 40. უკან ამ-
ოჰყვა მთელი ხალხი, სტვირს უკრავდა
ხალხი და ხაროდა დიდი სიხარულით,
მიწა იპობოდა მათი ყიჟინისგან. 41.
ის იყო მორჩნენ პურობას ადონია და
მისი სტუმრები, რომ მოესმათ ეს ყი-
ჟინა. გაიგონა იოაბმა ბუკის ხმა და
თქვა: რამ აახმაურა ქალაქი? 42. არ
დაემთავრებინა ლაპარაკი, რომ მოვი-
და იონათანი, აბიათარ მღვდლის შვი-
ლი. თქვა ადონიამ, მოდი, რადგან ვა-
ჟკაცი კაცი ხარ და კარგი ამბავი მო-
გაქვს. 43. მიუგო იონათანმა ადონიას
და უთხრა: ვაგლახ! სოლომონი გაამე-
ფა ჩვენმა ბატონმა დავით მეფემ. 44.
გააყოლა მას მეფემ ცადოკ მღვდელი,
ნათან წინასწარმეტყველი, ბენაია იე-
ჰოიადაყის ძე, ქერეთელები და ფე-
ლეთელები და შესვეს იგი მეფის ჯორ-
ზე. 45. მეფედ სცხეს გიხონში ცადოკ
მღვდელმა და ნათან წინასწარმეტყვე-
ლმა, და გამხიარულებულნი ამოვიდ-
ნენ იქიდან და შეიძრა ქალაქი. ეს ხმა
იყო, თქვენ რომ გაიგონეთ. 46. უკვე
ზის სოლომონი სამეფო ტახტზე. 47.
მივიდნენ კიდეც და მიულოცეს მეფის
მსახურებმა ჩვენს ბატონს, დავით მე-

ფეს, და უთხრეს: შენს სახელზე მეტად შეამკოს უფალმა სოლომონის სახელი და შენს ტახტზე მეტად განადიდოს მისი ტახტიო. და ქედი მოიხარა საწოლზე მეფემ. 48. ასე თქვა კიდეც მეფემ: კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც მომცა დღეს თვალხილულს ჩემი ტახტის მემკვიდრე და თვალით მახილვინა. 49. შეშინდათ ადონიას სტუმრებს, წამოიშალნენ და თავ-თავისი გზით წავიდნენ. 50. ხოლო ადონიამ სოლომონის შიშით სამსხვერპლოს მიაშურა და მოეჭიდა მის რქებს. 51. შეატყობინეს სოლომონს: აჰა, შეეშინდაო ადონიას მეფე სოლომონის, სამსხვერპლოს რქებს მოეჭიდა და ამბობსო: შემომფიცოს დღეს მეფე სოლომონმა რომ მახვილით არ მოკლავს თავის მსახურს. 52. თქვა სოლომონმა: თუ წრფელად მოიქცევა, მისი თმის ერთი ღერიც არ დავარდება მიწაზე. მაგრამ თუ მზაკვრობა გაივლო გულში, მოკვდება. 53. გაგზავნა სოლომონმა ხალხი და ჩამოიყვანეს იგი სამსხვერპლოდან. მივიდა და თაყვანისცა მეფე სოლომონს, და უთხრა სოლომონმა: წადი სახლში.

თავი მეორე

1. მოახლოვდა დავითის სიკვდილის ჟამი და ეს უანდერძა მან თავის შვილს, სოლომონს: 2. მივდივარ მთელი ქვეყნის გზით, გამაგრდი და კაცი იყავი. 3. აღუსრულე ვალი უფალს, შენს ღმერთს: იარე მის გზაზე, დაიცავი მისი წესები, მისი მცნებანი, მისი სამართალი, მისი მოწმობანი, როგორც სწერია მოსეს რჯულში, რომ ხელი მოგემართოს ყველაფერში, რასაც გააკეთებ, და ყველაგან, საითკენაც პირს მიაქცევ. 4. რომ აღასრულოს უფალმა ჩემზე ნათქვამი თავისი სიტყვა: თუ შენი შვილები დაიცავენ ჩემს გზას და ივლიან ჩემს წინაშე ჭეშმარიტებით და მთელი გულითა და სულით, არ დაგელევა კაცი ისრაელის ტახტზე. 5. შენც იცი, რა გამიკეთა იოაბ ცერუიას ძემ, რა გაუკეთა ისრაელის ლაშქრის ორ სარდალს — აბნერ ნერის ძეს და ყამასა იეთერის ძეს. როგორ დახოცა ისინი და მშვიდობის დროს ბრძოლის სისხლი დაღვარა, ბრძოლის სისხლი მოიცხო სარტყელზე და ფეხსამოსზე. 6. ბრძნულად მოიქეცი და მშვიდობით ნუ ჩაუშვებ მის ჭაღარას შავეთში. 7. ბარზილაი გალაადელის შვილებს წყალობა მიაგე, თანამეინახეებად გყავდეს სუფრაზე, რადგან ახლობლობა ჰქონდათ ჩემთან, როცა შენს ძმას აბესალომს გავურბოდი. 8. აჰა, შენთან არის შიმყი გერას ძე, ბენიამინიანი, ბახურიმიდან. ის იყო, რომ მწარედ მწყევლიდა, როცა მახანაიმში მივდიოდი. იორდანეზე ჩამოვიდა ჩემს შესახვედრად და მეც უფლის სახელით შევფიცე, მახვილით არ მოგკვლავ-მეთქი. 9. შენ ნუ გაამართლებ, რადგან ბრძენი კაცი ხარ და იცი, როგორ უნდა მოექცე, რომ სისხლიანი ჭაღარით ჩაიყვანო შავეთში. 10. განისვენა დავითმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა დავითის ქალაქში. 11. ხანი დავითის მეფობისა ისრაელზე იყო ორმოცი წელი: ხებრონში შვიდ წელს მეფობდა, იერუსალიმში — ოცდაცამეტ წელს. 12. დაჯდა სოლომონი მამამისის, დავითის ტახტზე და დიდად განმტკიცდა მისი მეფობა. 13. მივიდა ადონია, ხაგითის შვილი, ბერსაბესთან, სოლომონის დედასთან. უთხრა ქალმა: მშვიდობით ხარ მოსული? მიუგო: მშვიდობით. 14. უთხრა: საქმე მაქვს შენთან: უთხრა: თქვი: 15. თქვა: შენ იცი, რომ ჩემი იყო მეფობა, და მე შემომყურებდა მთელი ისრაელი, რომ მეფე გავმხდარიყავი. მაგრამ წამივიდა მეფობა და ჩემს ძმას ერგო, რადგან უფლისგან ჰქონდა მიცემული. 16. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, ნუ გამაწბილებ. მიუგო ქალმა: თქვი. 17. თქვა: უთხარი სოლომონ მეფეს, რომ არ გამწბილოს და ცოლად მომცეს აბიშაგ შუნამელი. 18. თქვა ბერსაბემ: კარგი, დავლაპარაკები შენ-

ზე მეფეს. 19. მივიდა ბერსაბე მეფე სოლომონთან, რომ ადონიაზე დალაპარაკებოდა. წარდგა მეფე მის შესახვედრად და თაყვანისცა მას, და დაჯდა თავის ტახტზე. მეფის დედასაც დაუდგეს ტახტი და მის მხარმარცხნივ დაჯდა იგი. 20. უთხრა: ერთი მცირე სათხოვარი მაქვს შენთან, ნუ გამაწბილებ. უთხრა მეფემ: მთხოვე, დედაჩემო, რადგან არ გაგაწბილებ. 21. თქვა: მიეცი ცოლად აბიშაგ შუნამელი შენს ძმას, ადონიას. 22. მიუგო მეფე სოლომონმა თავის დედას და უთხრა: რად მოითხოვ ადაონიასთვის აბიშაგ შუნამელს? ხარემ მეფობაც მოითხოვე მისთვის, რაკი ჩემი უფროსი ძმაა — მისთვის, აბიათარ მღვდლისთვის, და იოაბ ცერუიას ძისთვის! 23. დაიფიცა მეფე სოლომონმა უფალი და თქვა: ასე და ასე მიყოს უფალმა, და უარესიც დამმართოს, თუ თავის საუბედუროდ არ ეთქვას ეს სიტყვა ადონიას! 24. ვფიფავ უფალს, რომელმაც განმამტკიცა და დამსვა მამაჩემის ტახტზე, რომელმაც სახლი ამიშენა დაპირებისამებრ, რომ დღესვე მოკვდება ადონია. 25. დაავალა მეფე სოლომონმა ბენაია იეჰოიადაყის ძეს და მანაც განგმირა იგი და მოკვდა ადონია 26. აბიათარ მღვდელს კი უთხრა მეფემ: ყანათოთს წადი, შენს მამულში. სიკვდილის ღირსი ხარ, მაგრამ დღეს არ მოგკლავ, რადგან შენ გიტარებია უფლის კიდობანი მამაჩემის, დავითის წინაშე და, ყველაფერს იტანდი, რასაც მამაჩემი იტანდა. 27. მოკვეთა სოლომონმა აბიათარი უფლის მღვდლობიდან, რათა აღსრულებულიყო უფლის სიტყვა, რომელიც თქვა მან ელის სახლზე სილოამში. 28. მიუვიდა ხმა იოაბს და (რადგან იოაბი ადონიას მიემხრო და აბესალომს არ მიმხრობია) გაიქცა იოაბი უფლის კარვისკენ და სამსხვერპლოს რქებს მოეჭიდა. 29. შეატყობინეს მეფე სოლომონს, უფლის კარვისკენ გაიქცა იოაბი და, აჰა, სამსხვერპლოსთან დგასო. გაგზავნა სოლომონმა ბენაია იეჰოიადაყის ძე და დაბარა: მიდი, მოკალი! 30. მივიდა ბენაია უფლის კარავთან და უთხრა: გამოდი, ასე ბრძანა მეფემ. მიუგო: არა, აქ მოვკვდები. მიუტანა ბენაიამ მეფეს ამბავი: ასე თქვაო იოაბმა. 31. უთხრა მეფემ: ისე გაკეთე, როგორც თავად თქვა: მოკალი და დამარხე. ამით მომრეცხავ მეცა და მამაჩემის სახლსაც უბრალო სისხლს, იოაბმა რომ დაღვარა. 32. უფალმა მის თავზევე მიაქციოს მისი სისხლი იმისათვის, რომ მიუხდა ორ მასზე მართალ და კეთილ კაცს და მახვილით დახოცა მამაჩემის, დავითის უჩუმრად — აბნერ ნერის ძე, ისრაელის ჯარის სარდალი, და ყამასა იეთერის ძე იუდას ჯარის სარდალი. 33. მიექცეს მათი სისხლი იოაბის თავს და მისი შთამომავლების თავს საუკუნოდ, ხოლო დავითს, მის შთამომავლობას, მის სახლს და მის ტახტს მშვიდობა ჰქონდეს უფლისგან უკუნისამდე. 34. წავიდა ბენაია იეჰოიადაყის ძე, თავს დაესხა მას და მოკლა, და მის სახლში, უდაბნოში დამარხა. 35. დანიშნა მეფემ ბენაია იეჰოიადაყის ძე მის ადგილზე ჯარის სარდლად, ხოლო აბიათარის ადგილზე ცადოკ მღვდელი დაადგინა მეფემ. 36. დაიბარა მეფემ შიმყი და უთხრა: აიშენე სახლი იერუსალიმში და იცხოვრე იქ. ნურსად ნუ გახვალ იქიდან. 37. როგორც კი გახვალ და კედრონის ხევს გასცდები, იცოდე, სიკვდილი არ აგცდება. შენ თავზე იქნება შენი სისხლი. 38. უთხრა შიმყიმ მეფეს: კეთილი, როგორც ბრძანა მეფე-ბატონმა, ისე მოიქცევა შენი მსახური. ცხოვრობდა შიმყი იერუსალიმში მრავალი ხანი. 39. გავიდა სამი წელი და გაექცა შიმყის ორი მსახური აქიშ მაყაქას ძესთან, გათის მეფესთან. შეატყობინეს შიმყის, გათში არიანო შენი მსახურნი. 40. ადგა შიმყი და შეკაზმა სახედარი და წავიდა გათს აქიშთან თავის მსახურთა საძებრად. წავიდა შიმყი და კიდეც მოიყვანა გათიდან თავისი მსახურნი. 41. შეატყობინეს სოლომონს, იერუსალიმიდან გათში წავიდა შიმყი და უკან

მობრუნდაო. 42. დაიბარა მეფემ შიმ-
ყი და უთხრა: რომ დაგაფიცე უფლის
სახელით და გაგაფრთხილე, თუ გახ-
ვედი და სადმე წასულხარ, იცოდე,
სიკვდილი არ აგცდება-მეთქი, შენ მი-
პასუხე: კეთილი, მესმისო. რატომ არ
შეინახე უფლის ფიცი და ჩემი ბრძა-
ნება, რაც ნაბრძანები მქონდა? 44.
კიდევ უთხრა მეფემ შიმყის: შენც კა-
რგად იცი და შენმა გულმაც, რა ავკა-
ცობა გაგიკეთებია დავითისთვის, მა-
მაჩემისთვის. ახლა შენს თავზე მოაქ-
ცევს უფალი შენს ავკაცობას. 45.
კურთხეული იყოს მეფე სოლომონი და
მტკიცე იყოს დავითის ტახტი უფლის
წინაშე უკუნისამდე! 46. უბრძანა მე-
ფემ ბენაია იეჰოადაყის ძეს, ისიც
წავიდა და დაჰკრა შიმყის, და მოკვდა
იგი. განმტკიცდა სამეფო სოლომონის
ხელში.

თავი მესამე

1. დაუმოყვრდა სოლომონი ფა-
რაონს, ეგვიპტის მეფეს და მოიყვა-
ნა ფარაონის ასული. დავითის ქალაქ-
ში, ვიდრე დაასრულებდა თავის სახლს,
უფლის სახლს და ზღუდეს იერუსა-
ლიმის ირგვლივ. 2. ოღონდ ჯერ
კიდევ გორაკებზე სწირავდა ხალხი
მსხვერპლს, რადგან საიმდროოდ ჯერ
კიდევ არ იყო აშენებული სახლი უფ-
ლის სახელზე. 3. შეიყვარა სოლო-
მონმა უფალი, და მამამისის, დავითის
წესზე დადიოდა, ოღონდ გორაკებზე
სწირავდა მსხვერპლს და აკმევდა სარ-
კმეველს. 4. წავიდა მეფე გაბაონს, რა-
თა მსხვერპლი შეეწირა იქ, რადგან იქ
იყო მთავარი გორაკი. ათასი სული
აღსავლენი შესწირა მეფემ ამ სამსხ-
ვერპლოზე. 5. გამოეცხადა გაბაონში
უფალი სოლომონს სიზმრად ღამით და
უთხრა ღმერთმა: მთხოვე, რა გინდა,
რომ მოგცე. 6. უთხრა სოლომონმა:
დიდად სწყალობდი შენს მსახურს, მა-
მაჩემს დავითს, რადგან ჭეშმარიტე-
ბით, სიმართლითა და შენდამი წრფე-
ლი გულით დადიოდა იგი შენს წინა-
შე. შეუნარჩუნე კიდეც ეს დიდი წყა-
ლობა და მიეცი ვაჟი, რომელიც ზეს
დღეს მის ტახტზე. 7. ახლა, უფალო,
ღმერთო, ჩემო, შენ გაამეფე მამაჩე-
მის, დავითის ნაცვლად შენი მსახური,
თუმცა უსაკო ყმაწვილი ვარ და არ
ვიცი გამოსვლა და შესვლა. 8. შენს
რჩეულ ხალხშია შენი მსახური, მრა-
ვალრიცხოვან ხალხში, რომელიც არ
დაითვლება და არც აღირიცხება სიმ-
რავლის გამო. 9. მიანიჭე შენს მსახურს
გამგები გული, რათა განაგოს შენი
ერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტე-
ბისგან. რადგან ვის შეუძლია განაგოს
შენი ერი, ესოდენ მრავალრიცხოვანი?
10. მოეწონა უფალს სოლომონის სა-
თხოვარი. 11. უთხრა მას ღმერთმა:
იმის გამო, რომ მთხოვე ეს და არ მო-
ითხოვე შენთვის ხანგრძლივი სიცოცხ-
ლე, არ მოითხოვე სიმდიდრე, არ მოი-
თხოვე შენი მტრების სული, არამედ
გონიერება მთხოვე სამართლის გასა-
კითხავად, 12. აჰა, მომნიჭებია შენ-
თვის ბრძენი და გონიერი გული, ისე
რომ შენი მსგავსი არც შენამდე იქ-
ნებოდა სადმე და არც შენს შემდეგ
გამოჩნდება შენი მსგავსი. 13. რაც არ
გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრე-
საც, დიდებასაც, ისე რომ, ვიდრე
ცოცხალ ხარ, არავინ იქნება მეფეთა
შორის შენი მსგავსი. 14. თუ ივლი
ჩემს გზაზე, დაიცავ ჩემს წესებსა და
ჩემს ბრძანებებს, როგორც მამაშენი
დავითი დადიოდა, დღეგრძელს გაგხდი.
15. გაეღვიძა სოლომონს და, აჰა, ესეც
სიზმარი. მივიდა იერუსალიმში და წა-
რდგა უფლის აღთქმის კიდობნის წი-
ნაშე. აღავლინა აღსავლენი და შესწი-
რა სამშვიდობო მსხვერპლი. მერე
ლხინი გაუმართა თავის მსახურთ. 16.
მაშინ მივიდა მეფესთან ორი მეძავი
ქალი და დადგნენ მის წინ. 17. თქვა
ერთმა ქალმა: მომიტევე, ბატონო. მე
და ეს ქალი ერთ სახლში ვცხოვრობთ,
ამ სახლში ვიმშობიარე მის თვალწინ.
18. ჩემი მშობიარობის მესამე დღეს
შვა ამ ქალმაც. ერთად ვიყავით, უც-

ხო არავინ ყოფილა ჩვენთან სახლში. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით სახლში. **19.** მოკვდა ღამით ამ ქალის ბავშვი. რადგან ზედ დასწოლოდა. **20.** ადგა შუაღამისას, აიყვანა ჩემი ბავშვი ჩემი გვერდიდან, ეძინა შენს მხევალს, და თავის უბეში ჩაიწვინა, ხოლო თავისი მკვდარი ბავშვი მე ჩამიწვინა, უბეში. **21.** ავდექი დილით, რომ ძუძუ მეწოვებინა ბავშვისთვის და, აჰა, მკვდარი დამხვდა. კარგად დავაკვირდი დილით და მივხვდი, რომ ის ბავშვი არ იყო ჩემი შვილი, რომელიც მე ვშობე. **22.** თქვა მეორე ქალმა: არა! ცოცხალია ჩემი შვილი, შენი შვილია მკვდარი! ეს კი ამბობდა! არა! შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილი ცოცხალი! ასე ლაპარაკობდნენ მეფის წინაშე. **23.** თქვა მეფემ: ეს ამბობს, ჩემი შვილიაო ცოცხალი, შენი შვილი მკვდარი. მეორე ამბობს: არა, შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილიაო ცოცხალი. **24.** თქვა მეფემ: მახვილი მომიტანეთ! მიართვეს მახვილი მეფეს. **25.** თქვა მეფემ: ორად გაჭერით ცოცხალი ბავშვი, ერთი ნახევარი ერთ ქალს მიეცით, მეორე ნახევარი — მეორე ქალს. **26.** უთხრა ქალმა, ცოცხალი ბავშვის დედამ, მეფეს, რადგან გულღვიძლი დაეწვა თავისი შვილის გამო: ოჰ, ჩემო ბატონო! ოღონდ ნუ მოკლავთ და მიეცით მაგას ცოცხალი ბავშვი! მეორე ამბობდა: ნურც მე მერგება, ნურც შენ, გაჭერით! **27.** მიუგო მეფემ და თქვა: ამას მიეცით ცოცხალი ბავშვი, ნუ მოკლავთ, ეს არის მისი დედა. **28.** გაიგო მთელმა ისრაელმა განაჩენის ამბავი, მეფემ რომ გამოიტანა, და შეეშინდათ მეფისა, რადგან დაინახეს, რომ ღვთის სიბრძნე შეეწია მას სამართლის გაჩენაში.

თავი მეოთხე

1. იყო მეფე სოლომონი მეფედ მთელს ისრაელზე. **2.** ეს თავკაცები ჰყავდა მას: აზარია, ცადოკ მღვდლის შვილი. **3.** ელიხორეფი და ახია, შიშას ძენი — მწერლები. იოშაფატ ახილუდის ძე — მემატიანე. **4.** ბენაია იეჰოიადაყის ძე — ჯარის სარდალი, ცადოკი და აბიათარი — მღვდლები. **5.** აზარია ნათანის ძე — მოურავთ უფროსი, ზაბუდ ნათანის ძე — მღვდელი და მეფის მეგობარი. **6.** ახიშარი — სასახლის ზედამხედველი, ადონირამ აბდას ძე — ხარკის განმგებელი. **7.** თორმეტი მოურავი ჰყავდა სოლომონს მთელს ისრაელში, ისინი ამარაგებდნენ სარჩოთი მეფესა და მის სახლს. თითოეულს წელიწადში ერთი თვის მანძილზე უნდა ეზიდნა სარჩო. **8.** აი, მათი სახელები: ბენ-ხური ეფრემის მთიდან. **9.** ბენ-დეკერი მაკაცში, შაყალბიმში, ბეთ-შემეშში, ელონში და ბეთ-ხანანში. **10.** ბენ-ხესედი არუბოთში. მისი იყო სოქო და ხეფერის მთელი მარე. **11.** ბენ-აბინადაბი მთელს ნაფათ-დორში. სოლომონის ასული, ტაფათი ჰყავდა ცოლად. **12.** ბაყანა ახილუდის ძე თაყანაქში, მეგიდოში და მთელს ბეთ-შეანში, ცართანასთან რომ არის, იზრეყელის ქვემოთ, ბეთ-შეანიდან ვიდრე აბელ-მეხოლამდე და იაკმეყანის გაღმა მხარემდე. **13.** ბენ-გებერი გალადის რამოთში. მისი იყო იაირისშენები, მენაშეს ძისა, გალაადში. მისი იყო არგობის მხარე ბაშანში, სამოცი დიდი ქალაქი, გალავნიანი და სპილენძის ურდულებიანი. **14.** ახინადაბ დიდოს ძე მახანაიმში, **15.** ახიმაყაცი ნაფთალის მხარეში. მასაც სოლომონის ასული ჰყავდა ცოლად, ბასმათი. **16.** ბაყანა ხუშაის ძე აშერის მხარეში და ბეყადოთში. **17.** იეჰოშაფატ ფარუახის ძე იასაქარის მხარეში. **18.** შიმყი ელას ძე ბენიამინის მხარეში, **19.** გებერი ურის ძე გალაადის ქვეყანაში, სიხონის, ამორეველთა მეფის, ქვეყანაში და ოგის, ბაშანის მეფის ქვეყანაში, თითო მოურავი თითო ქვეყანაში. **20.** ჭამდნენ, სვამდნენ, მხიარულობდნენ ზღვის ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იუდა და ისრაელი. **21.** ეპყრა სოლომონს ყველა სამეფო მდინარიდან

ფილისტიმელთა ქვეყნამდე და ეგვიპტის საზღვრამდე მოართმევდნენ ხოლმე ძღვენს და ემორჩილებოდნენ სოლომონს მთელი მისი სიცოცხლე. 22. ეს იყო სოლომონის ყოველდღიური სარჩო: ოცდაათი ქორი გამტკიცული ფქვილი და სამოცი ქორი სადაგი ფქვილი, 23. ათი ნასუქალი ხარი და ათი ნაიალაღარი ხარი, ასი ცხვარი გარდა ნანადირევი ირმებისა, ქურციკებისა, ჯეირნებისა და გამოკვებილი ბატებისა. 24. ეს იმიტომ, რომ ბატონობდა იგი მთელს მდინარის გამოღმა მხარეზე თიფსახიდან ვიდრე ღაზამდე, და მდინარის გამოღმა ყველა მეფეზე, და ზავი ჰქონდა ყველა ქვეყანას ირგვლივ. 25. უშიშრად ისხდა სოლომონის დროს იუდა და ისრაელი, თითოეული თავისი ვენახის ძირას და თავისი ლეღვის ძირას დანიდან ვიდრე ბერშებამდე. 26. ჰქონდა სოლომონს ორმოცი ათასი თავლა ეტლის ცხენებისთვის და ჰყავდა თორმეტი ათასი ცხენოსანი. 27. ამარაგებდნენ ის მოურავები თითოეული თავის განკუთვნილ თვეში მეფე სოლომონს და მეფე სოლომონის სუფრის ყველა მეინახეს, თითოეული თავის განკუთვნილ თვეში, და არაფერს აკლებდნენ. 28. მოჰქონდათ ქერი და თივა ცხენებისთვის და ბედაურებისთვის, თითოეულს მისთვის მიჩენილ ადგილზე. 29. მიჰმადლა ღმერთმა სოლომონს სიბრძნე, დიდი ჭკუა და ზღვის ქვიშასავით ვრცელი გონება, 30. სოლომონის სიბრძნე აღემატებოდა აღმოსავლელთა მთელს სიბრძნეს და ეგვიპტელთა მთელს სიბრძნეს. 31. ყველა ადამიანზე ბრძენი იყო იგი — ეთან ეზრახელზე, ჰემანზე, ქალქალაზე, დარდა მახოლის ძეზე და განითქვა მისი სახელი ყველა ხალხში, ვინც კი ირგვლივ იყო. 32. წარმოთქვა სამი ათასი იგავი და შეთხზა ხუთი ათასი გალობა. 33. ლაპარაკობდა ხეებზე ლიბანის ნაძვიდან დაწყებული ეზობამდე, კედელზე რომ მიცოცავს, ლაპარაკობდა ცხოველებზე და ფრინველებზე, ქვეწარმავლებზე და თევზებზე. 34. მოდიოდნენ ყველა მოდგმის ხალხისგან სოლომონის სიბრძნის მოსასმენად და ქვეყნის ყველა მეფისგან, ვისაც კი სმენოდა მისი სიბრძნის ამბავი.

თავი მეხუთე

1. გაგზავნა ხირამა, ტვიროსის მეფემ, თავისი მსახურნი სოლომონთან. რადგან გაეგო, რომ იგი სცხეს მეფედ მამამისის ნაცვლად, ხოლო ხირამი დავითის მოყვარული იყო მთელი სიცოცხლე. 2. შეუთვალა სოლომონმა ხირამს: 3. შენ იცი, რომ შესძლო მამაჩემმა დავითმა, აეშენებინა სახლი უფლის, თავისი ღვთის სახელზე, რადგან მტერი ეხვია გარშემო, ვიდრე უფალმა ფეხის ტერფით არ დაათრგუნინა ისინი. 4. ახლა კი ჩამომიგდო ირგვლივ მშვიდობა უფალმა, ჩემმა ღმერთმა, აღარ მყავს მოწინააღმდეგე და არც ხიფათი მელის რაიმე. 5. აჰა, ვფიქრობ ავაშენო სახლი უფლის, ჩემი ღვთის სახელზე, როგორც ნათქვამი აქვს მამაჩემისთვის უფალს: შენი ვაჟიშვილი, ვისაც შენს ნაცვლად ტახტზე დავსვამ, ის ამიშენებსო ჩემს სახელზე სახლს. 6. ახლა ბრძანე, რომ ნაძვის ხეები მომიჭრან ლიბანში, ჩემი მსახურნი შენს მსახურებთან ერთად იქნებიან, და მე მოგცემ შენს მსახურთა გასამრჯელოს, რამდენსაც მეტყვი, რადგან შენ იცი, რომ ციდონელებივით ჩვენში ტყეს ვერვინ ჩეხავს. 7. როცა გაიგო ხირამმა სოლომონის სიტყვები, დიდად გაიხარა და თქვა: აწ კურთხეულ იყოს უფალი, რომელმაც მისცა დავითს ბრძენი შვილი და ამდენი ხალხის განმგებლად დაადგინა. 8. შეუთვალა ხირამმა სოლომონს: მოვისმინე რაც შემომითვალე. ყველაფერს შეგისრულებ, რაც კი ნაძვისა და კვიპაროსის ხეების გამო ისურვე. 9. ჩემი მსახურნი ჩამოზიდავენ ლიბანიდან ზღვამდე, და ტივებად გავუშვებ ზღვით იმ ადგი-

ლამდე, რომელსაც დამითქვამ, იქ
დავშლით და წაიღებ. ოღონდ შენ
შემისრულე სურვილი: სარჩოთი მომ-
მარაგე სახლი. 10. უგზავნიდა ხირა-
მი სოლომონს მისი სურვილის თანა-
ხმად ნაძვისა და კვიპაროსის ხეებს.
11. ხოლო სოლომონი უგზავნიდა ხი-
რამს ოცი ათას ქორ ხორბალს მის
სახლის სარჩოდ და ოც ქორ გაწმენ-
დილ ზეთს. ამას უგზავნიდა სოლომონი
ხირამს წლიდან წლამდე. 12. მიჰმადლა
უფალმა სიბრძნე სოლომონს დაპირე-
ბისამებრ. მშვიდობა იყო ხირამსა და
სოლომონს შორის და კავშირი ჰქონ-
დათ შეკრული ერთმანეთან. 13. დაბე-
გრა სოლომონმა მთელი ისრაელი: ოც-
დაათი კაცი გაჰყავდა ბეგარაზე. 14.
გზავნიდა მათ ლიბანში — თვეში ათი
ათას კაცს მორიგეობით. ერთ თვეს
ლიბანში იყვნენ, ორ თვეს თავ-თა-
ვის სახლებში. ადონირამი განაგებდა
ბეგარას. 15. სოლომონს ჰყავდა სა-
მოცდათი ათასი მტვირთავი და ოთხ-
მოცი ათასი ქვისმჭრელი მთაში, 16.
გარდა სამი ათას სამასი თავკაცისა,
რომელნიც სამუშაოებზე ჰყავდა მი-
ჩენილი სოლომონს და მომუშავეებს
ზედამხედველობდნენ. 17. ბრძანა მე-
ფემ და მოზიდეს დიდრონი ლოდები,
ძვირფასი ქვის ზოდები სახლის საძი-
რკვლისათვის. 18. სოლომონისა და ხი-
რამის მშენებლები და გებალელები
ჭრიდნენ და ამზადებდნენ ხესა და
ქვებს სახლის ასაშენებლად.

თავი მეექვსე

1. ისრაელიანთა ეგვიპტიდან გა-
მოსვლის ოთხასმეოთხმოცე წელს, ის-
რაელზე სოლომონის მეფობის მეოთხე
წელს. ზივის თვეში, ანუ მეორე თვე-
ში, შეუდგა იგი უფლის სახლის შე-
ნებას. 2. სახლი, რომელიც სოლომონ-
მა აუშენა უფალს, სიგრძით სამოცი
წყრთა იყო, სიგანით — ოცი წყრთა,
სიმაღლით — ოცდაათი წყრთა. 3.
სტოა ტაძრის წინ სიგრძით ოცი წყრთა
იყო, ტაძრის სიგანის შესაბამისად, ხო-
ლო სიგანე — ათი წყრთა სახლის წინ.
4. გაუკეთა სახლს სარკმლები, რომ-
ლებიც იღებოდა და იკეტებოდა. 5.
მიუშენა სახლის კედელს სართულები
სახლის კედლების ირგვლივ, ტაძრი-
სა და დაბირის ირგვლივ, და მიუშენა
შრამელები ირგვლივ. 6. ქვედა სარ-
თული ხუთი წყრთა იყო სიგანით,
შუა — ექვსი წყრთა სიგანით, ხოლო
მესამე — შვიდი წყრთა სიგანით, რად-
გან სახლს ირგვლივ შვერილი კოჭები
ჰქონდა გარედან დატანებული, რომ
სახლის კედლებს ხარაჩოები არ მიჰ-
კარებოდა. 7. როცა სახლი შენდებო-
და, ზოდებად მოჭრილი ქვით შენდე-
ბოდა. არც ჩაქუჩის, არც კვერის და
არც ერთი რკინის იარაღის ხმა არ გა-
ღებულა სახლში მისი შენებისას. 8.
შუა სართულზე ასასვლელი სახლს მარ-
ჯვენა ფრთაზე ჰქონდა. დახვეული კი-
ბით ადიოდნენ შუა სართულზე და
შუა სართულიდან — მესამეზე. 9.
დაასრულა სახლის შენება და ნაძვის
ფიცრებითა და კოჭებით გადახურა სა-
ხლი. 10. სართულები მიუშენა მთელს
სახლს, თითო ხუთი წყრთა სიმაღლი-
სა, და ნაძვის ძელებით მიამაგრა სახლს.
11. გამოეცხადა სოლომონს უფლის
სიტყვა: აჰა, აშენებ ამ სახლს. 12.
მაგრამ თუ ივლი ჩემს წესზე და ჩემს
სამართალს გააჩენ, თუ დაიცავ და გაჰ-
ყვები ჩემს ნაბრძანევს, მაშინ შეგის-
რულებ სიტყვას, რომელიც დავითს,
მამაშენს, ვუთხარი. 13. დავმკვიდრდე-
ბი ისრაელიანთა შორის და არასოდეს
მივატოვებ ჩემს ერს, ისრაელს. 14.
როცა დაასრულა სახლის შენება სო-
ლომონმა, 15. ნაძვის ფიცრები ააკრა
სახლის შიდა კედლებს იატაკიდან ჭე-
რამდე. ჭერი შიგნიდან ხით მოაპირკე-
თა, და სახლის იატაკზე კვიპაროსის
ფიცრები დაგო. 16. სახლის კიდეე-
ბიდან ოც წყრთაზე ააკრა ნაძვის ფიც-
რები იატაკიდან ჭერამდე და განაკუთ-
ვნა იგი დაბირისთვის, წმიდათა წმი-
დისთვის. 17. ორმოცი წყრთა იყო
წინიდან სახლი, ანუ ტაძარი. 18. ნაძ-

ვის ფიცრებზე სახლის შიგნით კიტრები და გაშლილი ყვავილები იყო ამოჩუქურთმებული. ყველაფერი ნაძვისგან იყო, ქვა არ ჩანდა. 18. შუა სახლში მოაწყო დაბირი, რომ იქ უფლის აღთქმის კიდობანი დაედგა. 20. დაბირის სიგრძე ოცი წყრთა იყო, სიგანეც — ოცი წყრთა, სიმაღლე — ოცი წყრთა. წმიდა ოქროთი დაფერა იგი, ოქროთვე დაფერა ნაძვის სამსხვერპლო. 21. დაფერა შიგნიდან სახლი წმიდა ოქროთი სოლომონმა, გადაჭიმა ოქროს ჯაჭვები დაბირის წინ, რომელიც ოქროთი დაფერა. 22. მთელი სახლი ოქროთი დაფერა, მთლიანად მთელი სახლი და მთელი სამსხვერპლო დაბირის წინ მდგარი, ოქროთი დაფერა. 23. გააკეთა დაბირში ორი ქერუბიმი ზეთისხილის ხისგან, რომლის სიმაღლე ათი წყრთა იყო. 24. ერთი ფრთა ხუთი წყრთა ჰქონდა ქერუბიმს, მეორე ფრთაც ხუთი წყრთა. ათი წყრთა იყო ერთი ფრთის ბოლოდან მეორე ფრთის ბოლომდე. 25. ათი წყრთა იყო მეორე ქერუბიმიც. ორივე ქერუბიმს ერთი ზომა და ერთი სახე ჰქონდა. 26. ერთი ქერუბიმის სიმაღლე ათი წყრთა იყო, ასევე მეორე ქერუბიმისაც. 27. დადგა ქერუბიმები შიდა სახლის შუაგულში. გაშლილი ჰქონდათ ფრთები ქერუბიმებს, ერთი ქერუბიმის ფრთა ერთ კედელს სწვდებოდა, მეორე ქერუბიმის ფრთა — მეორე კედელს, ხოლო სახლის შუაგულისკენ მიმართული მათი ფრთები ერთმანეთს ეხებოდნენ. 28. ოქროთი დაფერა ქერუბიმები. 29. სახლის მთელს კედლებზე ირგვლივ — შიგნიდან და გარედან, ქერუბიმების, ფინიკის ხეებისა და გაშლილი ყვავილების გამოსახულებანი მოაჩუქურთმა. 30. სახლის იატაკიც ოქროთი დაფერა, შიგნიდანაც და გარედანაც. 31. დაბირში შესასვლელად გააკეთა ზეთისხილის ხის კარედი, რომლის ჩარჩო და წყრთილები კედლის სიმაღლის მეხუთედი იყო. 32. ზეთისხილის ხის ორ კარედზე ქერუბიმები, ფინიკის ხეები და გაშლილი ყვავილები ამოაჩუქურთმა და ოქროთი დაფერა. მოაოქროვა ქერუბიმიც და ფინიკის ხეებიც. 33. ტაძრის შესასვლელსაც ასევე გაუკეთა ზეთისხილის ხის ოთხკუთხა წირთხლები, 34. და კვიპაროსის ხის ორი კარედი. ერთი კარედის ორივე ფრთა ტრიალებდა, მეორე კარედის ორივე ფრთა ტრიალებდა. 35. ამოაჩუქურთმა ქერუბიმები, ფინიკის ხეები და გაშლილი ყვავილები და ოქროთი დაფერა ჩუქურთმის ღარები. 36. მოაწყო შიდა ეზო სამი წყება თლილი ქვისაგან და ერთი წყება ნაძვის ძელებისგან. 37. მეოთხე წელს, ზივის თვეში, ჩაეყარა საძირკველი უფლის სახლს. 38. მეთერთმეტე წელს, ბულის თვეში, რომელიც არის მერვე თვე, გაასრულა სახლი ყოველი წესისა და რიგის მიხედვით. შვიდ წელიწადს აშენებდა სახლს.

თავი მეშვიდე

1. თავის სახლს კი ცამეტ წელიწადს აშენებდა სოლომონი და გაასრულა მთელი თავისი სახლი. 2. ააშენა ლიბანის მაღნარის სახლი: სიგრძით ასი წყრთა, სიგანით ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით ოცდაათი წყრთა. ოთხ რიგ ნაძვის სვეტებზე იყო შედგმული, ნაძვისავე ძელები იყო გადებული ნაძვის სვეტებზე. 3. ნაძვით იყო გადახურული ოთახები, ორმოცდახუთ სვეტზე შედგმული, თხუთმეტი სვეტი თითო რიგში. 4. სამ სართულად იყო სარკმლის ჩარჩოები, სარკმლები ერთმანეთის პირდაპირ იყო, სამ წყებად. 5. ყველა კარი და წირთხლი ოთხკუთხა ძელებისგან იყო, სამ სართულად, სარკმლები ერთმანეთის პირდაპირ იყო, სამ წყებად. 6. სვეტებიანი კარიბჭე, რომელიც გააკეთა, სიგრძეში ორმოცდათი წყრთა იყო, სიგანეში — ოცდაათი წყრთა, მის წინ სხვა კარიბჭე სვეტებით და ზღურბლით. 7. სატახტო კარიბჭე, სადაც მსჯავრი უნდა გამოეტანა, სამსჯავრო კარიბჭე, გააკეთა და

ნაძვით დაფარა იატაკიდან ჭერამდე. 8. ასევე იყო აგებული მისი საცხოვრებელი სახლი მეორე ეზოში, კარიბჭის უკან. ფარაონის ასულსაც, რომელიც ცოლად ჰყავდა მოყვანილი სოლომონს, ამ კარიბჭის მსგავსი სახლი აუშენა. 9. ეს ყველაფერი ზომაზე გათლილი, ხერხით დახერხილი ძვირფასი ქვებისგან იყო გაკეთებული — როგორც შიგნით, ისე გარეთ, საფუძველიდან თავხემდე, და გარეთ დიდ ეზომდე. 10. საფუძვლად დადებული იყო ძვირფასი ქვები, დიდი ქვები, ათწყრთიანი და რვაწყრთიანი ქვები. 11. ხოლო ზემოთ ზომაზე გათლილი ძვირფასი ქვები და ნაძვი. 12. დიდი ეზო შემოზღუდული იყო ირგვლივ სამი წყება თლილი ქვით და ერთი წყება ნაძვის ძელებით. ასევე უფლის სახლის შიდა ეზო და სახლის კარიბჭე. 13. გაგზავნა კაცი მეფე სოლომონმა და მოაყვანინა ტვიროსიდან ხირამი, 14. რომლის დედა ერთი ქვრივი ქალი იყო ნაფთალის შტოდან, ხოლო მამა ტვიროსელი სპილენძის ოსტატი. მომადლებული ჰქონდა ხირამს სიბრძნე, განჭრიახობა და ცოდნა სპილენძის ნახელავის გასაკეთებლად. მივიდა სოლომონ მეფესთან და ყველა სამუშაო შეუსრულა. 15. გამოსახა სპილენძის ორი სვეტი — ერთი სვეტის სიმაღლე თვრამეტ იწყრთა იყო, თორმეტი წყრთა ძაფი სწვდებოდა გარშემო მეორე სვეტს. 16. ორი ბულაური ჩამოასხა სპილენძისაგან სვეტების თავზე დასადგმელად, ერთი ბულაურის სიმაღლე ხუთი წყრთა იყო, მეორე ბედაურის სიმაღლეც ხუთი წყრთა იყო. 17. გაუკეთა სვეტის თავზე დასადგმელ ბულაურებს დაწნული ცხაურები და ძეწკვისებური ჯინჯილები: შვიდი — ერთ ბულაურს, შვიდიც — მეორე ბულაურს. 18. გააკეთა სვეტები და შემოავლო ირგვლივ ერთ ცხაურს ორ წყებად ბროწეულები სვეტების თავზე დადგმული ბულაურების დასაფარავად. 19. კარიბჭის სვეტების ბულაურები შროშანის სახის იყო, ოთხი წყრა. 20. ორ სვეტზე შედგმულ ბულაურებს შემოვლებული ჰქონდა ორასი ბროწეული, ზემოთკენ მუცლის პირდაპირ, რომელიც ცხაურის მხარეს იყო. 21. აღმართა სვეტები ტაძრის კარიბჭეში. აღმართა მარჯვენა სვეტი და უწოდა სახელად იაქინი. აღმართა მარცხენა სვეტი და უწოდა სახელად ბოაზი. 22. სვეტის თავებზე შროშანები იყო გამოსახული. დასრულდა სვეტების სამუშაო. 23. ჩამოასხა სპილენძის ზღვა, სრულიად მრგვალი, კიდიდან კიდემდე ათი წყრთა იყო, სიმაღლე ხუთი წყრთა ჰქონდა, ოცდაათი წყრთა ძაფი სწვდებოდა ირგვლივ. 24. ირგვლივ კიტრის ჩუქურთმები ჰქონდა შემოვლებული კიდეზე ქვემოდან, ათ-ათი თითო წყრთაზე და ორ წყებად გარს ერტყა ზღვას. კიტრები მასთან ერთად იყო ჩამოსხმული. 25. თორმეტ ხარზე იყო შედგმული. სამი ჩრდილოეთით იყურებოდა. სამი დასავლეთით იყურებოდა, სამი სამხრეთით იყურებოდა და სამი აღმოსავლეთით იყურებოდა. ზღვა ზედ ედგათ და ზურგი ყველას შიგნით ჰქონდა მიქცეული. 26. სისქე ერთი მტკაველი ჰქონდა, მისი კიდეები თასის კიდესავით იყო გაკეთებული და გაშლილ შროშანსა ჰგავდა. ორი ათას ბათს იტევდა. 27. გააკეთა ათი სპილენძის კვარცხლბეკი, თითოეული კვარცხლბეკის სიმაღლე ოთხი წყრთა იყო, სიგანე — ოთხი წყრთა, სიმაღლე — სამი წყრთა. 28. ამგვარად იყო გაკეთებული კვარცხლბეკი: დაფები ჰქონდა მათ, ჩარჩოში ჩასმული. 29. ჩარჩოებში ჩასმულ დაფებზე ლომები, ხარები და ქერუბიმები იყო გამოსახული, ასევე ჩარჩოებზე — ლომებსა და ხარებს ქემოთ და ზემოთ ყვავილების ასხმული კონები. 30. ოთხ-ოთხი სპილენძის ბორბალი და სპილენძის ღერძები ჰქონდა თითო კვარცხლბეკს. მის ოთხსავე კუთხეზე იყო შვერილები. საბანელის ქვეშაც ჩამოსხმული შვერილები იყო, ხოლო ყოველ გვერდზე—ყვავილწნულები. 31. მისი ჭრი-

ლი შიდა გვირგვინიდან მაღლითამდე ერთი წყრთა იყო, ჭრილი მრგვალი იყო, როგორც ამგვარი ნაკეთობა არის ხოლმე, წყრთა ნახევარი. ჭრილზე ჩუქურთმები იყო. მისი კედლები ოთხკუთხედი იყო, არა მრგვალი. 32. ოთხი ბორბალი იყო კედლებს ქვემოთ და ბორბლების ღერძები კვარცხლბეკზე იყო დამაგრებული, თითო ბორბლის სიმაღლე — ერთნახევარი წყრთა. 33. ბორბლები ეტლის ბორბლებივით იყო გაკეთებული, ღერძები, სალტეები, მანები და მორგვები სულ ჩამოსხმული სპილენძისა იყო. 34. ოთხი შვერილი ჰქონდა ყოველი კვარცხლბეკის ოთხსავე კუთხეს, კვარცხლბეკთან ერთად იყო ჩამოსხმული. 35. კვარცხლბეკის თავზე იყო წრე ნახევარი წყრთა სიმაღლისა, კვარცხლბეკის სახელურები და კედლები მისივე მასალისგან იყო. 36. ამოკვეთა სახელურების დაფებზე და მის კედლებზე ქერუბიმები, ლომები და პალმები ერთმანეთის დაშორებით, ირგვლივ ყვავილწნულები. 37. ამგვარი გააკეთა ათი კვარცხლბეკი, ყველა ერთიანად იყო ჩამოსხმული, ერთი ზომა ჰქონდა, ერთი სახე. 38. გააკეთა სპილენძის ათი საბანელი, ორმოც ბათს იტევდა თითოეული საბანელი, ოთხი წყრთა იყო თითოეული საბანელი, თითოეული საბანელი იმ ათიდან ერთერთ კვარცხლბეკზე იდგა. 39. ხუთი კვარცხლბეკი სახლის მარჯვენა ფრთაზე დადგა, ხუთი — სახლის მარცხენა ფრთაზე, ზღვა სახლს მარჯვენა მხარეს მოათავსა, სამხრეთ-აღმოსავლეთით. 40. გააკეთა ხირამმა საბანელები, აქანდაზები და სასხურებლები, და მოათავა ხირამმა ყველა სამუშაო, რასაც უკეთებდა იგი მეფე სოლომონს უფლის სახლში. 41. ორი სვეტი და სვეტების თავზე დასადგმელი ბუღაურები მისი ორი ბალიშითურთ, ორი ცხაური სვეტებზე დასადგმელი ბუღაურების დასაფარავად. 42. ოთხასი ბროწეული ორი ცხაურისთვის, ბროწეულების ორი რიგი თითოეულ ცხაურს. სვეტებზე დასადგმელი ბუღაურის ბალიშების დასაფარავად. 43. ათი კვარცხლბეკი, ათი საბანელი ცხაურცხლბეკებზე შესადგმელი. 44. ერთი ზღვა და თორმეტი ხარი ზღვის ქვეშ. 45. ქვაბები, აქანდაზები და სასხურებლები. ყველა ეს ჭურჭელი, რომელნიც ხირამმა გაუკეთა მეფე სოლომონს უფლის სახლში, გაპრიალებული სპილენძისა იყო. 46. იორდანეს მხარეში ჩამოასხა ისინი მეფემ, თიხნარ ნიადაგზე, სუქოთსა და ცართანს შორის. 47. დააწყო სოლომონმა ყველა ეს ჭურჭელი თავ-თავის ადგილზე. დიდი სიმრავლის გამო ვერ გაირკვა სპილენძის წონა. 48. გააკეთა სოლომონმა ყოველი ჭურჭელი, რაც უფლის სახლისთვის იყო განკუთვნილი: ოქროს სამსხვერპლო და ოქროსავე ტაბლა, რომელზედაც საწინაშეო პური ეწყო. 49. ბაჯაღლო ოქროს სასანთლეები — ხუთი მარჯვენა მხარეს, ხუთიც მარცხენა მხარეს, დაბირის წინ, ყვავილებით, სანთურებით და ოქროს მაშებითურთ. 50. ბაჯაღლო ოქროს ტაშტები, დანები, სასხურებლები, საწდეები, საცეცხლურები, და ოქროსავე ანჯამები შიდა სახლიდან წმიდათა წმიდაში შესასვლელი კარებისთვის, ტაძარში შესასვლელი კარებისთვის. 51. მოთავდა ყველ სამუშაო, რაც უფლის სახლში შეასრულა მეფე სოლომონმა, მოიტანა სოლომონმა მამამისის, დავითის, შემოწირულება — ოქრო, ვერცხლი და ჭურჭელი და დააწყო უფლის სახლის საგანძურში.

თავი მერვე

1. მაშინ შეყარა სოლომონმა ისრაელის უხუცესობა და შტოთა ყველა თავკაცი — ისრაელიანთა მამისსახლების უფროსები მეფე სოლომონთან იერუსალიმში, რომ ჩამოეყვანა ეგადმოეყვანა უფლის აღთქმის კიდობანი დავითის ქალაქიდან, ანუ სიონიდან. 2. შე-

იყარა მეფე სოლომონთან მთელი ისრაელი ეთანიმის თვეში, ანუ მეშვიდე თვეში, დღესასწაულის დროს. 3. მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა და მღვდლებმა ასწიეს კიდობანი. 4. და წაასვენეს უფლის კიდობანი და სადღესასწაულო კარავი. წაასვენეს ეს მღვდლებმა და ლევიანებმა. 5. მეფე სოლომონი და მასთან შეკრებილი ისრაელის მთელი საზოგადოება იდგნენ კიდობნის წინ და მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარსა და ძროხას, რომლის დათვლა და აღრიცხვა შეუძლებელი იყო სიმრავლის გამო. 6. დაასვენეს მღვდლებმა უფლის აღთქმის კიდობანი თავის განკუთვნილ ადგილზე, ტაძრის დაბირში, წმიდათა წმიდაში, ქერუბიმთა ფრთებქვეშ. 7. რადგან ფრთები ჰქონდათ გადაშლილი ქერუბიმებს კიდობნის ადგილზე და ზემოდან ფარავდნენ ქერუბიმები კიდობანს და კეტებს, 8. კეტები იმ სიგრძისა იყო, რომ მხოლოდ მისი თავები ჩანდა წმიდათა წმიდიდან, დაბირის წინ, და არ ჩანდა გარეთ. დღემდე იქ არის ისინი. 9. არაფერი იყო კიდობანში გარდა ქვის დაფებისა, მოსემ რომ ჩააწყო იქ ხორებში ყოფნისას, როცა უფალმა კავშირი შეკრა ისრაელიანებთან ეგვიპტიდან მათი გამოსვლის შემდეგ. 10. როცა გამოვიდნენ მღვდლები წმიდათა წმიდიდან, ღრუბელმა აავსო ღვთის სახლი. 11. ვეღარ დადგნენ სამსახურისთვის იქ მღვდლები ამ ღრუბლის გამო, რადგან უფლის დიდებას დაეფარა სახლი. 12. მაშინ თქვა სოლომონმა: ბნელში დავანება ინება უფალმა. 13. სახლი აგიშენე სავანედ შენდა, ადგილი შენს სამარადისო სამკვიდრებელად. 14. პირი ხალხისკენ იბრუნა მეფემ და აკურთხა ისრაელის კრებული. ფეხზე იდგა მთელი ისრაელის კრებული. 15. თქვა: კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელიც თავისი პირით ელაპარაკა დავითს, მამაჩემს, და თავისი ხელით შეასრულა რასაც ამბობდა: 16. იმ დღიდან, რაც ეგვიპტიდან გამოვიყვანე ჩემი ერი, ისრაელი, ისრაელის არც ერთ ტოტში არ ამირჩევია ქალაქი სახლის ასაშენებლად, რათა იქ დაარსებულიყო ჩემი სახელი, ავირჩიე დავითი, რომ მას ემეფა ჩემს ერზე, ისრაელზე. 17. გულში ჰქონდა მამაჩემს დავითს სახლის აშენება უფლის, ისრაელის ღმერთის, სახელზე. 18. უთხრა უფალმა მამაჩემს, დავითს: გულში რომ გქონოდა ჩემს სახელზე სახლის აშენება, კარგი ჰქენი, რომ გულში გქონდა ეს საქმე. 19. ოღონდ შენ არ ააშენებ სახლს, არამედ შენი შვილი, შენი საზარდულიდან გამოსული, ააშენებს სახლს ჩემს სახელზე. 20. დაამტკიცა უფალმა თავისი ნათქვამი სიტყვა და, აჰა, მე დავდექი მამაჩემის, დავითის ადგილზე, ავედი ისრაელის ტახტზე, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს, და უფლის, ისრაელის ღმერთის, სახელზე ავაშენე სახლი. 21. მივუჩინე იქ ადგილი კიდობანს, რომელშიც ინახება უფლის აღთქმა, ჩემს მამა-პაპასთან დადებული, როცა ეგვიპტიდან გამოიყვანა ისინი უფალმა. 22. დადგა სოლომონი უფლის სამსხვერპლოს წინ, ისრაელის კრებულისკენ პირშექცევით და ცისკენ აღაპყრო ხელები. 23. თქვა: უფალო, ღმერთო ისრაელისა! არ არსებობს შენი მსგავსი ღმერთი არც მაღლა ცაში და არც დაბლა დედამიწაზე. შენ ინახავ აღთქმასა და სიყვარულს შენს მსახურთა მიმართ, რომელნიც მთელი გულით დადიან შენს წინაშე. 24. შენ შეუნახე სიტყვა შენს მსახურს — მამაჩემს, დავითს და დღეს აღასრულა შენმა ხელმა, რაც შენს ბაგეებს ჰქონდა ნაბრძანები. 25. ახლაც შეუნახე, უფალო, ღმერთო ისრაელისა, შენს მსახურს — მამაჩემს, დავითს შენი ნათქვამი სიტყვა, რომ უთხარი: არ დაგელევა მემკვიდრე ჩემს წინაშე, ისრაელის ტახტზე მჯდომარე, ოღონდ შეინახონ შენმა შვილებმა წესი და რიგი და იარონ ჩემს წინაშე, როგორც შენ დადიხარ ჩემს წინაშე. 26. ახლაც მტკიცე იყოს, უფალო, ღმერთო ის-

რაელისა, შენი სიტყვა, შენს მსახურს— მამაჩემს, დავითს რომ უბრძანე. 27. ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ გიტევენ შენ ცანი და ცანი ცათანი, როგორ დაგიტევს ეს ჩემი აშენებული სახლი? 28. მოხედე შენი მსახურის ლოცვა-ვედრებას, უფალო, ღმერთო ჩემო, ისმინე ღაღადი და ლოცვა, რომლითაც მოგმართავს დღეს შენი მსახური. 29. თვალი გეჭიროს ამ სახლზე ღამით და დღით, ამ ადგილზე, რომლის გამოც ნათქვამი გაქვს, აქ იქნებაო ჩემი სახლი. რომ ისმინო ლოცვა, რომელსაც იტყვის ამ ადგილას შენი მსახური. 30. ისმინე შენი მსახურისა და შენი ერის ისრაელის ვედრება, როცა დადგებიან ლოცვად ამ ადგილას. ისმინე შენს სამყოფელ ადგილზე ცათა შინა, ისმინე და შეგვიწყალე. 31. როცა შესცოდავს ვინმე თავის მოძმე და ფიცით დააფიცებენ მას, და მივა ეს ფიცი შენს სამსხვერპლოსთან ამ სახლში, 32. მაშინ მოუსმინე ციდან და სამართალი გაუჩინე შენს მსახურთ, მტყუანი გაამტყუნე, რომ მის თავზე იყოს მისი საქციელი, და მართალი გამართლე, რომ მისი სიმართლისაებრ მიეზღოს. 33. როცა დამარცხდება მტერთან შენი ერი ისრაელი იმის გამო, რომ შეგცოდეს, მერე მობრუნდება შენსკენ, ქებას შეასხამს შენს სახლს და დაგიწყებს ლოცვა-ვედრებას ამ სახლში, 34. მაშინ მოუსმინე ციდან და მიუტევე შეცოდება შენს ერს ისრაელს, დააბრუნე იმ მიწაზე, რომელიც მისი მამა-პაპისთვის მიგიცია. 35. როცა დაიკეტება ცა და არ იწვიმებს შეცოდების გამო შენს წინაშე, და დაიწყებენ ლოცვას ამ ადგილას, განადიდებენ შენს სახელს და განერიდებიან ცოდვებს, რადგან უკვე დასჯილი გეყოლება ისინი, 36. მაშინ მოუსმინე ციდან და მიუტევე შეცოდება შენს მსახურთ და შენს ერს ისრაელს, რომ დააყენო სასიკეთო გზაზე, სადაც სიარული მართებთ, აწვიმო წვიმა მიწაზე, რომელიც სამკვიდრებლად მიგიცია შენი ერისთვის. 37. შიმშილობა იქნება ქვეყანაზე, შავი ჭირი, მწველი ხორშაკი, სიყვითლე, კალია თუ მატლი, ან თუ მტერი შემოადგება ქვეყანაში მის კარიბჭეებს, უბედურება მოხდება რამე თუ სნეულება, 38. ყოველ ლოცვას, ყოველ ვედრებას თითოეული ადამიანისა, მთელი შენი ერის ისრაელისა, როცა იგრძნობს გასაჭირს თითოეული თავის გულში და ხელს გაიშვერს ამ სახლისკენ, 39. შენ მოუსმინე ციდან, შენი სამყოფელიდან, და მიუტევე, ქმენი და მიაგე თითოეულს თავისი საქციელისამებრ, რომელმაც უწყი მათი გულები, რადგან შენ ერთმა უწყი მთელი ადამის მოდგმის გული. 40. რომ მუდამ ეშინოდეთ შენი, ვიდრე ცხოვრობენ ამ მიწაზე, რომელიც ჩვენი მამა-პაპისთვის მიგიცია. 41. უცხოელსაც, რომელიც არ არის შენი ერისაგანი, ისრაელიანი, მაგრამ შორი ქვეყნიდან მოვა შენი სახელის გამო, 42. რადგან გაგებული ექნებათ შენი დიდ სახელის, მაგარი ხელის და მოღერებული მკლავის ამბავი, მოვა და ილოცებს ამ სახლში, 43. მოუსმინე ციდან, შენი სამყოფელიდან, და აუსრულე ყველაფერი, რასაც შემოგღაღადებს უცხოელი, რომ იცოდეს ქვეყნიერების ყველა ხალხმა შენი სახელი და ეშინოდეს შენი, როგორც შენს ერს ისრაელს, იცოდეს ყველამ, რომ შენი სახელით იწოდება ეს სახლი, მე რომ ავაშენე. 44. როცა გავა მტერთან საბრძოლველად შენი ერი, დაადგება გზას, რომელზედაც შენ დააყენებ და დაიწყებს ლოცვას უფლისადმი იმ ქალაქისკენ პირშექცეული, შენ რომ აირჩიე, და იმ სახლისაკენ, შენს სახელზე რომ ავაშენე, 45. მაშინ მოისმინე ციდან მათი ლოცვა და ღაღადისი და სამართალი გაუჩინე. 46. როცა შეგცოდავენ, რადგან არ არსებობს უცოდველი კაცი, და განურისხდები, მტრების ხელში ჩაგდებ და ტყვედ წაასხამენ მტრის ქვეყანაში, შორს იქნება თუ ახლოს, 47. გონს მოვლენ იმ ქვეყანაში, სადაც იქნებიან ტყვედ, მოიქცევიან და შე-

მოგლალდებენ მათი ტყვეობის ქვეყანაში: შევცოდეთ, დავაშავეთ, ბოროტება ჩავიდინეთო. 48. როცა მთელი სულითა და გულით მოიქცევიან შენსკენ მათი მტრების ქვეყანაში, რომელთაც ტყვედ წაასხეს, და დაიწყებენ ლოცვას შენდამი იმ ქვეყნისაკენ პირშექცეულნი, მათ მამა-პაპას რომ მიეცი, იმ ქალაქისკენ, შენ რომ აირჩიე, იმ სახლისკენ, მე რომ ავაშენე შენს სახელზე, 49. მაშინ მოისმინე ციდან, შენი სამყოფელიდან, მათი ლოცვა-ვედრება და სამართალი გაუჩინე. 50. მიუტევე შენს ერს, შეცოდება და დანაშაული, რაც კი შეუცოდავს შენთვის, და სიბრალულს აღუძრავ მათ დამტყვევებლებს, რომ შეიბრალონ ისინი, 51. რადგან შენი ერია ისინი და შენი სამკვიდრო, რომელიც ეგვიპტიდან, რკინის ღუმელიდან გამოიყვანე. 52. თვალღია იყავ შენი მსახურის ვედრების მიმართ და შენი ერის ისრაელის ვედრების მიმართ, რომ გესმოდეს მათი, როცა კი შემოგლაღადებენ. 53. რადგან შენ განიკუთვნე ისინი შენს სამკვიდროდ დედამიწის ყველა ერისგან, როგორც უბრძანე შენი მსახურის მოსეს პირით, როცა ეგვიპტიდან გამოგყავდა ჩვენი მამა-პაპა, უფალო ღმერთო! 54. როცა დაასრულა უფლისადმი ეს ლოცვა-ვედრება, წამოდგა სამსხვერპლოდან, რომლის წინაც დაჩოქილი იყო, ცისკენ ხელაპყრობილი. 55. იდგა და ხმამაღლა აკურთხებდა ისრაელის მთელს კრებულს: 56. კურთხეულია უფალი, რომელმაც სიმშვიდე მიანიჭა თავის ერს ისრაელს, როგორც დაპირებული იყო. ერთი სიტყვაც არ დარჩენილა აღუსრულებელი იმ სასიკეთო სიტყვებიდან, თავისი მსახურის მოსეს პირით რომ ბრძანა. 57. ჩვენთან იყოს უფალი, ჩვენი ღმერთი, როგორც ჩვენს მამა-პაპასთან იყო, არ მიგვატოვოს, არ გაგვწიროს. 58. მიიზიდოს თავისკენ ჩვენი გულები, რომ მის გზაზე ვიაროთ და დავიცვათ მისი შეგონებები, წესები და კანონები, რომელნიც ჩვენი მამა-პაპისთვის დაუწესებია. 59. იყოს ეს ჩემი სიტყვები, რომლითაც უფალს ვევედრები, ახლოს უფალთან, ჩვენს ღმერთან, დღითა და ღამით, რომ მარადღე აჩენდეს სამართალს მისი მსახურისთვის და მისი ერისთვის, ისრაელისთვის, 60. რათა გაიგოს დედამიწის ყოველმა ხალხმა, რომ ღმერთია უფალი და სხვა არვინაა მის მეტი. 61. იყავით გულწრფელნი უფლისადმი, ჩვენი ღმერთისადმი, როგორც დღესა ხართ, რომ იაროთ მის წესზე და დაიცვათ მისი შეგონებები. 62. შესწირეს მსხვერპლი უფალს მეფემ და მთელმა ისრაელმა მასთან ერთად. 63. დაკლა სოლომონმა ოცდაორი ათასი ხარი და ასოცი ათასი ცხვარი და სამშვიდობო მსხვერპლად შესწირა უფალს. ატფურეს უფლის სახლი მეფემ და მთელმა ისრაელმა. 64. ამავე დღეს განათლა მეფემ შუა ეზო უფლის სახლის წინ. რადგან აღავლინა აღსავლენი, შესწირა ძღვენი და სამშვიდობო მსხვრეპლის ცხიმები, რადგან უფლის წინ მდგარი სპილენძის სამსხვერპლო სიმცირის გამო ვერ დაიტევდა აღსავლენს, ძღვენს და სამშვიდობოს ცხიმებს. 65. იდღესასწაულა იმჟამად უფლის, ჩვენი ღმერთის, წინაშე სოლომონმა და მასთან ერთად მთელმა ისრაელმა — დიდმა კრებულმა ხამათიდან ვიდრე ეგვიპტის ხევამდე — შვიდ დღეს და კიდევ შვიდ დღეს, სულ თოთხმეტ დღეს. 66. მერვე დღეს გაისტუმრა ხალხი, და დალოცეს მეფე და წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავის კარვებში მხიარულნი და გულსავსენი იმ სიკეთის გამო, რაც გაუკეთა უფალმა დავითს, თავის მსახურს, და ისრაელს, თავის ერს.

თავი მეცხრე

1. როცა დაასრულა სოლომონმა უფლის სახლისა და მეფის სახლის შენება და ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურდა, 2. მეორედ გამოეცხადა უფ-

ალი სოლომონს, როგორც გაბაონში, გამოეცხადა. 3. უთხრა უფალმა: შეგისმინე შენი ლოცვა-ვედრება, რომ მევედრებოდი. მე ვაკურთხე ეს სახლი, შენ რომ ააშენე ჩემი სახელის დასამკვიდრებლად უკუნისამდე, ჩემი თვალი და გული სამარადჟამოდ აქ იქნება. 4. შენ კი, თუ ივლი ჩემს წინაშე, როგორც მამაშენი დავითი დადიოდა წმიდა გულითა და სიმართლით, ყველაფერს აასრულებ, რაც ნაბრძანები მაქვს შენთვის დაიცავ ჩემს წესს და სამართალს, 5. განვამტკიცებ შენს ტახტს ისრაელში საუკუნოდ, როგორც დავითისთვის, მამაშენისთვის მითქვამს: არ დაგელევა-მეთქი ისრაელის ტახტზე მჯდომელი. 6. მაგრამ თუ განმიდგებით თქვენ და თქვენი შვილები, არ დაიცავთ ჩემს ბრძანებებს და წესებს, მე რომ მოგეცით, შეუდგებით უცხო ღმერთებს და თაყვანს სცემთ მათ, 7. გავწყვეტ ისრაელს იმ მიწის პირისგან, რომელიც მას მივეცი, მოვიშორებ სახლს, რომელიც ჩემს სახელზე ვაკურთხე, და საიგავოდ და დასაცინად შეიქმნება ისრაელი ხალხთა შორის. 8. მაღალი იქნება ეს სახლი და ყველა ვინც ჩაუვლის მას, გაოგნდება და დაუსტვენს, იტყვის: ასე რისთვის მოექცა უფალი ამ ქვეყანას და ამ სახლს? 9. იტყვიან: რადგან დაივიწყეს უფალი, თავიანთი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოიყვანა მათი მამა-პაპა, მოეჭირდნენ სხვა ღმერთებს, თაყვანს სცემდნენ მათ და ემსახურებოდნენ. ამის გამო დააწია მათ უფალმა ყველა ეს უბედურება. 10. ოცი წლის თავზე იყო, რომ დაასრულა სოლომონმა ორი სახლის—უფლის სახლის და მეფის სახლის შენება. 11. ხირამი, ტვიროსის მეფე, უგზავნიდა სოლომონს ნაძვისა და კვიპაროსის ხეებს და ოქროს მისი სურვილისამებრ. მაშინ მეფე სოლომონმა მისცა ხირამს ოცი ქალაქი გალილეის მხარეში. 12. წავიდა ხირამი ტვიროსიდან სოლომონის მიცემული ქალაქების სანახავად და არ მოეწონა ისინი. 13. თქვა: ეს რა ქალაქები მოგეცია ჩემთვის, ძმაო? ... უწოდა მათ ქაბულის ქვეყანა, და ასე ეწოდება დღემდე. 14. გაუგზავნია ხირამმა მეფეს ასოცი ქანქარი ოქრო. 15. ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ბეგარა უფლის სახლისა და თავისი სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოს და გეზერის ასაშენებლად. 16. ამოვიდა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, აიღო გეზერი და გადაწვა. ამოხოცა მისი მცხოვრები ქანაანელები, ხოლო ქალაქი მზითევში მისცა თავის ასულს, სოლომონის ცოლს. 17. ააშენა სოლომონმა გეზერი და ქვემო ბეთ-ხორონი, 18. ბაყალათი და თადმორი, იუდას ქვეყნის უდაბნოში, 19. სამარაგო ქალაქები, რომლებიც კი ჰქონდა სოლომონს, ეტლის ქალაქები, ცხენოსანთა ქალაქები, და ყველაფერი, რისი აშენებაც უნდოდა იერუსალიმში და ლიბანში და მთელს თავის სახელმწიფოში. 20. ყველა ხალხი, რომელიც დარჩა ამორეველთაგან, ხეთელთაგან, ფერიზეველთაგან, ხივიელთაგან და იებუსეველთაგან, რომელიც არ იყო ისრაელიანთა მოდგმისა, 21. მათი შთამომავლები, მათს შემდეგ რომ დარჩნენ ქვეყანაში, და არ გაუწყვეტიათ ისრალიანებს, ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე. 22. ისრაელიანთაგან არავისთვის დაუკისრებია ბეგარა, რადგან მეომრებად ჰყავდა ისინი, თავის მსახურებად, მეთაურებად და სარდლებად, თავისი ეტლებისა და მხედრობის მეთაურებად. 23. ხუთას ორმოცდაათი კაცი ჰყავდა სოლომონს სამუშაოების ზედამხედველთა უფროსებად, რომელნიც უძღვებოდნენ მომუშავე ხალხს. 24. ფარაონის ასული ავიდა დავითის ქალაქიდან თავის სახლში, რომელიც აუშენა მას დავითმა. მაშინ ააშენა მან მილო. 25. წელიწადში სამჯერ სწირავდა სოლომონი აღსავლენ და სამშვიდობო მსხვრეპლს სამსხვერპლოზე, რომელიც უფალს აუშენა, და იქვე აკმევდა საკმეველს უფლის წინაშე. ასე განასრულა სახლი. 26. ხო-

საქართველოს

მალდი ააგო მეფე სოლომონმა ყეციონ-გებერში, ელოთთან რომ არის, მეწამული ზღვის ნაპირას, ედომის ქვეყანაში. 27. გაგზავნა ხირამმა ხომალდით სოლომონის მსახურებთან თავისი მსახურნი, ხომალდის ოსტატები, ზღვის მცოდნენი, 28. მივიდნენ ისინი ოფირში და წამოიღეს იქიდან ოთხას ოცი ქანქარი ოქრო და მოართვეს მეფე სოლომონს.

თავი მეათე

1. მისწვდა საბას დედოფალს სოლომონის ამბავი, უფლის სადიდებელი, და მოვიდა, რომ გამოცანებით გამოეცადა იგი. 2. მივიდა იერუსალიმში დიდძალი დოვლათით, აქლემებს მოჰქონდათ ნელსაცხებლები, აურაცხელი ოქრო და ძვირფასი თვლები. მოვიდა სოლომონთან და ელაპარაკა ყველაფერზე, რაც გულში ჰქონდა. 3. ყველა კითხვაზე გასცა პასუხი სოლომონმა. არაფერი იყო მეფისთვის დაფარული, რომ უპასუხოდ დაეტოვებინა იგი. 4. დაინახა საბას დედოფალმა სოლომონის მთელი სიბრძნე, ნახა მისი აშენებული სახლი, 5. მისი სუფრის სასმელ-საჭმელი, მის მსახურთა საცხოვრებელი, მის მსახურთა საქმიანობა და შესამოსელი, მისი მწდეები, აღსავლენი მსხვერპლი, რომელსაც აღავლენდა უფლის სახლში და გაოგნებულმა 6. უთხრა მეფეს: მართალი ყოფილა, რაც ჩემს ქვეყანაში მქონდა გაგონილი შენზე და შენს სიბრძნეზე. 7. სიტყვების არ მჯეროდა, ვიდრე თავად არ მოვედი და ჩემი თვალით არ ვიხილე. აჰა, თურმე ნახევარიც არ უთქვამთ ჩემთვის. უფრო მეტი სიბრძნე და დოვლათი გქონია, ვიდრე გამეგონა. 8. ბედნიერია შენი ხალხი, ბედნიერები არიან ეს შენი მსახურნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს. 9. კურთხეულია უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც მოგისურვა, რათა ისრაელის ტახტზე დაესვი. უფლის საუკუნო სიყვარულის გამო ისრაელისადმი დაუდგენიხარ მეფედ სამართლისა და სიმართლის—ასასრულებად. 10. უბოძა მეფეს ასოცი ქანქარი ოქრო, დიდძალი ნელსაცხებელი და ძვირფასი თვლები. მეტჯერ აღარ შემოსულა ამდენი ნელსაცხებელი, რამდენიც საბას დედოფალმა უბოძა მეფე სოლომონს. 11. ხირამის ხომალდმაც, რომელსაც ოქრო მოჰქონდა ოფირიდან, მოიტანა ოფირიდანვე დიდძალი სანდალოზის ხე და ძვირფასი თვლები. 12. გააკეთა მეფემ სანდალოზისგან მოაჯირი უფლის სახლისთვის და მეფის სახლისთვის, ებნები და ქნარები მგალობელთათვის. მეტჯერ აღარ შემოსულა და დღემდე არავის უნახავს ამდენი სანდალოზის ხე. 13. მისცა მეფე სოლომონმა საბას დედოფალს ყველაფერი, რაც კი მან ინება და სთხოვა, გარდა იმისა, რაც თავისი ხელით ჰქონდა ნაჩუქარი, როგორც მეფე სოლომონს ეკადრებოდა. უკან გაბრუნდა და წავიდა იგი თავის ქვეყანაში თავის მსახურებთან ერთად. 14. ექვსას სამოცდაექვსი ქანქარი ოქრო შემოსდიოდა სოლომონს ყოველწლიურად. 15. იმის გარდა, რაც შემოჰქონდათ მოგზაურებს და ვაჭრებს, არაბთა მეფეებს და მხარეთა განმგებლებს. 16. გააკეთა მეფე სოლომონმა ორასი მუზარადი ნაჭედი ოქროსგან. ექვსასი შეკელი ოქრო დაიხარჯა თითოეულ მუზარადზე. 17. და სამასი ფარი ნაჭედი ოქროსგან, სამი მანა ოქრო დაიხარჯა თითოეულ ფარზე. და დააწყო ისინი მეფემ ლიბანის მაღნარის სახლში. 18. გააკეთა მეფემ სპილოს ძვლისაგან დიდი ტახტი და ხალასი ოქროთი დაფერა. 19. ექვსი საფეხური ჰქონდა ტახტს, საზურგეზე მომრგვალებული იყო, საჯდომის ორსავე მხარეს სანიდაყვეები ჰქონდა, ხოლო სანიდაყვეებს თითო ლომი ედგა გვერდით. 20. ექვს საფეხურზე, აქეთ-იქით, სხვა თორმეტი ლომი იდგა. არც ერთ სამეფოში არ ყოფილა ამის მსგავსი რამ. 21. სოლომონის ყველა სასმისი ოქროსი იყო, ყვე-

ლა ჭურჭელი ლიბანის მაღნარის სახლში რჩეული ოქროსი იყო. ვერცხლი და სპილენძი არაფრად მიაჩნდა სოლომონის დროს. 22. რადგან მეფის თარშიშული ხომალდები ხირამის ხომალდებთან ერთად გადიოდა ზღვაში. წელიწადში ერთხელ მოდიოდა თარშიშული ხომალდი და მოჰქონდა ოქროვერცხლი, სპილოს ძვალი, მოჰყავდა ყაფუზუნები და ფარშევანგები. 23. ქვეყნიერების ყველა მეფეს აღემატებოდა მეფე სოლომონი დოვლათითა და სიბრძნით. 24. მთელი ქვეყანა ესწრაფოდა სოლომონის ნახვას, რომ მოესმინათ მისი სიბრძნე, რომელიც გულში ჩაუდო ღმერთმა. 25. ყველას თავისი ძღვენი მოჰქონდა: ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, შესამოსელი, საჭურველი, ნელსაცხებლები, ცხენები და ჯორები. ასე იყო წლიდან წლამდე. 26. თავი მოუყარა სოლომონმა ეტლებსა და ცხენოსნებს და ჰყავდა ათასოთხასი ეტლი და თორმეტი ათასი ცხენოსანი. განალაგა ისინი ეტლების სადგომ ქალაქებში და იერუსალიმში, თავისთან. 27. ვერცხლი ქვის ფასი გახადა მეფემ იერუსალიმში, ხოლო ნაძვი გაამრავლა სიკომორის ხესავით, დაბლობებში რომ არის. 28. სოლომონის ცხენები ეგვიპტიდან და კევედან იყო მოყვანილი, მეფის ვაჭრებს მიჰყავდათ კევედან საფასურით. 29. ეტლი ექვსას ვერცხლად ამოჰყავდათ ეგვიპტიდან, ხოლო ცხენები —ასორმოცდაათ ვერცხლად. ამავე ფასში მიჰქონდათ თავიანთი ხელით ხეთელთა და არამის მეფეებისთვისაც.

თავი მეთერთმეტე

1. მეფე სოლომონს უყვარდა ბევრი უცხოელი ქალი: ფარაონის ასული, მოაბელები, ყამონელები, ედომელები. ციდონელები და ხეთელები — 2. იმ მოდგმის ხალხთა ქალები, რომელთა გამო ნაბრძანები ჰქონდა უფალს ისრაელიანთათვის, ნუ შეხვალთ მათთან და ნურც ისინი შემოვლენ თქვენთან, თორემ უეჭველად მიდრეკენ თქვენს გულებს თავიანთი ღმერთებისკენ. მათ მიეწება სოლომონი სიყვარულით. 3. ჰყავდა შვიდასი ცოლი დედოფლად და სამასი ხარჭად. და მიდრიკეს მისი გული ცოლებმა. 4. სიბერის ხანს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისკენ. ისე წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი, როგორც დავითის, მამამისის გული. 5. დადიოდა სოლომონი ციდონელთა ღმერთის აშთორეთისა და ყამონელთა სიბილწის მილქომის კვალზე. 6. უკეთურებას სჩადიოდა სოლომონი უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს, როგორც მამამისი დავითი. 7. მაშინ აუგო სოლომონმა სამსხვერპლო ქამოშს, მოაბის საბილწეს, მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ, და მოლოხს, ყამონიანთა სიბილწეს. 8. ასევე მოიქცა ყველა თავისი უცხოელი ცოლის გულისთვის, რომელნიც უკმევდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ თავთავის ღმერთებს. 9. განურისხდა უფალი სოლომონს, რადგან გული აიცრუა მან უფალზე, ისრაელის ღმერთზე, რომელიც ორჯერ გამოეცხადა მას 10. და უბრძანა, არ დასდგომოდა უცხო ღმერთების კვალს. მაგრამ არ შეასრულა მან უფლის ბრძანება. 11. უთხრა უფალმა სოლომონს: იმის გამო, რომ ასე იქცევი, არ ასრულებ ჩემს აღთქმას და წესებს, რომლებიც დამიწესებია შენთვის, გამოგგლეჯ სამეფოს და მივცემ შენს მსახურს. 12. ოღონდ შენს სიცოცხლეში არ გავაკეთებ ამას მამაშენის, დავითის გულისთვის. შენს შვილს კი გამოვგლეჯ ხელიდან. 13. მაგრამ მთელს სამეფოს არ გამოვგლეჯ, ერთ შტოს შენს შვილს დავუტოვებ დავითის, ჩემი მსახურის გულისთვის და იერუსალიმის გულისთვის, რომელიც მე ავირჩიე. 14. გაუჩინა უფალმა მტერი სოლომონს: ედომელი ჰადადი, ედომის მეფეთა შთამომავალი. 15. ედომში დავითის ყოფნისას, როცა მხედართმთავარი იოაბი

ამოვიდა დახოცილთა დასამარხავად და ერთიანად გაწყვიტა მამაკაცები ედომში, 16. (რადგან ექვს თვეს დარჩნენ იქ იოაბი და ისრაელიანები, ვიდრე არ მოსპეს მამაკაცის სახსენებელი ედომში), 17. გაიქცა ეს ჰადადი ედომელებთან, მამამისის მსახურებთან ერთად, რომ ეგვიპტეში მისულიყვნენ. პატარა ბიჭი იყო მაშინ ჰადადი. 18. აიყარნენ მიდიანიდან და მოვიდნენ ფარანს, და წაიყვანეს ფარანიდან ხალხი და მივიდნენ ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან. და მისცა მან სახლი, სარჩოც დაუნიშნა და მიწაც მისცა. 19. ჰპოვა მადლი ჰადადმა ფარაონის თვალში და მიათხოვა ცოლად თავისი ცოლისდა, თახფენეს დედოფლის და. 20. უშვა მას თახფენესის დამ ვაჟი, გენუბათი. გაზარდა ბავშვი თახფენესმა ფარაონის სახლში და ცხოვრობდა გენუბათი ფარაონის შვილებთან ერთად. 21. როცა მიუვიდა ამბავი ეგვიპტეში ჰადადს, რომ განისვენა დავითმა თავის მამაპაპასთან, და რომ მოკვდა მხედართმთავარი იოაბი, უთხრა ჰადადმა ფარაონს: გამიშვი, ჩემს ქვეყანაში წავალ. 22. უთხრა ფარაონმა: რა გაკლია ჩემთან, შენს ქვეყანაში რომ განიზრახე წასვლა? მიუგო: არაფერი, მაგრამ მაინც გამიშვი. 23. კიდევ გაუჩინა მას ღმერთმა მტერი, რეზონი, ელიადაყის ძე, რომელიც გაექცა ჰადადეზერს, ცობის მეფეს, თავის პატრონს, 24. შემოიკრიბა ხალხი და შეიქნა ურდოს მეთაური. ქლეტდა მათ დავითი და გაიქცნენ ისინი დამასკოში, დასახლდნენ იქ და დაეპატრონენ დამასკოს. 25. ისრაელის მტერი იყოს ის სოლომონის სიცოცხლეში. იმ ხანად როცა ჰადადი მტრობდა, მასაც შეძულებული ჰყავდა ისრაელი. არამზე გამეფდა იგი. 26. იერობოამ ნაბადის ძემაც, ეფრათელმა, ცარედიდან, სოლომონის მსახურმა, რომლისა დედა იყო ცერუაყი, ქვრივი ქალი, აღმართა ხელი მეფეზე. 27. აი, რის გამო მოხდა, ხელი რომ აღმართა მან მეფე სოლომონზე. მილოს აშენებდა სოლომონი, დანგრეულს აღადგენდა მამამისის, დავითის ქალაქში. 28. მამაცი კაცი იყო იერობოამი. დაინახა სოლომონმა, რომ ვარგოდა საქმეში ეს ყმაწვილი და ჩააბარა მას იოსების სახლიდან გამოყვანილი ბეგრის ხალხი. 29. ისე მოხდა იმხანად, რომ გასული იყო იერუსალიმიდან იერობოამი და შემოხვდა გზად სილოამელი წინასწარმეტყველი ახია, რომელსაც ახალი მოსასხამი ესხა. ამ ორის მეტი არავინ იყო მინდვრად. 30. აიღო ახიამ ახალი მოსასხამი, ზედ რომ ესხა, და თორმეტ ნაჭრად დაგლიჯა. 31. და უთხრა იერობოამს: აიღე შენთვის ათი ნაგლეჯი. რადგან ასე ბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: გამოვგლეჯ სამეფოს სოლომონს ხელიდან და შენ მოგცემ ათ შტოს. 32. ერთი შტო მას დარჩება ჩემი მსახურის, დავითის გულისთვის და იერუსალიმის გულისთვის, ქალაქისა, რომელიც ავირჩიე მე ისრაელის ყველა შტოდან. 33. ეს იმიტომ, რომ დამივიწყეს და თაყვანს სცემენ აშთორეთს, ფინიკიელთა ღმერთს, ქამოშს, მოაბის ღმერთს და მილქომს, ყამონიანთა ღმერთს, არ იარეს ჩემს გზაზე, რომ სიმართლე ექმნათ ჩემ თვალში, დაეცვათ ჩემი წესი და სამართალი, როროგორც მამამისი დავითი იცავდა. 34. არ გამოვგლეჯ ხელიდან მთელს სამეფოს, რადგან მთავრად დამიდგენია იგი მთელი მისი სიცოცხლე ჩემი მსახურის, დავითის გულისთვის, რომელიც მე ავირჩიე და რომელიც იცავდა ჩემს მცნებებს და წესებს. 35. მის შვილს გამოვგლეჯ ხელიდან სამეფოს და შენ მოგცემ ათ შტოს. 36. ხოლო მის შვილს ერთ შტოს მივცემ, რომ სამარადჟამოდ დაურჩეს ლამპარი დავითს, ჩემს მსახურს, ჩემს წინაშე იერუსალიმში, ქალაქში, რომელიც ჩემთვის ავირჩიე ჩემი სახელის იქ დასამკვიდრებლად. 37. ახლა შენ ამყავხარ, რომ იმეფო ყველაფერზე, რასაც შენი სული მოისურვებს და რომ ისრაელის მეფე გახდე. 38. თუ შეისმენ ყველაფერს რაც მე გიბრძანე, და ივლი ჩემს გზაზე, თუ გააკეთებ ჩემს მოსაწონს, დაიცავ ჩემს

წესებს და მცნებებს, როგორც ჩემი მსახური დავითი აკეთებდა, მაშინ შენთან ვიქნები, აგიშენებ მტკიცე სახლს, როგორც დავითს ავუშენე და მოგცემ ისრაელს. 39. მოვთრგუნავ ამის გულისთვის დავითის მონაგარს, ოღონდ არა სამარადჟამოდ. 40. ეწადა სოლომონს იერობოამის მოკვლა, მაგრამ ადგა და გაიქცა იერობოამი ეგვიპტეში, შიშაკთან, ეგვიპტის მეფესთან და იქ დარჩა სოლომონის სიკვდილამდე. 41. სოლომონის დანარჩენი საქმეები, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, და მისი სიბრძნის ამბავი სოლომონის საქმეთა წიგნშია ჩაწერილი. 42. ხანი სოლომონის მეფობისა მთელს ისრაელზე იყო ორმოცი წელი. 43. განისვენა სოლომონმა თავის მამაჩაპასთან და დამარხეს დავითის, მამამისის ქალაქში, და გამეფდა მისი ძე რობოამი მის ნაცვლად.

თავი მეთორმეტე

1. წავიდა შექემში რობოამი, რადგან შეიმში იყო მისული მთელი ისრაელი მის გასამეფებლად. 2. ეს ამბავი იერობოამ ნაბატის ძემ ჯერ კიდევ ეგვიპტეში ყოფნისას შეიტყო, სადაც სოლომონ მეფისგან იყო გაქცეული, მას შემდეგ ეგვიპტეში ცხოვრობდა იერობოამი. 3. გაგზავნეს კაცი და მოიწვიეს იგი, და მოვიდნენ იერობოამი და ისრაელის მთელი კრებული და ასე უთხრეს რობოამს: 4. უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა. ახლა შენ შეგვიმსუბუქე ეს ძნელი სამუშაო და მძიმე უღელი, მამაშენმა რომ დაგვაკისრა. და გემსახურებით. 5. მიუგო მათ: წადით და სამი დღის მერე მოდით ჩემთან. წავიდა ხალხი. 6. რჩევა ჰკითხა მეფე რობოამმა უხუცესებს, რომელნიც მამამისს, სოლომონს ახლდნენ მის სიცოცხლეში, და უთხრა: როგორ მირჩევდით, რა პასუხი გავცე ამ ხალხს? 7. ასე უთხრეს: თუ დღეს მაგ ხალხის მსახური იქნები, ემსახურები და დააკმაყოფილებ მათ, კარგ სიტყვებს ეტყვი, მაშინ შენი მორჩილნი იქნებიან სამარადჟამოდ. 8. არ დაუგდო ყური უხუცესების რჩევას, რაც ურჩიეს, და ჰკითხა რჩევა მოყმეებს, რომელნიც მასთან შეზრდილნი იყვნენ და გარს ეხვივნენ. 9. უთხრა მათ: რას მირჩევთ, რა ვუპასუხო მაგ ხალხს, რომ მეუბნებიან: შეგვიმსუბუქეო მამაშენის დაკისრებული უღელი? 10. ელაპარაკნენ მოყმენი მასთან რომ იყვნენ შეზრდილნი, და ურჩიეს: ასე უთხარი იმ ხალხს, რომელიც გეუბნება: უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა და ახლა შენ უნდა შეგვიმსუბუქო, ასე უთხარი მათ: მამაჩემის წელზე მსხვილია-თქო ჩემი ნეკათითი. 11. რომ დაგადგათ მამაჩემმა მძიმე უღელი, მე კიდევ უფრო დაგიმძიმებთ უღელს! ხომ გსჯიდათ შოლტებით მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით! 12. მოვიდნენ იერობოამი და მთელი ხალხი მესამე დღეს რობოამთან, როგორც მაბრძანები ჰქონდა მეფეს: სამი დღის შემდეგ მოდითო ჩემთან. 13. მკაცრად უპასუხა მეფემ ხალხს, ყური არ ათხოვა უხუცესთა რჩევას, რაც ურჩიეს. 14. მოყმეთა რჩევის თანახმად ელაპარაკა და უთხრა მათ: ხომ დაგიმძიმათ მამაჩემმა უღელი, მე კიდევ უარესად დაგიმძიმებთ უღელს. ხომ შოლტებით გსჯიდათ მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით! 15. არ შეიწყნარა მეფემ ხალხის სათხოვარი, რადგან ასეთი იყო უფლის ნება, რათა აღსრულებულიყო მისი სიტყვა, რაც ნათქვამი ჰქონდა იერობოამ ნაბატის ძისთვის ახია სილოამელის პირით. 16. როცა დაინახა მთელმა ისრაელმა, რომ არ უსმინა მათ მეფემ, მაშინ სიტყვა შეუბრუნა ხალხმა მეფეს და უთხრა: რა წილი გვიდევს დავითში? რა მემკვიდრეობა გვაქვს იესეს ძისგან? შენ-შენი კარვებისკენ ისრაელო! ახლა შენ მიხედე შენს სახლს, დავით! და თავ-თავის კარვებში წავიდ-წამოვიდა ისრაელი. 17. მხოლოდ იუდას ქალქებში მცხოვრებ ისრაელიანებზე შერჩა მეფობა რობოამს.

18. გაგზავნა მეფე რობოამმა ადორამი, ხარკის ამკრეფი, მაგრამ ქვებით ჩაქოლა ხალხმა, და მოკვდა იგი. მაშინ სასწრაფოდ ახტა ეტლზე მეფე რობოამი და იერუსალიმში გაიქცა. 19. განუდგა ისრაელი დავითის სახლს და ასეა ეს დღემდე. 20. როცა შეიტყო მთელმა ისრაელმა, რომ დაბრუნდა იერობოამი, დაიბარეს საკრებულოში და გაამეფეს მთელს ისრაელზე. ერთადერთი იუდას შტო იყო, რომ შერჩა დავითის სახლს. 21. მივიდა რობოამი იერუსალიმში და შეკრიბა იუდას მთელი სახლი და ბენიამინის შტო — ასოთხმოცი ათასი რჩეული მეომარი, რათა შერძოლებოდნენ ისრაელის სახლს და დაებრუნებინათ მეფობა რობოამ სოლომონის ძისთვის. 22. გამოეცხადა ღვთის სიტყვა შემაყიას, ღვთისკაცს: 23. ასე უთხარი რობოამ სოლომონის ძეს, იუდას მეფეს, იუდასა და ბენიამინის მთელს სახლს და დანარჩენ ხალხს: 24. ასე ამბობს-თქო უფალი: ნუ გახვალთ საბრძოლველად თქვენს ძმებთან, ისრაელიანებთან! თავ-თავის სახლში გაბრუნდეს ყველა, რადგან ჩემი ნებით მოხდა ეს ამბავი. ირწმუნეს უფლის სიტყვა და უფლის სიტყვისამებრ გაბრუნდნენ უკან. 25. ააშენა იერობოამმა შექემი ეფრემის მთაზე და იქ დასახლდა. მერე წავიდა იქიდან და ფენუელი ააშენა. 26. ამბობდა თავის გულში იერობოამი: კვლავ დაუბრუნდება მეფობა დავითის სახლს. 27. თუ ამ ხალხმა მსხვერპლის შესაწირად უფლის სახლში იერუსალიმს დაიწყო სიარული, გული მოუბრუნდება ამ ხალხს თავისი ბატონის, რობოამისკენ, იუდას მეფისკენ, მე მომკლავენ და რობოამთან, იუდას მეფესთან, დაბრუნდებიან. 28. ითათბირა მეფემ და გააკეთა ორი ოქროს ხბო და უთხრა ხალხს: გეყოფათ იერუსალიმში სიარული. აჰა, შენი ღმერთები, ისრაელო, რომელთაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს. 29. ერთი ხბო ბეთელში დადგა, მეორე დანში გაგზავნა. 30. ეს იყო ცოდვის დასაბამი. დაიწყო ხალხმა სიარული ხბოების თაყვანის საცემად თვით დანამდე. 31. ააშენა გორაკის სახლი და დაანაწესა მღვდლები იმ ხალხიდან, რომელიც ლევის შტოს არ ეკუთვნოდა. 32. დაწესა იერობოამმა დღესასწაული მერვე თვეს, თვის მეთხუთმეტე დღეს, იმ დღესასწაულის მსგავსი, იუდაში რომ იმართებოდა, და მსხვერპლი აღავლინა სამსხვერპლოზე. ასევე ჰქონდა მოწყობილი ბეთელში, რომ მსხვერპლი შეეწირათ ხბოებისთვის, რომლებიც გააკეთა. დაუდგინა ბეთელში მღვდლები გორაკებს, რომლებიც აღმართა. 33. ავიდა თავის აგებულ სამსხვერპლოზე მერვე თვის მეთხუთმეტე დღეს, იმ თვეში, რომელიც თავისი ნებით ამოარჩია, და დაუწესა დღესასწაული ისრაელიანებს და ავიდა სამსხვერპლოზე საკმევლის საკმევლად.

თავი მეცამეტე

1. აჰა, მოვიდა ღვთის კაცი იუდიდან ბეთელს უფლის შეგონებით, როცა იერობოამი სამსხვერპლოსთან იდგა საკმევლის საკმევლად. 2. დასძახა სამსხვერპლოს უფლის სახელით და თქვა: სამსხვერპლოვ, სამსხვერპლოვ! ასე ამბობს უფალი: აჰა, დაებადება ძე დავითის სახლს და იოშია იქნება მისი სახელი. ზედ დაგაკლავს იგი გორაკთა მღვდლებს, რომლებიც საკმეველს გიკმევენ, და შენს თავზე დაწვავენ ადამიანთა ძვლებს. 3. ნიშანიც გაუცხადა იმავე დღეს, თქვა: აჰა, იმის ნიშანი, რომ უფლის ნაბრძანებია ეს სიტყვა: აჰა. დაიშლება სამსხვერპლო და გაიფანტება ნაცარი, ზედ რომ ყრია. 4. როცა გაიგონა მეფემ ღვთისკაცის სიტყვა, სამსხვერპლოს რომ დასძახა ბეთელში, წამოიღო ხელი სამსხვერპლოდან და ბრძანა: შეიპყარით! და უმალვე გაუხმა მისკენ მიშვერილი ხელი და ვეღარ შეძლო უკან წაღება. 5. დაიშალა სამსხვერპლო და ნაცარიც გაიფანტა სამსხვერპლოდან იმ ნიშნის თანახმად, ღვთისკაცმა რომ გააცხადა

უფლის შეგონებით. 6. მიუგო მეფემ
და უთხრა ღვთისკაცს: შეეეედრე უფ-
ალს, შენს ღმერთს, და ილოცე ჩემთ-
ვის, რომ ხელის უკან წაღება შევძლო.
ეეეედრა ღვთისკაცი უფალს და შე-
ძლო მეფემ უკან წაეღო ხელი, რომ-
ელიც აღუდგა, როგორც ჰქონდა. 7.
უთხრა მეფემ ღვთისკაცს: სახლში წა-
მომყევი, რამე შეჭამე და საჩუქარსაც
მოგცემ. 8. მიუგო ღვთისკაცმა მეფეს:
ნახევარი სახლიც რომ მომცე, არ წა-
მოგყვები, არც პურს შევჭამ და არც
წყალს შევსვამ ამ ადგილას. 9. რად-
გან ასე მაქვს ნაბრძანები უფლის სი-
ტყვით: პურს ნუ შეჭამ, წყალს ნუ შეს-
ვამ, და ნურც იმ გზით დაბრუნდები,
საიდანაც მოხვედი. 10. სხვა გზით წა-
ვიდა იგი, იმ გზით არ გაბრუნებულა,
რომლითაც მოვიდა ბეთელს. 11. ერთი
მოხუცი წინასწარმეტყველი ცხოვრობ-
და ბეთელში. მოვიდა მისი შვილი და
უამბო ყველაფერი, რაც ღვთისკაცმა
გააკეთა იმ დღეს ბეთელში. მეფესთან
მისი ნალაპარაკევიც უამბეს მამას. 12.
შეეკითხა მამა: რომელი გზით წავიდა?
დაანახეს შვილებმა გზა, რომლითაც
იუდადან მოსული ღვთისკაცი წავიდა.
13. უთხრა შვილებს: შემიკაზმეთ სახე-
დარი. მათაც შეუკაზმეს სახედარი და
ზედ შეჯდა. 14. და გაჰყვა ღვთისკაცს.
მუხის ქვეშ მჯდომარე იპოვა იგი და
უთხრა: შენა ხარ ღვთისკაცი, იუდადან
რომ იყო მოსული? მიუგო: მე ვარ.
15. უთხრა: სახლში წამომყევი და ჭა-
მე პური. 16. მიუგო: ვერ დავბრუნდე-
ბი შენთან ერთად და ვერც შენთან
წამოვალ, ვერც პურს შევჭამ და ვერც
წყალს შევსვამ ამ ადგილას, 17. რად-
გან ნაბრძანები მაქვს უფლის სიტყ-
ვით: ნუ შეჭამ პურს, ნურც წყალს შეს-
ვამ იქ, ნურც ამ გზით გაბრუნდები,
რომლითაც მოხვედიო. 18. უთხრა:
მეც შენსავით წინასწარმეტყველი ვარ.
ანგელოზი მელაპარაკა უფლის ბრძა-
ნებით და მითხრა: შენი სახლისკენ გა-
აბრუნე ეს კაცი, პური ჭამოს და
წყალიც შესვასო. იცრუა მან. 19.
დაბრუნდა მასთან ერთად, პური ჭამ-
მის სახლში და წყალიც შესვა. 20.
სუფრას უსხდნენ, რომ უფლის სიტყვა
გამოეცხადა წინასწარმეტყველს, რომ-
ელმაც დააბრუნა კაცი. 21. დაუყვირა
მან იუდადან მოსულ ღვთისკაცს და
უთხრა: ასე ამბობს უფალი: რაკი უფ-
ლის სიტყვას გადახვედი და არ შეას-
რულე მისი ბრძანება, რაც უფალს,
შენს ღმერთს ჰქონდა შენთვის ნაბ-
რძანები, 22. დაბრუნდი, პური ჭამე
და წყალი შესვი იმ ადგილას, რომელ-
ზეც გიბრძანა, ნურც პურს შეჭამ და
ნურც წყალს შესვამო, ამიტომ არ ჩავ
შენი გვამი შენი მამა-პაპის საფლავში.
23. პურის ჭამისა და წყლის შესმის
შემდეგ შეუკაზმა სახედარი იმ კაცს,
წინასწარმეტყველს, რომელიც წეღან
დააბრუნა. 24. წავიდა და შემოეყარა
გზად ლომი, და მოკლა იგი ლომმა. გზაზე
ეგდო მისი გვამი და სახედარი ედგა
გვერდით, და ლომიც იდგა გვამთან.
25. დაინახა ჩამვლელმა ხალხმა გზა-
ზე დაგდებული გვამი და გვამთან
მდგომი ლომი, მივიდნენ და მიუტანეს
ამბავი ქალაქში, სადაც ის მოხუცი წი-
ნასწამეტყველი ცხოვრობდა. 26. გაი-
გო ეს ამბავი წინასწარმეტყველმა, რო-
მელმაც გზიდან დააბრუნა ის კაცი და
თქვა: ეს ის ღვთისკაცია, უფლის
ბრძანებას რომ გადავიდა. უფალმა
მისცა ლომს, რომელსაც დაუტორავს
და მოუკლავს უფლის სიტყვისამებრ,
როგორც ნათქვამი ჰქონდა მისთვის.
27. ასე უთხრა თავის შვილებს: შემი-
კაზმეთ სახედარი. მათაც შეუკაზმეს.
28. წავიდა და იპოვა გზაზე დაგდე-
ბული გვამი, სახედარი და ლომი იდგ-
ნენ გვამთან. ლომს არც გვამი შეუჭა-
მია და არც სახედარი დაუგლეჯია. 29.
აიღო წინასწარმეტყველმა ღვთისკაც-
მა გვამი, დაასვენა სახედარზე და უკან
წამოიღო. მოვიდა თავის ქალაქში მო-
ხუცი წინასწარმეტყველი მის დასატი-
რებლად და დასამარხავად. 30. ჩაასვე-
ნა გვამი თავის სამარხში და დასტი-
როდა მას: ვაი, ძმაო. 31. დამარხა და
უთხრა თავის შვილებს: როცა მოვკვ-
დები, დამმარხეთ სამარხში, სადაც

ღვთის კაცი მარხია. მისი ძვლების გვერდით დაასვენეთ ჩემი ძვლები. 32. რადგან ახდება სიტყვა, რაც უფლის ჩაგონებით დასძახა მან ბეთელში მდგარ სამსხვერპლოს და გორაკთა სახლებს, სამარიის ქალაქებში რომ არის აღმართული. 33. ამ ამბების შემდეგაც არ მიუტოვებია იერობოამს ბოროტ გზაზე სიარული, და კვლავ განაწესებდა ხალხიდან გორაკთა მღვდლებს. ვინც მოეწონებოდა, იმას აუვსებდა ხელს და ის ხდებოდა გორაკთა ქურუმი. 34. ეს იყო მიზეზი, რომ ცოდვაში ჩავარდა იერობოამის სახლი, რომ მოისპო და წარიხოცა მიწის პირისგან.

. თავი მეთოთხმეტე

1. ამ დროს ავად გახდა იერობოამის ძე აბია. 2. უთხრა ცოლს იერობოამმა: ადექი და გადაიცვი, რომ ვერ გიცნონ, იერობოამის ცოლი რომ ხარ, და წადი სილოამს. იქ არის ახია, წინასწარმეტყველი. მან მითხრა, ამ ერის მეფე გახდებიო. 3. ხელში აიღე ათი პური, ნამცხვარი და ერთი ქილა თაფლი. მიდი მასთან და ის გეტყვის, რა დაემართება ბავშვს. 4. ასეც მოიქცა იერობოამის ცოლი. ადგა და წავიდა სილოამს, და მივიდა ახიას სახლში. მაგრამ ველარ ხედავდა ახია, რადგან სიბერის გამო თვალის ჩინი წართმეოდა. 5. უფალმა უთხრა ახიას: აჰა. იერობოამის ცოლი მოდის შენთან, ავადმყოფი ბავშვის ამბავი რომ გკითხოს. ასე და ასე ელაპარაკე. როცა მოვა, სხვად მოგაჩვენებს თავს. 6. როცა გაიგონა ახიამ კართან მომდგარი ქალის ფეხის ხმა, დაიძახა: შემოდი, იერობოამის ცოლო. სხვად რისთვის აჩვენებ თავს? მძიმე ამბავი უნდა გამცნო. 7. წადი, უთხარი იერობოამს, ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: მე აღგაზევე შენ ამ ერში და ისრაელის ერისმთავრად დაგადგინე 8. მე გამოვგლიჯე დავითის სახლს მეფობა და შენ მოგეცი, თუმცა არ გავხარ ჩემს მსახურს დავითს, რომელიც იცავდა ჩემს მცნებებს, მთელი გულით მომყვებოდა უკან და მხოლოდ მართლად იქცეოდა ჩემს თვალში. 9. შენ ყველა მათგანზე უარესად მოიქეცი, ვინც კი შენამდე ყოფილა: წახვედი და უცხო ღმერთები და კერპები გაიჩინე ჩემს განსარისხებლად. თავად მე ზურგს უკან მომისროლე. 10. ამიტომ, აჰა, უბედურებას დაუტეხავ იერობოამის სახლს და ამოვძირკვავ ყველას, ვინც კი კედელთან მშარდავი ჰყავს ერობოამს, ყმას და აზატს ისრაელში, და ავხვეტავ იერობოამის სახლს, როგორც პირწმინდად გახვეტენ ხოლმე ნაგავს. 11. ვინც ქალაქში მოუკვდება იერობოამს, ძას ძაღლები შეჭამენ. ვინც გარეთ მოკვდება, ცის ფრინველები დაჯიჯგნიან, რადგან ასე ბრძანა უფალმა. 12. ახლა ადექი და შენს სახლში წადი. ქალაქში შეადგამ თუ არა ფეხს, მოკვდება ბავშვი. 13. დაიტირებს მთელი ისრაელი და დამარხავენ. ეგ ერთადერთი ჩაუვა იერობოამს საფლავში, რადგან იერობოამის მთელი სახლიდან მხოლოდ მასში აღმოჩნდა სიკეთე უფლის, ისრაელის ღმერთის წინაშე. 14. უფალი დაადგენს ისრაელზე თავის მეფეს, რომელიც მოსპობს იერობოამის სახლს იმ დღეს, და რატომ ახლავე არა? 15. დალახვრავს უფალი ისრაელს და დაემსგავსება იგი წყალზე მოქანავე ლერწამს, და აღმოფხვრის ისრაელს ამ დალოცვილ მიწიდან, რომელიც მათ მამა-პაპას მისცა, და მდინარის გაღმა გადარეკავს, რადგან აშერები გაიჩინეს უფლის გასარისხებლად. 16. გასწირავს ისრაელს იერობოამის გამო, თავადაც რომ სცოდა და ისრაელიც რონ შეიყვანა ცოდვაში. 17. ადგა იერობოამის ცოლი და წავიდა. მივიდა თირცაში და, ვიდრე ზღურბლს გადააბიჯებდა, მოკვდა ყმაწვილი. 18. დაიტირა იგი მთელმა ისრაელმა, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს ახია წინასწარმეტყველის პირით. 19. ია-

რობოამის დანარჩენი საქმენი, როგორ იბრძოდა იგი და როგორ გამეფდა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 20. ხანი იერობოამის მეფობისა იყო ოცდაორი წელი. განისვენა მან თავის მამა-პაპასთან და მის ნაცვლად მისი ძე, ნადაბი გამეფდა. 21. ხოლო სოლომონის ძე, რობოამი, იუდაში მეფობდა. ორმოცდაერთი წლისა იყო რობოამი, როცა გამეფდა და ჩვიდმეტ წელს მეფობდა იერუსალიმში, იმ ქალაქში, რომელიც ისრაელის ყველა შტოდან ამოირჩია უფალმა თავისი სახელის დასამკვიდრებლად. მისი დედა იყო ნაყამა, ყამონელი ქალი 22. ბოროტად იქცეოდა იუდა უფლის თვალში და თავიანთ მამა-პაპას გადააჭარბეს ცოდვებში, რითაც გულისწყრომით ავსებდნენ უფალს. 23. მათაც გაშენეს გორაკები, სვეტები და აშერები ყველა მაღალ ბორცვზე და ხემხვიავანის ქვეშ. 24. როსკიპნიც იყვნენ ქვეყანაში, სჩადიოდნენ იმ ხალხების ყოველგვარ სიბილწეს, რომელნიც აყარა უფალმა ისრაელიანთაგან. 25. რობოამის მეფობის მეხუთე წელს დაესხა შიშაკი, ეგვიპტის მეფე, იერუსალიმს. 26. წაიღო უფლის სახლისა და სამეფო სახლის განძეულობა, ყველაფერი წაიღო. წაიღო ოქროს ფარებიც, სოლომონმა რომ გააკეთა. 27. დაამზადა მეფე რობოამმა მათ ნაცვლად სპილენძის ფარები და ჩააბარა ისინი მალემსრბოლთა უფროსებს, რომელნიც სამეფო სახლის შესასვლელს დარაჯობდნენ. 28. ყოველთვის, როცა მეფე უფლის სახლში შედიოდა, მალემსრბოლებს მოჰქონდათ ისინი, და მერე ისევ აბრუნებდნენ მალემსრბოლთა ოთახში. 29. რობოამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 30. გამუდმებული ომი იყო რობოამსა და იერობოამს შორის. 31. განისვენა რობოამმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი მამა-პაპის გვერდით დავითის ქალაქში. დედამისი იყო ნაყამა, ყამონელი ქალი. მის ნაცვლად მისი ძე აბიამი გამეფდა.

თავი მეთხუთმეტე

1. იერობოამ ნაბატის ძის მეფობის მეთვრამეტე წელს აბიამი გამეფდა იუდაზე. 2. სამ წელიწადს მეფობდა იგი იერუსალიმში. დედამისი იყო მაყაქა, აბესალომის ასული. 3. დადიოდა ყველა იმ ცოდვებით, რასაც მის წინ მამამისი სჩიოდა, და არ იყო სრულად მინდობილი მისი გული უფლისადმი, როგორც მამამისის, დავითის, გული. 4. უფალმა, მისმა ღმერთმა, დავითის გამო მისცა მას ლამპარი, იერუსალიმში რომ დაუსვა ძე მემკვიდრედ და შეუნარჩუნა იერუსალიმი. 5. რადგანაც მართლად იქცეოდა უფლის თვალში და არასოდეს უღალატნია უფლის მცნებისათვის, გარდა ხეთელი ურიას შემთხვევისა. 6. გამუდმებული ომი იყო რობოანსა და იერობოამს შორის. 7. აბიამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. ომი იყო ამტყდარი აბიამსა და იერობოამს შორის. 8. განისვენა აბიამმა თავის მამა-პაპასთან და დამარხეს იგი დავითის ქალაქში. მის ნაცვლად ასა, მისი ძე, გამეფდა. 9. ისრაელის მეფის, იერობოამის მეოცე წელს გამეფდა ასა იუდაზე 10. და ორმოცდაერთ წელს მეფობდა იერუსალიმში. დედამისი იყო მაყაქა, აბესალომის ასული. 11. სიმართლით იქცეოდა უფლის თვალში ასა, მამამისის, დავითის მსგავსად. 12. გაყარა როსკიპები ქვეყნიდან და ერთიანად მოიშორა კერპები, რომლებიც მის მამ-პაპას ჰქონდა გაკეთებული. 13. თავისი დედაც კი, მაყაქა, დედოფლობას მოაშორა, რადგან კერპი ჰქონდა დადგმული აშერასთვის. აჩეხა ასამ მისი კერპი და კედრონის ხევში დასწვა. 14. გორაკები არ მოუშორებია,

თუმცა სრულად იყო ასას გული მინდობილი უფლისადმი მთელი მისი სიცოცხლე. 15. შეიტანა უფლის სახლში თავისი შეწირული და მამამისის შეწირული ნივთები — ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი. 16. გამუდმებული ომი იყო ასასა და ბაყაშას, ისრაელის მეფეს შორის. 17. გავიდა ბაყაშა ისრაელის მეფე იუდას წინააღმდეგ და ააშენა რამა, რათა არავინ გამოეშვა ასასგან, იუდას მეფისგან, და არავინ შეეშვა მასთან. 18. აიღო ასამ მთელი ოქრო-ვერცხლი, რაც კი სამეფო სახლის საგანძურებში იყო დარჩენილი, და მისცა ხელში თავის მსახურთ. მიაგზავნა ისინი მეფე ასამ ბენ-ჰადადთან, ძესთან ტაბრიმონისა, ბენ-ხეზიონის ძისა, არამის მეფესთან, დამასკოში რომ იჯდა, და შეუთვალა: 19. იყოს კავშირი ჩვენს შორის, როგორც ჩვენს მამებს შორის იყო. აჰა, გიგზავნი ძღვნად ოქრო-ვერცხლს. გაწყვიტე კავშირი ბაყაშასთან, ისრაელის მეფესთან, და ჩამომეხსნება. 20. დაუჯერა ბენ-ჰადადმა მეფე ასას და გაგზავნა თავისი მხედართმთავრები ისრაელის ქალაქთა წინააღმდეგ. და დალაშქრეს ყიონი, დანი, აბელ-თებ-მაყაქა, მთელი ქინეროთი და ნაფთალის მთელი მხარე. 11. ეს რომ შეიტყო ბაყაშამ, შეწყვიტა რამას შენება და თირცაში დარჩა. 22. მოუხმო მეფე ასამ უკლებლივ მთელს იუდას და გაზიდეს რამათის ქვები და ხე-ტყე, რასაც სამშენებლოდ იყენებდა ბაყაშა. ააშენა ამით მეფე ასამ ბენიამინის გებაყი და მიცფა. 23. ასას დანარჩენი საქმენი და ყველა მისი გმირობა, ყველაფერი, რაც გააკეთა ქალაქები რომ ააშენა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. ოღონდ სიბერეში ფეხები ასტკივდა. 24. განისვენა ასამ თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი მამა-პაპის გვერდით დავითის, მამამისის, სახლში. მის ნაცვლად მისი ძე იოშაფატი გამეფდა. 25. ისრაელზე იერობოამის ძე ნადაბი გამეფდა იუდას მეფის, ასას, მეორე წელს, და ორი წელი მეფობდა ისრაელზე. 26. ბოროტად იქცეოდა იგი უფლის თვალში, და მიჰყვებოდა მამის გზას და მის ცოდვებს და ისრაელსაც აცთუნებდა. 27. შეთქმულება მოუწყო მას ბაყაშა ახიას ძემ, ისაქარელმა, და მოკლა იგი ბაყაშამ ფილისტიმის გიბეთონში, როცა ნადაბი და მთელი ისრაელი გიბეთონს ედგნენ ალყად. 28. მოკლა იგი ბაყაშამ იუდას მეფის, ასას მესამე წელს და მის ნაცვლად გამეფდა. 29. გამეფდა თუ არა, მუსრი გაავლო იერობოამის მთელს სახლს. ცოცხალი არავინ დაუტოვა იერობოამს, ვიდრე მთლიანდ არ გაანადგურა უფლის სიტყვისამებრ, როგორც თავისი მსახურის, სილოამელი ახიას პირით ბრძანა. 30. იერობოამის ცოდვების გამო, თვითონ რომ შესცოდა და ისრაელიც რომ აცთუნა, როცა გულისწყრომით აავსო უფალი, ისრაელის ღმერთი. 31. ნადაბის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატიანეში არის ჩაწერილი. 32. გამუდმებული ომი იყო ასასა და ისრაელის მეფის, ბაყაშას შორის. 33. იუდას მეფის ასას მესამე წელს გამეფდა ბაყაშა ახიას ძე ისრაელზე თირცაში და ოცდაოთხი წელი იმეფა. 34. ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში, მიჰყვებოდა იერობოამის გზას და მის ცოდვებს, და ისრაელსაც აცთუნებდა.

თავი მეთექვსმეტე

1. იყო უფლის სიტყვა იეჰუ ხანანის ძის მიმართ ბაყაშას წინააღმდეგ: 2. მიწის მტვერიდან აგამაღლე და ჩემი ერის ისრაელის წინამძღოლად დაგადგინე, მაგრამ რაკი იერობოამის გზას მიჰყვები, აცთუნებ ჩემს ერს ისრაელს და მაჯავრებ მათი ცოდვებით, 3. აჰა, მოვსპობ ბაყაშას კვალს და მისი სახლის კვალს, და იმასვე დავმართებ შენს სახლს, რაც იერობოამ ნა-

ბატის ძის სახლს დავმართე. 4. ვინც ქალაქში მოუკვდება ბაყაშას, ძაღლები შეჭამენ იმას. ვინც მინდვრად მოუკვდება, ცის ფრინველები დაჯიჯგნიან. 5. ბაყაშას დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა, და გმირობანი, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 6. განისვენა ბაყაშამ თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თირცაში. მის ნაცვლად მისი ძე ელა გამეფდა. 7. წინასწარმეტყველ იეჰუ ხანანის ძის პირით გამოცხადდა უფლის სიტყვა ბაყაშას გამო და მისი სახლის გამო, და ყოველი ბოროტების გამო, რასაც უფლის თვალში სჩადიოდა იგი, რომ აჯავრებდა თავის ხელის ნამოქმედარით უფალს, რომ ბაძავდა იერობოამის სახლს, და იმის გამოც, რომ მოსპო იგი. 8. იუდას მეფის ასას ოცდამეექვსე წელს გამეფდა ელა ბაყაშას ძე ისრაელზე თირცაში და იმეფა ორი წელი. 9. მოუწყო შეთქმულება მისმა მსახურმა ზიმრიმ, ეტლიონიოს ერთი ნახევრის მეთაურმა. ღვინით იყო მთვრალი ელა თირცას სასახლის მოურავის არცას სახლში, 10. როცა შემოვიდა ზიმრი, ჩასცა მახვილი და მოკლა იგი იუდას მეფის ასას ოცდამეშვიდე წელს, და მის ნაცვლად გამეფდა. 11. როგორც კი გამეფდა და დაჯდა მის ტახტზე, მუსრი გავლო ბაყაშას მთელს სახლს, არავინ დაუტოვა კედელთან მშარდავი, არც ნათესავი და არც მეგობარი. 12. მოსპო ზიმრიმ ბაყაშას მთელი სახლი უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნათქვამი ჰქონდა ბაყაშაზე იეჰუ წინასწარმეტყველის პირით, 13. ყველა იმ ცოდვის გამო, რაც ბაყაშამ და ელამ ჩაიდინეს, და იმის გამოც, რომ აცთუნებდნენ ისრაელს და თავიანთი კერპებით აჯავრებდნენ უფალს, ისრაელის ღმერთს. 14. ელას დანარჩენი საქმენი და ყველაფერი, რაც მან გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 15. იუდას მეფის ასას ოცდამეშვიდე წელს გამეფდა ზიმრი და იმეფა შვიდ დღეს თირცაში. ამ დროს იყო, რომ შეამოადგა ხალხი ფილისტიმელთა გიბეთონს. 16. შეიტყო დაბანაკებულმა ხალხმა, რომ აჯანყდა ზიმრი და მოკლა მეფე, და იმათაც იმავე დღეს ბანაკში გაამეფეს ისრაელზე ყამრი, ისრაელის მხედართმთავარი. 17. დაიძრა ყამრი და მთელი ისრაელი მასთან ერთად გიბეთონიდან და ალყა შემოარტყეს თირცას. 18. როცა დაინახა ზიმრიმ, რომ აღებული იყო ქალაქი, შევიდა სამეფო სახლის პალტში და თავზე გადიბუგა სამეფო სახლი, და ასე მოკვდა იგი. 19. იმ ცოდვების გამო, რასაც სჩადიოდა, ბოროტად რომ იქცეოდა უფლის თვალში, რომ მიჰყვებოდა იერობოამის გზას და მის ცოდვებს, იერობოამი რომ სჩადიოდა ისრაელის საცთუნებლად. 20. ზიმრის დანარჩენი საქმენი და შეთქმულება, რომელიც მან მოაწყო, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 21. მაშინ გაიყო ისრაელის ერი ორ ნაწილად: ხალხის ერთი ნაწილი თიბნი გინათის ძის მხარეზე იყო, რომ გაემეფებინათ იგი, მეორე ნაწილი ყამრის უჭერდა მხარს. 22. სძლია ყამრის მომხრე ხალხმა თიბნი გინათის ძის მომხრე ხალხს. მოკვდა თიმნი და გამეფდა ყამრი. 23. იუდას მეფის ასას ოცდამეთერთმეტე წელს გამეფდა ყამრი ისრაელზე და თორმეტი წელი იმეფა. ექვს წელს თირცაში მეფობდა იგი. 24. მან იყიდა სამარიის მთა შემერისგან ორ ქანქარ ვერცხლად და გააშენა ეს მთა, და მთის პატრონის, შემერის სახელზე, თავის გაშენებულ ქალაქს სამარია (შომრონ) უწოდა. 25. ბოროტად იქცეოდა ყამრი უფლის თვალში და გადაამეტა ბოროტებაში ყველას, ვინც მის წინ იყო. 26. მიჰყვებოდა იერობოამ ნაბატის ძის გზას და მის ცოდვებს, რომლითაც აცთუნა იერობოამმა ისრაელი და თავისი კერპებით გააჯავრა უფალი, ისრაელის ღმერთი. 27. ყამრის დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა და გმირობანი, რაც ჩაიდინა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 28. განისვენა ყამრიმ თავის მამა-პაპასთან

და დაიმარხა სამარიაში. მის ნაცვლად მისი ძე აქაბი გამეფდა. 29. აქაბ ყამრის ძე გამეფდა ისრაელზე იუდას მეფის ასას ოცდამეთვრამეტე წელს. იმეფა აქაბ ყამრის ძემ ისრაელზე სამარიაში ოცდაორი წელი. 30. ბოროტად იქცეოდა აქაბ ყამრის ძე უფლის თვალში, ყველაზე უარესად, ვინც მის წინ იყო. 31. არ იკმარა იერობოამ ნაბატის ძის ცოდვილ გზაზე სიარული და მოიყვანა ცოლად იზებელი, ციდონელთა მეფის ეთბაყალის ასული, და დაიწყო ბაალის სამსახური და მისი თაყვანისცემა. 32. აღუმართა სამსხვერპლო ბაალს ბაალის სახლში, რომელიც სამარიაში ააშენა. 33. გააკეთა აქაბმა აშერა და თავის წინამორბედ ისრაელის მეფეებზე უფრო მეტად აჯავრებდა აქაბი უფლის, ისრაელის ღმერთს. 34. მის დროს ააშენა ხიელ ბეთელელმა იეროხონი. თავის პირმშოზე, აბირამზე დაუდო საფუძველი და სეგუბზე, უმცროს ვაჟზე დაადგინა მისი კარიბჭე, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მას იესო ნავეს ძის პირით.

თავი მეჩვიდმეტე

1. უთხრა ელია თიშბელმა, გალაადის მცხოვრებმა, აქაბს: როგორც ვფიცავ უფალს, ისრაელის ღმერთს, რომლის წინაშე ვდგავარ. თუ ინება ამ წლებში ცვარი და წვიმა, თუ არა ჩემს სიტყვაზე. 2. და გამოეცხადა უფლის სიტყვა: 3. წადი აქედან და აღმოსავლეთისკენ იარე, და ჩაიმალე ქერითის ხევში, იორდანეს გასწვრივ. 4. ამ ხევიდან სვი წყალი, ყორნებს კი ვუბრძანებ, რომ გკვებონ მანდ. 5. წავიდა ისიც და უფლის სიტყვისამებრ მოიქცა, წავიდა და ჩაჯდა ქერითის ხევში, იორდანეს გასწვრივ. 6. მოჰქონდათ მისთვის ყორნებს დილაობით პური და ხორცი, და საღამოობითაც პური და ხორცი. წყალს კი ხევიდან სვამდა. 7. გამოხდა ხანი და დაშრა ხევი, რადგან წვიმა არ მოდიოდა ქვეყანად. 8. იყო უფლის სიტყვა [illegible] მისმართ: 9. ადექი და წადი [illegible] ცარფათში და იქ იცხოვრე. ნაბრძანები მაქვს იქ ერთი ქვრივი ქალისთვის, რომ საჭმელი გაჭამოს. 10. ისიც ადგა და წავიდა ცარფათში. ქალაქში კარიბჭეს რომ მიადგა, ხედავს, ქვრივი ქალი აგროვებს შეშას. დაუძახა და უთხრა: ცოტა წყალი მომიტანე ჭურჭლით, რომ დავლიო. 11. წავიდა ქალი მოსატანად, მან კი კვლავ დაუძახა და უთხრა: პურის ნაჭერიც წამომიღე შენი ხელით. 12. მიუგო ქალმა: უფალს, შენს ღმერთს გეფიცები, ერთი ხმიადიც თუ გამაჩნდეს. ერთი მუჭა ფქვილი მაქვს ქოთანში და ცოტაოდენი ზეთი დოქში. აგერ შეშას შევაგროვებ, წავალ და გამოვაცხობ ჩემთვის და ჩემი შვილისთვის. შევჭამთ ამას და მერე დავიხოცებით კიდეც. 13. უთხრა ელიამ: ნუ გეშინია. წადი და როგორც თქვი ისე მოიქეცი. ოღონდ ჯერ მე გამომიცხვე პატარა ხმიადი და მომიტანე. შენთვის და შენი შვილისთვის მერე გამოაცხობ. 14. რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ქოთანში ფქვილი არ გამოილევა და დოქში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მოიყვანს ამ ქვეყანაში. 15. წავიდა ქალი და ისე გააკეთა, როგორც ელიამ უთხრა. და ჭამდა თვითონ, მისი სახლიც და ელიაც რამდენიმე ხანს. 16. ფქვილი ქოთანში არ ილეოდა და ზეთი დოქში არ იკლებდა უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნათქვამი ჰქონდა ელიას პირით. 17. ამ ამბების შემდეგ ავად გახდა ამ ქალის, დიასახლისის ვაჟი. ძალზე მძიმე იყო მისი სენი, ისე რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. 18. უთხრა ქალმა ელიას: რა გინდა ჩემგან, ღვთისკაცო? ჩემი ცოდვების მოსაკითხად მოხვედი ჩემთან და ბავშვს მიკლავ? 19. უთხრა ელიამ: მომეცი შენი შვილი. და უბიდან გამოართვა დედას ბავშვი და ზემოთვალში აიყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა, და თავის საწოლზე და-

აწვინა. 30. შეჰღაღადა უფალს და
უთხრა: უფალო, ღმერთო ჩემო! ნუ-
თუ ამ ქვრივს ქალსაც, რომელთანაც
მდგმურადა ვარ, უზამ ბოროტს და
შვილს მოუკლავ? 31. სამგზის გა-
ადიმხო ბავშვს და შეჰღაღადა უფალს:
უფალო, ღმერთო ჩემო! ჩააბრუნე ამ
ბავშვის სამშვინველი მასში. 22. ის-
მინა უფალმა ელიას ღაღადი და და-
აბრუნა ბავშვის სამშვინველი მასში.
და გაცოცხლდა იგი. 23 აიყვანა ელიამ
ბავშვი და ჩამოიყვანა ზემო თვალიდან
სახლში და მისცა დედას. თქვა ელიამ:
დახედე, ცოცხალია შენი შვილი. 24.
უთხრა ქალმა ელიას: ახლა კი მივხვ-
დი, რომ ღვთისკაცი ხარ და შენს
ბაგეებში უფლის სიტყვა მტკიცეა.

თავი მეთვრამეტე

1. გამოხდა მრავალი ხანი და მე-
სამე წელს იყო უფლის სიტყვა ელი-
ას მიმართ: წადი, ეჩვენე აქაბს და
მეც ვაწვიმებ მიწის პირზე. 2. წავიდა
ელია, რომ სჩვენებოდა აქაბს. დიდი
შიმშილობა იყო სამარიაში. 3. დაუ-
ძახა აქაბმა აბდიას, სასახლის მოურავს.
ძალზე ღვთისმოშიში იყო აბდია. 4.
როცა იზებელი სპობდა უფლის წი-
ნასწარმეტყველთ, წაიყვანა აბდიამ ასი
წინასწარმეტყველი და ორმოცდაათ-
ორმოცდაათ კაცს მალავდა გამოქვაბუ-
ლში და პურითა და წყლით ინახავდა
მათ. 5. უთხრა აქაბმა აბდიას: წადი და
მოიარე ქვეყნის წყაროები და ხევე-
ბი. იქნებ აღმოჩნდეს სადმე ბალახი,
რომ როგორმე გამოვკვებო ცხენები
და ჯორები, და არ მოგვიხდეს პირუტ-
ყვის დახოცვა. 6. დაინაწილეს ქვე-
ყანა ერთმანეთში, ვინ სად უნდა წა-
სულიყო. ახაბი ერთი გზით წავიდა მარ-
ტო, აბდია მეორე გზით წავიდა მარტო.
7. გზად იყო აბდია, რომ აჰა, ელია
შემოეყარა, იცნო, დაეცა მის წინაშე
და უთხრა: ნუთუ შენ ელია ხარ, ჩემო
ბატონო? 8. მიუგო: მე ვარ. წადი და
უთხარი შენს ბატონს, აქ არის-თქო
ელია. 9. თქვა აბდიამ: რა ცოდვა ვქენ
ასეთი, რომ აქაბს უგდებ ხელში მოსა-
კლავად შენს მსახურს? 10. უფალს,
შენს ღმერთს გეფიცები, რომ არ
დარჩენილა ხალხი, ან სამეფო, სადაც
შენს საძებრად არ გაეგზავნოს კაცი
ჩემს ბატონს. ეუბნებოდნენ, არ არისო,
და ისიც დააფიცებდა სამეფოსა და
ხალხს, რომ ვერ გიპოვნეს. 11. ახლა კი
მეუბნები, წადი და უთხარი შენს ბა-
ტონს, აქ არისო ელია. 12. გაგშორ-
დები და ,არც კი მეცოდინება, სად
გაგიტაცებს უფლის სული, მივალ
ჩემს ბატონთან შესატყობინებლად,
ვერ გიპოვნის და მომკლავს შენს მსა-
ხურს. ყმაწვილკაცობიდანვე ღვთის
მოშიშია შენი მსახური. 13. განა რა
არ უთქვამს მისთვის, რაც გავაკეთე,
როცა იზებელი უფლის წინასწარმეტყ-
ველთ ხოცავდა, რომ ვმალავდი ასი
წინასწარმეტყველს, ორმოცდაათ-ორ-
მოცდაათ კაცს გამოქვაბულში და პუ-
რითა და წყლით ვინახავდი? 14. ახ-
ლა მეუბნები: წადი და უთხარი შენს
ბატონს, აქ არისო ელია. ხომ მოკლა.
15. თქვა ელიამ: ცაბაოთ უფალს ვფი-
ცავ, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ
დღესვე ვეჩვენები მას. 16. წავიდა აბ-
დია აქაბის შესახვედრად და შეატყობი-
ნა. და წამოვიდა აქაბი ელიას შესახ-
ვედრად. 17. როცა დაინახა აქაბმა ელ-
ია, უთხარ აქაბმა: ეს შენა ხარ, ის-
რაელის მაოხრებელი? 18. თქვა: მე არ
ამიოხრებია ისრაელი, შენ და მამაშე-
ნის სახლმა ააოხრეთ, რომ დაივიწყეთ
უფლის მცნებანი და ბაალებს გაჰ-
ყევი. 19. ახლა დაგზავნე ხალ-
ხი და შემიკრიბე ქარმელის მთაზე მთე-
ლი ისრაელი და ბაალის წინასწარ-
მეტყველნი ოთხასორმოცდაათი კაცი
და აშერას წინასწარმეტყველნი ოთხას-
კაცი, იზებელის სუფრას რომ უს-
ხედან. 20. დაგზავნა აქაბმა ხალხი
მთელს ისრაელში და შეკრიბა წინას-
წარმეტყველნი ქარმელის მთაზე. 21.
მივიდა ხალხთან ელია და უთხრა:
როდემდის უნდა კოჭლობდეთ ორივე

ფეხით? თუ უფალია ღმერთი, გაჰყევით მას, თუ ბაალია, მას გაჰყევით. სიტყვა არ დაუძრავს ხალხს. 22. უთხრა ელიამ ხალხს: მე ერთი დავრჩი უფლის წინასწარმეტყველი, ბაალის წინასწარმეტყველნი კი ოთხასორმოცდათი კაცია. 23. მოგვცენ ორი მოზვერი და ერთი მაგათ ამოირჩიონ, შუა გაკვეთონ და შეშაზე შემოდონ, ოღონდ ცეცხლს ნუ შეუნთებენ. მეც გავამზადებ მეორე მოზვერს, შეშაზე შემოვდებ და ცეცხლს არ შევუნთებ. 24. ახსენეთ თქვენი ღმერთის სახელი და მეც ვახსენებ უფლის სახელს, და ღმერთი, რომელიც ცეცხლით გაგვცემს პასუხს, ნამდვილად ღმერთი იქნება. მიუგო ხალხმა და უთხრა: კეთილი. 25. უთხრა ელიამ ბაალის წინასწარმეტყველთ: ამოირჩიეთ რომელიმე მოზვერი, პირველად თქვენ გაამზადეთ, რადგან ბევრნი ხართ. ახსენეთ ღმერთის სახელი, ოღონდ ცეცხლი არ შეუნთოთ, 26. გამოიყვანეს მოზვერი, რომელიც მისცა მათ, და გაამზადეს. დილიდან შუადღემდე ახსენებდნენ ბაალის სახელს და უხმობდნენ: ხმა გაგვეც, ბაალ! მაგრამ არც ხმა იყო და არც პასუხი. ხტოდნენ სამსხვერპლოს წინ, რომელიც გააკეთეს. 27. შუადღისას დაუწყო მათ დაცინვა ელიამ: მაგრად დაუყვირეთ, რადგან ღმერთია იგი! ფიქრშია ალბათ, ან ვაითუ რამე უჭირს, ან გზაში იყოს. იქნებ სძინავს, და გაიღვიძებს. 28. დიდ ხმაზე გაჰყვიროდნენ და თავიანთი ჩვეულებისამებრ, თავს ისერავდნენ მახვილებითა და შუბებით, ისე რომ სისხლი ჩამოსდიოდათ ტანზე. 29. შუადღე გადავიდა, ისინი კი ისევ ქადაგად იყვნენ დავარდნილი ძღვენის შეწირვის ჟამამდე. მაგრამ არც ხმა ისმოდა, არც პასუხი, არც ჩქამი. 30. უთხრა ელიამ მთელს ხალხს: ახლოს მოდით. მივიდა მასთან მთელი ხალხი და დაიწყო მან უფლის დანგრეული სამსხვერპლოს შეკეთება. 31. აიღო ელიამ თორმეტი ლოდი, რამდენი შტოც იყო ძეთაგან იაკობისა, რომლის მიმართ იყო უფლის სიტყვა, ისრაელი იქნებაო შენი სახელი, 32. და აიშენა ლოდებისგან სამსხვერპლო უფლის სახელზე. სამსხვერპლოს გარშემოავლო ორი სეა მარცვლის ტევადობის თხრილი. 33. დააწყო შეშა, შუა გაკვეთა მოზვერი და შეშაზე დადო. 34. თქვა: აავსეთ წყლით ოთხი ჩაფი და გადაასხით აღსავლენ მსხვერპლსა და შეშას. თქვა: გაიმეორეთ. მათაც გაიმეორეს. თქვა: მესამედ გადაასხით. მათაც გადაასხეს მესამედ. 35. ჩამოედინა წყალი ირგვლივ სამსხვერპლოს და და წყლით აივსო თხრილი. 36. მსხვერპლშეწირვის დროს რომ მოაწია, ახლოს მოდგა ელია წინასწარმეტყველი და თქვა: უფალო, ღმერთო აბრაამისა, ისაკისა და ისრაელისა! გაცხადდეს დღევანდელ დღეს, რომ შენა ხარ ღმერთი ისრაელში, მე კი შენი მსახური ვარ და შენი სიტყვის წყალობით გავაკეთე ეს ყველაფერი. 37. ხმა გამეცი, უფალო, ხმა გამეცი, რათა გაიგოს ამ ხალხმა, რომ შენ ღმერთი ხარ, უფალო, და შეგიძლია უკუმოაქცეო მათი გულები. 38. ჩამოვარდა უფლის ცეცხლი და შთანთქა აღსავლენი მსხვერპლი. შეშა, ქვები და მტვერი. ამოლოკა წყალიც, არხში რომ ესხა. 39. დაინახა ეს მთელმა ხალხმა, პირქვე დაემხო და შეჰყვირა: ღმერთია უფალი! ღმერთია უფალი! 40. უთხრა მათ ელიამ: შეიპყარით ბაალის წინასწარმეტყველნი! არავინ გაგექცეთ! მათაც შეიპყრეს და ჩაიყვანა ისინი ელიამ კიშონის ხევში და იქ დახოცა. 41. უთხრა ელიამ აქაბს: წადი, ჭამე და სვი, რადგან წვიმის ხმაური ისმის უკვე. 42. წავიდა აქაბი, რომ ეჭამა და ესვა. ხოლო ელია ქარმელის თავზე ავიდა, მიწაზე გაწვა და პირისახე მუხლებში ჩამალა. 43. უთხრა მსახურს: წადი, ზღვისკენ გაიხედე. ისიც წავიდა და გაიხედა. თქვა: არაფერი ჩანს. უთხრა ელიამ: შვიდგზის გააკეთა ასე. 44. მეშვიდე ჯერზე თქვა: აჰა, მცირე ღრუბელი, მუჭისოდენა, ამოდის ზღვიდან. თქვა ელიამ: წადი, უთხარი აქაბს: ეტლი შეკაზმე და გაბრუნდი, წვიმამ არ

მოგისწროს-თქო. 45. ამასობაში ცა
მოიღრუბლა, ქარმა დაუბერა და წა-
მოვიდა ხშირი წვიმა. შეჯდა ეტლზე
აქაბი და იზრეყელისკენ გაემართა.

თავი მეცხრამეტე

1. უამბო აქაბმა იზებელს ყველა-
ფერი, რაც ელიამ გააკეთა, როგორ ამო-
ხოცა მახვილით წინასწარმეტყველნი.
2. მოციქული გაუგზავნა იზებელმა
ელიას და შეუთვალა: ასე და ასე მი-
ყონ ღმერთებმა და უარესიც დამმარ-
თონ, თუ ხვალ ამ დროს ისევე არ მო-
გექეცი, როგორც შენ მოექეცი თი-
თოეულ მათგანს. 3. შეშინდა ელია.
ადგა და წავიდა, რომ თავი გადაერჩი-
ნა. მივიდა იუდას ბერშებაში და და-
ტოვა იქ თავისი მსახური. 4. თავად კი
უდაბნოში გავიდა ერთი დღის სავალზე.
მივიდა ერთ ბუჩქთან და მის ძირას
დაჯდა. სიკვდილი ინატრა და თქვა:
ახლა კი კმარა, უფალო, წაიღე ჩემი
სული, რადგან ჩემს მამა-პაპაზე უკე-
თესი არ ვარ. 5. და მიწვა და მიეძინა
ბუჩქის ძირას. და, აჰა, ანგელოზი შე-
ეხო მას და უთხრა: ადექი, ჭამე. 6.
გაიხედა და, აჰა, ნამცხვარი და წყლია-
ნი დოქი უდგას სასთუმალთან. შე-
ჭამა, შესვა და ისევ მიწვა. 7. მეო-
რედ მოვიდა უფლის ანგელოზი, შე-
ეხო მას და უთხრა: ადექი, და ჭამე,
რადგან შორის გზა გაქვს. 8. ადგა,
ჭამა, სვა და ამ საჭმელით მოძლიერე-
ბულმა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
იარა ღვთის მთამდე, ხორებამდე. 9.
შევიდა იქ ერთ გამოქვაბულში და
დაიღამა. და აჰა, იყო უფლის სიტყვა
მის მიმართ. უთხრა უფალმა: აქ რა
გინდა, ელია? 10. მიუგო: უფლის,
ცაბაოთ ღმერთის შურმა შემიპყრო,
რადგან დაივიწყეს შენი აღთქმა ისრა-
ელიანებმა, დანგრიეს შენი სამსხვერპ-
ლოები, მახვილით დახოცეს შენი წი-
ნასწარმეტყველნი, მე ერთი დავრჩი
და მეც მოსაკლავად დამდევენ. 11.
უთხრა: გარეთ გადი და დადექი მთაზე
უფლის წინაშე. აჰა, ჩაიარა უფალმა.
უფლის წინაშე ამოვარდა დიდი და
ძლიერი ქარი, მთათა დამაქცეველი და
კლდეთა შემმუსვრელი, მაგრამ ქარ-
ში არ იყო უფალი. ქარის მერე — მი-
წისძვრა, არც მიწისძვრაში იყო უფა-
ლი. 12. მიწისძვრის მერე — ცეცხლი,
არც ცეცხლში იყო უფალი. ცე-
ცხლის მერე — ოდნავი ჩქამი. 13.
რომ გაიგონა ეს ელიამ, მო-
სასხამი აიფარა სახეზე, გარეთ გა-
ვიდა და მღვიმის შესასვლელთან დად-
გა. აჰა, მოესმა ხმა, რომელიც ეუბნება:
აქ რა გინდა, ელია? 14. მიუგო: უფ-
ლის, ცაბაოთ ღმერთის შურმა შემიპ-
ყრო, რადგან დაივიწყეს შენი აღთქმა
ისრაელიანებმა, დაანგრიეს შენი სამსხ-
ვერპლოები, მახვილით დახოცეს შენი
წინასწარმეტყველნი. მე ერთი დავრჩი
და მეც მოსაკლავად დამდევენ. 15.
უთხრა უფალმა: წადი, გაბრუნდი უდა-
ბნოს გზით და დამასკოში მიდი. რო-
ცა მიხვალ, სცხე ხაზაელს არ-
ამზე სამეფოდ. 16. ელისე შაფატის
ძეს კი აბელ-მეხოლიდან რომ არის.
სცხე, რათა წინასწარმეტყველებ-
დეს შენს ნაცვლად. 7. ვინც ხაზა-
ელს მახვილს გადაურჩება, იეჰუ მოკ-
ლავს მას, ვინც იეჰუს მახვილს გადაურ-
ჩება, ელისე მოკლავს. 18. დავიტოვებ
ისრაელში შვიდი ათას კაცს: ყველა
მუხლს, რომელიც არ მოდრეკილა ბა-
ალის წინაშე და ყველა ბაგეს, რო-
მელსაც არ უკოცნია მისთვის. 19. წა-
ვიდა იქიდან და მოძებნა ელისე შა-
�ორმეტი უღელი ხნავდა მიწას.
ორმეტი უღელი ეყენა წინ. თავად
მეთორმეტეს უდგა. ჩაუარა ელიამ და
გადაუგდო თავისი მოსასხამი. 20. მია-
ტოვა ელისემ ხარები, გაეკიდა ელიას
და უთხრა: გამიშვი, ვაკოცო ჩემს
დედ-მამას და მერე წამოგყვები, უთ-
ხრა: წადი და მიბრუნდი, რადგან რა
გამიკეთებია შენთვის? 21. გაბრუნდა
უკან, მოიყვანა და დაკლა ერთი უღე-
ლი ხარი, ხარის უღლით მოხარშა

ხორცი და ხალხს გაუნაწილა, და ხალხმაც შეჭამა. თავად ადგა და გაჰყვა ელიას, და ემსახურებოდა.

თავი მეოცე

1. ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ, შეკრიბა მთელი თავისი ჯარი, თან იახლა ოცდათორმეტი მეფე და ცხენებითა და ეტლებით დაიძრა, შემოადგა სამარიას და ბრძოლა გაუმართა. 2. გაუგზავნა მოციქულები აქაბს, ისრაელის მეფეს, ქალაქში, 3. და შეუთვალა: ასე ამბობს ბენ-ჰადადი: ჩემია შენი ვერცხლი და შენი ოქრო, ჩემია შენი ცოლები და შენი საუკეთესო ვაჟები. 4. მიუგო ისრაელის მეფემ და უთხრა: შენი სიტყვისაებრ იყოს, მეფე-ბატონო! მეც შენი ვარ და ჩემი საბადებელიც შენია. 5. კვლავ მოვიდნენ მოციქულები და თქვეს: ასე ამბობს ბენ-ჰადადი: რაკი შემოგითვალე, მომეცი შენი ოქრო-ვერცხლი, შენი ცოლები და შენი ვაჟები. 6. ხვალ ამ დროს გამოგიგზავნი ჩემს მსახურთ, რომ გაჩხრიკონ შენი სახლი და შენს მსახურთა სახლები, და ხელი დაადონ ყველაფერს, რაც ძვირფასია შენს თვალში, და წამოიღონ. 7. უხმო ისრაელის მეფემ ქვეყნის მთელს უხუცესობას და უთხრა: კარგად შეიგნეთ, რომ ცუდს გვიპირებს ეს კაცი, რადგან ჩემი ცოლების, ჩემი ვაჟიშვილების და ჩემი ოქრო-ვერცხლის წასართმევად გამოგზავნა ხალხი, მე კი უარი არ მითქვამს მისთვის. 8. უთხრეს მთელმა უხუცესობამ და მთელმა ერმა: ყურს ნუ დაუგდებ და ნურც დათანხმდები. 9. უთრა მან ბენ-ჰადადის მოციქულებს: ასე უთხარით ჩემს ბატონ-მეფეს: რაც პირველად შემოუთვალე შენს მსახურს, იმას გავაკეთებ. მაგრამ ამ საქმის გაკეთება არ შემიძლია. წავიდნენ მოციქულები და მიუტანეს პასუხი. 10. შეუთვალა ბენ-ჰადადმა: ასე და ასე მიყონ ღმერთებმა და მეტიც დამმართონ, თუ სამარიის მტვრის თითო პეშვი შეხვდეს ყველას, ვინც უკან მიდგას. 11. მიუგო ისრაელის მეფემ: ნუ იტრაბახებს სარტყლის შემომრტყმელი სარტყელის შემხსნელივით. 12. გაიგონა ეს შემოთვლილი სიტყვა ბენ-ჰადადმა, როცა მეფეებთან ერთად ჩარდახის ქვეშ სვამდა, და უთხრა თავის მსახურთ: შემოეწყვეთ! ისინიც შემოეწყვნენ ქალქს. 13. აჰა, მიუახლოვდა ერთი წინასწარმეტყველი ისრაელის მეფეს და უთხრა: ასე ამბობს უფალი: ხომ ხედავ ამ უამრავ ხალხს? ხელში ჩაგაგდებინებ დღეს ყველას, რათა იცოდე, რომ მე უფალი ვარ. 14. თქვა აქაბმა: ვისი წყალობით? მიუგო: ასე ამბობს უფალი: მხარეთა მთავრების მსახურთა წყალობით. ვინ წამოიწყებს ბრძოლას? თქვა: შენ. 15. დათვალა მხარეთა მთავრების მსახურნი და აღმოჩნდა ორასორმოცდათორმეტი კაცი, მათ მერე დათვალა მთელი ხალხი, ყველა ისრაელიანი — შვიდი ათასი კაცი. 16. შუადღისას გავიდნენ, როცა ბენ-ჰადადი სვამდა და თვრებოდა ჩარდახქვეშ თავის თანამდგომ მეფეებთან ერთად. 17. პირველად მხარეთა მთავრების მსახურნი გავიდნენ. გაგზავნა ბენ-ჰადადმა და ამბავი მოუტანეს: ხალხი გამოდისო სამრიიდან. 18. თქვა: თუ სამშვიდობოდ არიან გამოსულნი, ცოცხლად შეიპყარით. თუ საბრძოლველად არიან გამოსულნი, შეიპყარით ცოცხლად. 19. ესენი გამოვიდნენ ქალაქიდან, მხარეთა მთავრების მსახურნი და ლაშქარი, მათ რომ მიჰყებოდა უკან. 20. ყველამ თავ-თავისი მეტოქე დასცა ძირს. უკუიქცნენ არამელები და დაედევნა მათ ისრაელი. გაიქცა ცხენით ბენ-ჰადადი, არამის მეფე, მხედრებთან ერთად. 21. გამოვიდა ისრაელის მეფე და დასცხო ცხენებსა და ეტლებს. დიდი გამარჯვება მოიპოვა არამზე. 22. მიუახლოვდა წინასწარმეტყველი ისრაელის მეფეს და უთხრა: წადი, გამაგრდი და იფიქრე, რა უნდა გააკეთო, რადგან წელიწადი შემობრუნდება და დაგესხმის თავს არამის მეფე 23. უთხრეს მისმა მსახურებმა არამის მეფეს: მთათა ღმერთია მათი ღმერთი,

ამიტომაც გვძლიეს. თუ დაბლობზე შე-
ვებრძოლებით, უსათუოდ ვძლევთ. 24.
აბა, ასე მოიქეცი: თავ-თავის ადგილ-
ებს მოაშორე მეფეები და მათ ნაცვ-
ლად ერისმთავარნი დააყენე. 25. შეჰ-
ყარე იმდენივე ჯარი, რამდენიც დაგე-
ღუპა, იმდენიმე ცხენი, რამდენიც
გყავდა, და იმდენივე ეტლი, რამდე-
ნიც გქონდა. დაბლობზე შევებრძოლოთ
მათ და უსათუოდ დავამარცხებთ. ყუ-
რად იღო მათი სიტყვა და ასე მოიქცა.
26. როცა მობრუნდა წელიწადი, და-
ათვალიერა თავისი ლაშქარი არამის
მეფემ და გაემართა აფეკისკენ ისრა-
ელიანებთან საბრძოლველად. 27. და-
ეწყვნენ ისრაელიანებიც, საგზალი მი-
იღეს და მათ შესახვედრად დაიძრნენ.
თხის ორი ჯოგივით დაიბანაკეს ისრა-
ელიანებმა მათ პირისპირ, ხოლო არა-
მელებმა დაფარეს მიწა. 28. გამოჩნდა
ღვთისკაცმა და უთხრა ისრაელის მე-
ფეს: ასე ამბობს უფალი: რაკი თქვეს
არამელებმა უფალზე, მთების ღმერთი
არისო და ვაკეების ღმერთი არ არი-
სო, მთელ ამ ურიცხვ ლაშქარს ხელში ჩა-
გაგდებინებ, რათა იცოდეთ, რომ უფა-
ლი ვარ. 29. ასე იყვნენ დაბანაკებულნი
ერთმანეთის პირისპირ შვიდ დღეს. მე-
შვიდე დღეს გაიმართა ბრძოლა და გა-
წყვიტეს ისრაელიანებმა არამელნი —
ასი ათასი ქვეითი ერთ დღეს. 30. და-
ნარჩენები ქალაქ აფეკში გაიქცნენ, და-
ნარჩენი ოცდაშვიდი ათასი კაცი კი
კედელმა დაიტანა. ბენ-ჰადადიც გაიქ-
ცა და მივიდა ქალაქში და შიდა ოთახ-
ში დაიმალა. 31. უთხრეს მისმა მსა-
ხურებმა: გვსმენია, ულმოწყალენი
ყოფილან ისრაელის სახლის მეფეები.
წელზე ჯვალოს შემოვიკრავთ, თავზე
ბაწრებს დავიწყობთ და გავალთ ისრა-
ელის მეფესთან. ვინძლო ცოცხლები
დაგვტოვოს. 32. წელზე ჯვალო შემო-
იკრეს, თავზე ბაწრები დაიდეს, მივი-
დნენ ისრაელის მეფესთან და უთხრეს:
შენი მსახური ბენ-ჰადადი გთხოვს, სი-
ცოცხლე შემინარჩუნეო. თქვა: ჯერ
კიდევ ცოცხალია? ჩემი ძმა არის. 33.
ინიშნეს ეს ამ კაცებმა, არ დაიბნენ და
სასწრაფოდ მიუგეს: შენი ძმა არის
ბენ-ჰადადი. თქვა მეფემ: წადით და
მოიყვანეთ. გამოვიდა მასთან ბენ-ჰადა-
დი და ეტლზე დაისვა იგი მეფემ. 34.
უთხრა: დაგიბრუნებ იმ ქალაქებს, მა-
მაშენს რომ წაართვა მამაჩემმა. იქო-
ნიე ქუჩები დამასკოში, როგორც მა-
მაჩემს ჰქონდა სამარიაში. მე კი,
თქვა აქაბმა, ხელშეკრულების დადებით
გაგისტუმრებ. დაუდო ხელშეკრულება
და გაისტუმრა. 35. უთხრა ერთმა წი-
ნასწარმეტყველთა დასიდან მეორეს
უფლის სიტყვით: მცემე. მაგრამ არ
ინდომა ამ კაცმა მისი ცემა. 36. მაშინ
უთხრა: რაკი არ გაიგონე ჩემი სიტყ-
ვა, აჰა, წახვალ თუ არა ჩემგან, ლომი
მოგკლავს. წავიდა. მისგან კაცი შე-
მოეყარა ლომი და მოკლა კაცი.
37. მოძებნა სხვა კაცი და უთხრა: მცე-
მე. მაგრად სცემა იმ კაცმა და დააწ-
ყლულა. 38. წავიდა წინასწარმეტყვე-
ლი და დახვდა მეფეს გზაზე, თვალებზე
რიდე ჰქონდა აფარებული. 39. როცა
გამოიარა მეფემ, შეჰბღავლა მან მე-
ფეს და უთხრა: შუაგულ ბრძოლაში
იყო შენი მსახური, როცა ვიღაც კაცი
გავიდა გვერდზე და მომიყვანა კაცი
და მითხრა: უყარაულეო ამ კაცს. თუ
დაიკარგა, შენი სული მისი სულის
წილ იყოს, ანდა ერთი ქანქარი ვერცხ-
ლი გადაიხადეო. 40. გაერთო საქმით
შენი მსახური და, აჰა, სადღაა კაცი.
უთხრა მას ისრაელის მეფემ: შენ თა-
ვად გამოგიტანია განაჩენი შენთვის.
41. მყისვე გადაიძრო რიდე თვალთაგან
და იცნო ისრაელის მეფემ, შეიცნო მას-
ში ისრაელის მეფემ წინასწარმეტყვე-
ლი. 42. უთხრა წინასწარმეტყველმა:
ასე ამბობს უფალი: რაკი ხელიდან გა-
უშვი ჩემი დარისხებული კაცი, იყოს
შენი სული მისი სულის წილ და შე-
ნი ხალხი მისი ხალხის წილ. 43. წა-
ვიდა ისრაელის მეფე შინისაკენ დამ-
წუხრებული და შეშფოთებული და
მივიდა სამარიას.

თავი ოცდამეერთე

1. ამ ამბების მერე იყო: ვენახი ჰქონდა იზრეყელელ ნაბოთს იზრეყელში, სამარიის მეფის აქაბის სასახლის გვერდით. 2. ელაპარაკა აქაბი ნაბოთს და უთხრა: დამითმე შენი ვენახი, ბოსტნად მექნება, რადგან ჩემი სახლის გვერდითაა. სანაცვლოდ მასზე უკეთეს ვენახს მოგცემ, თუ გინდა, მის საფასურ ვერცხლს გადაგიხდი. 11. უთხრა ნაბოთმა აქაბს: უფალმა დამიფაროს, ჩემი მამა-პაპის სამკვიდრო მოგცე! 4. წავიდა აქაბი თავის სახლში დაღვრემილი და შეწუხებული იმ სიტყვის გამო, რაც ნაბოთ იზრეყელელმა უთხრა: ვერ მოგცემო ჩემი მამა-პაპის სამკვიდროს. ჩაწვა თავის საწოლში და პირი კედლისკენ ქნა, პურიც არ უჭამია. 5. შევიდა მასთან მისი ცოლი იზებელი-დაჰკითხა: რამ დაგანაღვლიანა, პურს რატომ არ სჭამ? 6. უთხრა ელაპარაკე ნებოთ ზირეყელს და ვუთხარი: დამითმე-მეთქი შემი ვენახი ვერცხლად. ან, თუ გინდა, სანაცვლოდ სხვა ვენახს მოგცემ-მეთქი. მან მითხრა: არ მოგცემო ჩემს ვენახს. 7. უთხრა იზებელმა, მისმა ცოლმა: ახლა დაამტკიცე, რომ ისრაელის მეფე ხარ! ადექი, პური ჭამე და გული გაიმხიარულე. მე მოგცემ ნაბოთ იზრეყელელის ვენახს. 8. დაწერა წერილები აქაბის სახელით, მისი ბეჭდით დაბეჭდა და დაუგზავნა წერილები უხუცესებს და წარჩინებულთ, ნაბოთთან რომ ცხოვრობდნენ მის ქალაქში. 9. ასე ჩაწერა წერილებში: გამოაცხადეთ მარხვა და ხალხის თავში დასვით ნაბოთი. 10. წინ დაუსვით ორი ბოროტი კაცი, რომ ცილი დასწამონ მას და უთხრან: შენ იყავი, ღმერთსა და მეფეს რომ აგინებდი! მერე გაიყვანეთ და ჩაქოლეთ, რომ მოკვდეს. 11. ისე მოიქცნენ იმ ქალაქის კაცები — უხუცესები და წარჩინებულები, რომლენიც მის ქალქში ცხოვრობდნენ, როგორც შეუთვალა მათ იზებელმა, როგორც ეწერა წერილებში, მათთვის რომ ჰქონდა დაგზავნილი. 12. გამოაცხადეს მარხვა და ხალხის თავში დასვეს ნაბოთი. 13. გამოვიდა ორი ბოროტი კაცი, და წინ დაუჯდა. ცილი დასწამეს ამ ბოროტმა კაცებმა ნაბოთს ხალხის წინაშე: შეაგინა ნაბოთმა ღმერთსა და მეფესო. გაიყვანეს ქალაქის გარეთ, ჩაქოლეს და მოკვდა. 14. ასე შეუთვალეს იზებელს: ჩაქოლეს ნაბოთი და მოკვდა. 15. როცა გაიგო იზებელმა, რომ ჩაქოლეს ნაბოთი და მოკვდა, უთხრა იზებელმა აქაბს: ადექი, დაეპატრონე ნაბოთ იზრეყელელის ვენახს, რომ არ უნდოდა შენთვის მოეყიდა, რადგან აღარ არის ცოცხალი ნობოთი, მკვდარია. 16. როცა გაიგო აქაბმა, რომ მოკვდა ნაბოთი, ადგა აქაბი, რომ ჩასულიყო ნაბოთ იზრეყელელის ვენახში და დაეპატრონებოდა. 17. იყო უფლის სიტყვა ელია თიშბელის მიმართ: 18. ადექი და დახვდი აქაბს, ისრაელის მეფეს, სამარიაში რომ არის. აჰა, ნაბოთის ვენახშია ჩასული მის დასაპატრონებლად. 19. უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: კაცი მოკალი და ახლა მის ქონებას ეპატრონები? კიდევ უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: სადაც ძაღლები ლოკავდნენ ნაბოთის სისხლს, იმ ადგილას შენს სისხლსაც ალოკავენ ძაღლები. 20. უთხრა აქაბმა ელიას: მაინც მომაგენი, ჩემო მტერო! მიუგო: მოგანენი, რადგან თავი გაწირე, რომ ბოროტად მოქცეულიყავი უფლის თვალში. 21. აჰა, უბედურებას დაგათევ თავზე, გავხვეტავ შენს შემდგომს. ყველას, ვინც კი ჰყავს აქაბს კედელთან მშაოდავი, ყმა თუ აზატი ისრაელში. 22. ისე მოვექცევი შენს სახლს, როგორც მოვექეცი იერობოამ ნაბატის ძის სახლს, ბაყაშა ახიას ძის სახლს, იმ ჯავრის გამო, რომ გამაჯავრე, რომ აცთუნე ისრაელი. 23. იზებელზეც თქვა უფალმა: ძაღლები შეჭამენ იზებელს იზრეყელის გალავნთან. 24. ვინც ქალაქში მოუკვდება აქაბს, იმას ძაღლები შეჭამან, ვინც ველად მოუკვდება, ცის ფრინველები დაჯიჯგნიან. 25. ჯერ არავინ ყოფილა, რომელსაც აქაბივით

გაეყიდოს თავი უფლის თვალში ბოროტების საკეთებლად, რაზეც აქეზებდა იზებელი, მისი ცოლი. 26. დიდი სიბილწე ჩაიდინა, რომ მიჰყვა კერპებს და მიჰბაძა ამორეველთ, რომელნიც ისრაელის თვალთაგან აჰყარა უფალმა. 27. როცა გაიგონა აქაბმა ეს სიტყვები, შემოიგლიჯა ტანზე სამოსელი და ჯვალოთი დაიფარა ხორცი. მარხულობდა, ჯვალოში ეძინა და დამწუხრებული დადიოდა. 28. იყო უფლის სიტყვა ელია თიშბელის მიმართ: 29. ხომ ხედავ, როგორ მოდრკა აქაბი ჩემს წინაშე? და რაკი მოდრკა ჩემს წინაშე, არ დავათევ უბედურებას მის სიცოცხლეში. მისი შვილის სიცოცხლეში დავათევ უბედურებას მის სახლს.

თავი ოცდამეორე

1. ისე გავიდა სამი წელი, რომ არ მომხდარა ომი არამსა და ისრაელს შორის. 2. მესამე წელს ჩავიდა იოშაფატი, იუდას მეფე, ისრაელის მეფესთან. 3. უთხრა ისრაელის მეფემ თავის მსახურთ: ხომ იცით, რომ ჩვენია გალაადის რამოთი? ჩვენ კი არც ვფიქრობთ, გამოვტაცოთ იგი ხელიდან არამის მეფეს. 4. უთხრა იოშაფატს: წამომყვები გალადის რამოთისთვის საბრძოლველად? მიუგო იოშაფატმა ისრაელის მეფეს: რამ გაგვყო მე და შენ, რამ გაჰყო ჩემი ხალხი და შენი ხალხი, ჩემი ცხენები და შენი ცხენები? 5. უთხრა იოშაფატმა ისრაელის მეფეს: აბა, დაეკითხე უფლის სიტყვას. 6. შეკრიბა ისრაელის მეფემ წინასწარმეტყველნი — ოთხასამდე კაცი, და უთხრა მათ: გავილაშქრო გალაადის რამოთზე თუ თავი შევიკავო? მიუგეს: გაილაშქრე, მეფეს ჩაუგდებს ხელში უფალი. 7. თქვა იოშაფატმა: ხომ არ არის აქ სადმე კიდევ უფლის წინასწარმეტყველი, რომ მასაც დავეკითხოთ? 8. უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: კიდევ არის ერთი კაცი, რომელსაც შეგვიძლია ვაკითხვინოთ უფლისთვის, მაგრამ მძულს იგი, რადგან სასიკეთოს არ წინასწარმეტყველებს ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს. მიქა იმლას ძე, თქვა იოშაფატმა: ნუ ამბობს ასე მეფე. 9. უხმო ისრაელის მეფემ ერთ-ერთ კარისკაცს და უთხრა: სასწრაფოდ მომგვარე მიქა იმლას ძე. 10. ისრაელის მეფე და იუდას მეფე იოშაფატი შესამოსლით შემოსილნი ისხდნენ თავ-თავის სავარძლებში, კალოზე, სამარიის კარიბჭესთან და წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებდნენ მათ წინაშე. 11. გაიკეთა ციდკია ქენაყანის ძემ რკინის რქები და თქვა: ასე ამბობს უფალი: ამით ურქენ არამს და ბოლოს მოუღებ. 12. ყველა წინასწარმეტყველი ამასვე წინასწარმეტყველებდა: მიუხდი გალადის რამოთს და გაიმარჯვებ, მეფის ხელში ჩააგდებს უფალი. 13. ასე ეუბნებოდა მიქას მის დასაძახებლად გაგზავნილი მოციქული: აჰა, მეფის სასიკეთოს ამბობენ ერთხმად წინასწარმეტყველნი. შეეთანხმოს შენი სიტყვებიც მათ სიტყვებს. შენცა თქვი სასიკეთო. 14. თქვა მიქამ: უფალს ვფიცავ, რომ იმას ვიტყვი, რასაც უფალი მიბრძანებს. 15. მივიდა მეფესთან და უთხრა მეფემ: მიქა! გავილაშქროთ გალაადის რამოთზე თუ თავი შევიკავოთ? მიუგო: გაილაშქრე და გაიმარჯვებ, მეფის ხელში ჩააგდებს უფალი. 16. უთხრა მეფემ: რამდენჯერ უნდა დაგაფიცო, მხოლოდ სიმართლე მელაპარაკე-მეთქი უფლის სახელით? 17. თქვა: ვიხილე მთელი ისრაელი, უმწყემსო ფარასავით მიმოფანტულიყო მთებზე. და თქვა უფალმა: პატრონი არ ჰყავთ, მშვიდობით დაბრუნდნენ თავ-თავის სახლებში. 18. უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: ხომ გეუბნებოდი, სასიკეთოს არ იწინასწარმეტყველებს-მეთქი ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს. 19. თქვა მიქამ: აბა, ისმინე უფლის სიტყვა: ვიხილე, ტახტზე იჯდა უფალი და ცათა მთელი მხედრობა ედგა გვერდში, მარჯვნივ და მარცხნივ. 20. თქვა უფალმა: ვინ გაიტყუებს აქაბს, რომ გაილაშქროს და

დაეცეს გალაადის რამოთში? ერთი ამას ამბობდა, მეორე — იმას. 21. გამოვიდა სული და წარუდგა უფალს და თქვა: მე გავიტყუებ. ჰკითხა უფალმა: რითი? 22. მიუგო: გავალ და სიცრუის სულად ვიქცევი ყველა მისი წინასწარმეტყველის ბაგეში. თქვა უფალმა: გაიტყუებ და კიდეც გამოგივა. წადი, ასე გაკეთე. 23. აჰა, სიცრუის სული ჩაუდგა ახლა უფალმა ბაგეებში ამ შენს წინასწარმეტყველებს, უფალს კი ცუდი აქვს ნათქვამი შენზე. 24. მიეჭრა ციდკია ქენაყანის ძე და ლოყაში გაარტყა მიქას, უთხრა: როგორ მოხდა, რომ გვერდი ამიარა უფლის სულმა და შენში მეტყველებს? 25. თქვა მიქამ: კარგი, მაშინ დაინახავ, ოთახიდან ოთახში რომ დაიწყებს სირბილს დასამალავად. 26. თქვა ისრაელის მეფემ: შეიპყარი მიქა და მიჰგვარე ამონს, ქალაქის თავს და უფლისწულ იოაშას, 27. და უთხარი: ასე ამბობს-თქო მეფე: დილეგში ჩააგდეთ ეს კაცი და აჭამეთ სიმწრის პური და ასვით სიმწრის წყალი, ვიდრე მშვიდობით მოვრუნდებოდე. 28. თქვა მიქამ: თუ მშვიდობით დაბრუნდი, უფალს არ ულაპარაკნია ჩემი პირით. თქვა: მისმინეთ ყველამ, ხალხნო! 29. წავიდნენ ისრაელის მეფე და იოშაფატ იუდას მეფე გალაადის რამოთზე. 30. უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: გადავიცავამ და ისე გავალ საბრძოლველად. შენ შენი სამოსელი გეცვას. გადაიცვა ისრაელის მეფემ და გავიდა საბრძოლველად. 31. უბრძანა არამის მეფემ ეტლების მეთაურებს, ოცდათორმეტ კაცს, ვინც ჰყავდა: ნუ შეებრძოლებით ნურც მცირეს, ნურც დიდს, მხოლოდ ისრაელის მეფეს შეებრძოლეთ. 32. როცა დაინახეს ეტლების მეთაურებმა იოშაფატი, იფიქრეს, ეს არისო ისრაელის მეფე, და მისკენ გაეშურნენ, რომ შებრძოლებოდნენ. მაშინ იყვირა იოშაფატმა. 33. როცა მიხვდნენ ეტლების მეთაურები, რომ არ იყო, იგი ისრაელის მეფე, გაერიდნენ მას. 34. ალალბედზე მოზიდა ვიღაც კაცმა და ჯავის ურაგნის ნაწიბურთან დაჭრა ისრაელის მეფე. უთხრა თავის მეეტლეს: გატრიალდი და ბრძოლიდან გამიყვანე, რადგან დაჭრილი ვარ. 35. გახურდა ომი იმ დღეს. დარჩა ეტლში ისრაელის მეფე არამელთა პირისპირ და მოკვდა საღამო ხანს. წვეთავდა სისხლი ჭრილობიდან ეტლის ძარაში. 36. გავარდა ხმა ბანაკში მზის ჩასვლისას: ყველა თავის ქალაქისკენ, ყველა თავის ქვეყნისკენ! 37. მოკვდა მეფე და წაასვენეს სამარიას, და დამარხეს მეფე სამარიაში. 38. გარეცხეს ეტლი სამარიის ტბორზე და ლოკავდნენ ძაღლები მის სისხლს, რომელიც სიძვის დიაცებმა ჩამორეცხეს, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს. 39. აქაბის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, სპილოსძვლის სახლი, რომელიც ააშენა, ქალაქები, რომელნიც გააშენა ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 40. განისვენა აქაბმა თავის მამა-პაპასთან და გამეფდა მისი ძე ახაზია მის ნაცვლად. 41. იოშაფატ ასას ძე გამეფდა იუდაზე აქაბ ისრაელის მეფის მეოთხე წელს. 42. ოცდახუთმეტი წლისა იყო იოშაფატი, როცა გამეფდა, და ოცდახუთ წელს მეფობდა იერუსალიმში. მისი დედა იყო ხაზება შილხის ასული. 43. ყველაფერში მამამისის გზას ადგა იგი, არ უხვევდა მისგან და მართლად იქცეოდა უფლის თვალში. 44. ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული, ხალხი ჯერ კიდევ გორაკებზე სწირავდა მსხვერპლს და აკმევდა. 45. ზავი ჰქონდა იოშაფატს ისრაელის მეფესთან. 46. იოშაფატის დანარჩენი საქმენი, მისი გმირობა, რაც ჩაიდინა, და როგორ იბრძოდა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 47. როსკიპ კაცთა ნატამალნი, მისი მამის ასას დრომდე რომ იყვნენ დარჩენილნი, აღგავა მიწის

პირისაგან. **48.** მეფე არ იყო ედომში, მხოლოდ მეფის დანიშნული ზედამხედველი იყო. **49.** ათი თარშიშული ხომალდი ააგო იოშაფატმა ოფირიდან ოქროს მოსატანდ, მაგრამ არ წასულა, რადან ყეციონ-გაბერში დაილეწა ხომალდები. **50.** მაშინ უთხრა ახაზია აქაბის ძემ იოშაფატს: იარონ ჩემმა მსახურებმა შენს მსახურებთან ერთად ხომალდებით, მაგრამ უარი უთხრა იოშაფატმა. **51.** განისვენა იოშაფატმა თავის მამა-პაპასთან და დაიმარხა თავისი მამაპაპის გვერდით დავითის, მამამისის ქალაქში და გამეფდა მისი ძე იორამი მის ნაცვლად. **52.** ახაზია აქაბის ძე გამეფდა ისრაელზე სამარიაში იოშაფატ იუდას მეფის მეჩვიდმეტე წელს და იმეფა ისრაელზე ორი წელი. **53.** ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში, დადიოდა მამამისის გზაზე და დედამისის გზაზე, და იერობოამ ნაბატის ძის გზაზე, რომელმაც აცთუნა ისრაელი. **54.** ემსახურებოდა ბაალს და თაყვანს სცემდა მას, და აჯავრებდა უფალს, ისრაელის ღმერთს. როგორც მამამისი იქცეოდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

სისხლის წვიმები

რომანი

ნაწილი მეორე

1.

განკულაკებასა და კოლექტივიზაციას არც საქართველოში ჩაუვლია უმტკივნეულოდ. ამ საქმეს აქაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა. ბევრი ოჯახი დაიქცა, ბევრი ადამიანი გაუბედურდა, ზოგი მოჰკლეს, ზოგი გადაასახლეს. ზოგი ააწიოკეს, წელმაგარი სოფლები დაარბიეს და ააოხრეს, თუმცა ისეთი საშინელი შიმშილი, მილიონები რომ გაწყვიტა რუსეთსა და უკრაინაში, საქართველოს არ უნახავს. ამის შესახებ საქართველოში მხოლოდ მაშინ გაიგეს, ჩრდილოეთიდან დაძრული ლტოლვილები რომ მოაწყდნენ მის საზღვრებს, ვით დამშეული კალიის გუნდები, დაოსებულნი და შიმშილისგან დასიებულნი, ყველაფერს რომ ხრავდნენ, ღრღნიდნენ, მცირეწლოვან შვილებს ლუკმა პურზე ჰყიდდნენ, რათა დანარჩენები გამოეკვებათ და თავიც გადაერჩინათ, ზოგჯერ კი ქუჩაში ტოვებდნენ უწლოვან ბალღებს, იცილებდნენ, იშორებდნენ იმ იმედით, ვინმე ღვთისნიერი აიყვანს და შეიფარებსო. და მართლაც აჰყავდათ ეს უპატრონო ბავშვები უბრალო ქართველ გლეხებს, უბრალო მუშებს, უბრალო მოსამსახურეებს და ზრდიდნენ, პატრონობდნენ, ლუკმა პურს უნაწილებდნენ. სოფელ წიფლნარში პატარა რუსის გოგონა იშვილა უშვილო გლეხმა მიჭნა კირკიტაძემ. ბაზარში ეპოვნა უპატრონოდ მიტოვებული და აღნავლებული, შესცოდებოდა და შინ წამოეყვანა, ხოლო მიხაკო ნიგურიანმა ახლად დაარსებული კოლექტივის თავმჯდომარეს ტიტიკო უნდილაძეს უკრაინიდან გამოქცეული მთელი ოჯახი პირდაპირ სადგურიდან მიაყენა კარზე. ამ ხალხს რამე სამუშაო მიეცი.

ეს ოჯახი ოთხი სულისაგან შედგებოდა; კაცი, დედაკაცი და ორი გოგონა, ერთი ათიოდე წლისა და მეორე — ძუმძუმწოვარა. მათ გარდა კიდევ ორი შვილი ჰყოლოდათ. შუათანანი, ქალვაჟი, მაგრამ მშობლებს ისინი ფოთში თითო ცალ პურში გაეცვალათ, შიმშილისგან რომ არ დახოცილიყვნენ, ვიღაც ახალსენაკელი მეგრელი კაცისათვის. იმ კაცის არც სახელი იცოდნენ, არც გვარი, ობერკონდუქტორის ფორმა ეცვაო.

ამ ხალხს ტიტიკომ ჯამბაკურ ვარდანიძის ყოფილი მამულიდან მიწის ნაკვეთი მიუზომა და ივანე რუსმა, როგორც ეძახდნენ ოჯახის უფროსს წიფლნარელები, იქ ქოხი ჩაიდგა, თეთრად შეღება და მყარად დასახლდა. მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი, წვერმო-

შვებული და პირქუში კაცი იყო. მილიონობით ხალხი წყდება შიმშილისაგან რუსეთში და უკრაინაშიო, დაუსრულებელი ეშელონებით ასახლებენ ხალხს ციმბირშიო, ყვებოდა იგი. ტიტიკო უნდილაძემ ივანე-რუსი მეველედ დაადგინა, უწინდელი მეველის, ტიტიკოს მიერ შემთხვევით მოკლული მოხუცის დურმიშხან სტურუას ნაცვლად. რაც თავი ახსოვდა სოფელს, დურმიშხანი იყო მეველედ, მეტად მშვიდი, პატიოსანი და წესიერი კაცი. იგი სოფლის განაპირას ცხოვრობდა, მდინარის პირზე, წიფლის ტყესა და ჭალას შორის ჰქონდა ყანა. ერთხელ, ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს, ქურდები შეეჩვივნენ მის ყანას, ხან სიმინდს პარავდნენ, ხან მუხუდოსა და ლობიოს, ხან კვახს და ჩალას. დურმიშხანმა რომ ვერაფერი გააწყო, შემოდგომის ერთ მთვარიან ღამით წავიდა თავის ყანაში, ტანსაცმელი გაიხადა და სრულიად შიშველი ღობეზე შედგა. ქურდებიც გამოჩნდნენ, მთელი ღამე იდგა ასე, მთვარე რომ გადავიდა, მიუახლოვდნენ დურმიშხანის ნაკვეთს, მაგრამ უცებ, ღობეზე მდგარი შიშველი არსება რომ შენიშნეს, შიშისაგან გული გადაუბრუნდათ და თავქუდმოგლეჯილებმა ღრიალით მოკურცხლეს იქედან. ამის შემდეგ სოფელში ხმა გავრცელდა. დურმიშხანის ყანას ქაჯი შემოეჩვიაო, ის ადგილი ნაძრახ ადგილად მიიჩნიეს და იქაურობას ყველა ერიდებოდა, ვიდრე კოლექტივი არ ჩამოაყალიბეს წიფლნარში. კოლექტივმა ის პატარა მიწა ჩამოართვა დურმიშხანს. დურმიშხანს დარდი გულს უღრღნიდა. იგი ღარიბი გლეხი იყო. ერთ საღამოს ისევ წავიდა თავის მამულში, ტანსაცმელი გაიხადა და ღობეზე აძვრა. იმედი ჰქონდა, ვინმე დაინახავდა და კვლავ გავრცელდებოდა ხმა სოფელში, დურმიშხანის ნაყანარს ქაჯი შემოეჩვიაო და დაუბრუნებდნენ თავის მიწას, სადაც ამდენი ოფლი ჰქონდა ჩაღვრილი, ამდენი შრომა დახარჯული, ოჯახის საზრდო მოპოვებული. მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა საწყალმა დურმიშხანმა, ახალი დროის მოთავეებს ავი სულები არ სწამდათ და არც ეშინოდათ, ისინი თვითონ აშინებდნენ სხვებს. იმ ღამით, ღობეზე რომ იდგა სრულიად ტიტველი, ტყის პირზე. ცხენებზე ამხედრებულმა ტიტიკო უნდილაძემ და ერთმა ახალგაზრდა აქტივისტმა, წიფლნარში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების მონაწილემ, ჩამოიარეს. უცებ, ცხენები დაფრთხნენ და აქტივისტმა ღობეზე მდგარი უცნაური არსება შეამჩნია, ბიჭოს, ეს რა არი, ცოტა არ იყოს შეშფოთებით წამოიძახა და მაუზერზე გაიკრა ხელი, მაგრამ ტიტიკომ დაასწრო, ესროლა შიშველ მოჩვენებას და ძირს ჩამოაგდო. ღობის ძირში, ჭინჭრებში ჩამხობილი სხეული გადმოაბრუნეს და დურმიშხანი შერჩათ ხელთ. შეწუხდნენ, მაგრამ რაღა ეშველებოდა? სულ მალე უკრაინიდან ლტოლვილი და სოფელში რუსად წოდებული ივანე შემოეხიზნა წიფლნარს და ის დაადგინეს მეველედ.

ცხოვრება კი გრძელდება. ლურჯ ცაზე თეთრი ღრუბელი ჰკიდია, უძრავი, გარინდული, თითქოს დასცქერის ზურმუხტოვან მიწას, სადაც ტყეები და ტბები, მინდვრები და ყანები, მდინარეები და გზები გადაჭიმულან თვალსაწიერის კიდემდე, ხოლო უსიერ ტევრში გრუხუნით და ქშუილით ლიანდაგს მიუყვება მატარებელი და ორთქლის ქულებს ხამუშ-ხამუშ ისვრის ჰაერში, თითქოს არც არაფერი მომხდარა და არც არაფერი შეცვლილა ირგვლივ.

მატარებელი სადგურზე ჩერდება.

ეს იყო საგარეუბნო მატარებელი, ფოთიდან ბათუმში მიემართებოდა და გაჩერდა იგი სამტრედიაში. მიხაკო ნიგურიანი ვაგონიდან ბაქანზე გადმოვიდა. თიბათვის თბილი საღამო დგებოდა. სუსტი ქვენა ქარი აშრიალებდა ალვის ხეების კენწეროებს. მიხაკო ოდნავ ნასვამი იყო, პორტფელი იღლიაში დაუდევრად ჰქონდა ამოჩრილი.

ტილოს თეთრი შარვალი ეცვა, წელზე ქამარშემორტყმული, ცოტათი კოჭლობდა, რადგან წინა დღით ნატკენი ფეხი აწუხებდა, მაგრამ უფრო მეტად აწუხებდა სირცხვილი იმის გამო, რაც წუხელის ჩაიდინა ფოთში ამ ხნის კაცმა. კარგად რომ იქეიფა, ერთ თავის ნაცნობ ქვრივ ქალს მიადგა შინ. ამ ლამაზ ქალთან მიჯნურობა აკავშირებდა და ამიტომაც თამამად მიაშურა სიმღერ-სიმღერით, თუმცა დიდი მომღერალი ვერ იყო, მაგრამ იმდენად კარგ გუნებაზე დამდგარიყო, თავს ისე კარგად გრძნობდა, რომ ემღერებოდა და მღეროდა. მაგრამ ქალმა კარი არ გაუღო, რადგან ჯერ ისე არ ბნელოდა, რომ მეზობლებს ვერ შეემჩნიათ მის სახლში მისული არხეინად აღიღინებული მთვრალი მამაკაცი. კარგა ხნის ამაო კაკუნისა და ხვეწნის შემდეგ, მიხაკომ თავისი ჭკუით გამოსავალს მიაგნო, ეზოში მიგდებული კიბე მეორე სართულის ღია ფანჯარას მიადგა და იქედან დააპირა ბროლის კოშკში შესვლა, მაგრამ მიხაკოს თავხედობით გაგულისებულმა ქვრივმა, რომელიც ხედავდა, რომ ამ ამბავს მეზობლები უყურებდნენ, ხელი ჰკრა აცერცეტებულ მიჯნურს და თავის კიბიანად ძირს დაანარცხა...

კიდევ კარგი იღბლიანად გადარჩა, მხოლოდ დაჟეჟილობა აწუხებდა, მაგრამ მაგას ვინ ჩიოდა, ამ ამბავს მინადორა გაიგებს და თავი მომეჭრებაო, ფიქრობდა მიხაკო და ნატკენ ბარძაყზე ხელს ისვამდა, თან ნელა მიუყვებოდა ბაქანს, სადაც კულაშელ ებრაელებს, მებარგულებად რომ მუშაობდნენ სამტრედიის სადგურზე, ერთი უშველებელი ყაყანი აეტეხათ, სადგურის უკან კი იყო სიწყნარე, ნიავისგან აშრიალებული ხეების ჩრდილები ფართო მოედნის კიდეებში ქვაფენილზე ფარფატებდნენ და თეთრად შეღებილი დაბალი სახლები, ერთმანეთს მიკრულნი, მიკუნჭულნი, ქუჩის პირას გათხრილი ვიწრო თხრილები და ზედ გადებული პატარა ბოგირები უცნაურ ნუგეშს ჰპირდებოდნენ, ამშვიდებდნენ მიხაკოს. იგი შედგა, რათა ეტლი მოეხმო, მაგრამ ეტლები არ ჩანდნენ, არც ერთცხენიანი ორთვალები: „ტაჭკებს“ რომ ეძახდნენ და ბოლო დროს ახლომახლო სოფლებში სამოგზაუროდ და ბარგის გადასატანად სულ უფრო და უფრო ხშირად რომ იყენებდნენ. იყო დრო, მიხაკო ერთი ეტლით არ კმაყოფილდებოდა. კარგად რომ იქეიფებდა, რამოდენიმე ფაეტონს დაიჭერდა, ერთში თვითონ ჯდებოდა, მეორეში მეარღნეს სვამდა, მესამეში თავის ქუდს დებდა, მეოთხეში — პორტფელს და ამგვარად ეწვეოდა ხოლმე მშობლიურ სოფელს, მაგრამ ახლა ის დრო წავიდა და იმ დროისათვის მისაღები ოინები საშიში გამხდარიყო. უწინ, ხე-ტყე რომ გაეჭრა ჭალადიდიდან, ბევრჯერ საბარგო შემადგენლობაც კი გაუჩერებია რომელიმე სადგურში ქეიფით გართულს და მეზობელი სადგურიდან სელექტორით ეხვეწებოდნენ, მიხაკო, დროზე გაანთავისუფლე გზა, სამგზავრო მატარებელი ორი საათია იცდისო. ახლა ასეთ რამეზე დახვრეტა არ აგცდებოდა.

მიხაკომ კეფაზე მოისვა ხელი. დახვრეტა მეტად იოლი საქმე გახდა, ჩვეულებრივი და გავრცელებული. ამ ცოტა ხნის წინათ, მიხაკოს ნაცნობ გუნიას ძველ სენაკში თავისი ხელით გაათხრევინეს სამარე და მერე მისსავე უმცროს ძმას დაავალეს უფროსი ძმის დახვრეტა. როცა უფროსმა ეს დავალება ვერ შეასრულა, ორივე ერთად დახვრიტეს, ვითარცა საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები. არა და, ამ გუნიას დიდი არაფერი დანაშაული არ მიუძღოდა, უბრალოდ, უკმაყოფილება გამოთქვეს სოფლის კრებაზე რაიკომის მდივნის თანდასწრებით, ერთი მეზობელი გლეხკაცის განკულაკებისა და გადასახლების გამო. სხვის ჭირს შეეწირა. რადგან ხელისუფლება ცეცხლით და მახვილით შანთავდა თავისუფლებისა და თვითმყოფობის იოტისოდენა გამოვლინებასაც.

მიხაკომ მარჯვნივ გაუხვია, რიყის ქვებით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩას გაჰყვა, ეტლი გზაში წამომეწევაო. ღვინის წერტთან მთვრალი რკინიგზელები იდგნენ და ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდნენ. მიხაკოს ნაცნობები აღმოჩნდნენ, დაუძახეს და დუქანში შეიპატიჟეს. მიხაკოს თავპატიჟი არ დაუწყია. ვეებერთელა კასრთან დადგნენ და მეღვინეს სამლიტრიანი შტოფი გაავსებინეს. სარდაფში გრილოდა და თან ღვინის მძაფრი სუნი იდგა.

— ჭურღულია ხომ ჩააძალეს იმ კვირას, სხვებსაც ეტირებათ დედა, — ამბობდა ერთი რკინიგზელთაგანი, ეტყობა, წელან დაწყებულ საუბარს აგრძელებდა.

— რომელი ჭურღულია? — იკითხა მიხაკომ.

— როგორ არ იცი, შე კაცო, პირსისხლიანი ჩეკისტი რომ იყო. ნამდვილი ჯალათი. მაგან ოცდაოთხ წელს, საჯავახოში, ჩემი ცხრამეტი წლის ბიძაშვილი, საკუთარ ეზოში, მშობლების თვალწინ მოკლა, პირდაპირ შუბლში ჰედა ტყვია. ეს ბიჭი გამოუცდელი ყმაწვილი იყო, აყვა ფეხის ხმას. გამოსვლებში იღებდა მონაწილეობას, არ დაუჯერა მამამისს, არ გამოვა ეგ საქმეო. აჯანყება რომ დამარცხდა, ქე დაბრუნდა შინ, მაგრამ ასეთნაირად გაიმეტა იმ წარწყმედილმა ჭურღულიამ, სისხლისმსმელი ობოლაძის მარჯვენა ხელმა, ძაღლი მიაკვდა იმას სულში. არც გამოძიება, არც სასამართლო, მშობლებს თვალწინ დაუხვრიტა შვილი. მაგრამ მიიღო კიდეც საკადრისი, არ შერჩა....

— ტყუილად გიხარია. ის სულძაღლი ობოლაძე რომ ჩააძაღლა გოგია ღლონტმა, ჩეკამ ასი კაცი დახვრიტა, მძევლები, ზოგიერთს ობოლაძე გაგებულიც არ ჰქონდა. ტერორს ტერორით უპასუხეს. ახლაც ასე არ მოხდეს!

— ვის მოუკლავს ჭურღულია? — იკითხა მიხაკომ.

— ლევან ღაბარაშვილს, ვენაცვალე იმის მარჯვენას!

ეს გვარი და სახელი მიხაკოს გაგებული ჰქონდა. ტყეში გავარდნილი ყაჩაღი იყო, რომელიც ხელისუფლებას არ ურიგდებოდა და ჯერჯერობით ხელისუფლებაც ვერაფერს უხერხებდა. ხან აჯამეთი და საღორიის ტყეში იმალებოდა, ხან სურების და საირმის მხარეს. ის რკინიგზელი, ჭურღულიას და ობოლაძის მკვლელობაზე რომ ჩამოაგდო სიტყვა, ისევ აქებდა ლევანს და აძაგებდა ჩეკისტებს, და ცოტა არ იყოს, მიხაკომ უხერხულად იგრძნო თავი. ოთხ კაცში ასე თავისუფლად ლაპარაკი ახლა აღარ იყო უხიფათო საქმე, რა იცი, ვინ რას ფიქრობდა გულში? მით უმეტეს, არცერთი ხმას არ იღებდა და თუმცა ნასვამები იყვნენ, ერთმანეთს მაინც ერიდებოდნენ, ბოლომდე არ ამხელდნენ. რასაც ფიქრობდნენ, „აბა, კაცო, უყურე შენო“, მხოლოდ ამ სიტყვებით იფარგლებოდნენ. რა თქმა უნდა, ყაჩაღის მიერ ჩეკისტის მოკვლაზე აშკარა კმაყოფილების გამოთქმა მეტისმეტად სახიფათო იყო და მიხაკოს არ სიამოვნებდა ამ საუბრის მოსმენა.

— ჯერ კიდევ კახეთიდან ჰქონია მაგის ჯინი და ააშენებს ღმერთი, გადაუხადა, — აგრძელებდა შექეიფიანებული რკინიგზელი, — მაგ კვტარძაღლ ჭურღულიას კახეთშიც ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი, ამბობენ იქედან გამოსდია ღაბარაშვილმაო...

ვინმემ რომ დაასმინოს ეს კაცი, ვინ იცის, იქნებ ჩემზეც აიღონ ეჭვიო, გაიფიქრა მიხაკომ. ან იქნებ ისიც დამდონ ბრალად, რატომ შენ თვითონ არ დაასმინეო, აქ ყოფნას გაცლა სჯობდა. მესამე ჭიქა რომ დაცალა, თანამეინახეებს ბოდიში მოუხადა, უნდა წავიდე, საქმე მაქვს საჩქაროო და მადლობის ნიშნად გულზე ხელმიდებული კარში გამოვიდა.

რკინიგზაზე ორთქლმავალმა ჩაიარა ქშენით, ჩუქჩუქით, ვითონ სადღაც ძალიან ეჩქარებოდა. ქუჩის კუთხეში ტანაშოლტილი ჭადარი შრიალებდა. მიხაკომ მარცხნივ ჩაუხვია, ხონის

გზას დაადგა. მიყუჩებული საღამოს სიმყუდროვე ქვაფენილზე ცხენის ფლოქვების ხმამ დაარღვია და უკან გაიხედა. გზაზე ეტლი მოდიოდა. მიხაკო გაჩერდა, წიფლნარში თუ წამიყვანს, წავყვებიო. მიხაკოს რომ მოუახლოვდა, ეტლიც გაჩერდა. ეს აღმასკომის ეტლი იყო და შიგ აღმაკომის თავმჯდომარე ვასო ვაშაკიძე იჯდა ვიღაც ქალთან ერთად. ამ ახალგაზრდა ქალს მიხაკო პირველად ხედავდა.

— საით მიბრძანდები, მიხაკო? — ჰკითხა ვასომ.

— წიფლნარში. ჩემო ბატონო!

— მობრძანდი, წაგიყვანთ!

როცა მიხაკო ეტლში ავიდა და მოპირდაპირე სკამზე დაჯდა, ვასომ უთხრა, ეს ქალიშვილიც წიფლნარში მიდის, ტიტიკო უნდილაძის ნახვა სურს, მე ახალ საავადმყოფოსთან უნდა ჩავიდე, საქმე მაქვს პატარა, შენ კი, მიხაკო, ამ ამხანაგს მეგზურობა გაუწიეო.

— დიდი სიამოვნებით, ბატონო. — თქვა მიხაკომ, ახალგაზრდა ქალს შეხედა და გულთბილად გაუღიმა.

მიხაკოს მოეწონა ეს საკმაოდ მოხდენილი ქალიშვილი, მაგრამ მისმა ჩაცმულობამ შეაფიქრიანა. თითქმის მამაკაცურად ეცვა, ტყავის კურტაკი, ყელამდე შეკრული სამხედრო ხალათი, წელზე ფართო სამხედრო ქამარი. ასე იცვამდნენ კომკავშირის აქტივისტი ქალები, ზოგჯერ ცხენებსაც რომ დააჭებდნენ აღმა-დაღმა და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ განკულაკებასა და კოლექტივიზაციაში, ეკლესიების გაუქმებაში და სხვა ამგვარ საქმეებში, მოსახლეობის უკმაყოფილებას რომ იწვევდა. ეს ცხენზე მამაკაცურად გადამჯდარი შეიარაღებული ქალები მიხაკოს ძალიან არ უყვარდა, დღენიადაგ იმათ დედის გინებაში იყო. მაგრამ ახლა, თანამგზავრის სანდომიანმა სახემ მაინც მოხიბლა, თუმცა რაღაც კაცური გამოსჭვიოდა იმის იერში.

ტრიალ მინდორთან ეტლი გაჩერდა. მინდვრის ბოლოს ერთსართულიან გრძელ შენობას წითელი კრამიტით ხურავდნენ ხუროები. ეს საავადმყოფო უნდა ყოფილიყო. გვერდით, უფრო პატარა შენობაში — საბავშვო ბაღი. ამაზე მთელი რაიონი ლაპარაკობდა და ადგილობრივ გაზეთშიც ბევრი იწერებოდა. მინდორი უკვე შემოელობათ, მაგრამ ცოტა უცნაური ჩანდა საავადმყოფოსა და საბავშვო ბაღის ეზოში ორი საფლავი რევოლუციისათვის დაღუპული ბოლშევიკებისა. ეტლი ბოგირთან გაჩერდა და უცებ მიხაკომ შეამჩნია, რომ იმ ორ საფლავს კიდევ ერთი მიმატებოდა.

— ბიჭოს?! — გაუკვირდა მას. — ეს ვინ დაუმარხავთ აქანა?

ვასო უკვე ეტლიდან ჩადიოდა.

— მიხაკო, ჭურში ხომ არ იჯექი. შე კაი კაცო?

— ასე გამოდის, ორი კვირაა ჭალადიდში ვარ.

— აქ ჭურღულია დამარხეს, ძველი ბოლშევიკი, ბანდიტებმა რომ მოკლეს ამასწინათ! — თქვა მან, ეტლში მჯდარ ქალს ირიბად გახედა, თავჩაღუნულმა ხელი ჩამოართვა, კიდევ ერთხელ თხოვა მიხაკოს, ამ ამხანაგს ყურადღება მიაქციეო. მერე მეეტლეს უბრძანა, ესენი წიფლნარში მიიყვანეო, და ჭიშკრისკენ გაემართა.

— აა, ვიცი, — თქვა მიხაკომ, როცა ეტლი დაიძრა, — მაგ ჭურღულია ღაბარაშვილს მოუკლავს.

— იცნობთ ღაბარაშვილს? — პირველად ამოიღო ხმა ქალმა.

— არა, ბატონო, საიდან უნდა ვიცნობდე, ისე გამიგია! — ჩაიცინა მიხაკომ და შეამჩნია, რომ მის თანამგზავრს ცოტა მჭახე ხმა ჰქონდა.

მალე ეტლმა გალავანშემოვლებულ სასაფლაოს ჩაუარა, რომლის შუაგულში ცაცხვის ხეებით გარშემორტყმული გუმბათმოგლეჯილი ეკლესია იდგა.

— ეს ბოლშევიკები საავადმყოფოებისა და ბავშვთა ბაღების ეზოებში რომ მარხავენ თავის მკვდრებს, ვითომ უკეთესია? — დაცინვით ჩაილაპარაკა

მიხაკომ და ნანგრევებად ქცეულ ეკლესიას გახედა.

— დიახ. ასეა საჭირო. რათა ხალხმა უკეთ დააფასოს მისთვის თავდადებული გმირები.

მიხაკომ გაკვირვებით შეხედა ახალგაზრდა ქალს, მაგრამ არაფერი უთხრა. მერე სათუთუნე ამოიღო და თუთუნი გაახვია.

წიფლნარამდე ჩუმად იმგზავრეს. მიხაკო ეწეოდა და თან ნაცნობ სივრცეს გასცქეროდა, მუდამ უცვლელს, ჩვეულს, ხეებით დაბურულს, მწვანედ გაშლილი მინდვრებით დამშვენებულს, ღელეებით დაღარულს, ღობეებით დაყოფილს. წიფლნარში ეტლი საბჭოს შენობას მიადგა, მაგრამ ტიტიკო იქ არ დახვდათ. აივნიან ქოხის მოჯანჯღარებულ კარზე დიდი ბოქლომი ეკიდა, ხოლო საღამოს ბინდით დათალხულ ეზოში ტანზე ხავსაკრული ძველი წიფელი შტოებს ამოძრავებდა.

— ქალბატონო, ამაღამ ჩემს ოჯახში გაათენეთ, დილას მოვძებნოთ ეგ თქვენი ტიტიკო უნდილაძე.

ქალიშვილმა პირველად გაუღიმა მიხაკოს და პირველად გაუსწორა თვალი.

— მაშინ გავიცნოთ ერთმანეთი! — და ხელი გამოუწოდა.

— მე მიხაკო ნიგურიანი გახლავართ!

— თამარ ღაბარაშვილი! — და წამით, ჩაკიდებული ხელები შეაყოვნეს, მზერაში მოულოდნელობა და დაძაბულობა აისახა, მეყვსეულად გამონათებული ღიმილის შენარჩუნებას ძალდატანება დასჭირდა, და მერე ქალმა მტკიცე ხმით განაგრძო: — ბანდიტ ლევან ღაბარაშვილის და გახლავართ, ჭურღულიას მკვლელის, მაგრამ ჩემს ძმას და მისთანებს არ თანავუგრძნობ, პირიქით, დაუნდობლად ვებრძვი!

— მაგას რა სჯობს, ბატონო! — გაიღიმა მიხაკომ და თან გაიფიქრა, ეს ვინ ყოფილაო!

იმ საღამოს, სტუმარი შინ რომ მიიყვანა და მინადორას და მართას გააცნო, როგორც კომკავშირელი და რევოლუციონერი, მისი ძმის ბედი არ ასვენებდა. პირველად დაინტერესდა ამ ტყეში გაჭრილი ყაჩაღით, ხელისუფლებასთან მებრძოლი განთქმული ვაჟკაცით, უზარმაზარ ვეშაპს წინ რომ აღსდგომოდა და არ ნებდებოდა, არ ემორჩილებოდა. ამბობდნენ, ერთხელ, რკინიგზაზე დრეზინით მომავალი კომისარი სტურუა დაიჭირაო, „შენი მოკვლა არაფრად მიღირს, შე საცოდავო, მაგრამ თქვენისთანა კი არა ვარო. გაფრთხილებ, ქართველი ხალხის ქლეტას თავი დაანებეთ, ასე გადაეცი თქვენიანებსა, თორემ მეორედ ვერ გადამირჩებიო“, ამ სიტყვებით გამოუშვაო, მაგრამ იმის საქციელს ბოლშევიკები არ გამოუსწორებია, კომისრები და მათი დამქაშები კვლავ უმოწყალოდ უსწორდებოდნენ თავიანთ მტრებს, მათ კი ყველა მტრად მიაჩნდათ, დღეს ერთი, ხვალ მეორე, ზეგ მესამე, ვინც კი რატომღაც თვალში არ მოუვიდოდათ თავიანთი უცნაური პოლიტიკიდან გამომდინარეთ. თუმცა უცნაური რა იყო, ხელში ჩაგდებული ძალაუფლების განმტკიცება სურდათ შიშით, ტერორით, დამონებით და ბევრი ჰყოლოდა მათ, თუნდაც ეს ქალიშვილი, თამარი, დაი ამათ წინააღმდეგ თავდაუზოგავად მებრძოლისა, და მიხაკოს სურდა გაეგო, როგორ მოხვდნენ ისინი სხვადასხვა ბანაკში, ვითომ ეს უჩვეულო საქმე იყოს საქართველოში, სადაც ერთი კუთხე მეორეს არ ცნობს, არ ეგუება, ერთი მხარე მეორეს ისე აღიქვამს, როგორც ქვეყნის დასაკარგავს, სადაც ერთი კაცი მეორეს იშვიათად თუ დაეთანხმება, — მაგრამ თამარი თავის ძმაზე ხმას არ იღებდა, მხოლოდ ტანის დაბანვა მოისურვა იმ საღამოს. მინადორამ და მართამ წყალი გაუთბეს სამზად ქოხში, ტაშტი გამოუტანეს და აბანავეს, და მერე ყვებოდნენ, მშვენიერი ტანი ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე ნაჭრილობევი ამახინჯებდაო, ხოლო ტყავის კურტაკის ჯიბეში რევოლვერი ედოო. ნაბანავები ეახშმად რომ დას-

ვეს, მიხაკოს ისევ მისი ძმის ბედი აინტერესებდა, მაგრამ თამარი, ბანაობის მერე დამშვენებული, ლოყებაწითლებული, ლამფის ალზე თვალებგაბრწყინებული და მიხაკოს დაყენებული მსუბუქი კაჭიჭის ღვინით ოდნავ შეზარხოშებული, მხიარულად ელაპარაკებოდა მასპინძლებს, მინადორას, მართას, ავთოს და ნიკუშას, განსაკუთრებით ავთო მოეწონა, ჩვიდმეტი წლის გოლიათი, რომელიც გვერდით მოისვა და შუბლზე ჩამოყრილ ქოჩორში შეუყარა თითები მოფერების ნიშნად, თუმცა რაღა მოფერება სჭირდებოდა ამ მუტრუკს, მაგრამ თამარი ეტყობა ჯერ კიდევ ბავშვად მიიჩნევდა ესოდენ ტანსრულ და ზორბა ყმაწვილს, მართლაც დიდ ბავშვს რომ მოგაგონებდათ, მაგრამ მიხაკოს ის კი არ ენიაზებოდა, როგორ შეეთვისებოდა თამარი მისი ოჯახის წევრებს, ლევანის ამბავი სურდა გაეგო დაწვრილებით და ცდილობდა როგორმე გამოეწვია თამარი ამ თემაზე სასაუბროდ, ღვინოს უსხამდა, იქნებ, ენა ამოიდგასო, მაგრამ არა, ძმა ერთხელაც არ უხსენებია, არ დასცდენია, რომ იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იბრძოდა, ხოლო ერთხელ, როცა დავალებით სადღაც გააგზავნეს, უკან მობრუნებულს რაზმი წასული დახვდა, ბანაკის ადგილზე კი ჩეკას საფარი მოეწყო. ასე ჩავარდა იგი, ასე შეიპყრეს და სიღნაღში ჩაიყვანეს, სადაც ამ ქალაქის მაშინდელი პატარა მეფე, რაიკომის მდივნად წოდებული, გვარად ვარამაშვილი, ვარამი და ჭირი მის თავსაო, ქოქოლას რომ აყრიდნენ სიღნაღელი დედაკაცები, — ყოველ საღამოს, როგორც კი დაბინდდებოდა, დროგზე ყრიდა ხელფეხშეკრულ პატიმრებს, ქალაქის გალავანს მიღმა გაჰყავდა და იქვე, კედელთან ხვრეტდა. ქალაქში ისმოდა სროლის ხმა ღამღამობით, ყველამ იცოდა, რაც ხდებოდა, მეორე დღეს გალავნის კედელზე სისხლის ნაშხეფებს პოულობდნენ პატარა ბიჭები, მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა, ისევე როგორც გრძელდებოდა ხვრეტა ხალხისა და ეს ბედი არც ლევან ღაბარაშვილს ასცდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს, თელავის ციხეში რომ არ გადაეყვანათ, სადაც მისი ორი თანამებრძოლი თუში ბიჭი შეეპყროთ და შეეგდოთ. ამ ქალაქში მათიკაშვილი უსწორდებოდა ეკრეთწოდებულ კონტრრევოლუციას, ნათავადარებს, ნააზნაურალებს, სამღვდელოებას, ინტელიგენციას და დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებეთ. იგი მიტინგებზე რუსულად აუწყებდა ამ ენის არ მცოდნე მოსახლეობას, ჩემი კომუნისტური სინდისი სუფთაა. რადგან პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს ვსპობო. სად იყო პროლეტარიატი კახეთში, მოოქროვილი ზვრებით, ცურის ყანებით, ხეხილის ბაღებით დახუნძლულ ალაზნის ველზე. მაგრამ მათიკაშვილი ამას არ დაგიდევდათ, რამეთუ მისთვის და მისთანებისთვის ქვეყანა იყოფოდა პროლეტარებად და კაპიტალისტებად, ღარიბებად და მდიდრებად, წითლებად და თეთრებად. არცა ზნეკეთილნი და უკეთურნი. არცა ნიჭიერნი და უნიჭონი, არცა ლამაზები და მახინჯები, არცა ქართველები და თათრები, არცა თეთრები და ზანგები, მისთვის არსებობდნენ მხოლოდ მოწინააღმდეგეები და თანამოაზრენი. და ერთ მშვენიერ დღეს, მათიკაშვილის სამეულმა დახვრეტის განაჩენი გამოუტანა ლევან ღაბარაშვილს და მასთან ერთად საკანში შეყრილ მეცხვარე თუშებს. როცა მეორე ღამეს გაბადრულმა მთვარემ გაანათა ცა ნადიკვრისა და ზუბებოს თავზე, ხელშეკრული დასახვრეტნი გზას გაუყენეს. ყველამ იცოდა ის შავი მთა, სადაც უმოწყალოდ ხვრეტდნენ ამ მთებისა და ამ მიწის შვილებს. და შეიარაღებული ბადრაგის მიერ იმ მთაზე მიყვანილმა ლევანმა თვითონაც ვერ გაიაზრა, როგორ მოწყდა ადგილს, ისკუპა თხრილზე და მახლობელ ტყეში შევარდა. წელში მოღუნული გარბოდა გამწარებით, უკნიდან კი ტყვიებს აყრიდნენ, მაგრამ თოფების ბათქა-

ბუთქი და ტყვიების ზუზუნი არც კი ესმოდა დაბურულ შქერში სულმოუთქმელად მრბოლს. ეკლიანი შტოები მათრახივით სახეში ეხლებოდა, ის კი მირბოდა, თითქმის გონს გადასული. აღარც ის იცოდა რამდენ ხანს ირბინა, მხოლოდ ის იგრძნო. რომ მიწაზე დაეცა ტანსაცმელშემოფლეთილი, ზურგს უკან ხელებგაკრული, ეკლებისგან დაკაწრული სახით გამხმარ გოროხებს შეეხო, მიესვენა და შემოესმა საკუთარი სუნთქვა, აჩქარებული, ხავილის მსგავსი, სასოწარკვეთილი. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სულს ძლივს ითქვამდა და უცებ მიხვდა, რომ მოხდა სასწაული, რომ არ გამოქცეულიყო, ახლა უკვე მკვდარი იქნებოდა და იმ თხრილში ეგდებოდა, წელან რომ გადმოევლო რაღაც უცნაური ძალით ზეაღტყორცნილი, და ისევ წამოხტა, მაგრამ აღარ გაქცეულა, ფრთხილად, უჩუმრად მიიკვლევდა გზას გაუვალ ტევრში, ზოგჯერ ფეხი უცდებოდა და სადღაც ბნელ სიღრმეში მიექანებოდა, ეცემოდა, მაგრამ ისევ დგებოდა, ბარდებს ედებოდა, ბაწრით გაკრულ და გახეხილ მაჯებზე სისხლი სდიოდა და ტკივილისგან თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მაინც იარა ბოლომდე და სადღაც, შუამთასთან, ტყიდან გზაზე გამოაღწია. ღრუბელთა ქობით გარშემოვლებული მთვარე აუმღვრეველ შუქს მკრთალად აღვრიდა ტყის შუაგულში თეთრად მოქათქათე დაკლაკნილ საურმე გზას, და მერე შარაზე ურმის ჭრიალი გაისმა, ესოდენ მშვიდი. ნაცნობი და უწყინარი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უნდა მინდობოდა მეურმეს. მეურმე მოხუცი გლეხი აღმოჩნდა, თივით დაზვინული ურმის კოფოზე მჯდარი. მიუახლოვდა და უამბო თავისი ამბავი. იმან ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და ხელები გაუხსნა, მერე თივაში ჩამალა და ასე გადმოატარა გომბორის მთა.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, ხელებშეკრული, ზედ სამარის კიდეზე მდგარი ტყვე რომ გაექცათ და გამწარებული ჩეკისტები მეტისმეტი გულმოდგინებით დაეძებდნენ მის კვალს. ამიტომაც იყო, რომ მშობლიურ ქალ ხეთს განერიდა, და ჯერ ქართლში გადავიდა, შემდეგ იმერეთში. ხალხი ყველგან უკმაყოფილო იყო. და ყველგან პოულობდა თანამზრახველებს, დამხმარეებს, ხელშემწყობებს. მარტო ის არ იყო ტყეში გაჭრილი, ბევრი ჰყავდა თანამგრძნობი და თანამებრძოლი, მაგრამ დღითი დღე უფრო ძნელდებოდა ხელისუფლებასთან ბრძოლა და თავის გატანა, ზოგი მისი ამხანაგი საზღვარზე გადავიდა, ზოგი დახოცეს, ზოგი ხელისუფლებას შეურიგდა, მასაც რამდენჯერმე შემოუთვალეს, ჩაგვბარდი და დანაშაულს გაპატიებთო, მაგრამ მაგათ რას ენდობოდა. გასაკვირი და გულსაკლავი ის იყო მისთვის, რომ მისი ღვიძლი და, მისი სისხლი და ხორცი, მთელი არსებით მინდობოდა გამარჯვებულ რეჟიმს, მსოფლიო რევოლუციის იდეალები ცხოვრების მიზნად დაესახა და თავისი პატარა სამშობლო, საცოდავი საქართველო დავიწყებოდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა საკუთარ ძმას, სწორედ იმ ადგილებში გამოჩნდებოდა ხოლმე. სადაც ლევანის ყოფნას ვარაუდობდნენ, და ყველანაირად იბრძოდა საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის. ასე ნელ-ნელა ჩამოაღწიეს ორივემ კახეთიდან იმერეთის კუნჭულში, სხვადასხვა გზებით მომავალთ, სხვადასხვა მიზნებით შეპყრობილთ, სხვადასხვა უფლებებით აღჭურვილთ, მაგრამ ამის შესახებ იმ საღამოს თამარს სიტყვა არ დასცდენია. ვახშამი რომ მოთავდა, სტუმარი ცალკე ოთახში მოასვენეს, იმ ოთახში, ერთხანს ვენეს რომ ეკავა.

იმ დღიდან თამარი მიხაკოს ოჯახში დარჩა. როცა მეორე დღეს ტიტიკო უნდილაძემ მოაკითხა და საბჭოთა შენობაში გადასვლა შესთავაზა, სადაც მისი აზრით, თამარი უფრო მოხერხებულად იგრძნობდა თავს, მან ეს არ ისურვა, თავისი ახალი მასპინძლების

მიტოვება არ მოინდომა. იგი ყველანაირად ეხმარებოდა ახლად დაარსებული კოლექტივის თავმჯდომარედ დანიშნულ ტიტიკოს კოლექტივიზაციის გატარებაში, სად არ უხდებოდა ყოფნა, ხან ცხენზე ამხედრებულს, ხან კოლექტივის „პრალიოტკით", ხან ფეხით მტვრიან თუ ტალახიან შარაგზაზე. ხან მუქარით, ხან დაყვავებით არწმუნებდა გლეხებს კოლექტიური შრომის უპირატესობაში, თითქოს იმათ არ იცოდნენ რა იყო მათთვის სასარგებლო, ესენი კი მდიდრებს არ-თმევდნენ, ღარიბებსაც არაფერს აძლევდნენ, მიხაკოსაც ჩამოართვეს ცხენისწყლის პირზე რომ ყანები ჰქონდა და მხოლოდ ეზო-კარმიდამო დაუტოვეს, რის გამო, ცოტას რომ გადაჰკრავდა, აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, დაგვაქციეს ამ ბოლშევიკებმაო. ხან აღმა მიგვერეკებიან, ხან დაღმა, გლეხი ისევ სახელმწიფოს ყმად აქციეს, ჩვენი საშველი არასოდეს არ იქნება, თუ თავისუფლება ვერ მოვიპოვეთო, მაგრამ თამარი მას არასოდეს ედავებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ მიხაკო არ მიაჩნდა პოლიტიკურად ანგარიშგასაწევ პიროვნებად, ხედავდა რა, რომ ეს დროსტარების მოყვარული კაცი იყო, მაგრამ მის ოჯახში ერთობ შინაურულად გრძნობდა თავს, რადგან ეტყობა, ოჯახური სიმყუდროვისკენ ლტოლვა ჯერ კიდევ მთლიანად არ აღმოფხვრილიყო მისი ქალური ინსტინქტიდან, თუმცა არც ოჯახი გააჩნდა და არც დრო და მოცალეობა, ოჯახი რომ შეექმნა. მამაკაცურ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ მაინც ქალი იყო, დედური მფარველობის გრძნობა, როგორც ჩანს, მაინც ღვიოდა მის სულში და ზოგჯერ მინადორას ეუბნებოდა ავთო მომაშვილეთო. განა ბევრად უფროსი იყო ავთოზე? და მინადორას უკვირდა მისი ასეთი დამოკიდებულება ამ ბიჭის მიმართ. მართალია, ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ მინადორა ბოლომდე ვერ გარკვეულიყო რა იზიდავდა ახალგაზრდა ქალს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ყმაწვილში, მისი ჯანღონე, გარეგნობა თუ გულუბრყვილობა? ან იქნებ ის მოსწონდა, ლელობურთს რომ თამაშობდა მოზრდილებზე უკეთ აწ გუმბათმოგლეჯილ მაცხოვრის ეკლესიის მინდორზე და ჭიდაობაშიც რომ ბადალი არ ჰყავდა სოფლის ბიჭებში? მიუხედავად იმისა, რომ დიდი ჯანის პატრონი იყო, კეთილი ხასიათი ჰქონდა, ჩხუბი და აყალმაყალი ჭირივით ეჯავრებოდა, თუმცა საკმაოდ მოუსვენარი და დაუდგრომელი იყო, მაგრამ ამავე დროს იყო მშვიდი და წყნარიც, მშობლების და და-ძმის დამჯერე. ამასთან ერთად, ავთოს შეეძლო უცბად გამოქცეულიყო, ეზოში მდგარი დედა ან მართა ერთბაშად ხელში აეტაცებინა და ღობეზე გადამხტარიყო. მიუხედავად გულგახეთქილი ქალების წივილ-კივილისა და წყევლა-კრულვისა, ეს ოინები თამარს ძლიერ მოსწონდა.

— ავთო, შენი ჭირიმე, წამომყევიო ,— ეტყოდა ხოლმე და თან იახლებდა ხან დაბაში, ხან საბჭოში, ხან ბაზარში, ხან კოლექტივის კანტორაში. ეტყობა, სიამოვნებდა ეს ზორბა ბიჭი გვერდით რომ ედგა დამცველივით და ისიც დაუზარებლად დაჰყვებოდა, ყოველგვარ დავალებას უსრულებდა, თუმცა, ზოგჯერ, მისი თანხლება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამიტომ, იყო ხოლმე შემთხვევა, როცა ავთოს ეზარებოდა მეგზურობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძმა-ბიჭებით იყო გართული. ერთხელ, ბურთს რომ თამაშობდნენ შრიალა ვერხვებით გარშემორტყმულ ღელისპირა ჭალაში, შინიდან ნიკუშამ მოირბინა, თამარი გეძახისო, მაგრამ ეს ავთოს აინუნშიც არ ჩაუგდია და თამაში განაგრძო. ცოტა ხნის მერე თამარმა თვითონ მოაკითხა, მინდვრის ბოლოში ხესთან დადგა და დაუძახა, მაგრამ ავთომ ბურთაობა არ მიატოვა. თავგადაკლული თამაში იცოდა, ერთხელ ფეხის ცერა თითი ამოიგდო და

მანამდე ვერ შეამჩნია, სანამ თითი მოტეხილ ღეროსავით არ ჩამოეკიდა და კარგა არ აიძულა კოჭლობით ევლო. თამარი მოთმინებით იდგა, ვიდრე დაღლილ-გაოფლილ ბიჭებს ბურთის დევნა არ მოსწყინდათ, ხოლო როცა ნაბურთავები, გახურებული ყმაწვილები ღელეში ჩახტნენ, იჭყუმპალავეს და მერე ჩაიცვეს, წყენის მაგიერ გაბადრული, მომუდარე სახით თხოვა, ხიბლეთში წამომყევიო.

განა მარტო არ შეეძლო მეზობელ სოფელში წასვლა? ეს ის ქალი არ გახლდათ, გზად ვინმესი ან რამესი შეშინებოდა. მაგრამ ავთოს მაინც ბუნებრივად მოეჩვენა მისი თხოვნა და მიუხედავად იმისა, რომ ნაბურთავები საკმაოდ დაღლილი იყო, უყოყმანოდ გაჰყვა.

იმ დღეს ცას ღრუბლები აკვროდა, დროდადრო წვრილად ცრიდა, ჰაერი ნესტისა და ნეშოს სუნით გაჟღენთილიყო. სოფელს რომ გასცდნენ, წვიმა დაიწყო და თანდათან იმატა, შორიდან ქეჟა-ქუხილის გრგვინვამ მოაღწია. მოსახვევში გამოჩნდა ირიბად წაფერდებული, გვერდზე გადახრილი, ყავარაყრილი ქოხი. ეზო-კარმიდამო უპატრონოდ იყო მიტოვებული, ღობე ნოშლილი, ჭიშკარი მორღვეული, მუხლამდე ამოსული ჟვერი და ჟალტამი. თუმცა ქოხის უკან ვიღაცას სიმინდი დაეთესა, მაგრამ აღარ გაუთოხნია და ამიტომ ყანას ვერ უხარია. გზიდან გადაუხვიეს, ბოგირზე გადაირბინეს და ამ ქოხის აივანს შეაფარეს თავი, მაგრამ წვიმა აქაც ატანდა. ავთომ ფანჯარა გააღო და ოთახში გადაძვრა, კარები დაჭედილი იყო.

— მე ვერ გადმოვალ, მომეხმარე! — გაინაზა თამარი.

— რა უნდა აქ გადმოსვლას?! — შესძახა ავთომ, იღლიაში ამოსდო ხელი და ფანჯარაში ციმციმ გადაასკუპა. თამარმა შეჰკივლა და კისერზე მოხვია ხელები. მაგრამ როცა ავთომ იატაკზე დასვა, არც მაშინ გაუშვა, პირიქით, ლოყაზე მიეკრო და ყურში უჩურჩულა, რა ღონიერი ბიჭი ხარო. წამით იდგნენ ასე, მერე ალანძღული ავთო განზე გაიწია, თავი გაიმართა და ოთახი ცარიელი იყო. ეტყობოდა აქ არავის ეცხოვრა კარგა ხანია. კუთხეში ხმელი თივა ეყარა. იმ თივაში ჩასხდნენ, ეს იყო ერთადერთი მშრალი ადგილი ერთ თვალ ქოხში, რადგან წვიმა სახურავიდან თქრიალით ჩამოდიოდა და იატაკის აყრილ, გამომპალ ფიცრებს ასველებდა. ფანჯრიდან მოჩანდა ბეოლის ხე, რომლის ერთ ტოტზე გრძელკუდიანი ჩიტი დასკუპულიყო და ჭიკჭიკებდა. თამარმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ავთოს გაუწოდა, ესროლე იმ ჩიტს, აბა, თუ მოახვედრებ და ხიდან ჩამოაგდებო!?

— რას ვერჩი. იჭიკჭიკოს და იყოს! — უთხრა ავთომ, ოდნავ განზე გაიწია, იარაღს არც კი შეხედა, თამარი კი კედელს ზურგით მიეყრდნო, თითქმის ნახევრად გაწვა თივაში და მიბნედილი თვალები მიაპყრო ყმაწვილს.

— ავთო, თუ გინდა გაჩუქებ ამ იარაღს, ჩემს სამახსოვროდ გქონდეს! — ქალის ხმა ერუანტელის მომგვრელი მთრთოლვარებით აღერდა მიტოვებული ქოხის ის სიმყუდროვეში, სადაც წვიმის წვეთები ტკაპანით ეცემოდნენ ნესტით დამბალ იატაკზე.

— არ მინდა, იარაღი არ მიყვარს, კაცს ტყვიას ხომ არ ვესვრი?! — ბიჭმა განზე გაიხედა.

— მაშინ რაც გინდა მთხოვე და მოგცემ! — თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა, თითქოს სანუკვარ საიდუმლოს ანდობდა.

ქალის გაბზარული ხმა სიტყვებზე უფრო მოქმედებდა, აბნევდა და აფრთხობდა ყოვლად გამოუცდელ ბიჭს. მას სახეზე ალმური მოედო და ეს რომ იგრძნო, შერცხვა. თითქოს რაღაც იაზრა და ვერ ჩასწვდა ბოლომდე. თვალი მოარიდა უცნაურად სახეშეცვლილ ქალს, წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა.

— საცაა გადაიღებს? არ წავიდეთ? ქალმა შორიდან შემოხედა ხანგრ-

ძლივი, საყვედურიანი, ნაღვლიანი, ბუნდოვანი მზერით, თითქოს ცეცხლი ქრებოდა მისი სხეულის სიღრმეში და იმედთან ერთად სინათლეც თანდათან იბეუტებოდა. მერე მის თვალებზე გადაკრული ლიბრი თანდათან დაიწმინდა და მზერაში სიცხადემ გამოანათა. ნელა წამოდგა, კაბა დაიფერთხა, თივის ბულულები გულდასმით მოიშორა, ბიჭს ცივად შეხედა და მშვიდად უთხრა: ჰო, წავიდეთ, დროაო.

ისევ გამოვიდნენ წვიმაში და მიჰყვნენ ალუფხულ შარაგზას, ვიდრე სოფლის განაპირას. გამურულ სამჭედლოს არ მიადგნენ და იქ არ შეაფარეს წვიმას თავი.

სამჭედლოში სამი ძმა მუშაობდა, ტყავის ფეშტემალაფარებული. ეს მჭედლები ცნობილი იყვნენ ამ კუთხეში. პაპაც მჭედელი ჰყავდათ, მამაც. მაგრამ მამა ოცდაოთხი წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაიჭირეს და დახვრიტეს. ახლა უფროსი ძმა, ოცდაათს მიტანებული აქვსენტი პატრონობდა სამჭედლოს. იგი ისე ძლიერი იყო, კუნთებდაბერილი, მაღალი, მხარბეჭიანი, რომ ერთხელ, ცხენს რომ ნალავდა, იმდენად გააბრაზა იმის ჭირვეულობამ და სიფიცხემ, რომ თავში მუშტი დაჰკრა და წააქცია სამი წლის ბედაური. დანარჩენი ორიც მარჯვე ნალბანდები იყვნენ. უმცროსი, ხუჭუჭთმიანი აბესალომი, თვრამეტი წლისა იქნებოდა. ავთო და თამარი ქოხში რომ შემოვიდნენ და თამარმა გააგებინა აქვსენტის თუ ვინ იყო და რა საქმეზე მოსული ამ სოფელში, — საბჭოს თავმჯდომარე უნდა ენახა და ღარიბთა კომიტეტი უნდა დაეარსებინა. — აქვსენტიმ რაღაც გადულაპარაკა აბესალომს. აბესალომმა ურო დადო, ფეშტემალი მოიხსნა და გარეთ გავიდა. ისევ წვიმდა. სამჭედლოს უკან ამღვრეული ღელე ნაპირიდან გადმოსულიყო და ფშანში კვატები ჭყუმპალაობდნენ, კმაყოფილი ყიყინებდნენ. ღელეზე ბოგირი იყო გადებული, სამი მსხვილი მორისაგან შეკრული, ხელის მოსაკიდებლად გრძელი ჯოკი მიემაგრებინათ ბოგირის გასწვრივ. აბესალომმა ბოგირზე გადაირბინა და ბუჩქნარით და თხმელნარით შემოსაზღვრულ ვრცელ მინდორს მიაშურა. აქედან იწყებოდა ამ სოფლის საძოვრები, ხოლო მარცხნივ მდინარისკენ მიწევნილი ტყე იბურებოდა. აბესალომმა მინდორი გადაჭრა და ტყისკენ გაუხვია. სანამ ტყეში შევიდოდა, შედგა და უკან მოიხედა. ნისლში გახვეული სოფელი ძლივსღა ილანდებოდა, მხოლოდ სამჭედლოდან ამოდიოდა ბოლის სვეტი. კაციშვილი არ ჩანდა იმ არემარეზე. აბესალომი შებრუნდა, ტყეში შევიდა და ბილიკს დაადგა. ტყე ბნელი იყო, წიფლის ხეებს აქა-იქ თხმელაც შერეოდა, შიგადაშიგ ტოტებგაშლილ ფიჭვებსა და ცაცხვებსაც წააწყდებოდა... ფოთლების საფარში წვიმა ნაკლებად ატანდა, მოჭრილი ხეებისგან დარჩენილ კუნძებთან მიწა ნაფოტივით იყო მოფენილი. შორს ჩიტი სტვენდა, ცივი სინესტით გაჟღენთილი ტყე ერთიანად სველი იყო და გასლიპულ მიწაზე ფეხი სრიალებდა. მერე ბილიკი წაიშალა, აბესალომი ალლოთი მიიკვლევდა გზას და ერთბაშად მიადგა დიდი წიფლის ქვეშ ნეშოთი შეკრულ კარავს. სადაც ნაბადში გახვეული კაცი მიწოლილიყო მიმქრალ ცეცხლთან. აბესალომმა დაუსტვინა და ნაბადში გახვეულმა თავი წამოსწია.

— რამ მოგიყვანა? — მაგრა გაციებული კაცის ჩახრენწილი ხმით იკითხა მან.

— რავა ხარ? — ჰკითხა აბესალომმა პასუხის მაგიერ.

— ისევ ისე!

— არ დაგიკლო სიცეხემ?

— არა!

— პურიც არ გიჭამია.

— ჭამის თავი არა მაქვს.

— შენი და მოვიდა ჩვენთან სამჭედლოში!

ნაბადში გახვეული იდაყვებზე წამოიწია და ჩაწითლებული, ანთებული თვალები მიაპყრო მოსულს. სახე

წვერით ჰქონდა დაფარული, სასთუმალქვეშ მაუზერი ამოგდებული, ცალი ხელი მაუზერის ტარზე ედო.

— რაო, რა მინდაო?

— წვიმას შეაფარა თავი. თავმჯდომარეს ეძებს, ღარიბთა კომიტეტი უნდა დავაარსოთო...

ნაბადში გახვეული ისევ მიწვა ხმის ამოუღებლივ. ექვსი წელი იყო და არ ენახა. ჩვეულებრივი გოგო იყო, ჩვეულებრივად იზრდებოდა, ყურადღებით არავინ ანებივრებდა. ვერ გაეგო რა მოუვიდა ასე როგორ მოწამლეს. როცა თვითონ სოფლიდან გაიქცა და ქაქუცას რაზმში ჩაირიცხა, იშვიათად ნახულობდა, ისიც ღამით, საზოვაგის ამოსატანად რომ ჩადიოდა სოფელში. კომკავშირში შევიდაო რომ უთხრეს, ძალიან გაუკვირდა, რადგან მის ოჯახში სულ სხვა განწყობა სუფევდა მუდამ, საქართველო იყო მათი სახატე. არ ელოდა მისი ღვიძლი და ვიღაც ქარაქუცა მოყრანტალეებს. სინამდვილეში კი საკუთარი სამშობლოს დამანგრეველებს თუ აჰყვებოდა, იმათ უჭკუო ყბედობას თუ დაიჯერებდა, იმათ მახინჯ საქმეებს თუ მოიწონებდა. რცხვენოდა დის საქციელი და თან ებრალებოდა იგი, მაგრამ მერე, მშობლიური კუთხიდან გადახვეწილი ოჯახის ამბებს ვეღარ გებულობდა და უკვე ბევრ რამეზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, რადგან ტყეში ცხოვრებამ ნადირის თვისებები თანდათან უფრო განუვითარა და მხოლოდ აწმყოთი შემოსაზღვრა მისი ინტერესები. შომავალზე იგი აღარ ფიქრობდა, რადგან იცოდა, მომავალი არა ჰქონდა. ყოველწამს ელოდა სიკვდილის ანგელოზის გამოჩენას და ახლა, სენმა რომ ხელი დარია, წარსულმა ისევ გაახსენა თავი. ვინმე ახლობლის ნახვა მოენატრა, მშობლიური ადმიანის ხმის გაგონება მოსწყურდა. ისევ წამოიწია იდაყვზე, საველე ჩანთიდან ქაღალდის ნაგლეჯი და ფანქარი ამოიღო, დიდხანს წერა წერილი, მერე დაკეცა და აბესალომს გაუწოდა. რომელიც მიწაზე ჩაცუცქული ცეცხლს სულის შებერვით აჩაღებდა.

— აჰა, ეს წერილი ჩემს დას გადაეცი როგორმე და ამომიყვანე აქა!

აბესალომმა წერილი გამოართვა.

— ენდობი?

— ვისა?

— თქვენ დას!

— დას თუ არ ვენდე, მაშ ვიღას ვენდო?

რა ვიცი, აბა? — აბესალომმა წერილი უბეში შეინახა, — კაი ბატონო! — და იმავე გზით გაბრუნდა სოფელში.

ცხადია, ავთოს და თამარს ვეღარ მიუსწრო და მეორე დღეს, როცა მზემ გააშრო წინა დღის ნაწვიმარი მიწა, წიფლნარის გზას დაადგა. უფროსმა ძმამ ავქსენტიმ კიდევ ერთხელ დაარიგა, ფრთხილად იყავიო, ხოლო შუათანას, ლეონტის არც ამჯერად ამოუღია ხმა. იგი ერთი წლით უფროსი იყო აბესალომზე, ჩუმი და წყნარი. მუდამ მომღიმარი, მორცხვად თავდახრილი. შუბლზე ქოჩორჩამოყრილი. მისი ხმა იშვიათად ისმოდა, მხოლოდ მუშაობის დროს თუ დაილაპარაკებდა, სხვა დროს მოწიწებით უსმენდა ყველას, თავის გამოჩენა არ უყვარდა, მაგრამ რასაც ძმები ავალებდნენ, პირნათლად ასრულებდა. იმდენად მორჩილი, მორიდებული და მოკრძალებული ყმაწვილი იყო, რომ ვისიმე ყურადღება აბნევდა და აკრთობდა. „საწყალი გულის არისო“, ამბობდა უფროსი ძმა ავქსენტი ლეონტიზე და ყოველთვის მეტი ყურადღებით და ალერსით ეპყრობოდა, ვიდრე უმცროსს აბესალომს, თუმცა გული იმისკენ უფრო მიუდიოდა და საქმეში იმას უფრო ენდობოდა. თვითონ ორი პატარა შვილი ჰყავდა, დათვის ბელებივით ჩამკვრივებულნი, ლოყებგალაქლაქებულნი, ქერათმიანები. მაგრამ უმცროს ძმებსაც შვილებივით მზრუნველობდა და პატრონობდა.

აბესალომი მეტად მკვირცხლი და ყოჩაღი ბიჭი იყო, წიფლნარში რამდენ-

ჯერმე ნამყოფი. მან კარგად იცოდა ვის ოჯახში იდგა თამრ ლაბარაშვილი, მაგრამ არ იცოდა სად იყო ნიგურიანების კარმიდამო. სოფლის განაპირას, საიდანაც ისლით დახურული ძველი წისქვილი მოჩანდა და მისი უწყვეტი რახა-რუხიც მკაფიოდ ისმოდა, ჭადრის ძირში ჩამოჯდა და ცოტა შეისვენა. სიწყნარე იყო, პატარა მინდორზე ჩვილი ხბოები ნაზად წიწკნიდნენ ლორთქო ბალახს. წისქვილიდან ძაძებში გახვეული ფეხშიშველა დედაკაცი მოდიოდა, სახე არც კი უჩანდა თავშალამოფარეხულს, მხარზე ფქვილიანი ტომარა ედო. აბესალომი წამოდგა, მიუახლოვდა და მიესალმა: გამარჯობა, ბიცოლა, შენიო".

— რომელი ხარ? — ჰკითხა დედაკაცმა და ამოხედა.

— ნიგუარიანებს ვეძებ, ვერ მეტყვი სად სახლობენ?

— რავა ვერ გეტყვი, წამოდი აქეთ და გაჩვენებ!

აბესალომმა დედაკაცს ტომარა ჩამოართვა, თუმცა იგი არაფრით არ ანებებდა და გზა ერთად განაგრძეს. როცა მაცხოვრის ეკლესიასთან გავიდნენ და მწვანე მინდვრის გადაღმა ნახევრად დანგრეული ეკლესია გამოჩნდა. დედაკაცი შეჩერდა, სასაფლაოსკენ მიბრუნდა და მოთქმა დაიწყო.

— ვაიმე შვილო, ვაი თქვენს დედას, ლადიკო, შვილო, ლუკა, შვილო, რატომ ვარ ცოცხალი, საფლავები არ ვიცი თქვენი, სად ყრიხართ, სად ჩაგმარხეს, ვაი თქვენ უბედურ დედას, ვაი თქვენს დამაწყევარს, ვაი ჩემს უბედურ გაჩენას!...

კარგა ხანს მოთქვამდა და წელში მოხრილი მუხლზე ხელს ირტყამდა. აბესალომი კი მის გვერდით იდგა და ხმას არ იღებდა. იგი მიხვდა, რომ ამ ადამიანს ორი შვილი დაღუპვოდა და ძალიან სურდა გაეგო, რა მიზეზით, როგორ მოხდა ეს, მაგრამ როცა დედაკაცი ტირილს მორჩა და ისევ წამოჩანჩალდა, არ ჰკითხა არაფერი, ზედმეტად გული არ ვატკინოო. სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— ეს ეკლესია ქვე დანგრეულა, — თქვა მან.

— კი არ დანგრეულა, დაანგრიეს, სიცოცხლე გაუმწარდეს მაგის დამანგრევლებს, როგორც მე მაქვს სიცოცხლე გამწარებული ჩემი შვილების დამკარგავს. რაც ძველი წიგნები და ხელნაწერები იყო, გარეთ გამოიტანეს და დაწვეს, ხატები დაამტვრიეს, აბა, სადაა თქვენი ღმერთი, რატომ არ გვსჯის, თუ რამე შეუძლიაო? ერთმა მოხუცებულმა მიაძახა მეტი რა უნდა დაგსაჯოთ, ტვინი გამოგაცალათ, თორემ მაგ საქმეს, თქვენ რომ კადრულობთ, განა გიჟის მეტი ვინმე ჩაიდენსო?..

— ჰო, გადარეულები არიან ეგენი, — დაეთანხმა აბესალომი.

ქალმა კმაყოფილებით და ყურადღებით შემოხედა.

— ღმერთმა დაგლოცოს შვილო, კარგი ყმაწვილი ჩანხარ! — და შუკაში შეუხვია, სადაც ერთერთი ეზოდან თავსაფრიანმა ქალმა დაუძახა, სალომეო! სალომემ აბესალომს ტომარა გამოართვა, ნიგურიანების სახლკარი მიასწავლა, ეგერ, ბოგირთან რომ ჩაუხვევ, ის არიო, და მეზობელთან სალაპარაკოდ დარჩა.

აბესალომი ნიგურიანების ჭიშკარს მიადგა და მწვანედ აბიბინებულ ეზოს გახედა, მაგრამ ვერავის მოჰკრა თვალი. ოდა სახლის წინ წითელი ვარდები ჰყვაოდნენ, სამზადი ქოხიდან ბოლი ამოდიოდა, ჭის ოწინარზე დაკიდული ვედრო ოდნავ ქანაობდა, სასიმინდესთან თოვლივით თეთრი ყურებდაჭრილი ახალგაზრდა ნაგაზი იწვა და ჭიშკართან ფასკუნჯივით გაჩერებულ კაცს რომ ხედავდა, უკმაყოფილოდ იღრინებოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, წამოიჭრა და ყეფით მოაწყდა ღობეს. აბესალომი იძულებული შეიქნა იქაურობას გასცლოდა. სწორედ ამ დროს შუკის მეორე მხრიდან მომავალი ავთო დაინახა და მოიცა ბიჭოო,

დაუძახა. ავთომ მყისვე იცნო აბესალომი.

— შენ ხიბლეთელი მჭედელი არა ხარ?

— კი, მე ვარ, — გაუხარდა აბესალომს, — თქვენი მდგმური მინდოდა მენახა, ღაბარაშვილის ქალი, თამარი.

— არაა შინ!

— მაშინ ეს წერილი მიეცი და უთხარი, მჭედელმა აბესალომმა მოიტანა, უმცროსმა ძმამ-თქო.

— კი ბატონო, — აღუთქვა ავთომ.

წერილი გამოართვა და როგორც კი თავი მარტო დაიგულა, ცნობისმოყვარეობით წაქეზებულმა მყისვე გახსნა. „მძიმე ავად ვარ. თუ ჩემი ნახვა გწადიან, ამ ბარათის მომტანს წამოჰყევ. ლევანი.“ მეტი არაფერი ეწერა შიგ.

საღამოს წერილი პატრონს ჩააბარა. წერილი რომ წაიკითხა, თამარი გაფითრდა. გამსჭვალავი ბასრი მზერა ხანჯალივით მიასო ავთოს და მკაცრად ჰკითხა:

— ვინ მოგცა ეს ბარათი?

— ხიბლეთელმა მჭედელმა, უმცროსმა ძმამ. აბესალომმა.

— წაიკითხე, რაც სწერია შიგა?

— არა, მამას გეფიცები! — წარბშეუხრელად იუარა ავთომ.

ცოტა ხნის შემდეგ, თამარმა ვახშამზე უარი თქვა, თავისი ტყავის კურტაკი გადაიცვა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიან იყო, სადღაც წავიდა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, შინ რომ დაბრუნდა, ვიღაცამ ეტლით მოიყვანა. მყისვე დაწვა და დაიძინა და ძალიან გვიან გაიღვიძა. მზე დიდი ხნის ამოსული იყო, ბალახზე ცვარი კარგა ხანია გამშრალიყო, სოფელში მამლების ყივილი ისმოდა. ბიჭები ავთო და ნიკუშა, სკოლაში წასულიყვნენ, ქალები. როგორც ყოველთვის, საქმიანობდნენ. თამარი იავანზე დაჯდა და გაზეთის კითხვას შეუდგა, ხოლო როცა შორიდან სკოლის ზარის ხმა გაისმა, სწავლის დამთავრების მაუწყებელი, გაზეთი დადო, ისევ ჩაიცვა თავისი ტყავის კურტაკი და სკოლიდან დაბრუნებულ ავთოს თხოვა, მჭედლებთან წამოყვევი, მარტო ქალს ამ სიშორეზე წასვლა მეთანაღრებაო. ამჯერად ავთო უყოყმანოდ დათანხმდა. წიგნები დაყარა, მჭადი და ყველი აიღო და ჭამა-ჭამით გაუდგა გზას.

ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. იგი დარწმუნებული იყო, წუხელის თამარი მჭედლებთან წავიდა, მაგრამ რა მოხდა შემდეგ, რატომ მიდიოდა ისევ. რატომ წუხელ ღამით, სიბნელეში არ შეეშინდა მარტოკას მეზობელ სოფელში წასვლა და ახლა, დღისით — მზისით, თანმხლების გარეშე არ უნდოდა იმ სიშორეს გადგომოდა გზას? ავთომ ისიც კარგად იცოდა, ვისგან იყო ეს წერილი, ეშინოდა კიდეც, მაგრამ ისე წყუროდა ამბის გაგება, რომ მისი ცნობისმოყვარეობა შიშს სძლევდა.

— რა საქმე გაქვს მაგ მჭედლებთან? — ყასიდად ჰკითხა მაინც.

— ერთი პატარა საქმე მაქვს, გაიგებ მალე!

საღამოვდებოდა, სამჭედლოს რომ მიაღწიეს. ლეონტი მუშაობდა, აბესალომი წინკარში მერხზე იჯდა, ავქსენტი არ ჩანდა. თამარის დანახვაზე აბესალომი წამოდგა და მის ადგილას ავთო დაჯდა. თამარი და აბესალომი ქოხის გვერდზე გავიდნენ და ლაპარაკი დაიწყეს, ხოლო სამჭედლოში ლეონტი კვერსა სცემდა ზინდანს. მერე თამარი გამობრუნდა, აქ დამიცადე, უჩემოდ ფეხი არ მოიცვალოო, უთხრა ავთოს და აბესალომს გაჰყვა. ავთო წამოხტა და თვალი გააყოლა მათ. ისინი სამჭედლოს უკან, ღელეზე გადებულ ბოგირზე გადავიდნენ და დიდი მინდვრისკენ გაემართნენ, რომლის ბოლოში უსიერი ტყე იყო წიფლებით, ძელქვებით, ცაცხვებით და ფიჭვებით დაბურული. მალე აბესალომი და თამრი თხილისა და თხმელის ბუჩქებს მიეფარნენ და მინდორს ქორმა გადმოუფრინა. ცოტა ხნის შემდეგ გზაზე ორი ცხენოსანი გამოჩნდა, თოფებგადაკიდებულნი. ამათი დანახვა ავთოს რატომღაც არ ეპრიანა

და პირველად გაუელვა თავში, ხომ შეიძლება თამარი წუხელის სულაც არ ყოფილა აქ, მჭედლებთანო. ცხენოსნები სამჭედლოსთან ჩამოქვეითდნენ და ერთმა მათგანმა ლეონტის გასძახა: ბიჭო, ცხენი მყავს დასანალი, სად არიან შენი ძმებიო?

— ავქსენტი სახლშია, ბატონო, ოჯახობა ჰყავს შეუძლოდ, აბესალომი საქმეზეა! — უპასუხა ლეონტიმ.

აბესალომი წინ მიდიოდა. საქონლის ნაჩლიქარით ალუფხულ ბილიკზე სიარული თამარს უჭირდა და აბესალომი ცდილობდა ყოველნაირად დახმარებოდა, ხან შტოებს წევდა აქეთ-იქით, ხან ტყლაპოში ქვას ჩააგდებდა და თამარს ზედ ფეხს ადგმევინებდა, შორიდან კი საქონლის ბღავილი ისმოდა და ორივენი გრძნობდნენ, რომ თანდათან შორდებოდნენ სოფელს. ბოლოს ტყეს მიუახლოვდნენ. აბესალომი შედგა და უკან მოიხედა. კვლავ დაინახა ოდითგანვე ნაცნობი სურათი, ტევრში ჩაფლული ოდა-სახლების სახურავები, გასხლული ვენახები, გამარგლული სიმინდის ყანები, ტანკენარი ალვის ხეები, თეთრი ვერხვები, გამუქებული ცა, ლურჯად შეფერადებული შორი ღრუბელი. აბესალომი ერთხანს გარინდული იდგა.

— თითქოს ფეხის ხმა მესმის, — ჩურჩულით თქვა მან.

— რაღაცა გეჩვენება შენ, დროს ნუ კარგავ! — გაღიზიანებით უთხრა თამარმა და ტყეში შევიდა.

აბესალომი მიჰყვა, მერე გადაასწრო. უგუნებოდ მიიკვლევდა გზას. ერთხელ კიდევ შეჩერდა.

— ნაღდად რაღაცა ხმებია, თითქოს წკნელი გადატყდა...

— ასე მშიშარა თუ იყავი ჯეელო, რათ წამომიყვანე აქეთ?

ამის შემდეგ აბესალომს თავისი ეჭვი აღარ გამოუთქვამს, ტყეში სიბნელე ბლანტ სითხესავით თანდათან ჩამოღვარა და სადღაც უღრანში სინათლის წერტილი გამოჩნდა.

— მოვედით უკვე, ეგერ, შენს ძმას ცეცხლი უნთია, — თქვა აბესალომმა და თამარისკენ შემობრუნდა. და უცებ იგრძნო, რომ მკერდზე რევოლვერის ლულა მიაბჯინეს.

— არ გაინძრე! — უბრძანა თამარმა შეცვლილი ხმით.

— ლევან, თავს უშველე, გაგვყიდეს! — მოასწრო დაძახება აბესალომმა და იმ წამსვე მის მკერდთან რევოლვერის ტყვია გავარდა. წამით შემხტარი და უკან გადაზნექილი ჭაბუკი მოიკეცა და თამარის ფეხებთან დაეცა, ხოლო საფარიდან გამოსროლილმა ტყვიამ თამარის თავზემოთ შტოებში გაიზუზუნა, თამარი ხეს ამოეფარა და ახლა იქეთ გაისროლა ალალბედზე, საითაც სუსტად გაჩაღებულ ცეცხლს ხედავდა. ერთბაშად იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ თუ მიზანს მიაღწევდა, ხვალ ყველა გაზეთში მისი სურათი იქნებოდა დაბეჭდილი, ვითარცა გმირისა, სამაგალითო კომკავშირელისა, პროლეტარიატის საქმის ერთგული დამცველისა, მთელი ქვეყნისათვის ცნობილი გახდებოდა მისი სახელი და ამ შესაძლებლობით არაჩვეულებრივად აღგზნებულმა რამდენჯერმე მთელი ძალით დააჭირა თითი ჩახმახს. ამასობაში, სად იყო და სად არა, ვიღაცეები მოცვივდნენ ტოტების ლიწინ-ლიწინით, უწესრიგო სროლა ატეხეს და მერე ვიღაცამ ხაფი ხმით დაიყვირა, შეწყვიტეთ სროლაო. როცა სროლა შეწყდა, იმავე ხმამ ისევ გააყრუა არემარე.

— ლევან ღაბარაშვილო! შინსახკომის უფროსი სარუხანოვი გელაპარაკები. წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, გირჩევნია დაგვნებდე, ალყაშემორტყმული ხარ!

ამ მოწოდებას პასუხად ტყვია მოჰყვა, ტყვიას შინსახკომელებმაც ტყვიით უპასუხეს. ისინი ისროდნენ და წინ მიიწევდნენ და თამარიც მისდევდა მათ რევოლვერმომარჯვებული, ზოგჯერ კუნძს ან ბელტს ფეხს წამოკრავდა და ეცემოდა. მაგრამ კვლავ დგებოდა და მიდიოდა იქეთ, საითაც ისროდნენ მის წინ მავალი კედლად აღმართული კაცე-

ბი, სინათლისკენ, ცეცხლის მბჟუტავი ალისკენ, რომელსაც თეთრი კვამლი ასდიოდა. სწორედ ამ პატარა სინათლეს ესროდნენ ისინი, ტყის სიბნელით დაფარულნი, და ბოლოს თამარმა იგრძნო, რომ სროლა შეწყდა. მის წინ მყოფი უცხო კაცები, — მათგან მხოლოდ ერთს, შინსახკომის უფროს სარუხანოვს იცნობდა, წუხელის ერთად შეადგინეს ამ თავდასხმის გეგმა, — შეჩერდნენ და წრედ შეიკრნენ იმ მბჟუტავი ნათელის ირგვლივ. ნაცეცხლართან პირქვე ეგდო ნაბადში გახვეული, გაბურძგნული მამაკაცი, მარჯვენა ხელში მაუზერი ჩაებღუჯა. ხოლო მარცხენა ღადარში ჩავარდნოდა და ეწვებოდა, ისმოდა დამწვარი ხორცის შიშინი და იგრძნობოდა ნამწვის სუნი.

— მორჩა! — უთხრა თამარს სარუხანოვმა.

— ბოლო ტყვია მამალაძემ მოარტყა, — თქვა ვილაცამ.

— მაშინ მაგანვე მიხედოს!

ნაყაჩაღარი ლევან ღაბარაშვილი გადმოაბრუნეს და მამალაძის ცხენზე გადაჰკიდეს.

— ის მეორე სადღაა? — იკითხა სარუხანოვმა.

— აქეთ გდია! — უპასუხა თამარმა და რევოლვერიანი ხელით უკან მიუთითა.

ისიც იპოვეს და ცხენს გადაჰკიდეს.

გვამებგადაკიდებულ ცხენებს ლაგამში ხელი ჩაავლეს მილიციელებმა და რაზმი სოფლისკენ დაიძრა.

სამჭედლოსთან მხოლოდ ლეონტი და ერთი ცხენოსანი დარჩენილიყვნენ, რომელსაც ცხენი ღობეზე მიება, თვითონ ქოხის წინ მერხზე იჯდა მჭედლის გვერდით და თოფი ფეხებს შორის ჩაედო. სწორედ მან უთხრა ლეონტის ცხენი მყავს დასაჭედიო. სანამ ის ლეონტის ელაპარაკებოდა ამ თემაზე, მეორე ცხენოსანმა ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ქოხის სვეტთან მდგარმა ავთომ მყისვე იცნო ეს ქერათმიანი, საოცრად ცისფერთვალება, გამხდარი და მაღალი ახალგაზრდა. ეს იყო მილიციელი მამალაძე, არაერთხელ ენახა იგი წიფლნარში, რადგან მამალაძე ერთ წიფლნარელ ქალიშვილს ეარშიყებოდა. ლეონტი კარში გამოვიდა, ცხენებს ფეხი მოუხარა და ფლოქვები გაუსინჯა, არ არის ეს ცხენები დასაჭედიო. თუ არ არი, ნუ არიო, თქვა შავგვრემანმა ცხენოსანმა. ხოლო მამალაძემ, აბა, მე წავალო, ცხენზე კოხტად შეხტა, მათრახი გადუჭირა, ღელეში შედგაფუნდა და ზუსტად იქეთ გაემართა, საითაც ცოტა ხნის წინ აბესალომი და თამარი გაუდგნენ ბილიკს. ეს ამბავი ავთოს არ ეჭაშნიკა, აქ რაღაც ხდება, შარს არ გადავეკიდოო, იაზრა და ჩუმად გაიპარა იქედან. კარგა მანძილზე რომ მოშორდა სამჭედლოს, თავქუდმოგლეჯილმა მოჰკურცხლა შინისკენ. ამიტომ მას აღარ უნახავს როგორ დაბრუნდა რაზმი სოფელში.

წინ გვამებგადაკიდებული ცხენები მოდიოდნენ. ერთერთ ცხენს, რომელზედაც მისი ძმის უსიცოცხლო სხეული ქანაობდა, მტკიცე ნაბიჯით მოჰყვებოდა იარაღამოღებული თამარი. სამჭედლოსთან რომ მოვიდნენ, რაზმი შეჩერდა, სარუხანოვმა ბრძანება გასცა, დასწვით ეს ქოხიო, ხოლო ქოხის წინ მჯდარ თოფიან კაცს ლეონტიზე მიუთითა, გაიყვანე იქეთ და დახვრიტეო. გაოგნებულმა ლეონტიმ კვერი დააგდო.

— რას მერჩით, ბატონო?

— აბა, რა გეგონა, ყაჩაღებს და ხალხის მტრებს რომ ხელს უწყობდი?! — დაუღრიალა სარუხანოვმა და სახეში სილა სტკლიცა.

— მე არაფერი არ ვიცი, ბატონო! — სახეზე ხელი აიფარა ლეონტიმ, მაგრამ როცა ქეჩოში ჩააფრინდნენ და ღელისკენ გაათრიეს, გამწარებით გაიბრძოლა, დაუსხლტა ჯალათებს, მიშველეთო, განწირულად დაიყვირა და სოფლისკენ გაიქცა, მაგრამ ერთერთი მილიციელი წამოეწია, წელზე შემოეხვია და ბროწეულის ბუჩქებში ჩააგდო. ისლის სახურავს უკვე ცეცხლის ალი აბრიალებდა, ხოლო სოფლიდან გამწარე-

ბული მორბოდა ავქსენტი. ლეონტი წამოაყენეს და ღელესთან მიათრიეს, სწორედ ამ დროს ავქსენტიმ მოირბინა, მილიციელები პარტყა-პურტყით მიჰყარ-მოჰყარა აქეთ-იქეთ და უმცროს ძმას ხელი მოხვია. ლეონტი აკანკალებული შესცქეროდა მას და ხსნას მოელოდა. თოფმოღერებული მილიციელები და შინსახკომელები წრედ შემოერტყნენ მათ და ამ წრეში იდგნენ ისინი ერთმანეთს ჩახვეულნი, დუდუნით მოჩქრიალე ღელის პირას, საიდანაც ბაყაყის ყიყინი ისმოდა.

— რა გინდათ ამ ბავშვისგან? — იყვირა ავქსენტიმ.

— უნდა დაიხვრიტოს ყაჩაღის ხელშეწყობისათვის!

— ეს არაფერ შუაშია, მე ვუწყობდი იმ კაცს ხელს. მე ვეხმარებოდი!

მშვენიერი ვაჟკაცი იყო, სქელი თმა უკან ჰქონდა გადაყრილი, საკინძე გაღეღილი, ცალი ხელით ძმა მკერდზე მიეკრა, მეორე ხელს ლაპარაკის დროს იქნევდა, და ეტყობა, სარუხანოვს დაეწანა იგი.

— აქეთ გამოდი, თორემ შენც მაგას მიგაყოლებთ!

— მიმაყოლეთ! ამ ბალღს ვერ მივატოვებ, ძმაა ჩემი! — შეუპოვარი სიმტკიცით ამოიგმინა ავქსენტიმ.

— ყაჩაღის თანამებრძოლია ეგ შენი ძმა! — იყვირა სარუხანოვმა.

— თქვენზე უარესი ყაჩაღი ვინაა, რომელი ყაჩაღი იკადრებს იმას, რასაც თქვენ აკეთებთ?!

მაშინ ჩეკისტების უფროსმა ხელი ჩაიქნია, ესროლეთო!

იქუხეს თოფებმა, ცეცხლის ალი ერთბაშად გამოვარდა ლულებიდან და კვამლად იქცა. ერთმანეთს ჩახვეული მკერდშენგრეული ძმები სილიან ნაპირზე დაეყარნენ.

2.

ოცი წლისა რომ შესრულდა, ნათელა ისეთი მომხიბლავი ქალიშვილი დადგა, ისეთი ხალისიანი, გულთბილი, მოუსვენარი და მიმზიდველი, რომ სამსახურის შემდეგ ბიძამისი იასე სულმოუთქმელად მიიჩქაროდა შინისაკენ, თანამშრომლებთან ჭადრაკს ან სოფამაშოდაც კი არ ყოვნდებოდა მისი დაწესებულების წინ აყვავებულ პატარა ბაღის ჩრდილიან ხეთა სიგრილეში, რადგან აშკარად გრძნობდა, რომ ძმისწულის სიახლოვე და მასზე ზრუნვა უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა და უთბობდა სულს, ვიდრე ჭადრაკი და ნარდი, თუმცა ორივე ეს თამაში ძალიან უყვარდა და წინათ, ვიდრე ნათელას თბილისში ჩამოიყვანდა, გვიანობამდე რჩებოდა ბაღში ეს მარტოხელა კაცი, ხის ქვეშ გაშლილ მაგიდასთან ჭადრაკის ან ნარდის თამაშით გართული. ახლა იასეს, რომ იტყვიან, მზე და მთვარე ამ მშვენიერ არსებაზე ამოსდიოდა, რომელმაც მის ერთფეროვან, მაგრამ სხვადასხვა ეჭვებით შეზავებულ ცხოვრებას გარკვეული აზრი მიანიჭა. ადამიანს ხომ ის უფრო უყვარს, ვისზეც ამაგი მიუძღვის და არა ის, ვისგანაც ნაამაგარია. ნათელა უკვე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და მეორე კურსზე წარმატებით გადავიდა. სწორედ მან, სესიები რომ მოთავდა, იასემ გადაწყვიტა წაღვერში წაეყვანა დასასვენებლად მთელი წლის სწავლისა და გამოცდების მღელვარების შედეგად დაღლილი და დაქანცული.

თუმცა ნათელა სულაც არ გრძნობდა თავს დაღლილ-დაქანცულად, წაღვერში გამგზავრება მაინც დიდ სიხარულს ანიჭებდა. თავისი განუყრელი მეგობრებიც იქ ეყოლებოდა, ელიკო ელიავა — ბორჯომში, ლიზიკო კანდელაკი — წაღვერში. მაგრამ მანამდე მშობლები უნდა მოენახულებინა წიფლნარში და ახლა, ღია ფანჯარასთან მდგარი, ბარგს ალაგებდა ჩემოდანში, რადგან ამ საღამოს ბიძას სოფელში მიჰყავდა, წაღვერში იქედან ჩავიდოდა.

ნათელა დრო და დრო ეზოში იხედებოდა, გასაცილებლად მეგობრების მოსვლას ელოდა, მაგრამ ეზო ცარიელი და ჩუმი იყო, მაღალი გლუვი კედელი მომიჯნავე სახლისა თანდათან

ითალხებოდა, არც გასტრონომში წასული იასე ჩანდა ჯერჯერობით. ძიმისტარაშვილებს კი სინათლე აენთოთ და თითქმის მაგიდამდე ჩამოშვებული ფართო, წითელი შუქფარი ჩამავალ ბზისფერი მუქი ნათელით ფერავდა მათი ოთახის ფანჯრებს. ოკუჯავები ჯერჯერობით ბნელში ისხდნენ. ცისკენ აჭრილი წვეტიანი კვიპაროსის კენწეროზე შაშვი იჯდა და გალობდა. საღამო შეუმჩნევლად მოიპარებოდა ეზოში და გამგზავრების სიხარულთან ერთად, თან მოჰქონდა განშორების სევდა. ნათელა გრძნობდა, რომ ძლიერ უყვარდა აქაურობა, ახლობლებივით შეეთვისა მეზობლებს, და როგორც ოდესღაც თვითონ თაყვანს სცემდა მის შემთვისებელ ელეონორა წულუკიძეს, ვისთანაც ისევ ახლო ურთიერთობა ჰქონდა, დანათესავებამაც შეუწყო ამას ხელი, — ახლა თვითონაც პატარა მეგობარი გაიჩინა ეზოში თორმეტი წლის ნელი ძაძამიას სახით, რომლის დედა, ტაბახმელელი სომხის ქალი სათენიკა, ფრიად დარბაისელი და ტკბილად მოქართულე ადამიანი, — მკერავი იყო. ეს ხელობა ჯერ კიდევ ბავშვობაში ესწავლა, როცა ტაბახმელაში ცხოვრობდა და კნეინა მელიქიშვილისა შეკრებდა სოფლის პატარა გოგოებს, დასვამდა აყვავებული ცაცხვის ტოტებით დაფარულ თავისი დიდი სახლის განიერ აივანზე, დაუჯდებოდა და ჭრა-კერვას ასწავლიდა, ხოლო პურის ყანების და მომწიფებული მზესუმზირას სურნელით გაჟღენთილ ჰაერში გრატა ჩიტების გალობა ისმოდა. მეტად კეთილი და ღვთისნიერი ადამიანი იყო, იგონებდა ახლაც სათენიკა დიდ კნეინას. როცა ტაბახმელაში ჩამოსახლებულ მეგრელ ძაძამიას ცოლად გაჰყოლია, მზითევიც კი მიუცია მისთვის. თავადების ქება ამჟამად სახიფათო საქმე იყო, მაგრამ სათენიკა ამ ხიფათს არ დაგიდევდათ, ყვებოდა იმას, რაც იცოდა და რაც ენახა, ხოლო მელიქიშვილების ოჯახიდან სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა. ბავშვობაში ნასწავლი ხელობა შემდგომში დიდად გამოადგა, რადგან ქმარი ადრე გარდაეცვალა, თბილისში ჩამოსულა ბისთანავე, და თავისი გარჯით ზრდიდა ორ შვილს, შოთას და ნელის. მისი დედა ენა ქართული იყო, თუმცა საკმაოდ კარგად იცოდა სომხურიც და რუსულიც, და ნათელას უყვარდა დღენიადაგ საკერავ მანქანასთან მჯდარი, ამ ადრე გაჭაღარავებული ტკბილმოუბარი სათნო მანდილოსნის ბაასის მოსმენა.

უყვარდა შალვა პეტრიაშვილის სტუმრობაც, თუ ამას სტუმრობა ერქვა, როცა იასე აივანზე მოიწვევდა შალვას, ოთახიდან სკამებს გამოიტანდა, დასხდებოდნენ და ბჭობდნენ სხვადასხვა საქმეებზე. ზოგჯერ მათ სხვა მეზობლებიც უერთდებოდნენ, უფრო ხშირად ძიმისტარაშვილი, უფრო იშვიათად ოკუჯავა. ისინი ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ, ცოლი და თითო შვილი ჰყავდათ, ძიმისტარაშვილს ვაჟი, ოკუჯავას — ქალიშვილი, ეს ბავშვები ერთად თამაშობდნენ ხოლმე. ძიმისტარაშვილი მსუქანი, გულღია კაცი იყო, მელოტი, ჭროღათვალება, წვერულვაშს გულდასმით იპარსავდა, ოკუჯავა — გამხდარი, სიტყვაძუნწი, სქელი შავი თმა ჰქონდა, მოკლე ულვაში, შავ თვალებს პენსნე უფარავდა, შალვა პეტრიაშვილი ამათზე ცოტა უმცროსი იქნებოდა, ადრე გამელოტებული, აწოწილი, უშნო, რაღაცით ბუს მიაგავდა, მაგრამ ნათელას მოსწონდა მისი განსწავლულობა, ყოველთვის ყველაფერი რომ იცოდა ზუსტად, საფუძვლიანად, აუჩქარებლად რომ მსჯელობდა სხვადასხვა საკითხებზე, არასოდეს ეშლებოდა თარიღები, ზოგჯერ უცხო ენასაც იშველიებდა რომელიმე ციტატის მოსახმობად, ზოგჯერ რუსულს, ზოგჯერ გერმანულს ან ლათინურს. ზოგჯერ საქართველოს ჩამორჩენილობაზე ჩამოაგდებდა საუბარს და ყოველთვის ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ კულტურას და კულტურულ მოღვაწეობას არ შეუძლია იმ

ხალხის დაინტერესება, რომელიც არსებობისათვის იბრძვისო.

— ამ მხრივ, ჩვენ ამჟამად უზრუნველყოფილი ვართ, ახლა ახალ კულტურულ კადრებს შევქმნით, — ამბობდა იასე.

— საიდან, როცა ქართული უნივერსიტეტი უბრალო პედაგოგიურ სასწავლებლად გადააკეთეს? — მხარს უჭერდა ძიმისტარაშვილი შალვას.

კამათი დიდხანს გრძელდებოდა და ნათელას უკვირდა, რომ ისეთ ჭკვიან კაცს, როგორიც შალვა იყო, მეზობლების თქმით, უყვარდა სახელგატეხელი ქალი მერუსი მღებრიშვილი, რომელსაც ორი ქმარი და ურიცხვი საყვარელი ჰყოლია გამოცვლილი. ეს ქალი ნათელას ნანახი ჰყავდა, იგი ზოგჯერ შალვასთან მოდიოდა და ისე მოკრძალებულად გამოიყურებოდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ საკმაოდ მღელვარე და მშფოთვარე წარსული ჰქონდა. მაგრამ, ეტყობა, ეს ასე იყო და ამის გამო ბევრჯერ გამხდარა შალვა ეზოს დედაკაცების დაცინვის საგანი, ულირს ქალში თავდავიწყებით შეყვარებული მამაკაცი მართლაც არ იწვევდა თანაგრძნობას...

ამასობაში უფრო ჩამობნელდა, ნათელამ ჩემოდანი ჩაალაგა, მერე სინათლე აანთო. სამზარეულოში ელენა პეტროვნა ღვეზელს აცხობდა, რომ გზაში გაეტანებინა ბიძისა და ძმისწულისათვის. ბიძა კი ჯერ არ ჩანდა და ნათელა შეშფოთდა, მატარებელზე არ დაგვაგვიანდესო. მაგრამ ამ დროს მხიარული კისკისი გაიგონა ეზოდან, ელიკო და ლიზიკო კიბეზე ამოდიოდნენ, აივანზე შემობრახუნდნენ და ოთახში შემოცვენილებმა ხმაურით აავსეს იქაურობა.

— სადაა იასე ბიძია?

— არ დაგაგვიანდეთ, უკვე დროა!

— ჩვენ რომ ვერ გაცილებთ სადგურზე?! მე და ლიზიკო ქეთუნიასთან ვართ ჩაიზე დაპატიჟებული...

— იქ დათკა იქნება თურმე და გვიმღერებს...

— დათკასთანა ბარიტონი ახლა საქართველოში არ არის.

— ვითომ სანდროს შეადარებენ?

— სანდროს სკოლა აქვს უკეთესი...

— სამაგიეროდ დათკა ახალგაზრდაა, გენაცვალე!...

— რა ამბავია აქ? — გაისმა ამ დროს გასტრონომიდან დაბრუნებული იასეს ხრინწიანი, ვითომ გაბრაზებული ხმა და გოგოები სიცილ-კისკისით შემოეხვივნენ მას.

ნათელას გული წყდებოდა, მეგობრებმა რომ უღალატეს და მის გაცილებას სტუმრად წასვლა ამჯობინეს, თუნდაც დათკას სიმღერის მოსასმენად. დიდი ვინმეა ეგ თქვენი დათკა, მაგას მე ბათუ მირჩევნია, მაგრამ როცა ბიძასთან ერთად ტრამვაიში ჩაჯდა და ტრამვაი ჭრიალით დაიძრა ელექტრონით განათებულ ქუჩებს შორის, წყენა დაავიწყდა, თავისდაუნებურად აღელდა. მომავალი გამგზავრება ყოველთვის უცნაურ გრძნობას იწვევდა, წიფლნარი ენატრებოდა, რადგან იქ მშობლები და ახლობლები ეგულებოდა, მაგრამ თბილისს უფრო იყო მიჯაჭვული, აქ უფრო ლაღად გრძნობდა თავს, უნივერსიტეტი, თეატრები, ლიტერატურული დისპუტები, ცნობილი პოეტებისა და მსახიობების ცქერა სასიცოცხლო აუცილებლობად გადაექცა, ხოლო ახალგაზრდა მსახიობი სერგო მაისურაძე კარგა ხანია მისი გულის მეუფე გახდა. არცერთ მის წარმოდგენას არ აცდენდა, მისი ნიჭისა და ხელოვნების თაყვანისცემა, თვითონაც ვერ იგრძნო ისე, გადაექცა თავდავიწყებულ გატაცებად, რომელსაც თავის ფიქრებში და ოცნებებში ერთადერთ და ყოვლისმომცველ სიყვარულს უწოდებდა და ერთხელ, როდესაც ელიკომ როგორღაც მოახერხა და თეატრალურ საღამოზე სერგო გააცნო, თვალიც კი ვერ გაუსწორა თავის კერპს და მისი ყურადღება სრულიადაც ვერ მიიპყრო. მარცხით გაგულისებულმა კონცერტი მიატოვა, შინ მისული საპირფარეშოში ჩაიკეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტირილით გაიძღო გული. მაგრამ მერე ისევ გაუჩნდა იმედი, რომ სერგო ერთხელაც იქნებოდა შეამჩნევდა, რადგან ბევრი ჩინებული ჭაბუკი ამჩნევდა ნათელას და ცდილობდა მასთან დაახლოებას, მაგრამ თავისი ოცნებების ერთგული ყველას ირიდებდა და ისევ და ისევ ესწრებოდა იმ წარმოდგენებს, რომლებშიც სერგო გამოდიოდა სცენაზე. თავის სასიყვარულო კაეშანს მხოლოდ ქაღალდს ანდობდა და ლექსად დაწერილ აღსარებას ზოგჯერ ლიზიკოს და ელიკოს უკითხავდა. ისინი, რასაკვირველია, კარგად ხვდებოდნენ ვინ იყო ამ ლექსების გმირი, უქებდნენ ნათელას პოეტურ ნიჭს და აღმაფრენას, და თავბრუდამხვევ ნეტარებაში გადიოდა სიყმაწვილის ჟამი, იმედებით, ოცნებებით, პოეზიით და სიყვარულის ტანჯვით შეფერადებული.

ტრამვაიდან რომ ჩამოვიდნენ და ხალხმრავალ ბაქანზე შეუერთდნენ აფუთფუთებულ ჯგროს, ნათელა კიდევ უფრო აღელდა. ამბობდნენ. სერგო ყოველ ზაფხულს თავის მეგობარ არტისტებთან ერთად ბორჯომში ატარებსო. ბარგი მუშას მიჰქონდა, ნათელამ ბიძას მკლავში ხელი გამოსდო და რბილი ვაგონისკენ გაემართნენ. უეცრად ბუჭუტა უნდილაძეს შეეფეთნენ. ნათელას ბუჭუტა კარგა ხანია არ ენახა, არც მოჰგონებია და ახლა მისი ნახვა მაინცადამაინც არ გაჰხარებია. საკმაოდ გულგრილად ჩამოართვა ხელი. ბუჭუტას საფეთქლებთან თმა გათხელებოდა, მაგრამ ნათელას ისე უფროსად აღარ მოეჩვენა, რამდენიმე წლის წინათ რომ ეჩვენებოდა, თუნდაც მაშინ, ოპერაში რომ იყვნენ ერთად. იგი მიხვდა, რომ გაიზარდა, დამშვენდა და თავისდაუნებურად გაეღიმა.

ბუჭუტა ძალიან დაღვრემილად გამოიყურებოდა.

— რას შვები, სად მუშაობ? — ჰკითხა იასემ.

— პირველ საავადმყოფოში.

— საით მიემგზავრები?

— წიფლნარში. უმცროსი და ბაბუცა გარდამეცვალა ტიფით.

— აჰ, რას ამბობ კაცო, ეს რა მოგსვლია?!

როცა მატარებელი დაიძრა და ნათელა დასაძინებლად მოეწყო, კარგ ხანს არ მოერია რული. იგი ფიქრობდა თავის მეგობრებზე, რომლებიც სტუმრად იყვნენ მიპატიჟებული და ახლა. ალბათ, დათკას სიმღერას ისმენდნენ; სერგო მაისურაძეზე, რომელიც შეიძლება ახლა, ამ წუთში სცენაზე იდგა და რომელიმე მონოლოგს წარმოსთქვამდა; და ბუჭუტა უნდილაძის უმცროს დაზე, რომელიც არასოდეს ენახა და ვერასოდეს ვეღარ ნახავდა. ვაგონის რწევა, ბორბლების რიტმულ დაგადუგთან ერთად, აბრუებდა, ადუნებდა ცნობიერებას და ფიქრებმა სიზმრებში გადაინაცვლეს.

სულ სხვა გარემო გადაიშალა, როცა გათენდა. სულ სხვა სურნელი და სხვა ხმები შემოიჭრა ვაგონში. შორს მოჩანდა კავკასიონის თოვლიანი ქედი, უფრო ახლოს ლურჯი ხვამლის მთა. მატარებელი რომ გაჩერდა და სადგურის უკან აჟრიალებულ მოედანზე გამოვიდნენ, ეტლების, ლინეიკების და ტაჭკების სიმრავლემ, ქვაფენილზე ფლოქვების თქარუნმა, ცხენის ოფლის, ჩონჩორიკის და თივის სუნმა, მეეტლეების და მგზავრების ლაპარაკმა, მათმა კამათმა, მორიგებამ, ჭიჭყინმა და სხვა კილოკავებმა, სხვა სიტყვებმა, სიტყვების სხვაგვარმა ჟღერადობამ მიიპყრო ნათელას ყურადღება, სრულიად გადაავიწყა თბილისი, თითქოს ხელის ერთი დაკვრით ზღაპრულ სამყაროში მოხვდა. „აბა, ხონი, ვანი, საკულაშო!“ ისმოდა მეეტლეების ძახილი და ამ სიტყვების იქეთ ნათელასათვის მთელი სამყარო იგულისხმებოდა, თავისი მიმალული, გამოუვლენელი თავისებურებებით, თუნდაც გალაკტიონის ლექსებით ან ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებით. ამ ქვეყნის სუნით და სურნელით რომ გაჟღენთილიყო და ნათე-

ლა ახლა ამ მისთვის სათაყვანო მწერლების თვალითაც ხედავდა და აღიქვამდა აქაურობას.

ცხოვრება მშვენიერი იყო, სიცოცხლე საყვარელი, იმედიანი, დაუსრულებელი და იმ დღეს იგი ქარიგით დაქროდა ეზოში, სარეცხს რეცხავდა, ქვეშაგებს ამზეურებდა, დედას და მართას სადილის კეთებაში ეხმარებოდა. შუადღეზე ხონიდან პეტრე და ელეონორა ჩამოვიდნენ თავიანთი პირმშოთი ალიკოთი. ერთად ისადილეს. ბავშვმა მთელი ეზო მოირბინა და ჭიშკართან მიგდებულ გაცვეთილ ჩემოდანს მიაგნო. გახსნა და შიგ რაც იყო, ამოყარა.

— ვისია ეს ჩემოდანი, ჭიშკართან რომ დაგიდგამთ? — იკითხა იასემ.

— თამარ ღაბარაშვილის! — უპასუხა მიხაკომ.

იმ დღის შემდეგ, ავთოსთან ერთად რომ გაეშურა ხიბლეთში, თამარ ღაბარაშვილს ფეხი აღარ შემოუდგამს ნიგურიანების ოჯახში, ისე გაქრა წიფლნარიდან, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, თუმცა გაზეთებმა და რადიომ მართლაც აუწყეს ქვეყანას მისი გმირობის ამბავი. იმავე საღამოს, ავთო ჯერ შინაც არ დაბრუნებულიყო, ხიბლეთიდან ჩამოვლილი ცხენოსანი მილიციელის წყალობით წიფლნარში შეიტყვეს, თამარ ღაბარაშვილმა ტყეში ჩეკას საკუთარი ძმა მოაკვლევინაო. მინადორამ სასწრაფოდ მობოჭა მისი ნივთები, მის ერთადერთ ჩემოდანში ჩაყარა და თუმცა მიხაკო ეუბნებოდა, რას შვები ქალო, დაგვიჭერენ, გადაგვასახლებენო, ჩემოდანი ჭიშკართან მიათრია და დააგდო, ვითარცა ჭირიანის, კეთროვანის ნივთი, შენ ნუ გეშინია, მე ვაგებ პასუხს, მაგის ფეხი არა ვნახო ჩემს ეზოშიო.

მას შემდეგ იქ ეგდო ის ჩემოდანი, ხელს არავინ ჰკიდებდა.

იასესაც გაგებული ჰქონდა თამარ ღაბარაშვილის ამბავი.

— მერე როდემდე უნდა ეგდოს ეგ ჩემოდანი მანდ? — იკითხა მან.

— ახლავე დავწვავ, ბატონო, წავიდეს და მიჩივლოს სადაც უნდა! — ჯიქურ განაცხადა მინადორამ, ნაფოტს ბოთლი და ასანთი აიღო და ჭიშკართან კოცონი ააგუზგუზა პატარა ალიკოს გულის გასახარად.

ღაბარაშვილების ამბავმა ნათელა შეაძრწუნა და ისევ მოაგონა ბუჭუტა უნდილაძე, მისი ნორჩი დის სიკვდილი. ბავშვობის დროინდელმა კეთილგანწყობამ, ბუჭუტას მიმართ რომ განიცდიდა, სიბრალულად გაიღვიძა მის სულში და ამ კეთილმა გრძნობამ გაფანტა ბურუსი, ყველა უბედურება ცხოვრების კანონებიდან გადახვევად ჩათვალა, ვიდრე ცხოვრების ჩვეულებრივ გამოვლინებად. ცხადია, ბევრ უკეთურებას შეხვედრია და ბევრი ბოროტება სმენია, უკვე ბავშვი აღარ იყო, მაგრამ ყველაფერი ეს მისი ცნობიერების ზედაპირზე მისრიალებდა და ღრმა კვალს ვერ ტოვებდა, მისი არსება ცხოვრების მუდმივი სიხარულის ურყევი რწმენით იყო გამსჭვალული. ერთი კვირის შემდეგ, წაღვერში რომ წაიყვანა მამამ, სადაც იასეს დაქირავებულ ბინაში ელენა პეტროვნა ელოდა, მთელი გზა ვაგონის ფანჯარასთან იდგა. ჩუმად ღიღინებდა და აღტაცებით გასცქეროდა ბუნებას. ხაშურში, სურამიდან ბორჯომში მიმავალი მატარებლის ღია ვაგონში გადასხდნენ და მკათათვის მზით ალმოკიდებული ველებიდან ულამაზესი ხეობის წიაღში შეღწეულს თავი მეშვიდე ცაზე ატყორცნილად წარმოედგინა. ადგილების სახელწოდებაც კი სიამოვნებას ჰგვრიდა, ქვიშხეთი, ტაშისკარი, ახალდაბა, კორტანეთი. სწორედ აქ, ტაშისკართან, დაამარცხა გიორგი სააკაძემ ყირიმელი თათრები, მას შემდეგ, რაც თავდადებულმა ბერმა თევდორემ ცხირეთის გზა აუბნია მათ, ხოლო ტერტერა სააკაშვილმა გორის ხიდი გადააჭერხინა ხალხს. ამბობენ, იმ ბრძოლიდან ცოტა ხნის შემდეგ, დედაკაცები ტყეში პოულოდნენ ბრძოლის ველზე გადარჩენილ და გაქცევით თავნაშველ

თათრის ჯარისკაცებს, შიმშილისაგან დაოსებულთ. შიშისგან დაზაფრულთ, ხის ძირებში მიმალულთ, ხელს დაავლებდნენ და სოფელში მოათრევდნენ თურმე დატყვევებულთ. წიწვნარით დაფარული ფერდობები, ამ ფერდობებზე გაშენებული ოდა-სახლები, რომელთა აივნებიდან დამსვენებლები და ამ ადგილთა მკვიდრნიც ხელის ქნევით ესალმებოდნენ ჩუქჩუქით მიმავალ მატარებელში მყოფ მგზავრებს, — ნათელას ნეტარებას უორკეცებდა. სოფლის სასაფლაოს და თეთრ საყდარს, უცებ რომ გამოჩნდა, სიმშვენიერედ აღიქვამდა. ერთ ადგილას, მტკვარში ზობანავე ტიტველი ქალები დაინახა, რომლებიც მდინარეში შეჭრილ კბოდედან გადმოშვერილ ხის ტოტებს ეფარებოდნენ, მაგრამ გაქანებული მატარებლიდან მაინც ჩანდა მათი პრიალა სხეულები. ცოტა ხნის მერე, მუხლებამდე წყალში ჩამდგარმა მოანკესე მეთევზეებმაც თვალი გამოყოლეს მატარებელს, რომელიც მხიარულად მიჩუქჩუქებდა ვიწრო ხეობაში და ბოლოს ბორჯომ-ბაღის სადგურში გაჩერდა. ბარგი გადმოიტანეს და ვიდრე წაღვერისკენ მიმავალი ვიწროლიანდაგიანი პატარა „კუკუშკა“ მოვიდოდა, სადგურის უკან გამოვიდნენ. აქ უამრავი ხალხი ირეოდა. მეეტლეები და მელინეიკეები ახალციხეში და აბასთუმანში მიმავალ მგზავრებს უხმობდნენ. ამ ჯგრო ხალხში ნათელამ შეამჩნია ბარგი-ბარხანით გარშემორტყმული დედაშვილი. ბიჭი მისი ტოლი თუ იქნებოდა, სანთლისფერი, გამწლეული, ლოყებჩაცვენილი, დასუსტებული, გალეული თითებით, ჭლექისგან გამოლრღნილი სიფრიფანა კანით, ხუჭუჭა ქოჩორი უკან ჰქონდა გადაშვებული, ჩემოდანზე მჯდარი ძლივს იკავებდა წონასწორობას, დრო და დრო ცხვირსახოცს იფარებდა პირზე. დედამისი აბასთუმნისკენ მიმავალ მელინეიკეს ურიგდებოდა ფასზე და ნათელამ შეძრწუნებით შეხვდა ამ არსებას, სიკვდილით დაღდასმულს, სახეზეც კი რომ ეწერა განწირულება. ნუთუ ვერ გრძნობს უკურნებელი სენით რომ არის შეპყრობილი, სიკვდილის ბარიერზე მიმდგარი. რა ასულდგმულებს, რის იმედი აქვს, აბასთუმნის მაცოცხლებელი ჰაერისა? საშინელი იყო ამ ბიჭის ხვედრი. ადამიანისთვის მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს, საკუთარი ბედი უნდა იწამო და უცებ, ნათელამ უყოყმანოდ დაიჯერა, რომ თვითონ მას ბედისწერა ასე საშინლად არ გაიმეტებდა. ამასობაში ქალი მელინეიკეს გაურიგდა, მასთან ერთად დააწყო ბარგი ლინეიკაში, მერე დაუძლურებულ შვილს მხარში ამოუდგა, ლინეიკასთან მიიყვანა და ფრთხილად დასვა, თვითონ გვერდით ეიუჯდა და მუხლებზე პლედი დააფარა. მეეტლემ დაუსტვინა და დაუწრუპუნა, აღვირი მოქაჩა, მათრახი მოიქნია, თეთრმა ცხენმა ფლოქვები დააბაკუნა და დაიძრა. ლინეიკა ჩრდილიდან მზეში გავიდა, კუდაწეული ცხენი ზარმაცად მირბოდა გადატენილ ქუჩაში, ნათელამ თვალი გააყოლა მათ და უცებ გაუელვა, ალბათ, ეს ბიჭი, სულ მალე აბასთუმანში მოკვდება!

ეს იყო თავზარდამცემი აღმოჩენა. ბუნების სიმშვენიერე ბედნიერების და სიჯანსაღის საფუძვლად მიაჩნდა. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ სილამაზეს სიკვდილიც გვერდით ედგა. რა მშვენიერი იყო აქაურობა, ნაძვების და ფიჭვების სუნით გაზავებული ჰაერი, მოჩქრიალე მდინარე, ფირუზისფერ მთების წვერებზე დაყრდნობილი თეთრი ღრუბლის ქულებით დატვიფრული ცა. ყველაფერი ეს ბედნიერებისთვის იყო შექმნილი და მას ისე სწყუროდა ბედნიერება, რომ ვერ ურიგდებოდა წეღან ნანახ მწუხარე სურათს, თითქოს აუხსნელ შეუსაბამობას წააწყდა, თუმცა აუხსნელი აქ არაფერი იყო. ბუნებაში იმდენი საიდუმლო მოვლენაა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს არც შეუძლია ამის აღმა და არც სურს. მას ურჩევნია ქვეყანა უფრო მარტივად აგებულად წარმოიდგი-

ნოს, ვიდრე ის სინამდვილეში არის. ამიტომ ის სურათი დაავიწყდა, როცა მატარებელმა ძნელ საქმეს შეჯიდებული პატარა კაცის სასაცილო მონდომებით და გულმოდგინებით, ქშენით და ჯახირით, კვილით და ჯანჯღარით წაღვერისკენ წაიყვანა, სადაც არანაკლებ ლამაზი ხეობა გადაიშალა, ფიჭვის ტყეებით და ზურმუხტოვანი სათიბებით დამშვენებული. ორი დღის შემდეგ ლიზიკოც ჩამოვიდა წაღვერში, ხოლო მიხაკო წიფლნარში დაბრუნდა.

ერთად რომ დარჩნენ, ქალიშვილებმა გაილაღეს. საქმე არაფერი ჰქონდათ. სადილებს ელენა პეტროვნა უმზადებდათ. საუზმის მერე ისინი მყავე წყლის დასალევად მიდიოდნენ. „კუკუშკა“ რომ ამოდიოდა ბორჯომიდან, მთელი წაღვერი სადგურზე იყრიდა თავს. კეჩხობიდანაც ჩამოდიოდნენ დამსვენებლები და ხვდებოდნენ ნაცნობებს, გებულობდნენ ახალ ამბებს, ზოგიერთები ბაკურიანში ან ცემში მიყვებოდნენ მატარებელს იქ საგარაკოდ მყოფი ნაცნობ-მეგობრების მოსანახულებლად. ან უბრალოდ გასასეირნებლად. ნათელა და ლიზიკო ბევრ ცნობილ პიროვნებას ხედავდნენ აქ, უღიმოდნენ, ესალმებოდნენ, იმ ზაფხულს გრიშაშვილიც წაღვერში ისვენებდა, მისი ლექსები კი ზეპირად იცოდნენ, განსაკუთრებით ლიზიკოს უყვარდა მისი სასიყვარულო პოეზია. ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილსაც მოჰკრეს თვალი, ყველანი მოწიწებით შესცქეროდნენ სახელგანთქმულ მწერალს. ზოგჯერ სურათებსაც იღებდნენ რომელიმე ლამაზ ფიჭვის ხესთან, ახლადგაცნობილ მეგობართა წრეში. აგარაკზე ხალხი ერთმანეთს იოლად უაჩიოვდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, ლიზიკოს სიმონიკამ ჩამოაკითხა, მისმა ერთგულმა თაყვანისმცემელმა. ლიზიკოს ისე ესიამოვნა სიმონიკას დანახვა. რომ სახეალანძულმა ვერაფრით ვერ მოახერხა ამის დამალვა, თუმცა იმ საღამოსაც, როგორც ყოველთვის ადრე, ნათელას განუცხადა, სიმონიკას არავითარ შემთხვევაში ცოლად არ წავყვებიო. ნათელას არ [illegible] რომ ლიზიკო ამას სერიოზულად [illegible], რადგან სიმონიკა ურიგო ბიჭი არ გახლდათ. იგი ფოთელი იყო, თბილისში აგრონომიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ახლა ყვარელში მუშაობდა, მაგრამ როგორც კი საშუალებას გამონახავდა, თბილისში ჩამოდიოდა ლიზიკოს სანახავად.

— სიმონიკა, საიდან გაჩნდი, ყოჩაღ, რა კარგი ბიჭი ხარ. რომ იცოდე?! — სიხარულისგან ცას ეწია ნათელაც.

— ბიძაშენმა მითხრა წაღვერში არიანო და წამოვედი, — თქვა სიმონიკამ.

ერთი წლის წინ, უკანასკნელ კურსს რომ ამთავრებდა, ლიზიკოს სიყვარული აუხსნა და ცოლობა თხოვა, მაგრამ ლიზიკომ უარით გაისტუმრა, გათხოვება ჩემთვის ადრეა, ჯერ სწავლა უნდა დავასრულოო. ამ უარს სიმონიკა არ შეუშინებია, კაი ბატონო, ცოტა ხანს მოგიცდიო, და კვლავ მოთმინებით მიიწევდა თავისი მიზნისაკენ. ამგვარ სიმტკიცეს არ შეიძლებოდა ლიზიკოზე არ ემოქმედნა, თუმცა ზოგი რამ სიმონიკასი ლიზიკოს მართლა არ მოსწონდა. არ მოსწონდა მისი მეგრული კილო, არ მოსწონდა აზიური უძიროებით რომ დადიოდა და გალიფე შარვალს იცვამდა ზედ გადმოშვებული ხალათით და წელზე შემოჭერილი მოზარნიშებული წვრილი ქამრით, არ მოსწონდა, რომ ზოგჯერ ტრაბახი უყვარდა, მაგრამ მოსწონდა მისი ხუჭუჭა თმა და წვრილი ულვაში, მოსწონდა მისი ნახშირივით შავი თვალები და ძალზე გრძელი წამწამები, არ მოსწონდა ლიტერატურა სრულიად რომ არ აინტერესებდა, მაგრამ მოსწონდა მისი კოხტა ტანი, გამბედაობა და სიმკვირცხლე. ერთხელ, ლიზიკოს და ნათელას გვიან საღამოს შინ რომ მიაცილებდა, ვიღაც ბიჭები გოგოებს გაეხუმრნენ, რაც სიმონიკამ იწყინა და

ისე დაერია მათ, სულ კუდით ქვა ასროლინა.

— რამდენ ხანს დარჩები, სიმონიკა?

— ორშაბათს ყვარელში უნდა ვიყო.

— ორშაბათი ზეგ არის...

— რა ვქნა, სამსახურია. ამ დილით ელიკო შემხვდა ბორჯომში ვინცხა რუსთან ერთად, ჩემი საქმროაო, გამაცნო, ხვალ გელოდებათ...

— რაო? — ერთხმად წამოიძახეს ნათელამ და ლიზიკომ. თბილისიდან რომ წამოვიდნენ, ელიკოს არავითარი საქმრო არა ჰყავდა, არც რუსი და არც ქართველი, ამიტომ ახლა სიმონიკას მოტანილმა ამბავმა კინაღამ შეშალა ორივე.

სიმონიკას ელენა პეტროვნაც იცნობდა, მასაც და იასესაც იგი ლიზიკოს მომავალ საქმროდ მიაჩნდათ და კარგად უყურებდნენ. მისი დანახვა ელენა პეტროვნას არ გაჰკვირვებია და იმ ღამეს აივანზე გაუშალეს ლოგინი, ხოლო ოთახში ერთმანეთის გვერდით მწოლი, სიმონიკას ჩამოსვლით და მისი ჩამოტანილი ამბით აღგზნებული გოგოები დიდხანს ჩურჩულებდნენ და ჩუმად კისკისებდნენ, რითაც ყურდაცქვეტილ სიმონიკას და ელენა პეტროვნას ძილს უფრთხობდნენ. მახლობელი ტყიდან ბუს ძახილი ისმოდა და სახლის წინ მდგარ ფიჭვის ხეზე ციყვების ცოცვა-ხტუნვით ატეხილი შრიალი. ელიკოს საქმროს არსებობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გოგოები თავს ვერ იკავებდნენ, გვიანობამდე ლაპარაკობდნენ, ვიდრე გაბრაზებული ელენა პეტროვნას მკაცრმა შეძახილმა არ ჩააჩუმა ისინი.

დილით ადრე გაიღვიძეს. ნათელა ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. თავი ტკიოდა, ტანში ამტვრევდა. ღამე ცუდად ეძინა, თითქოს სხეულში გამდნარი ტყვია ჩაასხეს.

— ადექი, დაგვაგვიანდება!

— მე ვერ წამოვალ ლიზიკო. მგონი, გავცივდი.

— ნუ ჩაგვიმწარებ სიამოვნებას, გაციებული თუ ხარ, ჩაი დალიე და გაგივლის.

ნათელა ადგა, ჩაიცვა და — ... ლია. გუნება გამოუხალისდა, ყოველშემთხვევისათვის შალიც მოისხა. ასე თუ ისე, მხიარულად ჩავიდნენ ბორჯომში.

ელიავები ყოველ ზაფხულს სახელმწიფო აგარაკზე ისვენებდნენ. ელიკოს მამას, ვანო ელიავას, ვითარცა სახალხო კომისარს, ჰქონდა ამის უფლება და საშუალება. ფიჭვნარით დაფარული მშვენიერი ორსართულიანი ვილა, წინათ მეფის კარის რომელიღაც დაახლოებულ პირს თუ ნათესავს რომ ეკუთვნოდა, ახლა ელიავების ოჯახს ეკავა. ნათელა, ლიზიკო და სიმონიკა რომ მიუახლოვდნენ სასახლეს, შეიარაღებულმა გუშაგმა ჭიშკართან გააჩერა ისინი და საშვი მოთხოვა. საშვი არ ჰქონდათ. მაშინ გაბრუნდით უსაშვოდ არ შეიძლება. თქვა გუშაგმა.

— მოწვეულები ვართ, გველოდებიან.

— არაფერი არ ვიცი!

საბედნიეროდ, ელიავები მეორე სართულის განიერ აივანზე ისხდნენ და საუზმობდნენ. შემთხვევით ელიკომ ეზოში გადმოიხედა, გუშაგის მიერ ჭიშკართან შეჩერებული თავისი მეგობრები დაინახა და შესძახა, შემოუშვი ეგენიო. მერე კიბეზე გამოეგება მათ, სიხარულით შეხვდა და წინ წარუძღვა.

— მამას სტუმრები ჰყავს მოსკოვიდან, საკავშირო „სტაროსტა“ მიხეილ კალინინი და ცნობილი რეჟისორი დურასოვი, — აღფრთოვანებით ამბობდა ელიკო, მაგრამ მის მეგობრებს ნირი წახდენოდათ, შებორკილებივით იყვნენ, ძლივს აიარეს კიბე და ძლივს მიაღწიეს ფართოდ გაშლილ მაგიდამდე, რომელსაც უსხდნენ ელიკოს მშობლები, უფროსი ძმა, საკავშირო „სტაროსტა“ კალინინი, რეჟისორი დურასოვი საკმაოდ მოხდენილი ოცდაათიოდე წლის მამაკაცი, და სერ-

გო მაისურაძე. ელიკოს ძმა ედუარდი თეატრალური მხატვარი იყო და მსხაობებთან მეგობრობდა. ალბათ, მან მოიყვანა სერგოო, გაიფიქრა ნათელამ და უცბად იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა, თვალთ უბნელდებოდა. გონს რომ მოვიდა, სკამზე იჯდა და ლიზიკო ჭიქით წყალს ასმევდა. მისკენ მოპყრობილი სახეებისა და თვალების დანახვაზე, საშინლად შერცხვა, სახეზე ხელი აიფარა.

— არა უშავს, ახალგაზრდა ქალიშვილებს ხშირად მისდით გული, — ღიმილით თქვა კალინინმა.

— მიხეილ ივანიჩს ყველა იცნობთ, ეს კი ბორია დურასოვია, ჩემი მეგობარი, მოკლედ, მომავალი საქმრო, — დარცხვენით, საკმაოდ წამოწითლებულმა, მაგრამ სიამაყის გარკვეული ნიშნით განაცხადა ელიკომ და დურასოვი ფეხზე წამოდგა, ცერემონიულად წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და ნათელას და ლიზიკოს ხელზე ემთხვია. ელიკოს მეგობრების გაცნობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, პათეტურად წარმოსთქვა და მომხიბლავად გაიღიმა, მაგრამ ნათელამ ადვილად შეამჩნია, რომ ეს იყო ხელოვნური, კარგად დამუშავებული მსახიობური ჟესტი. მაგრამ შეიძლება, ცუდად რომ გრძნობდა თავს იმიტომ მოეჩვენა ასე, თორემ ლიზიკო სახეგაბადრული შეეცქეროდა ამ კაცს. ახალმოსული სტუმრები მაგიდასთან დასვეს, ფერად ფაიფურის ფინჯნებში თბილი რძე დაუსხეს. სიმონიკამ რძეზე უარი განაცხადა.

— დალიე, ბიჭო, თავს მჭრი! — ჩაუჩურჩულა ლიზიკომ.

— რძე ბაღნობის მერე არ დამილევია!

— ,,ბა, რას ინებებთ? ჰკითხა ელიკოს დედამ.

— არაფერი ,,ერ მინდა, ბატონო!

გულდასმით გაპარსული ვანო ელიავა და წვერებცანცარა მიხეილ კალინინი პოლიტიკაზე ბაასობდნენ.

— რევოლუციის წარმატება უმაღლესი კანონია, უკლასო საზოგადოების შექმნის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას...

— სწორედ ამიტომ ,,ერის საშინელ წვრილბურჟუაზიული გლეხობა და ამიტომ იყო საჭირო კლასთა ბრძოლის გამწვავება. სხვანაირად სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია...

— რასაკვირველია, ბაზარი და თავისუფალი ვაჭრობა, ისევე როგორც კერძო მეწარმე, წმინდა სოციალიზმისკენ მიმავალ გზაზე აღმართული დაბრკოლებაა....

— აქ ბევრი ცერემონია არ არის საჭირო, კოლმეურნეობების დანერგვა აუცილებელია...

— კულაკობის როგორც კლასის განადგურებამ ეს გზა გახსნა...

— დიახ, და ახლა ისტორია მიემართება იდეალური ვითარებისაკენ, როცა ძველი ცხოვრების უმსგავსოებიდან აღარაფერი დარჩება და შეიქმნება ახალი ადამიანი, სრულიად წმინდა და ყოვლისშემძლე, ბუნების. სივრცის და დროის მპყრობელი...

ახალგაზრდები უმეტყველო სახეებით უგდებდნენ ყურს ბრძენი პოლიტიკოსების ,ბრძნულ მსჯელობას.

ბოლოს საუზმე მოთავდა და ყველანი წამოიშალნენ. თეთრწინსაფრიანი მოსამსახურე ქალი მაგიდის ალაგებას შეუდგა. ნათელამ სერგო მაისურაძეს გახედა მალულად. მას საზაფხულო კოსტუმი ეცვა, ლამაზი ჰალსტუკი ეკეთა, ეს ტანსაცმელი უხდებოდა. ვანო ელიავა და მიხეილ კალინინი გირჩებით მოფენილ ეზოში ჩავიდნენ, სარივით გაჭიმულ მილიციელს ჩაუარეს, ჭიშკართან გაჩერებულ სახურავახდილ მანქანაში ჩასხდნენ და სადღაც გაემგზავრნენ. ახალგაზრდებმა თავისუფლად იგრძნეს თავი.

— მოდი პარკში გავისეირნოთ! — წამოიძახა ელიკომ.

ყველანი დათანხმდნენ.

— დედა, ჩვენ მივდივართ!

— ბორია. სადილზე არ დაიგვიანოთ! — ოთახის სიღრმიდან მიმართა

ელიკოს დედამ სასიძოს. მის ხმაში გარკვეული ფამილარობა იგრძნობოდა.

— არავითარ შემთხვევაში, დარდი ნუ გაქვთ, დედა! — არანაკლებ ფამილარული იყო პასუხიც.

ელიკოს ძმას ედუარდს ეზოს კუთხეში მოლბერტი გაეშალა და ფიჭვებს ხატავდა.

— თქვენ არ წამოხვალთ? — ჰკითხა ბორისმა.

— არა, ნახატი უნდა დავასრულო! ნათელას ოფლმა დაასხა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. უამრავი ხალხი ირეოდა ქუჩებში, ვინ არ იყო აქ ჩამოსული დასასვენებლად. საზაფხულოდ მორთულნი სანატორიუმების წინ და მდინარის პირას დასეირნობდნენ, ხოლო პარკში, საგანგებო ჯიხურებთან, თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალები თლილ ჭიქებში მოშუშხუნე თბილი გოგირდოვანი წყლით უმასპინძლდებოდნენ მინერალური წყლის მსურველებს. ქალიშვილები ყმაწვილებს ჩამორჩნენ.

— როდის მოხდა ეს ამბავი, ალარ გვეტყვი? — ჩაეკითხნენ დაქალები ელიკოს.

— ერთი კვირის წინ, გაცნობის მეორე დღესვე. ბორისმა მითხრა ერთის ნახვით შემიყვარდიო და წინადადება მომცა. — ალფრთოვანებით ლაპარაკობდა ელიკო და ნათელასაც უხაროდა მეგობრის ბედნიერება, მაგრამ თან უკვირდა, რადგან მისი აზრით, ელიკო არ იყო ის ქალი, უცბათ რომ კაცს ჭკუას დააკარგვინებს, თუმცა კაცებისას რას გაიგებ?

— მოძავალ კვირას ხელს მოვაწერთ და გავემგზავრებით მოსკოვში, აგვისტოში შეიძლება ბერლინში წავიდეთ, ბორია იქ მიწვეულია ერთი წარმოდგენის დასადგმელად. სექტემბერში ისევ მოსკოვში დავბრუნდებით...

— იქ იცხოვრებთ?

— რასაკვირველია. მე მოსკოვის უნივერსიტეტში ვისწავლი ისტორიულზე, მამაჩემმა უკვე მოაგვარა ეს ამბავი.

— აქ საიდან მოხვდა ბორისი?

— მიხეილ ივანიჩის ნათესავია — და მაგას ჩამოჰყვა, უნიჭიერეს რეჟისორად ითვლება, როცა მოსკოვში მესტუმრებით, ყოველ საღამოს თეატრში წაგიყვანთ ხოლმე, — ელიკოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა და უცებ ნათელას სევდა შემოაწვა, სერგო მაისურაძე იოტისოდენა ყურადღებას რომ არ აქცევდა, მაგრამ არც ელიკოს ბედი შურდა, უცხო ტომის კაცს ნამდვილად ვერ გაჰყვებოდა და უცხო ქვეყანაში ვერ იცხოვრებდა.

როცა კვლავ წამოეწივნენ თავიანთ კავალრებს. ისინი თეატრზე კამათობდნენ. კამათობდნენ გაცხარებით დურასოვი და მაისურაძე, სიმონიკა ჩუმად იყო, რადგან რუსულიც უჭირდა და არც თეატრისა გაეგებოდა რამე.

— თქვენი თეატრი და საერთოდ თქვენი ხელოვნება ებრაელებმა ჩაიგდეს ხელში, — ეუბნებოდა სერგო დურასოვს.

— მერე რა?

— როგორ თუ რა? ხელოვნება აუცილებლად ეროვნული უნდა იყოს, მაშინ აქვს ფასი. მხოლოდ მეცნიერებაა კოსმოპოლიტური.

— თქვენ ანტისემიტი ხართ?

— საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, სადაც ებრაელებს არასოდეს არ დევნიდნენ, — ამაყად განაცხადა სერგომ და ცალი ხელი მაღლა აღმართა, — ქართველ ებრაელებსაც არასოდეს უღალატხია საქართველოსთვის...

— ეს თქვენ ლირსებაზე მეტყველებს და ძალიან კარგია, მაგრამ რუსულ თეატრს რას ირჩევთ?

— არაფერს. უბრალოდ, მე მიმაჩნია, რომ ამჟამად ჩვენი თეატრის საშუალებით ჩვენ უკეთ ვახერხებთ თვითგამოხატვას, ვიდრე თქვენ...

— ძვირფასო სერგო, სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო. იუჟინი?

— სხვათაშორის იუჟინი ქართვე-

ლია, ხოლო ნემიროვიჩ-დანჩენკო თბილისელი, აქ დაამთავრა სკოლა!

— ქართულად?

— არა, რუსულად. მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ქართულ თეატრშიც იყოს ნამყოფი?!

— ხა-ხა-ხა, — გადაიხარხარა დურასოვმა არც თუ ისე მხიარულად, — თქვენ ნაციონალისტი ყოფილხართ, კაცობრიობა კი ერთა შერწყმისკენ მიემართება!

— ტყუილად გაქვთ მაგის იმედი, ეგ არასოდეს არ მოხდება!

— რას ლაპარაკობ სერგო, ამ დიად იდეას როგორ უარჰყოფ? — უსაყვედურა ელიკომ.

წიწვნარით დაფარული ბილიკი თანდათან ვიწროვდებოდა და ტყის სიღრმეში შედიოდა. ბოლოს ისინი წყვილებად დაიყვნენ, წინ დურასოვი და ელიკო, მერე სიმონიკა და ლიზიკო, ბოლოს ნათელა და სერგო მაისურაძე. ბილიკი ზოგჯერ მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. ზოგჯერ შორდებოდა მას. მდინარე ქუხილით და ქვებზე ხეთქებით მიექანებოდა ქვემოთ. ნათელამ საკუთარი გულისცემა იგრძნო.

— ყოჩაღ, სერგო, კარგად მისცხეთ მაგ ჩვენს სასიძის, — აღელვებით წარმოსთქვა.

— მაშ, რა ეგონა? ჩვენს თეატრს კუთხურობა დასწამა. მაგათ სადა აქვთ ჩვენი პლასტიკა, ჩვენი ტემპერამენტი, ერთი წარმოდგენა უნახავს თბილისში და იმით მსჯელობს. უყვართ რუსებს ჭკუის სწავლება, თავიანთი საქმეები ვერ მოუგვარებიათ და სხვისაში ცხვირს ჰყოფენ.

— სხვათაშორის, მე თქვენს სპექტაკლებს არასოდეს არ ვაცდენ.

— ო, რა სასიამოვნოა ამის მოსმენა!

მდინარიდან სიგრილე მოდიოდა და ნათელას აჟრიალებდა. უცნაურ ბურანში ხვევდა ტყის ბინდი. ერთ საშუ და ვიწრო ადგილზე სერგომ რომ ხელი წააშველა, კინაღამ მუხლები მოეკვეთა. თავბრუ ეხვეოდა და თვითონაც ვერ გარკვეულიყო რა იყო ამის მიზეზი, სიხარული თუ სისუსტე. მთელ ტანში გრძნობდა ამ უსიამოვნო სისუსტეს და თან თითქოს უზომოდ ბედნიერიც იყო. შალი მჭიდროდ მოიხვია მხრებზე. საშიში ადგილი რომ გაიარეს, სერგომ მხარზე ხელი დაადო.

— თქვენ ხომ ჩემს მხარეს ხართ?

— კი! — გაუაზრებლად ამოილუღლუღა ნათელამ და იგრძნო, სხეულში ცეცხლი ედებოდა. საღად ვერ აღიქვამდა სინამდვილეს. ელიკოს ძახილი მოესმა. უკან დავბრუნდეთო და უკან დაბრუნდნენ. მისთვის სულერთი იყო საით წავიდოდნენ, სერგოს ღულუნა ხმა, სცენიდან მეღერი ჭკუას რომ აკარგვინებდა, ახლა ყურთან ჩაესმოდა. იგი მომავალ როლზე ელაპარაკებოდა და ნათელასათვის ცხადი სიზმრად გადაქცეულიყო, თითქოს დაბინდულ სცენაზე იმყოფებოდა დედინაცვლისგან ათვალისწუნებული მწყემსი ქალი და მშვენიერი სეფეწულის საუბარს უსმენდა. ეს საოცარი ტყე ზღაპრული ოცნებების ხლართში ხვევდა. სერგოს მის მკლავზე ეკიდა ხელი, მაგრამ მერე ბილიკი გაფართოვდა და სერგომ ხელი გაუშვა, თუმცა შეგრძნება იმისა, რომ მათ შორის რაღაც კავშირი გაიბა, ნათელას არ ტოვებდა. ისევ პარკში დაბრუნდნენ და უცებ სერგოს დაუძახეს. ეს იყო ქალის ხმა და როცა ნათელამ თავი მიაბრუნა იქეთ, საითაც წინასწარ მობოდიშებული სერგო გაემართა, დაინახა ტალავერქვეშ მსხდარი ქალები, სერგოს მოსვლისთანავე მყისვე რომ წამოიშალნენ და შემოეხვივნენ და გაუბეს ლაპარაკი და ატეხეს კისკისი. ისინი ყველანაირად ხაზს უსვამდნენ სერგოსთან სიახლოვეს, ელიკო და დურასოვი, ლიზიკო და სიმონიკა კი წინ მიდიოდნენ და ვარდის ბუჩქთან მარტო დარჩენილი ნათელა სერგოს უცდიდა. უცდიდა დიდხანს. ბოლოს სერგო დაბრუნდა და ისევ ბოდიში მოიხადა.

— უკაცრავად ვარ, აქ უნდა დავრჩე. მეგობარი ქალები მელოდებიან, შეთან-

ხმებულები ვიყავით, აქ უნდა შევხვედროდით!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — მკვახედ თქვა ნათელამ, მკვეთრად შემობრუნდა და ბილიკს გაუყვა. თვითონაც გაუკვირდა, რომ არ ატირდა, ისე შემოაწვა ბოლმა ყელში, მაგრამ როდესაც ზურგს უკან იმ ქალების კისკისთან ერთად სერგოს ხმამაღალი, სცენიდან მრავალგზის გაგონილი, ესოდენ ნაცნობი, მაგრამ ამჟამად შეურაცხმყოფელი სიცილი გაიგონა, ისევ მობრუნდა, მხიარულ ჯგუფს მიეჭრა, მის დანახვაზე სახეები რომ დაუგრძელდათ. და აცახცახებულმა, — თავადვე გრძნობდა, რომ თავს იმცირებდა, მაგრამ ბრაზს ვერ იმორჩილებდა და თითქოს უფსკრულში ვარდებოდა, — ცრემლმორეული ხმით თითქმის დაიყვირა:

— ვის დასცინით თქვენ?

— რაო?

— სიცილს გვიკრძალავთ?

— ვინ არის ეს თავხედი?

— თქვენ კი ბატონო სერგო, ეტყობა, მხოლოდ სცენაზე ხართ რაინდი!

ასე დამთავრდა იმ დღევანდელი სიამენი ნათელასათვის. აღარც კი ახსოვდა, როგორ დაეწია დაწინაურებულ ამხანგებს. მუცლის ყრუ ტკივილი აწუხებდა და ისიც კი გაიფიქრა, კუჭი ხომ არ ამეშალაო. ვიღაც ფართოშლაპიანი ქალი, ღვედზე გამობმული პატარა ძაღლით, პენსნიანი მამაკაცის თანხლებით მომავალი, დააკვირდა მის მოკუმულ ტუჩებს და ფერწასულ სახეს, იღლიაში აპარატამოდებული ფოტოგრაფი სურათის გადაღების მსურველთა ჯგუფს კლდიდან გადმოხეთქილი ჩანჩქერისკენ მიუძღვებოდა, საქანელასკენ გაქცეულ ბავშვს დედა ეძახდა და ნათელა ყოველივე ამას აღიქვამდა და ვერც აღიქვამდა, რადგან თავისი დამცირების, გაცრუებული გულუბრყვილო ოცნებების მტანჯველი სიმძიმე სულს უხუთავდა და თვალს უბნელებდა, სირცხვილიც წვავდა უაზრო საქციელის გამო. მაგრამ როცა ამხანაგებს წამოეწია, შესძლო თავის შეკავება.

— სერგო სად არის?

— მეგობრებთან დარჩა, — თქვა ცივად.

— წავიდეთ ჩვენთან, ვისადილოთ!

— მე დღესვე უნდა დავბრუნდე წაღვერში!

— ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს.

— შენ დარჩი ლიზიკო, სიმონიკა გააცილე და ხვალ ამობრუნდი, მე კი აუცილებლად ახლავე უნდა წავიდე!

თავისი გაიტანა, მაგრამ „კუკუშკა“ აღარ გვრიდა სიამოვნებას, პირიქით გულს უწუხებდა მისი ჯანჯღარი, მგზავრების უდარდელი საუბარი და უცებ, ბორჯომში ნანახი ჭლექიანი ბიჭის სახე წარმოუდგა. აი, რა იყო სინამდვილე! სიმწარისგან გული ისე შეეკუმშა, რომ კინაღამ ატირდა. ყველანი თავს იტყუებდნენ, გაბადრული სახეებით მიდამოს მიჩერებული მგზავრები. ყველა ისინი თავისი ოცნებებისკენ რომ მიილტვიან, რაღაც რომ სჯერათ, ბუჭუტას დასაც ჰქონდა ალბათ ოცნებები, მაგრამ სად გაქრნენ, რას შეუერთდნენ? მზე კი ისე ანათებდა ტყით დაფარულ ლამაზ მთებს...

წაღვერში ჩასულმა სასწრაფოდ შინისკენ გასწია, სადაც თბილისიდან ჩამოსული იასე ელოდა.

— რა იყო, გოგო, რა მოგივიდა, ადამიანის ფერი არ გადევს!? — შეშფოთდა იგი.

— მგონი გავცივდი, — უთხრა ნათელამ და ლოგინში ჩაწვა. თვალები დახუჭა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა, ბორგავდა, წრიალებდა. სუნთქვა უჭირდა, როცა დაბინდდა, ლამფა აანთეს და წყვდიადიდან გამოყოფილი სინათლის წრე უცნაურ გზად ეჩვენებოდა, რომელიც უნდა გაევლო, მაგრამ ჯერ შიგ უნდა შესულიყო, იმ წრეში და ეს ჩანდა ძალზე ძნელი და საშინელი. ამიტომ ითხოვა სინათლე ჩამიქრეთო და მაშინ შეფიქრიანებულმა იასემ სიცხე გაუსინჯა.

თვალს არ დაუჯერა ვერცხლის.

წყლის სინდიყი ორმოცდაერთს გადასცილებოდა. გულგახეთქილი გამოვარდა კარში და ერთ ნაცნობ ექიმს მიაშურა, წიფლნარელ კაცს სილოვან დემურიას. სკოლაში ერთად სწავლობდნენ, მერე სილოვანი ძმებთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა და იქ დაამთავრა უმაღლესი. თვითონ საქართველოში დაბრუნდა, მისი ძმები კი ევროპაში დარჩნენ. ამის გამო სილოვანს ხშირად იბარებდნენ ჩეკაში და ერთხელ იასემ სიტყვა შეაწია, პატიოსანი და სანდო კაციაო. იცოდა, აქ ისვენებდა თავისი ცოლ-შვილით. ამასწინათ შეხვდა წაღვერში. ძლივსძლივობით მიაგნო მის სახლს და აკანკალებულმა თავისი გაჭირვება აუწყა. სილოვანი აუჩქარებელი კაცი იყო, ყელზე ბაფთა გაიკეთა. სამართებლით გადაპარსულ თავზე შლაპა დაიხურა, პატარა ჩემოდანი აიღო და იასეს ხმისამოუღებლად გაჰყვა. იასე ღელავდა, ხელებს იმტვრევდა.

— რა ვქნა, არ დავიღუპო, არ მომიკვდეს ბავშვი!..

მაგრამ ექიმი ნუგეშს არ აძლევდა, ხმა არ ამოუღია, სანამ ავადმყოფი არ გასინჯა. სანუგეშო კი არაფერი იყო ნათელა ისევ ბორგავდა, დედას თხოულობდა, ელენა პეტროვნა შუბლზე ცივ ტილოებს ადებდა, მაგრამ ეს არ შველოდა, ისევ ბოდავდა. ექიმი აივანზე გამოვიდა და ხელები გადაიბანა.

— ტიფი აქვს. სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ საავადმყოფოში. უმჯობესია ხვალვე წაიყვანო თბილისში.

— გადარჩება? — სასოწარკვეთით ჰკითხა აცახცახებულმა იასემ.

— არ ვიცი!

— ვაიმე, რა მეშველება...

ექიმმა ხელსახოცი მოაჯირზე გადაკიდა. თავი ასწია და სახეში შეხედა მხრებაწურულ იასეს.

— ძნელია, იასე, სიკვდილი?

— რა მითხარი?

— სიკვდილი ძნელია -მეთქი? წიფლნარელი ბიჭები რომ დაახოცვინე რუსის ჯარისკაცებს მაცხოვრის ეკლესიის გალავანში, იმათაც ჰყავდათ მშობლები და ნათესავები, იმათაც უნდოდათ სიცოცხლე! ბენია კალანდარიშვილი რომ დაახვრეტინე, იმასაც ჰქონდა თავისი მიზნები, იმასაც უნდოდა იმ მიზნების შესრულება! ხედავ ეხლა რა ძნელი ყოფილა სიკვდილი? რომელი რევოლუცია და კლასთა ბრძოლა შეედრება სიცოცხლეს, სიცოცხლეზე მაღალი არაფერია, იასე, მაგრამ შენ ეგ არასოდეს არ გესმოდა...

3.

გარეთ უკვე ხეები ჰყვაოდნენ თეთრად და ვარდისფრად, გაზაფხულის სითბო იდგა ჰაერში, დუქანში კი გრილოდა. მედუქნემ ბუხარი დაანთო და ახლა უფრო სასიამოვნო გახდა აქ ყოფნა.

ჟორჟიკა ვაშაკიძე ფანჯარასთან იდგა. იგი ჯიხაიშელი კაცი იყო, ცხოვრების უკულმართობამ შემოაგდო ახალციხეში, მაგრამ ისე შეეთვისა აქაურობას. რომ ამას უკვე აღარ ნანობდა, თუმცა არც არასდროს უნანია, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ოჯახი დაურბიეს, მშობლიურ კუთხეში არ დაედგომებოდა. მამამისი, ზოსიმე მღვდელი, ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიაში რომ მიდიოდა, კომკავშირელებმა დაიჭირეს, სოფლის სადალაქოში შეათრიეს, იატაკზე დააგდეს და ძალით გაკრიჭეს. იმ დღის მერე იგი სახლიდან არ გამოსულა, რცხვენოდა თავისი მრევლისა, ხოლო მოძალადეთა მიმართ წყევლაკრულვას არ იშურებდა, თუმცა იცოდა, რომ ღვთის მსახურისაგან მოყვასის ძაგება არ ეგების. ამ ამბის შემდეგ აღარც ზოსიმეს ძმები ჩამოდიოდნენ ჯიხაიშში, შეიძლება უსიამოვნებას ერიდებოდნენ. შუათანა ძმა პროვიზორად მუშაობდა ქუთაისში. ხოლო უმცროსი სახელგანთქმული ოფიცერი იყო, გიორგის ჯვრის კავალერი ოქროს ხმლით დაჯილდოებული. პირველი მსოფლიო ომის დროს, სპარსეთში თავისი ასეულით ალყა შემოარტყა მოწინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის პოლკს და განაიარაღა, რადგან შეცდომაში შეიყვანა მტერი, მთელი დივიზიითა ხართ გარშემორტყმულიო. იარაღი რომ დაყარეს, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ შეცდომას და „შაითან კაპიტანი“ უწოდეს ოფიცერ ვაშაკიძეს. ბევრი ახლაც ამ სახელით იცნობდა მას, როცა უკვე ჯარს თავი დაანება და მეტისმეტად მოკრძალებულად ცხოვრობდა თბილისში.

ზოსიმე მღვდელი კი წვერს იზრდიდა, მაგრამ არ დააცალეს. ოცდაოთხი წლის გამოსვლები რომ დაიწყო, ერთ ღამით სახლში შეუცვივდნენ, გარეთ გამოათრიეს, ეკლესიაში წაიყვანეს, თავისი ხელით გაათხრევინეს საფლავი და აჯანყებაში ეჭვმიტანილებთან ერთად დახვრიტეს. თავზარდაცემული ჟორჟიკა მეორე დღესვე გადაიხვეწა სოფლიდან, მღვდლისშვილის აწ უკვე სამარცხვინოდ ქცეული დამღა საფრთხეს უქმნიდა მის მომავალს. სასწრაფოდ მიატოვა ბიძამისის მეცადინეობით გახსნილი პატარა აფთიაქი. სადაც იგი წამლებს უმზადებდა თანასოფლელებს, და ბევრი ხეტიალის შემდეგ ახალციხეში ამოყო თავი. აქ მეგობარი კაცი ეგულებოდა, ჯიბო ჯაველიძე, რომელიც ახლა გვერდით ეჯდა ფანჯარასთან გაშლილ მაგიდასთან. ქუთაისის გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ, შემდეგ ჯიბომ ახალციხელი ჯაყელის ქალი შეირთო ცოლად და აქ დასახლდა, თანდათან მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ჟორჟიკასაც ხელი გაუმართა. აფთიაქში პროვიზორად მოაწყო, რაბათში ბინაც უშოვა ფაშის სასახლის მახლობლად, აწ გაუქმებულ წმინდა მარინას ეკლესიასთან. თვითონ ქვემოთ ცხოვრობდა, საკუთარი სახლი ჰქონდა. ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა და დიდი გავლენით სარგებლობდა ამ მხარეში, რადგან ვაჟკაცი კაცი იყო, გულადი და პურადი. შესანიშნავი მომღერალიც გახლდათ. როცა ჯიბო სიმღერას წამოიწყებდა და ჟორჟიკა აჰყვებოდა, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა, მაგრამ შესაფერი ბანი აკლდათ, სიმღერა ბოლომდე სრულყოფილი რომ გამოსულიყო.

ამათ გარდა სუფრას კიდევ სამი კაცი უჯდა. მათ შორის ერთი გამუსულმანებული მესხი მასწავლებელი თამალ ჩომახიძე ერია. იგი ისე იყო გაკომუნისტებული, რომ ნუნუასაც სვამდა და ღორის ხორცს არხეინად შეექცეოდა. ცოლად საჩხერელი მოდებაძის ქალი ჰყავდა. ჯერჯერობით ბავშვებს ქართულს ასწავლიდა სკოლაში, მაგრამ იმ დღეზე ოცნებობდა, როცა თურქეთში გააგზავნიდნენ რევოლუციის მოსახდენად. მსოფლიო რევოლუციაზე კიდევ ერთი სუფრის წევრი ამყარებდა იმედს, თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა მუშაკი უშანგი მუმლაძე, მდგმური თამალისა. არც იყო გასაკვირი, იგი პროფესიონალი რევოლუციონერების ოჯახიდან იყო გამოსული, დედა, მამა, უფროსი ძმა ამ საქმეში იყვნენ ჩაბმულნი და უშანგი ამით ძლიერ ამაყობდა. მესამე წევრი სუფრისა უდელი კათოლიკე გახლდათ გვარად მერაბიშვილი, მეტად მოკრძალებული კაცი, ჯიბოს თანაშემწე სამსახურში. ჯიბოს ხელში ჭიქა ეჭირა და სადღერძელოს ამბობდა, ჟორჟიკა კი ფანჯარაში იყურებოდა.

უცებ მან დაინახა მოედანზე მდგარი ბრგე ყმაწვილი, რომელიც სადღაც, ქუჩის ზემო მხარეს იცქირებოდა, ოღონდ ვის და რას უყურებდა, აქედან არ ჩანდა. მერე იგი შემობრუნდა, პიჯაკი შეისწორა, ცერა თითი ქამარში გაირჭო და ნელი ნაბიჯით დუქნისკენ გამოემართა. გაუპარსავი იყო, მაგრამ წვრილ ზოლად მოშვებული თხელი წვერი უხდებოდა კიდეც. ქოჩორი შუბლზე დაუდევრად ჰქონდა ჩამოყრილი. ამ ჭაბუკს ჟორჟიკა პირველად ხედავდა, წამსვე შეატყო, აქაური რომ არ იყო და ნეტავ ვინ არისო, გაიფიქრა.

იგი დუქანში შემოვიდა და კუთხეში დაჯდა, ბუზებისგან დალაქავებულ კედელთან, აგიზგიზებული ბუხარი გაზაფხულს გავიწყებდა. ჟორჟიკამ უცხოს თვალი მოარიდა და ჯიბოს მიუგდო

ყური, ამ მადლიანი კუთხის სადღეგრძელოს რომ ამბობდა, საქართველოს ძველი ბურჯის, მისი ძირძველი მოსახლეობის.

— რაღაა ამათი ქართველობა, — ჩაურთო ჟორჟიკამ, — მთლიანად გათათრებული არიან...

— მართალია, მუსულმანი ვარ, მაგრამ ჩემი დედა-ენა ქართულია! — წარმოსთქვა თამალმა.

— თვითონაც ვერ გაგიგიათ ვინ ხართ, რა ხართ, რჯული ეროვნება გგონიათ...

— მე რჯული არ მწამს...

— შენ არა გწამს, სხვებსა სწამთ...

— ბედის დაცინვა არ არის, საქართველოში ქართველი კაცი თათრობდეს? — ამოიოხრა ჟორჟიკამ.

— შენ ეგა თქვი, ვითომ გადამთიელები გვაკლდეს, — თქვა ჯიბომ.

— თუ მსოფლიო რევოლუციას მოვახდენთ, ეროვნებას მნიშვნელობა აღარ ექნება! — ზეაღმტაცი ტონით წამოიძახა უშანგმა.

— მერე, ვინ ვიქნებით?

— როგორ თუ ვინ ვიქნებით?

ჯიბომ თავი გააქნია დანანებით და მოკლედ თქვა:

— მე მინდა, ძმებო, საქართველო იყოს ბედნიერი, ერთიანი. შეთანხმებული და თუ ამ სადღეგრძელოს დამალევინებთ, ძალიან დაგიმადლებთ.

— ურაპატრიოტულ სადღეგრძელოებს გვასმევ? — შეეკამათა უშანგი.

— შენ თუ არ გინდა, ნუ დალევ!

— მე მინდა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ძმობას გაუმარჯოს!

— სხვებმა რა დააშავეს?

— ვინ სხვებმა?

— მაგალითად, გლეხებმა, გლეხები ხალხი არ არიან?

— გეყოფათ ამდენი ლაილაი, საქართველო უბედობამ დაღუპა, ველარ გაიგეთ? — წამოიძახა გაღიზიანებულმა მერაბიშვილმა.

ჟორჟიკამ ჭიქა დაცალა, წამოდგა და იქეთკენ გაეშურა, სადაც უცნობი ჭაბუკი თავჩაღუნული შეექცეოდა პურს, ყველს და მწვანილს. სკამი გამოწია და დაუკითხავად მიუჯდა გვერდით.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — თავი აწია უცნობმა და უნდობლად შემოხედა.

— გატყობ, აქაური არ უნდა იყო!

— მართალია.

— მე აფთიაქის გამგე ვარ. ჟორჟიკა ვაშაკიძე... — მაგრამ სანამ სიტყვას დაამთავრებდა, შეზარხოშებულმა ჯიბომ „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ“ წამოიწყო, ჟორჟიკამ პირველი მიაწვდინა და უცებ უცნობმა ისეთი ბანი დააგუგუნა, კედლებმა ზანზარი დაიწყეს, სიმღერა რომ დაამთავრეს, აღფრთოვანებული ჯიბო ფეხზე წამოიჭრა და ახალგაზრდას მივარდა. მკერდამდე ძლივს მისწვდა სკამიდან წამომდგარ ჭაბუკს.

— ვინ ხარ, ძმაო, შენ?

— წიფლნარელი ვარ, ბიძინა ნიგურიანი!

— ნიგურიანი კი არა ზალიაპინი ყოფილიხარ! მოდი ერთი „შაშვი-კაკაბი“ ვთქვათ!

ბიძინამ ისევ ისახელა თავი. იმ საღამოს მაგრა იქეიფეს და ისეთი სიმღერები შეასრულეს, ახალციხეს არასოდეს რომ არ სმენია. ბოლოს აიშალნენ და კარგა ნამუსრევნი კარში გამოვიდნენ. უკვე ბინდი იდგა, ქუჩა ცარიელი იყო, რაბათში სინათლეები ციმციმებდნენ.

— ვისთან ხარ ჩამოსული? — ჰკითხა ჯიბომ ბიძინას.

— არავისთან.

— გვითხარი ძმაო, რამე ხომ არ გიჭირს? — ჰკითხა ჟორჟიკამ.

— ცოტა ხნით ჩეკას მინდა მოვერიდო.

— გეძებენ?

— არ ვიცი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ერთი ცუდი რამ შემემთხვა თბილისში...

— ამ კაცის აქედან გაშვება არ შეიძლება, ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ, რას იტყვი, ჯიბო?

— მაგაზე ორი აზრი არ არსებობს, ამისთანა ბანს სად ვიშოვით?!

ასე დარჩა ბიძინა ნიგურიანი ახალციხეში, ჯიბომ ექსპედიტორად მოაწყო ხე-ტყის საწყობში, ხოლო ერთხანს ბინად ჟორჟიკამ შეიფარა.

მთელი ოთხი წელი ერთად მუშაობდნენ, ერთად ქეიფობდნენ და ერთად მღეროდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიძინა მთლად უდარდელად ვერ იყო. ჯერ კიდევ ახსოვდა ის შიში, ფეხმორჩენილმა და ბეთანიელ ბერებს დამშვიდობებულმა თბილისში დაბრუნებისას რომ განიცადა, როცა კიოსკში გაზეთი იყიდა, გადაშალა და ქრონიკაში წაიკითხა, უცნობმა ბოროტგანმზრახველმა ქუჩაში მოკლა ორესტ დიმიდრიადიო, ვინ იყო ის ბოროტგანმზრახველი, ან რატომ მოჰკლეს ორესტი? თვითონაც ემუქრებოდა ორესტს, მაგრამ როცა გაიგო, რომ ის უკვე მკვდარი იყო და მოკლა ვიღაც უცნობმა, ეს უცნობი მისთვის ბედისწერის ნების აღმსრულებელ საიდუმლო და საშიშ ძალად გარდაისახა, რომელსაც ვერაფრით წინ ვერ აღუდგები. ვით ულმობელ აუცილებლობას, დაუნდობელ განაჩენს, და დამთრგუნველმა შიშმა შეიპყრო. ვინ იცის, იქნებ მასაც ეძებდნენ და რამეს უმზადებდნენ? ამ შიშმა აიძულა ემილი მახარაძე მოენახა და ეკითხა, რა ხმები დადის ქალაქშიო? ემილმა უთხრა. შოთა მამაცაშვილი დაიჭირეს, დაჰკითხეს და ისევ გამოუშვესო.

— რას ეკითხებოდნენ?

— შენზე და მიშაზე ეკითხებოდნენ. სად გაქრნენო?

— მერე შოთამ რა უთხრა?

— არაფერი არ ვიციო.

— თბილისში აღარ დამედგომება! — გადაწყვიტა ბიძინამ, სადგურში გავიდა და პირველსავე მატარებელს გაჰყვა. ამ მატარებელმა ბორჯომში ჩაიყვანა. ბორჯომში ჩასული კვლავ გზას გაუდგა, რადგან უნდოდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო საშიშროების კერიდან, რომელიც იქ ეგულებოდა, სადაც გზები გადიოდა და ხალხი თავს იყრიდა, ყველა ადვილად მისადგომ ადგილებში. ერთი პირობა ინანა, მიშას რომ გაჰყვა საზღვარგარეთ, რა დროს მეღრძო ეს ოცდარვა ფეხრა, მერე ინანა, გროში რომ არ ჩაიტოვა ჯიბეში და სამათხოვროდ გაიხადა საქმე, ემილს გამოართვა მატარებლის ბილეთის ფული და რაღაც ორიოდ კაპიკი დარჩა. ახალციხეში რას იზამდა წარმოდგენა არა ჰქონდა. მაგრამ ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა მტკვრის ულამაზეს ხეობას, მიდიოდა სიუცხოვეში, თითქმის უიმედოდ, უმიზნოდ, ოღონდ შორს ყოფილიყო, სადმე თავი შეეფარებინა, მერე რაღაც იქნებოდა. აწყურის ციხეს ჩაუარა, მთებზე დაფენილი მწვანე ხავერდი თანდათან წაბლისფერით იცვლებოდა და ბოლოს ახალციხეს მიაღწია. რას წარმოიდგენდა დუქანში შესული და სასოწარკვეთილებისგან ამღერებული თავისი ნამდვილი არასასიმღერო განწყობილების დასაფარავად, რომ სწორედ ეს სიმღერა უშველიდა, იხსნიდა, და რომ იმ ბედნიერ დუქანში განგების მოწყალებამ შეადგმევინა ფეხი. მართლაც, ამის შემდეგ საქმე კარგად წაუვიდა, მამასაც კი მისწერა წერილი წიფლნარში და შეატყობინა, ცოცხალი რომ იყო. ფულსაც აკეთებდა და აღარაფერი უჭირდა, მაგრამ სულ უბრალო ცნობისმოყვარეობა, სულ უბრალო შეკითხვა აფრთხობდა, აფორიაქებდა, განსაკუთრებით ნერვებს უშლიდა უშანგი მუმლაძე, რომელიც მიუხედავად მისი ურაკომუნისტური განწყობილებისა თუ გამონათქვამებისა, ურიგო ბიჭი არ იყო, მაგრამ იყო ყბედი, ტრაბახა, თუთიყუშივით ფეხის ხმას აყოლილი გაუაზრებლად, შეუგნებლად, თუმცა პურმარილიანი და ალალი, მაგრამ ბიძინას აზრით, სხვის საქმეში ცხვირის ჩამყოფი. მაგისთვის რომ გეკითხათ, მამამისი ლამის სტალინის და კამოს უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო, ხოლო დედამისი — თვალსაჩინო კონსპირატორი. გენერალი გრიაზნოვი მამაჩემს უნდა მოეკლა, მაგას ამოუვიდა კენჭი, მაგრამ არსენა ჯორჯი-

აშვილმა უთხრა, შენ ცოლშვილიანი კაცი ხარ, გიორგი, მე არავინ მაწევს კისერზე, მოდი, მაგ საქმეს მე გავაკეთებო. იმ ტერორისტული აქტის მერე უშანგის მამა დაუჭერიათ და ათი წლით ციმბირში გადაუსახლებიათ, მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაბრუნებულა თბილისში, როცა მისი უფროსი ვაჟი ლადო ბოლშევიკური მოღვაწეობისათვის მეტეხის ციხეში მჯდარა და სიკვდილი ჰქონია მისჯილი. დასახვრეტად რომ გაჰყავდათ, მამაჩემი თავისი ამქრით თავზე დაესხა მენშევიკების დამსჯელ რაზმს და ტყვეები გაანთავისუფლო, ყვებოდა უშანგი. მაგრამ ბიძინას მისი მონათხრობი მაინცდამაინც არც სჯეროდა, რადგან ფიქრობდა, უბრალოდ, ამ ყმაწვილს ფანტაზია აქვს მეტისმეტად განვითარებულიო. დედაჩემი განთქმული მკერავი იყო, წარჩინებულ ოჯახებში იბარებდნენ და შეკვეთებს აძლევდნენო, ისიც იჯდა, მუშაობდა და ისმენდა, რასაც ლაპარაკობდნენ ამ ოჯახებში შეკრებილი დიდი მოხელეები, გენერლები, ეპისკოპოსები და მერე მათი ნალაპარაკევი გარეთ გამოჰქონდა და რევოლუციონერები ამის მიხედვით წინასწარ იგებდნენ ბევრ მნიშვნელოვან ამბავსო. შეიძლება ეს ყველაფერი სულაც არ იყო უშანგის გამონაგონი, ბევრ ასეთ რამეს ჰყვებოდა იგი, განსაკუთრებით ცოტას რომ დალევდა, მაშინ თავისი თავიც ძალზე დიდ კაცად წარმოუდგებოდა ხოლმე, ლამის რევოლუციის ბურჯად და ბიძინას ზოგჯერ ართობდა ამ კაცის მონათხრობი. ზოგჯერ აღიზიანებდა, გააჩნია, როგორ ხასიათზე იყო, მაგრამ ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ არსებული რეჟიმის მოძულე ბიძინა და ამ რეჟიმის ერთგული უშანგი ერთმანეთთან საერთო ენას პოულობდნენ, თუმცა ხშირად მოსდიოდათ კამათი, ხშირად ვერ თანხმდებოდნენ. მიუხედავად ამისა, თითქმის სულ ერთად იყვნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასაკით ტოლები იყვნენ. არამედ იმიტომ, რომ უშანგის უყვარდა ბიძინა, რაღაც მოსწონდა მისი, მისგან ყოველ[illegible] ინტანდა, აინტერესებ[illegible] და სწორედ ეს უშლიდა ბიძინას ნერვებს, გამოკითხვას რომ დაუწყებდა წიფლნარზე, მშობლებზე, ძმებზე და დაზე. რა შენი საქმეაო, ბრაზდებოდა ბიძინა. მე ყველაფერს გიყვები და შენ რატომ მიმალავ შენს წარსულს, ეს რანაირი მეგობრობაა, ბრაზდებოდა უშანგი. რა დიდი წარსული მე მაქვს, შენსავით რევოლუციონერი კი არა ვარო, ეუბნებოდა ბიძინა. რა მოხდა, შე კაი კაცო, მეგობარი ხარ და მაინტერესებს შენი ოჯახის ამბებიო, ეუბნებოდა უშანგი. კიდევ ის იყო საოცარი, რომ თუმცა ბიძინა ბევრად სჯობდა შესახედავად კაფანდარა უშანგის, ამ უკანასკნელმა უკვე სამი საყვარელი გამოიცვალა ახალციხეში, მაშინ როცა ბიძინა აბუტეტივით დადიოდა და გულის სიღრმეში შეიძლება შურდა კიდეც თავისი ამხანაგების მოხერხებულობა.

ერთ მშვენიერ დღეს, უშანგის უმცროსი და ჩამოუვიდა თბილისიდან. ეს იყო მეტად მოკრძალებული და მუდამ მომღიმარი შავგრემანი ქალიშვილი. პირველად იგი ბიძინას არც მოეწონა. არც მისი გაკეთებული კერძები ეგემრიელა, როცა უშანგიმ ჯიბო, ჟორჟიკა და ბიძინა დაპატიჟა შინ სადილად, საყვარელი და ჩამომივიდა, მოდი, ვიქეიფოთო. კარგად იქეიფეს და იმღერეს, ბიძინამ დააგუგუნა თავისი ბანი, რომელსაც ამდენი სმისა და სიმღერისაგან ბოლო დროს ხრინწი შეერია. სწორედ მაშინ შეიტყო ბიძინამ, რომ ამ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს საბუღალტრო კურსები ჰქონდა დამთავრებული და სამსახურსაც რამდენიმე ადგილას ჰპირდებოდნენ, მაგრამ რაკი უშანგი ახალციხეში მარტო ცხოვრობდა, აქ ჩამოსვლა გადაეწყვიტა, რომ ძმას გვერდით ჰყოლოდა, მოეკლო და ეპატრონა მისთვის და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სამსახურიც აქ დაეწყო. სამსახური ამ გოგონამ მალე იშოვა და ბიძინას თვალში საკმაოდ

მაღლა აიწია მისმა მაზანდამ. ახლა უშანგისთან მისვლა ეხალისებოდა და თუ უშანგი შინ არ დახვდებოდა, მაინც რჩებოდა და დიდხანს ებაასებოდა მაიკოს. ის კი უსმენდა და უღიმოდა. ღიმილი საერთოდ არ შორდებოდა მის სახეს, ღიმილით გამოხატავდა მოწონებას, გამხნევებას, თანაგრძნობას, სიხარულსაც და სინანულსაც. ეს ღიმილი ბიძინას წარმოუდგენლად იზიდავდა, ნდობას უღვიძებდა, ნუგეშს ჰპირდებოდა და ერთხელ გაანდო მაიკოს რა შემთხვევამ გადმოისროლა ახალციხეში.

— უიმე, ბიძინაჯან, ეგ რომ გაგიგონ ციხე არ აგცდება!

— საიდან გამიგებენ, თუ შენ არ იტყვი?

— მე როგორ ვიტყვი?

— ხომ ხედავ, ჩემი სული შენს ხელშია. კარგად დაუკვირდი რას გეუბნები, ჩემი სული შენს ხელშია! — დამარცვლით გაიმეორა ბიძინამ და მრავალმნიშვნელოვნად ჩახედა თვალებში ოდნავ თავდახრილ ქალიშვილს.—ხვალ მოვალ და პასუხი გამეცი!

— რა პასუხი უნდა გაგცე? — ისევ გაეღიმა მაიკოს.

— იცი შენ. მხოლოდ ერთი სიტყვა!

მაგრამ მეორე დღეს ვერ მივიდა, სამხერხაოში ხანძარი გაჩნდა და დილამდე იქ იყო. ველარც მესამე დღეს მივიდა, ჯიბომ წაიყვანა სოფელ წყალთბილაში, ზედ თურქეთის საზღვართან, ახალი მასალის გადმოსაზიდად. ამ სოფელს მხოლოდ სახელი დარჩენოდა ქართული, იქ ახლა მთლიანად ერზერუმიდან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობდნენ. სომხებთან საქმის დაჭერა იოლი არ იყო და მეოთხე დღესაც იქ დარჩნენ. დაუსრულებელმა კამათმა და გარიგებამ სიქა გააცალა. ხევგაღმა მოჩანდა საიდუმლოებით მოცული მთები, იქ თურქეთის სამფლობელოები იყო და იზიდავდა იქაურობის იდუმალება, რადგან იცოდა, ქართველები სახლობდნენ იქაც. ხოლო ქართულ მიწაზე უცხო ტომის ხალხი დაფუძნებულიყო და ეგბატონებოდა საქართველოს სიმდიდრეს და ამის გამო თავის გულს ასკდებოდა ბიძინა.

— რა გვჭირს ამათი სათხოვარი, რატომ ვკარგავთ ჩვენს მიწას და ჩვენს სამყოს?! — წამოიძახა გაგულისებულმა.

— დავუძლურდით, ჯეროვან წინააღმდეგობას ველარ ვუწევთ მომხვდურს, — ნაღვლიანად თქვა ჯიბომ.

— ყველას ამ საქართველოში რომ უნდა ცხოვრება?..

— იმიტომ, რომ კარგი მიწა გვაქვს. კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ვერ ვუვლით ჩვენს ქვეყანას, ხომ ხედავ?...

ბოლოს საქმე მაინც გაარიგეს და ახალციხეში დაბრუნდნენ. ბიძინამ აფთიაქში შეიარა ჟორჟიკასთან და მისგან გაიგო, რომ წინა დღეს მაიკო და უშანგი თბილისში წასულიყვნენ, იქედან ცნობა მიეღოთ, მამა გარდაცვლოდათ. ერთი კვრის შემდეგ, დამწუხრებული უშანგი ახალციხეში ჩამოვიდა, მაგრამ მაიკო არ ჩამოჰყოლია. ბიძინას შეკითხვაზე, მაიკო სად არიო, თბილისში დარჩა, აბა, მგლოვიარე დედას მარტოკა ხომ ვერ დატოვებსო?

ამ ცნობამ გუნება გაუფუჭა. თვითონაც ვერ მიხვდა, რომ სიმარტოვემ მოუჭირა კლანჭები. რადგან იგი ვერასდროს ვერ შეიგრძნობდა სიმარტოვეს, თუმცა, რაც თავი ახსოვდა, სულ ასე იყო, თავისთვის, თავის თავთან, მარტო, მხოლოდ საკუთარი საზრუნავით შეპყრობილი. სწორედ ამიტომ ვერ აღიქვამდა განსაკუთრებულად და განსხვავებულად იმ განცდას, ზოგჯერ სევდიან განწყობილებას, რომელიც მის შიგნით, თვით მასში უცვლელად სუფევდა. აშკარა იყო, დედამისს შვილებში გამორჩეულად უყვარდა ნათელა. ქალიშვილისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მინადორაში ძნელი შესამჩნევი არ იყო და ეტყობა, ოდესღაც, შორეული წარსულის ჯურღმულში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი ცნობიერება ის-ის იყო იწყებდა გამოღვიძებას, ბიძინამაც შეამჩნია ეს და ალბათ, ტრიალ მინდორში მარტო მიტოვებულივით იგრძნო თავი და აქედან მოდიოდა მისი მერყეობა და სიჯიუტე, გაღიზიანება და დაუმორჩილებლობა, საკუთარი დის ათვალისწუნება, რომელთანაც გაუაზრებლად და უნებურად დედის სიყვარულისთვის უხდებოდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში წინასწარ გადაწყვეტილი მუდმივი მარცხი თითქოს აგულქვავებდა, აუხეშებდა, დედასთან და დასთან ვერასდროს ვერ პოულობდა საერთო ენას, ხშირად მოსდიოდა უთანხმოება და უკმაყოფილება და ყოველივე ამას მის უხეშ ხასიათს, ყიამყრალობას აწერდნენ. ცხადია, ეს იყო დაუკმაყოფილებელი წყურვილი სიყვარულისა და ყურადღებისა, გაუაზრებელი შურის გამოხატულება. თუმცა ბუნებით არ იყო შურიანი. ის იყო ავყია, ოღონდ უბოროტო ადამიანი, რომელიც ძალიან მალე ივიწყებდა წყენას. რომ წამოიზარდა, თვითვე ებრძოდა თავის თავში დედისა და დის წინააღმდეგ მიმართულ გაუცხოებას, მაგრამ ბავშვობაში ერთხელ განცდილი მიუსაფრობა, თითქოს მაინც გულგრილს ტოვებდა ახლობლების მიმართ, მაგრამ ის არ იყო გულგრილი დედ-მამაც უყვარდა და ძმა-ძმაც, ის იყო მარტოსული.

ახალციხეში მაიკოს ხშირად ებაასებოდა თავის ოჯახზე, უყვებოდა, რომ ბავშვობაში იყო ძალზე ცელქი და გაუგონარი, რის გამოც ხშირად სჯიდნენ, ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა მამამ ქამრით აუჭრელა ზურგი, რაც დღემდე ახსოვდა, უყვებოდა, რომ მისი და იყო მეტისმეტად სუფთა, წესრიგის მოყვარული, ნიჭიერი ქალიშვილი, რომ მისი ძმა იყო არაჩვეულებრივად ლამაზი და ბუთხუზა ბავშვი და ძალიან უხდებოდა თეთრი ჩოხა-ახალოხი და ფაფახი, ხშირად რომ აცმევდნენ. ერთხელ. ძველ სენაკში გამართულ ახალხო წარმოდგენის დროს, ჩოხა-ახალოხში გამოკვართულმა ოთხი წლის ავთომ, ამ მისთვის [illegible] წარმოდგენით თავმობეზრებულმა, დაუკითხავად მიატოვა გასართობით გატაცებული უფროსები და საღამოს ბინდში მარტოკა გაუდგა გზას ფოცხოსაკენ, სადაც იმ ზაფხულს სტუმრად იყვნენ დედულეთში. ბიძინა სიცილით იგონებდა იმ ამბავს, თუმცა მაშინ ელდამ გული გადაუქანა, ვიდრე დაკარგულ ავთოს იპოვნიდნენ აწრიალებული სოფლელები. რა თქმა უნდა, ენატრებოდა ახლობლები და იმიტომ ებაასებოდა მათზე მაიკოს. მაგრამ სწორედ მაიკოსთან ეამებოდა ამ თემაზე საუბარი და სხვა არავისთან, თუნდაც უშანგისთან, და ახლა, როცა შეიტყო, რომ მაიკო აღარ დაბრუნდებოდა ახალციხეში, აქ ყოფნა, აქ დარჩენა უაზრობადაც კი მოეჩვენა. ერთბაშად თბილისში წასვლაც კი განიზრახა მაიკოს პასუხის გასაგებად, მაგრამ მერე ბრაზი მოერია, ჩემი ნახვა რომ ნდომებოდა, განა თბილისში დარჩებოდაო? ეტყობა, მისგან სანუგეშო პასუხის იმედი არ უნდა ჰქონოდა და ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაბოლმა, თან საკმაოდ დააღონა, თუმცა თავის თავს არ უტყუდებოდა, რომ ქალის გულისთვის გუნება წაუხდა.

სამხერხაოს დაწვის შემდეგ საქმეც იმატა. ბიძინას ხან ასპინძაში აგზავნიდნენ, ხან ადიგენში, საქმესთან ერთად ერთნახადი ჭანჭურის არყის სმაც ხშირად უწევდა. ცხრათვალა მზე დაჰკაშკაშებდა ‹ბიბინებულ ქვეყანას. გაღინებული ყვავილები აყვავილებული ველური ტუსტი, ცისფერი ულეწელა, ნაზი კესანე, ხავერდოვანი შაშვისპირა ამშვენებდნენ ქაცვისა და ჭლავის ბუჩქებით შემოზღუდულ, ჰაერში მონავარდე ჩიტების ჟღივილით, კვირიონების გრუტუნით და კუტკალიების კრუალით აჟღერებულ ბინდვრებს. მხარზე ჩომბახგადებული, ქალმნიანი გლეხები საქონელს იალაღებზე მიერეკებოდნენ, საოჯახო დგამით და ჯამჭურჭლით დახვავებულ ჩარდახიან ურ-

მებში ჯალაბი ესხათ, რქებდალესილი ხარები მაინეხვებოდნენ და ზოზინით მიაჭრიალებდნენ გზაზე ბატებივით ჩამწკრივებულ ურმებს, ღვარცოფებისგან ჩამორეცხილ, ნარიყით ამოვსებულ ნარვალებში მიხრიგინებდნენ და საღამო ხანს, როცა მზე ვარდისფერ ღრუბლებს იქეთ ჩაიწურებოდა, სადმე მოხერხებულ ტაშირ ადგილას, სადაც ანკარა წყარო დალოპრილ ქვებზე მოწანწკარებდა, ღამის გასათევად ჩერდებოდნენ, ალაჩოყებს დგამდნენ თივას აჯაურებდნენ, დედაკაცები რძეს ჩამოწველიდნენ ტაგანში, მერე ჩხუტში გადაასხამდნენ და ბალღებს ჯამებს უვსებდნენ. მეორე დღეს ისევ აგრძელებდნენ გზას. დილაადრიან წამოიშლებოდა ბანაკი და ტაატით უახლოვდებოდნენ საზაფხულო სადგომებს. მწვანე იალაღზე დაფეთებული ირმის ჯოგი გარბოდა, სასიცოცხლო სივრცეს უთმობდა ადამიანებს და მთის წვერიდან ისე ჩანდა, თითქოს ჭრელ ხალიჩას აფრიალებდა ვიღაც. ჯოგს მოშორებით თეთრცხენიანი მხედარი მისდევდა, მოსხლეტილი თეთრი ცხენი გამალებით ისროდა წინ გრძელ ფეხებს, როგორც სინათლის წყარო თავის სხივებს. ცაში მობოინე არწივი ირიბად ეშვებოდა წარაფებისკენ. მთელ ამ მხარეში საზაფხულო ცხოვრება იწყებოდა და ბიძინა ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს მიწები და პირუტყვი ჩამოართვეს, ის ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, არ განადგურებულიყო, თუმცა უცხო ტომის და უცხო რჯულის მოდგმა, საქართველოს ამ ბედუკუღმართ კუთხეს რომ შემოსეოდა და დასახლებულიყო, ყოველნაირად ცდილობდა ქართული ფესვის ამოგლეჯას ძველისძველი ქართული ეკლესიებით და ძირძველი ციხეებით მოფენილ ამ მიწიდან. და ბიძინას ის აცოფებდა, რომ ხელისუფალნი მუდამ უცხოთა მხარეზე იყვნენ, ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები თითქოს განზრახ და შეგნებულად ილახებოდა და ამაში, ყველაზე მეტად თვით ქართველთ მიუძღოდათ ბრალი.

ახალციხეში რომ დაბრუნდა, ჩვეულებისამებრ ჟორჟიკას მიაკითხა — ავეთიქში და თავისი გულისტკივილი გაანდო, ქართველი კომუნისტების პოლიტიკით და მოქმედებით აღშფოთებულმა.

— სომხებსაც ხომ ჰყავთ, ძმაო, ეს კომუნისტები, მაგრამ ამდენ ზიანს არ აყენებენ თავის ქვეყანას, რამდენსაც ჩვენ...

— ჩვენ ხომ არაფერში ზომა არა გვაქვს, ზერელე, შტერი ხალხი ვართ, — უთხრა ჟორჟიკამ დაღონებით, — ერთმანეთის ხორცს ვჭამთ და ერთმანეთის სისხლს ვსვამთ, მტერთან ბრძოლას ერთმანეთთან ბრძოლა გვირჩევნია, ეს უფრო გვეადვილება. ახლა უარეს ამბავს გეტყვი, ჯიბო დაიჭირეს!

— რაო?

— გუშინწინ . აიყვანეს. მაგის ადგილზე უკვე დანიშნეს ვიღაც წუპაკი ყაზარიანი. ჯიბოს მავნებლობას აბრალებენ. თითქოს ხანძარი სამხერხაოში განზრახ მოაწყო. ასე რომ, შენც ცუდად გაქვს საქმე, დღეს ხვალ მოგაკითხავენ და დაგიჭერენ, ყველამ იცის, რომ ჯიბოს კაცი ხარ.

— ის ხანძარი, კაცო, დოყლაპია დარაჯის ბრალი იყო...

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა... მერე, ალბათ, მეც დამიჭერენ, როგორც ჯიბოს მეგობარს, შეიძლება მღვდლისშვილობა გამიხსენონ. ამიტომ, სანამ დროა, თავს უნდა ვუშველოთ!

— რა ვქნათ?

— დაუყოვნებლივ გავიქცეთ აქედან!

— თბილისიდან დაჭერის შიშს გამოვექეცი, ისევ თბილისში დავბრუნდე?

— შენც ადექი და სხვაგან წადი. მე რუსეთში ვაპირებ გადახვეწას.

მეორე დილით ბიძინამ უთენია დატოვა ახალციხე. ხელში ერთი პატარა ჩემოდანი ეჭირა. ძლივს მიუსწრო ბორჯომში მატარებელს. ბილეთის აღება ვერც მოასწრო, უკვე მაშინ, როცა მატარებელი დაიძრა, ბაქანზე თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკრა ლიზიკო კანდელაკს, ვილაცას აცილებდა. ლიზიკომაც დაინახა, მაგრამ არ გაჰკვირვებია, თუმცა ოთხი წელია არ შეხვედრია და, ალბათ, არც იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

— გაიგე, არა, ნათელას ამბავი? — შესძახა მან.

— რა ამბავი?

— ტიფი დაემართა. გუშინ იასე ბიძიამ თბილისში წაიყვანა.

ბიძინა დაძრულ მატარებელს შეახტა. ერთხანს დაბნეული იდგა ტამბურში. ტიფით უამრავი ხალხი იხოცებოდა იმ წელიწადს და გულში შიში შეეპარა. უნდოდა თუ არ უნდოდა, თბილისში უნდა ჩასულიყო აუცილებლად, უნდა გაეგო ღვიძლი დის ამბავი. თუმცა თავდაპირველად წიფლნარში აპირებდა გამგზავრებას. მაგრამ თუ ნათელას ტიფი დაემართა, მინადორა და მიხაკოც უეჭველად თბილისში იქნებოდნენ, შეიძლება ავთოც ჩამოჰყვა მათ, და მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა ეშინოდა, გულის სიღრმეში აშკარად გაუხარდა, გადაწყვეტილება რომ შეიცალა და თბილისში ჩასვლა განიზრახა. თვალწინ წარმოუდგა უშანგი მუმლაძის მუდამ მოღიმარი დის მაიკოს კეთილი სახე და უნებურად გაეღიმა. ყველაფერი კარგად იქნებაო, გაიფიქრა გუნებაში, სწორედ ამ დროს ვილაცამ მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— თქვენი ბილეთი?

ბიძინამ მოიხედა. ოთხი მკაცრი სახის კონტროლიორით იყო გარშემორტყმული. მუხლებში შიშმა სისუსტე აგრძნობინა.

— ვერ მოვასწარი აღება!

— თუ ვერ მოასწარი, ჩამოხვალ ხაშურში და იქ მოვილაპარაკოთ!

ხაშურში ბიძინას გარდა, კიდევ ერთი შუახნის მუშა კაცი ჩამოიყვანეს მატარებლიდან და მილიციის ოთახში შეიყვანეს. შპალერჩამოგლეჯილ ბინძურ კედელზე მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის სურათი ეკიდა. ოთხივენი ერთი მიმართულებით იმზირებოდნენ, მარჯვნივ. მაგიდის იქეთ ყალაღინად მჯდარ ვიწროშუბლიან გაბღენძილ მილიციელს თვალებს ეუფლიმატდა.

— უფროსო, ესენი უბილეთოდ მოდიოდნენ ბორჯომიდან! — მოახსენეს მას.

— უბილეთოდ თუ მოდიოდნენ, გავუფორმებ მაგათ ექვს-ექვს თვესა, — კმაყოფილებით გაიღიმა უფროსმა და მეორე, კარგამოღებულ ოთახში გასძახა ვილაცას: — ქსენო, მოდი ერთი აქა, პატიმრები მოიყვანეს!

— რა პატიმრები, კაცო, ვის გაუგონია ექვსი თვით კაცის ოჯახიდან მოწყვეტა, ჯარიმას გადავიხდი! — აყვირდა შუახნის კაცი.

— აბა, შენ ეხლა საბოტაჟს თავი დაანებე, თორემა დედას გიტირებ! — დაიღრიალა მაგიდის იქეთ ფეხზე წამომხტარმა, ქვედა ყბააკანკალებულმა მილიციელმა და ხელი მოუქნია სახეში გასარტყმელად, მაგრამ ვერ მისწვდა.

ბიძინა გაიტრუნა. ეს სად გავები მახეშიო, უკვირდა თვითონვე, ოთხი წელი დაქერის შიში რომ ჰქონდა და მაინც ვერ ასცდა დაპატიმრებას, თითქოს ბედისწერა ფეხდაფეხ მოსდევდა ერთი სათის შემდეგ ისინი გარეთ გამოიყვანეს აქეთ-იქედან ამომდგარმა თოფმოღერებულმა მილიციელებმა, ლიანდაგები გადაატარეს, სადღაც უკანა ეზოზე გაჩხერილ ეშელონთან მიიყვანეს და მწვანედ შეღებილ, ფანჯრებზე ბადეაკრულ ცხელ ვაგონში შეჰყარეს. ვაგონის კართან ხიშტიანი მილიციელი იდგა. ვაგონი თითქმის სავსე იყო ტუსაღებით.

—უბილეთოდ მგზავრობისათვის თუ ციხე იყო, ეგ კი არ ვიცოდი, — თქვა ბიძინამ, როცა ასე თუ ისე მოეწყო და ვითარებასაც შეეგუა.

— კი, ეგრეა, ახალი კანონი გამოსცეს, — უთხრა ერთმა კაცმა. რომელიც ჩაიწია და ვაგონში ახლად ამოსულებს დასაჯდომი ადგილი დაუთმო.

— ნეტა, სად მივყავართ? — იკითხა ისევ ბიძინამ და ჭუჭყიანი ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბროწეულადან წყალტუბომდე რკინიგზის ხაზი გაჰყავთ. იქ ჩაგვიყვანენ და გვამუშავებენ. ექვსი თვის მერე გამოგვიშვებენ. ნუ გეშინია, არ დაგვხოცავენ, — დააიმედა უცნობმა.

4.

შორს, გრძლად გაწოლილ შავნაბადას ქედზე, კოხტა ეკლესია აღმართულიყო. კარგა ხანია მიხაკო პირჯვარს აღარ იწერდა სხვის დასანახად, სახალხოდ, ახლა ამას ბევრი ვერ ბედავდა, მხოლოდ ძილის წინ, ჩუმად გარდაისახავდა მიხაკო ჯვარს და „მამაო ჩვენოს“ ჩაილულღლუღებდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის, საავადმყოფოდან რომ გამოდიოდა, იმ მთაზე კოშკივით წამომართულ ეკლესიას მიმართავდა მზერას, აქედან ქლიავისფრად გამუქებული ქედის დანამატად რომ მოჩანდა, და თავის გულში, ზოგჯერ სრულიად გაუაზრებლად, შველას ემუდარებოდა გამჩენს, თითქოს უბრალო მზერით პირჯვრის წერის რიტუალის შეცვლა შეიძლებოდეს. აქეთ გახედვა, იმ შორეული ეკლესიისკენ, საავადმყოფოდან გამოსვლისას მართლაც რიტუალად იქცა მისთვის, რაღაც შინაგანი დანაკლისის შევსებად, აუცილებელი მოთხოვნილების აღსრულებად, თითქოს ეს იყო ჩუმი ლოცვა, სანუკვარი იმედის მომნიჭებელი, და ახლაც, იღლიაში ცარიელჩანთა ამოდებულმა, თავჩაღუნულმა. მოწყენილმა, ავადმყოფი ქალიშვილის პალატიდან ეზოში გამოსულმა, საავადმყოფოს ჭიშკარი რომ გამოიარა და ქუჩას დაუყვა ქვემოთ, ტრამვაის გაჩერებისაკენ, — წამით თავი ასწია, შორეულ ეკლესიას გახედა, ღმერთო შენ მიშველეო, და ჯიბეში ბიძინას გამოგზავნილი წერილი მოსინჯა, ამ წერილით შეიტყო დღეს, რომ მისი უფროსი ვაჟი უბილეთოდ მგზავრობისათვის დაეჭირათ, მაგრამ კოლონიიდან ვიღაც ამხანაგთან ერთად გაქცეულიყო და ამჟამად რუსეთის გზას ადგა.

მიხაკო შედგა. ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, თუთუნი გაახვია, გაკვეთილად გზა განაგრძო. სათუთუნე და ასანთი ჯიბეში ჩაიდო და ისევ მოსინჯა წერილი.

ახლა. როცა ნათელა მძიმე ავად ჰყავდა, საოცრად დამნაშავედ იგრძნო თავი უფროსი შვილის წინაშე. ბიძინა ბავშვობაში ჭირვეული იყო, ცელქი, მოუსვენარი, მიხაკო სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა მას. თვითონაც ახალგაზრდა იყო მაშინ, მოუთმენელი, ცხოვრებაში ბევრი რამისა არაფერი გაეგებოდა. ერთხელ ისე გაბრაზდა პატარა ბიძინას ჭირვეულობაზე, რომ ქამრით ზურგი აუჭრელა და ნაცემი და აცახცახებული საკუჭნაოში ჩაკეტა. მინადორა, იმის მაგივრად, რომ გამძვინვარებული მამაკაცისათვის აკივლებული პატარა არსება ხელიდან გამოეგლიჯა თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, თვითონაც თავშეუკავებელი და შვილის ჭირვეულობით თავგაბეზრებული, კვერს უკრავდა, ყოველშემთხვევაში, ხელს არ უშლიდა და მიხაკოს ესეც აცოფებდა. გული გასკდომაზე ჰქონდა საკუთარ თავზე აღრენილს. ერთი საათის შემდეგ ბნელი საკუჭნაოს კარი გააღო და შიგ შევიდა. პატარა ბიჭი ჩუმად იდგა და მაღლა, ჭერიდან, ფიცრის ღრიჭოებს შორის ჩამომძვრალ სინათლის სხივებს უყურებდა. „მამა, ეს სინათლე საიდან მოდის?“ იკითხა მან და თითი ზემოთ აიშვირა, და უცებ მიხაკოს საკუთარი თავი შესძაგდა. აუტანელი, უნუგეშო სიცხადით იგრძნო რა საშინელი სიმდაბლეა, რა უაზრო სისასტიკე და უგუნურებაა ბავშვის დასჯა. ცრემლებშემშრალი ბავშვი მამაზე ნაწყენი სულაც არ იყო, ეტყობა, სტიქიურ უბედურებასავით აღიქვამდა მის თავს დატეხილ მრისხანებას და უფრო ზოგადი შიში უვითარდებოდა, ვიდრე რაღაცის გაგების უნარი. მის ზურგზე დამჩნეულმა ქამრის ნადაღმა რა ასწავლა, რა შეაგნებინა? უნებლიე გაჭირვებაში ჩავარდნილს სრულიად ახალი რაობისათვის, ჭუჭ-

რუტანიდან ჩამომძვრალი მზის სხივისათვის მიეპყრო მთელი ყურადღება და ამ სიახლისკენ იყო მიმართული მისი გულისყური. მიხაკოს ტკივილმა გული შეუკუმშა, მაგრამ ის, რაც ჩაიდინა, არასოდეს დაავიწყდებოდა და ვერც ვერასოდეს გამოისყიდდა. მთელი ცხოვრება გრძნობდა ამ დანაშაულს. გულის კუნჭულში მიჩქმალულს, მაგრამ მუდამ ცოცხალს, ვერდავიწყებულს. ახლაც ისეთი სიმწვავით შემოაწვა მწარე ნაღველი, ტკივილი თუ სინდისის ქენჯნა, როგორც მაშინ, იმ შორეული ახალგაზრდობის აწ გაფრენილ წლებში, როცა იმ ამბის შემდეგ თამაშით გართულ შვილის სახეს აკვირდებოდა და ამჩნევდა დაღვრემილობის, დაურწმუნებლობის აშკარა იერს, შეიძლება სხვებისთვის შეუმჩნეველს, უჩინარს, მაგრამ მიხაკოსთვის სავსებით საცნაურს. ვინ იცის, რამდენი ასეთი უნებლიე დანაშაული მიუძღოდა შვილის წინაშე? განა ბავშვობაში არ ეყრება საფუძველი ადამიანის შემდგომ სვეს, კეთილს ან უკეთურს? თუმცა ესეც თანდაყოლილი იღბალია...

მიხაკომ მძიმედ ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლა და ვიღაც გამვლელმა მანდილოსანმა თანაგრძნობით შემოხედა საავადმყოფოდან გამოსული ჭირისუფლები ხშირად ოხვრით და ტირილით მიაბიჯებდნენ ქუჩაში. ეს არ იყო უჩვეულო სურათი, მაგრამ ამ მანდილოსანს მაინც შეეცოდა მიხაკო. ტრამვაის გაჩერებაზე უამრავი ხალხი იცდიდა. ამ ბოლო დროს ტრამვაის მოძრაობაც უთავბოლო ხდებოდა, როგორც ყველაფერი ირგვლივ: ზოგჯერ მთელი საათი არ გამოჩნდებოდა რონოდა, ზოგჯერ ზედიზედ მოჰყვებოდნენ ერთმანეთს. აქ უქმად ლოდინს მიხაკომ ფეხით გავლა ამჯობინა და კარგა ხანს ისე მიაბიჯებდა, არავითარი ფიქრი თავში არ მოსვლია, ვიდრე ღვინის ალმართზე წამით შეყოვნებულმა მეტეხის ციხე არ დაინახა, გიორგი ბრწყინვალეს ნაგები ტაძრის ირგვლივ მათხოვრებივით შემოჯარული, რუსთა ნაშენები გონჯი შენობები, სალოცავი ადგილი სატანჯველად რომ გადააქციეს. არ უყვარდა მიხაკოს აქაურობა, ან რა საყვარელი იყო, პირიქით ზარავდა, იმდენი ადამიანი ეწამა ამ პირქუშ კედლებს შორის, თუნდაც ოცდაოთხ წელს, ყოველ ღამე რომ გამოჰყავდათ ქართველი ახალგაზრდები ამ უსახური ციხის გალავნიდან და საბურთალოს, ვაკის და სოღანლუღის სანახებში ხვრეტდნენ უმოწყალოდ. ისევ იგრძნო მიხაკომ, რომ ბეწვზე ეკიდა კაცის არსებობა, მაცდური და ცვალებადი იყო ყოველივე, რასაც ფასი ჰქონდა — უფასური გახდა, რაც მაღალი ეგონა — მდაბალი აღმოჩნდა. ავლაბრის ხიდი გადმოიარა, ვიწრო ქუჩების ხვეულებით აღმართს აუყვა.

იასე შინ დახვდა, უკვე მოსულიყო. სამსახურის შემდეგ იასე შინ ბრუნდებოდა, ცოტა ხანს ისვენებდა და მერე საავადმყოფოს მიაშურებდა ხოლმე, მიხაკო და მინადორა კი დღე და ღამეს იქ ათევდნენ, მას შემდეგ, რაც თმაგადაკრეჭილი ნათელა იასეს ცდით და მოხერხებით ცალკე პალატაში მოათავსეს, მინადორას ტანთ არ გაუხდია და, მიხაკოს აზრით, არც დაუძინია, თუმცა იმ პატარა, თეთრად შეღებილ პალატაში, ნათელას საწოლის გარდა, კიდევ იდგა კედელთან მეორე საწოლი. იმ საწოლზე ერთხელაც არ მოუსვენია მინადორას, ვიწრო ტაბურეტზე ჩამომჯდარი დღე და ღამ სასთუმალთან უჯდა ქალიშვილს და მერე თავისუფალ საწოლზე ნათელას ტოლი ავადმყოფი გოგონა მოათავსეს. მიხაკო პალატაში ვერ ჩერდებოდა, შვილის ტანჯვით და ყოფნა-არყოფნის მოლოდინით გატეხილი და დათრგუნული უფრო ხშირად მთელ დღეებს საავადმყოფოს ეზოში ატარებდა, ზუბალაშვილის გაშენებულ ბაღში, რომელიმე ჩრდილოვან ხის ქვეშ მჯდომარე. რატომღაც სულ ნათელას პატარაობა ედგა თვალწინ, ღამით ლოგინიდან რომ წამოაყენებდა ნახევრად მძინარე ბალღს, თბილ, ღუნღულა დუნდულებზე ხელს

რომ ამოსდებდა მის მკერდზე მიკრულს და ღამის ქოთანზე რომ დასვამდა. მერე ისევ ხელში აიყვანდა თბილს და სურნელოვანს, ღამის პერანგს კოჭებამდე ჩამოუწევდა, ლოგინში ჩააწვენდა და უკვე მძინარეს და გვერდებზე საბანს ამოუკეცავდა. ეს ბედნიერი მოგონება არ შორდებოდა ამჟამინდელ საშინელ სინამდვილეში. ტიფის ეპიდემია მუსრს ავლებდა და ისედაც გაჭირვებულ და დამშეულ მოსახლეობას. რამდენჯერ უნახავს გორგოლაჭიან საკაცეზე დადებულ, თეთრ ზეწარგადაფარებულ ცხედარს რომ მიაგორებდნენ სანიტრები მორგისკენ. ერთხელ მორგშიც შეიხედა ვიწრო, ბინძური ფანჯრიდან. ანატომიურ მაგიდებზე ტევა აღარ იყო, შიშველი გვამები მწკრივად ეწყო იატაკზეც, აქ სიკვდილის უსახურება პირწმინდად შლიდა პიროვნულ ნიშნებს და ერთსახოვანი არარაობა სუფევდა გვამებით სავსე, შემჭიდროვებულ სივრცეში. საცხედრის ფანჯარასთან მდგარისთვის მსოფლიო რევოლუცია ცხოვრების გარდაქმნა, რამე მოქმედება თუ რისამე მტკიცება ამაო ფუსფუსად აღიქმებოდა, სულ სხვა განზომილებაში იკარგებოდა, განწირულების აჩრდილი ფარავდა და აბნელებდა თვალსაწიერს. მიხაკო ფანჯარას შორდებოდა და უაზროდ დაბორიალობდა საავადმყოფოს ბაღში, რათა როგორმე გაეყვანა დრო. მართალია, დროის გაყვანა სურდა, მაგრამ სად მიიყვანდა გაყვანილი დრო, ამაზე არ ფიქრობდა, თუმცა გულის სიღრმეში, დროის გაყვანა, ალბათ, იმის იმედს სახავდა, რომ შვებას მოიპოვებდა, თავისუფლებას მიაღწევდა, ყოფიერების ტვირთს შეიმსუბუქებდა ან სულაც მოიხსნიდა, და რადგან დროის გაყვანა თავისთავად დროის გაქრობისკენ ანუ ყოფნის წაშლისკენ ფარული სწრაფვაა, დროსთან ერთად ისპობა სივრცეც. რაღა რჩება მაშინ? ალბათ, აღარაფერი, აღარც ცა, აღარც მიწა, აღარც სურვილი, მისწრაფება, ვნება, დგება სიკვდილი, როგორც მოსვენება, განთავისუფლება, საიდუმლოება. მიხაკო წრიალებდა, წუხდა, საავადმყოფო სასაფლაოზე უფრო ამძიმებდა ადამიანის ქანაობას სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და მიხაკოს ერჩივნა ისევ იმაზე ეფიქრა, რასაც პასუხი მოეპოვება. საჭირო იყო წამალი, საკვები, რომ როგორმე ეხსნა შვილის სიცოცხლე. წამალს და საკვებს იასე როგორღაც შოულობდა, ნათელას მკურნალი ექიმი ბუჭუტა უნდილაძე თავს არ იზოგავდა, ყურადღებას არ აკლებდა ავადმყოფს და ბოლოს, მისი მეცადინეობით და ხელშეწყობით, ნათელამ ცოტათი მოიხედა. თითქოს სასწაული გაცხადდა, გაჩნდა იმედი გადარჩენისა. ნიგურიანების თვალში ბუჭუტა ზეცით მოვლენილ მხსნელ ანგელოზად გარდაისახა და მიხაკოსაც მოაგონდა უსასრულობასავით გაწელილ ამ ერთი თვის განმავლობაში მივიწყებული საყრდენები, საკუთარი შვილები — ბიძინა და ავთო, მართას და ნიკუშას ანაბრად მიტოვებული სახლ-კარი. ახლა მიხაკო საღამოობით უფრო დამშვიდებული ბრუნდებოდა იასესთან და ღამეს აქ ათევდა, მეორე დილით კი ისევ საავადმყოფოში მიდიოდა და თან მიჰქონდა იასეს ნაშოვნი წამლები თუ საკვები. ვინ იყო მჭამელი, მინადორა ისე ჩამოხმა. ლანდს დაემსგავსა, არც მიხაკოს ჰქონდა ჭამა-სმის მადა. ავთო ხან თბილისში ჩამოდიოდა დის სანახავად, ხან ისევ წიფლნარში ბრუნდებოდა. მიხაკომ არც კი იცოდა სად იყო, რას აკეთებდა, სწავლობდა თუ მუშაობდა, ბიძინასი კი კარგა ხანია არაფერი ისმოდა და მოულოდნელად მიღებულმა ბარათმა მიხაკო უზომოდ გაახარა, მაგრამ მერე წერილის წაკითხვამ ააფორიაქა, შეაშინა, შვილის ბედზე ჩააფიქრა, ახალი სადარდებელი გაუჩინა. სამზარეულოში მოფუსფუსე ელენა პეტროვნას ცარიელი ჩანთა ჩააბარა და აივანზე დადგმულ ტახტზე დაჯდა ჩაფიქრებული.

იასე ოთახში ვიღაც უცნობ კაცს

ელაპარაკებოდა. მიხაკო რომ შეამჩნია, კარში თავი გამოყო.

— როგორაა ბავშვი?

— დღეს უკეთაა, ცოტა ჭამა კიდეც.

ამ პასუხით კმაყოფილი ისევ ოთახში შებრუნდა და საუბარი გააგრძელა. ღია კარიდან ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, რამდენჯერმე, სვანეთი ახსენეს იქ გზის გაყვანის აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ. მერე წამოდგნენ, უკან გაწეული სკამები აახრიგინეს და აივანზე გამოვიდნენ.

— გაიცანი, მიხაკო, გეოლოგი ნათანზონი! ეს ჩემი ძმა გახლავთ, მაგ ყმაწვილის მამა.

მიხაკო წამოდგა და ნათანზონის გამოწვდილ ხელს თავისი შეაგება. ეს გეოლოგი მაღალი კაცი იყო, ძლიერი აგებულებისა, მიხაკოს არაფრით ჩამორჩებოდა. ებრაელს სრულებით არ ჰგავდა, თუმცა მისი გვარი ამ ერის კუთვნილებაზე მიუნიშნებდა. ღიმილით გაპობილი წვრილი ტუჩები აჩენდა მაგარ კბილებს, ცხვირიც სწორი ჰქონდა და გვერდზე გადავარცხნილი თმაც სათვალე თვალების ფერს ფარავდა. კოხტა ჰალსტუკი ეკეთა და ევროპული იერი უფრო ძალობდა მასში, ვიდრე აღმოსავლური. არც იყო გასაკვირი, ნათანზონი პოლონელი ებრაელი გახლდათ, ბავშვობა ვარშავაში ჰქონდა გატარებული.

— დარდი ნუ გაქვთ, თქვენი ვაჟი ჩემთან კარგად იმუშავებს, — უთხრა მიხაკოს თავაზიანი ღიმილით.

რას მეუბნება ეს კაცი, გაიფიქრა მიხაკომ და თვალი გაადევნა კიბისკენ მიმავალ გეოლოგს. ეს კაცი თვალში მოუვიდა, მოეწონა. როცა იასემ სტუმარი გააცილა და ძმას გვერდით მიუჯდა ტახტზე, ვინ იყო ეს ადამიანიო, ჰკითხა მიხაკომ.

— შესანიშნავი სპეციალისტია. ექსპედიციას აწყობს სვანეთში. ავთო მინდა მოვაწყო მაგასთან სამუშაოდ.

— სვანეთში აგზავნი?

— აბა? აქ უსაქმოდ ტანტალს მუშაობა არ ურჩევნია? ნათანზონი ისეთი ვინმეა მაგისგან კაცს გამოუვანს.

— აგაშენებს ღმერთი, — ესიამოვნა მიხაკოს, უმცროსი შვილი რომ გზას დაადგებოდა, მაგრამ იმ წამსვე უფროსიც მოაგონდა და მოიღუშა. — დღეს ბიძინასგან წერილი მივიღე.

— ბიძინა როსტოვის ცირკში უნახავთ, შალვა პეტრიაშვილმა მომიტანა ამბავი.

— ცირკში რა უნდოდა? — გაკვირვებული მზერა მიაპყრო მიხაკომ ძმას.

— ჰიდაობა დაუწყია, ვიღაც ქიტიაშვილთან ერთად გამოსულა საჰიდაოდ.

— ქიტიაშვილთან ერთად გაქცეულა კოლონიიდანაც.

— ეგეც მითხრეს.

— მერე რა ეშველება?

— გადასახლება არ ასცდება, — გაღიზიანებით წამოიძახა იასემ, — განსაკუთრებით იმ ქიტიაშვილს ემუქრებიან, ოცდაოთხი წლის ამბებშიც ყოფილა გარეული...

— ეგება რამე ვუშველოთ?!

— რა ვუშველო? ვიცი სად დეეხეტება? არ გაამართლა მაგან ჩემი იმედები!

იასე წამოდგა და ოთახში შევიდა.

ცოტა ხნის მერე გარეთ გამოვიდა და სადღაც გაემართა. მიხაკომ იცოდა, საავადმყოფოში მიდიოდა ნათელას სანახავად. თავზე კეპი ეხურა. ამ კეპით იწმენდდა ხოლმე სახიდან ოფლს, დაბნეული და შეშინებული, როცა ნათელა ძალზე ცუდად იყო და მისი გადარჩენის იმედდაკარგულნი ექიმებს მავედრებელი სახით შესცქეროდნენ. ახლა, როცა ნათელამ მოიხედა, ყოველ საღამოს საავადმყოფოში მისვლა იქნება სულაც არ იყო აუცილებელი, მაგრამ იასეს ეს უკვე ჩვეულად გადაექცა. შეიძლება იმიტომ, რომ შიშ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მთლიანად. ქარიშხალმა თითქოს გადაიარა მათ თავზე, მაგრამ კიდევ ელოდნენ ახალ შემობერვას, თუმცა ექიმები არწმუნებდნენ, განსაცდელმა ჩაიარაო. ელენა

პეტროვნაც ებუზღუნებოდა, არ არის საჭირო ასეთი გადაგება, თავს მიხედე, დაისვენეო, მაგრამ იასე ისეთი კაცი იყო, რომელსაც არც დასვენება შეეძლო და არც თავის მიხედვა. მოძრაობა იყო მისი სტიქია. იგი ეზოდან გავიდა.

მარტო დარჩენილმა მიხაკომ თუთუნი ეაბოლა. მერე წამოდგა. შალვა პეტრაშვილთან მისვლა გადაწყვიტა. თუმცა ახლოს არ იყო ამ კაცთან, მაგრამ სჯობს თვითონ გავიგო ჩემი შვილის ამბავიო. გრძელი აივანი გაიარა და მეორე სართულის კიბეს აუყვა ნელ-ნელა. შალვას ოთახს მიადგა და კარზე მიაკაკუნა. კარს არავინ აღებდა. კიდევ რამდენჯერმე მიაკაკუნა, ისევ სიჩუმე. გამობრუნდა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარმა გაიჭრიალა. კოჭებამდე ჭრელ ხალათში გამოკვართულმა ქალმა გარეთ გამოიხედა.

— შალვა მინდოდა, ბატონო!

— მობრძანდით, შალვა შინ არის!

თავქვეშხელებამოდებული შალვა ტახტზე იყო წამოწოლილი. მიხაკოს დანახვაზე წამოჯდა, მერე წამოდგა და სტუმარს გაუღიმა. მთლიანად მელოტი იყო და ეს ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა კაცი, მიხაკოს თავისზე ბევრად უფროსად მოეჩვენა. უნებური მოწიწებით განიმსჭვალა მის მიმართ.

— ბოდიშს ვიხდი, რომ შემოგეჭერით, იასემ მითხრა, ჩემი შვილი გინახავთ როსტოვში... — დაბნეულად წარმოთქვა იმითაც გაკვირვებულმა, რომ ასე დიდხანს არ უღებდნენ კარს.

— დაბრძანდით, გიამბობთ, — შალვამ სკამი გამოწია. ოთახი წიგნებით იყო სავსე. მაგიდაზე დაყრილი წიგნები და რვეულები შალვამ მაგიდის კუთხეში მიაქუჩა და ადგილი გაათავისუფლა. ჭრელხალათიანი ქალი, მოღიმარი და გულზე ხელებდაკრეფილი, გაფაციცებული ყურადღებით შესცქეროდა მიხაკოს. ყელზე ჭარვის მსხვილი მძივები ეკიდა. ფრჩხილები წითლად ჰქონდა შეღებილი, მის დგომაში სითამამე და თავმომწონეობა გამოკრთოდა, იგრძნობოდა ერთგვარი გამოწვევაც და მამაკაცურმა ალღომ მიხაკოს უკარნახა უჩუმრად ნასროლი ხელთათმანი უჩუმრადვე აეღო, რათა მანდილოსნის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. იგი მისკენ შებრუნდა და თავისი ნაცადი მომხიბლავი ღიმილი შეანათა.

— თუ მშვენიერი ქალბატონი ნებას მომცემს, დავჯდები!

— რასაკვირველია, დაბრძანდით! — მშვენიერ ქალბატონს ხმაც მშვენიერი ჰქონდა და კიდევ უფრო გაებადრა სახე უცხო მამაკაცის ქათინაურით კმაყოფილს.

— მერუსი, ბატონი მიხაკო ჩვენი მეზობლის იასე ნიგურიანის ძმა გახლავთ, ნათელას მამა, — უთხრა შალვამ.

მიხაკო მოხდენილად გამოწვდილ ფაფუკ ხელს ეამბორა.

— ძალიან სასიამოვნოა. როგორ არის ნათელა? — რატომღაც წამოწითლდა მერუსი.

— ცოტა მოიხედა, — თქვა მიხაკომ და მერე დაჯდა.

— თუ რამით გაგვიმასპინძლდები, შენს მარიფათზეა დამოკიდებული, — ისევ მიმართა შალვამ მერუსის.

— ნუ შესწუხდებით!...

— რასაკვირველია, ეხლავე! — სახეწამოწითლებული ქალი კეკლუცი ხალისით გავიდა ნაჭუჭისხელა საკუჭნაოში, ღვინო და მარილი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— მარილი კარგია. — წარმოსთქვა მიხაკომ, ფეხი ფეხზე გადაიდო და სამარილეს ხელი შეავლო.

— მაგრამ თუ მარილმა ძალა დაჰკარგა, რით გამოსწორდება? — ცბიერად შემოხედა თვალებში შალვამ.

მიხაკოს რაღაც მოაგონდა. ბავშვობა, საბა, სახარებას რომ უკითხავდა პატარა სენაკში. ბურუსიდან ერთბაშად გამოიკვეთა სიცხადე და სიხარულით გაეცინა.

— გარე განდვან იგი, უნდა გადაიყაროს!

— ყოჩაღ, ბატონო მიხაკო, სახარება კარგად გხსომებიათ! ვისაც ყურნი აქვს სასმენად, ისმინოს! — და შალვამ მერუსის ალმაცერად ახედა, — მეტი არაფერი გვაქვს?

— ეხლავე ყველაფერი იქნება!

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ღვინოს სვამდნენ, პურს, ლორს და მარილში ჩაწობილ მწვანილს შეექცეოდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. პატარა ოთახი სქელი ბოლით იბურებოდა და ბაასში გართულ მიხაკოს ავიწყდებოდა ის დარდი, რომელმაც აქ მოიყვანა. პირქით. შვილის გამო სიამაყე უვსებდა გულს.

— თქვენი ვაჟი იმ საღამოს არ წაქცეულა, — უყვებოდა შალვა, — ვერავინ ვერ მოერია. რამდენჯერაც არ ამოვიდნენ ქართველები ასპარეზზე, იმდენჯერვე გაიმარჯვეს, ყველანი ძირს დასცეს, რუსი, გერმანელი, თათარი და დანარჩენი ყარტა-ყურტა ფალავნები პანტა-პუნტით ცვიოდნენ ნახერხში...

— ქართველის მომრევი კაცი არ არსებობს, ჩვენ ვინ გვაჯობებს, ჩვენ სხვა ხალხი ვართ! — აღფრთოვანდა მიხაკო.

— მერე ერთმანეთს შეხვდნენ ქართველები. სულ ოთხნი იყვნენ: თქვენი ვაჟი ბიძინა, ცნობილი ქუთაისელი ფალავანი ქვარიანი, მაჩაბელი და ქიტიაშვილი. რაკი ყველანი დაამარცხეს, ეგენი დარჩნენ სარბიელზე. ჰოდა, ერთმანეთთან აჭიდავეს. მაჩაბელი და ქვარიანი, ბიძინა და ქიტიაშვილი. მაგრამ ერთმანეთს ძვრაც ვერ უყვეს.

— ქართველი ქართველს რას აჯობებდა?!

— შეიძლება წინასწარ მოლაპარაკებულნიც იყვნენ, ერთმანეთს არა ვძლიოთო.

— აჰ, როგორ გეკადრებათ, არავითარ შემთხვევაში!

— მოჭიდავეებში მოდის ეგეთი გარიგებანი.

— შეუძლებელია! ჩემი შვილის ამბავს თქვენ მასწავლით?

— შეიძლება თქვენი შვილი არა, მაგრამ ქვარიანი და მაჩაბელი მოურიგდნენ ერთმანეთს...

— მაგას როგორ [illegible]? ტყუილია!

— რატომაც არ იკადრებდნენ რუსმა რატომ უნდა ნახოს თუნდაც ქართველის ხელით დამარცხებული ქართველი? — გაწიწმატდა შალვა და უცებ მიხაკომაც მოიწყინა. ერთბაშად მოაგონდა, რომ მისი სამშობლო სულაც არ იყო ისეთი, როგორიც თვითონ უნდოდა ყოფილიყო და არც ქართველები იმცირებდნენ სხვებზე ნაკლებ თავს.

— ეჰ, რამდენი ასეთი დამარცხებული უნახავთ?! — იარაღი დაჰყარა მან.

— რამდენიც გნებავთ, — აღგზნებამ შალვასაც გადაუარა, ბოლო საკუთარ ხელზე ნიკაპდაყრდნობილმა მერუსიმ ორ თითს შორის გაჩრილი პაპიროსი მოქაჩა და ბოლი მიხაკოს შეაფრქვია.

— ყოჩაღი ბიჭი გყოლიათ. ამბობენ კვიცი გვარზე ხტისო, თქვენ თუ გეხერხებათ ჭიდაობა?

— რაღა დროს ჩემი ჭიდაობაა. ქალბატონო? — გაიცინა მიხაკომ.

— თავს ნუ იკატუნებთ, ბევრ ახალგაზრდას აჯობებთ კიდევ!

მაგრამ ეს საუბარი შალვას არ ესიამოვნა, ბოთლებში ჩარჩენილი ღვინო ჭიქებში ხვისტად ჩაცალა და კიდევ დავლიოთო, მკვახედ წამოიძახა.

მიხაკომ აღარ დალია, წამოდგა, ბოდიში მოიხადა.

შალვაც წამოდგა, ეტყობოდა, სიამოვნებდა, სტუმარი წასვლას რომ აპირებდა, თუმცა არ ამჟღავნებდა და ყალბი ღიმილით ცდილობდა ამის დაფარვას.

— ხომ არ გამოლაპარაკებიხართ ჩემს ვაჟს? — კარებში გასვლისას ჰკითხა მიხაკომ.

— არა. არ მომეცა საშუალება. მივლინებით ვიყავი როსტოვში და ძალიან ვჩქარობდი, — ახლა უკვე თანაგრძნობით უთხრა შალვამ.

კიბეზე ისეთი წყვდიადი იდგა, თვალ-

თან თითს ვერ მიიტანდი. შესმულმა ღვინომ, შალვასთან ბაასმა და მერუსის ყურადღებამ წეღან ერთობ გაახალისა მიხაკო, თითქოს ხედავდა სინათლით გაჩახჩახებულ ცირკის სარბიელს და იქ მდგარ ბიძინას, მაგრამ ახლა ისევ დაუმძიმა გუნება შვილის ამბის არ ცოდნამ. ბიძინას ჭიდაობის ამბავს რომ უსმენდა, რაღაც უხაროდა, თითქოს რაღაც გაირკვა, თითქოს აუცილებელი რამ გაიგო, მაგრამ მარტო რომ დარჩა, ბნელ კიბეზე ფრთხილად ჩამომავალმა მთელი არსებით შეიგრძნო წარმოსახვის მაცდური ლიცლიცი, რაც უნდოდა ის ვერ გაიგო, კვლავ არარაობის ბურუსში ჩაეფლო გონებაში წარმოდგენილი მკაფიო სურათი: ცირკის გაჩახჩახებული სარბიელი და ამ სარბიელზე მდგარი მისი ვაჟი. იოლად რომ ძლევდა მეტოქეებს. ერთბაშად. გაქრა ყველაფერი, ისევ ბინდი გადაეფარა შვების მომგვრელ წარმოსახვას ხელთ არაფერი შერჩა, პირქუში სინამდვილის გარდა. ისევ არ იცოდა სად იყო ბიძინა ამჟამად და რას აკეთებდა, ნათელა კი ისევ ავად ჰყავდა და საავადმყოფოში ეწვა. მიხაკომ უნებურად ამოიგმინა და კიბეები რომ ჩამოათავა, მალულად პირჯვარი გადაიწერა.

5.

მოსკოვი რომ დიდი, ხმაურიანი ქალაქი იყო, გიორგი ყანჩელმა ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, როცა მატარებელი გარეუბანში შეგრიალდა და ვაგონის ფანჯრიდან გამოჩნდა ერთმანეთში გადახლართული ურიცხვი ლიანდაგების ქსელი, ზღაპრული ურჩხულებივით ცეცხლისა და კვამლის მფრქვეველი უზარმაზარი ქარხნები, ჯვარმოგლეჯილი და ჯვარშერჩენილი რუსული ეკლესიები, ძეწნებით შემოსაზღვრული მოსარკული ტბები, დიდი მდორე მდინარე, რომლის შუაგულში გამურული ბარჟა თავის ტვირთს მიათრევდა, და კურსკის ვაგზალზე თავშეყრილი აფუთფუთებული უცხო ხალხი, რომ ვერ გაიგებდი ვინ საით მიემართებოდა. ამის გაგება გიორგის იმიტომაც არ შეეძლო, რომ მატარებლიდან ჩამოსულს წარმოდგენა არ ჰქონდა სად იმყოფებოდა, საით იყო ქალაქი, საით დარჩა საქართველო, და თუმცა რუსული საკმაოდ კარგად იცოდა, პირველ წუთებში თავი უჩვეულო სიუცხოვეში დაკარგულ ბავშვად წარმოიდგინა. ისევ ნინო ჩიქოვანმა იხსნა დაბნეულობისაგან. წინ წარუძღვა გასასვლელისკენ და ფართო მოედანზე გამოიყვანა, სადაც ტრამვაიები, ავტოები, ეტლები, ფურგონები და ფეხით მოსიარულენი ერთმანეთში ირეოდნენ, ხმაურობდნენ, ღვეზელისა და ყვავილების გამყიდველი დედაკაცები წვრილი ხმით ხმამაღლა გაჰკიოდნენ, მებარგულები ბრბოს ჯიქურ მიარღვევდნენ, მთვრალი მაწანწალები უშვერად იგინებოდნენ, ვიღაც გარმონს აჭყვიტინებდა, მაღალი სახლების კედლებზე ათასგვარი რეკლამები და ფირნიშები ეკიდა და აქოთქოთებულ სკას ჰგავდა აქაურობა.

დაბნეულობამ გიორგის მაღლე გადაუარა და მძაფრი ცნობისწადილით აღივსო. უცხო გარემო უამრავ შესაძლებლობებს უსახავდა და მოულოდნელად აღმოცენებული იმედი ღიმილს არ აშორებდა სახიდან. ეს ნინომაც შეამჩნია და ტრამვაის რიგში რომ ჩადგნენ, ჰკითხა, როგორ მოგწონთ მოსკოვიო? მოსწონდა თუ არ მოსწონდა ეს ქალაქი, გიორგის ჯერ არ შეეძლო ეთქვა, მაგრამ ყველაფერი, რასაც ხედავდა, — აინტერესებდა ღრმად ებეჭდებოდა გონებაში. ნინო სახლამდის მიაცილა, ბარგი აუტანა მეხუთე სართულზე, ბინაშიც შეიყვანა. ნინოს ერთი დიდი ოთახი ეჭირა, თეჯირებით გადაღობილი, სურათებით კედლებმოფენილი, ავეჯით გადატვირთული, დიდფანჯრიანი, საიდანაც ჩანდა გოგოლის ბულვარზე ჩამწკრივებული ნეკერჩხლების კენწეროები და ნაცრისფერი სახლები. ჩაით გამასპინძლებაზეც არ უთქვამს უარი, იმდენად კარგად იგრ-

ძნო თავი ამ ნათელ ოთახში, მაგრამ მერე მაინც წამოდგა, გამოემშვიდობა დიასახლისს, მადლობა მოახსენა და იმის თხოვნაზე, აუცილებლად მინახულეთ. ახლა ხომ იცით ჩემი ბინა, გამაგებინეთ როგორ მოეწყობითო, შეჰპირდა შემოვივლიო. მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურა თავის საქმეს.

კითხვა-კითხვით მიაგნო მოსკოვის უნივერსიტეტს, იპოვა პროფესორი ლუკშასი, რომელთანაც უფროსმა ძმამ დიმიტრიმ წერილი გამოატანა. ამ წერილის იმედით იყო და სანამ წვერებიანი პირქუში კაცი წერილს შუბლშეჭმუხვნილი კითხულობდა, თან დრო და დრო სათვალეს ისწორებდა, — გიორგის იმედი თანდათან იწურებოდა, დარცხვენილი იმალებოდა წერილის მკითხველის უმეტყველო იერზე წამოშლილი ეჭვების მიღმა. მაგრამ წერილის კითხვას რომ მორჩა, პროფესორმა ლუკშასმა გულთბილად გაუღიმა და გიორგის გულზე მოეშვა.

— ფილოსოფიას სწავლობდით?

— დიახ!

— ჩვენს დროში ფილოსოფია თქვენს მდგომარეობაში მყოფ კაცს არ გამოადგება, მე უფრო პრაქტიკულ დარგს გირჩევდით, მაგალითად, გეოლოგიას, ამ დარგს დიდი პერსპექტივები აქვს, რას იტყვით?

გიორგი უსიტყვოდ დათანხმდა. მან იგრძნო, ამიერიდან ახალი ცხოვრება იწყებოდა. უზარმაზარი ქალქის ორომტრიალში ნაფოტივით შთანთქმული მართლაც ძნელი შესამჩნევი გახდებოდა, მით უფრო — გამოსარჩევი. ახლა მთავარი იყო როგორმე შეგუებოდა და შეჩვეოდა აქაურ ერთგვაროვნებასა და განურჩევლობას. აქედან, ამ თვალსაწიერიდან, საქართველო და მისი ამბები მეტისმეტად შორეულ და ნაკლებადმნიშვნელოვან მოვლენად აღიქმებოდა და სწორედ ეს წარმოადგენდა მისი უსაფრთხოების საწინდარს, თუ მცა ჩეკას უნდობელი და ფხიზელი თვალი მიწაზე დაგდებულ პატარა ნამცეცსაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. სიფრთხილე აუცილებელი იყო და იცავდა სიფრთხილეს შეძლებისდაგვარად. ბინა ლუკშასის ნაცნობმა, ვინმე პაცენკერმა მიაქირავა „ბალშაია პალიანკაზე". ეს კაცი მეორე ცოლთან ცხოვრობდა და საკმაოდ იაფად დაუთმო მეზობლებით გაჭედილ საერთო ბინაში ერთი ვიწრო და გრძელი ოთახი, სადაც მხოლოდ საწოლი და მაგიდა იდგა. ოთახი პირველი სართულის ბელეტაჟზე იყო და ერთადერთი ფართო ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას და მოპირდაპირე მხარეს ჩამწკრივებულ სახლებს. პირველსავე დღეს, ასე თუ ისე რომ მოეწყო ახალ ბინაში, მეზობლებმა მილიცია დააყენეს თავზე. მილიციელს თვით პაცენკერის ბიძაშვილი შემოუძღვა, ამავე ბინაში მცხოვრები, და გიორგი მიხვდა. რომ მოსკოვში სულ სხვა ჯურის ხალხთან ექნებოდა საქმე. საბუთი მშვიდად მიაწოდა მილიციელს, თუმცა გული გამალებით უცემდა. ტუჩებმოკუმული არ ამქლავნებდა მღელვარებას და ფანჯარაში იყურებოდა. მილიციელმა ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა გიორგის საბუთებში და დართო ნება აქ ცხოვრებისა. პაცენკერის ბიძაშვილი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, საქმემ უბრალოდ რომ ჩაიარა, ცხადია, იმ დღიდან ამ კაცს გიორგი ერიდებოდა, დანარჩენ მეზობლებთან კი, რომელთა უმრავლესობა უბრალო რუსის დედაკაცები იყვნენ, კარგი ურთიერთობა დამყარა. გვერდითა ოთახში მცხოვრები ერთი ორმოციოდე წლის თმაშეღებილი მანდილოსანი, ყოფილი მსახიობი თუ მხატვარი, ზოგჯერ გიორგის ჩაიზე იწვევდა და თეატრზე საუბარს უმართავდა.

გიორგი მაინც მარტო იყო. ლექციებს არ აცდენდა, ურთიერთობას არავისთან არ ამყარებდა, პურის ფული რომ ეშოვა, ერთხანს მტვირთავად დაიწყო მუშაობა ხე-ტყის საწყობში. სიმარტოვე თრგუნავდა, თითქოს სულ სხვა ადამიანად გადაიქცა, დამუნჯდა და დაყრუვდა, ქართულის მოსმენა ენა-

ტრებოდა. რამდენჯერმე გაიფიქრა, მოდი, ნინო ჩიქოვანს ვესტუმრებიო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა. ჯერ ერთი, ხეირიანად არც იმან იცოდა ქართული, გარდა ამისა, ეუხერხულებოდა ამ არც თუ ისე ახლო ნაცნობთან უმიზეზოდ მისვლა, გუმანით გრძნობდა, ამ ქალს რაღაც ურთიერთობა ჰქონდა შოთა წულუკიძესთან და ესეც აკავებდა, ისე არ გამოსულიყო, რომ მეგობრის ნანდაურს ზედმეტ ყურადღებას აქცევდა. მიუხედავად ამისა, ერთი ორჯერ ნინოს სახლთან ჩაიარა, ეტყობა, გულის სიღრმეში იმის იმედი ჰქონდა, შემთხვევით შევხვდებიო, მაგრამ ვერ შეხვდა. ასე რომ, არავინ ჰყავდა ხმის გამცემი.

ძმასთან, ნათესავებთან და მეგობრებთან მიწერ-მოწერას ერიდებოდა. წერილების წერა ძალზე საშიში იყო, ჩეკას ადვილად შეეძლო მისი ადგილმდებარეობა შეეტყო. პროფესორ ლუკშასისგან გებულობდა ძმის ოჯახის და საერთოდ საქართველოს ამბებს. იგი თვეში ერთხელ იღებდა დიმიტრისგან წერილებს, სადაც მიკიბვ-მოკიბვით, გადაკრულად იყო აღწერილი გიორგისთვის გაგასაცემი საინტერესო ცნობები. ლუკშასიც თვეში ერთხელ უგზავნიდა წერილს დიმიტრის და ასევე მიკიბვ-მოკიბვით, გადაკრული იგავური ენით ატყობინებდა გიორგის ამბებს.

მარტოობა თანდათან აუტანელი ხდებოდა. განსაკუთრებით ცივი საღამოები უწუხებდა სულს, თრგუნავდა მის ნებას. დაბინდებისთანავე ყვავები დასჩხაოდნენ წითელ მოედანს. კრემლის ქონგურებიანი კედლებიდან და წვეტიანი კოშკებიდან აფრენილი ურიცხვი შავი გუნდები ავბედითად ყრანტალებდნენ, ირეოდნენ ცაში და გიორგის შეგრძნებაში აღვიძებდნენ ბნელი საუკუნეების წიაღიდან წამოსულ საშინელ ჩვენებებს, თითქოს ივანე მრისხანეს, მალუტა სკურატოვის, სტენკა რაზინის და ემელკა პუგაჩოვის სისხლიანი ლანდები დაძრწოდნენ ირგვლივ, თხემის ადგილზე, ნეტარი ვასილის ეკლესიის წინ, სადაც შამრავი სისხლი იყო დანთხეული. უამრავი შაყნაკრავი სხეული დაჩეხილ-დასახიჩრებული, უამრავი თავი, ფეხი და ხელი მოჭრილი და მიყრილ-მოყრილი. იქნებ, იმიტომაც ერქვა წითელი, უსაზღვრო სისასტიკით და მიუტევებელი ცოდვით გაჟღენთილ ამ ადგილს, ამჟამად მოკირწყლულ მოედნად ქცეულს, ყვავების ნავსი ყრანტალით გაყრუებულს. გიორგი გრძნობდა, რომ კრემლის გალავნის მიღმა ჩაბინდულ შენობებში რაღაც ბნელი, საშიში, გაუგონარი იდუმალება ისახებოდა, ყვავების ჩხავილის შესატყვისი ჩანაფიქრი, გიგანტური შავი ყვავით ასაფრენად გამზადებული, შავი ჭირივით რომ უნდა მოსდებოდა რუსეთის უკიდეგანო სივრცეებს, რათა ამ უნაპირობაში მიმოფანტული მილიონობით ადამიანის ბედის ნიშნად ქცეულიყო. სიკვდილის აჩრდილი უჩუმრად დასცქეროდა წითელ მოედანს. დაუმარხავი ბელადის გრანიტოვანი აკლდამა ამძაფრებდა ამ შეგრძნებას და გიორგის ზარავდა აქაურობა, უნებურად ტანთ აჟრჟოლებდა, თითქოს რაღაც სატანური ხდომილება ითრევდა თავის ბნელ წიაღში. სამაგიეროდ, „ახოტნი რიადზე“, „პეტროვკაზე“, პუშკინის მოედანზე, ტვერის ქუჩაზე ცხოვრება დუღდა, ტრამვაიების, ავტომობილების და ეტლების ხმაური წუთით არ წყდებოდა, თეატრები გადატენილი იყო, პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ესტრადაზე, სამიკიტნოები მუშტრებს ვერ იტევდნენ, რესტორნების უცნაური სახელწოდებანი „ასტორია“, „სავოია“, „მეტროპოლი“, „პეგასი“, ათასგვარ წარმოსახვებს იწვევდნენ და ეს მოსკოვი, ხმაურიანი, მოუღალავი, მშფოთვარე, იზიდავდა გიორგის. აინტერესებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ იმ ცხოვრებაში ფეხი არ შეედგა, იმ სამყაროს არ შეხებოდა, არ იცნობდა, მხოლოდ შორიდან შესცქეროდა ვით მეთვალ-

ყურე. ზოგჯერ სურდა, ვინმეს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ამის საშუალება მხოლოდ თვეში ერთხელ ეძლეოდა. როცა სახლის პატრონისათვის ბინის ქირა უნდა მიეტანა. პაცენკერი შუახნის კაცი იყო, ცოლი საკმაოდ ახალგაზრდა ჰყავდა. ისინი სასტუმრო „ბალჩუკის“ მახლობლად ცხოვრობდნენ და როცა გიორგი იქ მიდიოდა, მასპინძელი ბინის ფულს რომ გამოართმევდა, უეჭველად სკამს დაუდგამდა და საუბარს უმართავდა ებრაელთა საკითხზე. იგი უკმაყოფილო იყო რუსეთში ებრაელთა მდგომარეობით და ამას აშკარად აცხადებდა, თუმცა ცოლი რუსი ჰყავდა.

— მაინც რა არ მოგწონთ? — უკვირდა გიორგის, — მთავრობაში, პარტიაში, ჩეკაში და ინტელიგენციაში ებრაელები საკმაოდ ჭარბად არიან და დიდ როლსაც თამაშობენ...

— ეს ჩვენს ძალაზე მოწმობს. ანტისემიტიზმის საფუძველი გახლავთ უსუსურობა, უნიჭობა, სისუსტე, შიში და შური ძლიერის მიმართ. რევოლუცია ჩვენ მოვახდინეთ რუსეთში!

— და ამით შური იძიეთ რუსეთზე?

— სხვათა შორის, არც თქვენ ისხედით გულხელდაკრეფილნი...

— ჩვენი თავგამოდება რუსეთის რევოლუციაში შესაძლოა, ასწლოვანი მონობის, ჩაგვრის და დამცირების საპასუხო შურისძიების ქვეცნობიერი სურვილით იყოს ნაკარნახევი. იმპერიის დამხობა ჩვენი სანუკვარი ოცნება იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ჯერჯერობით, რუსეთის მეზობლად მცხოვრებ პატარა ერებს არ უწერიათ თავისუფლება.

— განა თქვენ უკმაყოფილო ხართ საბჭოთა კავშირში შემოსვლით? — ხმა ეცვლებოდა პაცენკერს.

— არა. რა თქმა უნდა, მე ამისთვის პირადად ვიბრძოდი. — ხმა ეცვლებოდა გიორგისაც.

— მით უმეტეს, ამჟამად თქვენი თანამემამულე დგას სახელმწიფოს სათავეში, — ღვარძლიანად იღიმებოდა პაცენკერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ამ ღიმილში — დაცინვასაც ამჩნევდა და ეს აბრაზებდა. თავისი თანამემამულეები, კრემლისკენ რომ მიისწრაფოდნენ და ამისთვის საკუთარ საშობლოს ანადგურებდნენ, ანაწევრებდნენ, გლეჯდნენ, ჯიჯგნიდნენ, ნაწილებად ფლეთდნენ, საკუთარი ხალხის სისხლს უმოწყალოდ ღვრიდნენ,— ჭირივით სძულდა, თითქმის ფიზიკურად ეზიზღებოდა, მაგრამ ერთი წამით, პაცენკერის გესლიან ღიმილს რომ ამჩნევდა, კმაყოფილებას გრძნობდა მაინც, მისმა საძულველმა თანამემამულემ პაცენკერის მეტად ძლიერ და მრავალრიცხოვან თანამემამულეებს რომ სძლია, აჯობა სხვისი, უზარმაზარი ქვეყნის ხელისუფლებისათვის დაუნდობელ ბრძოლაში და დღეს თავის მზეს აფიცებდა მთელი რუსეთის დამონებულ ხალხებს. უცნაური გრძნობა იყო, მოსისხლე მტრის გამარჯვება ახარებდა ამ მომენტში ან უცხო მიწაზე. იქნებ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სისხლისმიერი სიახლოვე, ზოგჯერ, სულიერ თანაზიარობაზე უფრო ფასობს? ეს მყისიერად გაელვებული ვერალაგმული თანაგრძნობა არწმუნებდა, რომ საკუთარი ხალხის მოღალატე შინაური მტერი მაინც მისიანი იყო, მისი სირცხვილი, მისი ტკივილი, მისი თავსლაფდასხმა, მას ვერც დაივიწყებდი და ვერც ამორიცხავდი შენი რაობიდან, როგორც მახინჯ შვილს ვერ იშორებს დედა.

პაცენკერთან საუბრებით გულს იოხებდა. მაგრამ ებრაელთა საკითხზე მეტად, ცხადია, საქართველოს ამბები აინტერესებდა. მან კი კარგა ხანია არ იცოდა იქ რა ხდებოდა. ნუთუ იმიტომ გადადო თავი სამშობლოსათვის, რომ სამშობლოდან დევნილს უცხოობაში დაელია სული? ქართველი ბოლშევიკები იქ რას შეუშვებდნენ მათ წინააღმდეგ ნაბრძოლს, მაგრამ იმისი იმედი ჰქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს მტრების პარპაშსაც მო-

ეღებოდა ბოლო, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე. მიუხედავად ამისა, ხანდახან უშველებელი სევდა იმორჩილებდა, რუსულმა ზამთარმა კი მთლად შეკეტა ვიწრო ნაჭუჭში. პირქუში ცა, მოკლე დღეები და გრძელი ღამეები, ყინვით და ქარბუქით დაშუშხული არე რუსეთის ბნელი რაობის გამომსახველ სიმძიმედ აწვებოდა ცნობიერებას და თრგუნავდა. თოვლი რომ დადო და ყინვამ მოუჭირა, აუტანლად მოენატრა საქართველო. ერთ მშვენიერ დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში შევიდა და ქართული გაზეთის „კომუნისტის" ნომრები მოითხოვა. საქართველოდან რაც წამოვიდა, ქართული პრესა არ წაეკითხა. საბედნიეროდ, ბიბლიოთეკას აღმოაჩნდა „კომუნისტის" კომპლექტები. მთელი თვის შეკვრა ძველი გაზეთებისა წინ დაიდო და რამდენიმე გვერდი რომ გადაფურცლა, წააწყდა თავზარდამცემ ცნობას. მეოთხე გვერდზე იტყობინებოდნენ, რომ მყინვარწვერზე ასვლისას დაიღუპა მთამსვლელი შოთა წულუკიძე. იქვე შოთას სურათიც იყო, შავარშია შემოვლებული.

გაშტერებული დასცქეროდა ამ სურათს. ვრცელი სამკითხველოს სიჩუმე, მხოლოდ წიგნის ფურცლების შრიალით შესაგრძნობი სასაფლაოს მკვდარ სიმყუდროვედ ეჩვენებოდა. მერე წამოდგა. რამდენი მეგობრის სიკვდილი უნახავს ან შეუტყვია, ზოგნი ბრძოლაში დაცემულან მის გვერდით, ზოგნი ციხეში ჩაუხოცავთ ჩეკას ჯალათებს, მაგრამ არასოდეს ასეთი სიცარიელე არ განუცდია ახლობელი ადამიანის სიკვდილის ამბის გაგებით. ყინვით გათოშილ გასუსხულ ქუჩაში გამოვიდა და ბინდის ნაფლეთებით დაფენილ სივრცეს გაუყვა უაზროდ. არც კი იცოდა სად მიდიოდა და თვითვე გაუკვირდა, გოგოლის ბულვარზე რომ ამოჰყო თავი. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ნინო ჩიქოვანთან მიჰყავდა გაუსაძლის სევდას. ეტყობა, დიდი ხანია უნდოდა აქ მოსვლა, ოღონდ შესაფერ მიზეზს ეძებდა და აჰა, მიზეზიც მიეცა, ეს მიზეზი უბედურება იყო, უბედურებაში მყოფს კი ბევრი რამ აპატიება. მეორეს მხრივ, უკვირდა, ესოდენ დამწუხრებულს რომ მოაგონდა ეს ქალი, სულიერ ტკივილს მიწიერი სიამის ნატამალიც რომ შეემღვრა უნებურად. რა მინდა ახლა ამ ქალთანო,. გაიფიქრა კიდეც რადგან აშკარად გრძნობდა, სავსებით ორაზროვანი, შენიღბული რამ იყო მისი მისწრაფება ნინოს ნახვისა, მხოლოდ მწუხარების გაზიარება და ტკივილის გაქარვება არ ამოქმედებდა, რაღაცნაირ ნუგეშს მოელოდა— შვებისმომგვრელს, მწუხარებიდან გამომყვანს, და თავისი წადილი ერცხვინებოდა, მაგრამ რაკი ნაცნობ სადარბაზოს კართან შეჩერდა, აუყვა კიდეც მონჯღრეულ კიბეს ბნელი, ცივი სადარბაზოს სულისშემხუთველ სივიწროვეში. ბოლოს და ბოლოს ნინოც მშვენივრად იცნობდა შოთას და რა იყო იმაში უცნაური, რომ ასეთ დროს მასთან მისულიყო? მეხუთე სართულზე სული მოითქვა და ზარის ღილაკს ხელი დააჭირა. უცებ აღელდა, ნინოს ხმა რომ გაიგონა, ვინ არიო? უპასუხა ვინც იყო და შეშინდა, იქნებ, არც კი ვახსოვარო. მაგრამ კარი გაიღო და გამოჩნდა ნინო შავ კაბაში თეთრყაკეტ მოსხმული, გაღიმებული, მომხიბლავი, მობრძანდით, სად ხართ, სად დამეკარგეთო, თავაზიანად შეიპატიჟა სტუმარი და გიორგის წამით დაავიწყდა მეგობრის დაღუპვით აღგზნებულმა გულისტკივილმა რომ მოიყვანა აქ, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს საკუთარ მარტოობას გამოექცა. ეს ასეც იყო.

ნინომ ტალანში პალტო გაახდევინა, ელექტრონით გაჩახჩახებულ თბილ ოთახში შეიყვანა, მაგიდასთან დასვა და ჩაი შესთავაზა.

— სად ცხოვრობთ, როგორ მოეწყვეთ, რად არ შემატყობინეთ თქვენი ამბავი? — კითხვას კითხვაზე აყრიდა, პასუხს არც აცლიდა, ოთახში დაფუსფუსებდა, კარადიდან ფინჯნები და ლამბაქები გამოჰქონდა და მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე აწყობდა შაქართან და ნამცხვართან ერთად. მაგიდა რომ გააწყო, ჩაის ქეთლიც შემოიტანა, ჩაი დაასხა და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა გიორგის პირდაპირ. გიორგიმ შეხედა მას, თვალი მოავლო კეფაზე დახვეულ თმას, რომელილაც ეგვიპტურ ქანდაკებას რომ აგონებდა, ქარვის ყელსაბამს, ბრჭყვიალა ღილებიან შავ კაბაზე მოსხმულ ლამაზად ნაქსოვ თეთრ ჟაკეტს, ბეჭდიან თითებს, ვერცხლის კოვზი რომ ეჭირათ და ჩაის ურევდნენ ფაიფურის ფინჯანში. ქალის მოღიმარი სახე იმედს და ნუგეშს ასხივებდა და მწვანე გულისტკივილისა და წრფელი სიხარულის მიჯნაზე შეყოვნებულმა კიდევ ერთხელ გაიაზრა, რომ მისი განწყობა იყო გაორებული, ორჭოფული, ბნელისა და ნათელის ერთდროულად შემცველი, ისე ვით ცხოვრება, ყოველთვის ორაზროვანი, ორსახოვანი, სიცოცხლისა და სიკვდილს შორის გაშლილ მანძილზე ქანქარასავით მოქანავე, არამყარი, რთული და თან მარტივი, ბოროტით და კეთილით, ქალურით და ვაჟურით, ერთმანეთის საპირისპირო საწყისებით მარდიულად თანაბრად შეზავებული.

— მე არა მიშავს, მაგრამ დღეს ერთი საშინელი ამბავი შევიტყვე, — მოახერხა ბოლოს ხმის ამოღება.

— რა?

— შოთა წულუკიძე დაღუპულა მყინვარწვერზე!

ნინომ ჩაის კოვზი ლამბაქზე დადო. იგი ცივად, გამკაცრებული სახით შემოსცქეროდა გიორგის.

— როგორ, აქამდე არ გაგიგიათ ეს ამბავი?

— არა!

კოვზი ისევ ამოძრავდა ფინჯანში მაგრამ ნინო დუმდა. რა ურთიერთობა ჰქონდა შოთასთან, იყო რამე მათ შორის, განიცდიდა მის სიკვდილს? რა თქმა უნდა განიცდიდა, მაგრამ...

— შესანიშნავი ჭაბუკი იყო, ძალიან მეწყინა, ეს უბედურება რომ გავიგე, — თქვა მან, — გვიამბე ვერც უპოვიათ.

— მართლა? — ეს ამბავი გიორგიმ არ იცოდა.

— ნაპრალში ჩაჩეხილა! თქვენ თბილისში არავისთან არა გაქვთ მიმოწერა?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ რომ... არ მინდა გამჟღავნდეს ჩემი ასავალ-დასავალი.

— მე რომ ვინმეს შევატყობინო?

— ნუ იზამთ მაგას!

ნინოს გაეცინა, მერე თვალებში შეხედა გიორგის.

— აგვისტოს ავანტურაში ხომ არ მონაწილეობდით?

— ავანტურაში კი არა, ქართველი ხალხის აჯანყებაში რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

— ასე მონათლეს ეგ თქვენი აჯანყება.

— ეგენი ყველაფერს უკუღმა ნათლავენ, თეთრს შავს არქმევენ, მონობას — თავისუფლებას, სიკვდილს — სიცოცხლეს, თქვენ არ შეგფერით მაგათი აყოლა.

— ნუ ბრაზობთ, მე პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, უნებურად წამომცდა ეგ სიტყვა, — გაიღიმა ნინომ.

გარეთ თოვდა, მსხვილი ფიფქები ორმაგ ფანჯარას ეხლებოდნენ და მინებს ადნებოდნენ. უცებ გიორგის ის ცივი ღამე მოაგონდა, შოთას მხარზე მიყრდნობილს, თოფჩაბღუჯულს, აჭყაპებულ სანგარში მოკეცილს, მკვდარივით რომ დაეძინა კონტრშეტევის მოლოდინში. ოცეულის მეთაურის ირაკლი ჩხენკელის ყვირილმა გამოაღვიძა მთელი რაზმი. დილის ნისლიან ბინდ-ბუნდში, თოფმოღერებული წითელარმიელები ხევზე გადმორბოდნენ და ქართული ლაშქრის სანგრებისკენ მოემართებოდნენ იერიშით. „ცეცხლი!“ ყვიროდა მაუზერმომარჯვებული ირაკლი ჩხენკელი, ხოლო შოთა, ორივე ხელით ტყვიამფრქვევის სახელურს ჩაჭიდებული. ისე მარჯვედ ატრიალებ-

და ცეცხლისმფრქვეველ ლულას, რომ დანარჩენ მებრძოლებსაც სიმხნევეს მატებდა...

გიორგიმ ჩაი მოსვა და ნინოს შეხედა.

— მე და შოთა ერთად ვიბრძოდით ათას ცხრაას ოცდაერთ წელს ტაბახმელა — კოჯრის ფრონტზე, წითელი არმია რომ შემოესია საქართველოს.

— როგორი მებრძოლი იყო?

— უმამაცესი, მარჯვე, თავზეხელაღებული. ჩვენ რამდენჯერმე უკუვაქციეთ რუსები, მაგრამ ათჯერ მეტ მტერთან მაინც ვერას გავხდით თანაც მთავრობის გაქცევამ სულ დაღუპა ჩვენი საქმე...

ნინო ყურადღებით უსმენდა, გიორგის კი ახლა ის სავალალო საღამო ედგა თვალწინ, ბოლმამორეულნი რომ ტოვებდნენ ბრძოლის ველს, შურისძიების წყურვილით აღვსილნი. გიორგი თბილისში დარჩა ძმასთან, შოთა ირაკლი ჩხენკელთან ერთად უკანდახეულ ქართულ ჯარს გაჰყვა. მხოლოდ შემოდგომაზე შეხვდნენ ერთმანეთს, უნივერსიტეტში სწავლა რომ განახლდა, შოთა მშობლიური ხონიდან ჩამოსულიყო, ბინად ისევ ვერაზე იდგა, პოლიტიკაში არ ერეოდა., მათემატიკით და ტანვარჯიშით იყო გატაცებული. ვინც პოლიტიკაში იყო ჩაბმული, იმათ ბოლშევიკები დაუნდობლად უსწორდებოდნენ, ხვრეტდნენ ან ციმბირში ასახლებდნენ. შოთასგან გაიგო გიორგიმ ირაკლი ჩხენკელის ამბავიც, თურქეთში რომ გაჰყოლოდა საქართველოდან ლტოლვილებს.

— რომ იცოდეთ, რა ტანმოვარჯიშე იყო...

— როგორ მღეროდა!..

— მოგისმენიათ მისი სიმღერა?

— რას ამბობთ, სწორედ მისმა სიმღერამ მომხიბლა ერთ ოჯახში და ამან დაგვაახლოვა, არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა, — უეცრად გაწითლდა ნინო და გიორგი ისევ ეჭვმა შეიპყრო, უეჭველად რაღაც იყო ამათ შორისო.

ცხადია. შოთა ოცდაოთხი წლის აჯანყებასაც თანაუგრძნობდა, მაგრამ არცერთ ჯგუფს არ მიემხრო. თუმცა მზად იყო გამოსასვლელად. ... ყების მზადებაზეც ბევრი რამ იცოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ცალკე დარჩა, რადგან არ მოსწონდა ერთი მიზნისთვის მებრძოლთა შეუთანხმებლობა და სწორედ ამან გადაარჩინა. თუმცა ვინ იცის, მყინვარწვერზე რომ არ დაღუპულიყო, იქნებ ისიც მოხვედრილიყო ჩეკას კლანჭებში. საქართველოში ხომ ახლაც გრძელდებოდა აჯანყებაში ეჭვმიტანილებთან ანგარიშის გასწორება?

— მწარე დღე დაუდგა ჩვენს სამშობლოს, საუკეთესო ვაჟკაცები იხოცებიან, — თავი ჩაღუნა გიორგიმ და იგრძნო, ძალზე სიამოვნებდა აქ ყოფნა, თითქოს სული უმშვიდდებოდა, დაგუბული ბოლმა გამოსავალს პოულობდა. მატარებელში სანი დღე ერთად მგზავრობის მერე, არც ისე უცხოდ მიაჩნდა ეს ქალი, თუმცა სამი თვე იყო მას შემდეგ გასული, რაც იგი აღარ ენახა. ქართულად ლაპარაკიც ძალიან უჭირდა ნინოს და უფრო ხშირად რუსულზე გადადიოდა, მაგრამ მაინც სუფევდა ამ ოთახში რაღაც მახლობელი, შეიძლება ითქვას, ნათესაური, მშობლიური ქვეყნის სურნელს რომ აგონებდა, და იმ საღამოს გიორგი დიდხანს ლაპარაკობდა საქართველოს მთებზე, ტყეებით დაფარულ სივრცეებზე, ჩუხჩუხა მდინარეებზე, ზურმუხტოვან გარემოში გაფანტულ სოფლებსა და პატარა ქალაქებზე, და თვით ქართველებზე, პირველნი რომ წამოეგებიან ხოლმე შუბის წვერზე, მაგრამ იმედს არასდროს რომ არ კარგავენ, თუმცა რისი იმედი აქვთ, ხეირიანად არც კი იციან ალბათ, განგებისა, ჩაურთო ნინომ, ალბათ, დაეთანხმა გიორგი, თუმცა საკუთარი ეკლესიების ნგრევაში ისე გამოიდეს თავი, ქვა ქვაზე არ დატოვეს და დაამტკიცეს, ადვილად რომ ემორჩილებიან უკეთურ გავლენას.

— შეიძლება ეს შველით მათ, სიმ-

ტკიცე სუსტისთვის დამღუპველიც კია, — ისევ ჩაურთო ნინომ და „ვინ იცისო“, ისევ დაეთანხმა გიორგი, თან დაუმატა, საქართველო ორად გაიყოო, ზოგმა ირწმუნა სოციალისტური რევოლუცია, როგორც ეპოქალური აუცილებლობა, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედება, მაგრამ რუსული სოციალიზმი ისევ იმპერიულ და ნაციონალისტურ მიზნებს ისახავს და ეს სულ მალე გაცხადდებაო.

იგი დიდხანს ლაპარაკობდა, მასპინძლის აშკარა ყურადღებით გახალისებული, ბნელი ბუნაგებიდან გამოსულმა ძალებმა დაიპყრეს ქვეყანა და ყოველივე ის, რაც საქართველოში ქართული სულის მატარებელი იყო, უმოწყალოდ მოსპესო. მაგრამ მოვა დრო, ხმას აუწია გიორგიმ, როცა რუსეთი იწვნევს მისგან განფენილ ცოდვის საფასურს, მახვილის ამღები მახვილითვე დაიღუპება, ბოროტების მთესველი ბოროტების მსხვერპლი შეიქნება, და უცებ მან გაიგონა, ზარმა რომ ჩამოჰკრა. კედლის საათს ახედა, ღამის ორი საათი იყო.

— რა დრო გასულა?! — დამნაშავესავით გაიღიმა.

გარეთ ქარბუქი ტროტუარიდან მოხვეტილ თოვლს ჰაერში აფრიალებდა და ზუზუნებდა, ბუხარში ცეცხლი ინავლებოდა.

— დათჩით აქ, სადღა უნდა წახვიდეთ, აგერ დივანზე გაგიშლით ლოგინს, — უთხრა ნინომ და წამოდგა. გიორგიმ გაოცებით შეხედა ქალს, არა, წავალ, ნუ შეწუხდებითო, და უცებ აღელდა.

— რა შეწუხებაა! იმედი მაქვს ვაჟკაცობას გამოიჩენთ და არ ისარგებლებთ ჩვენი მარტოობით, — ნირშეუცვლელად უთხრა ნინომ, ზანდუკიდან საბანი ამოიღო, დივანზე დადო და ოთახიდან გავიდა.

გიორგიმ მხოლოდ ფეხსაცმელები გაიხადა, დივანზე მიწვა და საბანი თავზე გადაიფარა მღელვარებისგან გული ისე უცემდა, ეგონა გასკდებაო და ამისიც რცხვენოდა, თავისი აღელვებისა, განა იმიტომ [illegible] რომ ამგვარი რამ განეცადა [illegible] გაევლო? მაგრამ ვნება სძლევდა მწუხარებას და იგი ებრძოდა თავის ვნებას. როცა ნინო ოთახში შემობრუნდა. ხმა არ ამოუღია, არც შეუხედავს მისთვის, თავი მოიმძინარა. ნინომ სინათლე ჩააქრო, თეჯირს იქეთ გავიდა, სადაც საწოლი ედგა, და ლოგინში ჩაწვა. ყრუ დუმილი ჩამოვარდა, საათის წიკწიკით აყღერებული და ქარბუქის ღმუილით გარემოცული. გაუნძრევლად იწვა და უსმენდა ქარს, უჩვეულო ვითარება ძილს უფრთხობდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ნინოს ეძინა, მისი წყნარი სუნთქვა შემოესმა, ზოგჯერ ხვრინვაში გარდამავალი და ძალიან გაუკვირდა ესოდენ ლამაზი ქალი ასე უშნოდ რომ ხვრინავდა, სრულიად მიწიერი და ჩვეულებრივი რომ იყო. ცოტა ხნის მერე მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ძაგძაგი დააწყებინა. კუნთები ზამბარასავით დაეჭიმა, თითქოს მძიმე სიმძავე ჩაეღვარა სხეულში, ხოლო ღამე ყელში ხელს უჭერდა და სულს უხუთავდა. მერე უდაბურ თოვლიან ველზე იდგა მარტოდ მარტო, გათოშილი და აკანკალებული. მის ირგვლივ უცნაური წრეები მოძრაობდნენ სხვადასხვა ზომისა, ს�იცე გველივით მოძვრებოდა სხეულის სიღრმეში, გულს უწუხებდა. ვიღაც მოჩანდა იმ თოვლიანი უდაბნოს ბოლოს, მაგრამ წამონაქროლი ნამქერი აქრობდა იმ ერთადერთ ჩვენებას. ისევ ტრიალებდნენ წრეები, ისევ ჩანდა ბურუსში ვიღაცის ხატება და ისე ქრებოდა, და გიორგი მანამ იტანჯებოდა, ვიდრე თვალები არ გაახილა.

ოთახში სინათლე ენთო. ნინო მაგიდას აწყობდა. ფანჯრებში რუხი დილა იწყებდა ლიცლიცს. გიორგის ისევ აძაგძაგებდა და საშინლად უხურდა სხეული. მყისვე მიხვდა, ავად იყო. ესღა მაკლდაო, ეწყინა და წამოჯდა.

— როგორ გეძინათ? — გაუღიმა ნინომ. ამ აშკარად კეთილგანწყობილ-

მა, მეგობრულმა ღიმილმა ცოტათი დაამშვიდა, მაგრამ როცა ნინომ საბანაზანოში გაიყვანა პირის დასაბანად, სახეზე შესხმული ცივი წყალი იმდენად არ ესიამოვნა, თითქოს ბასრი სამართებლით დაუსერეს კანი. ბარბაცით შემობრუნდა ოთახში და წავალო, თქვა.

— ჯერ ჩაი მიირთვით! — მაგიდასთან დასვა ნინომ, მაგრამ პირველივე ყლუპი ყელში გაეჩხირა და ხველება აუტყდა, თავს ძალა დაატანა, მაგრამ ვერც ლუკმა გადაყლაპა, ვერც ჩაი დალია კბილებს აწაკწაკებდა, თბილ ლოგინში სურდა ჩაფლობა, ღრმად რომ ჩაერგო ბალიშში თავი. საბანი თავზე გადაეხურა და გარინდულიყო საკუთარი სიცხის ალმურში გამოხვეული.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა უცებ ნინომ.

— არა.

ნინო წამოდგა, შუბლზე ხელი დაადო, მერე კომოდის უჯრიდან თერმომეტრი ამოიღო და იღლიაში ჩაუდო. ზოგჯერ ტრამვაის ხმაური ისმოდა, ქუჩაში რომ ჩაივლიდა, ფანჯრიდან კი ჩანდა მოქუფრული, ნაცრისფერი სივრცე. ნინომ თერმომეტრი ამოუღო და დახედა.

— ცოტათი მცივა, — გაუბედავად თქვა გიორგიმ, — არა უშავს, ჰაერზე გავალ და გამივლის.

— სად გახვალთ, ორმოცი გაქვთ სიცხე!

წინააღმდეგობის თავი არ ჰქონდა და ამიტომ ნინოს მიერ დივანზე ხელახლა გაშლილ ლოგინში მორჩილად ჩაწვა. ამჯერად ტანსაცმელი გაიხადა და გაილურსა. ბავშვობაში ავად რომ ხდებოდა, ხმას არ იღებდა და მამამისი იტყოდა ხოლმე, მიხედეთ, ხომ არ მოკვდა ეს ბავშვიო. ბურანში ყოფნა სიამოვნებდა, მაგრამ ზოგჯერ თვალს რომ ახელდა. ხედავდა ნინოს, მის სასთუმალთან სკამზე ჩამომჯდარს და ვერ გარკვეულიყო, ეჩვენებოდა თუ ცხადი იყო. მხოლოდ მაშინ რწმუნდებოდა ამ ჩვენების სინამდვილეში, როცა ნინო ძმრიან კომპრესებს ადებდა შუბლზე, ან ზოგჯერ პირს [illegible] ბდა და კოვზით რაღაც უამურ სითხეს ასხამდა ხახაში. გიორგის რცხვენოდა, ასე რომ აწუხებდა ამ ქალს თავისი ავადმყოფობით, მაგრამ ძალამიხდილი ხმას ვერ იღებდა, ისევ ბურანში მიდიოდა, თითქოს იქ იყო ერთადერთი ხსნა, ერთადერთი ნუგეში იმ გაურკვეველ განზომილებაში, სადაც ერთმანეთში არეული სინამდვილე და წარმოსახვა უცნაურ, დაუჯერებელ, დამახინჯებულ სურათებს და შეგრძნებებს ბადებდა მიბნედილ ცნობიერებაში. ძლივს აღიქვა ერთხელ, რომ ექიმი სინჯავდა, ნეკნებზე თითებს უბაკუნებდა და ხმამაღლა რაღაცას. ლაპარაკობდა. არც კი იცოდა რამდენი ხანი გაატარა ამგვარ ყოფაში. დღისა და ღამის მონაცვლეობას იგი ვერ გრძნობდა, დროის შეგრძნება თითქოს გაუქრა. მაგრამ ერთხელ, გონება რომ დაეწმინდა და აშკარა შვება იგრძნო, ისევ დაინახა მის სასთუმალთან მჯდარი, მუხლებზე ხელებდაწყობილი ნინო და გაოცდა. ხელი გაიშვირა მისკენ და მაჯაში მოჰკიდა. ნინო ღიმილით შემოსცქეროდა. მაშინ მისი ხელი ოდნავ მოსწია, მოქაჩა. ნინო მორჩილად დაჰყვა ამ სუსტ ძალდატანებას, ვითომ უნდობლად წამოდგა სკამიდან და ლოგინზე ჩამოუჯდა. გიორგიმ ხელისგულზე აკოცა, ნინო გადმოიხარა, ლოყით წვერმოშვებულ ლოყაზე მიეკრა და სიცხე აღარა გაქვსო, დაიჩურჩულა. შენი წყალობითო, ასევე ჩურჩულით წარმოთქვა გიორგიმ, ორივე ხელი შემოხვია და მკერდზე მიიკრა სასურველი ქალის თბილი, მთრთოლვარე. სურნელოვანი სხეული...

ორი დღის შემდეგ ფეხზე წამოდგა და შინ წასვლა დააპირა. „დარჩი!“ უთხრა ნინომ და იგი დარჩა ნინოსთან.

იმ დღიდან მისი მოსკოვური ცხოვრებაც ძირფესვიანად შეიცვალა; გაორკეცებით მეცადინეობდა, თან გეოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობდა, სა-

დაც ლუკშასმა მოაწყო, მაგრამ ამას დაემატა კვირაობით ნინოსთან ერთად მოსკოვის მუზეუმების დათვალიერება, თეატრებში სიარული, ღირშესანიშნაობების მონახულება. ერთხელ, გაზაფხულის დამდეგს, ნინომ „სვეხსვიატსკოეს“ ეკლესიაც აჩვენა, ოდესღაც ვახტანგ VI-სთან ერთად ჩამოსახლებულ ქართველებს რომ ეკუთვნოდათ და რომლის ეზოში, საფლავის ლოდებზე ახლაც მოჩანდა ქართული წარწერები.

იმჟამად მცირე თეატრს ქართველი კაცი განაგებდა და ქართველთა წესისაებრ, ამ თეატრში მოღვაწე ორად ორი ქართველი ერთმანეთს ვერ შეუთანხმდნენ. ნინო იძულებული გახდა კამერულ თეატრში გადასულიყო სამუშაოდ. მის პირველსავე გამოსვლას გიორგი დაესწრო. იგი პარტერში იჯდა და შესცქეროდა ფარდადაშვებულ სცენას. გიორგი არ იყო თეატრალი, ის იყო წიგნის კაცი. წარმოდგენის დროს, უპირველეს ყოვლისა. ვითარების ხელოვნურობა, მსახიობთა თამაში და თვით თამაშის სიყალბე ხვდებოდა თვალთ. მაგრამ მესამე მოქმედებაში, როცა ნინო მწუხარე მონოლოგს წარმოსთქვამდა, ათასი რამ მოაგონდა უცებ, მიტოვებული სამშობლო, აუხდენელი ოცნებები, დაკარგული მეგობრები, დამარცხების გულისტკივილი, მახლობელთა სახეები, და თვითონ ნინო, სიცხიან ავადმყოფს თავს რომ ევლებოდა ამ ზამთარს, წამით რომ არ შორდებოდა მის ლოგინს, მისი ხელები, აქეთ-იქეთ რომ მოძრაობდნენ ახლა მკვეთრი სიმძაფრით მკრთალი შუქით განათებულ სცენის შუაგულში, — სათუთად უვლიდნენ, ეფერებოდნენ მის სხეულს, ნინოს სასოწარკვეთილი ხმა, კვნესასავით რომ ისმოდა სცენის სიღრმიდან ახლა, საალერსო სიტყვებს აყელერებდნენ მის ყურთან მიტანილი ბაგეებიდან ყველაზე უმძაფრესი სიახლოვის ჟამს, და ამის გაფიქრება განუზომელ სითბოდ დაუგროვდა გულში და თვალთაგან ცრემლად გადმოიღვარა. და ვიდრე ნინო თამაშს [illegible] სხვის ბედში მყოფი, სხვის ადგილებაში გარდასახული, — გიორგი გრძნობდა, რომ მისთვის, სამშობლოდან გადმოხვეწილ ლტოლვილისთვის, ეს ქალი იყო ერთადერთი ხსნა ამ უცხო ქვეყანაში.

წარმოდგენის შემდეგ ხალხი აიშალა, ტაში აგრიალდა. როლიდან გამოსული მსახიობები ჩვეულებრივად იქნევდნენ თავს მადლობის ნიშნად, ზოგიერთნი სცენაზე ნასროლ ყვავილებს კრებდნენ და ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ აღფრთოვანებულ მაყურებლებს, ფოიეში გამოსული აღელვებული საზოგადოება სპექტაკლის ავ-კარგზე მსჯელობდა, მაგრამ გიორგის სპექტაკლი აღარ ახსოვდა, სულ სხვა განწყობამ შეიპყრო იგი. მოუთმენლად ელოდა ნინოს გამოსვლას კულისებიდან. ბოლოს თვალი მოჰკრა თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ სახეგაბადრულ ნინოს, ნელა მიუახლოვდა, ყველანი აგზნებულად ლაპარაკობდნენ, თითქოს ისეთი მოვლენის მოწმენი გახდნენ, რასაც ცხოვრების შემეცნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თეატრიალთა ამგვარ გაზვიადებას გიორგი ყოველთვის ირონიული ღიმილით შესცქეროდა, მაგრამ ახლა ირონია გაუქრა, და როცა ნინომაც შეამჩნია იგი, წრე გამოარღვია და მისკენ გამოქანდა.

— მოგეწონა სპექტაკლი? — იყო მისი პირველი კითხვა.

— ძალიან! — იყო პასუხი

ნინომ მკლავში ხელი გაუყარა და ქუჩაში გამოიყვანა.

— შენ დღეს პირველად მნახე სცენაზე, მე უფრო საინტერესო როლებიც მითამაშია!

— ერთგული მეუღლის, ოჯახის დიასახლისის როლი თუ გიცდია?

ნინომ გადაიკისკისა.

— მე მგონი შევძლებ მაგ როლის თამაშსაც!

მეორე დღეს გიორგი ურალში გა-

ემგზავრა. გეოლოგიურ ექსპედიციაში და სამი თვის შემდეგ დაბრუნდა მოსკოვში. ამჟამად აქ ჩამოსვლა ისე აღიქვა, თითქოს მშობლიურ მიწაზე დაედგას ფეხი. ცხადია, ამას ჰქონდა მიზეზი, ახალი ინტერესები თანდათან უფრო აკავშირებდა ამ ქალაქთან, სექტემბრის დამდეგისათვის უჩვეულო სითბო სახალისოდ განაწყობდა. როცა ექსპედიციის ბარგი სადგურიდან ლაბორატორიაში მიიტანეს, გიორგიმ თავისი მსუბუქი ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა და ქუჩაში გამოვიდა. ტრამვაის გაჩერებასთან ცნობისმოყვარეებით გარშემორტყმული სრულიად შიშველი ქალები და მამაკაცები იდგნენ, მხარზე წითელლენტგადაკიდებულნი, რომელზედაც მსხვილი თეთრი ასოებით ეწერა: ნამ ნე სტიდნო! დოლოი სტიდ!

უკიდურესობებისკენ მისწრაფება კარგა ხანია შეამჩნია რუსებს და მაინცადამიანც არ გაჰკვირვებია. ამ ხალხს ისე იოლად შეეძლო ტყუილის სიმართლედ გასაღება და დაუჯერებლის დაჯერება, რომ საკვირველთან ერთად საშიშიც იყო. ფირნიშებით აჭრელებულ გადატენილ ქუჩაში მომავალი გიორგი აკვირდებოდა დაწვრილებულ თვალებს, წაწვეტებულ ცხვირებს, ცბიერ სახეებს. და შავი ძალა, ყოველივე ამის უკან რომ იმალებოდა, თითქოს მიეჩქმალა ყოველდღიური ცხოვრების საზრუნავებს. მაგრამ გიორგი გრძნობდა, ის არ იყო გამქრალი, არც შენიღბული, სადღაც არაცნობიერში მიმალული იგი ცოცხლობდა, ფეთქავდა, ღუღდა და მზად იყო კოლოსალური გადმოფრქვევისათვის ქვეყნიერების წასალეკად. „მსოფლიო რევოლუცია“, რასაც ახლა მთელი რუსეთი გაჰყვიროდა, სხვა არაფერი გახლდათ თუ არა ამ უკეთური, ველური ძალის ამოძრავება ახალი სივრცეების დასაპყრობად. ეს ნიშანთვისება უყოყმანოდ იმორჩილებდა გულგაღეღილ ლოთებს, ქუჩაში რომ დაბანცალობდნენ ახლა, პირგამეხებულ ქალებს, ჯარისკაცებივით საღლაც მწყობრში რომ მიიჩქაროდნენ, ეზაკვრულად მოღიმარ ინტელიგენტებს, მეეტლებს რომ ეკამათებოდნენ. ყველა ესენი ერთ მუშტად შეკრულ დამუხტულ ძალას წარმოადგენდნენ სხვადასხვა მიმართულებით განფენილს, მაგრამ ერთი დანიშნულებით და თანადგომით შეერთებულს. უბედურება ის იყო, რომ თვით ქართველობაში აღმოჩნდნენ ძალები, ამ გამანადგურებელ ძალას რომ ეგებებოდნენ, უერთდებოდნენ, ერწყმოდნენ საკუთარი თავის დასაღუპავად. ზოგჯერ გიორგი ქართველი ბოლშევიკების უკეთურობას მთელი ერის უკეთურებად სახავდა, უფრო მეტი, ადამიანის ფსიქიკის ჯურღმულებში ჩაბუდებული სიბნელის აღმოფრქვევად მიაჩნდა მათი ბოროტი ნამოქმედარი და ამაში მაინცადამიანიც არც სტყუოდა. მაშინ სხვაგან იყო საძებნი ყოველივე იმის მიზეზი, რაც ახლა ქვეყნად ხდებოდა. მაგრამ მეტაფიზიკის სფეროებში შეჭრას მიწაზე მყარად დგომა ერჩივნა და თავის კითხვას იოლი ახსნა მოუძებნა, ქართველებსაც ძალიან გვიყვარს ტყუილის მართლად გასაღება და მართლის ტყუილად, მტერ-მოყვარეს ვერ ვარჩევთო, გულისტკივილით გაიფიქრა და „ახოტნი რიადზე“ შემოუხვია. ტრამვაიების, ავტომობილების და ეტლების ხმაური აქაურობას აყრუებდა უეცრად ბრბოში, დიდი თეატრის წინ. თვალი მოჰკრა ნინოს. შორიდანვე დაინახა ტროტუარის კიდეზე ღრმად ჩაფიქრებული სახით მომავალი, მისკენ გაემართა და წინ გადაუდგა. გიორგის დანახვაზე ნინო შეკრთა, გაწითლდა და საოცრად გაუხარდა. ერთხანს ხმის ამოღებაც კი გაუჭირდა.

— რა კარგია, რომ სწორედ დღეს ჩამოხვედი! — წარმოსთქვა ბოლოს.

— რაზედ მოგიწყენია? — ღიმილით ჰკითხა გიორგიმ. იგი ძლიერ გახარებული იყო, ასე უცბად და მოულოდნელად რომ შეეფეთა ძალზე მონატრებულ ნინოს.

— არაფერი, ისე.

— მაინც?

— არაფერი, — და გამოკითხვა დაუწყო, როდის ჩამოხვედი, რატომ არ შემატყობინე, თუ დღეს ჩამოდიოდი, სადგურში მაინც დაგხვდებოდიო, რა შთაბეჭდილებები დაგრჩა ურალზეო, და სხვა ასეთები, მაგრამ ისე დაბნეული ჩანდა, რომ გიორგიმ ხელახლა ჰკითხა, რაზედ მოგიწყენიაო?

— დღეს ერთი უსიამოვნო ამბავი შევიტყე, ჩემს ყოფილ ქმარს პარიზში თავი მოუკლავს...

გიორგის გულში რაღაცამ უბწკინა, სიხარულს ჩრდილი გადაეფარა. ტვერის ქუჩისკენ უხმოდ ამოუხვიეს, აქაურობაც აფუთფუთებულიყო ბრბოს ყაყანით და ტრანსპორტის ხრიგინით.

— მართალია, ამ კაცთან დიდი ხანია აღარაფერი მაკავშირებდა, ეს ჩემი ახალგაზრდობის შეცდომა იყო, მაგრამ მაინც მეწყინა ასე უაზროდ რომ დაამთავრა სიცოცხლე ამ ჭეშმარიტად ნიჭიერმა კომპოზიტორმა...

გიორგი შეჩერდა.

— აღარ შეგიშლი ხელს, წავალ სახლში, — თქვა მან.

ნინომ მკლავზე ხელი წაავლო.

— ნუ სულელობ, სად წახვალ?!

— შემიძლია ცოტაზე კიდევ გაგაცილო, ერთი საათია რაც ჩამოვედი, დასვენება მინდა.

— არა, მაგას არ გეუბნები. საერთოდ ნულარ მიბრუნდები იმ შენს სოროში, აიღე მთელი ხაბაკ-ხუბაკი და ჩემთან გადმობარგდი, ერთად ვიცხოვროთ!..

ეს იყო სერიზული და მოულოდნელი წინადადება და იგი ამას ისე მტკიცედ და გადაწყვეტილად ამბობდა. რომ გიორგის, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ადრე, ასეთი აზრი არცერთს არ გასჩენია, ამაზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა. მართალია, პაცენკერის ბინა ნინოს არ მოსწონდა, იქ სულ ერთხელ იყო ნამყოფი და მერე ფეხი აღარ შეუდგამს, მაგრამ ასეთი წინადადებითაც არასოდეს მიუმართავს გიორგისათვის. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ და მერე თავთავიანთ საქმეებზე მიიჩქაროდნენ, გიორგი სამეცადინოდ ან სამუშაოდ, ნინო რეპეტიციებზე და კონცერტებზე, სადაც ძველ რუსულ რომანსებს ასრულებდა დიდი წარმატებით. ერთხელ გიორგი დედამისთანაც მიიყვანა. ნინოს დედა გერმანელი ქალი, მეორედ იყო გათხოვილი და ქმართან ერთად ცხოვრობდა სრეტენკაზე. ნინოს მამა, რუსეთის არმიის გენერალი, მსოფლიო ომში დაღუპულიყო. კარგა ხანია ნინო მარტო ცხოვრობდა. მიჩვეული იყო მარტოობასა და თავისუფლებას და ამიტომ უკვირდა გიორგის მისი შემონათავაზი.

— ერთმანეთს რომ ხელი შევუშალოთ?

— მე არ შეგიშლი ხელს, პირიქით, ვეცდები ყველანაირად დაგეხმარო, — ისე გულწრფელად წარმოსთქვა ნინომ, თითქოს მის ხმაში ხვეწნაც ქღერდა. ეს საკმაოდ უჩვეულო ჩანდა ნინოსთანა დამოუკიდებელი ქალისათვის. გულის სიღრმეში, გიორგი ქალებს მეტოქეებად აღიქვამდა, რომლებთანაც მუდმივ წინააღმდეგობაში და დაპირისპირებაში ფხიზლად უდნა ყოფილიყო, რათა არაფერი შეშლოდა, მაგრამ ახლა რატომღაც შეებრალა ნინო, ბუნდოვნად იგრძნო მისი მარტოობა და მეტოქეობის ნაცვლად თანაგრძნობით განიმსჭვალა. ეს მოულოდნელი წინადადება სიამოვნებას ჰგვრიდა. იმ უცაბედი ავადმყოფობის შემდეგ, ფილტვების ანთებიანს ნინომ, რომ მოუარა და ფეხზე დააყენა, ხშირად ათევდა ღამეს მასთან. მაგრამ გიორგი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული მათი დამოკიდებულების სიმყარეში, რადგან ერთმანეთისგან იმაზე მეტს არ მოითხოვდნენ, რაც იყო მათ შორის. თანაც ნინოს უამრავი თაყვანისმცემელი ეხვია გარს, ცნობილი პიროვნებანი, მუსიკოსები და არტისტები, რომლებსაც გიორგი არც ეჯიბრებოდა, ეს თავში აზრადაც არ მოსდიოდა. ერთად ღამენათევნი დილით ქუჩაში რომ

გამოდიოდნენ და თავიანთ საქმეებზე მიეშურებოდნენ, თითქოს წყდებოდა კავშირი მათ შორის, თითქოს ახალ შემთხვევას უხდა დაეახლოვებინა ისინი ხელახლა და ეს ქმნიდა ერთგვარ ბაურკვევლობას, არღვევდა სიმყარეს, რომელიც მეტისმეტად ესაჭიროებოდა გიორგის, რადგან ისეთი პიროვნება იყო, მყარ საფუძველს რომ ეყრდნობოდა და ეს აძლევდა ბიძგს მოქმედებისათვის. მათ ურთიერთობას სიმყარე აშკარად აკლდა, ორივენი თავისუფალნი იყვნენ და. შეიძლება, ქვეცნობიერად ორივეს ეს აწუხებდა. როგორც ჩანს, გიორგის ნინოსთან ყოფნა გაურკვეველ საზრუნავად არ უნდოდა გახდომოდა, სურდა მუდამ გვერდით ჰყოლოდა, როცა მოეგუნებოდა, როცა მოესურვებოდა და მაშინ არ შეეწუხებინა ნინოზე ფიქრს, როცა ფიქრი და ძალისხმევა საქმისთვის იქნებოდა საჭირო.

— კარგი, გადმოვალ! — თქვა მან.

იმავე დღეს გადასახლდა ნინოსთან თავისი წიგნებით და ბარგი-ბარხანით.

ამიერიდან ნინოს გარდა არცერთი ქალით არ დაინტერესებულა, ნინოსთან შეკავშირებით ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა ეს საკითხი. რაც არ უნდა ლამაზ ქალს ჩაევლო მის გვერდით, თვალს არ შეავლებდა, მზერას არ გააყოლებდა, ეტყობა, ვერც ამჩნევდა, როგორც ჩანს, მისი აზრით ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვა წინასწარ განსაზღვრულ სასიცოცხლო ძალას ემორჩილებოდა ყველა იმ იმპულსის მსგავსად, ადამიანს ამა თუ იმ, მისთვის აუცილებელ ქცევისკენ რომ უბიძგებს, სიყვარული იყო ამ ძალის ამოქმედების და გამოხატულების საშუალება, სინამდვილეში არა სულიერ, არამედ ფიზიკურ, ბიოლოგიურ დანიშნულებას და გამოვლინებას რომ ემსახურებოდა, ამიტომ სხვადასხვაობას იგი არ ეძებდა და არც ელოდა, ერთი ქალი და მისი სიყვარული სავსებით აკმაყოფილებ და ამ საკითხზე ფიქრით თავს აღარ იტკიებდა. მისი ცხოვრება სულ სხვა კალაპოტში ჩადგა. ნინო სიმშვიდე მოუტანა. ოთახი — [illegible] ბულად მოუწყო, ფანჯარასთან პატარა მაგიდა დაუდგა, ფანჯრის რაფაზე ქოთნიანი კაკტუსი ჩამოდგა. ამ მაგიდასთან საათობით იჯდა გიორგი და მუშაობდა. ვიდრე ნინო რეპეტიციებზე, კონცერტებზე და წარმოდგენებზე დადიოდა. ზოგჯერ ისე ერთობოდა მეცადინეობით, რომ ნინოს მოსვლას ვერც კი ამჩნევდა და ნინოს უკვირდა ქართველი კაცის ასეთი სიბეჯითე. გიორგის ამაზეც ჰქონდა პასუხი, ეს არის სამშობლოს მოწყვეტილი კაცის ჯაფაო. სამშობლოდან შორს მყოფი, სამშობლოს საქმეებს მოწყვეტილი მთელს თავის უნარს მეცნიერებას ახმარდა და მეცნიერებისთვის თავდადება სამშობლოსთვის თავდადების მსგავსი რამ შეიქმნა მისთვის. ამაში იყო ჭეშმარიტების მარცვალი, რადგან იგივეს ამჩნევდა პროფესორ ლუკაშას, ამ უსამშობლო ადამიანს, რომელიც არასოდეს არაფერზე არ ეგაასებოდა, გარდა მინერალოგიისა და პელეონტოლოგიისა, და შორიდან ადევნებდა გიორგის მუშაობას თვალს, მხოლოდ დავალებებს აძლევდა ზოგჯერ, რომელიც რჩევას უფრო წააგავდა, ზაფხულობით კი აუცილებლად თან დაჰყავდა ექსპედიციებში, ხან ურალში. ხან ჩრდილოეთში და მოგზაურობისას გიორგი ხშირად წაწყდომია საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც სახეჩაშავებული პატიმრები უმოწყალო შრომისგან ლამის ილაჯგაწყვეტილ ცხოველებად ექცეოდა. გიორგი ხედავდა ქვეყნად რაც ხდებოდა. მთელ კავშირში ატეხილი ზარ-ზეიმის მიღმა, სოციალისტური მშენებლობების გამარჯვებებს რომ ამცნობდა სამყაროს, არც კულაკობის განადგურება გამორჩენია, არც ტროცკის და მისი მომხრეების დევნა და ძიძგილი. ეს კაცისმკვლელები უკვე დაერივნენ ერთმანეთსო, ფიქრობდა, მაგრამ ამ ფიქრს არავის უზიარებდა, რადგან ისეთი დრო იყო, საკუთარ

თავსაც ვერ ენდობოდი. სიფრთხილე თავდაჭერილობას კარნახობდა, მაგრამ მისი მიუკარებლობა, გულჩახვეულობა ეჭვს იწვევდა თანაკურსელებსა და თანამშრომლებს შორის და საშიში იყო. საიმედო იყო სიცრუე, ტყუილების ლაბარაკი. არსებული წყობისადმი ეროგულებისა და აღფრთოვანების გამოხატვა, მაგრამ გიორგი სიცრუეს სიჩუმეს ამჯობინებდა, მაგრამ სიჩუმეც საეჭვოდ მიაჩნდათ და საბაბს ეძებდნენ გიორგისთვის რომ კბილი გაეკრათ, თუმცა ყველასაგან განზე მყოფი ამის საბაბს არ იძლეოდა, მთელ დღეებს ბიბლიოთეკებსა და ლაბორატორიებში ატარებდა. გერმანული ენა გიმნაზიიდან იცოდა, მოსკოვში, სულ ორი წლის განმავლობაში ინგლისური და მერე ფრანგულიც შეისწავლა, ისე რომ კითხვა შეეძლო. უცხო ენების ცოდნამ საშუალება მისცა ამ ენებზე არსებულ ლიტერატურას გასცნობოდა და მალე თანაკურსელებს იმდენად გასწრო, რომ ერთ მშვენიერ დღეს პროფესორმა ლუკშასმა კაბინეტში იხმო და გამოუცხადა, განზრახვა მაქვს უნივერსიტეტში დასატოვებლად წარგადგინო გეოლოგიაში და იმედი მაქვს თანახმა იქნებიო. გიორგი დათანხმდა, საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი ჯერ ადრე იყო. ზოგიერთი მისი ნაცნობი, ოცდათხი წლის ქლეტას, სოლოვკებში ან ციმბირში გადასახლებას ვინც გადაურჩნენ, დღეს სამშობლოში მოღვაწეობდნენ და გიორგისაც ჰქონდა იმედი რომ სწავლადასრულებული, ცოდნით აღჭურვილი ოდესმე კვლავ დაუბრუნებოდა თავის სათაყვანო ქვეყანას. მაგრამ ჯერჯერობით სჯობდა სიტყვაძუნწი ლუკშასის რჩევას მიჰყოლოდა, კარგად დაწყებული საქმე არ შეეწყვიტა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთი წელი საპროფესოროდ ემზადებოდა, ერთი წლის შემდეგ პროფესორმა ლუკშასმა კვლავ იხმო კაბინეტში და განუცხადა, განზრახვა მაქვს სამი წლით გერმანიაში გაგაგზავნო კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იმედი მაქვს თანახმა იქნებიო. გიორგის ძალიან გაუხარდა, პროფესორი ლუკშასი ყოველთვის კეთილი თვალით უყურებდა და გიორგი უაღრესად მადლიერი იყო, თუმცა მათი ურთიერთობა არასოდეს საქმეს არ გასცილებია, არასოდეს უსაუბრიათ ისეთ რამეზე, რაც მეცნიერების ფარგლებს შორდებოდა, მაგრამ ლუკშასის კეთილგანწყობა გიორგის მიმართ სრულიად აშკარა იყო, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, მაგრამ მეუღლეს რა ვუყოო, მორიდებულად შენიშნა გიორგიმ. თან წაიყვანე, იმედი მაქვს, ნებას დაგრთავენო, უთხრა ლუკშასმა.

ნინო მთელ მოსკოვს იცნობდა და ალბათ მოახერხებდა ქმართან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის მოპოვებას, მაგრამ უკვე ხუთი წელი ცხოვრობდნენ ერთად და ხელი მოწერილი არა ჰქონდათ, ამაზე არცერთს არ უფიქრია. მას შემდეგ, რაც ორჯერ მოეშალა მუცელი, ნინო თითქოს თავის სამყაროში შეიკეტა, ნაკლებად აინტერესებდა გიორგის საქმიანობა და რადგან არც გიორგი იყო თეატრის თავგადაკლული ტრფიალი. მათ შორის თითქოს შეუმჩნეველი ბზარი ჩნდებოდა. იყო წუთები, როდესაც ისინი სრულიად უცხონი ხდებოდნენ ერმანეთისთვის, თუმცა მაინც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. გერმანიაში გამგზავრება რომ შესთავაზეს, გიორგი არც კი იყო დარწმუნებული, რომ ნინო ხალისით წაყვებოდა და ეს ამბავი რომ ამცნო, გამძაფრებული ინტერესით დააკვირდა, რათა გამოეცნო, თუ როგორ იმოქმედებდა ახალი ამბავი ნინოზე, დაშორდებოდნენ ერთმანეთს თუ კვლავ ერთად იქნებოდნენ.

— თეატრს თავი დავანებო? — იკითხა ნინომ.

— თუ არ გინდა, ნუ დაანებებ!

— შენს ჯინაზე დავანებებ! — ნერვიულად გაიცინა ნინომ, — და წამოგყვები გერმანიაში.

— მაშინ სასწრაფოდ ხელი უნდ

მოვაწეროთ! — მშვიდად უთხრა გიორგიმ.

ხელიც მოაწერეს და გამგზავრების ნებართვაც გაახერხეს.

ხუთი წლის ერთად ცხოვრების ზეიმდეგ, ნინომ პატარძლობა შეიფერა. საგანგებოდ თეთრი კაბა შეიკერა. ხელმოწერის ცერემონიაზე მეგობრები მოიწვია, რომლებიც თავიანთი ყვავილებით და აღფრთოვანებული შეძახილებით გულს ურევდნენ გიორგის, ყოველივე ამაში საოცარ სიყალბეს და სიბრიყვეს ხედავდა და ღიზიანდებოდა, მაგრამ ნინო ერთობ კმაყოფილი იყო, ღრმად შეჭრილი როლში, თუმცა გიორგის ფარულ უკმაყოფილებას კარგად ამჩნევდა და ეს, ცოტა არ იყოს, გუნებას უშხამავდა. „შენ არ იცი რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ქალის ცხოვრებაში“, სახეწამოჭარხლებულმა სისინით უსაყვედურა გიორგის, მას კი მართლაც არ ესმოდა, რა ისეთი საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ხუთი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ ხელის მოწერის უბრალო ცერემონიალს გონიერი ადამიანისათვის, როცა ყველა ზღუდე დაძლეული და გადალახული იყო? ერჩივნა ყოველივე ეს სადად და უხმაუროდ ჩატარებულიყო, მაგრამ საღამოსათვის ნინომ სტუმრებიც მოიპატიჟა ვახშამზე.

გიორგიმ ქორწინების საბუთები კომისარიატში მიიტანა, დიდხანს მოუწია სხვადასხვა ოთახებში წოწიალი, ლოდინი, და დოკუმენტების გაფორმება. დაღლილ-დაქანცული ქუჩაში გამოვიდა. გადაწყვიტა ფეხით წასულიყო შინ, სადაც სტუმრები ელოდნენ. მოსახვევში, აფთიაქის წინ უამრავი ხალხი შექუჩებულიყო გაჩერებულ ტრამვაისთან და აუწერელი ყაყანი იდგა ჩახერგილ ქუჩაში.

— რა ამბავია? — იკითხა გიორგიმ.

— ტრამვაიმ ახალგაზრდა კაცი გაიტანა...

— თვითონ შეუვარდა თავი მოიკლა, — ჩაერია ვიღაც, — სადარბაზოდან რომ გამოვარდა. მყისვე შეგამჩნიე, ისეთი აღელვებული ჩანდა, მკვდრის ფერი ედო, გაბდალული ყოფილ, ძვალი და ტყავი, სათვალე გაისწორა, გაიქცა და გაქანებულ ტრამვაის შეუვარდა.

— რას ლაპარაკობთ? — ჟრუანტელმა დაუარა გიორგის.

— ეტყობა, ცხოვრება მობეზრდა, — ამაზრზენად ჩაიცინა პირველმა.

გიორგის გუნება დაუმძიმდა, სხვების მსგავსად არ უცდია მძიმე ბორბლებს ქვეშ მოყოლილი გასისხლიანებული გვამის დანახვა! იქაურობას განერიდა, ქვემოთ, ბულვარისკენ ჩაუხვია. საშინელი სიკვდილი იყო, საშინელი გამწარება სიცოცხლეზე. არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, რადგან მაშინ მისი დღევანდელი ქორწინება, გერმანიაში გამგზავრების ხალისი და სამშობლოში დაბრუნების იმედი სრულ უაზრობად, თავის მოტყუებად გადიქცეოდა. მომავლის იმედი ყოველთვის თავის მოტყუებასთან ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთთანაა დაკავშირებული, რომლის იქეთ, აუცილებლად უკუნი წყვდიადია დამკვიდრებული. ნებისმიერი სიკვდილი ყოველთვის გახსენებს წუთისოფლის ამაოებას და იმედით აღვსილ კაცს ურჩევნია თვალი აარიდოს ჭეშმარიტებას. ეს სიკვდილი ისეთივე უცხო და მიუღებელი იყო მისთვის როგორც ის უზარმაზარი ქვეყანა და უზარმაზარი ქალაქი, სადაც ეს ამბავი მოხდა.

საათების სახელოსნოდან კოხტა ქალი გამოვიდა, ვიღაც კაცი ველოსიპედით მოსეირნობდა მოპირდაპირე ტროტუარზე. ამათ რა თქმა უნდა, არც გაუგიათ ქუჩის ბოლოში დატრიალებული უბედურება. ხის ტოტებზე ჩამომსხდარი ბეღურები საამოდ ჟღურტულებდნენ. გიორგი ხეივანს მიუყვებოდა. გაზაფხულზე განსაკუთრებული სიმწვანით ენატრებოდა სამშობლო, მისი მწვანე მდელოები, ახლადშეფოთლილი ხეები. ერთფეროვან სახლებს შორის გრძლად გაჭიმული მოს-

კოვური ბულვარები რაღაცნაირად უცოცხლებდა სამშობლოს ხატს და ახლაც სევდა შემოეპარა. ნელა მოაბიჯებდა. ერთ კვირაში ბერლინში იქნებოდა ნინოსთან ერთად, საბუთები უკვე მზად იყო, ბილეთები შეკვეთილი. შუაგულ ევროპაში ცხოვრებისა და მუშაობის მომლოდინი სასიამოვნო იმედებს უღვივებდა გულში, თუმცა იქ გამგზავრებით კიდევ უფრო შორდებოდა საოცნებო სამშობლოს, მის წარმოდგენაში თანდათან რომ ედარებოდა დაკარგულ სამოთხეს. ათასი უბედურება უნახავს იქ, მრავალი ჭირ-ვარამი გამოუვლია, ღალატის, უმადურების და სიბეცის ზეიმს ბევრჯერ მოუკლავს მისი გული, მაგრამ სამშობლოს მიწა, სამშობლოს სურნელი ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა და აუტანლად ენატრებოდა. იქნებ, ნინოსაც ეგუებოდა და ეთვისებოდა, რომ მისი ღვიძლი იყო, მისებრი სისხლი უჩქეფდა ძარღვებში? ერთბაშად ისევ გაუნათდა გუნება, ირწმუნა, გერმანიიდან დაბრუნებული, ცოდნით და გამოცდილებით განმტკიცებული საქართველოს მიაშურებდა, ამ დროისათვის მომაგრებული და მოღონიერებული რეჟიმი, ალბათ, სისასტიკეს შეარბილებდა და ვინ იცის, იქნებ, მისცემოდა საშუალება სამშობლოს სამსახურისა, თუმცა ჯერჯერობით ასეთ რამეს პირი არ უჩანდა, სისასტიკეს კი არ იკლებდა, დღითიდღე მატულობდა. მძაფრდებოდა, ავისმომასწავებლად იღრინებოდა და იკბინებოდა, მაგრამ გიორგის წყურვილი ამ წუთში სასურველს შესაძლებლად სახავდა, თუმცა იცოდა, რამდენ ოცნებას ეღება ბოლო, რამდენ ფუჭ იმედს ეცლება საფუძველი, მხოლოდ გულუბრყვილო სურვილზე დაყრდნობილს.

მყუდრო და გრძელმა ხეივანმა ახმაურებულ, ვრცელ მოედანზე გამოიყვანა, სადაც ცირკის შენობის გვერდით, ბაზრის შესასვლელი გადატენილი იყო საზიდრებით, ეკიპაჟებით, ეტლებით, რამოდენიმე ავტომობილიც მოჩანდა მათ შორის. გიორგი შედგა, მრგვალ სვეტზე გაკრული აფიშები შეათვალიერა. ხვალ [illegible] დოღი იმართებოდა, ამ [illegible] ჭიდაობა იყო დანიშნული. უცებ. აფიშაზე ორ ქართულ გვარს მოჰკრა თვალი, მოჭიდავეთა შორის გამოცხადებულნი იყვნენ ქიტიაშვილი და ნიგურიანი. მოსკოვში მცხოვრებ ქართველთაგან თიიქმის არავისთან ჰქონდა ურთიერთობა, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გადაეყრებოდა ვინმეს, მაგრამ ქართული სიტყვის გაგონება, ქართული ამბის გაგება ან ქართული გვარის მოხსენება წარმოუდგენელი სიხარულით ავსებდა. რამდენჯერმე წაიკითხა ეს გვარები, ქიტიაშვილი და ნიგურიანი. რაღაც მივიწყებული გონებას უბურღავდა, მოედანზე მბრუნავი ტრამვაიების გრუხუნმა ზარბაზნების ბათქა-ბუთქი მოაგონა ტაბახმელა—ლოჯრის ფრონტზე, აფეთქებებისგან დამფრთხალმა ცხენმა სანიტარული ფურგონი რომ გაიტაცა, რომელშიც ახალგაზრდა მოწყალების დები ისხდნენ, შიშისაგან ერთმანეთს ჩაკრულნი. ერთი ჯარისკაცი სანგრიდან წამოვარდა, მინდორზე გაიჭრა, სადაც ჭურვების ამონათხარი მიწა შადრევანივით ისვეტებოდა ჰაერში, თავგზააბნეულ ცხენს წინ გადაეღობა. ლაგამში სწვდა. ზედ ჩამოეკიდა და ბოლოს გაჩერა, რითაც აშკარა დაღუპვას გადაარჩინა ფურგონში მსხდომნი. სამშვიდობოზე რომ გამოვიდა, რა გვარი ხარ, ბიჭო? ჰკითხა კაპიტანმა თოიძემ აცახცახებული ცხენის წინ მომავალ მაზარაგაღეღილ დაძაგრულ ჭაბუკს.

— ქიტიაშვილი!..

და ახლა გიორგის ქვათახევის მონასტრის ეზო წარმოუდგა თვალწინ, ქაქუცას რაზმელებით სავსე. კბილებამდე შეიარაღებული დაღლილი კაცები ჩრდილში მიყრილიყვნენ, ირაკლი ჩხენკელს დაკეცილი ნაბადი თავქვეშ ამოედო და ეძინა, თვითონ მიწაზე ნახევრად მიწოლილი, ზურგით ნორჩ მუხას მიყრდნობილი, სანადირო დანით

ჩხირს თლიდა, რათა საცვეთებში ყაითანი გაეყარა, ახლომახლო სოფლებიდან კი ბანაკში ამოდიოდნენ აჯანყებაში მონაწილეობის მსურველნი. ერთი ცამეტიოდე წლის ბიჭიც რომ გამოჩნდა ეზოში, ქაქუცა გაბრაზდა, ბალღებს რათ უშვებთ აქაო. ჩემს ძმას სურსათი ამოვუტანეო, მიუგო ბიჭმა.

— ვინ არის შენი ძმა?

— მოჭიდავე ქიტიაშვილი!

მაშინ მეორედ იხილა გიორგიმ ის ქიტიაშვილი. შავქოჩორა, კუნთებასხმული ჭაბუკი, მიწაზე მყარად მდგარი და სახემომღიმარი, მანგლისს რომ დაესხნენ, ქიტიაშვილი ფეხში დაიჭრა და მერე იმის ამბავი აღარ სმენია. თუ ტყვედ ჩავარდა, ცხადია დახვრეტა არ ასცდებოდა, მაგრამ, იქნებ, გადარჩა და სწორედ ის გამოდის ამ საღამოს საჭიდაოთ მოსკოვის ცირკში?

ამ ცნობისწადილით შეპყრობილმა მოედანი გადაჭრა და ცირკის სალაროს მიაშურა. ოთხკუთხედ სარკმელებთან მიხროვილ ხალხს შეერია და ძლივს იშოვა ბილეთი, ჭიდაობას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. საათს დახედა, ნინოს სტუმრები, ალბათ, უკვე იკრიბებოდნენ. ხალხით გადატენილ, მრგვალგუმბათიან, დახუთულ დარბაზში შევიდა. თავის ადგილზე დაჯდა და ქართველი მოჭიდავეების გამოჩენის მოუთმენელი მოლოდინით შეპყრობილი ნახერხმოყრილ სარბიელს მიაჩერდა. ბრბო ყიჟინით ამხნევებდა ასპარეზზე გამოსულ რუს და უცხოელ მოჭიდავეებს, აუწერელი ხმაური იდგა, მაგრამ გიორგი უხალისოდ ადევნებდა თვალს ამ შერკინებებს. მხოლოდ მაშინ აღიგზნო და დაიძაბა, როცა ქართველების ჯერიც დადგა. პირველად სწორედ ქიტიაშვილი გამოიძახეს სარბიელზე და გიორგიმ უმალ იცნო იგი, თუმცა საკმაოდ შეცვლილიყო, ხანი დატყობოდა, ოდნავ კოჭლობდა კიდეც, შეიძლება, ძველი ნაჭრილობევი აწუხებდა. წარმოუდგენლად გაუხარდა, ეს კაცი ცოცხალი რომ გადარჩენილიყო და იმ ქარტეხილებს და როცა ხელებგაშლილი ქიტიაშვილი მეტოქეს ეძგერა, გიორგი ისე ადელვებულ-ქოს მისი ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა. უცებ ქიტიაშვილმა მოხერხებული ფანდი წამოიწყო და გიორგიმ ხმამაღლა წამოიყვირა. გვერდით მჯდარმა, საკმაოდ შეზარხოშებულმა ვეებერთელა რუსმა მუჯლუგუნი გაჰკრა. რა გიხარია ძაღლისშვილო ამ შავტრაკას უჭერ მაზს? ფეხზე წამომხტარმა გიორგიმ მოკლედ მოიქნია ხელი, მძიმე მუშტი ყბაში ამოჰკრა ავყია მეზობელს და სკამის საზურგეზე მიახეთქა. იცოდა, ეს ხერხი კარგად ჭრიდა ამ ხალხზე. შეშინებული წვრილი თვალები ზიზღით უცქერდნენ, მონა და მტარვალი ერთად იმზირებოდნენ იმ თვალებიდან. იცოდა, ამათი ძალა სიმრავლეშია, თანასწორ ბრძოლაში ყოველთვის ჯაბანნი და მხდალნი არიან. ისევ მოუღერა მუშტი, ადე, აქედან წაეთრიეო და გოლიათი მორჩილად წამოდგა და წაძუნძულდა, ქიტიაშვილს კი ის მოგვერდი არ გამოუვიდა, ახლა თვითონ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მეტოქის მკლავები მარწუხებივით შემოეჭირნენ იმის კისერს და მოგრეხა დაუწყეს. სიმწრის ოფლმა დაასხა გიორგის, თავის თავს გაუბრაზდა, ამ უბრალო ჭიდაობას ამოდენა მნიშვნელობას რომ ანიჭებდა. თითქოს საქართველოს ბედი წყდებოდა ბრძოლის ველზე; აშკარა იყო, ახლა მისთვის, დამარცხებული და დამონებული ქვეყნის შვილისთვის, წყდებოდა კიდეც, თითქოს სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვება პოლიტიკურ ასპარეზობაში დამარცხებას აქარწყლებდა. შეგრძნება თავისიანისა, საერთო ფესვებიდან წარმომდგარი რაობისა, მთელი სიცხადით განათდა ერთბაშად მის არსში, თუმცა ახსოვდა, არ არსებობს თავისიანი თავისთავად, მხოლოდ ჯიშზე დაყრდნობით, ჯიში მაშინ აახლოებს ადამიანებს, როცა ერთია მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი ჯიშის ხალხის დაპირისპირება უფრო მტკივნეული და საშინელი ხდება და

ქართველი ბოლშევიკები და ჩეკისტები ამოტივტივდნენ მის ცნობიერებაში, გადამთიელ მტრებზე უფრო საძულველნი, მაგრამ ფიქრი გაუწყდა, ისევ ჭიდაობამ გაიტაცა, მას და ქიტიაშვილს ახლა ერთი მიზანი ამოძრავებდათ, გამარჯვება, და ეს მოჭიდავისთვის პირადული რამ იყო, გიორგისთვის ქიტიაშვილის გამარჯვებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ უთრთოდა გული ასე, ამიტომ უცახცახებდა სხეული და უცებ ქიტიაშვილმა მეტოქის მარწუხს თავი დააღწია, წელანდელი მოგვერდი კვლავ გაიმეორა და ამჯერად მიწაზე გაშხლართა მოწინააღმდეგე. გამარჯვებული ზეზე წამოიჭრა, ორივე ხელი აღმართა და გიორგიმ უცებ იგრძნო, რომ თვითონაც ფეხზე იდგა, მასაც მაღლა აღემართა ხელები და ყვიროდა. პირველად მოხდა, მოსკოვში ყოფნისას ჩვეულმა თავშეკავებამ რომ უღალატა, სიხარულისაგან გული საგულეში არ ეტეოდა, თითქოს კრწანისის ომი მოეგოს, გასასვლელისკენ გაემართა, შექუჩული ხალხი გაარღვია და კულისებში შეაღწია.

მოჭიდავეებით, მათი ამფსონებით და ცირკის მოსამსახურეებით გაჭედილ ტალანში ქიტიაშვილის ოთახს დაუწყო ძებნა. პაპიროსის ბოლი და შმორის სუნი თავბრუს ახვევდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაგნო ვიწრო, უფანჯრო ოთახს, სადაც ქიტიაშვილი დაბალ ტახტზე იჯდა, შიშველ ბარძაყს იზილავდა და მძიმედ სუნთქავდა. ჭუჭყიან კედელზე აკრული და ჩამოფხრეწილი აფიშის ნახევი, რომელზეც კუნთებდაბერილი, მოკლეტრიკოიანი მოჭიდავე იყო გამოსახული, — ჰაერში ქანაობდა, ოფლის მწარე სუნის სიმძაფრე მყრალად დაგუბებულიყო, იატაკიც ბინძური იყო, მოჭიდავის ტანსაცმელი ტახტზე ეყარა. გიორგის გაუკვირდა, რომ ასეთ პირობებში უხდებოდათ ატლეტებს საასპარეზოდ მზადება. ქიტიაშვილმა უნდოდ ამოხედა უცხოს, მაგრამ როცა გიორგი ქართულად მიესალმა. სახეგაბადრულმა გამარჯვება მიულოცა და [illegible] ცნო, ვითარცა მოსკოვში [illegible] ქართველმა, — ოდნავ გაიღიმა.

— მე ადრეც შემხვედრიხართ, — უთხრა გიორგიმ, — ერთხელ ტაბახმელაში, ოცდაერთი წლის თებერვალში, დამფრთხალი ცხენი რომ შეაყენე და სანიტარული ფურგონი გადაარჩინე, და მეორედ ქვათახევში, ოცდაოთხი წლის აგვისტოში, ქაქუცას რაზმში უმცროსმა ძმამ რომ ამოგაკითხა და საგზალი ამოგიტანა. სწორი ვარ თუ არა?

— სწორი ბრძანდებით — თქვა ქიტიაშვილმა და ღიმილი პირზე შეეყინა, — მაგრამ მე არ მახსოვხართ, თქვენც ჩვენთან იყავით?

იგი წამოდგა, პირსახოცით ოფლს იმშრალებდა ტანზე.

— რა თქმა უნდა! მანგლისს რომ დავეცით, თუ არ ვცდები, ფეხში დაიჭერით.

ქიტიაშვილმა ბარძაყზე დაიხედა და ნაჭრილობევი ხელით დაისრისა. მერე გიორგის მიაჩერდა.

— წელან, თუ შეამჩნიეთ, იყო წუთი, კინაღამ წავაგე ორთაბრძოლა. მაგ ცლიმენტიევმა ლამის კისერი მომაგლიჯა. იცით რატომ მოხდა ეგა? იმიტომ რომ, მეორე რიგში, აქაურ ჩეკისტებს შორის, ერთი ქართველი პოეტის მელოტი თავი დავინახე და გუნება წამიხდა. ეგ პოეტი ლექსებს უძღვნიდა იმ საბარგო მანქანას, რომლითაც ჩვენი ბიჭები დასახვრეტად გაჰყავდათ სოღანლუღში და საბურთალოში...

გიორგი შეცბა. ეს სიტყვები უნდობლობას გამოხატავდა და ამიტომ არ ესიამოვნა.

— მე ოცდაოთხი წლის შემდეგ აღარ ვყოფილვარ საქართველოში, არც მაგ პოეტს ვიცნობ და არც მაგის ლექსებისა გამიგია რამე, — თქვა მან და ისე გამოუვიდა, თითქოს ქიტიაშვილის სიტყვები გადაკრულად მასაც ეხებოდა და ახლა თავი უნდა ემართ-

ლებინა. გუნება წაუხდა, უნდობლობა იმდენად გამჯდარიყო ძვალ-რბილში, რომ უცხო ქვეყანაში შეხვედრილი ქართველნი ერთმანეთს ძალაუნებურად ეჭვის თვალით უცქერდნენ. არც იყო გასაკვირი. დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა, საქართველომ რომ გამოიარა, ვის არ დაუკარგავდა რწმენას? ან რატომ უნდა მინდობოდი მოძმეს. როცა მოძმე აღარ იყო? განა ჩეკას და კომკავშირის რიგებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამოსული ახალგაზრდები არ ავსებდნენ, თანამოძმეთა ჟლეტით რომ აპირებდნენ ცხოვრების ასპარეზზე გალაღებას? გახლეჩილი ქვეყანა, მუდამ შეუთანხმებელი, მუდმივი წინააღმდეგობებით დანაწევრებული და დასუსტებული...

ოთახში ბრგე ვაჟკაცი შემოვიდა, რომელსაც მარჯვენა მაჯა შეხვეული ჰქონდა.

— ესეც ჩვენებური კაცია, ბიძინა ნიგურიანი, — წარუდგინა შემოსული ქიტიაშვილმა, — დღეს მაგასაც უნდა ეჭიდავა, მაგრამ ცოტა ვერ არი რიგზე, ხელი იტკინა.

მიუხედავად ამისა, ნატკენი ხელი ბიძინამ მაგრა მოუჭირა გიორგის გამოწვდილ ხელს. გიორგიმ გაუღიმა, მაგრამ ესეც ფრთხილად და გამომცდელად უყურებდა, საპასუხო გულითადობა არ ეტყობოდა. საკვირველი იყო. მოჭიდავეები სულაც არ გაუხარებია თანამემამულესთან შეხვედრას, მაშინ, როცა თვითონ მეშვიდე ცაზე იყო ქიტიაშვილის გამარჯვების მოწმე. პატარა ბრძოლა თვითონაც გარდახდა ქიტიაშვილის გამო და ესეც აღგზნებდა, მაგრამ უეცრად მიხვდა თავის შეცდომას, ასე ერთბაშად არ უნდა მიეხალა ქიტიაშვილისთვის, რომ ტაბახმელის ომიდან და ქაქუცას რაზმიდან იცნობდა. თვითვე დააფრთხო, იმას კი ალბათ, საბაბი ჰქონდა სიფრთხილისა. შეცდომის გამოსწორება სცადა.

— ბიჭებო, დიდი ხანია ქართველ კაცს არ დავლაპარაკებივარ. მოდი, ამ საღამოს პური ერთად ვჭამოთ!

— არა, გმადლობთ, ამ საღამოს ორა გვცალია. საქმე გვაქვს!

— იქნებ, მაინც მოახერხოთ?

— არა, სხვა დროს იყოს...

დალონებული გამოვიდა კარში. ქუჩაში უკვე სრულიად ბნელოდა. ტრამვაიმ ჭრიალით გადაჭრა მოედანი და მოსახვევში შეუხვია. გიორგის მოაგონდა, რომ შინ ალბათ, უკვე მოთმინებადაკარგული სტუმრები ელოდნენ. ისევ ნინოს სიმღერა, ისევ ტაში და მოწონების შეძახილები, ყელში ამოუვიდა ეს ყალბი აღფრთოვანება, ეს ბოშური რომანსები, აგრერიგად რომ აგიჟებდა რუსებს, განა ურმულს შეედრება მაგათი უთავბოლო კვნესა? ისევ თეატრზე ამაღლებული ლაპარაკი, ისევ იმის მტკიცება, რომ სილამაზე უკვდავია, მაშინ როდესაც სილამაზე. მშვენიერება ადამიანური კატეგორიებია, ხოლო ყველაფერი, რაც ადამიანიდან გამომდინარეობს, რაც ადამიანურია და არა ღვთაებრივი, მათ შორის ხელოვნება და ლიტერატურაც, — წარმავალია. ახლა დაიწყებენ მტკიცებას, რომ ხელოვნება ღვთაებრივის გამოხატულებაა ადამიანში და გიორგის გული შეეკუმშა ყოველივე ეს რომ წინასწარ წარმოიდგინა. ტრამვაის გაჩერებასთან მისულმა უკან მოიხედა, ცირკის განათებული შენობისკენ, სადაც ორი ქართველი ბიჭი დატოვა წეღან და საოცარი სიმარტოვე იგრძნო...

— ვინ იყო ეს კაცი? — ჰკითხა ბიძინამ ქიტიაშვილს, როგორც კი გიორგი ოთახიდან გავიდა.

— არ ვიცი...

— ჩეკისტი არ იყოს?!

— არა მგონია, ქაქუცას რაზმში შეხთან ერთად ვიყავიო...

— აბა, ჩეკისტი ვარო, ხომ არ გეტყვის?

— ეჰ. იქნებ მართლაც ერთად ვიბრძოდით, რა დრო დადგა, კაცს ველარ ენდობი...

— დაგავიწყდა, ბიძია, გამოქცეულები რომ ვართ?

— არ დამვიწყებია. იმიტომაც არ მესიამოვნა იმ ქართველი პოეტის დანახვა.

— ვინ ოხერი პოეტია?

— არი ერთი. ლევან ლაბარაშვილი რომ მოჰკლეს წიფლნარის ტყეში, თავი მოსჭრეს და თბილისის ჩეკაში ჩაიტანეს საბუთად. მე მაშინ თიანეთის ტყეში ვიმალებოდი, ციხის საავადმყოფოდან გამოქცეული. დაჭრილი ვიყავი, მაგრამ ფანჯრიდან გადმოვძვერი. და აი, მაგ პოეტმა ერთერთ კრებაზე განაცხადა, დროა, ქიტიაშვილის თავიც ჩაშოიტანონო...

— მერე?

— მერე ეგ კაცი წეღან მეორე რიგში იჯდა. წადი ეხლა. ადმინისტრატორს ჩვენი ფული გამოართვი და დროზე მოვუსვათ აქედან...

— ჩაიცვი სწრაფად!..

ქიტიაშვილი ჩაცმას შეუდგა, ბიძინა კი ტალანში გამოვიდა. სწრაფად გაიარა გრძელი კორიდორი ადმინისტრატორის ოთახამდე, მაგრამ ოთახი დაკეტილი დაუხვდა. ეს კაცი არასდროს არ ჩერდებოდა თავის კაბინეტში დიდხანს, განსაკუთრებით ფულის გადახდა უჭირდა და მოჭიდავეები ხშირად ედავებოდნენ. ახლა ხვალამდე უნდა გეცადა მისთვის. ბიძინა უკან გამობრუნდა და უცებ დაინახა, რომ ქიტიაშვილის გასახდელში ორი ჩეკისტი შევიდა. ტალანში მყოფნი ოდნავ ღიად დარჩენილ კარს მიაწყდნენ. ბიძინას გული გადაუქანდა. ცნობისმოყვარენი მოღებულ კარში თავის შეყოფას ლამობდნენ. ვიდრე ერთ-ერთი ჩეკისტი კარს მოკეტავდა, ამ ჯგუფის ზურგს უკან მდგარმა ბიძინამ მოასწრო მიტკალივით გაფითრებული ქიტიაშვილის დანახვა. მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, მისი მეგობარი ვილაცამ იცნო და დაასმინა. მაგრამ ვინ? პოეტმა თუ იმ მეორემ? ბრბოს გამოეყო და კედელზე მიყუდებულ ვეებერთელა დეკორაციას ამოეფარა. აქედან დაინახა, როგორ გამოიყვანეს ჩაცმულ-დახურული ქიტიაშვილი თავის ოთახიდან და გაუყვანეს გზას. არც კი უფიქრია გამოჩენა და გამოსარჩლება, ამას აზრი არა ჰქონდა, პირიქით, ბედს მადლობას სწირავდა, ცოტათი რომ შეყოვნდა და ახლა ქიტიაშვილის გვერდით არ იმყოფებოდა. შიშისგან ოფლმა დაასხა. თან შვებას გრძნობდა, დაჭერას რომ გადარჩა, თუმცა გადარჩენამდე ჯერ შორს იყო. ცნობისმოყვარენი ყაყანით დაიშალნენ და ერთ მხარზე პირსახოცგადაკიდებულ მოჭიდავეს ბიძინამ ჰკითხა ხომ არ იცი, ის კაცი რატომ დაიჭირესო?

— ეშმაკმა უწყის, მგონი ყაჩაღი ყოფილა!

ბიძინამ არც აცივა, არც აცხელა და იმ საღამოს პირდაპირ სადგურისკენ გავარდა. სინდისის ქენჯნა არ განუცდია, გაჭირვებაში ჩავარდნილ ამხანაგის მიტოვებას რომ აპირებდა. უბრალოდ, სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. გადაწყვეტილების მიღება უეცრად იცოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მტკიცე ხასიათის კაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ უნარი არ გააჩნდა აწონ-დაწონვისა, საწინააღმდეგო მოსაზრების გათვალისწინებისა და ერთი ხელის მოსმით მომხდარის წინაშე აყენებდა საკუთარ თავს. ზოგჯერ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშიც კი. მაგრამ რა ექნა, ასეთი იყო, სულსწრაფი და მოუთმენელი, აჩქარება ბევრჯერ გახდომია სანანებლად, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობდა, არც იცვლებოდა და. ალბათ, არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რადგან ვის შეუძლია ერთბაშად გადაწყვიტოს, მოინდომოს, საკუთარი სურვილისამებრ თავი დააღწიოს ბედისწერის არტახებს და სულ სხვა კაცად იქცეს?

არც ბიძინას შეეძლო ეს!

სადგურში რომ მივიდა, მხოლოდ მაშინღა მოაგონდა რომ ჯიბეში რაღაც გროშები ედო. ამ ფულით თბილისამდე ვერ ჩააღწევდა. ფული და ბარგი სასტუმროში ჰქონდა დატოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, მაგრამ იქ შევლა არც უფიქრია, დარწმუნებული იყო უეჭველად მახე ექნებოდა დაგებული. გველეშაპის სტომაქივით აფუთფუთებულმა ვაგზალმა ისიც შეყლაპა სხვა ათასის მსგავსად. ხალხით იყო გადატენილი აქაურობა, მოსაცდელ დარბაზში, გრძელ სკამებზე, ფანჯრის რაფებზე, ქვის კიბეებზე, ცემენტის იატაკზე გაშხლართულიყვნენ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი მატარებლების მომლოდინე მგზავრები, დაგუბული ჰაერი ყარდა. დრო და დრო ორთქმავლების შეკივლება ისმოდა, და უამრავი უცხო სახის შემყურე ბიძინას თანდათან სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. ყველას თავისი გასაჭირი ჰქონდა და არავის არ ედარდებოდა სხვისი ჭირი. ვინ უშველიდა ახლა ბიძინას, ვინ გაისტუმრებდა სამშობლოსაკენ?

ის ღამე როგორღაც გაათია. რამდენჯერმე წაიკითხა კედელზე გაკრული, დიდ მსხვილ ჩარჩოში ჩასმული მატარებლების განრიგი და ბილეთების ტარიფი. აშკარა იყო, ფული არ ყოფნიდა. როცა გათენდა, აუარ-ჩაუარა ბილეთების სალაროებს, დაკლაკნილი გრძელი რიგები გველებივით რომ მისეოდნენ უხილავი მოლარის სარკმელს. სრული უნუგეშობა გულს უწურავდა და უცებ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. ლამაზად ჰალსტუკგაკვანძული შლაპიანი ახალგაზრდა კაცი, მომხიბლავ, კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა ქალის ღანხლებით სალაროებისკენ მოდიოდა და თან ბიძინას უყურებდა. ბიძინამ მყისვე იცნო წუხანდელი სტუმარი, ჩეკისტად რომ მიიჩნია და რომლის წასვლის შემდეგ ქიტიაშვილი დააპატიმრეს. შეკრთა და შეშინდა. ვაი, თუ მართლა ჩეკისტი იყო ეს კაცი, მის დასაჭერად მოსული სადგურში? მისი არც სახელი იცოდა, არც გვარი. ხომ არ გავიქცეო, ესეც კი გაიფიქრა, მაგრამ უცნობის ღიმილმა გული გაუმაგრა, თავისდაუნებურად თვითონაც გაუღიმა საწყლად, დაბნეულად და მის გამოწვდილ ხელს თავისი ძლიერი ხელი შეაგება.

— რას შეუწუხებიხართ?

— თქვენ? — ამოილუღლუღა ბიძინამ.

— ორშაბათს გერმანიაში მივემგზავრებით მე და ჩემი ცოლი სამი წლით. აქ ბილეთები გვაქვს დაკვეთილი. თქვენ?

— მე საქართველოში მინდა დაბრუნება, მაგრამ ბილეთის ფული არ მყოფნის, — აჯახა ბიძინამ.

გიორგი შეცბა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— რამდენი გაკლიათ?

— არა მაგიტომ არ მითქვამს, — იუხერხულა ამჯერად ბიძინამ.

— არა მაინც?

— არა, არა!...

— ქიტიაშვილიც მოდის?

— ქიტიაშვილი წუხელის. როგორც კი თქვენ გახვედით ოთახიდან, ჩეკისტებმა წაიყვანეს!..

— რას მელაპარაკებით? — შეწუხდა გიორგი და დაბნეული მზერა მიაპყრო მეუღლეს. ირგვლივ აუწერელი ყაყანი იყო, ზოგჯერ ისმოდა ვიღაც მთვრალის უშვერი გინება, — ნინო, ეს ჩვენებური კაცი მოჰიდავე ნიგურიანია, უნდა დავეხმაროთ როგორმე...

ერთი საათის შემდეგ, ბიძინას თბილისის ბილეთი ჯიბეში ედო და კურსკის სადგურის რესტორანში იჯდა გერმანიაში გასამგზავრებლად გამზადებულ ცოლ-ქმართან ერთად.

უზარმაზარი, მაღალჭერიანი დარბაზი, რომლის უზარმაზარი შუშის კარი წარამარა იღებოდა და ბრახუნით იხურებოდა, სადაც ხალხი წამდაუწუმ შედიოდა და გადიოდა, ხოლო დანაჩანგლისა და ჭურჭლის წკრიალით ახმაურებულ მაგიდებს შორის მკვირცხლად დარბოდნენ თეთრპერანგიანი ბომტანები. — გემრიელი კერძებისა და თამბაქოს კვამლით იყო გაჟღენთილი. ისინი ფარდებჩამოშვებულ ფანჯარასთან ისხდნენ, სადილობდნენ, კონიაკს შეექცეოდნენ. სასმელმა ბიძინას ენა გაუხსნა, წამოწითლდა და ალაპა-

რაკდა. თანდათან ეშხში შედიოდა, ბოლშევიკებსაც გაჰკრა კბილი, ნახევარი საქართველო ამოჟლიტესო, მოჰყვა, როგორ გამოიქცა ქიტიაშვილთან ერთად კოლონიიდან და ეტყობოდა, თავი მოსწონდა იმ ფათერაკებით, რაც მათ გარდახდათ.

— ახლა ამხანაგის ამბის გაუგებლად რომ მირბიხართ საქართველოში?— ცოტა არ იყოს გესლიანად შენიშნა ნინომ.

— აქ რომ დავრჩე, მეც ქიტიაშვილს მიმაყოლებენ, ჩეკაში მოხვედრილ კაცს გარედან რას უშველი? — იმართლა ბიძინამ თავი და დაწვრილებით მოჰყვა ჭიათურის მარგანეცის სალაროს გაძარცვის ამბებს. შიში და დაბნეულობა, აშკარად რომ აღბეჭდოდა სახეზე, ვიდრე გიორგი მატარებლის ბილეთს შეუძენდა და ჯიბეში ჩაუდებდა, თანდათან გაუქრა და ახლა მედიდური სიამაყით შესცქეროდა თავის კეთილისმყოფელებს, თითქოს მათგან კი არ იყო ნაწყალობევი, არამედ თვითონ გაიღო წყალობა, თავი რომ გაუყადრა და იკადრა ამათ სუფრასთან დაჯდომა. ტრაბახით გართულმა იმდენ ხანს იქნია ხელები. სანამ ჭიქა არ გადააყირავა და სასმელის შხეფებით ნინოს ლამაზი კაბა არ დალაქა. ეს მარცხი აინუნშიც არ ჩაუგდია, საქართველოში რომ ჩამობრძანდებით ახალთახალ კაბას გიფეშქაშებთ, მაგაზე ბევრად უკეთესს, ერთი ისეთი ებრაელი მკერავი მყავს ნაცნობი, რუსეთის იმპერიაში ბადალი არა ჰყავდაო, ანუგეშა ვითომ, მაგრამ გაღიზიანებულმა ნინომ პასუხი არ აღირსა. გიორგი ჩუმად უგდებდა ყურს და კიდევ ერთხელ აოცებდა ქართული ხასიათის საოცარი ცვალებადობა, ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ იოლი მიდრეკა. წეღანდელი გაჭირვებანი ბიძინას აღარ ახსოვდა, მთლიანად ბუნდოვან და გაურკვეველ მომავალს მინდობოდა.

როცა მატარებელში ჩასხდომის დრომ მოაწია, გიორგიმ დანახარჯი გადაიხადა და ბაქანზე გამოვიდნენ. ბიძინა თითქმის ბანცალებდა. გიორგის არაფერი ეტყობოდა, ნინო კი უკმაყოფილების არ იმჩნევდა. ვაგონამდე მიაცილეს და დაემშვიდობნენ. ბედნიერი მგზავრობა უსურვეს. მე ვიცი თქვენი პატივისცემაო, იხტიბარი არ გაიტეხა ბიძინამაც, ოღონდ დროზე დაბრუნდით საქართველოშიო. ვიღაც გამხდარი, კაფანდარა, სრულიად ჭაღარა კაცი, იღლიაში ტომარა ამოდებული, ვაგონის კიბეზე ადიოდა და გიორგის ძლიერ ეცნო ის. წამით იმანაც თავი მოაბრუნა, გიორგის თვალი შეავლო და ვაგონში შევიდა. გიორგიმ ველარ გაიხსენა ვის მიამგვანა უცნობი. მერე ვაგონები შეჯანჯღარდნენ, ნელა დაიძრნენ, ღია კარში, კონდუქტორის გვერდით მდგარი ბიძინა ხელს იქნევდა და დამშვიდობების ნიშნად ხელაღმართულმა გიორგიმაც სევდიანი მზერა გააყოლა სამშობლოსკენ მიმავალ მატარებელს. ლიანდაგი დაცარიელდა და გიორგიმ სიამე იგრძნო. რომ საშუალება მიეცა გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამემამულესათვის ხელი გაემართა, მაგრამ მყისვე ქიტიაშვილი მოაგონდა და შეწუხდა. რა ეღონა მის საშველად, ან თუნდაც მისი ამბის გასაგებად, ან თუნდაც მისი ნათესავებისათვის ხმის მისაწვდენად? კვლავ მოიწყინა, მეუღლეს მკლავი გაუყარა და ნელა გაბრუნდნენ უკან.

— არ მომეწონა ეგ კაცი, — უთხრა ნინომ.

— ვინა?

— ვინა და ეგ მოჭიდავე.

— რატომ?

— ჩეკისტი არ იყოს ან ვინმე პროვოკატორი, მაეჭვებს მაგის საქციელი, რამდენს ლაპარაკობდა, თან ზედმეტად გულახდილობდა, რა საჭირო იყო ამდენი ფათერაკების მოყოლა პირველად შეხვედრილ ადამიანებთან?

— შენ კარგად არ იცნობ ქართველებს, — ჩაიცინა გიორგიმ, — ნუ ვეშინია, ეგ კაცი ჩვეულებრივი ქართველია, როცა დალია, ცა ქუდად არ მოეჩვენა და დედამიწა ქალამნად.

ემზარ კვიტაიშვილი

წიგნიდან: „იკაროსის დაღუპვა“

გოდება

მამამ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მითხრა: შენ ახლა უკვე ფეხზე დამდგარი კაცი ხარ, მზად იყავი, შეურიგდი ამ ამბავს, — რაც არ უნდა მომიარო და მიპატრონო, ერთ წელიწადში აღარ ვიქნებიო... ზუსტად ასე მოხდა, თვეც კი დაემთხვა.

ორმოცი დღე მუხლებით რომ ვიხოხო წვეტიან ქვებზე —
რეტდასხმულმა, დამწვარმა დახოკილმა... კედელს მივაგლისო ტვინი,
შენ ერთ, გაუმხელელ ტკივილსაც ვერ მოვაგროვებ.
რას მეტყვის, რას ამოიტანს გამლხვალი ტუნდრა —
სიმწვანეზე ნამარხულევი ყინულის გახეხილი ჯავშანი.
მარხილში რუხი, მოწყენილი ირმებია გაბმული, მიგაქანებენ...
გათოშილს, თვალდახუჭულს, ქარბუქში რამდენჯერ დაგიყვინთავს
(დაბალჭერიან, გადატიხრულ ოთახში სიცხიანი ბავშვი გელოდება).

გაგამწარეთ, გაჩენის დღე გაწყევლინეთ, რამდენჯერ წამოგცდა, —
გაფითრებულს, თავდახრილს, — აქ ჩამოსვლას და ყოველდღე სიკვდილს
იქ ყოფნა და ძაღლივით ჩაკვლა მერჩიაო. გამშვიდებდი.
ოცდაათი წელი ცერისსიმსხო მარჭვლებს ვაძრობდი
შენი ნაგვემი, დაფლეთილი სხეულიდან. პირღია ტაშტზე
მოიღებდა რაკუნს, შენსავე თბილ სისხლში განბანილი...
ვერ გამოვლიე, ვერ ამოვათავე... ვინ იცის —
კიდევ რამდენი ჩაგრჩა გადამშპარ მხარმკლავზე, ბეჭებზე...

არ დავიხევდი — მოპირული ხანჯლით დავეხიე მისანს,
გავეფინე, ჩემს ორთქლადენილ გულ-ღვიძლზე ემარჩიელა.
ემცნო, იცოცხლებდი თუ არა. არ დაგიჯერე,
არ ვირწმუნე შავი დღე, წინასწარ დანთქმული.
ძნელია უკან მიბრუნება. მიწაში ვერ ჩასტენი ამოსულ,
გადაფოთლილ მრავალძარღვას, მთელ ეზოს რომ მოსდებია.
სანაღვლო არაფერიაო ამბობდი. ძნელია შეჩვეულის დათმობა,
გადატანილი ბევრად იოლია გადასატანზე; რამდენჯერ გამოვცადე.
რამდენჯერ გითქვამს — სამოცდაათს რომ გადაშორდება კაცი,
მერე ყოველი დღე ნაჩუქარია, ამიტომ სანაღვლო არაფერიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის ფაცერში იცრებოდი, იწურებოდა შენი დაწრეტილი ტანი;
ნაფლეთ-ნაფლეთ ილექებოდი აქანავებული მდინარის ფსკერზე.
რა ფომფლო, იოლი გასაწყვეტი ყოფილა სიცოცხლის თოკი
წელში გაზნექილი წნული კიბე, რომელზედაც ამზიდე, შემაყენე.
იქედან დაგყურებ ახლა — ლურჯად მოღუშულს, სახენაცვალს...
გატოკებას ვერ ვბედავ საქციელწამხდარი, ვაითუ ჩაიქცეს
ბაგირის ძონძი, ძველ ანძაზე ნახეხი, დაქანცული.
მითხარ. რა ვიღონო, ვინ გადავიყვანო იქ, გაღმა ნაპირზე.
ყველაზე მეტი და ყველაზე სასიკვდილო ჭრილობები ჩემგან გერგო.
ვიცი, შემინდე, მაპატიე, მაგრამ მე თითონ რა მომასვენებს,
სად წაუვალ, სად დავემალები მოღერებულ ღვთის რისხვას...
როგორ გავექცე ჩემსავე მოშიშვლებულ, ცივ ზურგს...

ხეო სიცოცხლისავ, ირმებმა იგრძნეს მოჭრა და წაქცევა შენი;
შემართეს ვეება რქები, კაუჭა ხმლებად გატოტილი...
ამოამტვრიეს დაფიფქული, გაქვავებული ყინულის სალტე,
რქებითვე დაგდეს ხრიალა მარხილზე, დაგძრეს, გაგაქანეს...
თვალს რო მოგაფაროს, დაღლილს მოგეფეროს, ვერცხლად დანაყილი,
გორგალა ნამქერის მიგხვეტავს, მიგყვება ბრჭყვიალა მტვერი,
მალე მიადგები უდაბნოს შესადრელ. გასუდრულ ტუნდრას.
ჩემი ყურითა მაქვს მოსმენილი, მახსოვს — იქ ყოფნა გერჩია.
რაც ხანი გადის, ფუტუროვდება გული, ფართოვდება სიცარიელე,
ძნელდება საპყრობილედან თავის დახსნა... ეგებ არც ღირდეს.
ჩემი ყველაზე დიდი, უსაშველო ტკივილი შენ იყავი, მამა...
გცოდნოდა — რა კბილებს მიმეცი საფლეთად, საძიძგნად — არ გამიმეტებდი.

ალარავინ გამაფრთხილებს...

მომქაჩავდი გზაში — გვერდი
არ გაგკრას მანქანამო;
ახლა ვზივარ შენს საფლავთან,
ცრემლი უნდა განამო.

ჯერ არ დაღვენთილა შხამი,
ცოდვილ ფსკერზე არ იდოს,
ადუღებულ ამ ჯოჯოხეთს
ახლა ვინ ამარიდოს.

ყველას, ყველას, ყველას
უთხარ — ამიერიდან,
სისხლში მოთხვრილს, გახევებულს,
გულს გახეულს ერიდონ.

ვერ დაგლეწე — შავად, ბნელად
აშენდილო გისოსო,
ალარავინ გამაფრთხილებს —
რამემ არ გამსრისოსო.

ფსკერზე დაველ, დავალ ასე
თავპირჩამოხოკილი,
შევიშალე, სასწაულის
იმედზე ვარ. მოგელი.

ვიღას ვკითხო ისეც ვიცი —
გული რამ შემიჭირხლა...
ქვესკნელშიაც მოგიკითხავ,
ისევ ჩემი ბიჭი ხარ.

როგორ დავალ, გეგონება
გამომთალეს ქვიდანო;
ვისაც უნდა,
რასაც უნდა —
დამკრას და გამიტანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმადნაფიცები

ვიცი, რამაც დამცოფა,
დამცა და მომადუნა —
ერთი კილომეტრი გყოფთ,
ირაკლი და დათუნა.

რამ დაგსეტყვათ, დრო იყო,
ვერ გთიშავდათ ათასი.
რა კამათლებს ისვრი, ბედო,
ამნაირი რა დასვი.

ეს ქვეყანა, გაშოლტილი
ქარწვიმით და მზექარით,
როგორ ერთად მიატოვეთ,
პირი როგორ შეკარით.

ღმერთს ექნა და თქვენ შორის
ერთი სიმი გამება.
მზარავს თქვენი ხეივნის
ოხვრა, ჩამოლამება.

დალონებულს, ულონოს
მწარედ ჩამელიშება...
ჩემს უბედურ ხსოვნაში
სულ სიკვდილმა იმეფა.

მე ვის ვუთხრა: მშვიდობით,
გულის მოკვლავ, წყენანო,
ბზახსნილს, ვინ გამიხსენებს,
ვის უნდა დავენანო.

თქვენს თვალთაგან, ბიჭებო,
მოწანწკარებს წკვარამი...
ათასი წლის სამყოფი
დამიტოვეთ ვარსმი.

სად გეძებოთ,
სახე თქვენი
ორთქლის ტბაში დანთქმულა...
ათი წუთის სავალი გყოფთ,
ირაკლი და დათუნა.

სასაფლაოს სახელოსნოში

(მოულოდნელი შეხვედრა)

საფლავი ყველას გვერგება თითო,
ვიმორცხვოთ, გინდა ვიყოთ ძალაზე...
სახელოსნოში შავი ქვა იდო,
მსხვილად ეწერა: კარლო კალაძე.

ჯერ საყვავილე არ იდგა თასი
და არც კონები ეწყო იათა...
მოქცეულიყო პრიალა ქვაში,
ვისზედაც ფიქრი ამეკვიატა.

მე გამახსენდა ღაჟღაჟა კაცი
და ძრაერთი ხუმრობა მისი,
ეტრფოდა სუფრას — სიცოცხლის ნაწილს,
იცოდა ყადრი ჭამის და სმისა.

ინავლებოდა ზაფხული ჭრელი,
დაკიდებული ჭრიჭინას ხემზე,
მე მომელანდა გამშრალი ყელი,
არ ჩასვლიაო, იტყოდი, ხემსი.

რას შევასმენდი. ვინც ასე წახდა —
ფიცარზე შედგმულს,
გათლილს, გაშოტილს,
შავ ლოდად ქცეულ ბეჭების თახთახს...
იმ ბუღს, იმ ტალახს უხმოდ გავშორდი.

წერო

ტკბილი სექტემბრის დამდეგს,
ყმაწვილი ვიყავ, მე რომ
ყელგაშვერილმა, შრიალამ,
გადამიარა წერომ.

სიყრმის იკვროდა წრე და
ლაჟვარდი ოქროს ცრიდა,
არ ვიცი, რა დამყივლა,
რა ჩამომძახა ციდან.

ჰაერიც სუფთა იყო,
ხალხიც სხვა იყო მაშინ,
გადამიარა წერომ
ჩემს ღარიბ ბიჭობაში.

რას ერიდეო, რა თქვა,
რა ჭირზე გამაფრთხილა,
რამ გამახსენა, მითხარ,
ის დაძირული დილა.

ღმერთო მაღალო, გვედრებ,
მოწმეა ცა და მყარი,
ნუ შეახვედრებ ნურვის,
რასაც მე გადამყარე.

ვაზი დავწურე მწარე.
ნაყოფიც მწირი ვკრიფეთ
რაც შემრჩა — ერთადერთი
ის ჩემი სიღარიბე.

გაწვალებული, თოკზე,
ორმოცი წელი გაწვა
მას მერე, იწვის სული,
სულ ეს ვიყავი, რაც ვარ.

საცაა დაიწურები,
სიცოცხლევ ალმაცერო,
გაშლილი, ცაში მყივარი,
არ გადამიფრენს წერო.

ინფექციური საავადმყოფო

(ბავშვთა განყოფილება)

არ დაწრიტო იმედი,
ყოვლის შემოქმედო,
ისეთ რამეს ნუ მიზამ,
უფალს ვერ შეგხედო.

ყრმა იხსენი, გიორგი,
თეთრად რომ იღიმის,
მალე დამანახვებდე
მე სიხარულს იმის.

დიდრონ, თაფლის თვალებში,
მჯერა, ნაღველს წაშლი;

ჩემი ბიჭიც აქვეა,
პირველ პალატაში.

შხამიანი ისარი
გულზე რად მესობა...
ღმერთო, ყველას ბედნიერი
გაუთენე შობა.

არ ჩამესმას თქვენი ხმა,
გოდებავ და ზრუნო...
ამ კიბიდან დამწვარი
არვინ გააბრუნო.

25 დეკემბერი. დილის 8 საათი

(1989 წ.)

ჯერ მზე არსად ჩახჩახებს,
ხმა წამერთვა, ჩახჩა...
შაშვო, მე ვენაცვალე
ამ დილით შენს ჭახჭახს.

ნისლში, ტოტზე მჯდომარემ,
იგრძენ დაზამთრება,
ყინვას კორტნის ნისკარტი,
სუსხში სული თვრება.

მოზიარე მსურს ვიყო
სიხარულის შენის...
ღმერთო, კიდევ მასმინე
ეს ხმა გადარჩენის.

მაჭერს ყინვა, ლოლუებს
დაუგრძელდათ ბროლი.
მოჩანს ფანჯრის ჭირხლიდან
ჩემი მაჭირხოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარე და კალიები

ისე შემოუვლია
მთვარეს ვერცხლის ფუალი,
არ იქნება არ ესმოდეს
კალიების კრუალი.

მთვარე თეთრი თარია,
მე ვიქნები მეთარე,
მკლავს ღრიტინა ბგერები,
წრეზე გადამკვეთარი.

თითებს, უშნოს, დავუშენ.
დამკვრელი ვარ ამ თარის,
ვიდრე ეს ხმა ჩაკვდება,
ვიდრე მოვა ზამთარი.

კივის სული, სატკივარს
ვერაფერი უშველა,
ღამის ბურში აშლილი,
ხმაა თუ ბურბუშელა.

ძილი ჩამომიძენძა,
ამშალა და ამრია...
შავი ღამის მომრევი,
მდედრს რო უხმობს, მამრია.

კედელს, ქვისას, ვეხლები,
ვიშფოთე და ვიალე...
ვერ დავაგდე ხელობა
ალმა-ალმა წრიალი.

ვერ ველევით შუამს, ბადაგს,
ყრუდ, ნელ-ნელა ვილევით...
გარბის გარბილებული —
კვნესა დნება ცვილივით.

ასე წვეთწვეთ აგროვეს
ქარვა ყურძნის მარცვლებმა;
ასე ზაფხულს შემოდგომა
ებმის და ენაცვლება.

აწყობილო ერთ სიმზე,
მწერო ასჯერ ათასო,
იტყვი — გაუთავებელს
ვისმენ სერენადასო.

შენგან ამაღლებული,
ვერაფერმა დამღალა;
ღელის მომდის ჩქრიალი,
რა გადიხდის ამ ღალას...

მთვარეს გაკრიალებული
აკრავს შუქის ფუალი; —
გულს უღრუტნის, უხერხავს,
კალიების კრუალი.

მიყვარს...

შემოდგომის, მაძღარის, მიყვარს მე დროები,
სავსე შვინდით, მოცხარით, მძიმე ვედროები...

გიშრის თვლებად დაცვენილი, ვერსაღალატები,
თავმობმული მაყვლით, მოცვით, თეთრი კალათები.

სხვას ყველაფერს ჩაუარე. თავი მიანებე,
ჩახჩახებენ დახლები, ოქროსმსხლიანები.

ლალნი, თავჩაქინდრულნი, სად გამქრალან ლეღვნი,
ფეიხოას, ნახეხის, დაჩუტულ ქერქს ლოღნი,

ქება უთხარ ნაყოფს ყოველს, ვის არგია კიცხვა,
შემოდგომა, ხომ გახსოვს, მოგყვა, შემოგიძღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგისტუმრებს თვითონვე, რა დროს აუგია,
საწუთროდან, ხორციელს, ვის რა წაუღია.

გაგეძლება, დღე ღამეში ისეც გაგეცვლება.
ეს სიზმარი, სასწაული, მალე გაგეცლება.

შემოდგომის სუნთქვა

მწუხარება შეეპარა —
ცას, ალვების შრიალს,
ვერ შეავლო მეტად თვალი —
ხარისძირას, იელს...

მძიმე, თავპირმორღვეული,
დულს ღრუბლების ტყვია;
დარდს რომ გისევს, შემოდგომის
პირველივე დღეა.

რეკს თუნუქი და წვეთების
გესმის წკაპა-წკუპი...
ჩიტმა ბუდე, ბუდემ სითბო,
ორმომ იცის გუბე.

უშნო შიში, მაშვრალო,
დროა მოიშორო...
ზღარბმა დრუნჩი შემართა,
შენც მოძებნე სორო.

მზე ცეცხლია...

იხარჯები, ვარვარებ,
გულს, მდუღარეს. ვერ ცლი,
მზეო, გადმომაყარე
შენი ოქროს ქერცლი.

ცაა მოსუფთავებული,
მოსარკული ვარცლი...
ვის უშველა სიკეთემ,
ვის წაადგა ღვარძლი.

მზე ცეცხლია ,არ დაეძებს
შენს „დღესა“ და „ხვალეს“;

გეგონება, კვერცხის გული
ტაფას დაახალეს.

არ ამწუხრებს გაჩენილთა
ბედი, თვალთა კლება...
თითონ ბოლავს, არად უღირს
შენი აორთქლება.

თვალო მთელ სამყაროსი,
დამაშვრალო, შორო,
სუსტი თვალი მოკვდავის,
რაგორ გაგისწორო.

ზამთრის პირი

სად დამჭერი, კარგად ვიცი,
რანაირი ჭირიც ხარ,
მე დავბნელდი, თვალები
სისხლმა ამომირეცხა.

ბილიკს. სოფელს, მიყევი და
ეს სიკეთე მიყავი,
დეკემბერო, სილარიბე
შენი, მეც გამიყავი.

ვერხვო, ტანშერხეულო,
გხედავ ფოთლებგაცვენილს,

გაძრცულიც ისეთი ხარ,
შენს ტოტებზე გავწვები.

ცა მოშიშვლდა, გადაიხსნა,
დხუარეს ქარებმა;
თავსაყრელად ცვივა ამ დროს
ცრემლი და მწუხარება.

საოცრება. დილის ცვარში
ფიქრის გაცრა, წრიალი.
გეპარება სანაპირო —
ცივი, უკაცრიელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ კომახიძე

მოთხრობები

დეკემბერი

ჯერ უმცროსმა გოგონამ, ცისფერ-ზოლიან ღამის პერანგში გაოფლილმა ბავშვმა გაიღვიძა, მამას მხარზე გადააცოცდა. ცოლთან ფეხშექცევით რომ იწვა, საწოლიდან ჩამოფოფხდა და სველი საცვალი გაიხადა. მერე დედასთან მივიდა, აფოფხდა და ლოგინში ჩაუწვა. ქალი ბავშვისკენ გატმობრუნდა, ქმარს მიაწვა და უთხრა, კედლისკენ ჩაიწიეო. კაცი არ განძრეულა. ქალმა ახლა ქუსლი მიარტყა, ჩაიწიე, თორემ ბავშვი გადავარდებაო.

„სველია იქით", თქვა კაცმა. ქალი წამოჯდა და ფანჯარას გახედა. თენდებოდა. მერე საათს შეხედა, ქმარს უფრო მაგრად მიარტყა: „ადექი, დაგაგვიანდა." კაცმა თვალები მოიფშვნიტა, ოთახი შეათვალიერა, მაგრამ ისევ ჩაწვა და ჩასათბუნებლად საბანი მოქაჩა.

„ადექი-მეთქი, არ გესმის", გაუმეორა ცოლმა. კაცი ადგა. ფეხი სველ საცვალს დაადგა და შეიგინა. სკამზე დაყრილი ტანსაცმელიდან გრძელტოტებიანი საცვალი გამოარჩია ჩაიცვა და ბარძაყები გაითბო. მერე წინდები გამოაძრო, მუჭით მოფშვნა, ამოიცვა და საცვლის ტოტები წინდებში ჩაიკეცა. სკამი გვერდით გადადგა და სოროს გახედა. სოროსთან ორცხობილას ნაფხვენი ეყარა. კაცი ყოველ საღამოს სოროსთან ორცხობილას აწყობდა, ვირთაგვები სასუსნაოს სოროსთანვე რომ პოულობდნენ, კარადასა და ჭურჭელში აღარ დაძვრებოდნენ ხოლმე,

„ჩვენი ვირთხები კარგად არიან", უთხრა კაცმა ცოლს, რომელიც ბავშვს საბანს უსწორებდა, ბავშვი კი ჯიუტობდა და ფეხებს იქნევდა. ქალს არაფერი უპასუხია, სოროსკენ გაიხედა. დილის შუქზე კარგად ჩანდა, რომ სოროსთან ორცხობილა აღარ ეწყო.

— მოხვეტე, თორემ ბავშვები ალოკავენ, — თქვა კაცმა.

— ვაი, დედაჩემო. — ამოიოხრა ქალმა.

ვიწროსა და მოგრძო ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა დატანებული. თითო საწოლი იდგა, ბავშვებისთვისა და ცოლ-ქმრისთვის. მაგიდაზე წყლის გრაფინი და ჯამები ეწყო. უზარმაზარ გარდერობს, რომელიც მთელ განივ კედელს იკავებდა, ერთი კარი აკლდა და შიგ თაროებზე ჩაწყობილი ჭურჭელი ჩანდა. ფანჯრის გვერდით მაცივარი, მაცივარზე კი ტელევიზორი იდგა. ოთხი, ხუთი წლის ბიჭს მხრებიდან საბანი გადაეძრო და ნიკაპი დადორბლოდა. როცა კაცმა სინათლე აანთო, ტუჩები გააწკლაპუნა, კედლისკენ გადაბრუნდა, ცოლი კი წამოჯდა და ქმარს ჰკითხა:

— პირს დაიბან?

— ხო, — უპასუხა კაცმა.

დერეფნის ორივე მხარეს ოთხი მოსახლე ცხოვრობდა. ბოლოში, საერთო პირსაბანში ქალებს თავთავიანთი ადგილები ჰქონდათ. აქ ვედროებსა და ტაშტებს ინახავდნენ; ქალმა ვედრო წყლით გაავსო და ქურაზე დადგა.

— პირს გარეთ ვერ დაიბან, — უთხრა ქალმა ქმარს. კაცი გარდერობთან იდგა. სარკეში იყურებოდა და მაკრატლით ულვაშებს ისწორებდა.

— რა გაქვს საჭმელი, — ჰკითხა ქმარმა.

— რა და, არაყი და კარაქიანი პური, — უთხრა ცოლმა და საწოლზე ჩამოჯდა ბავშვისთვის ტანსაცმელი რომ ჩაეცმია. ბავშვს გაუხარდა და ატიკტიკდა.

— ბავშვებს რა ვაჭამო, — თქვა ქალმა.

— უყიდე რამე და აჭამე.

— სულ ბავშვებით დავდივარ მაღაზიაში, დავიღალე, — თქვა ქალმა.

— აბა, მე როგორ წავიდე.

— რომ გინდოდეს, სამუშაოდან გამოიცლი.

— შენ რაღა უნდა აკეთო! — თქვა კაცმა და მაკრატელი გარდერობზე შემოდო.

— სულ არ გეცოდები, — თქვა ქალმა.

— მეცოდები.

— შენ სულ ეგრე მატყუებ.

— ეგრე იმიტომ ფიქრობ, რომ რასაც ვფიქრობ იმას გეუბნები.

— მე ხომ მაწვალებ და შენ რა გენაღვლება, მთელი დღე სახლში არა ხარ.

კაცმა პიჯაკი ჩაიცვა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ამ დროს მატარებელმა რახრახით ჩაიარა, კაცი ფანჯარასთან მივიდა და მატარებელს გახედა.

— სახლში ნუ ეწევი-მეთქი. რამდენჯერ უნდა გითხრა. საფეთქელი მტკივა მაგისგან, — თქვა ქალმა.

— ცოტას მოვწევ და გადავაგდებ.

— სიგარეტს რომ თავი დაანებე, ხომ კარგად გახდი, უთხრა ქმარს ცოლმა.

— ხო, კარგად გავხდი.

— მერე რატომღა ეწევი?

— იმიტომ, რომ კარგად გავხდი.

— სულ ეგრე მელაპარაკები. შენზე ყველა იმას ამბობს...

— ყველას ლაპარაკს რომ უსმენ, იმიტომაც ხარ ეჭვიანი.

— ეჭვიანს შენ მეძახი, მე ძალიან კარგად ვფიქრობ, — თქვა ქალმა, ბავშვი დასვა და გარდერობიდან არაყი და პური გამოიღო.

— კარაქი წაუსვი, — უთხრა კაცმა.

ბავშვი კაცთან მივიდა და თავი ფეხებზე მიადო.

— მამა, დედიკოს რატომ არწევდი, — ჰკითხა ბავშვმა.

— წადი. სკამზე დაჯექი, — მოარტყა კაცმა ბავშვს, ჭიქა თითით გამოწმინდა და არაყი დაისხა.

— ბევრი არ დალიო, დათვრები, — უთხრა ცოლმა.

— მერე რა!

— რა და, მატარებელი გაგჭყლიტავს!

— გამჭყლიტოს, შენ რატომ [illegible] შინია!

— მე ბავშვებისთვის მეშინია.

— შენ გაგიმარჯოს, — უთხრა კაცმა ბავშვს.

— დათუას გაუმარჯოს.

— რატომ, თქვა მამა.

— მე მაინც ფეხი მტკივა.

— მალე შეჭამე, წყალი გათბა, — უთხრა ცოლმა, რომელმაც ტაშტი შემოიტანა, გარდერობიდან ტოლჩა გამოიღო და ისევ გარეთ გაბრუნდა. კაცმა კიდევ დაისხა და დალია.

— პიჯაკი მაინც გაიხადე. დაგისველდება, — უთხრა კაცს ცოლმა, ოთახში რომ შემოვიდა და ვედრით წყალი შემოიტანა.

— ვერ გაიგე, მცივა-მეთქი, — თქვა კაცმა. — საპონი სად არის?

— მაცივარზე დევს. თითქოს შენ თვითონ ვერ აიღებდე, ყველაფერზე მე უნდა მაწვალო, — უთხრა ცოლმა და საპონი მიაწოდა.

— იმიტომ წვალობ, რომ არ გიყვარვარ.

— სულ მაწვალებ და როგორ უნდა მიყვარდე.

— ესე დავდგები და ჯერ დამასხი, რომ გავთბე.

ქალმა ტოლჩით წყალი ამოიღო და დაუსხა.

— რას შვები, ცხელია, ცოტა გაანელე, — თქვა კაცმა. ქალმა ცივი წყალი შემოიტანა და ვედროში ჩაასხა.

— ეხლა კარგია, ბევრი დაასხი... ეს რა საპონია, არ ქაფდება.

— საპნისგან რა გინდა, ჭუჭყიანი თავი გაქვს.

— ხო, დამისხი, კარგია, ეხლა კისერზე დამისხი.

— პიჯაკი დაგისველდება.

— გადამიწიე და ისე დამისხი. კარგია ხო, ბევრი დამისხი, ბევრი-მეთქი.

კაცმა თავი გაიმშრალა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, არაყი დაისხა და დალია. „მივდივარ“, უთხრა ცოლს, რომელიც იატაკს ამშრალებდა.

კაცი ქუჩაში გავიდა, საყელო შემოიკიბუნა, მხრებში მოიხარა და ხელები ჯიბეში ჩაიყო. ქარი ზუზუნებდა, ხეებზე თოვლის ნატამალი არ შეერჩინა. ნაგვის ბუნკერთან ძაღლები თოვლს ქექავდნენ. თავის სახლს ჩაუარა, მერე მარცხნივ ჩაუხვია, კორპუსებისკენ გადავიდა და სიგარეტს მოუკიდა. ქარი აქეთ შედარებით ნაკლებად ქროდა. კორპუსებს რომ გასცდა. ქარმა გვერდიდან დაუბერა. რკინიგზამდე მივიდა და ლიანდაგს გაუყვა, ესეც მოკლე გზა იყო. ხრეშით შემაღლებულ რკინიგზაზე თოვლში ალაგ-ალაგ შპალები ჩანდა. ეს ადგილი საერთოდ ჭაობიანია. ზაფხულობით ბაყაყები ყიყინებენ და კოღოები მრავლდებიან. გასულ მაისში ჭაობის დასაშრობად არხების გაჭრა დაიწყეს, მაგრამ მალე მუშებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და წავიდნენ. კაცი მასივს დაშორდა, სამხერხაოს გასცდა, სადაც ხერხი ზუზუნებდა, მუშები ყვიროდნენ და ვაგონებს ტვირთავდნენ. სიცივემ პალტოში გაატანა და კაცმა ნაბიჯი აჩქარა. ლიანდაგის შუაში მიაბიჯებდა, თოვლით დაფარული საბჯენებისთვის ფეხი რომ არ წამოეკრა. კაცს დეპოდან მომავალმა ლოკომოტივმა დაუსიგნალა. მემანქანე ნაცნობი აღმოჩნდა, სვლა შეანელა. კაცი კიბეზე შედგა, სადგურთან ჩამოხტა და მემანქანეს ხელი გაუქნია. ელმავალმა სიჩქარის მოუმატა, შუქნიშანზე მწვანე ენთო. სადგურის შესასვლელში თათრები დამდგარიყვნენ და თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ. კაცმა თათრებს ჩაუარა და გასახდელისკენ წავიდა. სასადილოსთან იზო იდგა, ხელში ბორშით სავსე ქვაბი ეჭირა და გასახდელისკენ იყურებოდა. ვასო რომ დაინახა, ქვაბი ძირს დადო და დოინჯი შემოიყარა.

— რა ამბავია. — ჰკითხა კაცმა.

— რა და, სისხლი გამიშრეს ამ თათრებმა, — თქვა ქალმა. — ამხელა ქვაბით საჭმელი გავაკეთე და უნდა გადავღვარო.

— რატომ უნდა გადაღვარო? — თქვა კაცმა.

— საჭმელში თმა ეგდო, ეს ბინძურები ამბობენ და პირი არავინ დააკარა.

— იქნებ მართლა ეგდო!

— შენც იმათნაირი ხარ, თხუთმეტი წლის გოგო ხომ არა ვარ, ჩემს ქვაბში თმას რა უნდოდა, — თქვა იზომ, ქვაბი აიღო და წასვლა დააპირა.

— ხო, გეხუმრე, ბაგათ უყურებ!

— მე გამწარებული ვარ და შენ კიდევ ხუმრობის ხასიათზე ხარ!

— კარგი, — თქვა კაცმა. — წავალ გამოვიცვლი. დამაგვიანდა და მიხაილოვიჩის თავი არა მაქვს.

გასახდელში ათამდე ტანსაცმლის კარადა იდგა. კარადებზე ეყარა გასაღებები რეზინის სარქველები, საკისრები, ტროსის ნაგლეჯები და ათასი სხვა ჯართი. ყველაფერი დამტვერილიყო და ჩაჟამებულიყო. ფიცრის ორ გრძელ სკამზე მუშებს ეძინათ. თავის ქვეშ ბუშლატები ამოედოთ და ისე ორივე პირქვე იწვა. ამ სკამებზე დაძინება ძალიან ძნელია. ფეხი ჩამოგივარდება ან მკლავი, გეღვიძება და წვალობ. კედლები მეძავების სურათებით იყო აჭრელებული. ალაი რომ შემოვიდა, თვალი სურათებისკენ გაექცა. მერე

ფანჯარასთან მივიდა და კაცს უთხრა:

— კარდაშ, ბორშში ბეწვი ეგდო და იმიტომ ვიჩხუბეთ.

— მერე, მორჩით ჩხუბს?

— არ გეწყინოს, ბეწვს ხომ არ შევჭამ.

— არა მწყინს.

— შენი ქალია და იმიტომ მეუბნები.

— ვიცი, — თქვა კაცმა.

— კარგი სურათებია, არა, — თქვა ალაიმ. სიგარეტი მომაწევინე.

— ერთიღა დამრჩა. — თქვა კაცმა.

— მიტინგზე აზერბაიჯანლებს ლანძღავდნენო, მართალია.

— მართალია.

— ეგენი ბანდიტები არიან. ყველა ერთნაირი ხომ არ არის. რა უნდათ რომ გვლანძღავენ. აბა, ჩვენგან რა უნდათ.

— რა და ყველა თათრის დედა ვატირეთო.

— წადი, სანაინი გამოაცხადა, — თქვა კაცმა. — ჰაერი გამოუშვი და შევამოწმებ.

— შეამოწმებ ხო, ეგრე ლაპარაკი შეიძლება? გვაგინებენ და თითქოს ყველა ერთნაირი იყოს.

— წადი, თორემ მიხაილოვიჩი ჩამოვა. ჰაერი გამოუშვი.

კაცმა ბუშლატი ჩაიცვა და დერეფანში გავიდა. დერეფანში ბორშის სუნი იდგა და კაცის ნაბიჯზე იატაკი ჭრიალებდა. სასადილოში მარტო იზო იყო. თავსაფარი წაეკრა, ხალათი გამოეცვალა და ჭურჭელს რეცხავდა. კაცი რომ შევიდა, რეცხვას თავი დაანება, ხელები შეიმშრალა და მაგიდასთან დაჯდა.

— განცხადებას დავწერ და აქედან წავალ, — თქვა ქალმა. — ამათ ჰგონიათ, სხვაგან ვერ ვიმუშავებ. ყელში ამომივიდნენ ეს უჯიშოები. ერთი ქვაბი ბორში გადამაქცევინეს და ჩემი ფული უნდა დავდო.

— ხომ გითხარი, მაგათ არ აყვემეთქი.

— კარგია, არ აყვე, ერთი გენახა, რა ამბავი ამიტეხეს, მიხაილოვიჩს ვეტყვითო. მე რა ფულს მაძლევენ, რომ ისიც აქ ჩავყარო.

— რას გიგავს თვალები, არ მინდა, რომ დაგელაპარაკო.

— მერამდენედ მიკეთებენ ამას.

— დაანებე მაგას თავი და თვალები გაიწმინდე.

— რას გიშლის ჩემი თვალები!

— არაფერს.

— მე რომ შენს ადგილას ვიყო. ამდენს არ გავაბედინებდი.

— არ შეგიძლია, გაიწმინდო ეგ თვალები და ისე იარო?

— რას გიშლის-მეთქი ჩემი თვალები?

— რას და, ნერვებს, რა მოხდება, რომ არ დაითხუპნო და ისე იარო.

— რა მოხდა მერე, ბევრი ხომ არ მისვია — თქვა ქალმა.

— ეხლა ნერვები უნდა მომიშალოს. მიდი, პარკი მომეცი, — უთხრა კაცმა. — მეცხრეში მარნეული დგას და კარტოფილს ამოვიღებ.

ქალმა ტომარა გამოიღო და დაკეცა.

— ფრთხილად გადმოიტანე. მილიციით გაივსო სადგური, — უთხრა კაცს. — ღამით ზალიკო დაუჭერიათ.

— დაიჭერდნენ, აბა რას უზამდნენ.

— აჰა, გამომართვი, — უთხრა ქალმა და ტომარა მიაწოდა. კაცმა ტომარა გამოართვა, მობრუნება დააპირა, მაგრამ შეჩერდა. — ნელა, ნელა, კისერი მეტკინა.

— კაცი მეხუთე ლიანდაგზე გადავიდა, საკონტროლო რეპროდუქტორში გამოაცხადა, ალაი, სანაინს ვამოწმებ და ელმავალთან დამელოდეო. შემადგენლობას ჩაუარა, მუხრუჭები შეამოწმა და პირველ ვაგონთან ალაის შეხვდა.

— წამო. მარნეულიდან კარტოფილი ამოვიღოთ, — უთხრა ალაის.

— რომელში დგას?

— ისე მეკითხები, თითქოს არ იცოდე. აი, ჩაქუჩიც წამოვიღე.

ალაიმ სიგარეტი ჩააქრო და ვაგონის ქვეშ გაძვრა. მეცხრე ლიანდაგზე გა-

დავიდნენ, მატარებელს ჩაუარეს და კარტოფილის ვაგონი იპოვეს.

— კარტოფილი აწერია და მიდი აბა ნახე, — თქვა კაცმა და ზეთის ბაკზე ჩამოჯდა. ალაიმ ფიცარი ერთ ადგილას სოლით გახეთქა, მერე გვერდით დასცხო, ნაფოტი ამოტეხა, ნახვრეტში ხელი შეყო და მუჭით კარტოფილი გამოიღო.

— კარგი კარტოფილია, — თქვა ალაიმ.

— რაც არის, ამოვიღოთ, — თქვა კაცმა და ტომარა გაშალა.

— სანაინში ღორები იყო, ნახე? — ჰკითხა ალაიმ.

— მერე რა?

— ხომ არ მოგვეპარა-მეთქი. უცებ გაიყიდება.

— შენ რა. უცებ გინდა გამდიდრდე!

— მე მარტო დაჭერა არ მინდა.

— მაგრად ფიქრობ, მაგრამ ჩქარა ამოიღე.

პატარა ნახვრეტია.

— ვხედავ, — თქვა კაცმა.

— წუხელ ზალიკო დაუჭერიათ მარნეულზე.

— დაიჭერდნენ, აბა რას უზამდნენ.

— აი, კაპიტანი რომ არის, ბიჩიაშვილი...

— ბაჭიაშვილი!

— ხო, იმას. მაგრა გაგყვლიფავს.

— ყველას თავისი საქმე აქვს.

— ეჰ, თავისი კი არა, ყველას კარგი საქმე აქვს.

— ეგრეა. გეყოფა, თორემ გავიყინე.

იზოს ქურაზე ტაფა დაედგა და ძეხვსა წვავდა. ქურასთან ახლოს კატა იდგა და იზოს უყურებდა, ძეხვის მოლოდინში კრუტუნებდა. ქალმა კატას ფეხი გაკრა და დაუყვირა, კაცი რომ შევიდა, კატა უკან მეყვა. ქალმა ისევ დაუყვირა და დახის ტარით მაგიდაზე დააბრახუნა.

— შემოვიდეს, რას გიშლის, — უთხრა კაცმა.

— რაში მჭირდება ეგ გაფუებული. თაგვებს მაინც არ იჭერს.

— ამდენ თაგვებს ეგ უშველის? — თქვა კაცმა, ტომარა დახლის უკან შეიტანა და ქურასთან მივიდა. — ჩემთვისა წვავ? — ჰკითხა ქალს.

— ხო, — უპასუხა ქალმა და ტომარაში ჩაიხედა.

— ეყოფა. მოდი ვჭამოთ, — თქვა კაცმა და მაგიდასთან დაჯდა. ქალმა ძეხვი მიუტანა.

— ერთი ჭიქა არაყი მომეცი, — თქვა კაცმა.

— ქალმა კარადიდან არაყი გამოიღო, ჭიქაში დაასხა, პური დაჭრა და თვითონაც მაგიდასთან დაჯდა.

— ეხლა დეკემბერია ხომ? — ჰკითხა ქალმა.

— ხო, — უპასუხა კაცმა.

— გახსოვს, შარშან დეკემბერში მოხვედი.

— მერე?

— არაფერი. ამ უჯიშოებმა ნერვები მომიშალეს.

— . . .

— წამოხვალ ამაღამ ჩემთან?

— ვნახოთ.

ქალი ადგა და ფანჯრისკენ წავიდა.

— მოდი, აქ იყავი, — თქვა კაცმა და ლუკმა გადაყლაპა.

— ხო. — უთხრა ქალმა და ფანჯარაში გაიხედა.

სასაფლაოზე

აი, უკვე მეთორმეტე წელია, რაც ეს ქალი ჩვენი სოფლის სასაფლაოზე მოდის. ერთი ჩაქერცლილი შავი ჩანთიდან იღებს სანთლებს, ღვინოს და სხვა საფლავებთან მისულ ხალხს შესანდობარის თქმას ეხვეწება. აი, უკვე მეთორმეტე წელია, ასეა. რამდენჯერმე მეც შევსწრებივარ. სოფლის სასაფლაო პატარაა და შეიძლება ზოგჯერ ღვინის დამლევიც არავინ გამოუჩნდეს.

ახალგაზრდობაში ეს ქალი თვითონაც კარგად მიცნობდა, მაგრამ ახლა თითქოს ვეღარა მცნობს. ჯერ ომიც

არ იყო დაწყებული, ჩვენს სოფელში რძლად რომ მოიყვანეს. მახსოვს, წყაროზე რომ გამოდიოდა, ნახირთან მოჰყავდა საქონელი. უცხო ადამიანს სოფელი ორივ თვალით უყურებს. ქალები რას დადგებიან და გამოლაპარაკებას ცდილობენ, იმათ სათქმელს რა დალევს! ნიკოლოზს, ამ ქალის მამამთილს ფეხზე დამდგარი ოჯახი ჰქონდა. რძალი ფეხმძიმობის დროს არც მინდორში გაუშვია და არც საქონლის გასარეკად. ბავშვი რომ ეყოლა. მალე ომიც დაიწყო. ამისი ქმარი ფრონტზე წაიყვანეს, მამამთილი ლოგინად ჩაუვარდა და მალე სოფელს გაერია პატარა მაზლის ამარა დარჩენილი ოჯახის რძალი. ცივმა ზამთარმა და გაჭირვებამ ფუთით ხორბალი ააკიდებინა და თბილისის გზაზე დააყენა.

ერთ საღამოს თბილისიდან ვბრუნდებოდი და შავნაბადის გზაზე ამ ქალს დავეწიე. რომ დამინახა. მთხოვა, მისი ფუთა „ტაჩკაზე" დამედო. უხმოდ გამომყვა და შალს იფარებდა, თითქოს მიმალავდა უკაცოდ დარჩენილ ახალგაზრდობას. გზაზე ტალახში ფეხი ჩაკრა, შალი გადასძვრა და სახე გამოუჩნდა. ჯაფა და გაჭირვება ჯერ კიდევ არ დასტყობოდა. ლამაზი იყო და მორიდებული. მაშინ პირველად დაველაპარაკე. ეუთხარი, კოჭლი ვარ, „ტაჩკიდან" ვერ ჩამოვალ და ეს ვირი კიდევ ორ კაცს ვერ მოგვერევა-მეთქი. ვიცი, ჩაჩანიძე ხარ, ამისთვისაც მადლობის მეტი რა მეთქმისო, ისე მითხრა, არც შემოუხედავს მოაბიჯებდა და წარაბარა შალს ისწორებდა. გითხრა, მესიამოვნა, მისთვის ნაცნობი რომ გამოვდექი-მეთქი, სასიხარულო ამაში არაფერი იყო. ჩემი კოჭლობა ყველასათვის თვალში საცემია და ვეცნობებოდი, გასაკვირი არაფერია. უბრალოდ, მინდოდა გამოვლაპარაკებოდი და სიტყვაზე ვიხმარე. კოჭლი-ვარ-მეთქი. სოფელში რომ ავედით, შეღამებული იყო. „ტაჩკა" გავაჩერე და ფუთა მივეცი. სოფელია მაინცა და სახლში მარტოკა ჩავიდესმეთქი. ორი ნაჭერი საპონი მომცა, „ტაჩკა" მოვაბრუნე და ხეივანში დავეშვი.

ქმრის დაღუპვის ამბავი რომ მოუვიდა, სოფელში დიდხანს არ დარჩენილა. აუკიდია თავისი ბარგი და თბილისში გადასულა. მერე ხმა მოვიდა, გათხოვდა კიდეცაო. ეს რომ თქვეს. შავნაბადის გზა გამახსენდა. რაღაც გუნება გამიფუჭა იმისი გათხოვების ამბავმა. შემეცოდა თუ, რა ჰქვია ამას, ღმერთმა იცის.

ოცდათხუთმეტი წელი დიდი დროა. ნათქვამია, წუთისოფელი რა არიო, თორემ ოცდათხუთმეტი წელი მაინც დიდი დროა. ამ ხნის მანძილზე ქვეყანა იცვლება. სოფელი კიდევ ისეთია, რომ ვინც გინდა აცხოვრო აქა. გამოიცვლება კიდეც და გამოჩურჩუტდება. ათასი საქმეა. მალე არავისაც აღარ ახსოვდა იმისი არც მოსვლა და არც მეორედ გათხოვება. ვის რა გაემტყუნება.

ხალხი ცხვარში მიდის, ან სოფლიდან ვინმე რუსეთში სამუშაოდ წავა და რომ დაბრუნდება, კარგად თუ არ დააკვირდი, შეიძლება ველარც იცნო. რო თქვეს, შალიკოს ძმისშვილი მომკვდარა და აქა მარხავენო, ავდექი და სასაფლაოზე წავედი. ხალხის ლაპარაკიდან გავიგე, რომ თურმე თავის დროს მეორე ქმარსაც გაყრია და ეს შვილი მარტოს გაუზრდია. შევხედე და აი, თორმეტი წელია, სულ ეგეთი დადის. აი, რა ჯანსა და სილამაზესა სწოვს ეს ქვეყანა. შალიკო კუბოს თავთან იდგა და თავისი რძალი მხრებიდან ეჭირა. თავი ჩაეღუნა და თვალით არავის უყურებდა. იმას ალბათ თავისი ძმა აგონდებოდა. შალიკოს მგონი აქედან წასვლის მერე თავისი რძალი აღარც უნახავს. მაგრამ ეხლა მკვდარი რო ნახა, გულზე შემოაწვებოდა. მეც ცრემლი მომერია და ისე ვუყურებდი შალიკოს რძალს. ნეტა რამ მოაფიქრებინა შვილის აქ დამარხვა!

ამის მერე რამდენი ხანია მოდის

ეს ქალი თავისი შვილის საფლავზე და მეც აქეთ მომიწევს გული. ალბათ ვეხსომები, მაგრამ რას გაიგებ, ზის და თავის შვილსა სტირის. იცის ღვინის დალევაზე უარს არ ვეტყვი და დანახვისთანავე დამიძახებს-ხოლმე.

ამ მარიამობას სასაფლაოზე ცოტა გვიან გავედი კიკოლაშვილის გოგოს საფლავზე ბიჭები შემთვრალიყვნენ და რაღაცეებს ლაპარაკობდნენ. მეც იმათთან დავჯექი და ცოტა დავლიე, შევყევით ლაპარაკს და ერთმა თქვა, მარიამობას საფლავზე გასვლის წესი არა ყოფილაო.

— რას ამბობ, აქამდე სულ ეგრე გამოვდიოდით, — ჩაერია ლაპარაკში დედაიმისი.

— გამოვდიოდით, მაგრამ წესი არა ყოფილა, — თქვა ბიჭმა.

— აბა, კვირაობით უნდა გამოვიდეთ. — ჰკითხა დედამისმა.

— ხო. კვირაობით. ვერა ხედავ, თბილისელები რომ არ ამოსულან.

— აი, ძველათაც ეგრე გამოდიოდნენ-ხოლმე, — თქვა ისევ დედაიმისმა.

თბილისელები მართლაც არა ჩანდნენ. რას გაუგებ ამ თბილისელებს. ეხლა დროება შეიცვალაო და ვითომ ეკლესიასა და მღვდლებს უჯერებენ. ყველაფერი მაგათმა უნდა მოიგონონ. ამ ლაპარკში ვიყავით, შალიკოს რძალი რომ გამოჩნდა. იმ თავისი გაქერცლილი ჩანთით ჩამოიარა საფლავებს შორის, მოგვესალმა და შვილის საფლავს მიაშურა. ბალახი დათხარა, მორწყა, სანთელი დაანთო და საფლავის ქვასთან ჩამოჯდა. სულ ესე უბმოდ ტიროდა-ხოლმე. მე კიდევ ვიდექი და ვუყურებდი. რა არის კაცის გული, როგორ მწარდება და აღარც გასვენებს. ავდექი და მოშორებით დავდექი. რომ დამინახა, ტირილს თავი დაანება, ჩანთა გახსნა, ღვინო და ცოტა მისატანებელი ამოიღო. გააწყო მაგიდაზე და დამიძახა. მივედი, ღვინო დამისხა. შემთვრალი ვიყავი და ვიფიქრე რაღაცას ვეტყვი-მეთქი, მაგრამ მარტო შესანდობარი ვუთხარი და ღვინო დავლიე. მადლობა გადამიხადა.

შენ რა, არაფრის თქმა არ გინდამეთქი, გულში გავიფიქრე. ერთი რვა ჭიქა მქონდა დალეული, თორემ იმას რა უნდა ეთქვა. ღვინის ბოთლი საფლავის ქვასთან დადო და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

წუთისოფელი ასეაო, ნათქვამია. მიდის ცხოვრება. ხანდახან სულაც დამავიწყდება-ხოლმე ეს ქალი. ჩემს საქმეს ვაკეთებ. ბევრი რამე გამომდის ხელიდან, კასრებსა ვკრავ ან ათასი წვრილმანია. ისეთ საქმეს ვაკეთებ, რასაც ვერევი. ჩემს რძალს სადილი ეზოში ჩამოაქვს, ვახშამზე შინ მეძახის. ნელ-ნელა სოფელში გავდივარ, დალაქთან წვერს ვიპარსავ ან ხალხს ველაპარაკები, მაგრამ დავინახავ თუ არა ამ ქალს. ისევ ყველაფერი მახსენდება და რა ჰქვია ამას, ღმერთმა იცის.

თამარ კლიმიაშვილი

ქალბატონი თამარი მეოთხე სართულზე, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ლავგარდანზე ჩამოკონწიალებულ სქელ ფარდას იშვიათად თუ გადასწევდა და გადახედავდა ატალახებულ ეზოს. კვირაში ორჯერ მიდიოდა მაღაზიაში, ყოველ მეორე დღეს წვნიან კერძს იმზადებდა, პურს გაუმჭვირვალე ტოპრაკით კარადაში ინახავდა. ხანდახან თავის ძმას უკავშირდებოდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესატყობინებლად, ყოველდღე საფოსტო ყუთიდან გაზეთებს იღებდა და მაშინაც შალის კაშნეთი იფუთნიდა გვერდებს, პალტოს იცვამდა და ისე ჩადიოდა პირველ სართულზე, სადაც საფოსტო ყუთები ეკიდა და საწოლში ჩამთბარი ახალ ამბებს კითხულობდა. ერთ დღეს, როცა გაზეთების კითხვა დაამთავრა, სატელეფონო ცნობარში ერთ-ერთი სტატიის ავტორის მისამართი მოძებნა, წელზე შალის კაშნე შემოიხვია და წერილი დაწერა:

„პატივცემულო ბატონო ფრიდონ,

შობის მადლი შეეწიოს თქვენს ოჯახს. მრავალ შობას დაგასწროთ ჯანმრთელად. ბედნიერად, სიტკბოთი, გულმხიარულად. მზეიც ნუ მოვა უსტუმროდო, მეც ასეთი სტუმარი გახლავართ, თამარ კლიმიაშვილი.

თქვენი სტატიის კითხვისას ჟრუანტელმა დამიარა. ჩვენი ადათისა და ჩვეულებების დიდი ერთგული ყოფილხართ. რამ შეიძლება გაახაროს ჩემი ხნის, უძლურებისგან ოთახში გამოკეტილი ადამიანი იმაზე მეტად, რაც შესძლებია თქვენს სურვილს და მცდელობას ჩვენი ეროვნული ტრადიციების აღდგენისთვის. ეს უზომოდ სასარგებლო საქმეა ქართული კულტურის აღმავლობისთვის.

რას ნიშნავს თქვენი ჩანაფიქრი ჩემთვის და რატომ მახარებს? რა თქმა უნდა მე, საკმაოდ ხნიერი ვარ. კართან მომდგომია გარდაუვალი განაჩენი, მაგრამ უცნაურია მოხუცებულობა: სიცოცხლისათვის დარჩენილ მცირე წუთებშიც კი არის ადგილი სიხარულისთვის და რა უნდა იყოს ჩემთვის უფრო სასიხარულო, თუ ისევ ცხადად ვიხილავ გარდასულ დღეთა სურათებს, თორე ჩემს მერე... სიმართლე გითხრათ, მიძნელდება ამის შესახებ ლაპარაკი, ვნანობ, რომ უძლურების გამო მხარში ვერ ამოგიდგებით.

ბატონო ფრიდონ, სტატიაში თქვენ ხშირად ახსენებდით შოთა ვაშაძეს, რომელიც ჩემი ძველი მეგობარია. გარკვეულ ვითარებათა გამო მასთან კავშირი დიდი ხანია დავკარგე. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: იქნებ როგორმე შემატყობინოთ შოთა ვაშაძის მისამართი.

მუდამ პატივისმცემელი ვიქნები თქვენი. თქვენი ოჯახის ყველა წევრისა და მოკეთისა.

უცნობი თაყვანისმცემელი — თამარ კლიმიაშვილი."

ერთი კვირის შემდეგ ქალბატონმა თამარმა საფოსტო ყუთიდან გაზეთებთან ერთად კონვერტიც ამოიღო.

„ქალბატონო თამარ, მივიღე ალერსით სავსე თქვენი წერილი, რისთვისაც მადლობას გიძღვნიდ. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ საქართველოში კიდევ არიან პატრიოტი, კდემამოსილი ქალბატონები, რომლებსაც სწამთ და აფასებენ მამაპაპისეულ ზნე-ჩვეულებებს .მოგილოცავთ ახალ წელს.

ვერ ვასრულებ თქვენს თხოვნას ბატონი შოთა ვაშაძის გარდაცვალების გამო.

პატივისცემით — ფრიდონ ნაკაიძე".

„გამარჯობათ ბატონო ფრიდონ. მიუხედავად იმისა რომ შოთა ვაშაძის გარდაცვალების შეტყობამ გული დამწყვიტა, თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა. მადლობელი ვარ, რომ მიპასუხეთ.

ბატონო ფრიდონ, შოთა ვაშაძე ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი. ვიფიქრე, თუ მე ცოცხალი ვარ, რატომ არ შეიძლება, ისიც ცოცხალი იყოს-მეთქი. ბევრ საინტერესო ამბავს მოვიგონებდით . ორივეს გაგვახარებდა ერთმანეთის ამბების შეტყობა. დაკარგულს აღარაფერი ეშველება და ჩემი მწუხარებითაც არავის შევაწუხებ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და უძლურებისა, მოუსვენარი ვარ. ალბათ ამიტომ ამ დრომდე შემოვრჩი ქვეყანას.

არ მომერიდოთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დამირეკოთ. ყოველთვის მოხარული ვიქნები შეხმაურებისა. გრიპის გამო მადლობის წერილი დაგიგვიანეთ და თან მერიდება, ამ მიმოწერით ხომ არ გაწუხებთ.

კიდევ დიდი მადლობით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გესალმებით — თამარ კლიმიაშვილი."

ეს წერილი დამთავრებისთანავე გაგზავნა ქალბატონმა თამარმა და მეორე დღეს გაზეთში ამოიკითხა ნეკროლოგი ბატონი ფრიდონ ნაკაიძის გარდაცვალების გამო. კიდევ ერთხელ წამოდგა მოხუცი საწოლიდან, გადასწია ფანჯრის წინ ჩამოკონწიალებული სქელი ფარდა და კიდევ ერთხელ გადახედა ატალახებულ ეზოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ზარები ოცდაათიანი წლებიდან

**«Теперь, когда ты стар и мирен,
о чем волнуеться опять?»**

ალექსანდრ ბლოკი

წინათქმა

თავდაპირველად ეს ფურცლები მხოლოდ სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის, პაოლო იაშვილის ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე იწერებოდა, რითაც ეს მოგონება საბოლოოდ მაინც მთავრდება და რაც იმ წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთი მეტად გახმაურებული უბედურება იყო. მერე კი კალამი იმ დროის სხვა მოვლენებისკენაც გამექცა, თუმცა ყოველ გვერდზე ვცდილობდი სადმე, რომელიმე მოვლენის სიღრმეში თავდავიწყებით არ შევჭრილიყავი და ჩემს მიზანს უთავბოლოდ არ დავშორებოდი.

ვიღას ახსოვს დღეს ის შორეული ოციანი, ოცდაათიანი წლები? წავიდა, ყველა წავიდა. ეს სევდა პოეტურ სიტყვაში მე ერთხელ ასე გამოვთქვი: „მე მომსწრე ქვეყნის ამდენ ცვლის და ამდენ დრამისაც, მე ერთი შევრჩი, ერთი შევრჩი ამ დედამიწას“... იმ ძველი თაობის ქართველი პოეტებიდან.

და მე ვფიქრობ, და დღეს უკვე მჯერა, რომ ჩემმა გამჩენმა ეს გრძელი დღე იმიტომაც მომცა, რომ დღევანდელობას იმდროინდელი ზოგი რამ დაუწერელი ცნობა მოვაწვდინო; სწორედ ზოგი რამ და არა ზუსტად ყველაფერი, რაც გონებამ დღემდე შემოინახა და რაც დღეს, ალბათ, არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის; ბევრს რასმე მე სხვადასხვა მოსაზრებით მაინც გვერდს ავუვლი. ამ მოგონებას, როგორც მკითხველიც დაინახავს, მხოლოდ და მხოლოდ თავისი მიზნები, თავისი ამოცანები აქვს, მათ შორის ისიც, რომ ზოგიერთ ჩვენს ძველ, იმდროინდელ, აწ ჩვენგან წასულ საყვარელ მოღვაწეს, ქართველ მწერალს დღევანდელობის უმართებულო საყვედური ავაშორო, მათ გვერდით დავდგე და არა მარტო საკუთარი თავის, არამედ მათი სახელითაც (რისი უფლებაც მათ ჩემთვის თავის დროზე არაერთხელ მოუციათ) ვთქვა ზოგიერთი ჩვენი საერთო სიმართლე, გულისნადები. დღევანდელობას გადმოვცე ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში თან წაღებული მათი გულის ხმა, ჩემი შეძლების მიხედვით, ჩემი ღრმა რწმენით.

როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეული შემობრუნება ხდება, პატარა შავი ფანქრის ერთი გადასმით

მთელი წინა ეპოქა, მთელი წარსული შავდება ხოლმე (ჩემი თაობაც, თავის უმაწვილკაცობაში, მოესწრო ფერთაგან ამ ორი მთავარი ფერის, შავისა და თეთრის, ამგვარ დაპირისპირებას), მაგრამ ბუნებას თავის მდიდარ სპექტრში ხომ სხვა ფერებიც გააჩნია.

ბევრს ჩვენგანს მთელი ცხოვრების მანძილზე ასულდგმულებდა და ამოძრავებდა ერთი ლოზუნგი,, რომელიც მრავალრიცხოვან შეკრებებს და უკიდეგანო მიტინგებზე კი არ ჰყვიროდა, არამედ პატარა გულის დიდ სიღრმეში ინახებოდა: — ყოველგვარ პირობებში, შეძლებისდაგვარად კალმითაც და პრაქტიკულადაც გვეკეთებინა ქართული საქმეები! თვით იმ წლების „ახალი მშენებლობაც", ბევრი ჩვენგანისთვის ქართული საქმის კატეგორიას განეკუთვნებოდა. ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის გვსურდა და მივყვებოდით იმ ახალი მიზანდასახულობის პირველქმნილ, იდეალურ მოდელს და არა იმ შედეგს, რაიც ამბიციური და მრისხანე ადამიანების მეოხებით საბოლოოდ ჩვენს თვალწინ გამოვიდა, იმ უსაზღვროდ ნაძალადევი სოციალიზმის მშენებლობის წლებში. თქმა არ უნდა, ჩვენც არაერთხელ მწარედ შეგვშლია, ჩვენც ბევრჯერ მეტად სავალალოდ შევცდით, მით უფრო პირველი ნაბიჯების დროს.

დღეს იქნებ ჯობდეს ამ შეცდომებს სხვა რამ სახელი მოეძებნოს, რადგან ისინი იმ ათეულ წლებში მეტნაკლებად მწერალთა და ხელოვანთა (და მარტო ჩვენ?) მთელ თაობებს მოუვიდა და რადგანაც ეს შეცდომები, როგორც შემდეგ გრიგოლ რობაქიძე იტყვის, „ჩვენი იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ დაგვაწერინა".

რა დროულად და ამაღლებული სიტყვით თქვა თავის 1990 წლის საადგომო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ: „დადგა დრო უფროსი თაობის ჯერ არნახული დაუნდობელი ლანძღვისა, იმ საბაბით, თითქოს მათ დაღუპეს საქართველო"... „საკითხავი ისაა, მათ ადგილას განა ჩვენ უკეთესი [illegible] ვიქნებოდით? გავუძლებდით იმ წლების სიმძიმეს?".

ამ მოგონებების ავტორი მხოლოდ იმ მოვლენებზე მოგითხრობთ, რაც მას არა მარტო იმ შორეული ოცდაათიანი წლების, არამედ მთელი ჩვენი სამოცდაათწლოვანი ისტორიის მახასიათებლად და ტიპობრივად მიაჩნია და რისი ჩასახვის სათავეებსაც იგი სწორედ იმ ოცდაათიან წლებში ჰხედავს: იქ გამოიკვეთა მთელი ამ საბჭოთა ეპოქის ზნეობრივ საფუძველთა სათავეებიც და მათი აღზევების სიმაღლეებიც. ამიტომ გაიხსენა მან განსაკუთრებით და სამაგალითოდ სწორედ ის შორეული წლები.

ამავე დროს ამ ფურცლების ავტორი მკითხველს შეფარვით იმაზეც მიანიშნებს, რომ მისდა სამწუხაროდ, ქართველი ხალხი იმ სამოცდაათწლეულში და მათ შორის იმ ოცდაათიანი წლების ტრაგიკულ მიწურულშიც იმ დონეზე ნახა და დღესაც იმავ დონეზე ეჩვენა, რომ შესაძლოა კვლავაც განმეორედს ის რაც ერთხელ უკვე იყო.

ეს მოგონება მწერლის მოგონებაა მწერლობისა და ხელოვნების იმდროინდელ ადამიანებზე. მაგრამ აქაც მკითხველი შეამჩნევს, რომ მას კალამი ხშირად იმ წლების სხვა მოქმედი პირებისკენაც, სხვა ადამიანებისკენაც გაურბის. ეს, ალბათ , ბუნებრივიცაა. მაგრამ არქივებში ცალი თვალით შეჭვრეტის გარეშე იგი ამას მაინც ვერ ბედავს და ცდილობს მხოლოდ თავის დასახულ მიზანს და ამოცანას დასტრიალებდეს თავს. საჯაროობის დღევანდელ პირობებში მეცნიერების კალმით იმ წლებზე კვლავაც ბევრი რამ დაიწერება; ასეთი ტვირთის აწევა აღემატება არამც თუ პოეტის ფიზიკურ-ძალ-ღონეს, არამედ, და მით უფრო, იმ წლების მომსწრისა და მონაწილე პოეტის სულიერ, გრძნობიერ ძალებსაც.

სამი მინაწერი წინათქმაზე:

ოდესღაც , სწორედ იმ ოცდაათიან

წლებში, როცა მე რვა წელიწადი მყუდრო ფიქრისგორაზე ერთ პატარა ოთახადწოდებულ ყუთში, სულ ახალგაზრდა მარტოხელა კაცი ვცხოვრობდი, ერთ მშვენიერ ღამეს სიზმრად სრულიად არა რუსთველური („ქმენ გულისა“) ფრაზა ვნახე; თუ გულმა ერთი გითხრას, გონებამ მეორე, ხოლო გამოცდილებამ მესამე — მესამეს დაუჯერეო. იმ ხანად მე გატაცებით ვკითხულობდი ეკერმანს და იქნებ გოეთეს რომელიმე აზრი ჩემს სიზმარში ასე გადაკეთდა. მე ეს ფრაზა მთელი ჩემი ცხოვრების მრავალათეული წლის მანძილზე თან გამყვა ჩვენს ურთულეს, ჩვენს უმძიმეს ეპოქაში.

—.—

ჩემი თაობის გამოცდილებით, ქვეყნის უბედურება მისი მოაზროვნე შვილების არსებული, თანადროული სინამდვილიდან ერთბაშად აწყვეტა და ზენ, საოცნებო მომავალში გაფრენაა, ან მეორე მხრივ, უკან, რომანტიკულ წარსულში გადაფრენა. ერთსაც და მეორესაც ქვეყანა მხოლოდ „ბუნებრივი სასჯელისაკენ“ მიჰყავს.

—.—

ჩემი თაობის გამოცდილებით, ისტორიასთან ადამიანის ფამილიარული თამაშის შედეგი ყოველთვის ან სასაცილოა ან ტრაგიკული; ხოლო ისტორიის ჰიდაობაში გამოწვევა სასაცილოზე სასაცილო. ისტორია საჰიდაო მოედანზე ჩვენს წონაში არასდროს არ გამოდის. მხოლოდ ეპოქები ეჰიდებიან ეპოქებს.

I

მთელ წარსულს მოსდევს
როგორც რეფრენი:
„დრონი მეფობენ, არა მეფენი“

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდ ტრაგედიაში ჩემი თაობის ადამიანები, ჯერ უმწიფარი ახალგაზრდობა, კანტიკუნტად მხოლოდ აქა-იქ, მასობრივ სცენებში თუ მონაწილეობს. სპექტაკლის მთავარ როლებს ძირითადად რევოლუციამდელი თაობების ადამიანები ასრულებენ და, დიდი მწერლის დრამატურგიული კანონების მსგავსად, ფინალურ მოქმედებაშიც ძირითადად სწორედ ამ თაობის ადამიანები იღუპებიან; მათთვის უდროოდ და საბოლოოდ ეშვება შექსპირული სპექტაკლის ფარდა.

საქართველოს ოციანი ქარიშხლიანი წლების ბარომეტრის ისარი თითქოს გამოდარებას უჩვენებს. უკან დარჩა ქვეყნის გასაბჭოების ეპოპეა; უკან დარჩა ოცდაოთხი წლის ტრაგიკული ზაფხული; უკან დარჩა ბევრი ჩვენგანის ოჯახებისთვის უმრისხანესი ლოზუნგი: „დავიყვანოთ ქართველ თავადაზნაურთა რიცხვი ნულამდე“. წინ საქართველოს უგამოჩენილეს ადამიანთა ახალი პოზიცია და ინტელიგენციისადმი მოწოდებებია, რომელთაც მე ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში უკანასკნელი კლასების მერხზე მომისწრეს: — „ვითანამშრომლოთ ახალ ხელისუფლებასთან!“ — „გაუმარჯოს საქმიან საქართველოს!“ ჟურნალ „კავკასიონში“ გახმაურებული მოწინავე წერილი: „ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ქართველ მწერალთა ფართე წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს“; „დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია, და სისხლიანი დგას ანგელოსი“...

შესაძლოა, კაცობრიობის მთელ ისტორიაში არცერთ ეპოქას არ სჭირდებოდეს ისეთი ნამდვილი ისტორიული, ისეთი მკაცრი ისტორიული თვალსაზრისით მიდგომა და გაანალიზება, როგორც ჩვენს ამ ახლო წარსულს, ჩვენს ამ გუშინდელ დღეს, მთელ ამ აბობოქრებულ მეოცე საუკუნის რუსეთის

იმპერიისა და მასში შემავალი ქვეყნების გუშინდელ დღეს.

სწორედ ამ წლებში დამთავრდა ჩემი ყრმობა და ჭაბუკობაც ქვემო იმერეთის გალარიბებულ თავადაზნაურულ გარემოში და ჩემი შემდგომი მომავალიც, ჩემი შეგნებული ცხოვრების საძირკველიც ამ ლოზუნგების დუღაბით შეიკრა. „დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია“.

ბარომეტრის ისარი გამოდარებას უჩვენებს. ზენიტშია „ნეპი“. პირველად კომუნისტურ რუსეთში თებერვლის რევოლუციის, ოქტომბრის გადატრიალების წლებიდან მოყოლებული, კანიბალიზმამდე მისული დიდი შიმშილობების შემდეგ, ქვეყანას არ აკლია ხვავი და ბარაქა: გაჩნდა მტკიცე ფულის ნიშნები „ჩერვონეცი“. გლეხი ჯერ კიდევ თავის მიწაზე ზის, ვაჭრობასა და მრეწველობას თავისი გამოცდილი მფლობელები, თავისი თავკაცები დაუბრუნდნენ (ახლა კი, — ამასწინათ ,აკადემიკოსი ამოსოვი წერდა: «Так легко было отобрать заводы в 1917 году, а землю в 29-м, но так же трудно, оказывается, раздать все обратно»).

არამც თუ დედაქალაქი, არამედ პროვინციული ქალაქებიც პირდაპირ ელავენ. მათი ცენტრები სავსეა მაღაზიებით, მაღაზიები სავსეა საქონლით, სწორედ ისე, როგორც დღევანდელ ევროპულ ქალაქებში. ყველა ამ პროვინციულ სავაჭრო წერტილს თავისი ცალ-ცალკე კომერციული კავშირი აქვს რუსეთისა და შორეული ქვეყნების ბიზნესთან. მიდის გაჩაღებული ვაჭრობა: „ძმაო, ნისია რა სინდისია, ნაღდზე ვივაჭროთ წესი ისეა“. „წუღა—მესტის სახელოსნო ძმები ჩაკვეტაძეები“, „კოლა—კინტო“... ყველა პატარა ქალაქს თავისი ინტელიგენცია ჰყავს და არც თუ მეორეხარისხოვანი, მათ შორის საქართველოს რამდენიმე ქალაქს საქვეყნოდ ცნობილი ინტელიგენციაც (გამოხდება სულ რამდენიმე, სულ ორიოდე წელიც და კოლექტივიზაციის პერიოდში ეს ქალაქებიც იქცევიან „დამზადების პუნქტებად“).

ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა შეცლილი „საჯაროობა“, ჯერ კიდევ იწერება და იბეჭდება „ამხანაგებო' თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს“ და „ჯაყოს ხიზნები“; რუსთაველის პროსპექტზე ფუტურისტები „ლაზღანდარობენ ყვითელ კოფტებში“ და პაოლო იაშვილი ხელგაშვერილი აგროვებს ფულს მათხოვრებისთვის. რუსთაველზე დააბიჯებენ ვლადიმერ მაიაკოვსკი და ვასილი კამენსკი და ქართველი სიმბოლისტები ძმობის ფიცს აძლევენ სერგეი ესენინს და მერე ძმურ შეხვედრაზე ქალაქგარეთ, ჩოფურაშვილთან „ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო“... (თუმცა „მთვრალი პაოლო“, ეს იშვიათი შემთხვევა იყო). „სოლეილსა“, „არფასტოსა“ და „მინიონში“ ანშლანგებით მიდის პირველი ქართული კინოფილმები ნატო ვაჩნაძის, თამარ ბოლქვაძის, დიმიტრი ყიფიანის, კოტე მიქაბერიძის რომანტიკული სახეებით. „ელდორადოები“, „ედემის ბაღები“, ათასგვარი ლამაზი სახელწოდების რესტორნები სავსეა მხიარულებითა და პოეტებით — „კარგი იყო არ გამეცან თავიდან, შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდან...“ „მღერის თათრულ მოტივებით მწველი ეთიმ გურჯი“...

„ნეპმა“, რომელიც არსებითად ძველის გაგრძელება იყო და არა ახალის დასაწყისი, უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემის განმტკიცებაში, მის გადარჩენაში, მთელი კავშირის ტერიტორიაზე და მით უფრო საქართველოში. სულ რაღაც რამდენიმე თვეში მოხდა „საბაზრო ეკონომიკაზე“ გადასვლა. თითქოს თვალის დახამხამებაში გაივსო დახლი და ბაზარი, თახჩა და ყაფანი. ბეღელი და სასიმინდე, ჭური და მარანი. გაიშალა მიმოსვლა უცხოეთთან, გაჩნდნენ „საქმის კაცები“ და კომერსანტები; გაიცა კონცესიები. ისევ სიცოცხლით გაივ-

სო ბათუმი და ჭიათურა ოცდაოთხი წლის ტრაგედიის შემდეგ ხელისუფლებამ სასწრაფოდ გააჩაღა ჰესებისა და საწარმოთა მშენებლობა, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ «Бурсоцстрой» (Бурное социалистическое строительство).

არსებითად „ნეპმა" გადაწყვიტა ქართველი ხალხის შემობრუნება ახალი სინამდვილისკენ. ახლა უკვე საბჭოურ პოზიციაზე აქამდე ოპოზიციურად განწყობილი ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მთელი ჩემი, ახალგაზრდა, პოეტური სიტყვით შთაგონებული კაცის ყურადღებაც ამ ინტელიგენციას ეკუთვნის, პოეტებს, მწერლებს, არტისტებს....

მსოფლიოსა და რუსეთის მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის გავლენით თავისი არსებობის უფლებისათვის იბრძვის ჩვენი საუკუნის უახლესი ქართული მწერლობა და ხელოვნება. დღეს და გადადღეს ტრიბუნებზე ცხარე კამათები „ცისფერყანწელთა", „მეცარცხენეთა", „აკადემიკოსებსა" და მიუმხრობელთა შორის. მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე ხმალამოღებული დგანან გრიგოლ რობაქიძე და ალი არსენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი და ნიკოლოზ მიწიშვილი, ბესარიონ ჟღენტი და სიმონ ჩიქოვანი, ბენიტო ბუაჩიძე და შალვა რადიანი, პლატონ ქიქოძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია და დავით რონდელი, ტრიბუნაზე იშვიათად ნახავთ გალაკტიონ ტაბიძეს და ნიკო ლორქიფანიძეს, შალვა დადიანს და ვასილ ბარნოვს, იოსებ გრიშაშვილს და ვალერიან გაფრინდაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს და ნინო ნაკაშიძეს, გერონტი ქიქოძეს და ლეო ქიაჩელს. ალექსანდრე აბაშელს და შალვა აფხაიძეს სხედან და უსმენენ...

ლიტერატურა და ხელოვნება იკვლევს ახალ გზებს ამ არეულ დროსა და ქვეყანაში, ეძებს გამოსახვის ახალ ფორმებსა და საშუალებებს, იბრძვის დამოუკიდებლობისა და [illegible]ებისათვის. „ვეძებთ ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მწვერვალებს"...

ბრძოლით, ყიჟინით, ნიჰილიზმით, ზოგჯერ დებოშებით მოდის ახალი და ახალი.

ისტორიას ალტერნატივა არ გააჩნია. ისტორია არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც იყო. დიახ, ალბათ შესაძლებელია ერთ მიზეზს მარტო ერთი და ერთნაირი კი არა, ორი ან რამდენიმე სხვადასხვანაირი შედეგიც მოჰყვეს, მაგრამ ისტორია მხოლოდ ის ერთი შედეგია, რაც ამ მიზეზს სინამდვილეში მოჰყვა. ჩვენ, უბრალო, მოკვდავ ადამიანებს ისტორიად მხოლოდ ის ერთი შედეგი გვეძლევა. .

ოციანი წლების დასასრული, ოცდაათიანი წლების დასაწყისი, „ნეპის" დასასრული, იყო ჩვენთვის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მომავლის დასაწყისი, დასაწყისი „დიადი გარდატეხის" პერიოდისა, იმ ურთულესი ოცდაათიანი წლებისა.

დამთავრდა „ნეპი"...

დაიწყო და კოლექტივიზაციის წლებში საბოლოოდ დამთავრდა ტრადიციული (და არა მარტო „კულაკური") ოჯახების დაშლა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში. თბილისისკენ მასობრივად დაიძრა ინტელიგენცია ქუთაისიდან, ბათუმიდან, ჭიათურიდან, ქართლიდან, კახეთიდან, პროვინციული ქალაქებიდან სადაც ეს ინტელიგენცია წლებიდან წლებში საქართველოს ძლიერ კულტურულ არმიას წარმოადგენდა. აქვე უნდა ითქვას, იმ წლებში დაიწყო თბილისში საერთოდ ქართული მოსახლეობის ზრდაც. ქართული ენისა და სიტყვის მომძლავრებული ხმაურიც.

თბილისის მოსახლეობის რიცხვი თუ თამარ მეფის დროიდან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე, შვიდასი წლის მანძილზე მხოლოდ ორჯერ გაიზარდა 80 ათასი კაციდან 160 ათას კაცამდე (იხ. ქართული ენციკლოპე-

დია) — საბჭოთა სინამდვილეში, სამოცდაათი წლის მანძილზე გაიზარდა სამჯერ და დღეისათვის მილიონ ნახევარს მიაღწია. და იგი გაიზარდა საქართველოს რაიონების, ძირითადად დასავლეთის რეგიონების ხარჯზე.

დიახ, თბილისმა ბოლოსდაბოლოს ქართველების ხარჯზე იწყო ზრდა და ეს მოხდა უმეტესად „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის", ნეპის გაუქმებისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში. ეს პროცესი საკმაოდ რთული და საინტერესოა.

ე. წ. „გაშლილი სოციალისტური მშენებლობის" წლებში ნეპის გაუქმებამ, რასაკვირველია, გააუქმა კერძო ვაჭრობა — მრეწველობა. ეს ვაჭრობა — მრეწველობა კი თბილისში საუკუნეების გრძელ მანძილზე არსებითად უცხოელთა, არაქართველთა ხელში იყო. ქართველები როგორც ცნობილია, უმეტესად სოფლად ცხოვრობდნენ საქართველოში. თბილისი სავაჭრო გზაჯვარედინზე იყო ამიერკავკასიასა და წინა აზიისაკენ; იგი შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და აქ საუკუნეების მანძილზე შთამომავლობით ცხოვრობდა მრავალი უცხო სოვდაგარი, კომერსანტი, ჩამოსული ახლობელი ქვეყნებიდან. როგორც ადგილობრივი მკვიდრნი. განსაკუთრებით ირანელები და სომხები. მათი კავშირები ინდოეთამდე უწევდა. საქართველოში ჩვენ რამდენი ქართველი მრეწველი და კომერსანტი ვიცით, ვთქვათ, აგერ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში?— სარაჯიშვილი, ხოშტარია და კიდევ ვინ? ვთქვათ ჯაყელი. მსხვილი, სერიოზული მრეწველი მხოლოდ სარაჯიშვილი გვყავდა მგონი, სხვა არავინ. 1921 წელსა და შემდეგ როცა ნეპის გაუქმებით კერძო ვაჭრობა — მრეწველობა საბოლოოდ გაუქმდა, მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი თბილისიდან წავიდნენ. მეც მახსოვს, ოციანი წლების ბოლოს, ოცდაათიანი წლების დასაწყისში როგორ მასიურად მიდიოდნენ თბილისიდან ირანელი ქვეშევრდომები — თბილისელი ვაჭრები და იკეტებოდა მათი განთქმული ქსოვილების, საგალანტერიო, თევზეულის, ხმელი ხილის, ფალაზეები და დუქნები.

როგორც ოცდაერთ წელში, ახლა საბოლოდ დასტოვეს თბილისი აქა-იქ შემორჩენილმა ზემელებმა, ოტენებმა, არამიანცებმა, ზინგერებმა, ფილიპოვებმა, მილოვებმა, ვოლოხებმა, მელიქაზარიანცებმა, გომერებმა, სეგალებმა, ხუდადოვებმა, სხვებმა და სხვებმა.

ოციან წლებში, ოცდაათიანის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო „ძველი თბილისი" (გავიხსენოთ იოსებ გრიშაშვილის მშვენიერი ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან"), ნეპის გაუქმებამ თბილისში, რასაკვირველია, შეამცირა უცხო ტომის მოსახლეთა რიცხვი. ამავე დროს თბილისისკენ დაიძრა საქართველოს რაიონებიდან კოლექტივიზაციით აყრილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი კონტიგენტი, მუშახელით ფაბრიკა-ქარხნების ახალი და ახალი შევსება, სულ ქართველობა. გარდა ამისა, რაიონებიდან დაიძრა ახალგაზრდობაც, უმაღლესი სასწავლებლებისკენ. რადგან უმაღლესი განათლების, განსაკუთრებით ზოგიერთი ხელსაყრელი პროფესიის მიღების გარეშე ცხოვრებისკენ, მომავლისკენ სხვა გზა გადაიკეტა. უმაღლესი სასწავლებლებიც თბილისში სწორედ ოცდაათიან წლებში და მას შემდეგ მრავლად გაიხსნა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო — ასე იმძლავრა ქართულმა ელემენტმა სწორედ ოცდაათიანი წლებიდან, „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის", კერძო ვაჭრობა-მრეწველობის — ნეპის გაუქმების კოლექტივიზაციის, უმაღლეს განათლებაზე მასიურად დაწაფების, „გაშლილი სოციალისტური მშენებლობის" წლებში, „შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრში", „ამიერკავკასიაში წინა აზიისკენ სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე" (საქართველოს ათასხუთასწლოვან დედაქალაქ თბილისში, — საუკუნოებრივად აღმოსავლურად მეტად

ჭრელად დასახლებულ უძველეს ქალაქში.

ახლა, ვინ იტყვის, რა მოელის ჩვენს ქალაქს, მოსახლეობის შემდგომი ზრდის საქმეში, როცა ყველაფერი ისევ შემობრუნდა, როცა საქართველოც უნდა ისევ ჩაერთოს მსოფლიოს ნორმალურ საერთო სამეურნეო პროცესში. როცა საქართველოშიც უნდა მოხდეს საერთოდ გამოცხადებული პრივატიზაცია. როცა ვერავინ შეაჩერებს კერძო ვაჭრობა-მრეწველობას; პირიქით, მას ხელიც კი უსაზღვროდ უნდა შეეწყოს. როცა, როცა როცა... მაგრამ ეს ჩვენი შთამომავლობის საქმეა. თბილისს კი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავისი ძველი როლი და მნიშვნელობა ჩვენი პლანეტის აღმოსავლეთ ჰემისფეროში.

—.—

დამთავრდა თბილისის გაბრწყინებული მაღაზიები რუსთაველზე და პუშკინზე, ერევნის მოედანზე და „სასახლის ქუჩაზე". ვორონცოვის ხიდთან „ნადკუროი" და „ელდორადო"; მცხეთისკენ, გზის დასაწყისში „ედემის ბაღი"; ხალხით გავსებული ბაღები პლეხანოვის პროსპექტზე.... დამთავრდა, დამთავრდა...

დამთავრდა „ნეპი"; დამთავრდა „ავანგარდიზმი" ლიტერატურასა და ხელოვნებაში; დამთავრდა სიტყვის და აზრის ის თავისუფლება; დამთავრდა, დამთავრდა, დამთავრდა... რუსეთში, სერგეი ესენინის შემდეგ, ახლა თავი მოიკლა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ... გამოცხადდა ქვეყანაში კლასთა ბრძოლის გაძლიერება და ქვეყნის გარედან საერთაშორისო რეაქციის გამძაფრება.

გაივლის ურთულესი, უმძიმესი ნახევარი საუკუნე (კიდევ მეტიც) ჩემგვარად „ბედნიერი" ძველი თაობის, „ასწლოვანი" ადამიანების თვალწინ, და ქვეყანა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ეს ახალი გზა ყალბი და არაბუნებრივია, რომ ეს გზა არ ვარგა, რომ ეს გზა მხოლოდ უფსკრულისაკენ მიდის და ადამიანები ცივ უარს იტყვიან მასზე. ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მოხდება ძირეული შემობრუნება და ამას დაერქმევა არა ისევე „პოეტური" სახელი „ნეპი", არამედ უფრო პროზაული და ვაჭრულ-ჩარჩული სახელწოდება — „საბაზრო-ეკონომიკაზე გადასვლა" დიახ, ასე. და ადამიანები სულს ამოითქვამენ — ყალბი, არაბუნებრივი გზა როგორც ერთვ ეთაოფილი და დაგმობილია. მხოლოდ ასწლოვან ბებრუხანებს გაახსენდებათ, რომ ოდესღაც, „ნეპის" დროს არსებობდნენ „ნეპმანები" — ოხერი და მუდრეგი ადამიანები და კიდევ უფრო ადრე გობსეკები, ვასა ჟელეზნოვები და სოლომონ-ისაკიჩ მეჯღანუაშვილები. მერე რა, გაახსენდეთ და არ დაივიწყონ!

და ეს ასწლოვანი ბებრუხანები კიდევ ერთხელ შეწუხდებიან, რომ **მეხამე გზა** არ არსებულა და კიდევ ერთხელ იფიქრებენ, რომ ეს „უახლესი" გზაც არ არის პანაცეა; რომ ადამიანებს, როგორც ახლა საბოლოოდ გაირკვა, საუკუნეების უგრძელეს მანძილზე სულ ტყუილად და სულელურად უოცნებიათ სოციალურ თანასწორობაზე, რომ ეს თანასწორობა სინამდვილეში მხოლოდ ბლეფია და ამის დამტკიცებას აგერ, ამ ბებრუხანების თვალწინ მოუნდა სამოცდაათი წლის გრძელ მანძილზე ადამიანების გაუგონარი ტანჯვა და წამება.

აქედან მე მხოლოდ ერთადერთი „ახალი" დასკვნის გამოტანაზე ვფიქრობ: ადამიანი, მით უფრო პატიოსანი, საწყალი კაცი, ამ ქვეყნად ქეიფისა და ბედნიერებისთვის არაა მოსული.

(არ ჰგვანან ერთმანეთს ეპოქები? ყველა კონკრეტულ შემთხვევასა და გამოსახულებაში შესაძლოა მართლაც არა, მაგრამ ზოგადად, რასაკვირველია, ჰგვანან და ძალიანაც ჰგვანან. ისევე, როგორც ერთმანეთს ზოგადად ჰგვანან ადამიანები: ყველა ადამიანს აქვს ორი ხელი და ორი ფეხი და ზედ ადგას ერთი თავი. თავი, რომელიც ყველა სხვა ნაწილს თავის ნებაზე წაღმა-უკუღმა ატრიალებს და საბოლოოდ მხოლოდ უბედურება მოაქვს მათთვის უმეტეს შემთხვევაში... ასეა ეპოქებიც).

დამთავრდა „ნეპი", დაიწყო ეპოქა რომელსაც შემდგომში ათასნაირი რომანტიკული სახელი ეწოდა. მის სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ სინამდვილეში დარჩა ის ეპოქა და სახელი, სადაც იგი საბოლოოდ მივიდა — ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეპოქა. სახელმწიფომ ხელში ჩაიგდო ქვეყნის მთელი ეკონომიკა; მილიონობით ადამიანის ბედი ქალაქადაც და სოფლადაც უხილავი აღვირებით სახელმწიფო აპარატმა ჩაიგდო ხელში განსაკუთრებით ქვეყნის მმართველმა მთავარმა ადამიანებმა. დაიწყო „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა", პიროვნების კულტის ეპოქა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის უნივერსიტეტის ახლადკურსდამთავრებული ახალგაზრდა პოეტი, საქართველოს მწერალთა 1932 წლის ყრილობის დელეგატი და შემდეგ 1934 წელს სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატიც ვიყავი, ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს ქართველ მწერალთა საზოგადოებრივობაში მე ჯერ კიდევ რაიმე თვალსაჩინო როლს ვთამაშობდი. ვმეგობრობდი ჩემი კუთხის კაცთან, ე. წ. „უპარტიო მწერლობის“ შედარებით ახალი თაობის წარმომადგენელთან, ალექსანდრე ქუთათელთან, რომელიც ათიოდე წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ უცოლშვილო და ჩემსავით „თავისუფალი მოქალაქე“. იგი უკვე ცნობილი მწერალი იყო, ავტორი ბერძნულ მითოლოგიაზე შექმნილ „ჰხრისეს გველისა“ და პიესისა „შუაღამემ გადაიარა“, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა ოციან წლებში თავისი თეატრის სცენაზე განახორციელა ისევე, როგორც ქართველი ავტორების — პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, დემნა შენგელაიას „თეთრები“, კარლო კალაძის „როგორ“, გერცელ ბააზოვის —„მუნჯები ალაპარაკდნენ“. იგი თბილისის უნივერსიტეტში იყო პროფესორ გრიგოლ წერეთლის პირველი მოწაფეთაგანი და სწორედ ამ დიდ მასწავლებელთან ურთიერთობამ ჩააგონა მას მისი პირველი ქმნილება ბერძნული მითოლოგიიდან. საბოლოოდ პროფესორი გრიგოლ წერეთელი — მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული ქართველი ელინისტი, პაპიროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მთელ მსოფლიოში, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელიც პეტერბურგისა და იურიევის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგეობიდან ამავე კათედრაზე გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში 1918 წელს, მისი დაარსების პირველი დროიდანვე — მის დატოვებასაც ფიქრობდა უნივერსიტეტში საპროფესოროდ, რასაც მოწაფემ სამწერლო ასპარეზი არჩია და ალექსანდრე ქუთათელს ამის გამო შემდგომ არაერთხელ გამოუთქვამს ჩემთან სინანული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო განათლება თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ჰქონდა რუსულ ენაზე მიღებული; ქართული მწერლობის კარგ მცოდნეს, უყვარდა და ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით თედორე დოსტოევსკის, რომელიც იმ წლებში განსაკუთრებულად იტაცებდა ახალგაზრდობას მთელს რუსეთში და, რასაკვირველია, საქართველოშიც. გიმნაზიაში ითვლებოდა შესანიშნავ ტანმოვარჯიშედ, გიორგი ნიკოლაძისა და დათა ჯავრიშვილის ამხანაგი. გარეგნულად, ჩაცმულობით, სწორედ რომ ევროპულად გამოწკიპული, შინაგანად, სულიერად, ცხოვრებისეულად ნამდვილი ბოჰემა იყო.

ზედმიწევნით ერუდირებული განათლებული ლიტერატორი, განსაკუთრებით ცისფერყანწელებთან იყო დამეგობრებული, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან.

არაფრისმქონე, თავისუფალი, და მეოცნებე კაცი ვმეგობრობდი მასთან, არაფრისმქონე, თავისუფალ და მეოცნებე კაცთან. ვმეგობრობდი სხვებთან, ვსულდგმულობდი საქართველოს მწერალთა კავშირში ყოველდღიური შეხვედრებით და იქ გამართული ცხარე დისპუტებითა და საღამოებით; თავს ვირჩენდი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში სამსახურით. შემდეგ მწერალთა კავშირში პოეზიის განყოლების კონსულტანტი, როცა დრამატურგთა კონსულტანტი იყო შალვა დადიანი და პროზისა ლეო ქიაჩელი.

1938 წ. დავინიშნე ახალგაზრდობის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ (ახლანდელი „ცისკრის“) რედაქტორად. ჩემი ასპარეზზე გამოსვლა დაიწყო 1939 წლიდან, როცა ქართველ მწერალთა II ყრილობაზე კენჭის ყრით გამგეობაში არ აირჩიეს საქართველოს მაშინდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი და ახალი გამგეობის პლემმა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ამირჩია მე. დაიწყო ჩემს ცხოვრებაში პასუხისმგებ-

ლობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ურთულესი წლები რამდენადაც ეს წლები დაემთხვა მეორე მსოფლიო ომს. მაგრამ ეს უკვე ორმოციანი წლებია.

ჯერ მხოლოდ ჩემი ახალგაზრდობის ლექსები ქვეყნდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაგანაც ზოგიერთმა მართლაც მაშინვე დაიმსახურა მკითხველის, მათ შორის ჩვენი ცნობილი პოეტების, ყურადღება და მოწონება და რომელთაგანაც ზოგიერთი ახლაც მიყვარს და სიამოვნებით შემაქვს ხოლმე ჩემს წიგნებში. მიყვარდა ქართველ სახელოვან პოეტებთან ერთად პოეზიის საღამოებში მონაწილეობა, არამარტო თბილისში — მთელ საქართველოში .შემდეგ კი მოსკოვშიც, ლენინგრადშიც.

თუ არა და თბილისში, ჩემს პატარა ყუთში ფიქრიგორაზე, მყუდრო დუშეთის ქუჩის შესახვევში, ხელს არავინ მიშლის, მთელ მსოფლიოსთან მქონდეს მჭიდრო ლიტერატურული კავშირი. უცხოეთიდან მოსკოვამდე და მერე თბილისამდე აღწევს პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ოციან, ოცდაათიან, წლებში სამწერლო სამყაროს ცაზე გამობრწყინებულ ახალ ვარსკვლავთა სახელები, რომლებიც მანამდე კაცობრიობას, ლიტერატურის მოყვარულ ადამიანებს ჯერ კიდევ არ გაეგონათ, ყოველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც.

თუმცა მეორე მსოფლიო ომს როგორ შეედრება, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმაც უდიდესი, მანამდე გაუგონარი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. დიდ ხელოვნებასა და ლიტერატურას მსოფლიოში დიდი კატაკლიზმები ასაზრდოვებენო და მართლაც იმ ტრაგიკულ წლებს თან დიდი ლიტერატურული აფეთქებაც მოჰყვა; ჩვენც ერთმანეთს ხელიდან ვგლეჯდით და ხელიდან ხელში გადადიოდა იმ ახალ ვარსკვლავთა წიგნები: რემარკის — „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და ჰემინგუეის — „მშვიდობით იარაღო“, ჟიონოს — „დიდი ფარა“ და სელინის — „მოგზაურობა ღამის პირას“ („Путешествие на край ночи“), ბარბიუსის — „ცეცხლი“ და „ბერ რუსეთის რევოლუციის მხატვრული გამოძახილი — ბაბელის „ცხენოსანი არმია“ და შოლოხოვის „წყნარი დონი“; ტოლსტოის „გზანი წამებისანი“ და პილნიაკის, ფედინის, ფურმანოვის, სერაფიმოვიჩის, ფადეევის, გლადკოვის წიგნები (ბევრ მათგანს, ამ სახელოვან მწერლებს შემდგომში, ცხოვრების გზაზე, მე არაერთხელ შევხვდები და დავუმეგობრდები კიდეც მწერალთა შეკრებებზე, ფორუმებზე, პრაქტიკულ სამწერლო და საზოგადოებრივ საქმეებში).

ხელიდან ხელში გადადიოდა დიდ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა მემუარები: ომისდროინდელი იტალიის თავკაცის ნიტტის — „ევროპა უფსკრულთან“, ინგლისელი ლოურენსის „ჯანყი უდაბნოში“, ანდა „ინგლისელი ჯაშუში გერმანიაში“, მაგრამ განსაკუთრებულად ხელიდან ხელში ტრიალებდა შულგინის „დღეები“, „20 — წელი“ და „სამი სატახტო ქალაქი“. რუსეთის სამოქალაქო ომიდან. მართალია შულგინის ეს წიგნები ნებადართულად და კანონიერად იყო გამოსული, მაგრამ რატომღაც ფარულად, თითქმის არალეგალურად ვრცელდებოდა, ისევე, როგორც ჩვენი ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა“, რომელიც იმ წლებშივე, ოციან წლებში გამოვიდა (თბილისი. 1925 წ.) სათანადო წინასიტყვაობით.

ცხოვრების გზაზე ყველასთან შეხვედრას ვიფიქრებდი, მაგრამ შულგინთან შეხვედრა არც დამესიზმრებოდა. იგი რუსეთის მონარქიის უერთგულესი მსახური და რევოლუციის დღეებშიც სამეფო კარის უახლოესი კაცი, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში გაიქცა და მართალია, სამოქალაქო ომების დროს „სოვდეპიაში“ (როგორც იგი ეძახდა) არაერთხელ უდიდესი კონსპირაციით შემოიპარა, მათ შორის მრისხანე კატოვსკის არმიაშიც, მაგრამ ემიგრაციაში დარჩა და მას შემდეგ ორმოცზე მეტი წელი გავიდა. და აი, სამოციანი წლების მოსკოვის ერთ დიდ ფორუმზე, რომელსაც ვესწრებოდით მეც და მიკოლა

ბაკანიც, უცებ ბაკანი მეუბნება — გინდა ნახო შულგინი? მე იგი ცოცხალიც აღარ მეგონა. ახლა კი რუსეთში ნიკიტა ხრუშჩოვს ჩამოუყვანია და აგერ ამ ჩვენს ფორუმსაც სტუმრად ესწრებოდა. კრემლის ყრილობათა სასახლეში ვნახე; ღრმად კი არა, უღრმესად მოხუცებული, ჩემზე მეტად მაღალი, გამხდარი, და, მე კიდევ რა მიშავს, იგი მართლაც აწოწილი აღნაგობის კაცი იყო. საიდან სადაო, არა მარტო გეოგრაფიული, არამედ უფრო მეტად, დროის, წლების მიხედვითაც — უკვე თითქმის ორმოცი წლის წინ ჩვენი მხედველობის არიდან გამქრალი „20 წლის“ ავტორი ნამდვილად ბრწყინვალე სტილის მოგონებათა მწერალი. რა გატაცებით ვკითხულობდით მის მემუარებს იმ ჩემი ახალგაზრდობის წლებში!

საბოლოოდ იგი მაინც რუსეთში დაიმარხა. შულგინი, რუსეთის იმპერატორის უერთგულესი კაცი, დიდებული მემუარების მთხრობელი.

—.—

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არ იყო მხოლოდ გლეხობის გაერთიანება კოლმეურნეობებში; ეს იყო საერთოდ მთელი ქვეყნის ადამიანთა საყოველთაო კოლექტივიზაციის წლები, სახელმწიფოებრივი ცდა, პიროვნების გაუქმებისა და ადამიანთა გადაქცევისა კოლექტივის წევრად (ამ „საიდუმლოს“ დროდადრო ბევრი შემოქმედი ჩაწვდა ღრმად და მათ შორის პირველ რიგში „დოქტორ ჟივაგოს“ ავტორი). წევრი და არა პიროვნება! უძველესი ლეგენდის პურის ყანის მსგავსად, სადაც შიგადაშიგ განსაკუთრებულად ამოზიდულ თავთავს მხოლოდ თავის წაცლა მოელის. და ამ ზარმა პირველად სწორედ ოცდაათიანი წლების დასაწყისში დარეკა.

როგორც აგრარული პრობლემის გადაჭრის ფორმა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გამოგონებული იყო, რასაკვირველია, არა საქართველოსთვის, სადაც მიწის 80% მთებია, არამედ რუსეთის თვალუწვდენელი ველებისათვის და ეს ფორმა რუსეთის მრავალი რაიონისთვის კიდეც ზედგამოჭრილია; აგერ ხომ, ჩვენს გარდაქმნის ეპოქაშიც, არის მთელი ოლქები, რომლებიც კოლმეურნეობებს ახლაც ვერ თმობენ და მთავრობაც ამის გამო იძულებული ხდება აღიაროს სოფლის მეურნეობაში მრავალსახეობის პრინციპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო რომ კოლმეურნეობებისთვის შესაფერი ქვეყანა არ იყო, ეს, რამდენადაც ყური მომიკრავს, თვითონაც ნიკიტა ხრუშჩოვსაც კი დაუდასტურებია, როცა მას, ორმოცდათიან წლებში, აქ ყოფნისას ერთხელ კიდევ გაუხედავს ჩვენი მთებისკენ. ხოლო სტალინს...

...ოციან წლებში.

ლევ ტროცკის წიგნში „სტალინი“ (ტომი II) ასეთ ადგილს წავაწყდი: ლენინის სიკვდილის მეორე დღესვეო, წერს გაგულისებული ავტორი, სტალინმა სცადა ნაციონალიზებული მიწები გლეხებისთვის გადაეცა მრავალწლოვან „მფლობელობაში“ პირადი ნაკვეთების სახით და

«Сталин пытается первый опыт денационализации провести в Грузии. По секретной инструкции Сталина грузинский Нарком земледелия подготовил проект передачи земли в подворное владение крестьян. Только протесты Зиновьева, который оказался в курсе заговора, и тревога, поднятая проектом в партийных кругах, заставила Сталина, еще не чувствовавшего себя твердо на ногах, отказаться от своего замысла. Козлом отпущения оказался, разумеется, злополучный грузинский Нарком».

მე არ ვიცი რას ნიშნავს ეს. ჩემს ამ მოგონებაში კი ეს ამონაწერი მხოლოდ იმიტომ მოვიტანე, რომ ჩანს თვითონ სტალინიც იმჟამად საქართველოს არ თვლიდა კოლექტივიზაციის ქვეყნად.

მართლაც, საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მეტად რთულ, ძნელ და ზოგჯერ ტრაგიკულ მოვლენათა პირობებში ჩატარდა. ქართველი გლეხი, დიდი ქვეყნების გლეხისგან განსხვავებით, საუკუნოებით ტრადიციულად წვრილი კერძო მესაკუთრეა. ის თავის პატარა მიწას, რაიც მას გამჩენმა ხელმოჭერილად მისცა, შვილივით უვლის. ეალერსება, გულმოდგინეთ შემოღობავს და ერთი გოჯის წართმევასაც არავის აპატიებს ხოლმე;

კოლექტივიზაციამ კი ერთბაშად მთლიანად წაიღო იგი. დიდი უკმაყოფილება იყო ქართულ სოფლებში, რაზეც მაშინ რისამე თქმა, მით უმეტეს პრესაში, წარმოუდგენელი იყო. მე, სრულიად ახალგაზრდა კაცი, იმ ხანებში ჩემი გავლენიანი ნათესავის დახმარებით ერთი ჩვენი გაზეთის რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტად მოვეწყე. ჯერ კახეთში მიმავლინეს იმ გაზაფხულზე, თელავის რაიონში, სადაც კოლექტივების ჩამოყალიბებას ვესწრებოდი და დღემდე დამამახსოვრდა განსაკუთრებულად რთული მდგომარეობა პანკისის ხეობაში. იქ, ჩემი ყოფნის დღეებში, მოკლეს „აქტივისტი“ ვინმე ზასეშვილი, ხოლო დიდი ცხვრის ფარის პატრონი ვინმე „გოთა“ სასიკვდილოდ დაჭრეს და ზედ ლექსიც მიაყოლეს: „განგაკულაკეთ გოთაო, არც ახლა მოხვალ გონთაო?“ შემდეგ სამეგრელოში გამგზავნეს, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, სადაც ჩაის პლანტაციებისთვის მზადდებოდა ნიადგი; იჩეხებოდა საუკუნეობრივი გაუვალი ტევრები ნაჯახით, ცულით, ბარით, უტექნიკოდ. ჯერ კიდევ მხოლოდ კანტიკუნტად, მხოლოდ აქა-იქ გუგუნებდა ამერიკული ტრაქტორი „ჰოლტ“.

დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო მეტად იგრძნობა მცირემიწიანობა ვიდრე კახეთში, ვთქვათ, შირაქის ველზე. ამიტომაც აქ ორმაგად იყო გლოვა კერძო საკუთრების, კერძო მეურნეობის გამოთხოვების დროს.

ღმერთო! მას შემდეგ დღემდე ექვსი ათეული წელი გავიდა!

ქართულმა მწერლობამ ზოგ თავის ქმნილებაში, როგორც ცნობილია, შედარებით ვრცლად ასახა იმ წლების ჩვენი სოფლის დრამატიზმი. საერთოდ კი უნდა ითქვას, ძირითადად ჩვენი მწერლობის დამოკიდებულება სოფლის მეურნეობაში ამ უდიდესი მოვლენისადმი სამწუხაროდ იყო ყველა ჩვენგანის მიერ ერთხმად თქმული დასტური. მიუხედავად დიდი ტკივილებისა, ქართულმა მწერლობამაც არსებითად დაიჯერა, რომ კოლექტივიზაციის გზა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის იყო ერთადერთი და აუცილებელი გზა.

დიახ, დაიჯერა, მაგრამ მისი მხატვრული დაძლევა, მისი მხატვრულად ამაღლება, ეს უნდა ნამდვილად ითქვას, ვერ შეძლო. ამითაც უნდა აიხსნას იმჟამად რუსული „მემარცხენეობის“ გავლენით ქართულ მწერლობაშიც შემოჭრილი „სიახლე“ — მხატვრული ნარკვევებით გატაცება, თითქოს მხატვრულ ნარკვევს შეეძლო შეეცვალა რომანის ჟანრი, ხოლო პოეზიაში ე. წ. „ფაქტის პოეზია“ — ყოველგვარი „მეტაფიზიკისა“ და პოეტური სამკაულების გარეშე. ასე დაიბადა იმხანად ლექსები: „მხარი მხარს, მხარი მხარს“; „ორპირელი კომკავშირელი კრემლში“; „ებრაელების დასახლება კოლხიდაში“; „ხევსურული ძროხა“, „გმირი და პოეტები“, „ჩემს ობლიგაციებს“, და უამრავი კიდევ სხვა. ზოგიერთ ასეთ ლექსზე მაშინ წერდნენ, ნამდვილი შედევრებიაო.

1934 წლის დასაწყისში მწერალთა კავშირში დიდი დისკუსიაც გაიმართა ნარკვევის თაობაზე. იმავე წლის თებერვლის „ლიტერატურულ გაზეთში“ კი დაიბეჭდა ამ დისპუტის ანგარიში, სადაც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა — ნარკვევი არ არის პირველხარისხოვანი ლიტერატურული ჟანრი. მხატვრულ მწერლობაში იგი დროებითი მოვლენაა. ნარკვევს მეტ წილად მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა სწრაფად წარმავალი ამბების ასახვაო.

იყო დიდი კურიოზებიც, მაგალითად: რადგანაც ოსტატი მწერლები ახალ, რეალურ ცხოვრებაში ჩაუხედაობის გამო ვერ სძლევდნენ „აქტუალურ თემებს“, გადაწყდა თვითონ მუშების გაწვევა მწერლობაში. მახსოვს თბილისის საორთქლმავლო-ვაგონშემეკეთებელ ქარხანაში მიმაგრებული ვიყავით: ვალერიან გაფრინდაშვილი, სიმონ ჩიქოვანი რაჟდენ გვეტაძე და მე. ვაყალიბებდით ლიტერატურულ წრეებს, ვეხმა-

რებოდით კედლის გაზეთის გამოცემაში, სადაც ჯერჯერობით ქვეყნდებოდა მუშა-მწერლების ნაწარმოებები.

ისევ შიმშილისა და სასურსათო ბარათების წლები.

გარდაქმნისა და საჯაროობის დღევანდელ ეპოქაში ის დიდი შიმშილობა და ბევრი იმდროინდელი უბედურება გამოვიდა მზის სინათლეზე, განსაკუთრებით უკრაინასა და ვოლგისპირეთში. საქართველოში ისეთ უკიდურესობამდე ეს ტრაგედია არ მისულა, ამიტომაც დაიძრა ჩრდილოეთიდან ჩვენკენ დამშეულ ლტოლვილთა ტალღა, განსაკუთრებით უპატრონო ბავშვების, „პაცანების“ ზღვა. (გაიხსენეთ კინოფილმი „საგზური ცხოვრებაში“).

მაგრამ... სულ ორიოდე წელი და როგორც ბერნარდ შოუ ათიოდე წლის წინ, ახლა მეორე უცხოელი, დამკვირვებელი, ლიონ ფოიხტვანგერი ამბობს თავის წიგნში „მოსკოვი 1937“—„შიმშილის წლები უკან დარჩა... მათ უკვე გააჩნიათ მრავალი რამ, რაზეც ჯერ კიდევ ორი წლის წინ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთო“. აქ მე ფოიხტვანგერს კი არ ვიმოწმებ, პირიქით, მე მას ვემოწმები. იმ წლების ქართულ სოფელზე ,ანუ როგორც მაშინ ვიტყოდით, საკოლმეურნეო თემაზე, როგორც ცნობილია, შეიქმნა მთელი სერია რომანებისა, მოთხრობებისა, ლექსებისა და პოემებისა, პიესებისა, კინოფილმებისა და მხატვრული სურათებისა, სიმღერებისა და ორატორიებისა. ჩემი მკითხველი, ალბათ, არ მომთხოვს მათ აქ ჩამოთვლას.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ფოიხტვანგერის იმავე წიგნიდან: „არავითარი ეჭვი არაა, რომ ეს გადაჭარბებული ქება-დიდება უდიდეს შემთხვევებში გულწრფელიაო“. და აქაც მე ფოიხტვანგერს კი არ ვიმოწმებ, პირიქით, მას ვემოწმები.

რასაკვირველია, არავის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ყოფილიყო ხვალ. რა იყო კოლექტივიზაციის ხვალინდელი დღე. დადგენილება მიღებულია, ეს ასე გადაწყვიტა „მან“, მაშასადამე, ეს ასეც უნდა მოხდეს! და უნდა მოხდეს ყველგან, მთა და ბარში. ახლა საქმე ჩვენთვის მხოლოდ ის არის, როგორ აისახოს ეს ყოველივე მხატვრულ, პოეტურ სიტყვაში. და წავიდა... ვინ, ვის!

კოხლეთის მომავალი კი თითქოს მართლაც ნათლად ჩანდა და ეს მომავალი კოლხეთს კიდეც დაუდგა. ახლა ძნელი წარმოსადგენია რა იყო იგი გუშინ. ეს მხოლოდ ძველი თაობის ადამიანებმა ვიცით; ვერავითარი სურათი, რა სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი, ვერ მისცემს დღეს ვერავის იმ წარმოდგენას, რასაც კოლხეთი სინამდვილეში წარმოადგენდა გუშინ, თავისი უნაყოფო ჭაობებითა და ჯაგებით, თავისი შმორითა და მალარიით თავისი ხვატითა და კოღოებით. მე, ძველ კაცს, შემიძლია კოლხეთში მომხდარ ამ ცვლილებებს ვუწოდო „კოლხეთის სასწაული“ ქართულ საქმეთა კატეგორიაში.

(გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის „რიონ—პორტის დასაწყისიდან“: „სვამენ წვიმის წყალს თბილსა და მდორეს და სიცხისგან სულ აყროლებულს. აქ არ მწიფდება არასდროს ხილი, წყალს ზევით ადის რაღაცა ნისლი, ჰაერს რომ ალპობს და მუდამ სწამლავს“. ასე სწერსო ჰიპოკრატე — ძველი ბერძენი, ამბობს ტიციან ტაბიძე).

აქ კი ნამდვილად უნდა ითქვას, ლიტერატურამ და ხელოვნებამ არამც თუ გადააჭარბა და ზედმეტი ეიფორიული ხოტბა შეასხა კოლხეთის გარდამქმნელ ადამიანს, არამედ, ხეირიანად, შთამბეჭდავად ვერც კი დახატა იგი.

თბილისში კი ამ დროს ქუხს ბრძოლები მეცნიერებასა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. არა მარტო თეატრის მოღვაწენი, მთელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენცია გაიყო ორ თრონტად მარჯანიშვილისა და ახმეტელის გამო. ქუხს ბრძოლები მწერალთა კავშირისა და თბილისის უნივერსიტეტის კედლებში. „ბურჟუაზიული მწერლობისა“ და „ძველი პროფესურის“ წინააღმდეგ. ეს ყოველივე, დღეს კარგად ცნობილი ამბები, ძველი კაცის ყურში ჩარჩენილი ოციანი წლების ბოლოსა და ოცდაათიანი წლების გუგუნია.

არსებობს ერთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობის — 1902 წელს რუსულად თარგმნილი და სანკ-პეტერბურგში გამოცემული ფრანგი მეცნიერის მორის მიურერის „ებრაული გონება" („Еврейский ум"), რომლის წინასიტყვაობაშივე ავტორი წერს:

«В умственной жизни современного европейского общества с каждым годом все яснее и яснее проступает одна характерная черта: вымирание критической способности и рост слепой доверчивости к господствующим тенденциям».

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს წიგნი მშობლიურ ენაზე გამოცემის მეორე დღესვე არ იქნებოდა თარგმნილი რუსულ ენაზეც, — მაშ, როდის შეუმჩნევია ევროპაში ამ კაცს ეს უცნაური და შემდეგ ჩვენს საუკუნეში ზენიტამდე ასული საშინელი ტენდენცია, რასაც საუკუნის შუა წლებში ასეთი დიდი მსოფლიო ტრაგედია მოჰყვა. ცნობილია, საუკუნეებში დროდადრო არსებობს რაღაც გონების დაბნელების სნეულება, გონებრივი ჭირის ეპიდემია, რომელიც სადღაც იწყება და შემდეგ ჩვენი პლანეტის მთელ რიგ რეგიონებს მოედება ხოლმე. სხეულის სნეულების ეპიდემიებისგან განსხვავებით გონების ჭირის ეპიდემია საწყის ფორმაში ყოვლად შეუმჩნეველია, ანდა კიდეც რომ ვინმემ შეამჩნიოს, მათს განგაშს სათანადო ყურადღებას არავინ მიაქცევს და ხალხის ფართო მასები ამ გაფრთხილებას არაფრად დაგდევს. ეს ჭირი თავდაპირველად პატარა გუნდად აგორდება და ესკალაციურად თანდათან ზვავად იქცევა. მერე კი უკვე გვიანღაა. (ჯერ კიდევ როდის შეამჩნია ეს ინფექცია იმ ფლორენციელმა ჭინკა კანცლერმა). ჩვენი საუკუნე ამის მაგალითია. ეს ეპიდემიები დასაწყის ფორმებში ხშირად ადამიანთა მასების დიდ სიმპათიებსაც კი იხვეჭს ხოლმე, ზოგჯერ კი მასში ხსნასაც კი ხედავენ. მით უმეტეს თუ ირგვლივ და გარშემო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მდგომარეობა რთული და კრიზისულია, ახლანდელი ისტორიკოსი შეგვახსენებს:

Без сомнения, обострение экономической ситуации на Западе.

«Великая депрессия» 1929 года, наступление фашизма, с одной стороны, и громко провозглашенный курс 1-ой пятилетки в СССР вызывают повсеместно на западе новый, естественный прилив интереса к советской стране: не там ли выход, спасение Европы, человечества? «Именно здесь, в России — воскликнул Бернард Шоу — Я убедился, что новая коммунистическая система способна вывести человека из нынешнего кризиса и спасти его от политической анархии и разрушения.

ბერნარდ შოუმ რუსეთში სამოთხე დაინახეთ, წერდნენ მაშინ უცხოეთში მისი თანამედროვენი. მაგრამ გავიხსენოთ ისიც, რაც [illegible] — ეს შეეკითხნენ: რატომ შენ თვითონ [illegible] სამოთხეშიო, შოუს თავისი ცნობილი ცინიზმით უპასუხნია — მე ღმერთმა ჯოჯოხეთი მომისაჯაო.

ისევ ის საკითხი, რომელიც ჩვენში დღესაც გაისმის, აქა-იქ გაისმოდა 30-იან წლებშიც ჩუმჩუმად, მოაზროვნე ადამიანებში: — იყო თუ არა რუსეთი მზად დემოკრატიისათვის? მაშინ ამ საკითხს უმეტესობა ასე პასუხობდა: — რუსეთი არაა მზად დემოკრატიისათვის; ხოლო, პირიქით, რაგინდრანაირი დიქტატურისთვის — ივანე მრისხანის, პეტრე დიდის, რონანოვების რუსეთი ყოველთვის მზად იყო და მზად არისო. მაგრამ XIX საუკუნის, პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლუბოვის, გერცენის რუსეთი? როცა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ამ თვალუწვდენელ მიწაზე გაისმოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ შთაგონებული მოწოდებები?

და, აი, ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა ამ რუსეთში რევოლუციამ ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე და რა მოხდა? — თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ქვეყნის სათავეში მოვიდა ჯერ ერთი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მეორე დიქტატორი.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელ რუსეთში ბევრი ტოლსტოველი იყო და მათ დიქტატურისა და დიქტატორების კი არა, თვითონ ღმერთის მიმართაც კი ჰქონდათ პრეტენზიები; იმ ღმერთის მიმართ, რომელსაც ეკლესია აღიარებს და ემსახურება, რომელსაც ეკლესია და მორწმუნენი ადიდებენ და ხოტბას ასხამენ. „რაში სჭირდება ეს ღმერთს?" ნუთუ ყოველისშემძლე უფალს არა სძაგს ეს ქება-დიდება, როცა აგერ ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზე უმწეო ლევ ტოლსტოის ასეთი რამ თვალითაც კი არ დაენახვებაო. ღმერთს მხოლოდ საქმეები უნდა სჭირდებოდესო.

და, აი, ასეთ რუსეთში ტოლსტოის წასვლიდან მეორე დღესვე მოვიდნენ ადამიანები, მოითხოვეს ეს ქება-დიდება და მიიღეს კიდეც. და მიიღეს პირდაპირ გოდრებით, მიიღეს ჩვენგან, ყველასგან. ყველა ჯურის, ეროვნებისა და პროფესიის ადამიანთაგან, განურჩევლად სქესისა და ასაკისა; იმათგანაც კი, ვისაც აშკარა და დაუნდობელი ანალიტიკური გონიერება და გამოცდილება გააჩნდა:

ნეტავ თუ ჰქონდა წაკითხული ლევ ტოლსტოის ფრანგი მეცნიერის ზემოდნახსენები წიგნი? ან თუ ერთი წუთითაც კი წარმოიდგენდა იმას, რაც მისი სიკვდილის მეორე დღესვე დატრიალდა მთელს რუსეთის იმპერიაში, და რაზეც თურმე, როგორც ახლა ჟურნალმა „ლიტერატურნოე ობოზრენიემ" გამოაქვეყნა, თვით მაქსიმ გორკი 1918 წელს თავის ორგანო „ნოვაია ჟიზნში" წერდა;

«Я знаю, что они производят жесточайший научный опыт над живым телом России».

(ახლა, 1988 წელს გამოქვეყნდა. სრული 70 წლის მერე!).

—.—

ნუ ვიტყვით, რომ ოციანი წლების მეორე ნახევარში, „ნეპის" პერიოდში ახალ სინამდვილესთან შერიგებულმა ქართულმა ინტელიგენციამ მხოლოდ ინერციით განაგრძო გზა და შედგა ფეხი შემდგომ ათეულ წელში. დღეს რაგინდ გასაკვირველიც არ უნდა იყოს, ოცდაათიან წლებში ჩვენი ინტელიგენცია ძირითადად და შეგნებულად შევიდა საბჭოური დროშით. თვით შეურიგებელნიც კი ძირითადად ახალი სინამდვილის მხარდამხარ დგანან და მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგში აშკარა და ნათელია ზემდგომი ორგანოების, მმართველობის უკიდურესი ადმინისტრაციული ხასიათი და მთავრობის ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებისას ბევრგან მეტად დრამატული მოვლენებიც, ინტელიგენცია უმრავლესობით დგას თავის ახალ პოზიციაზე. მის ამ ახალ პოზიციაზე განმტკიცებაში, როგორც ამის გამო ბევრჯერ თქმულა, უსათუოდ დიდი როლი შეასრულა იოსებ სტალინის ეროვნულმა წარმომავლობამაც, მისმა ქართველობამ.. ჩვენი დედამიწის ერთი მეექვსედის სათავეში პატარა საქართველოს შვილის — ქართველი კაცის გამოჩენამ.

ორმოცდაათიან წლებში სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, მოსკოვში ბევრი ამტკიცებდა, თითქოს სტალინის პიროვნების კულტი საქართველოდან წავიდა რუსეთში. ვიტყვი, რასაკვირველია, შემდეგ და შემდეგ ამ საქმისათვის არც ჩვენ დაგვიკლია ხელი, მაგრამ არა, ეს კულტი პირიქით საქართველოში იქიდან, ზემოდან მოვიდა.

განსაკუთრებით მოქმედებდა ქართული ინტელიგენციის იმდროინდელ განწყობილებაზე, და არა მარტო ქართულ ინტელიგენციაზე, სტალინის სახელის აღზევება უცხოეთის ქვეყნებში; უცხოეთის გამოჩენილ ადამიანთა აზრები სტალინზე. სწორედ იმ ხანებში, როცა ბერნარდ შოუმ იმოგზაურა რუსეთში და სტალინი ჰამილტონს შეადარა, ლენინი კი ჯეფერსონს, რომენ როლანმა რუსეთის დიდი მეთაური რომის იმპერატორ ავგუსტუსს მიამსგავსა, ანრი ბარბიუსმა კი, როგორც ცნობილია, თქვა: „სტალინი დღევანდელი ლენინიაო".

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ და, რასაკვირველია, არა მარტო ქართულ ინტელიგენციაზე, მაქსიმ გორკის რუსეთში საბოლოო დაბრუნებამ, იგი ხომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მკაცრად დაუპირისპირდა რევოლუციასა და თვით ლენინს. ახლა კი, აგერ, იოსებ სტალინთან სურათიც გადიღო და უკვე სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე სტალინზე თქვა:

«В стране... неутомимо и чудодейственно работает железная воля Иосифа Сталина».

როცა სტალინი გარდაიცვალა, იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა პიეტრო ნენიმ თქვა — დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი მისტიფიკაციის ეპოქაო. თუმცა ეს მისტიფიკაცია ინერციით ერთხანს (ღა, რაღაცნაირად მგონი დღესაც). ისევ გრძელდება.

ეს იყო, როგორც დღეს გაირკვა, მისტიფიკაცია, რომლის ნარკოზიც ჩვენი საუკუნის მთელი თაობების ორგანიზმში შეიჭრა და დღეს ნურავის ჰგონია, რომ ამ ნარკოზით გაჟღენთილი თაობების ეპოქისადმი სამსახური ყოველთვის მხოლოდ ზიზისა და ანგარებისმიერი იყო, ან კიდევ თავისი მშობლიური ერის ერთგულებისა და სამსახურისგან განრიდება.

ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სსრკ-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საომარ მზადებას და, ალბათ, ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გადაწყდა მომავალ ომში მთავარსარდლის საკითხიც.

მაშ, ლიტერატურამ და ხელოვნებამაც უნდა დააკანონოს ეს გადაწყვეტილება. ავტორხანოვისა არ იყოს, ბელადის სახელის განდიდება მართლაც ერთბაშად არ მომხდარა, მაგრამ ლიტერატურასა და ხელოვნებაში პირიქით, სწორედ ერთბაშად მოხდა:

...ერთხელ მე ამაზე უკვე ვუამბე ჩემს მკითხველს, ეს იყო, როგორც მახსოვს, 1933 წლის დასაწყისში, მწერალთა კავშირში მოვიდა პარტიის წარმომადგენელი და მწერალთა სპეციალურ კრებაზე განაცხადა, რომ თუ მანამდე აკრძალულივით იყო, დღეიდან ნებადართულია და უკვე არამც თუ სასურველი, არამედ საჭიროც, დაიწეროს მხატვრული ნაწარმოებები ხალხთა დიდ ბელადზე, ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე.

ამ სიტყვებმა მწერლებზე ისე იმოქმედა, როგორც ამნისტიამ. ახლა მე მიჭირს ასე ირონიულად თქმა ამისა, მაგრამ სწორედ იმის შემდეგ გაიხსნა ნამდვილი ლიტერატურული მარათონი, ვინ ვის....

ყველა მწერლის პატრიოტულ, მორალურ, მოვალეობად იქნა აღქმული იმჟამად ე. წ. „სტალინის თემა". საქართველოში ამ საქმეს გულწრფელად უმეთაურეს უფრო „ცისფერყანწელებმა", ვიდრე ე. წ. პროლეტარულმა, უკვე ავტორიტეტდაკარგულმა მწერლებმა.

პირდაპირ ვიტყვი — ქართველ გამოჩენილ მწერალთა მიერ ესეც ქართულ საქმედ იქნა იმ ხანებში მიჩნეული და ისეთ ქმნილებებში, როგორიც „ბავშვობა და ყრმობაა", ეს სწორედ ასეც იყო. აბა, დღესაც გადაიკითხეთ ეს, ნამდვილი პატრიოტის კალმით ოსტატურად დაწერილი პოემა, იქ ხომ უპირველესად საქართველოა დახატული, მისი დიდი ისტორია, მისი დიდებული ბუნება. მისი შესანიშნავი ტრადიციები.

ხომ ვერავინ დაასახელებს არა მარტო საქართველოში, თითქმის მთელ საბჭოთა კავშირშიც კი ცოტად თუ ბევრად ცნობილ მწერალს, რომლის სიტყვასაც რაიმე ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში, რომ სტალინზე სიტყვა არ დაეძრას. არა მარტო მწერლობა და ხელოვნება, მუსიკა, მხატვრობა, კინო, თეატრი; არა მარტო ჰუმანიტარული მეცნიერება, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაც — ტრიბუნაზე, კათედრაზე სიტყვას არავინ დაიწყებდა სტალინის ციტირების გარეშე.

პოეზია, რასაკვირველია, უფრო სწრაფად გამოეხმაურა ამ თემას; სასწრაფოდ მომზადდა ბელადისადმი მიძღვნილი პირველი ქართული პოეტური კრებული. მალე დაიწერა მოთხრობები, რომანები, პიესები. თეატრებში შეიქმნა სპექტაკლები, კინოში მხატვრული ფილმები.

* * *

ცნობილ ამბებს საქართველოში რუსი მწერლების ჯგუფის ჩამოსვლის შესახებ 1933 წელს, აქ ერთი რაიმეც დავუმატოთ: ამჟამად მოწინავე და საქვეყნოდ ცნობილი რუსი მწერლები — ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვ. დიდი სიამოვნებით ჩამოვიდნენ არა მარტო პუშკინის, ლერმონ-

ტოვის, გრიბოედოვის, ტოლსტოის, გორკის ნაკვალევზე, არამედ, ამავე დროს, იოსებ სტალინის სამშობლოშიც.

რუსი მწერლების ამ ჯგუფის ოფიციალური მიზანი, რასაკვირველია, იყო ის, რაც კარგადაა ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში — 1934 წლისთვის მოსკოვში დანიშნული სსრკ მწერალთა წინასაყრილობო მზადება; ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშთა თარგმნა რუსულ ენაზე. მაგრამ ახლა შესაძლოა ისიც ითქვას, რომ ამ ჯგუფში შემავალი პოეტებისთვის სტალინის სამშობლო საქათველო და თვითონ სტალინიც უნდა ქცეულიყო (და იქცა კიდეც) ახალი შთაგონების წყაროდ. ეს, რამდენადაც მახსოვს, მათაც იმ პოეტებმაც კარგად იცოდნენ მაშინ; დიდად მადლობელნიც იყვნენ თავიანთი ბედისა და ეს დიდი ხნის ოცნებაც კი იყო მათი.

ბორის პასტერნაკის სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი გამოქვეყნდა 1936 წლის გაზეთ „იზვესტიის" საახალწლო ნომერში. აი, სტრიქონები ამ ლექსიდან:

«А в те же дни на расстояньи,
За древней каменной стеной
Живет не человек, — деянье:
Поступок ростом с шар земной.
Судьба дала ему уделом
Предшествующего пробел.
Он — то что снилось самым смелым,
Но до него никто не смел».

ეს ლექსი, მახსოვს, იმ დღეებში თუგასივით გასკდა. პასტერნაკის ლექსი ბელადზე!... (როგორც ცნობილია, თვითონ პასტერნაკი თვლიდა ამ ლექსს ერთ-ერთ უძლიერეს ქმნილებად მის შემოქმედებაში; ვინც პასტერნაკს იცნობდა, ამაში ეჭვი არავის შეეპარება). ლექსი, რასაკვირველია, გულწრფელი, ალალი იყო. იმ ხანებში პასტერნაკს მეც ბევრჯერ შევხვედრივარ და კარგად მახსოვს, რა აღტაცებული იყო იგი სტალინის ფენომენით. (განსაკუთრებით სუფრაზე, სადღეგრძელოებში.) ამიტომაც მისი იმ ლექსის გულწრფელობაში, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად, არც მე შემპარვია ეჭვი.

ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა, თამაზ ნატროშვილმა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „შეწყვეტილი დიალოგი" სწორად აღნიშნა: „ამრიგად, თანამედროვე რუსულ პოეზიაში „სტალინიანას" სათავე დაუდო იმავე რუსული პოეზიის „სინდისად" წოდებულმა პასტერნაკმა. დიახ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა,რომ იგი ითვლებოდა პოეტად, ვისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი სიწრფელე საქვეყნოდ იყო აღიარებული („უმწიკვლო პიროვნება", როგორც მოიხსენიებს რობაქიძე), ამიტომაც თვალსაჩინოდ მიაჩნიათ პასტერნაკის ლექსის ზეგავლენა ლიტერატურულ პროცესზე. სხვათა შორის ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ლექსმა უბიძგა ბულგაკოვს შეექმნა პიესა სტალინზე („ბათუმი").

ჩვენ კი აქ დავუმატებთ — არა მარტო ბულგაკოვს... და კი არ უბიძგა, პირდაპირ დალოცა ამ გზაზე. ბევრი რუსი და სხვა ეროვნებათა მწერლები.

გრიგოლ რობაქიძემ, უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის მოაზროვნემ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ტერიტორიული დისტანციისა და უსაფრთხოების პირობებში დაინახა სტალინის „ჰოროსკოპი", ეს მართლაც ნიმუში ადამიანის, დიქტატორის სულში ჩახედვისა. საბჭოთა ქვეყანაში მსგავსი რისამე თქმა ყოველთვის წარმოუდგენელი იყო. ნუ გავიხსენებთ მაინც და მაინც ოსიპ მანდელშტამის ლექსს, რომელსაც ბორის პასტერნაკმა მაშინვე ცუდი ნიშანი დაუსვა„ „მაგას, რაც თქვენ წამიკითხეთ, არაფერი აქვს საერთო ლიტერატურასთან, პოეზიასთანო". თუმცა, თუ გნებავთ, მაინც შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთადერთი მოქალქეობრივი გამბედაობის შემთხვევა, მთელი ათეული წლების მანძილზე.

II

თითქმის ოთხი ათეული წლის წინ, 1954 წელს მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამო-

აქვეყნა ჩემი წერილი, რომელმაც ერთბაშად რუსეთის ინტელიგენციის დიდი ყურადღება მიიქცია იმით, რომ ეს იყო ოცდაათიანი წლების შემდეგ პირველი კეთილი სიტყვა 1937 წელს უდანაშაულოდ დასჯილი მწერლების შესახებ მთელ საბჭოთა კავშირში. მაშინ ბევრისთვის ჯერ კიდევ წარმოუდგენელი იყო ასეთი სტატია საბჭოთა პრესაში. „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში მითხრეს, როგორი ზარების რეკვა ატეხილა იმ დღეებში, საიდან არ ურეკავდნენ, სსრკ რომელი კუთხიდან რედაქციის თანამშრომლებს, და არა მარტო მოსკოვიდან. ეს წერილი, მართლაც სენსაცია იყო მაშინ, ჯერ კიდევ სკპ XX ყრილობამდე. სტალინის გარდაცვალების თითქმის მეორე დღესვე.

„მე მინდა მოვიგონო საბჭოთა საქართველოს სამი გამოჩენილი მწერალი — შესანიშნავი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი და ორი პოეტი — პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. მათი გახსენება მით უფრო აუცილებელია რომ მრავალი წლის მანძილზე მათს შემოქმედებას ჩქმალავდნენ, ამახინჯებდნენ, აცხადებდნენ ანტისაბჭოთა მოვლენად. ეს იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის შეგნებული გაღარიბება, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენი კულტურის განვითარებას. მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე მიეკუთვნებოდნენ ქართველი მწერლების რევოლუციამდელი თაობის იმ წარმომადგენელთა რიცხვს, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გულწრფელად და უყოყმანოდ დადგნენ საბჭოთა სახელმწიფოსთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გზაზე“.

და შემდეგ მე ჩემს მკითხველს ამ გაზეთის ფურცლებზე მოვუთხრობდი ამ შესანიშნავი სამი ქართველი მწერლის ბედსა და შემოქმედებაზე.

ეს იყო საბჭოთა კავშირში პიროვნების კულტის ეპოქაში დაღუპული მწერლების პირველი რეაბილიტაცია.

რა ზღაპრული რეაქციაც გამოიწვია ამ ცნობამ არა მარტო იმ დღეებში მიმდინარე ქართველ მწერალთა ყრილობაზე არამედ მთელ საქართველოშიც და საბჭოთა კავშირშიც, ამის შესახებ კარგად მოუთხრო თავის მკითხველს ჩვენი დიდი მწერლის, რეაბილიტირებული მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილმა, ქეთევან ჯავახიშვილმა მოგონებებში თავის სასახელო მამის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ალბათ მეც მეკნება ოდესმე დრო და შემთხვევა მოვუთხრო ამაზე ჩემს მკითხველს.

კიდევ ერთხელ ვფიქრობ — არ არის გამორიცხული ,რომ საერთოდ უდანაშაულოდ დასჯილთა რეაბილიტაციის პირველი იდეა (ანუ როგორც უკრაინაში ჩვენმა მეგობარმა მწერლებმა ამ წლებს მოხდენილად უწოდეს „Эпоха позднего реабилитанса“) მოსკოვში საქართველოდან წავიდა, სწორედ ამ სამი ქართველი მწერლის რეაბილიტაციით.

როგორც ცნობილია ორმოცდაათიანი სამოციანი წლები მთელ საბჭოთა კავშირში პირველი „დათბობის“ წლები იყო; ქვეყნის დემოკრატიზაციის პირველი ცდების (თუმცა ხანმოკლე) წლები.

გადაჭარბებულად და კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ როგორც ჩანს, საჭიროა ერთხელ კიდევ ხმამაღლა ვთქვა — ჩვენ იმ წლებში ქართულ კულტურაში ზოგი რამ სასიკეთო ნამდვილად მოვასწარით (მით უფრო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე პიროვნების კულტის გამომჟღავნების შემდეგ პირადად ჩემთვის ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა და მეც იქვე განვსაზღვრე ჩემი შემდგომი სიცოცხლის და შემოქმედების აზრი. დიახ, სწორედ იქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი პერიოდი, ახლებურად გააზრებული გზა, რომელსაც მე „რუსთაველის ნაკვალევზე“ დავარქვი და საითკენაც მე ჩემი პოეტური კალმით მოვუწოდე ჩემს მკითხველს და მთელს ჩემს ქვეყანასაც. ეს გახდა ჩემი ერთადერთი იდეური მრწამსიც, ჩემი პოლიტიკური პარტიაც.) მოვასწარით სწორედ ქართული, დიდი ქართული საქმეების გაკეთება; ამ რეაბილიტაციის შემდეგ წინ იყო ქართველ მოღვაწეთა პალესტინური ექსპედიცია იერუსალიმში რუსთაველის ნკვალევზე, და მისი სამეცნიერო შედეგები; რუსთაველის პრემიების დაარსება ლიტერატურასა და ხელოვნებაში: შოთა რუსთაველის 800-წლოვანი, ჰუმანიზმის ნამდვილად მსოფლიო იუბილე (იმ წლებში როცა საქართველოს მიწაწყალს პიროვნების კულტის და დამსჯელი, სისხლისმსმელი ადამიანების სამშობლოდ თვლიდნენ მთელ ქვეყანაზე) და რასაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მთელ ჩვენს პლანეტაზე; რუსთაველის ძეგლის აღმართვა ქალაქ მოსკოვში, (როცა მთელ საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც მიმდინარეობდა სტალინის ძეგლთა მსხვრევა.) დადგინდა ქართული მრავალტომეული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემა.

დიახ, ასეთი იყო ის „დათბობის“ წლები საქართველოში. ყველაფერი კი დაიწყო სამი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის რეაბილიტაციით.

(როგორც პოეტმა ეს „დათბობის წლები“ მე მაშინვე გამოვიყენე. იმ ორმოცდაათიან, სამოციან წლებში გამოქვეყნდა „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა?“ რომელთა აზრსა და მიზანდასახულებას ჩემი მკითხველი მაშინვე გაგებით შეხვდა).

III

დღეს და უკვე დიდი ხანია არავინ იცის, რომ თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის, სარაჯიშვილის (შემდეგ ხოშტარიას) სახლის მწერალთა და ხელოვნების მუშაკთათვის საჩუქრად გადმოცემის საშვილიშვილო საქმეს, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებშივე უმეთაურა პოეტმა პაოლო იაშვილმა. სწორედ პაოლო იაშვილმა საქართველოს ახალ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, 1921 წლის მარტშივე ამცნო თბილისის ინტელიგენციას ხელისუფლების გადაწყვეტილება, სარაჯიშვილ-ხოშტარიას სახლის „ხელოვანთა სასახლედ“ გამოცხადების შესახებ.

პაოლო იაშვილს უკვე გარკვეული ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. ცნობილია მისი და ტიციან ტაბიძის კეთილი როლი თბილისში თებერვლის დღეებში წესრიგის დამყარების საქმეში.

პაოლო იაშვილი — «Язык аргонавтов двадцатого века Колхиды»— გავიხსენოთ სტრიქონები საქვეყნოდ ცნობილი, 1928 წელს გამოცემული წიგნიდან „Ветер с Кавказа“.

მათ ერთმანეთი აგარაკზე გაიცნეს, ბათუმთან. ციხისძირში.

«Навстречу с улыбкой поднялся высокий, спокойного вида с лицом загорелым брюнет, с умным острым лицом, в черной шляпе с полями, с усами подстриженными; с тихим достоинством неторопливо и сдержанно он подошел: и немного конфузясь, представился мне:

— Я — Яшвили, — простите Борис Николаевич, может быть я — помешал вам, но я — на минуту: просили меня устроители лекции вот это письмо передать вам.

И — ласково он улыбнулся: конечно, узнал его сразу; сказал мне имя: один из крупнейших художников слова, краса поэтической Грузии, старший средь братьев культурной семьи, о которой не раз слышал прежде и от Городецкого, и от Есенина.

Я протянул ему руки:

— Сердечно рад вам: откровенно простите... Паоло Яшвили читателю русскому дан в переводах хотя и плохих; о нем писано много; недавно читал резюме его речи в Тифлисской газете; читал о нем тоже; большой человек, с кругозором широким, с отточенной мыслью, с культурою чувств, сквозь которую видится крепкая стать отчеканенной выдержки.

С первого слова Паоло Яшвили мне стал и понятен, и близок; казалось: года мы общались; он знал ведь по книгам меня; я — узнал его сразу».

ᲪᲝᲢᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲐᲛ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲓᲐᲜ:

«...Я сам искал случая ближе узнать своих братьев грузинских по творчеству; я о них слышал давно; может быть от Бальмонта еще, когда он проповедовал всем Руставели; я знал, что Тифлис есть культурнейший центр поэтический; помнится, что в 21-ом году еще, после рассказов С. М. Городецкого, передавшего мне приглашение приехать в Тифлис, — я тянулся душой к поэтической Грузии».

ᲪᲝᲢᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ:

«И жили слова о старинной грузинской культуре, о новой, о Пушкине, о символизме, о Гете; Яшвили в Париже живал до войны; был когда-то ценителем Артюра Рембо, Маллармэ, и других символистов: французских и русских; дивился, как знает он русскую литературу; его замечания о Блоке, Бальмонте и Брюсове — тонки отчетливы, трезвы; он много себе уяснил: в нем поэт и общественный деятель слиты; он, став на советской платформе, — живет в современности, соединяя в себе революцию быта с кипением лучших порывов вчерашнего дня».

აქ შევწყვიტოთ პაოლო იაშვილის ანდრეი ბელისეული დახასიათება. ამაზე უკეთ მას ვერავინ დახატავს და შეაფასებს. თუმცა იგი ამ თავის წიგნში კიდევ ბევრს რასმე მოგვითხრობს მის ახლობელ ქართველ პოეტზე და მასთან ერთად სხვა პოეტებზეც.

მეც ჩემს მკითხველთან პაოლო იაშვილის პოეტური და ადამიანური ხიბლის გადმოსაცემად ამ სტრიქონების შემდეგ ტვირთი შემსუბუქებული მაქვს.

არა ბუნდოვნად და ზოგადად, არამედ სავსებით ნათლად და კონკრეტულად მახსოვს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში 1921 წელს. თუმცა, რასაკვირველია, ათი-თორმეტი წლის ჭაბუკს პოლიტიკისა არაფერი გამეგებოდა (არც ახლა ვაცხადებ ამ საქმის გაგებაში რაიმე პრეტენზიას) არც ჩვენს ოჯახში გაეგებოდა ვისმე ამ საქმეში რაიმე. მე მხოლოდ შიგადაშიგ იმ დროინდელი ყოველდღიური, ცხოვრებისეული, ყოფითი. კონკრეტული მოვლენები მახსენდება ხოლმე, ჩვენს მიყრუებულ პროვინციაში. დიდი ქართველი პოლიტიკოსი და მოაზროვნე ზურაბ ავალიშვილი კი გვამცნობს თავის წიგნში: „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ — „საქართველოს მთავრობა ამ ქვეყნის ბელადებს გააზრებული ჰქონდათ როგორც დემოკრატიული მთავრობა — საბჭოთა წყობილებისაგან განსხვავებით.

სინამდვილეში კი საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნებს. ამ დემოკრატიის გარეგნული ფორმებით აქ იფარგლებოდა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დიქტატურაო“.

და ქვემოდ:

„ამასთან, საქართველოს მთავრობის ამგვარი ხასიათი თანდათანობით კი არ სუსტდებოდა, არამედ ურო და უფრო ღრმავდებოდაო“.

და იქვე:

„საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს იქეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელიო.“

რა და როგორი იყო ეს „წკიპურტი“ მეორეს მხრივ? მაგრამ რადგანაც ამის მოგონება უკან ძალიან შორს წაგვიყვანდა, (და ეს აქ არც ჩვენი საქმეა) პირიქით, ორიოდე წუთით წინ გადმოვხტეთ, ორმოცდაათიან წლებში, ნიკიტა ხრუშჩოვის ეპოქაში და გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ბევრს რასმეზე მეტყველებს:

ორმოცდაათიან წლებში რუსეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა წრეებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ მთავრობის უმაღლეს დონეზე, საბჭოთა ინტელიგენციის მიღებებსა და შეხვედრებზე, რომელიც იმჟამად ზედიზედ რამდენიმეჯერ ჩატარდა კრემლსა და უმაღლეს ხელმძღვანელთა აგარაკებზე ქალაქგარეთ, მოსკოვიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით.

ყველა ამ მიღებისა და შეხვედრის მონაწილე მეც გახლდით და თავის დროზე მეც მათზე ქართულ პრესაში გამოვაქვეყნე ჩემი მოგონება ისევე, როგორც რუსულ პრესაში ილია ერენბურგმა, ანდრეი ვოზნესენსკიმ, ვლადიმერ ტენდრიაკოვმა და სხვებმა; (განსაკუთრებით იმ პირველ უბადაღებულ შეხვედრაზე, ნიკიტა ხრუშჩოვის აგარაკზე რომ გაიმართა და ...)

ჩემს იმ მოგონებას დავარქვი „შეხვედრა დიდ აგარაკზე, ანუ უკანსვლა წინამძღოლისა“, რადგანაც სწორედ იმ შეხვედრის დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა — პარტიის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის აღიარებულმა გამომძღავნებელმა — ანდრეი ვოზნესენსკის თქმით — «дал задний ход».

სწორედ იქ, იმ აგარაკზე, როცა სუფრას შემოვუსხედით, ნიკიტა ხრუშჩოვმა მაგრად გადაჰკრა და, ტენდრიაკოვისა არ იყოს — „Покатил вдоль по Питерской со всей русской удалью“ მილეწ-მოლეწა აქეთ მარიეტა შაგინიანი, იქეთ მარგარიტა ალიგერი და, აი, სწორედ ამ სუფრაზევე თქვა მან ასეთი რამ: — ჩვენ, პოლიტბიუროს წევრები, ახლა ბევრს ვმოგზაურობთ ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც: აგერ ახლა მე და ბულგანინი ინდოეთშიც ვიყავით და სიჭების ქვეყანაც ვნახეთო (მართლაც ფართოდ შუქდებოდა მაშინ გაზეთებში ეს მათი ვიზიტი ინდოეთში და სიჭებთან მათ ჩასვლაზეც იყო „პრავდაში“ დიდი რეპორტაჟი „на земле сикхов“. ვმოგზაურობთ, მაგრამ საქართველოში ჯერაც არ ვყოფილვარო.

— ნიკიტა სერგის ძევ, — მიმართა ანასტას მიქოიანმა. — წავიდეთ, მე ვიქნები თქვენი მეგზურიო.

ხრუშჩოვმა გადახედა და — განა საქართველოში საერთოდ არ ვყოფილვარ, ერთხელ კი ვიყავიო, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, 1921-ს, გასაბჭოების წელსაო; მაგრამ მაშინ ქართველებმა ძალიან ცუდად მიმიღესო (მერე ლეგენდასავით გავიგე, ქუთაისელ ბიჭებს უცემიათ რიონის პირას რესტორანში ჯაჭვის ხიდთან, ალბათ, იმავე მდგომარეობაში, როგორც, აგერ, ახლა იყო. უკვე მაგრად მთვრალი),—როცა შემდგომში ერთხელ ამ ცუდად მიღების შესახებ მე სტალინს ვუამბე. მან სიცილით მითხრა: — აბა, კარგად როგორ მიგიღებდნენ. შენ ხომ ოკუპანტად იყავი აქაო. ხრუშჩოვი წუთით შეჩერდა და მერე მთელი ხმით იყვირა: — „да, товарищи я оккупировал Грузию“-ო. მე მიკოლა ბაქანს გადავხედე: მიკოლა ბაქანი ხმას ვერ იღებდა. ის ხომ ჩემზე უფრო კარგად იცნობდა ხრუშჩოვს. უკრაინის ყოფილ თავკაცს წლების მანძილზე.

ასე თავისივე პირით გაამხილა საბჭოთა ინტელიგენციის იმ ისტორიულ ბანკეტზე, 1957 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა საქართველოს გასაბჭოების ძველი ისტორია. (თუმცა მთელი საქართველოს ოკუპაციას მაშინ, 1921 წელს ნიკიტა ხრუშჩოვს არავინ მიანდობდა — იგი კიროვისა და ორჯონიკიძის წითელ არმიაში რომელიღაც ქვეგანაყოფის „პომპოლიტი“, ანუ,

როგორც მაშინ ამბობდნენ, „პომპოლიკი“ ყოფილიყო).

ეს ეპიზოდი აქ არა მარტო იმიტომ გავიხსენე რომ ჩემი მკითხველისთვის მეთქვა რა და როგორი ძალისა იყო ის „წკიპურტი“ და რა ერქვა მას სახელად სინამდვილეში, არამედ იმიტომაც, რომ როგორც ზურაბ ავალიშვილი გადმოგვცემს ყველა გზა, საქართველოს სამწუხაროდ იმჟამად მაინც დიქტატურისკენ მიდიოდა, და შემდეგ ჩვენი და ისტორიის საკვლევ საგნად რჩებოდა— რომელი დიქტატურა ჯობდა, სერგო ორჯონიკიძის, თუ ნოე რამიშვილისა.

—.—

ბუნებით აქტიური. უსაზღვროდ ენერგიული რაინდი, პროგრესული ბუნების კაცი პაოლო იაშვილი, „«Язон аргонавтов двадцатого века поэтов Колхиды» იმ წლების ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი სული და გული იყო. ამ ინტელიგენციაზე განუწყვეტლად მზრუნველი, იგი თებერვლის საქართველოში ასრულებდა დაახლოებით იმ შუამავლის როლს, როგორსაც ოქტომბრის რუსეთში ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის მაქსიმ გორკი. პაოლო იაშვილი არამარტო „ცისფერყანწელთა“ მეთაური იყო, ბევრი უბრალო ქართველიც ჰყავდა კმაყოფილი, დაუზარებლად იცოდა სირბილი მთავრობისა და ქალაქის ხელმძღვანელთა კაბინეტებში ადამიანთა დასახმარებლად.

არა მარტო ქართველებს ეხმარებოდა. თბილისი სავსე იყო იმ წლებში რუსეთიდან დაძრული ინტელიგენციით, მწერლებით, მსახიობებით, მხატვრებით, მუსიკოსებით. ეს მაშინ, როცა ნიკოლოზ ბერდიაევის ოდესღაც თქმული სიტყვით «Традиционная история русскойи нтеллигенции кончена» და ალექსანდრე ბლოკის სტრიქონებით: «Мы дети страшных лет России забыть не в силах ничего». ყველა მათი ბატონები თბილისში იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და გიორგი ლეონიძე. (პავლე ინგოროყვა მაშინ ყველაზე ახლოს პოეტებთან იყო — „ძმავ ინგოროყო, პოეტო ადრე...“).

ინტელიგენცია!

ოჰ. ეს შეუსმენელი, დაუმორჩილებელი, თავგასული ინტელიგენცია! ძნელად აღსაზრდელი ბავშვი! და როცა გადახედავ რუსეთის რევოლუციის აქეთ გამოვლილ გზას, ნათლად ჩანს, რომ რევოლუციის ურთიერთობა ინტელიგენციასთან არასდროს არ იყო მოწესრიგებული. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და იმპერიაში შემავალი ქვეყნების ინტელიგენცია კი აღზრდილი დიდი მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციებზე. მართლაც რომ უძლიერესი იყო მთელ მსოფლიოში. მათ შორის საქართველოს ინტელიგენციაც. რევოლუციის წლებში ამ ინტელიგენციას თავს დაატყდა ლოზუნგი — „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია“ და ეს იყო მისი დიდი უბედურება.

ბევრს ფიქრობდა რევოლუციის დღეებში შეშფოთებული ალექსანდრ ბლოკი ამ თავსატეხ საკითხზე.

რუსეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, უცხოეთში გადაიხვეწა. ქართულ ინტელიგენციას ასე დიდი ზარალი, ეს აქ უნდა ითქვას, არ განუცდია. უმთავრესად ემიგრაციაში წავიდა ქართული ინტელიგენციის უფრო პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი, ისიც უფრო ქვეყნის ხელმძღვანელი და მასთან ახლო მყოფი ნაწილი; მაგამ ეს ინტელიგენცია იმ წლებში მეტად დაზარალდა სამშობლოშივე.

რევოლუციის ინტელიგენციასთან ურთიერთობის ილუსტრაციისთვის ერთხელ კიდევ გავიხსენოთ იმ წლებში ლენინისა და მაქსიმ გორკის საუბარი, ამ უკანასკნელის მოგონებებიდან:

„მუშათა კლასის კავშირი ინტელიგენციასთან? — ამბობს ლენინი — დიახ, ეს არაა ცუდი, არა. გადაეცით ინტელიგენციას, მოვიდეს ჩვენთან, თქვენი აზრით ის ხომ გულწრფელად ემსახურება სამართლიანობის ინტერესებს? მაშ, რაშია საქმე? მობრძანდით ჩვენთან: სწორედ ჩვენ ავიღეთ ჩვენს თავზე უძიმესი შრომა, წამოვაყენოთ ხალხი ფეხზე; ვუთხრათ ქვეყანას ცხოვრების მთელი სიმართლე; ჩვენ ვუჩვენებთ ხალხს ადამიანური ცხოვრებისაკენ პირდაპირ გზას: გზას მონობი-

დან, სიღარიბისგან, დამცირებისგან გამოსასვლელად.

მან გაიცინა და უბოროტოდ თქვა:

— აი, ამისთვის მომხვდა მე ტყვია ინტელიგენციისგან. და როცა საუბრის ტემპერატურა მიუხალოვდა ნორმალურს, მან სევდიანად და მწარედ თქვა:

— განა მე ვკამათობ იმაზე, რომ ინტელიგენცია ჩვენ გვჭირდება? მაგრამ თქვენ ხომ ჰხედავთ, რა მტრულადაა იგი ჩვენდამი განწყობილი, როგორ ცუდად ესმის მას მომენტის მოთხოვნა? და ვერ ხედავს, რომ იგი უჩვეულოდ უსუსურია, იგი ვერ მიაღწევს მასებამდე და მისი ბრალი იქნება: «если мы разобьем много горшков»".

ინტელიგენცია ნელ-ნელა წლების მანძილზე, როგორც ვთქვით, მაინც შემობრუნდა საბჭოთა სინამდვილისაკენ და არა მარტო შემობრუნდა, მან უპირველესი და უდიდესი ღვაწლი დასდო რუსეთისა და ყველა მოძმე რესპუბლიკის ახალ-ახალ წარმატებებს ქვეყნის სოციალური და კულტურული განვითარების საშვილიშვილო საქმეში, მაგრამ მე ვადასტურებ, რომ იგი ყოველთვის ეპვის ქვეშ გრძნობდა თავს ქვეყნის მმართველი წრეებისაგან და ამის გამო ყოველთვის მეტისმეტად ფრთხილობდა და ფხიზლობდა.

—.—

პირველ ხანებში „ხელოვანთა სასახლეში" მწერლები და ხელოვნების მუშაკები ცხოვრობდნენ, უფრო მეტად „ცისფერყანწელები". ქვემოთ სარდაფები სავსე იყო უცხოური ღვინოებით, შამპანურებით და კონიაკებით. გაგიხარიათ, პოეტები სარდაფებიდან ეზიდებოდნენ თავის ოთახებში დავლას. ამას ყოველივეს დიდხანს იგონებდნენ სასახლის ძველი ბინადრები.

—.—

ოციან, ოცდაათიან წლებში ქართულ პოეტურ სამყაროში გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებთან", „მერისა" და „მესაფლავესთან", იოსებ გრიშაშვილის ლექსებთან ერთად ხმამაღლა გაისმოდა პაოლო იაშვილის „დედა. ინახულე შენ წმინდა ხახული, წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე"; ან, „იქ სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე"; ან, „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი ხელოვნურად გათეთრებული"... ან კიდევ, „გამოვექეცი ევროპის ქაოსს, სისხლს, დანგრეულ რეიმსის ტაძარს, უზარმაზარ ტანკების ქშენას?"; „გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო"... „ვიგონებ მართლა ჟრუანტელით ლამანშის სრუტეს, იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს"...

უცხოეთიდან, პარიზიდან დაბრუნებულმა პაოლო იაშვილმა, საქართველოში მოიტანა სრულიად ახალი პოეტური სიტყვა, ევროპული მხატვრული მეტყველების დიდი გამოცდილება და როდესაც დღეს ლაპარაკობენ „ცისფერყანწელთა" დიდ როლზე ქართული ლექსის განახლების საქმეში. აქ პირველობა ,რასაკვირველია, პაოლო იაშვილს ეკუთვნის და ის იყო პირველი ინიციატორიც და მეთაურიც ქუთაისში ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფის შეკავშირებისა, რომელთაც თავისთავს, როგორც ეს ცნობილია „ცისფერყანწელები" უწოდეს. ის იყო „დაბადებით „მეთაური" და ამ მეთაურობას ის კი არ ეძებდა, ეს „მეთაურობა" მასთან თავად მიდიოდა.

ამავე დროს იგი მართლაც წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი იმპოზანტური აღნაგობით, სილამაზით, თავისი განუმეორებელი სიცილით, ალერსით, ზრდილობით, ექსპრომტებით. მთელ ქალაქში დადიოდა ქიმერიონში პაოლო იაშვილის მიერ წარმოთქმული „უეცარი ლექსები" და ამის გამო ქიმერიონსაც დიდი შემოსავალი ჰქონდა. მახსოვს იმდროინდელი სიმღერა: „იაშვილი ლექსებს ამბობს, მაჩაბელი (ილო მაჩაბელი, ქიმერიონის არენდატორი) ჩვენ ტყავს გვაძრობს, ქიმერიონმა დამღუპა"-ო (ახლა ეს ქიმერიონი, უპირატესად ლადო გუდიაშვილის სამყარო, რომლის შესასვლელშიც დახატული იყო პოეტი პაოლო იაშვილი ყანწებით ხელში, დახურვის შემდეგ დიდხანს მნახველთათ-

ვის დაფარული, როგორც საზოგადოებამ იცის, აღდგენილია თავისი ცნობილი კედლის მხატვრობით).

პოეტები, არტისტები, მხატვრები „ნეპის“ დროს ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ პოეტური ცხოვრებით, თბილისური ინტელიგენტური ბოჰემით და, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო, პოლიტიკაში ჩარევისგან თავს იკავებდნენ და მაინც და მაინც არც არავინ ატანდათ განსაკუთრებულ ძალას. თუ რომელიმე პოეტი ან ხელოვანი მაინც იტყოდა, ორიოდე სიტყვას ახალი სინამდვილის გამო, ეს უმეტესად საკუთარი ინიციატივით და არა ყოველთვის დავალებით.

უახლესი ქართული პოეტური სიტყვის რამდენიმე მთავარი რაინდი დადიოდა მაშინ თბილისის ქუჩებში — მათ შორის, უპირველესად, რასაკვირველია, გალაკტიონ ტაბიძე, აგრეთვე ცისფერყანწელები და მათგან, პირველ რიგში პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე..

გალაკტიონ ტაბიძე მიუხედავად იმისა რომ ყოველთვის მართლაც „სივრცეების ბინადარია“, მაინც იყო ღვიძლი „დღეთა მისთა აზრის და ფერის“ და პირდაპირ ბიოგრაფიითაა დაკავშირებული რუსეთის რევოლუციასთან; იგი გულწრფელად თავის თავს რევოლუციის პოეტად თვლიდა. მთელი მისი იმდროინდელი შემოქმედება ამაზე მეტყველებს. ეს იყო წლები, როცა პირველი მსოფლიო ომით გატანჯული მეომარი ქვეყნები პირდაპირ გაჟღენთილი იყო რევოლუციის ატმოსფეროთი; ისევე, როგორც ომის წინა წლების ატმოსფერო გაჟღენთილი იყო საომარი ფსიქოზით (როცა მარსი ძველი ბერძნების რწმენით, დედამიწას უახლოვდება). აბა, გაიხსენეთ ბლოკის «Возмездие»-ს წინასიტყვაობიდან 1911 წ.

«Уже был ощутим запах гари, железа и крови: Весной 1911 года П. Н. Милюков прочел интереснейшую лекцию под заглавием «Вооруженный мир и сокращение вооружений». В одной из московских газет появилась пророческая статья: «Близость большой войны».

ალბათ ამ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ატმოსფეროს ბრალია „მერისა“ და „მესაფლავის“ ავტორის ერთბაშად შემობრუნება ლექსებისაკენ — „დროშები ჩქარა“, — „გემი დალანდი“ და სტრიქონებისკენ — „განა არ არის საშინელი საცოდაობა, ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა, რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?“.. შემობრუნება „რევოლუციური საქართველოსკენ“.

გალაკტიონ ტაბიძეზე სიტყვა ცალკე მოგონებაში. დრომ, ბედმა, ცხოვრებამ მე ხომ მასთან ათეული წლების მანძილზე ახლო დამაკავშირა. მისი პოეზიისადმი ჩემი დიდი სიყვარული მე ჯერ მხოლოდ მისდამი რამოდენიმე წერილით და ჩემი „20 ლექსით გალაკტიონ ტაბიძეს“ განვაცხადე.

(— ო, ბედნიერი, ბედნიერი, ნეტავ მის ღელვას, ის იყო ღვიძლი დღეთა მისთა აზრის და ფერის“!...)

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მის დიდ პოეზიაზე, როგორც ვიცით, წიგნის შექმნას უცხოეთში ეპირებოდა გრიგოლ რობაქიძე. აი, ის, გრიგოლ რობაქიძე შესძლებდა ამას. მეტად სამწუხაროა. რომ მან ამ დიდებული ჩანაფიქრის ხორცშესხმა, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო. პოეტის პიროვნებასა და ცხოვრებაზე კი ჩვენში ბევრი რამ დაიწერა. აქ კი ზოგ ნაშრომში ყველაფერი ჩანს. რიგზე არ არის, როგორც ამას გულის ტკივილით გვაცნობებს პოეტის ცხოვრების ყველაზე ზუსტი მცოდნე და მისი გულის მესაიდუმლე ძმისშვილი, ჩვენი ცნობილი, მეცნიერი ნოდარ ტაბიძე, თავისი წიგნის „გალაკტიონის“ წინასიტყვაობაში ე. წ. „ზღურბლზე სათქმელში“. მოვუსმინოთ:

„დიდი პიროვნება თავის ორბიტაში გვაქცევს და გვთანგავს, ამიტომ არცთუ იშვიათად ვაფერადებთ სინამდვილეს. ბევრი რამის წინაში ვხუჭავთ თვალს, ძვირფას ადამიანის სიკეთე-სათნოების ზღუდეს ვავლებთ და იმას კი არ დაგიდევთ, მოცემულ შემთხვევაში ზუსტია თუ არა ჩვენეული მეტრი. ასე და ამრიგად, თანდათანობით იქმნება გარკვეული ბარიერები, რომელთა გადალახვა შემდეგ მკრეხელობად ითვლება. გენიოსი კი სრულებითაც არ საჭიროებს მოწყალებას. პირიქით, ამგვარი მიდგომით ხელოვნურად ვხერგავთ მისი შინაგანი სამყაროსკენ მიმავალ ბილიკებს. გალაკტიონი გენიოსი იყო და მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ ახსნას“,

უამრავი ახალი და უახლესი ლეგენდებია გალაკტიონ ტაბიძეზე; ისეთი ლეგენდებიც,

რომლებიც ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებს თვით გალაკტიონ ტაბიძეს ან. მით უფრო, მის შემოქმედებას.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში უდიდესი მოვლენა იყო და ზოგ-ზოგები, ვინც დღეს გაკვირვებული და ხშირად აღშფოთებულიც კია იმის გამო, რომ გალაკტიონ ტაბიძეს რომელიმე ყრილობისა თუ კრების პრეზიდიუმში არ ირჩევდნენ, ან უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხელახლა აღარ აირჩიეს, ან რაიმე ჯილდო დააკლეს, ამით მის ხსოვნას ჩრდილსაც კი აყენებენ. მეც არა ერთხელ მიცდია მისი „ჩათრევა“ ყოველდღიურ თუნდაც ლიტერატურულ საქმეებში, მაგრამ ამოდ. „არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში; მაშინ ჩემი სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და არ ვიცი რა ვქნა“. გალაკტიონის ეს სიტყვები მის ძმისწულს მოჰყავს თავის წიგნში „გალაკტიონი“, და იქვე განაგრძობს: „ასეთ კაცთან მეგობრობა ძნელია. ამიტომაც დადიოდა თითქმის ეულად. ეს ძალზე შესამჩნევი იყო ცისფერყანწელების ფონზე. მოგეხსენებათ, ცისფერყანწელებმა მეგობრობის კულტი შექმნეს“-ო.

აქ ჩვენც ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და დავუმატოთ ცოტაოდენი რამ: სიმბოლისტებმა არა მარტო ერთმანეთთან ურთიერთობაში შექმნეს მეგობრობის კულტი, ისინი გამოირჩეოდნენ ამხანაგური, მეგობრული კავშირებით მრავალი სხვა პროფესიისა და ეროვნების, პირველ რიგში, რასაკვირველია, ხელოვნების ადამიანებთან. მათ აამაღლეს და განამტკიცეს ეს ტრადიცია საქართველოში. მათ ოციან წლებშივე უახლოესი მეგობრობა ჰქონდათ მაგალითად ლადო გუდიაშვილთან და ამან ჩვენი დიდებული მხატვრის შემოქმედებაზეც იქონია თავისი კეთილისმყოფელი გავლენა. არსებითად მათ „აღმოაჩინეს“ და მსოფლიოს გამოფენებისკენ გაუხსნეს გზა ნიკო ფიროსმანაშვილს; ჩვენი საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მათი ურთიერთობა სომეხი ხალხის დიდ კლასიკოსთან, თბილისში მცხოვრებ ჰოვანეს თუმანიანთან; ქართული თეატრისა და კინოს ოსტატებთან, მარჯანიშვილთან, ახმეტელთან, ნატო ვაჩნაძესთან, ნიკოლოზ შენგელაიასთან, მიხეილ ჭიაურელთან...

ეს მეტად კეთილი მათი თვისება, თანდაყოლილი გრძნობა. თანდაყოლილი თვისება იყო, რაიც შემდეგ უფრო და უფრო გაღრმავდა, გაიშალა და მეოცე საუკუნის სხვა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც დაეუფლა. ამან კი, როგორც ცნობილია სარგებლობა მოუტანა ჩვენს სამშობლოს.

დიახ, შესაძლოა კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე არც ერთ ეპოქას, და აქ დავუმატოთ, არც ერთ დიდ ადამიანსაც არ სჭირდებოდეს ისეთი მკაცრი ისტორიული თვალსაზრისით მიდგომა და გაანალიზება, როგორც ამ ჩვენს ახლო წარსულს, როგორც ამ ჩვენს გუშინდელ დღეს, მთელს ამ აბობოქრებულ რევოლუციურ მეოცე საუკუნეს რუსეთის იმპერიისა და მასში შემავალი ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

— „გალაკტიონი უღრმესი და უჭკვიანესი იყო პოეზიაში. მას ამ სფეროში არავინ ეგულებოდა უღლის გამწევად. სამაგიეროდ ყოფაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაბნეული და მიამიტი ბავშვი იყო, ზოგჯერ ეშმაკიც, ამდენად უმეტესობისთვის გაუგებარი“, ასეთივეა გალაკტიონ ტაბიძეზე მისივე ღვიძლი ძმის აზრიც, და როცა დღეს კითხულობ ოდესღაც გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში ჩაწერილს: „მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამების, რომელშიაც შესვლა არ შეუძლია ჩემს გარდა არავის... აი, ამიტომ მე მენანება ამ ტაძრის დატოვება, **მეშინია დავუახლოვდე ადამიანებს**“-ო, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ასეთი პოეტის ფენომენზე სწორედ გრიგოლ რობაქიძეს შეეძლო ეთქვა ღირსეული, წონადი სიტყვა და მეტად სამწუხაროა, რომ მან ეს ვერ მოასწრო (ან იქნებ რაიმე ჩანაწერები კიდეც ინახება მის არქივში?). გალაკტიონ ტაბიძე სხვა განზომილებაში იყო, სხვა სივრცეში; („ო, ყველაფერი მას ესმოდა მუსიკის ენად, ო. ყველაფერი მას ესმოდა ერთ გაბმულ გამმად“...).

ისევე როგორც ბლოკმა, ბრიუსოვმა, მაიაკოვსკიმ, ესენინმა. პასტერნაკმა რუსეთში ,— გალაკტიონ ტაბიძემ, მეოცე საუკუნის მსოფლიოს პოეტური სამყაროს ამ ერთ-ერთმა უდიდესმა ლირიკოსმა საქართველოში, პოეზიის პოლიტიკურ ლიანდაგზე გადაყვანის, როგორც დღეს ამბობენ მისი „პოლიტიზაციის“ (ანუ, როგორც დღეს მას აგრეთვე გულმოსულად და ნაჩქარევად მაინც „მწერლების მოთვინიერებაც“ უწოდეს) საქმეში მთავარი და გადამწყვეტი როლი შეასრულა თავისი „ჯონ რიდით“, „გემი დალანდით“, „მოგონებებით იმ დღეებისა...“ „ჩვენ პოეტები საქართველოსი“.

მეორე მხრივ აქ გავიხსენოთ ორი ქართველი ცნობილი პოეტის, იოსებ გრიშაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის სახელები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პირველ წლებში ამ ორი გაავებული, მეტად შეურიგებელი, გაბედული, პოეტის როლს ჩვენი პოეზიის

„პოლიტიზაციის“ საქმეში; სულ მალე საბჭოთა სინამდვილისკენ მათს შემობრუნებას, გრიგოლ რობაქიძე დიდი ხნის შემდეგ, თავის წერილს უცხოეთიდან „მიმართვა ქართველ მწერლებს“ ასე იწყებს: „საქართველოს მწერლებო. გეხსომებათ, გრიშაშვილმა ერთ შაირში ლავრენტი ბერიას ხოტბა შეასხა. ხოტბაში იქამდე მივიდა, რომ ესეც წასცდა, გაუგონარი რამ: „უბრძანე მტკვარს, უკან იწყებს დენასო“ — მტკვარი თავის დენას განაგრძობს, მბრძანებელი კი იმ სოფლისკენ გაისტუმრეს ისე, რომ ამ სოფლად ხსენებაც იქნა მისი აღმოფხვრილი. გრიშაშვილი ალბათ თითებს იკვნეტს ახლა და ამბობს: რაზე დამაწერინა ეს უხამსი რამო! გეტყვით: დააწერინა იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ“.

თუ აქ ბევრ ჩვენგანზე, საბჭოთა ეპოქის თითქმის მთელ ქართულ მწერლებზე ამგვარსავე საყვედურებს აღარ მოვყვებით, (რაზედაც დღეს საკმაოდ იწერება) თვით გრიგოლ რობაქიძეც, ვისაც მე ქვემოდ, ჩემს ამ მოგონებაში, უღრმესი პატივისცემით ვიხსენიებ, იმ პირველი წლების თავის შემოქმედებაშიც შეამჩნევდა ზოგიერთ უხერხულობას. ნახავდა, რომ ამ უკანასკნელ ხანს, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ეპოქაში, საბჭოეთში მოვლენები ისე წარიმართა — იგიც, გრიგოლ რობაქიძეც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ „თითზე საკბენი“ მასაც ცოტაოდენი ექნებოდა. გავიხსენოთ იმ პირველ წლებში მისი ზოგიერთი ბრწყინვალედ დაწერილი წერილი, იმ წლებში მისი ზოგიერთი ელვარე, საქვეყნოდ გახმაურებული გამონათქვამი, მაგალითად: „ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება — მონობის მოსპობა — ადამიანის ღირსების აღდგენა — ქვეყნის გადახალისება — ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის. განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა“. და შემდეგ ფრაზა, რომელიც იმ ხანებში ბევრ ქართველ ინტელიგენტს, მით უფრო გრიგოლ რობაქიძის პატივისმცემელს პირზე ეკერა: „როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბათ ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არა მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოსო“. („დააწერინა სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ“).

გრიგოლ რობაქიძე წარმოიდგენდა ალბათ ბევრს რასმე, რაც დემოკრატიისა და საჯაროობის ეპოქაში ჩვენს ქვეყანაში დღეს ხდება, მაგრამ ვერასდროს წარმოიდგენდა ლენინის ძეგლების მსხვრევას მთელ მსოფლიოში, ისევე, როგორც ამას ვერ წარმოიდგენდა ვერცერთი ჩვენგანი.

—.—

მწერლობის „პოლიტიზაცია“, რასაკვირველია ერთბაშად არ მომხდარა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქართულ მწერლობას, სამშობლოს უბედური წარსულის გამო, ტრადიციებიც საკმაოდ გააჩნდა, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური მემკვიდრეობიდან. „დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში“-ო. ეს ტრადიცია სულ რაღაც რამდენიმე წლით დაარღვიეს ჩვენს საუკუნეში ქართველმა სიმბოლისტებმა, ქადაგებით: „ხელოვნება ხელოვნებისთვის“. და იმის განცხადებით, რომ ცისფერი ყანწები პოეტების ერთადერთი სკოლაა საქართველოში, რომელიც მხოლოდ ესთეტიურ პრინციპებს აღიარებსო. მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ რამდენიმე წლით... სულ მალე გაისმა „დრო, დრო, აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დრო და საათიო“.

ოციანი წლების ბოლოსათვის, ოცდაათიანი წლების დასაწყისისთვის მწერლობის პოლიტიზაცია, შეიძლება ითქვას, უკვე დამთავრებული იყო. და არა მარტო დამთავრებული, არამედ

ისე შორს წასულიც, შიშველ პოლიტიკაში შეჭრილიც, და ორგანიზაციულ კინკლაობაში გადასულიც, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, პოლიტიკურ ორგანიზაციად ქცეული და სალიტერატურო საქმეთა სრული ბატონი „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“ (სადაც 21-22 წლის კაცი მეც ვირიცხებოდი) გაეუქმებია სსრკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის აპრილის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება იყო ლიტერატურასა და ხელოვნებაში 180°-ით შემობრუნება, რასაც იმ ხანებში მთავრობისგან არავინ მოელოდა.

ჩვენი მწერლობა, ისევე როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა სფეროს ადამიანები. არა მარტო შემოქმედებით, არამედ იმ წლებში პრაქტიკული საქმიანობითაც ჩაება „ამ ახალ საქართველოს“ შენებაში. გაჩნდა ლიტერატურული ტრადიცია მწერალთა შემოქმედებითი მივლინებებისა ახალი მშენებლობებისაკენ, კოლხეთის ჭაობების იმ ხანებში გაჩაღებული საკოლმატაციო სამუშაოებისკენ, სამგორისაკენ, რიონჰესისკენ, ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხნის მშენებლობისკენ.

საზოგადოებრივ და ქვეყნის მშენებლობის საქმეებში პრაქტიკულმა მონაწილეობამ მწერლობა დააახლოვა დიდი სამშობლო ობიექტების, კოლხიდმშენის, სამგორის, რიონჰესის მშენებლობათა თავკაცებთან, მათ შორის პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე ბავშვობის შემდეგ ხელახლა შეხვდა ჰიდროსადგურების მშენებლობის გამოჩენილ ქართველ ოსტატ ვლადიმერ ჯიქიას.

—.—

ოციანი წლების ბოლოს, ოცდაათიანი წლების დასაწყისის ერთი მთავარი დამახასიათებელი მოვლენა იყო საკუთარი, ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის გაძლიერება საქართველოში. სოციალიზმის მშენებლობის ორი მთავარი ცნობილი საძირკვლიდან ერთ-ერთი ელექტრიფიკაციაა. [illegible] ქართველოშიც გაშლილი ფრონტით დაიწყო დიდი და მცირე ჰიდროელსადგურების მშენებლობა თითქმის ყველა ასე თუ ისე მოზრდილ მდინარეზე. ეს იყო იმ დროის ერთი დიდი სახალხო მოძრაობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდი სახელი მოიხვეჭა ოციან წლებში ელექტრიფიკაციის პირველმა ქართველმა გმირმა ბესარიონ ჭიჭინაძემ, რუსეთის ელექტროფიკაციის გამოცდილმა სპეციალისტმა.

შეიქმნა ახალი ინტელიგენცია, რომელმაც ახლა ჩვენი საზოგადოების მთავარი ყურადღება მიიქცია. და მოხდა ისე, რომ ამ ახალი, რომანტიკული ტექნიკური ინტელიგენციის გვერდით პირველ რიგში დადგა მხატვრული, შემოქმედებითი ინტელიგენცია, სწორედ ისინი — მწერლები, თეატრისა და კინოს ოსტატები, მხატვრები, მუსიკოსები, ერთი სიტყვით, პროფესიული რომანტიკოსები.

ტექნიკური ინტელიგენციის პირველი თავკაცი კი ოცდაათიანი წლების საქართველოში იყო სწორედ ვლადიმერ ჯიქია.

ორმოციოდე წლის, ესეც რაინდული ბუნების კაცი, პროფესიული რევოლუციონერი, 1917 წლის პეტროგრადის რევოლუციის ბრძოლების თვალსაჩინო მონაწილე, ერთხანს პეტროგრადის სამხედრო ოლქის კომისარი, ყმაწვილკაცობაში ქუთაისში გიმნაზიაში სწავლის დროს მეგობრობდა ვლადიმერ მაიაკოვსკთან პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან. შემდეგ პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტი, ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით. „გოელროს“ გეგმების განხორციელების დროს იგი დაინიშნა „ვოლხოვსტროის“ მშენებლობის უფროსის მოადგილედ. აქედან იგი რამდენიმეჯერ იყო უცხოეთში, ინგლის-

ში, გერმანიასა და შვეიცარიაში ჰიდროელსადგურების მშენებლობაში გამოცდილების გასაცნობად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ერთხანს რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარია. შემდეგ ისევ თავის სპეციალობას უბრუნდება და რესპუბლიკის ჰიდროელსადგურების მშენებლობას უდგება სათავეში. ბოლოს არგონავტების ძველი კოლხეთის დიდი მდინარის ჰიდროელსადგური აანთო საქართველოში.

დაუვიწყარი რამ იყო რიონჰესის გახსნის დღე ქუთაისში. დღეც და ღამეც; რომლის პოეტური სიტყვით გადმოცემაც თავის დროზე მე ვცადე ლექსში „ჭომა“ — როცა ქუთაისის „გრანდოტელში“ „მესამე განყოფილების“ შემდეგ ვლადიმერ ჯიქიამ გამთენიისას პოეტები გაგვაქანა ჭომაში და „ალავიძის დუქნის კარებთან მიწას დაკვდა ავტომობილი“. პაოლო იაშვილმა რიონჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი „სამასი არგვეთელი“ „შეკვეთით“ და „მივლინებით“ დაწერა. ერთიც და მეორეც თავის თავს ოვითონვე დაავალა; როცა რიონჰესის მშენებლობას მუშახელი შემოაკლდა, იგი წავიდა თავისსავე სოფელ არგვეთში, იქ შეაგროვა და თავის საყვარელ მეგობარს მიჰგვარა 300 არგვეთელი ჭაბუკი, როგორც 300 არაგველი.

ჩვენს ამ სევდიან ფურცლებს ერთი ოდნავ მხიარული ფურცელიც დავურთოთ თან: რიონჰესის გახსნის საზეიმო საღამოს შემდეგ ჯიქიამ მიღებაც გამართა ქუთაისის „გრანდ—ოტელოს“ საბანკეტო დარბაზში. რესპუბლიკის დიდკაცებიდან მაინცა და მაინც ისეთი არავინ ესწრებოდა. სტუმართა შორის უფრო პოეტები ვჩანდით. ქუთაისი ხომ პოეზიის აღიარებული ქალაქია (ერთხელ მე მას მგონი ცუდად არ შევარქვი — ქართველი პოეტების „ლათინური კვარტალი“).

სუფრის თავში თვითონ ჯიქია დაჯდა და საქმეს შეუდგა.

სულ მალე ბედნიერმა ლხინმა თავის ზენიტს მიაღწია. ცამდე აჰქონდა ჭერი ქუთაისელი მომღერლების თვითმოქმედ გუნდს პილა იოსელიანის ხელმძღვანელობით.

პოეტებო ლექსებიო! — შუა ლხინში სჭექა თამადამ.

პირველი პაოლო იაშვილი წამოდგა და „გაგიეება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის შადანი და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები“... დააგუგუნა თავისი ლექსი „პოეზია“. შემდეგ ტიციან ტაბიძე: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“... შემდეგ ვალერიან გაფრინდაშვილი: „ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი. არ მიძებნია სხვა რამ ქონება“...

ქუთაისელმა მომღერლებმა ისევ ასწიეს ჭერი.

და როცა თამადამ ისევ სჭექა — პოეტებიო! წამოდგა სიმონ ჩიქოვანი. იმ ხანებში ისევ ზენიტზე იდგა მოთხოვნა მწერლობის, პოეზიის ცხოვრებასთან, ახალ სინამდვილესთან მხარდამხარ დგომისა, „აქტუალური“ თემების წვდომისა და ამ საქმეს პირველ რიგში ხორცს ვასხამდით ჩვენ, პოეზიის ახალი და ახალი თაობები, მათ შორის „მემარცხენეები“, ყოველი „ფუტურისტებიც“. სიმონ ჩოქოვანმაც, მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელებმა“, რომელთაც თავადაც მრავლად ჰქონდათ ლექსები, —აქტუალურ“ თემებზე და მაინც ამ ლხინში თავისი საუკეთესო ლირიკული ქმნილებები წაიკითხეს. წარმოთქვა არა რომელიმე თავისი „უიდეო“ ლექსი, არამედ მისი ახლადშექმნილი „ხევსურული ძროხა“.

— ყანწიო! — დაიძახა ჯიქიამ და მოართვეს სავსე ყანწი. იგი წამოდგა და სიმონ ჩიქოვანისკენ გაემართა. გზა და გზა „ცისფერყანწელებს“ გადახედა: — თქვენ სწორად და სამართლიანად გიწოდებენ წვრილ-ბურჟუაზიულ პოეტებს, რასა ჰგავს თქვენი ლექსები, ახალ პოეზიას გაუმარჯოს! და სიმონ ჩიქოვანთან სულ ახლოს მივიიდა, ყურშე რაღაცა ჩასჩურჩულა და ყანწი დასცალა. სიმონ ჩიქოვანი ჯერ გაშეშდა, მერე კი სიცილ-ხარხარი აუვარდა. გვერდით მჯდომთა შეკითხვებს — რა უთხრა ჯიქიამ, პასუხი არ გასცა.

ისევ ასწიეს ჭერი ქუთაისელმა მომღერლებმა.

ჯერი ჩემზე მოდგა.

სიმონ ჩიქოვანის შემდეგ, მეც, რასაკვირველია ,სინამდვილესთან სიახლოვის ნიმუში, იმ ხანებში დაწერილი ლექსი „ჩემს ობლიგაციებს“ წარმოვთქვი.

— ყანწიო! — ისევ დაიძახა თამადამ. მოართვეს სავსე ყანწი.

იგი ჩემკენ გამოემართა — „გაუმარჯოს ახალ პოეზიასო. — სულ ახლოს მოვიდა და რომ მეგონა საკოცნელად მოიწევდა უცებ ყურში ჩამჩურჩულა — კაცო, ანგეშივით ბიჭი ხარ, ეს ობლიგაციები რა ჭირმა შეგაყვარაო?! მეც ჯერ გავშეშდი; მერე მეც გულიანი სიცილი ამივარდა.

მხოლოდ მეორე დილით სიმონ ჩიქოვანს მე ჩემი ვუთხარი და მისიცა ვკითხე:

— მე „ხევსურული ძროხა“ გამილანძღაო — მიპასუხა მან. უცენზუროდო დაუმატა შემდეგ.

ვლადიმერ ჯიქიამ არა მარტო რიონჰესის აგება მოასწრო, სხვაც ბევრი რამ გააკეთა. ქუთაისში ამ მშენებლობის ხარჯზე, მათ შორის ბევრი ისტორიული ძეგლიც შეაკეთა და აღადგინა ქუთაისის მიდამოებში, ააგო ახალი სასტუმრო. იგი იმ ხანებში ერთ-ერთი უპოპულარესი და სახელოვანი კაცი იყო მთელ საქართველოში; დიდი მეოჯახეც. მე აქ სიამოვნებით მოვიგონებ დღესაც თბილისში მცხოვრებ მის მეუღლეს, თინათინ სვანიძის ქალს — იმ ჩვენი დროის ერთ ულამაზეს ქალს და მის ქალიშვილს მარინე ჯიქიას, ქართველ ხელოვანს და მის პატრიოტიზმით გამთბარ მხატვრულ საღამოებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სხვადასხვა თეატრების სცენებზე.

დიახ, იმ წლების ქუთაისში ორი დიდი ამბავი ხდებოდა — რიონჰესის მშენებლობა და კოტე მარჯანიშვილის თეატრის ახალი და ახალი სპექტაკლების ელვარება, რომლებიც მთელ საქართველოდან მასიურად იზიდავდა მაყურებელს. ქართველი მწერლებიც ქუთაისის ძალიან ხშირი სტუმრები ვიყავით. ვლადიმერ ჯიქიას, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის შეგობრობამ განაპირობა მათი საბოლოო ბედ-იღბალიც — ისინი ერთად დაიღუპნენ. ეს ბედ-იღბალი კი გადაწყვეტა ორი ხასიათის, ორი ამბიციის, ორი შიშველი ხმლის — ვლადიმერ ჯიქიასა და რესპუბლიკის მაშინდელი ახალი ხელმძღვანელის არა მარტო საზოგადოებრივი და არა მარტო პოლიტიკური, არამედ ზოგიერთი პიროვნული ინტერესების უშუალო და უსაშველო დაჯახებამ, სადაც დათმობაზე არც ერთი და არც მეორე არ წავიდა. უკვე „ბელადომანიით“ შეპყრობილი რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელი კი უგამონაკლისოდ ყველასგან მორჩილებას მოითხოვდა. მოითხოვდა. მაამებლობას.

მე ვერ ვიტყვი, რომ საერთოდ მაშინ პირველად გაჩნდა ჩვენს ინტელიგენტაზე ეს საშინელი სენი. მაგრამ პირველად ოცდაათიან წლებში საბოლოოდ დასრულდა, გაფორმდა და აღზევდა უსაზღვრო მაამებლობა, რომელიც მედლის ერთი სრულუფლებიანი მხარე გახდა იმდროინდელ „ბელადომანიასთან“ ერთად. და ესეც მეორე დღესვე დაუყოვნებლივ მოჰყვა „ნეპის“ გაუქმებას, პიროვნების თავისუფლების გაუქმებასთან ერთად. არაფრის მქონე კაცი არ შეიძლება თავისუფალი იყოს; ეს უბრალო და ისტორიაში კარგად ცნობილი ჭეშმარიტებაა. ჩვენს საუკუნეში ბევრი რაინდული თვისება დაჰკარგა ადამიანმა, რაიც მით უფრო ქართველ კაცში ჯერ კიდევ იყო აქა-იქ შემონახული, განსაკუთრებით დიდგვაროვანთა შთამომავლობაში, მაგრამ თავმოყვარეობა, (ზოგჯერ ავადმყოფურად გადაზრდილი პატივმოყვარეობაშიც კი) ყველაზე დიდი დანაკარგი იყო. იგი კაცურ კაცობასა და ჭეშმარიტ ზრდილობასთან იყო ნაზიარები და ჩვენს უძველეს კულტურასა და კულტურულობაზე ღაღადებდა. მე კარგად მახსოვს ბევრი ჩვენი ძველი, შალვა დადიანისებურად, მემედ აბაშიძისა და გერონტი ქიქოძისებურად ქართული ზრდილობით აღსავსე, თავმოყვარე ადამიანი, ოციან, ოცდაათიან წლებში, ამანაც ბევრი ვინმე დაღუპა საბოლოოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს საშიშროება ვაი, თუ ახლაც არაა საბოლოოდ აღმოფხვრილი.

მაამებლობა, რასაკვირველია მონობის ტოლფასი იყო; იგი იერარქიულად ქვემოდან ზემოდ, სულ ზემოდ და ზემოდ მიდიოდა და იქ მწვერვალზე მე უკვე აღარ ვიცი რა ერქვა მას; ან უკეთ, რა სახელი უნდა ვუწოდოთ დღეს მას.

ასე გამოვიარეთ ჩვენმა თაობებმა ამ მძიმე სენით დაავადებული ის ოცდაათიანი წლები და შემდგომი ათწლეულებიც.

IV

ოცდაათიანი წლები საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სწორედ რომ საბედისწეროდ დაიწყო და წარიმართა. დიქტატურის გზაზე წასულმა ქვეყანამ, ადგილებზეც ასევე დიქტატორები წამოსწია რესპუბლიკების სათავეში, განსაკუთრებით საქართველოში. ზენიტს მიაღწია და უსაზღვრო გახდა მორის მიურერის «Вымирание критической способности и рост слепой доверчивости государственным тенденциям».

მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით ქვეყნის სახალხო მეურნეობა თითქოს წელში გატყდა და მოიშალა, საქმე მაინც კატასტროფამდე არ მისულა (როგორც ეს გარდაქმნის და საჯაროობის ეპოქაში მოხდა), გაჭირვება მაშინ მართლაც დროებითი აღმოჩნდა და ისევ მალე სანოვაგით აივსო დახლი და ბაზარი, ფულს ფასი დაედო. კილომეტრიანი რიგები გაქრა. ადამიანთა გულებში ისევ დაბრუნდა ხვალის იმედი.

ჩემთვის, ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გაუთვითცნობიერებელი კაცისთვის ახლაც საკვირველია, როგორ ხდებოდა ეს ყოველივე? ან თუნდაც როგორ მოხერხდა ისეთი დამანგრეველი ომის შემდეგ — სულ რამდენიმე წელიც და სასურსათო ბარათების გაუქმება? რა გამოსავალს, რა გზებს, რა უებარ საშუალებებს პოულობდნენ მაშინდელი ეკონომისტები და ქვეყნის თავკაცები ასეთი დაუყოვნებელი შემობრუნებისთვის? განსაკუთრებით დღეს, ჩვენს პირობებში გებადება ეს კითხვა ადამიანს და ეს ბუნებრივიცაა.

შრომა! (დღეს რომ ამით არავინ იწუხებს თავს) რასაკვირველია, უთუოდ შრომა. მაგრამ ადამიანების, ხალხის შრომაში მარტო მათრახის შიშით ჩაბმა ხომ ძნელი დასაჯერებელია. და აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ენთუზიაზმი, კომუნისტური პარტიის ნაცადი იარაღი, შრომაში ხალხთა მასების ორგანიზებულად ჩაბმისა და ენთუზიაზმი ნამდვილად ეფექტიანი ოცდაათიან წლებში.

ELIBRARY.GEORGIAN.GE

გავიხსენოთ თუნდაც ანდრე ჟიდის (ქართველი პოეტებისთვის, მათ შორის ტიციან ტაბიძისათვის, ამ „მარცხიანი ფეხის“ კაცის), კომუნიზმის იდეებთან ამ შეურიგებელი კაცის სიტყვები, რომელიც მას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის წიგნში დაუწერია: — საბჭოთა ახალგაზრდობის ნახვით მე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ისინი აღსავსენი არიან ენთუზიაზმით, შემართებით, ოპტიმიზმით.

(მაინც კერძო საკუთრების საბოლოო გაუქმებამ, ამ „სახელმწიფოებრივი ენთუზიაზმის“ მიუხედავად, ქვეყნის სახალხო მეურნეობას თავისი უარყოფითი მხარეებით მაშინვე აგრძნობინა თავი. მალე გამოაშკარავდა, რომ სახალხო, სახელმწიფოებრივ, სოციალისტურ საკუთრებაზე მაინც და მაინც გული არავის შეტკიოდა; სახელმწიფო ქონებას მალე უკვე უპატრონობის ხელი დაერია და ჟანგმოკიდების, განიავების საშიშროება დაემუქრა. ამიტომაც დასჭირდა სტალინს საჯაროდ გამოექვეყნებინა თავისი „ექვსი მითითება“, რომელთაგანაც პირველი და მთავარი მითითება იყო „გაუპიროვნებასთან“, სახელმწიფო ქონებაზე გულაცრუებასთან გადაუდებელი ბრძოლა. მალე ამას სახელმწიფო მკაცრი კანონებიც მოჰყვა. დიახ, ყოველივე ეს ოცდაათიან წლებშივე.).

ენთუზიაზმი ოპტიმიზმი, აი, რის მასიურად დანერგვას ახერხებდა მაშინდელი ხელმძღვანელობა კიდით კიდემდე. პირველ რიგში ახალგაზრდობაში, სწორედ შრომის უნარით სავსე ახალგაზრდობაში და სწორედ ეს იყო წარმატებების მთავარი საწინდარი. სწორედ ამ ეიფორიული ენთუზიაზმის ამსახველია მაშინდელი ლიტერატურაც, თეატრიც, კინოხელოვნებაც, ახლა რომ ბევრზე სიყალბისა და ხელოვნურობის ზეტად უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს; და ეს მოხდა იმ ქვეყანაში, რომელშიაც

1919 წელს ლენინი წერდა — ჩვენი პარტიის პირველი ამოცანათაგანია რუს კაცს შრომა ვასწავლოთ, და სადაც 1918 წელს «Новая жизнь»-ში იგივე მაქსიმ გორკი წერდა:

«А западный мир суров и недоверчив, он совершенно лишен сентиментализма. В этом мире дело оценки человека стоит очень просто. Вы любите, вы умеет работать? Если так — вы человек, необходимый миру, вы именно тот человек, силою которого творится все ценное и прекрасное. Вы не любите, не умеете работать? Тогда, при всех иных ваших качествах, как бы они ни были превосходны, — вы — лишний человек в мастерской мира. Вот и все.

А так как россияне работать не любят и не умеют и западноевропейский мир это их свойство знает очень хорошо, то — нам будет очень худо, хуже чем мы ожидаем».

(ქართველებიც კარგად უნდა ჩავუკვირდეთ ამ სიტყვებს მით უფრო დღეს) რუსეთმა, მთელმა საბჭოთა კავშირმა, შრომას, საქმეს მოჰკიდა ხელი.

კი მაგრამ, ეს როგორ? — მესმის შეკითხვა დღევანდელი ახალგაზრდა კაცისა, — რა იდეით, რა მრწამსით? სოციალიზმის იდეით? სოციალიზმის მრწამსით?

დიახ, სოციალიზმის იდეით, სოციალიზმის მრწამსით, მის დასაწყის ეტაპზე, „როცა ყველაფერი გწამს, როცა ყველაფერი გჯერა“.

როგორც „ნეპმა“, რევოლუციის მშიერი წლების შემდეგ, ისევე ოცდაათიან წლებში კოლექტივიზაციის წლების შემდეგ ეკონომიკის ამოწევამ, გადაწყვიტა ყველაფერი.

ჩემს თვალწინ დგას ოცდაათიანი წლების ნამდვილად ბრწყინვალე ინტელიგენცია — მწერლები, მეცნიერები, თეატრის, კინოს, ხელოვნების, ყველა დარგის დიდი ოსტატები. ჩვენი სულიერი ცხოვრების საქვეყნოდ გამოჩენილი, დღესაც და მარადაც სასიქადულო ადამიანები, რომლებითაც ნამდვილად იამაყებდა რომელიც გინდათ ევროპის ქვეყანა და რომელთაც ახლა საბჭოთა ინტელიგენცია ერქვა.

* * *

სწორედ ამ დროს დაჯდა და განმტკიცდა ტახტზე საქართველოს ახალი ხელმძღვანელი ლავრენტი ბერია, და უნდა ითქვას, მანაც კარგად გამოიყენა ეს ყოველივე თავისი ავტორიტეტის ,თავისი კულტის აღზევებისთვის. პირველყოვლისა მან სახელმწიფო აპარატს ჩამოაშორა ძველი პარტიული კადრები.

„ძველი კერპების“, ძველი ავტოროტიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკურ სარბიელზე, ჩანს, გაცილებით იოლია, ვიდრე ასეთივე ბრძოლა, ვთქვათ, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ასპარეზზე. აქ უფრო იოლია ხალხის მასების მხარდაჭერის მიღწევა და აყოლიებაც ხალხი, როგორც წესი, ემხრობა ახალ მებრძოლ ძალას და ჯერ კიდევ სათანადოდ ღრმად არ იხედება მის ნამდვილ მიზნებსა და სამომავლო პროგრამით. მით უფრო, სრულიადაც არ აქცევს ყურადღებას ამ ახალი ძალის პიროვნულ ღირსებებს. მის პიროვნულ თვისებებს და თავისებურებებს. ყოველივე ამას დრო სჭირდება; ამ დროში კი ამ ახალ ძალას, გამარჯვების, შემთხვევაში, საშუალება ეძლევა ბევრი უბედურება დაატრიალოს ქვეყანაზე, თუ იგი შემთხვევითი და ყალბია, მით უფრო თუ იგი ბოროტი სულია.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელს საქართველოში წლების მანძილზე მუშაობით საზოგადოება იცნობდა, ასეთი დიდი პოსტისთვის ის ჯერ კიდევ მაინც უცნობი იყო. აქა-იქ ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ აგრეთვე ასეთი პოსტისთვის მის დაბალ განათლებაზე. თუმცა დიდკაცებში მაშინ დაბალი განათლების ადამიანი უცხო ხილი როდი იყო. საერთოდ კი ეს სენი, როგორც ჩანს, იმ დროს მარტო ჩვენი უბედურება არა ყოფილა. მოვუსმინოთ სომერსეტ მოემს:

«Надо полагать, что для управления страной требуется специфический талант, совершенно не зависящий от об-

щей талантливости»... «для управления страной не требуется большого ума. Позднее я знавал в разных странах немало политических деятелей, достигших высоких постов, и тоже бывал поражен тем впечатлением интеллектуального убожества, какое они на меня производили». («Подводя итоги»).

საქართველოში რამდენიმე ახალგაზრდა კაცი დაიღუპა იმ ოცდაათიან წლებში ხუმრობისთვის: — ჩვენს ახალ ხელმძღვანელს გუტენბერგის სტამბიდან მოყოლებული არცერთი დაბეჭდილი წიგნი მათ შორის მის წინასწარ ჟოზეფ ფუშეზეც კი წაკითხული არა აქვსო.

მოემს თავისი დაკვირვება და გამოცდილება — მეც კიდევ ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მაქვს. მოემს თავის ქვეყანაში (და მსოფლიოშიც) არც დაესიზმრებოდა ისეთი პოლიტიკური მოვლენები და სიტუაციები, რაც ჩვენს ქვეყანაში ჩვენ გვინახავს და გაგვიგია. ჩვენში პოლიტიკური ასპარეზისკენ ქალაქადაც და სოფლადაც მიისწრაფოდნენ უმეტესად ის ადამიანები, რომლებსაც სხვა რაიმე თვალსაჩინო დარგში განსაკუთრებული ნიჭით არ აჯილდოვებდა გამჩენი (მათ შორის ხშირად სხვა საქმეებში ხელმოცარული ადამიანები). რაღა ჩვენში,—ეტყობა, ეს ყველგანაც ასეა. რონალდ რეიგანი ჰოლივუდის მსახიობი იყო. დიახ, იყო. მაგრამ მას, ყველაფრიდან ჩანს, ღმერთმა თავიდანვე პოლიტიკური მოღვაწის დიდი ნიჭი დაანათლა და არ გაჩნდა მსახიობის ის დიდი ტალანტი, რაც დააკმაყოფილებდა მის დიდ ამბიციებს. ამ ტალანტმა ვერ შეაჩერა, ვერ ჩაიგდო იგი ხელში, თავის გზაზე იგი ვერ გაიტაცა, აბა, ჰოლივუდის კი არა, ლასკალას მსახიობი ყოფილიყო, ისეთი ვოკალური მონაცემებით, როგორც კარუზო ან პავაროტი? ჰქონოდა საოპერო ხმა, პოლიტიკურ ასპარეზისკენ არც კი გაიხედავდა. წაიკითხეთ შალიაპინის მოგონებები, მას უოცნებია ყველაფერზე, მაგრამ რუსეთის იმპერატორობაზე არასოდეს უოცნებია.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სამოცდაათი წლის მანძილზე ყველა ასპარეზი, სადაც კაცს შეეძლო თავისი ნამდვილი ნიჭი გამოემჟღავნებინა, მართლაც დაბორკილი, შეზღუდული იყო, ვთქვათ, ნიჭი კომერსანტისა ან, ვთქვათ, ნიჭი კერძო ხელოსანი—მეწარმისა.

დიახ, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, ყველაზედ მეტად კაცს გზა ჰქონდა გახსნილი პოლიტიკური სარბიელისკენ და ისიც, ჰქონდა თუ არა პოლიტიკური მოღვაწის ნამდვილი ნიჭი, იბრძოდა გაეკაფა ეს გზა რაიკომის მდივნობისკენ, მინისტრობისკენ...

იგი, ახალი ხელმძღვანელი, დამსჯელი ორგანოებიდან მოვიდა და, მისი ამ დარგის მუშაკთა დიდი კმაყოფილების გარდა, ქვეყანაში ამ დანიშვნამ მრავალმხრივი რეაქცია გამოიწვია — უკიდურესი გაოცება, დაბნეულობა, გაუგებრობა, შეშფოთება და ძველ რევოლუციონერთა შორის ძლიერი აღშფოთება (ალბათ ამ აღშფოთებით გაილაშქრა მისი კანდიდატურის წინააღმდეგ მოსკოვში „რკინის კომისარმა“ სერგო ორჯონიკიძემაც) მახსოვს, როგორ ბუზღუნებდნენ ისინი, ამ მოვლენის გამო — ვინ არის, საიდან მოვიდა ეს კაცი, რა დამსახურება მიუძღვის რევოლუციის წინაშე? (წინასწარ იგრძნეს: ყველანი დაიღუპნენ რამდენიმე წლის შემდეგ. მე მრავალ ძველ რევოლუციონერს მოვესწარი და მახსოვს მათი ამგვარი ბუზღუნი, არამარტო საქართველოს ამ ახალი ხელმძღვანელის გამო, არამედ სტალინის გამოც: — ნუთუ ამოდენა რევოლუცია მარტო იმ ერთმა კაცმა მოახდინაო. მათ იცოდნენ, რომ ასეთი საქმე ერთ კაცს მაშინ მართლაც არ შეეძლო, მაგრამ მათ არ იცოდნენ. რომ იმ ერთ კაცს ახლა ყველაფერი შეეძლო. მათ შორის მათთანაც, იმ ძველი რევოლუციონერებთანაც გასწორებაც).

როგორც ირკვევა, ყოველ დროს არიან მეამბოხეები, რომელთაც მხოლოდ ოპოზიციაში დგომა შეუძლიათ, „მარადიული ოპოზიციონერები“ და.

როგორც ირკვევა. გამარჯვების შემთხვევაში მათ პოზიტიური საქმეების კეთება არ ხელეწიფებათ. მეამბოხე ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი და პროფესიული პოლიტიკური მოღვაწე. ჩანს ნამდვილ პოლიტიკურ მოღვაწეს ძველისადმი ზიზღისა და აღშფოთების გარდა, ძველის ნგრევის წყურვილის გარდა ხელთ უნდა აუცილებლად ეპყრას ახლის, მომავლის შენების თავისი ნათელი პროგრამაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოღვაწე იწყება იქ, სადაც თავდება მეამბოხე.

დიახ, ბუზღუნებდნენ ძველი რევოლუციონერები... არა, და, ბევრი მათგანი, როგორც მაშინაც კარგად ჩანდა, სრულიადაც არ ტყუოდა. როგორც ცნობილია, წიგნი „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიისათვის“ დაიწერა ძველი რევოლუციონერის, კომუნისტის, იმჟამად სსრკ უმაღლესი საბჭოს მდივნის, აბელ ენუქიძის წიგნის საპასუხოდ, სადაც ენუქიძეს სათანადოდ არ ჰქონია გაშუქებული იოსებ სტალინის როლი ბაქოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში (თუ, მგონი, სავსებით არაფერი უთქვამს ამ როლსა და დამსახურებაზე). იმ კაცს ალალად დაუწერია რაც სინამდვილეში ყოფილა. (საბოლოოდ იმ თავის წიგნს ენუქიძე გადაყვა კიდეც) მაგრამ შემდეგ, როცა რევოლუციური ყველაფერი იოსებ სტალინს მიეწერა, (თუმცა სტალინს თავისიც ეყოფოდა) ასეთი ალალი წიგნები უკვე კრამოლა გახდა. ამ წიგნებისა და მათი ავტორების დაცვასაც კი ვერავინ გაბედავდა. სავსებით გაქრა კრიტიკული აზრის ნასახიც. გამეფდა შიში საკუთარ ოჯახებშიც კი. გაქრა გამბედაობა საკუთარი აზრის გამოთქმისა და რამდენი ადამიანი ემსხვერპლა ამ გაუფრთხილებლობას; მათ შორის საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე (შეთავსებით), ძველი რევოლუციონერი მალაქია ტოროშელიძე და ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი (შეთავსებით) გიორგი ყურულაშვილი (ესეც ძველი რევოლუციონერი) დაჭერისთანავე ერთ ღამეში [illegible] და მათი უბედურება უკვე შეორე დილით გამოცხადდა გაზეთებში. მათ, რასაკვირველია, სიმართლე იცოდნენ და იცოდნენ ისიც რომ ეს სიმართლე ახლა აღარავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, პირიქით, ამის ცოდნა საშიშიც კი იყო; საშიში იყო იმის ცოდნა, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელი თურმე რევოლუციის, ამიერკავკასიის სეიმის დროს ბაქოში „მუსავატისტების“ პარტიის წევრი ყოფილიყო და ეს მათაც, ამ ძველ რევოლუციონერებსაც ეცოდინებოდათ, უთუოდ ამის ცოდნამ ხომ სხვაც ბევრი დაღუპა. მაგრამ, როგორც ჩანს, სადღაც რაღაც „შეშალათ“. ასე დაიღუპა ბევრი ძველი პარტიული ქართველი, მათ შორის დედის მხრიდან ბევრი ჩემი ნათესავიც.

არის ვერსია, რომ წიგნი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის მალაქია ტოროშელიძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით შექმნა თბილისის უნივერსიტეტის რამდენიმე მეცნიერმუშაკმა. არა; ეს წიგნი, როგორც მაშინ დამაჯერებლად ამბობდნენ, საქართველოს კომპარტიის აგიტპროპმა შექმნა, რევოლუციის შემდგომი თაობის სტალინით აღტაცებულმა ახალგაზრდა ქართველ კომუნისტთა ჯგუფმა, რომელთაც თვითონ საკუთარი თვალით არ ენახათ რევოლუციამდელი არალეგალური პარტიული საქმიანობა. მალაქია ტოროშელიძე კი ძველი კომუნისტი იყო, თვითონ იმ არალეგალური ბრძოლების მონაწილე და თვითმხილველი. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ძველი ქართველი რევოლუციონერები ისტორიის ასეთ გაყალბებაზე არ მიდიოდნენ, შესაძლოა იმის გამოც რომ ჯერ კიდევ ბევრი იყო ცოცხალი. იმ არალეგალური მოძრაობის მონაწილე, ან მისი დამსწრე და მხილველი.

* * *

მთელი ქვეყნიერება ახალი, მეორე მსოფლიო ომისთვის ემზადებოდა; ომისათვის ემზადებოდა საბჭოთა კავშირიც. საბჭოეთის მომავალ სარდალს კი განუსაზღვრელი, უკამათო ავტორიტეტი სჭირდებოდა და ამაზე არა მარტო თვითონ იგი, შეიძლება უფრო მეტადაც კი მთელი საბჭოეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა ზრუნავდა. დიახ, სწორედ მაშინდელი ხელმძღვანელები. ამ მხრივ მეტად საინტერესოა „ბელადის საიდუმლო მრჩევლის“ ერთი მოგონება: პირველად კ. ვოროშილოვის წიგნი „სტალინი და წითელი არმია“ რომ წაიკითხა, თვითონ სტალინს სიცილი აუვარდაო — იქ ხომ სამოქალაქო ომში ყველაფერი სტალინზეა მიწერილიო, თვით წითელი არმიაც სტალინის დაარსებულიაო. აი ამას ვერ გრძნობდა და ვერ ითვალისწინებდა წინასწარ რევოლუციონერების ძველი გვარდიის ბევრი წარმომადგენელი შეურაცხყოფილი და განაწყენებული. ის საბედისწერო ოცდაჩვიდმეტი წელიც არსებითად სწორედ მათგან დაიწყო, მათი რეპრესიებით, მათი მასიური „პროფილაქტიკით“. მათ მიიტანეს პირველად თავისი თავი ამ ეპოქალურ დანაშაულებრივ სამსხვერპლოზე.

მეორე მსოფლიო ომის დენთის სუნმა საბჭოთა კავშირამდე ჯერ კიდევ ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში მოაღწია. საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ იმ წლებიდან ცდილობდა მტრის ელვისებურ დამარცხებას. „მტრისავე ტერიტორიაზე“; ჩვენი ქვეყანა აქტიურად და უშუალოდ ჩაერია იქ, ესპანეთში გაჩაღებულ სამოქალქო ომში და სხვა ქვეყნების თავისუფლებისმოყვარე ძალებსაც მოუწოდა იქითკენ.

ამგვარად მაშინ, იმ ოცდაათიან წლებში დაიწყო მსოფლიო ისტორიაში ახალი ფორმა და მეთოდი — სხვისი ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევისა „ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის“ სახელწოდებით.

ესპანეთის სამოქალაქო ომი, ოცდაათიანი წლების მსოფლიოს ეს ერთი მთავარი მოვლენა, დღეს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ესპანეთის გარდა შესაძლოა სხვას ბევრს არვის ეხსომებოდა, თუ არა ერნსტ ჰემინგუეის საქვეყნოდ გახმაურებული რომანი „ვისთვის რეკს ზარი“. თითქოს ეს ომი ამ ქვეყანაში სწორედ იმიტომ დატრიალდა, რომ, მისგან საბოლოოდ ეს შესანიშნავი ქმნილება დარჩენილიყო; თუმცა იმ წლებში მთელ მსოფლიოში და საბჭოთა კავშირშიც ბევრი რამ იწერებოდა, მათ შორის მიხეილ კოლცოვისა და ილია ერენბურგის ნამდვილად ოსტატური კალმით ნაწერი ნარკვევები და კორესპონდენციები.

დიახ, ოსტატური კალმით, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბევრი რამ შებრუნებულად, საბჭოეთის იდეოლოგიის თვალსაზრისით.

ქართული მწერლობაც გატაცებით ჩაერთო ეპოქის ამ დიდ საერთაშორისო საქმეში, თავისი „ინტერნაციონალური მოვალეობის“ შესრულების საქმეში. ჩვენ პატარა პოეტური კრებულიც კი გამოვეცით, მიძღვნილი ესპანეთისადმი. ამ კრებულის გამოცემა, მახსოვს, პაოლო იაშვილმა ითავა. მეც დამიკვეთა მან ლექსი და მეც დაუყოვნებლივ შევასრულე დავალება ლექსით — „ესპანეთის მებრძოლთ“. მახსოვს თბილისში ბევრს პირზე ეკერა იმ წლებში სახელები, ლარგო კაბალიერო — რესპუბლიკელთა მეთაური; გენერალი ფრანკო და გენერალი მოლა — აჯანყებული ფაშიზმი; ესპანეთის ფრონტებზე რესპუბლიკელთა მხარეზე მებრძოლი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების „ინტერნაციონალური ბრიგადების“ მეომრები, მათ შორის გენერალი ლუკაჩი.

გენერალი ლუკაჩი როგორც მახსოვს,, 1930 თუ 1931 წელს თბილისშიც ჩამოვიდა მოსკოვიდან: მაშინ იგი იყო, უბრალოდ, უნგრელი

პროლეტარული მწერალი, მატე ზალკა; საბჭოთა კავშირს, რუსეთს თავშემოფარებული სამხედრო კომუნისტი, თბილისში იგი მოხვდა ცენტრიდან მოვლინებულ დელეგაციაში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთ პლენუმზე, სადაც, როგორც მახსოვს, იხილებოდა წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების („ლოკაფ") რესპუბლიკური ორგანიზაციის შექმნის საკითხი. მგონი მასთან ერთად იყო ემიგრანტი ჩინელი პოეტი ემი-სიაოც ორთავე ის დელეგაციაში მათივე თხოვნით შეეყვანათ. საქართველოს ნახვა მოუწადინებიათ. მატე ზალკა მბიარული, ცოცხალი კაცი იყო, უბრალო, უპრეტენზიო კაცი; მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ის სულ ორიოდე წლის შემდეგ ასეთ გმირის სახელს მოიპოვებდა მთელს ესპანეთსა და მსოფლიოში. მერე საწყალი მატე ზალკა, გენერალი ლუკაჩი იქვე დაიღუპა. ემი-სიაო კი მეოთხედის საუკუნის შემდეგ, 1957 წელს პეკინში ვნახე, ჩინეთის რევოლუციის 10 წლისთავზე.

—.—

ერთი რამ ყველასათვის აშკარა იყო მთელ საქართველოში:

იცნობდნენ რა საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ბიოგრაფიასა და ხასიათს, ყველა ერთს ფიქრობდა: — მშვიდობით ყოველგვარო დემოკრატიულობავ! მალე თბილისში ფარულად დიადი მითქმა-მოთქმა დაიწყო—მანამდე დიდი მეგობრების, საქართველოს ახალი ხელმძღვანელისა და ორჯონიკიძეს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ. ურთიერთობის ამ დაძაბვამ პირველ რიგში მწერლობიდან იმსხვერპლა გრიგოლ რობაქიძე.

გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს გაემგზავრა ბერლინს სწორედ ორჯონიკიძის დახმარებით (და გაემგზავრა ისე, როგორც, ვთქვათ, რუსეთიდან უცხოეთს შალიაპინი ან მარკ შაგალი — არა ემიგრანტად). 1962 წლის აპრილის თარიღით საქართველოს მწერალთა კავშირში ჩემდამი მომართულ თავის დიდ წერილში, რომელიც ჯერ პარიზის ქართულ ჟურნალ „კავკასიონში" დაიბეჭდა, შემდეგ კი, ამ ორიოდე წლის წინ, ჩვენს სალიტერატურო გაზეთშიც გამოქვეყნდა, გრიგოლ რობაქიძე იწერებოდა — „1931 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის სახელოვანი გასტროლების დროებში ორჯონიკიძესთან ვიყავი ერთი საქმის გამო". ამავე საქმეზე იგი მოსკოვში ორჯონიკიძესთან ერთი წლით ადრეც, 1930 წელსაც იყო. საქმე მისი გერმანიაში რამდენიმე ხნით წასვლას შეეხებოდა, მეუღლის სამკურნალოდ და მისი წიგნების გერმანულ ენაზე გამოცემასთან დაკავშირებით. (მალე გამოიცა კიდეც მისი რომანი „გველის პერანგი" ბერლინში, შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით).

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე საქართველოს ახალმა ხელმძღვანელმა მიიღო გერმანიაში წასვლის წინ (გრიგოლ რობაქიძეს, რასაკვირველია, მაშინ, როგორც ჯერჯერობით არც სხვას, არაფერი ეცოდინებოდა ორი დიდი კაცის ურთიერთობის იმ გამწვავების შესახებ). მახსოვს, იგი ცენტრალური კომიტეტიდან მწერალთა კავშირში რომ დაბრუნდა, რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელზე თქვა: — მე ვერ გავუძელი მის თვალებსო. ამავე დროს თვითონ გრიგოლ რობაქიძესაც მეტად გამჭოლავი მზერა ჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძე ბერლინს იმჟამად მხოლოდ დროებით გაემგზავრა. მისი იქ დარჩენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ამ ორი დიდი კაცის ერთმანეთზე გადაკიდებამ. იგი გერმანიაში საქართველოდან ჩასული ხმებით დარწმუნდა რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში მას სამშობლოში რეპრესირება არ ასცდებოდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და საქართველოში შეიქმნა უცხოეთში გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძის ლანძღვაგინება როგორც აგენტისა და მოღალატისა. დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში" და შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა პარტიული მუშაკის გრიგოლ მუშიშვილის (ხოფერია) ვრცელი წერილი „გველის პერანგოსანი", უხეში პასკვილი. რობაქიძე გამოცხადდა ფაშისტად. გაზეთებში დაიბეჭდა გრი-

გოლ რობაქიძის უახლოესი მეგობარი მწერლების გამოხმაურება „მოღალატე“ რობაქიძეზე ისეთი ფრაზებით როგორიც მათ გულშიც კი არასოდეს გაუვლიათ თვით მათი ნამდვილი მტრებისა და მოწინააღმდეგეთა მიმართაც კი. ერთი სიტყვით, ატყდა ალიაქოთი.

გრიგოლ რობაქიძე მანამდეც, სწორედ იმ წელსაც ბერლინში იყო, როცა საქართველოში ანდრეი ბელი მოგზაურობდა (და იგი აქ არ დარჩენილა). ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ანდრეი ბელი:—

— Я с Робакидзе не встретился; но — мы знакомы; меня познакомили с ним два его верных друга; стоял между нами он; кстати, — отмечу, чем я восхищен в моих новых друзьях: ни штриха самомнения, самости, или желания первенствовать; постепенно Яшвили подчеркивает: «Я-то что: Тициан, — вот в чем сила». Табидзе же кивает: «Не я, — а — Паоло». И оба твердят: «Робакидзе, — как жаль, что разъехались с ним».

გრიგოლ რობაქიძე ოციანი, ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობის ერთი უმთავრესი ფიგურა იყო; მკაცრად ერთი სტილის კაცი. ერთი მთლიანი მოვლენა. წერდა მართლაც ისე, როგორც დადიოდა; იცვამდა ისე, როგორც წერდა; იჯდა ისე, როგორც ლაპარაკობდა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მის მიერ შექმნილი და მისეული ცოტა ხელოვნური იყო, როგორც წერის მანერა, ისე, ვთქვათ, სიარული, ან საუბარი; სხვისგან ყველასგან გამორჩეული, მაგრამ ახალი, რაღაც სხვა, რაღაც უცხოური კულტურისმიერი. მე მისი სიცილი არ მინახავს, ყოველთვის სერიოზული სახე ჰქონდა; ჩაფიქრებული, თავშეკავებული. მწერალთა კრებებზე ყოველთვის წინა რიგში იჯდა (არა იმ ადგილას, სადაც შემდგომში კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა ჯდომა), მუდამ განუყრელ მის ყავარჯნზე მკლავებდაწყობილი; მის ამ თავისებურებებს, მის ამ „უცნაურობას“ საზოგადოება ბოლოს და ბოლოს ველარც კი ამჩნევდა, იგი დაკანონებული იყო საზოგადოებაში — ეს იყო გრიგოლ რობაქიძე — თავისი უზარმაზარი ერუდუციით, ნიჭით, სიტყვის დამაჯერებლობით, უახლესი ევროპული ფილოსოფიის და ლიტერატურის ზედმიწევნით ცოდნით; ავტორი უკვე საქვეყნოდ ცნობილი რომანებისა, პიესებისა, ლექსებისა. ასე, რომ მისი თავისებურება ახლა მისი მეორე ბუნება კი არ იყო, არამედ მისი ძირითადი, მისი ნამდვილი სახე და ხასიათი. სხვაგვარი რობაქიძე თბილისში წარმოუდგენელი იყო.

საქართველოში გრიგოლ რობაქიძე იყო ისეთივე ფილოსოფოსიც, მწერალიც, როგორც რუსეთში, ვთქვათ, სოლოვიოვი ან ბერდიაევი, ან ანდრეი ბელი; მათი სტილისა და აზროვნების ტიპი; და იგი რომ რუსეთში ყოფილიყო, არც ერთ ამათგანს ტოლს არ დაუდებდა, არც ნიჭით, არც ერუდიციით, არც შრომის უნარითა და პროდუქტულობით.

იმდროინდელ საქართველოში გრიგოლ რობაქიძე ძალიან ჩანდა, როგორც, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია, როგორც ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია. მაგრამ, ეტყობა, სადღაც, რაღაცაში მას მეტი ხიბლი ჰქონდა უცხო ადამიანებთან ურთიერთობაში, მეტი ხიბლი, კარგად დამუშავებული არტისტულიც და თანდაყოლილიც.

თუმც აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მის მხატვრულ სტილსა და ენას საქართველოში ზოგჯერ აკრიტიკებდნენ კიდეც. გავიხსენოთ ჩანაწერი მიხეილ ჯავახიშვილის არქივიდან: „გრიგოლ რობაქიძის ფრაზა ხატოვანია, სავსე, მძიმე, მეტისმეტად მძიმე, ტემპი ფიცხი. ზოგჯერ გაჭიმული, სტილი მედიდური, ზავთური, მძი-

მედ დატვირთული, ალაგ-ალაგ არქაისტული“ (ქ. ჯავახიშვილი „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“).

ომის წლებში, მით უფრო, როცა გერმანიის ჯარები ჩრდილოეთ-კავკასიიდან სამხრეთისკენ გამოიკრენ და დარიალთან საქართველოს საზღვრებს მოადგნენ, თბილისში ძალიან გავრცელდა ხმა, რომ გრიგოლ რობაქიძე ბერლინში მეტად გააქტიურდა და თითქოს ჰიტლერისა და როზენბერგის მარჯვენა ხელიც კი გახდა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათი დაპყრობის საქმეში. ეს, ალბათ, იმიტომაც, რომ ჩვენში ბევრმა იცოდა, ოცდაათიან წლებში გერმანულ ენაზე უცხოეთში დაწერილი მისი წიგნის „ფიურერი აღმოსავლელი მწერლის თვალით“ არსებობა, თუმცა წასაკითხად ხელში ეს წიგნი მაშინ არავის ჩავარდნია. (მეც მხოლოდ ომის შემდეგ წავიკითხე იგი) ეს ოცდაათიანი წლები ხომ საერთოდ მთელს ევროპაში არის დიქტატურებისა და დიქტატორების განსაკუთრებული ქება-დიდების წლები (და აქ ხომ ჩვენს ქვეყანასა და ყველა ჩვენთაგანს პირველობას ვერავინ წაგვართმევს). გარდა ამ წიგნისა, ბევრს ლაპარაკობდნენ იმ ხანებში იმაზეც, რომ თითქოს გრიგოლ რობაქიძე ჯერ კიდევ ტარტუს უმაღლესი სასწავლებლიდან როზენბერგის ახლო მეგობარი იყო და ახლა სულ უერთმანეთოდ პურსაც კი აღარ ჭამენო. ამას ისიც დაერთო, რომ გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ქართველი ტყვეებისაგან შემდგარი ლეგიონის ჯარისკაცებს, რომელიც მათმა სარდლობამ ჩრდილოეთ-კავკასიაში, ბაქსანზე გადმოისროლა და რომელსაც გერმანელ პოლკოვნიკთან ერთად ქართველი გენერალი მაღლაკელიძეც მეთაურობდა, თითქოს ამბავი ჩამოეტანოთ, — იქ გრიგოლ რობაქიძემ დაგვმოძღვრაო. ეს ამბავი მეც კარგად ვიცოდი ომ დღეებში, 1942 წელს, როცა ბაქსანზე ვიყავი, ჩრდილოეთ-კავკასიის მოქმედ არმიაში. ქართულ დივიზიაში. სადაც „კაპიტან ბუხაიძეს ვწერდი.

როცა ომის შემდეგ გენერალი მაღლაკელიძე თბილისში მოხვდა, საბოლოოდ გაირკვა სიმართლე; მე მას, რასაკვირველია გრიგოლ რობაქიძეზე შევეკითხე უპირველეს ყოვლისა. ხოლო თვითონ გრიგოლ რობაქიძის ზემოდ ნახსენები 1962 წლის ჩემდამი მომართული, წერილიდან ვიცით: „გავიგე, მანდ ჭგონიათ თურმე: თითქო მე ჰიტლერიანი ვყოფილიყავი, ეს ჭორი და ზღაპარია. მრავალ ფაქტთაგან აქ მხოლოდ ერთი: 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებითგან ომის ბოლომდე გესტაპო-ს ზვერვის ქვეშ ვიყავი მოქცეული. ჰიტლერიანი რომ ვყოფილიყავ, განა ასე მომექცეოდნენ?! მანდ გავრცელებული აზრი ჭორი და ზღაპარია — სხვა არაფერი!“

ხოლო შემდეგ ამონაწერი მისი წერილიდან „გულნადები“: ქართველი მწერლებს ეძმარნენ „ომის ხანა. მთხოვდნენ რადიოთი [illegible] ნა, ავიცილე — სხვადასხვა მოსაზრებით. 2. გერმანიის ლაშქარი მიადგა კავკასიონს. ბრიუსელის ერთმა გაზეთმა — გერმანულ ენაზე — გამოდიოდა — მომმართა: წერილები მიმეწოდებინა კავკასიაზე. მივაწოდე — სილუეტი: „საქართველო და ჯვაროსნები“, „ივანე ორბელიანი“, „პრომეთეს ნაშიერნი“, „წმინდა მთები“, „იმამ შამილი“ (უკანასკნელი შემდეგ არაბულად გამოვიდა ერთს ჟურნალში) ხედავთ, პოლიტიკური „აკცენტი“, რომელსაც ალბათ ელოდნენ, ავიცდინე. 3. მომმართეს მენახა, ქართველი ტყვეები. ვინახულე ათასამდე — სხვადასხვა ბანაკებში. ვესაუბრებოდი მხოლოდ საქართველოზე (სწორედ იმ საგნებზე, რომელთაც ვეხები ნარკვევში „უცნობი საქართველო“ — პირველ — „კამარებს“ უკვე გადაგიშლიდათ ალბათ „ქართული საქმე“). მრავალნი ამ ტყვეთაგანი დაუბრუნდნენ, უნდა ვიფიქრო ასე სამშობლოს. ისინი დამიმოწმებენ; თუ როგორ ვიცდენდი საუბრისას პოლიტიკურ აქცენტს. ეუკითხავდი შაირს „ქართველი დედის წერილი“ რომელსაც თანვე გიგზავნით. დამეთანხმებით: მისი დაბეჭდვა, რასაკვირველია პსევდონიმით, საბჭოთა საქართველოშიაც — ომის დროსაც კი შეიძლებოდა. ერთხელ — ეს იყო ბრანდენბურგში — წავუკითხე ტყვეებს ვაჟას „თამარი“ და „ხანჯალი“ და ჩემი „ვაჟური“ და „მიწის სჯული“. ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ ძვირად განმიცდია: გრძნობათა გეოლოგიური ამოხეთქვა და მოხეთქვა იყო ნამდვილი დარბაზში. ერთხელ — „დედის წერილის“ კითხვისას —ერთს ტყვეს გული „წაუვიდა“ და აქვითინებტლი გარეთ გაიყვანეს ამხანაგებმა. აღწერა ამ შეხვედრათა შეუძლო გახდა ჩემთვის — მიმიმართავს კალმისათვის, ხოლო მყისვე უნდა გამგედო განზე, რადგან , ცრემლებს ვერ ვუძლებდი აი ამ წამსაც ვტირი ვტირი — მოგონებისას“.

ამავე წერილიდან: „საბჭოეთში ჭგონიათ, თითქოს მე „მეორე“ ნაპირას ვიდრე, არაარ მართალი. მე ვდგავარ „მესამე“ ნაპირზე — მდინარეს ასეთი ნაპირიც აქვს. ვინც ამ ნაპირზე არ დგას, ის ვერც მოაზრედ გამოდგება და ვერც ხელოვანად“.

ისევ ამავე წერილიდან: „წიგნი ჰიტლერზე??“ ეს „წიგნი „ჰითაგორული“ გეგმებითაა აგებული, მოკლედ: იქ ნაციონალ-სოციალისტური მსოფლხედვა სრულიარდ შენგრეულია შინაგან“.

მკითხველი, ალბათ, შეატყობს, რომ გრიგრიგოლ რობაქიძეს მაინც შინაგანად აწუხებს ამ წიგნის არსებობა, ისევე, როგორც აქეთა „ნაპირის“ ბევრ ჩვენგანს იმდროინდელი ჩვენი ზოგი რამ.

არა ჰგავდა გრიგოლ რობაქიძეს მისი სრული ანტიპოდი. ღვიძლი დაც ლიდა რობაქიძე. ეს საწყალი იმერელი ქალი არც მოქცევით, არც ლაპარაკით არ მოგაგონებდათ მის უფროს სახელოვან ძმას. ერთი უბრალო ქალი იყო, როგორც ყველა იმერელი დიასახლისი, და მე მის შემხედვარეს ხშირად მიფიქრია, თუ რა დიდი ენერგია დასჭირდებოდა მის ძმას პირველ ხანებში, მისი ახალი, მეორე ბუნების გამოგონებასა, ყოველ დღურ ტარებასა და შენარჩუნებაში; ისევე, როგორც არაერთხელ მიფიქრია ამაზე გალაკტიონ ტაბიძის მიმართაც. ლიდა ორმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული, როცა რეაბილიტაციების დრო დადგა, ძალიან ხშირად მოდიოდა ჩემთან მწერალთა კავშირშიც და სახლშიც; ძმის რეაბილიტაციის საქმეს მთელი მისი დაუღალავი ენერგიით გადაყოლილი, მოჰქონდა ჩემთან მისდამი მოწერილი ძმის წერილებიც, ასლებიც და ძმის სურათებიც (მე ზოგიერთ იმ ასლს ახლაც ვინახავ), მაგრამ გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაციის საქმეში ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ ვერაფერ წარმატებას მივაღწიეთ. რატომღაც იმ რეაბილიტაციების ეპოქაშიც კი ტაბუდადებული დარჩა მხოლოდ რამდენიმე ქართველი კაცი: ნოე ჟორდანია, გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე და, სრულიად გაუგებრად, ალექსანდრე ჭეიშვილი. ცენტრის „მთავლიტის" მიერ აკრძალული ეს ოთხი კაცი ჩვენ ქართულ ენციკლოპედიაშიც კი ვერ შევიტანეთ აგერ სამოცდაათიან წლებშიც. საწყალი ლიდა. ისე გარდაიცვალა, მის სანუკვარ მიზანს ვერ მიაღწია; (მე კი გრიგოლ რობაქიძისთვის ბოლოს და ბოლოს საკმაო უსიამოვნებაც შემხვდა.) ლიდა ვერ მოესწრო მისი უსაზღვროდ საყვარელი, საამაყო და სამუდამოდ უცხოეთში დაკარგული ძმის შემოქმედებითს, სულიერ დაბრუნებას საქართველოში.

—.—

.დიდი ,ძალიან დიდი ხნის შემდეგ მაინც უნდა ითქვას ერთი რამ: მაგრამ ჯერ ჩავიხედოთ კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდების ლაციცში" „არ დამავიწყდეს და ნიცშეთი გატაცებამ მომცა პირველი ბიძგი გერმანული ენის შესწავლის საქმეში. მე უკვე ქუთაითური გიმნაზიაში ყოფნის დროს ისე კარგად ვიცოდი ეს ენა, „აგრე იტყოდა ზარატუსტრა"-ს პირველი თავები იმ ხანებში ვთარგმნეო".

და ქვემოთ:

„მე, როგორც მცირერიცხოვანი ერის შვილს, უკვე აღარ მომწონდა ნიცშეს „ჰერერ მორალიო".

დიახ, ამ მოძღვრებით საქართველოში გატაცებული იყო არაერთი ახალგაზრდა ინტელიგენტი და რასაკვირველია, პირველ რიგში გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

ჯერ კიდევ ოციანი წლების თბილისის უნივერსიტეტის კედლებში მეც მოვუსწარი ფრიდრიხ ნიცშეს მოძღვრებით გატაცებას არა მარტო ზოგიერთ ლექტორთა, არამედ უფროსი კურსების სტუდენტთა გარკვეულ ნაწილშიც, (სხვა „იზმებისაგან" განსხვავებით ეს გატაცება საქართველოში უშუალოდ უცხოეთში განსწავლულმა ადამიანებმა ჩამოიტანეს). ჩემს ახალგაზრდობაში ამ მოძღვრების ცოდვებს ჩუმ-ჩუმად თვითონ ბოლშევიკების თეორეტიკოს ბელადებსაც კი აბრალებდნენ. („ზეადამიანი",, „ბელადი", „ფიურერი". ქადაგება მორალისა: — იყავით უმკაცრესნი სხვისა და თავის თავის მიმართ!) თუმცა ოფიციალურად ნიცშეანელობის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იყო გამოცხადებული.

იმ დროს საქართველოში არავითარი აგრესიული ხასიათი ამ ფილოსოფიით გატაცებას არა ჰქონია (რაიც შემდეგ და შემდეგ მიიღო დასავლეთის ქვეყნებში, გერმანიასა და იტალიაში) ეს გატაცება ჩვენში იყო როგორც გატაცება, ვთქვათ, ჰეგელის, კანტის, ან

ჩვენი დროის ჰაიდეგერის მოძღვრებით.

ისევ კონსტანტინე გამსახურდია: „ამ თეორიის გავრცელებას ჯერ კიდევ 1918-19 წლებში ვეწეოდი, რა თქმა უნდა, მე არ დამესიზმრებოდა, რომ გერმანელი ფაშისტებიც ამ თეორიას დაადგებოდნენ. ეს ეპიგონობის პერიოდი იყო ჩემს აზროვნებაში"... „ჯერ კიდევ ჭაბუკს საკუთარი აზროვნებისა და სხვისგან ნასწავლის მონელების უნარიც არ გამაჩნდაო". საერთოდ ეტყობა — რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრება აგრესიული ხდება, როცა იგი დიდ ერებს, დიდ სახელმწიფოებს მოიცავს და დაეუფლება. აი, მაშინ იქცევა იგი, როგორც ჩანს, ამ დიდი სახელმწიფოს მილიტარიზმის იდეოლოგიად. პატარა, გაჭირვებული ქვეყნების იდეოლოგია მუდამ ჰუმანიზმია და ძმობის ქადაგება. საქართველო თავისი სიმცირით და თავისი მრავალეროვნულობით ამის კარგი მაგალითია.

სამწუხაროდ, ნიცშეს მოძღვრებაც და კარლ მარქსის მოძღვრებაც, როცა ისინი დიდ სახელმწიფოებს საბოლოოდ დაეუფლნენ, ბევრ საქმეში, როგორც ჩემი თაობის ადამიანები ამას მოვესწარით, მხოლოდ ერთი მედლის ორი მხარე აღმოჩნდა, თავისი სიმკაცრით, თავისი ანტიდემოკრატიულობით და დიქტატურობით. ძირითადად ამ ორი კაცის მოძღვრებამ ააფორიაქა და საბოლოო ანგარიშში ფიზიკურადაც იმსხვერპლა ჩვენი საუკუნის უგამოჩენილესი, უძლიერესი ტვინები, რასაც შემდეგ ზედ მიაყოლა უბრალო. უდანაშაულო 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლეც მეორე მსოფლიო ომში, აგერ, ჩვენს თვალწინ, ჩვენს გვერდით.

რამდენი გვილაპარაკნია ყოველივე ამაზე კონსტანტინე გამსახურდიას „კოლხურ კოშკში" მისი ცხოვრების უკანასკნელ ათწლეულებში. იგი ხომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებში მღელვარედ, აქტიურად ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში თავისი მჭექარე გამოსვლებით მასობრივ მიტინგებზე, ქართული ინტელიგენციის საერთო შეკრებებზე. შინ და გარეთ, იმათ წინააღმდეგ, „ვისაც ეწადათ „ახალი წესრიგი", შუა საუკუნეთა „მუშტის უფლებები" ჩაგვრისა და მონობის ბნელი რეჟიმი დაემყარებინათ მთელ მსოფლიოში" და „ბოლოს ეშაფოტზე გაიყვანეს სწორედ ისინი, ვინაც მეოცე საუკუნეში კვლავ მოალანდეს კაცობრიობას ეშაფოტი, ინკვიზიცია და სამარცხვინო ბოძი".

მე კონსტანტინე გამსახურდიასთან ახლო მეგობრობაში გავატარე მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათწლეულები, ქართველმა მკითხველმა ამის შესახებ იცის მისივე წერილებიდან და ინტერვიუებიდან. მალე მკითხველი ალბათ გაეცნობა ჩემდამი მოწერილ მის პირად წერილებსაც.

მე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ქალაქში ახლადჩამოსული კაცი, როცა ახალგაზრდა ადამიანი ცხოვრებაში გზებს ეძებს, კონსტანტინე გამსახურდიასაც მივადექი კარზე ჩემი ლექსებით ოციანი წლების მიწურულში, მიუხედავად მისი იმ დროს განსაკუთრებულად შერისხულობისა. მაშინ იგი თავისი განთქმული რომანებიდან ჯერ კიდევ მხოლოდ „დიონისეს ღიმილის" ავტორი იყო და ავტორი მისი ადრინდელ ლექსებისა „კურფიურსტერ დამმი..." და „ოდა ზაჰესს, ქართლის ფალავანს". ამ ამბავს თვითონ კონსტანტინე გამსახურდია იგონებს თავის ვრცელ წერილში „პოეტი—აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე". აი ,ერთი ადგილი ამ წერილიდან — „მან მოკრძალებულად ამოიღო ჯიბიდან თავისი ლექსები და ჩემი თხოვნისამებრ რეჩიტაციას შეუდგა. ეს ლექსები შეეხებოდა სიყვარულსა და ბუნებისადმი ტრფიალს, მეგობრებს, ამხანაგებს და, რაც უმთავრესია, სამშობლოსო". დიახ, სიყვარულს, ბუნებას, მეგობრებს, სამშობლოს... ჩემს ჭაბუკობაში ჯერ კიდევ სავსებით და საბოლოოდ არ იყო „პოლიტიზებული" პოეზია, ჯერ კიდევ სიყვარულით, ბუნებით, მეგობრებით სამშო-

ლოსადმი ტრფიალით სუნთქავდა იგი. სულ ორიოდე წელიწადში როგორც ყველა სხვამ, მეც ბევრჯერ ავკიდე ჩემს პოეზიას დიდი, მისთვის უჩვეულო ტვირთი, მთელი ათეული წლების მანძილზე, ვიდრე ორმოცდაათიან წლებამდე.

იმ ხანებში კონსტანტინე გამსახურდიასთან მეგობრობა რთული საქმე იყო; მოვუსმინოთ ისევ მას იმავე წერილიდან; „უნდა გამოვტყდე: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნობის პირველ პერიოდში მე მასთან არაერთხელ მქონია შეპაექრება; ისიც უნდა აღინიშნოს! იგი წამკიდეს ზოგიერთმა ენატანიებმაო“. და ცოტა ქვემოთ: „ირაკლი აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, მას სიჭაბუკეშიაც არა სჩვეოდა თავისი შეცდომების ფარვაცერში გაჯიქება. ჩემი ბობოქარი ცხოვრების გადამკიდეს არაერთხელ დამიკარგავს წონასწორობაო“. ომის მრისხანე წლებში ყველას დაკარგული გვქონდა წონასწორობა; ხოლო ოცდაათიანი წლები ეს ის წლებია როცა კონსტანტინე გამსახურდია დღესა და ღამეს ასწორებს, დღედაღამ მუშაობს რომანებზე „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ და როცა შემოქმედს წონასწორობის დაკარგვაზე მეტიც ეპატიება. სწორედ ოცდაათიან წლებში მიაღწია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებამ თავის ზენიტს.

კონსტანტინე გამსახურდიასთან „ურთიერ„ თობაში“ ჩვენ აუცილებლად ანგარიში უნდა გაგეწიოთ მისი არაერთი უცნაური თვისებისათვის, რომელიც მას წინაპართაგან ჰქონდა გადმოცემული (იხილეთ მისი „ლანდების ლაციცი“) მათ შორის მისი უსაზღვრო პატივმოყვარეობისათვის, რაიც ხშირად ეგოცენტრიზში გადადიოდა და შემდეგ, ერთი ევროპელი ბარონის მსგავსად, უსაზღვროდ გაფრენილი ფანტაზიებისთვის. რაც, კაცმა რომ თქვას, რომანისტისთვის (მით უფრო ისტორიული რომანების შემოქმედისთვის) საჭიროც კია, და რაც სხვა პროფესიის კაცისთვის, ვთქვათ, პოლიტიკური მოღვაწისთვის სასტიკად უპატიებელი და პირდაპირ დამღუპველია.

—.—

უცხოეთში განათლებულ ქართველ მწერალთაგან სულ სხვა ბუნებისა და ხასიათის კაცი იყო გერონტი ქიქოძე. უფრო მარქსისტულ იდეებზე აღზრდილმა კაცმა, მან ძალიან ადრე აუღო ალღო ამ იდეების მომავალს, ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებშივე მან საერთოდ დაანება თავი პოლიტიკას. რაშიც როგორც მწერალი, ჟურნალისტი რევოლუციამდე ძალიანაც აქტიურად იყო ჩაბმული წლების მანძილზე. მთლიანად ჩაება მთარგმნელობით საქმეში და, როგორც ცნობილია, უცხოური მწერლობის არაერთი შესანიშნავი ქმნილებით გაამდიდრა ქართული კულტურა.

გერონტი ქიქოძე და სულ ორიოდე ქართველი მწერალი იცნობდა იოსებ ჯუღაშვილს პირადად რევოლუციური მოღვაწეობიდან. სხვა ვინმე, გიყვარდეთ, ამას გამოიყენებდა ჯუღაშვილის გასტალინების შემდეგ. იგი ჯუღაშვილთან იმ დროს დაახლოებულ კაცად ითვლებოდა ისე, რომ როცა ჯუღაშვილს პირველი ცოლი გარდაეცვალა, გასვენებიდან მას ქელეხზე წაყოლა გერონტი ქიქოძისთვის უთხოვნია, თუმცა ეს თხოვნა გერონტი ქიქოძეს მისთვის ვერ შეუსრულებია. ოცდაათიან წლებში, როცა სტალინმა მოსკოვში პავლე საყვარელიძე, მისი ძველი მეგობარი მიიღო (დიდი პავლე), გერონტის ამბავიც უკითხავს და როცა გაუგია, რომ გერონტი ქიქოძე მხოლოდ თარგმანებით მოღვაწეობს საქართველოში (მათ შორის კარლ მარქსის თარგმანებითაც), უთქვამს — მაშ, იგი ეტყობა, ჩვენი კმაყოფილი არ არისო. ამ ფრაზის შემდეგ გერონტი ქიქოძეს იმ ოცდაათიან წლებში ცოტა ეშინოდა კიდეც.

გერონტი ქიქოძეს, სხვებთან ერთად, კარგად ქონდა შემჩნეული იმ ოცდაათიან წლებში გამომჟღავნებული ერთი თვისებაც: — რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოქცეული ბელადები, ვერ იტანდნენ არამც თუ არალეგალური წლების ძველ ტოლ-ამხანაგ

თანამებრძოლებს. არამედ იმათაც, ვისაც მათთვის გაჭირვებაში ხელი გაუწვდიათ ოდესმე.

ახლა ეს ორი საპირისპირო ხასიათის უცხოეთში განათლებული ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია და გერონტი ქიქოძე, ერთმანეთის მიმართ არც თუ ისე დიდი სიმპატიებით გამორჩეული უკვე ერთ პოზიციაზე იდგა და მათგან არც ერთი იყო ნიცშეანელი და არც მეორე მარქსისტი.

განუყრელი მეგობრები იყვნენ გერონტი ქიქოძე და ზღაპრული რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე მწერალი ლეო ქიაჩელი—ახალგაზრდობიდან, რევოლუციური მოღვაწეობიდან, უცხოეთში ემიგრაციიდან. ახლა მათ თავისი რევოლუციური წარსულის გახსენება, უნდა ითქვას, მაინცა და მაინც არც კი სიამოვნებდათ. მით უფრო იმ მოღვაწეობის საფასურად არაფერს მოითხოვდნენ, არავის აწუხებდნენ. ისინი, როგორც ჩანს, თავისი ახალგაზრდული გატაცებების წლებში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ რევოლუციას მხოლოდ ასეთი ერთადერთი შედეგი მოჰყვებოდა. მათ იმ თავის ახალგაზრდული გატაცების წლებში სულ სხვა ფიქრები სხვა გარემოცვა, სხვა მეგობრები და ამხანაგები ჰყავდათ. რევოლუციის შემდეგ კი სულ სხვა ხალხი გაჩნდა ქვეყნის სათავეებშიც და ყოველ ნაბიჯზეც. ეს ორი ადამიანი თავისი იმედების გაცრუებას თითქოს არავის არ აბრალებდა, ამას თითქოს უფრო თავის თავს უსაყვედურებდნენ. ახლა მათ თავისი მყუდრო თავშესაფარი ჰქონდათ — მწერლობა და მთელი გულითა და ენერგიით აქ ითქვამდნენ სულს. პოლიტიკურ ასპარეზს სათოფეზე არ ეკარებოდნენ. სადღაც გულში უთუოდ ბევრს. ძალიან ბევრს რასმე ნანობდნენ კიდეც. წარსულის მოგონებებით მეგობრულ შეხვედრებში და შეკრებებზე არავის აწუხებდა არც გერონტი ქიქოძე და არც „ტარიელ გოლუას“ და „სისხლის“ ავტორი. ეს ორი შესანიშნავი შემოქმედი და სამაგალითო ინტელიგენტი ახლა თავისუფალ დროს უფრო ნარდის თამაშში ატარებდა, თუმცა ლეო ქიაჩელს ეადრაკიც არანაკლებ უყვარდა.

ორივენი ძალიან ახლო მეგობრობდნენ პაოლო იაშვილთან, ესენიც უცხოეთიდან. გერონტი ქიქოძეს ის პირველად პარიზში გაუცვნია, როგორც წერს იგი თავის მშვენიერ მოგონებაში „პაოლო იაშვილი“.

ბუნებით მეტად ლირიკული, ევროპულად თავმდაბალი, ცხოვრებისეული გამოცდილებით უკიდურესად თავშეკავებული, სიტყვაძვირი გერონტი ქიქოძე ადამიანთა შეფასებაში ხაზგასმულად ზომიერი იყო; უფრო კი ამ შეფასებებს იგი თავს არიდებდა ხოლმე. რამდენ ქართველ და არაქართველ ადამიანთან, მწერალთან ჰქონია მას თავისი ცხოვრების რთულ გზაზე ურთიერთობა, მაგრამ თავის მოგონებებში მხოლოდ რამდენიმე გამორჩეულ კაცზე თუ დაგვიტოვა თავისი წერილობითი აზრი და შეხედულება; ზოგ მის თანამედროვეზე კი მას პრინციპულად არ ამოუღია ხმა.

ვიცი მკითხველის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ვიყენებ თავს, მაგრამ მაინც მოვიყვან ადგილს მისი პირადი წერილიდან რომელიც მან ჩემი დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გამომიგზავნა სწორედ მისი გარდაცვალების წინ: „ძვირფასო ირაკლი, მოგილოცავ, რომ შეურცხვენლად განვლე ცხოვრების ხანგრძლივი გზა, ნახევარი საუკუნე. გისურვებ, რომ შენი ცხოვრების მეორე ნაწილიც ასევე სასახელო ყოფილიყოს შენთვის და შენი მეგობრებისათვის, რომ წლებს არაფერი დაეკლოს შენი პოეტური ნიჭისათვის, არ შეებღალოს შენი მოქალაქეობრივი და პატრიოტული შეგნება და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეგენარჩუნებინოს შენთვის დამახასიათებელი გონების გამჭრიახობა და სამართლიანობის და ზომიერების გრძნობა, თავისუფალი ყოველივე ეგოცენტრიზმისაგან“,... შენი გულწრ-

ფელი პატივისმცემელი გერონტი ქიქოძე.

იმ ხანებში სამი ქართველი მწერლის რეაბილიტაციით უსაზღვროდ აღტაცებული და გახრეული გერონტი ქიქოძე ჩემდამი, რაღაც უთბილესი, თითქოს ნათესაური გრძნობით იყო გამსჭალული.

წავიდა...

წავიდა ჩემი გრძელი ცხოვრების ის „მეორე ნაწილიც", „სიცოცილის უკანასკნელ დღემდე". დღესაც ნამდვილად მესიამოვნებოდა ვისიმე ორიოდე სიტყვა ქიქოძისებური დინჯი ბრძენკაცის ზომიერებით, მით უფრო ამ ჩვენს ნიჰილიზმით აღსავსე წლებში. „სიტყვა ეკუთვნის შეამომავლობას, სხვას აღარავის"!.

—.—

ჩვენში (და მგონი მთელ მსოფლიოშიც) შარლ ნოსტრადამუსის სახელი განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში გაისმის. მართალი გითხრათ, იმ ოცდაათიან წლებში მე იგი არვისგან გამიგონია. მაგამ იქნებ გერონტი ქიქოძესა და ლეო ქიაჩელს, ისევე, როგორც სხვა გულგატეხილ ქართველ რევლუციონერებს, უცხოეთის ემიგრაციაში სმენიათ ამ დიდი ასტროლოგის, ნათელმხილველის სახელი (მე, მართალი გითხრათ, არც მათგან გამიგონია) და შესაძლოა ზოგიერთი მისი კატრენი იცოდნენ კიდეც. მაგალითად სადაც ნოსტრადამუსი თომას მორისა და მისი მიმდევრების აზრებსა და მოძღვრებას ეკამათება, ებრძვის, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ამ უტოპიურ მოძღვრებას (აქ ჩვენი თანამედროვე მეცნიერები კარლ მარქსის მოძღვრებასაც გულისხმობენ) თავისი ტალღებით წაიღებს და მთელ სლავიანურ სამყაროს მოსდებს მდინარე „ბორისფენი". (დნეპრის ძველი სახელწოდება) და ამ უტოპიას იგი აქ დიდ წარმატებებსაც უწინასწარმეტყველებს. ეს დიდი ასტროლოგი მთელ სლავურ სამყაროში ჯერ კიდევ იმ მეთექვსმეტე საუკუნეში ხედავს მონარქიების მომავალ მსხვრევას, რევოლუციების, აჯანყებების გზაზე და მათ ნანგრევებზე რესპუბლიკების აღმოცენებას, მაგრამ რად გინდათ, ამას ყველაფერს მოყვება არა თომას მორის და კარლ მარქსის „მიწიერი სამოთხე", არამედ ახალი, უფრო მკაცრი ტირანია, დესპოტიზმი, დიქტატურა, ბნელი ველური ბრბოების ტოტალიტარიზმის საშინელი ფორმებით.

ასეთი კატრენიც აქვს (რუსულ თარგმანში) შარლ ნოსტრადამუსს თავის „ეფუთში":

«Славянский народ под ненастливым знаком
Их тюрьмы и песни царям их не впрок,
На смену придет, как священный оракул
Схоласт и догматик и ложный пророк».

მე არ ვიცი, რომელი დროის, რომელი ეპოქის, რომელი სლავი ხალხის მიმართ დაწერა ეს სტრიქონები იმ კაცმა, მაგრამ თქვენ რას გაგონებთ, რომელ დროსა და რომელ ეპოქას ეს კატრენი? მით უფრო რომ ამ ქმნილებაში დღევანდელი სპეციალისტები ბევრ ისეთ ადგილს პოულობენ, რომელიც მართლაც ეკორესპონდირება დღევანდელი სლავების საზოგადოებრივ მოვლენებს და ეს, მართლაც შესაძლოა იცოდნენ ემიგრაციაში ნამყოფმა ჩვენმა, ახლა უკვე გულგატეხილმა რევოლუციონერმა მწერლებმა.

...და კიდეც რომ არ ცოდნოდათ (ამბობენ ნოსტრადამუსი უფრო მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა საფრანგეთში პოპულარულიო) რა კარგად ესადაგება ეს ყოველივე ამ ჩვენი ორი შესანიშნავი მწერლის რევოლუციის შემდგომ ბუნება—ხასიათს, როცა უმთავრეს სლავურ ქვეყანაში მონარქიის მსხვრევას მოჰყვა არა ერთი

схоласт и догматик и ложный пророк».

„უდრტვინველი", ჰირ-ვარამის „უდრტვინველად გადამტანი" — არავის ისე არ მიესადაგება ეს სიტყვები ქართულ იმდროინდელ ინტელიგენციაში, როგორც ლეო ქიაჩელს. რომ არაფერი ვთქვათ მისი უმძიმესი რევოლუციური

წარსულის გამო, მარტო მისი ოჯახური ტრაგედიების გახსენებაც კი შეზარავს კაცს. მხოლოდ იგი არა ოხვრითა და წუთისოფლის ზეპირი საყვედურებით, არამედ მხოლოდ თავის შემოქმედებაში, თავის დიდებულ ქმნილებებში იჯერებდა გულს. ლეო ქიაჩელი ადამიანიც ისეთივე სამაგალითო და საკვირველი იყო, როგორც ოსტატი შემოქმედი. მართლაც „მთის კაცი“ იყო.

—.—

რობაქიძის „მოკვეთა“ ოცდაათიან წლებში პირველი დარტყმა იყო არა მარტო მის ლიტერატურულ მეგობრებზე, არამედ მთელ ქართულ მწერლობაზე. განსაკუთრებით მის რევოლუციამდელ თაობაზე, მაშინ, როცა ეს თაობაც უკვე კარგა ხნის შემობრუნებული იყო ახალი სინამდვილისკენ. გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის ჯერ კიდევ 1928 წელს თქმული სიტყვები წერილიდან „ტოლსტოის დღეები“: ოქტომბრის შემდეგ არათუ ახალი ადამიანები დაიბადნენ — ოქტომბრის წინ დაბადებული ხალხიც ხელმეორედ დაიბადა და მოინათლა ცეცხლით და ნიაღვრით... და მეც ჩემს თავზე ვაკვირდები ამ მეორე ადამიანს, ახალ კაცს, ახალი გრძნობითა და შთაბეჭდილებითო“.

დღეს ერთი ნიჭიერი და სერიოზული ლიტერატორიც კი წერს, რომ ზოგ-ზოგი მწერალი იძულებული იყო ხარკის სახით ეპოქისთვის მიეგდო მცირე რამ ნაწარმოებიო. სწორია ვითომ ეს? აბა, ერთი თქვენც სინჯეთ ახლა ვისმე „მიუგდოთ“ ისეთი სქელტანიანი რომანები, როგორიცაა „ბელადი“ და „ვაზის ყვავილობა“ ან მთელი პასაჟები „მთვარის მოტაცებიდან“. (აი, რას წერს ამის გამო ერთ თავის წერილში გრიგოლ რობაქიძე: „წავიკითხე პირველი წიგნი გამსახურდიას ტრილოგიისა, ორი დანარჩენი დაამთავრა თუ არა არ ვიცი... ეგებ თვალთმაქცობდა იგი. როცა ამ წიგნს წერდა? არა. მე დარწმუნებული ვარ: იგი გულით იყო მოწადინებული სწვდომოდა მხატვრულად აღებულ საგანს. ვერ მოახერხა? მხოლოდ იმის გამო, რომ [illegible] ცა „გულწრფელს“ აკლდა „ნამდვილობა“). ან პოეტური „გორი“, შექმნილი „ნიკორწმინდის“ ავტორის ფუნჯით; ან „ბავშვობა და ყრმობა“ იმავე კალმით, რომლითაც იწერებოდა „ნინოწმინდის ღამე“. წაიკითხეთ ეს ყოველივე ერთხელაც დღეს და მათთან ერთად ბევრი სხვა რაიმეც (გინდაც ჩემი „წულუკიძის სიკვდილი“). არ არის მათში, პირველ რიგში, დახატული ჩვენი ქვეყნის სურათები და გაცხადებული სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული?

მაშ — იკითხავს დღევანდელ თაობათა ადამიანი — რისთვის, ვისთვის იყო საჭირო შემდგომ, ოცდაათიანი წლების მიწურულში, ასეთი გამოჩენილი ადამიანების, ასეთი, უკვე საკუთარი ინტელიგენციის შერისხვა და დევნა?

მართებულად წერს ავტორხანოვი პიროვნების კულტის ეპოქაზე — მტერი თუ არ არსებობდა, მას იგონებოდნენო. აქ სხვისი აზრების მოტანა მე რაში მჭირდება; მომაქვს მხოლოდ იმიტომ რომ იმ წლების ეს ბევრისთვის საბედისწერო სენი სხვასაც ბევრს აქვს შემჩნეული. მე კი აქ ჩემდათავად დავუმატებ, რომ ამ საქმეში უკანასკნელ როლს როდი თამშობდა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელთა ავადმყოფური პანიკიორობა, როცა ყველგან და ყველაფერში, ყოველდღე და ყოველ საათს ღალატი, ჯაშუშობა და შეთქმულება ეჩვენებოდათ. იყო სრული უნდობლობა თვით უერთგულეს ადამიანთა მიმართაც. ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი ტრიბუნიდან ითქვა — გაშლილი სოციალისტური მშენებლობის დროს კლასთა ბრძოლა მძაფრდებაო. ყოველივე ეს კი უსაზღვროდ უწყობდა ხელს დანაშაულებრივი ერთპიროვნული დიქტატურის განმტკიცებას ცენტრშიც და ადგილებზეც.

ინფორმაციის საშუალებაში პრესა, რადიო (ტელევიზია ჯერ კიდევ არ არსებობდა) ქვეყანას აწვდიდა მხოლოდ ერთი მხარის, მხოლოდ სამთავრობო ინფორმაციებს; რაიმე სხვა, მეორე მხარის არსებობის შესახებ ხალხმა პირწმინდად არაფერი იცოდა. ხალხი იჯერებდა მხოლოდ ამ ცნობებს და ბოლოს მას სხვაგვარად ვერაფერი წარმოედგინა.

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი.

—.—

ოცდაათიანი წლების მთავარი მოვლენათაგანი იმ პირველსავე წლებში საბოლოოდ გაფორმდა და გერმანიის ხელისუფლების სათავეში, რეიხსტაგის ხანძრისა და დიმიტროვის პროცესის შემდეგ, მოვიდა და განმტკიცდა. ფაშიზმი, რომლის ბელადმაც თავიდანვე განუცხადა თავის ხალხს — მე განთავისუფლებთ თქვენ ქიმერისაგან, რასაც სინდის ნამუსი ეწოდებაო და ამის მაგალითს იგი თვითონ პირველი იძლეოდა. (თუმცა დღეს ზოგი რუსი მეცნიერი ამაზე უფრო ადრე ლენინის ნათქვამსაც იხსენებს: «Мы в вечную нравственность не верим и обман всяких сказок о нравственности разоблачаем-ო ამით საბოლოოდ იმ ათეული წლების პირველსავე წელს გამოიკვეთა მომავალი დიდი მსოფლიო კატასტროფის ორი მთავარი, ორი ძირითადი მონაწილე მხარის, ორი ძირითადი, დაპირისპირებული იდეოლოგიის აშკარა სახე. თუმცა, როგორც დღეს ზოგი ისტორიკოსი გვეტყვის, სტალინს ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ რუსეთს საშიშროება სწორედ იქედან, გერმანიიდან ემუქრება; იგი ამ საშიშროებას ოციანი წლების ინერციით. ინგლისიდან თუ საფრანგეთიდან მოელის.

ერთმანეთის პირისპირ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დგებოდა ორი უდიდესი დიქტატორი ჩვენი თანამედროვე მსოფლიო ისტორიისა და ჩემი თაობის გამოცდილებით, დიქტატორები სახელმწიფოების სათავეში, როგორც წესი, თავდაპირველად, ხალხის მხსნელის ხალხის თავისუფლების, სახალხო ბედნიერების უკეთილშობილესი ლოზუნგებით და დროშებით მოდიან ხოლმე, როცა ქვეყანას ალტერნატიული გზა აღარ გააჩნია. ხალხის დაბრმავების, ხალხის დაყრუების, ხალხის გამოთაყვანების ეპოქებში. ყველა, რასაკვირველია არა მაგრამ დიქტატორების უმეტესობა პარანოიკები არიან და, როგორც ჩანს, ამ სნეულების ხარისხზეა დამოკიდებული, რა ხნის მანძილზე გამოაჩენენ ისინი თავის ნამდვილ ეშვებსა და კლანჭებს.

ზოგიერთი დიქტატორი, თუ იგი მართლაც დაბადებით ნამდვილი სახელმწიფოებრივი კაცია, შეპირებისამებრ მართლაც ააყვავებს ხოლმე თავის ქვეყანას, როგორც აგერ ჩვენი თაობის თვალწინ მოხდა ესპანეთში; მაგრამ არიან ისეთი შემთხვევითი პატარა კაცუნა, არჩევნებითაც კი ქვეყნის სათავეში მოხვედრილი ავანტურისტები, რომელთაც აღშფოთებული ხალხი დიქტატორის სახელს შეარქმევს (ბოლოს და ბოლოს მაინც სახელმწიფოებრივ მაინც რაღაც კაცურ სახელს) ისინი კი მხოლოდ მანიაკები, მხოლოდ და მხოლოდ სადისტები არიან.

გაქანებული ტემპით იცვლებოდა მთელი საბჭოთა კავშირი სამხედრო ბანაკად.

—.—

იმ ათეული წლების ჩვენი ქვეყნის ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა სოციალიზმის, კომუნიზმის მხარდამხარ დადგომა. ახლა ერთპიროვნულმა დიქტატურამ ცენტრში და ადგილებზე მოითხოვა კონკრეტული ხელმძღვანელის, კონკრეტული კაცის გვერდით ულაპარაკო ამოდგომა და ზოგჯერ მხოლოდ ეს და სხვა არაფერი; რისი სოციალიზმი, რისი კომუნიზმი!... კონკრეტულად საქართველოში კი მხოლოდ ეს, მხოლოდ პირადი თანადგომა და უსიტყვო ერთგულება, სხვა აღარაფერი, სხვა აღარაფერი...

აქ კი ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით კომუნისტურ პარტიაზეც.

პირველ ყოვლისა გავიხსენოთ, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე, „ნეპის“ გაუქმებისთანავე რატომღაც მკაცრად შეწყდა კომუნისტური პარ-

ტიის რიგებში ახალი წევრების მიღება. უკიდურესი გამონაკლისი შეიძლებოდა მხოლოდ რომელიღაც მძიმე ინდუსტრიის მუშებისათვის. ინტელიგენციის მიღების საკითხი საერთოდაც არ განიხილებოდა. პარტიაში მიღება განახლდა მხოლოდ ოცდაათიანი წლების მიწურულში, როცა მასიური რეპრესიების შედეგად პირველ რიგში განსაკუთრებულად დაზარალდა თვითონ კომუნისტური პარტია. რამდენადაც ვიცი, პარტიამ იმ წლებში დაკარგა თავისი შემადგენლობის დიდი ნაწილი. ახლა სასწრაფოდ გაიღო კომუნისტური პარტიის კარები და მასიურად დაიწყო მის რიგებში მიღება. მიღება ახლა უკვე ინტელიგენციისაც, რადგანაც იმ წლებში კომუნისტური პარტია პირველ რიგში ინტელიგენციისგან დაიცალა. ახლა ჩვენ ხელგაშლილად გვეპატიჟებოდნენ კიდეც პარტიაში, თორემ აბა ვინ იტყვის, რომ პარტიის კარების გახსნას წლების განმავლობაში მოუთმენლად ელოდნენ და უცდიდნენ, ჩვენზე რომ არაფერი ვთქვათ, დრამატურგი, უკვე მოხუცი შალვა დადიანი, მეცნიერი, დრეკადობის თეორიის ერთერთი შემოქმედი ნიკო მუსხელიშვილი, თბილისის საოპერო თეატრის პრიმა—ბალერინა ლილი გვარამაძე. ახალი წევრების ასეთი მასიური მიღება სწორედ რომ უჩვეულო რამ იყო პარტიის მთელ ისტორიაში. ასე ერთბაშად შეივსო ინტელიგენციით საქართველოს კომუნისტური პარტია, მეცნიერებით, მწერლებით, ჟურნალისტებით, ხელოვნების მოღვაწეებით, ინჟინრებით, მედიცინის მუშაკებით, აგრონომებით, მასწავლებლებით, ბიბლიოთეკარებით, გამომცემლობების თანამშრომლებით...

მაგრამ აქვე ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ სწორედ იმ ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური პარტიის წევრობა უკვე აღარ არის ადამიანის იდეური პრინციპებისა და მისწრაფების, ადამიანის პოლიტიკური მრწამსის საკითხი. კომუნისტური პარტიის წევრობა აღარ ნიშნავს იმას, რომ შენ თავგამოდებით ისწრაფვი და გჯერა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისა; ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს ყველა არა, ამ მიზნით არაა აღგზნებული პარტიაში. ამიერიდან პარტიაში შესვლა უბრალოდ ნიშნავს შენი ადგილის დაჭერას ცხოვრებაში, მით უფრო მოწინაცე საზოგადოებაში; ნიშნავს იმას, რომ შენ უკვე მომწიფდი, დასრულდი და ფეხი შედგი ხალხში; ის აღარაფერს აღარ ნიშნავს, ხარ თუ არა შენი ადამიანური მონაცემებით, შენი ბუნებით რაიმე პარტიულობისკენ განწყობილი. ერთი სიტყვით ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური პარტიის წევრობა სრულიადაც არ ნიშნავს იყო კომუნიზმის იდეით შეპყრობილი. შენ მოვალე ხარ იყო მხოლოდ შენი პარტიული დისციპლინის ერთგული და მისი შემსრულებელი. რაც შეეხება საერთოდ კომპარტიებს, ნელა-ნელა მთელ საბჭოთა კავშირში მინელდა პარტიის საბოლოო მიზანზე, სოციალიზმსა და კომუნიზმზე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, იგი პირველი პლანიდან გადადგა უკან რომელიღაც პლანზე და საბჭოეთის ყველა რესპუბლიკის კომპარტია არსებითად შეუდგა თავისი ხალხისა და სახელმწიფოს საქმეების მოგვარებას, თავისი ეროვნული ინტერესების მიხედვით. ამ პროცესსაც სათავე სწორედ იმ ოცდაათიანი წლებიდან დაედო.

განუსჯელი შემსრულებლობისა და თაყვანების მოთხოვნამ, მისმა შეუსრულებლობამ კი საქართველოში აურაცხელი უბედურება დაატრიალა იმ ოცდაათიან წლებში.

„ხალხის მტერი“ — ამ ძველი ვერაგული იარლიყის ადამიანებზე მიწებება ჩვენში იმ ოცდაათიან წლებში დაიწყო. იგი მაშინვე თავზარდამცემად მოქმედებდა საზოგადოებაში. არიან ამ საქმის ოსტატები; მით უფრო, როცა ისინი ქვეყნის სათავეში აღმოჩნდებიან მათთვის სულ იოლია მიუგდონ პირადი მტრები, ან პირადად არასასურველი ადამიანები ბრბოს დიახ,

ეს იარლიყი მაშინვე, იმ ოცდაათიან წლებშივე თავზარდამცემად მოქმედებდა მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსი ჩვენ ოცი. ოცდაათი წლის შემდეგ გავიგეთ, განსაკუთრებით ალექსანდრე სოლჟენიცინის კალმით.

მე იმ წლებშიც ჩემს გულში მიფიქრია — რომელი ღმერთი აძლევს კაცს, გინდაც „ბელადს" უფლებას დაჰყოს ადანიანები „ხალხის მტრებად" და მოყვრებად? არა, ამ უფლებას ღმერთი სრულებითაც არ იძლევა. ამ უფლებას იძლევა ბრბო, არევ-დარევის, განუკითხაობის, რევოლუციების დროს.

საბჭოთა სინამდვილის მთელი სამოცდაათწლოვანი ისტორიის ერთი მონაწილის პრაქტიკული დაკვირვებით შემიძლია ვთქვა — ვაი, თუ მართლაც დემოკრატიის გამარჯვებას საზოგადოებრივი განვითარების მთელი საფეხურის აუცილებელი გავლა სჭირდება. ჩვენ საბჭოთა სინამდვილეში მთელ ამ საფეხურს გადავახტით თავზე. მაგრამ, როგორც დღეს გამოჩნდა, ასეთმა ფიზკულტურამ ჩვენს ქვეყანას მაინცა და მაინც დიდი ჯანმრთელობა და სარგებლობა ვერ მოუტანა. და აქ მე გავიხსენებ ისევ გორკის 1918 წელს «Новая жизнь»-ში გამოქვეყნებულ, შემდეგ კი «Литературное обозрение»-ს 1988 წლის № 12-ში გადმობეჭდილი წერილიდან:

«Я особенно и подозрительно, особенно недоверчиво отношусь к русскому человеку у власти — недавний раб, он становится самым разнузданным деспотом, как только приобретает возможность быть владыкой ближнего своего».

როგორც ჩანს დემოკრატის ნამდვილი სახე ადამიანის უუფლებობასა და მონობაში კი არაა, არამედ იგი მისი უფლებამოსილების, მისი ბატონობის დროინდელი სახეა. მონობაში ყველა დემოკრატია. დემოკრატიის იდეის მქადაგებელნი გენეტიკურად თვითონაც დემოკრატებად უნდა იყვნენ დაბადებულნი; მხოლოდ მათ შეუძლიათ გაუძლონ დემოკრატობას ყველა მდგომარეობაში. დემოკრატობა კი სახელმწიფოს სათავეში, როგორც ჩანს, ბატონობაზე უფრო მძიმე და რთული საქმეა. ჩანს დემოკრატიის საოცნებო დროშა, არაცივილიზებულ ქვეყნებში ფრიალებს მხოლოდ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებამდე.

—.—

თუ ძველი რევოლუციონერებიც, მიმართ ვერაფერი გაეგებოდა — ბოლოს თითქმის ყველანი დაიღუპნენ, რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელმა ზემოთ მოხსენიებული ხელსაყრელი პირობების გარდა სხვადასხვა ღონისძიებებით მოიპოვა ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილის — მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვანთა მხარდაჭერა. კურსი აღებული იყო განსაკუთრებით ცნობილ ადამიანებზე. მათ შორის ძველ ქართველ მოღვაწეებზე, რომელთაც თავის მხრივ ადრინდელი ცხოვრებისეული გამოცდილებაც საკმაოდ ჰქონდათ. ქვეყნის ახალი ხელმძღვანელი უკვე სარგებლობდა ისეთი უფლებებით, როგორითაც არც ერთ მეფეს არ უსარგებლია საქართველოში.

ჩემი თაობის გამოცდილებით, ჩემდა სამწუხაროდ, ისიც უნდა ვთქვა — ვაი, თუ ქართველ ხალხს საერთოდ არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს რამდენიმე თავისი გამოჩენილი შვილის აღიარება და პატივისცემა. იგი ერთ კაცს, მხოლოდ ერთ თავის მოღვაწეს გაიხდის ხოლმე იმედად და სათაყვანოდ და ბოლოს და ბოლოს გაალმერთებს კიდეც მას, სანამ ეს კაცი ფათერაკს რასმე გადაეყრებოდეს. მერე კი... კარგად მეყოლე!

—.—

ვინც არ უნდა მოინდომოს, როგორც ჩანს, ყოვლად შეუძლებელია მთელი ათეული წლობით დაედოს ბორკილი მთელ მოაზროვნე ადამიანთა, მთელი ხალხის შემოქმედებითი სულის მოძრაობას მის აქტიურ სწრაფვა-გაქანებას — ყოველ დროსა და პირობებში შექმნას თავისი ეროვნული ზოგადკაცობრიული ფასეულობანი. ამ მხრივ ოცდაათიანი წლების საქართველოც გამორჩეული მაგალითია.

„ბელადის საიდუმლო მრჩეველი" წერს: „ცუდ მოვლენებზე რომ ვყვები, სულაც არ მავიწყდება ის კარგი რაც ოცდაათიან წლებში გვქონდა წარმატებები და მიღწევები:... კოლექტივიზაციის პერიოდის საშინელი შიმშილის

შემდეგ, ბოლო მოეღო სოფლებში არსებულ არეულობას, მუშავდებოდა საკოლმეურნეო მიწები , იზრდებოდა მოსავალი. გამოჩნდა საკმაო რაოდენობის პური. იშვიათობას აღარ წარმოადგენდა ხორცი, ზეთი, კვერცხი. 1934 წლის შემდეგ გაუქმდა სასურსათო ბარათები, მაღაზიაში შეიძლებოდა უკვე შეგეძინა ტანსაცმელი, ავეჯი... უმუშევარი არავინ რჩებოდა. ყველა საქმიანობდა... წარმოება ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, ჩვენ თვითონ ვუშვებდით ტრაქტორებს, ავტომანქანებს, თვითმფრინავებს. კარგად მოქმედებდა ტრანსპორტი. მოსკოვში შენდებოდა მეტრო... როგორც იქნა შეიცვალა დისკრიმინაციის ყველაზე საზიზღარი სახეობანი — დისკრიმინაცია წარმომავლობის გამო, რომელიც 1917 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული არსებობდა...

ახლანდელ თაობას წარმოდგენაც არ შეუძლია, რას ნიშნავს—ამბობს იგი— „უფლებააყრილობა“, ასეთი რამ კი იყო! ყოფილი არისტოკრატები, ვაჭრები, კერძო მეწარმეები, ოფიცრები, ჩინოსნები, კულტის მსახურნი, ნაწილი ინტელიგენციისა, რაც მთავარია — მათი ოჯახის წევრები, მათი შვილები მოკლებულნი იყვნენ მოქალაქის უფლებებს, როგორც „ხალხის მტრების“ ოჯახის წევრები, როგორც კულაკები და საშუალო გლეხები. ამათ არცერთს არ გააჩნდათ საარჩევნო ხმის უფლება, არ ღებულობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაოდ, არ რთავდნენ ნებას, რომ სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ესწავლათ. რამდენი ნიჭიერი ქალიშვილი და ჭაბუკი დარჩა უმაღლესი სკოლების კედლების მიღმა! რომელიც გნებავთ მემთვრალე დურგალს შეეძლო დაუსჯელად შეესხა ნარეცხი (პირდაპირ და გადატანითი მნიშვნელობით) მეფის ოფიცრის ბავშვებისთვის. ყოველ მებრძოლ ათეისტს შეეძლო კულტის მსახურისთვის ხელი ჩაევლო წვერში და გემოზე მოექაჩა, მისი სახლის ფანჯრებისთვის მინები ჩაელეწა, ისე რომ პასუხისგებაში არ შინებოდა. ხოლო „უფლებააყრილნი“ ჩვენში მილიონობით იყვნენ. [illegible] წლეულის განმავლობაში ისინი მხოლოდ დამცირებისა, შეურაცხყოფისა და დაუცველობის გარემოში გრძნობდნენ თავსო“.

სახეს იცვლიდა ჩვენი ქვეყანაც, საქართველოც და თვითონ ჩვენი დედაქალაქიც, მისი დაქონჭილი ძველი ქუჩები და უბნები, მისი ბევრგან არაქართული არქიტექტურა ,აშმორებული მტკვრის ნაპირები, თაბორის და მამადავითის მაღლობები. თბილისს თავზე დაადგა ფუნიკულიორის დიდი შენობა და დიდებული პარკი. პირველი სხივებით ელვარებდა რიონჰესი და ჩვენს მდინარეებზე კიდევ მრავალი ჰესი; ძლიერდებოდა მეცნიერება, მუსიკალური, საოპერო და კინოხელოვნება; იქმნებოდა ხალხური ანსამბლები, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სპორტი; იწერებოდა „ეპოქა“ და „რევოლუციურ საქართველოს“, „დიდოსტატის მარჯვენა“ და „არსენა მარაბდელი“, „მთვარის მოტაცება“ და „თავადის ქალი მაია“, „ლირიკული ზაფხული“ და, „ალაგერდობა“, „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“... თეატრებში იდგმებოდა „ლამარა“ და „ინტირანოს“, „ყვარყვარე“ და „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. და... გავაგრძელოთ აქ კიდევ ამაზე სიტყვა? რაც შეეხება ქართულ კინოხელოვნებას, თუ იგი დღეს ნამდვილად სახელმოხვეჭილია მთელ ქვეყანაზე, როცა მასზე ჩვენი ქვეყნის გარედ ლექსებიც კი იწერება. მას ეს მაგარი საფუძვლები სწორედ იმ წლებში დაედო, ქართული კინოს პირველივე დიდოსტატების ხელით.

რაც მთავარია, დაიწყო მეთოდური შეტევა რევოლუციის პირველ წლებში ფრთაგაშლილი, უსამშობლო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. აღსდგნენ კლასიკოსები; თბილისის უნივერსიტეტს დაუბრუნდა ივანე ჯავახიშვილი, იგი აირჩიეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მისი პრეზიდიუმის წევრ-

ად, დააჯილდოვეს ორდენით. გადაწყდა რუსთაველის პირველი იუბილის გადახდა იმ ათეული წლის მიწურულში, დადგინდა იმ წელსვე ილია ჭავჭავაძის ასწლოვანი იუბილეც, აკაკის იუბილეც.

ამ სასიკეთო ახალ მოვლენებსაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული ინტელიგენციის ახალი ხელმძღვანელისაკენ ასეთი შემობრუნების საქმეში. და დღეს ნურვის გააკვირვებს ამ კაცისადმი ზოგ-ზოგების, მათ შორის არა მარტო ჩვენი იმდროინდელი ახალგაზრდობის და მათ შორის ჩემიც, არამედ თვით დიდი ქართველი მოღვაწეების, უგამოჩენილესი ადამიანების ბაგეთაგან მისდამი მაშინდელი ეიფორიული შეძახილები, რაც უნდა ეს დღეს დაუჯერებლად და საკვირველად მოეჩვენოს ახლანდელ თაობებს.

მაგრამ აქ ერთ-ერთ საკითხზეც უნდა გარკვევით ითქვას: ეს მოგონება სრულიად არ ისახავს მიზნად ამ სამოცდაათწლეულის მთელი ჩვენი თაობების სრულ და საბოლოო გამართლებას. არა. ის რაც ჩვენს თავზე დატრიალდა იმ წლებში (ობიექტურიც და სუბიექტურიც) იყო, როგორც ეს კარგად თქვა ერთმა ჩვენი დროის მოღვაწემ. **ჩვენი უბედურება და არა ჩვენი დანაშაული.** გავიმეოროთ — უბედურება და არა დანაშაული. და აქ ისევ ილია II-ის სიტყვები: „მათ ადგილას განა ჩვენ უკეთესნი ვიქნებოდით?“.

(აქვე ერთი რამაც დავურთოთ დღევანდელი „მამხილებელი ვაჟკაცების“ გასაგონად: ერთ ჭკვიან კაცს ოდესღაც უთქვამს — **არაფერი არაა უფრო საზიზღარი, ვიდრე ნებადართული, ვაჟკაცობაო**).

IV

ლიტერატურით, ხელოვნებით, პოეტური სიტყვით სუნთქავდა ოცდაათიანი წლების დასაწყისის თბილისი მას შემდეგ, რაც 1932 წლის აპრილში 1934 წლისათვის მოსკოვში დაინიშნა სსრკ მწერალთა პირველი ყრილობა.

იმ ხანებში მოსკოვის პრესაც გაივსო გამოჩენილ რუს მწერალთა თარგმანებით ქართული ლიტერატურიდან, რუსმა პოეტებმა შექმნეს არაერთი ბრწყინვალე ლექსი საქართველოზე, რომელთაც ღირსება და ბიბლიოფილობა დღესაც არ დაუკარგავს. გამოქვეყნდა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში ვრცელი წერილები საქართველოზე, ქართულ კულტურაზე, ხელოვნებაზე მწერლებზე, მეცნიერებზე. ამ წერილებით გაეცნო ჩვენს ქვეყანას მილიონობით მკითხველი მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთში. საქართველომ გადალახა დიდი კავკასიონი. დაიწყო ორგანიზებულად სისტემატურად თარგმნა ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებისა, რაზედაც თავის დროზე ასე ოცნებობდა ილია ჭავჭავაძე.

მიეცა პატრიოტიზმს გასაქანი. საქვეყნოდ ცნობილია, როგორ უყურებდა მანამდე სოციალ-დემოკრატია, მისი „უმრავლესობაც“ და „უმცირესობაც“ პატრიოტულ გრძნობის, სამშობლოს სიყვარულს. მართალია „უმრავლესობა“ საერთოდ უარყოფდა მას. მაგრამ არც „უმცირესობა“ იტანჯებოდა ამ სიყვარულის ნექტრით; მათაც მაშინ გაახსენდათ სამშობლოს უსაზღვრო ტრფიალება, როცა კარს გაჭირვება მოადგათ. გაიხსენეთ ზურაბ ავალიშვილი, იმ წლების მიუდგომელი, ობიექტური მემატიანე.

ოციანი წლების ბოლოს, ოცდაათიან წლებში, მართალია, ჰიმნები „დიდება ზეცით კურთხეულს“ და „სამშობლო“ არ იმღერებოდა, მაგრამ თავისუფლად იწერებოდა „სხვა საქართველო მაინც სად არიო“ და „ჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზიო“,

პატრიოტიზმი...

პატარა ერების პატრიოტიზმი მათ ქვეყნების სიმცირითაც აიხსნება და ეს ბუნებრივია. რაც უფრო პატარაა ერი, მით უფრო დიდია მისი შვილების პატრიოტიზმი. პატრიოტიზმი არა მარტო სიყვარულია, არამედ შიშიც. დიდ ერებს მტრის შიში არა აქვთ, მით უფრო შიში გაქრობისა პირისაგან მიწისა.

დიახ, მართლაც რომ ლიტერატურით, ხელოვნებით, პოეზიით სუნთქავდა თბილისი, იმ შორეული ოცდაათიანი წლების დასაწყისში. როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: „ეს ყოველივე ჩვენს ეპოქაში შეიქმნა, ჩვენს თვალწინ და ჩვენივე გამრჯე, დაუღალავი მარჯვენის წყალობით, საბჭოური ხელისუფლების დახმარებითო“.

ღამეებს ტეხდნენ მკითხველები განსაკუთრებით მიხეილ ჯავახიშვილის ახალ მოთხრობებსა და „არსენა მარაბდელზე“, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის. დემნა შენგელაიას და სხვათა ქმნილებებზე. შუაღამემდე ისხდნენ თბილისელები დარბაზებში პოეტების საღამოებზე. განუწყვეტლად ქუხდა გაცხარებული კამათები ახალ რომანებზე, თეატრალურ დადგმებზე, უშანგი ჩხეიძეზე, აკაკი ხორავაზე, აკაკი ვასაძეზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე თამარ ჭავჭავაძეზე, შალვა ღამბაშიძეზე, ახალ ფილმებზე ნიკოლოზ შენგელაიაზე, მიხეილ ჭიაურელზე, ალექსანდრე წუწუნავაზე. ისმოდა კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის სახელები.

როგორც რუსეთის რევოლუციის შემდეგ ,საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარი ყურადღების ცენტრში იყო მეცნიერული, საგანმანათლებლო სამყაროს დიდი გამარჯვება — თბილისის უნივერსიტეტის დარსება და ივანე ჯავახიშვილის ფიგურა, ხოლო შემდეგ იმავე წლებში ,ჩვენი ეროვნული საოპერო ხელოვნების ზეიმი და ზაქარია ფალიაშვილის ფიგურა, ოციანი, ოცდაათიანი წლების საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა ქართული დრამატული თეატრი და პირველ რიგში კოტე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილი, რამდენადაც მე იმ წლებში გამიგია, საქართველოში დასარჩენად სრულიადაც არ იყო აქ რუსეთიდან ჩამოსული. იგი ევროპაში და შემდეგ ამერიკაში წასვლაზე ოცნებობდა; პარიზში ნიუიორკში. [illegible] ლების შესაქმნელად, თბილისში [illegible] ბით მოხვედრილს მას, ასე ვთქვათ, აქ გზა გადაუჭრეს, შეაჩერეს, რუსთაველის თეატრის მაშინდელი მძიმე მდგომარეობის გამო. შემდეგ კი, საბოლოოდაც აქ დარჩა. ჩვენი მეოცე საუკუნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში ცნობილია რა შედეგიც მოიტანა ამ შემთხვევითობამ ქართულ თეატრალური ხელოვნებისა და კინემატოგრაფის ისტორიაში. ერთი შედეგიც ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე გამოჩნდა, მოსკოვში ეროვნული თეატრების საკავშირო ოლიმპიადაზე, სადაც რუსთაველის თეატრმა სენსაციური წარმატება მოიპოვა, ახლა უკვე სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, ამ ოლიმპიადის მთავარი ჟიურის მაშინდელ დადგენილებაში ჩაუწერიათ — რუსთაველის თეატრი არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიო თეატრალურ კულტურაშიო.

შემდეგ კი მთელი ქართული ინტელიგენციის ყურადღება წაიღო ჩვენს ორ დიდ რეჟისორს შორის განხეთქილებამ, როცა მწერლობიდან მარჯანიშვილს მიემხრნენ ძირითადად ყოფილი ფუტურისტები „მემარცხენეები“, ხოლო ახმეტელს არსებითად ცისფერყანწელები. ყოველივეს თავისი სუბიექტურ-ობიექტური ახსნა ჰქონდა, მაგრამ ჩვენ აქ ამას შორს ნულარ გავყვებით; მით უმეტეს, რომ იმ ოცდაათიან წლებში ეს ყოველივე ბევრ უსიამო მოვლენებს გადაეხლართა.

მწერლობაში განსაკუთრებით გაისმოდა მიხეილ ჯავახიშვილის სახელი.

მიხეილ ჯავახიშვილმა, მისმა სამწერლო ბიოგრაფიამ გამახსენა ორიოდე სიტყვა ვთქვა ერთი ჩვენი ახლანდელი, უკიდურესად თანამედროვე დიდი სალიტერატურო პრობლემის გამო. სულ ორიოდე სიტყვა:

გრიგოლ რობაქიძე წერს: „მიხეილ ჯავხიშვილი მგონია 50 წლის წინად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე რო-

გორც ნოველისტი...“ უეცრად მიატოვა მწერლობა. მიზეზი? ფილიპე გოგიჩაიშვილს ეთქვა დამწყები ავტორისათვის მისებური ირონიული ჩაცინვით ულვაშებში: დაანებე თავი „ზღაპრაობას“, ნამდვილ საქმეს მოჰკიდე ხელიო.“... „განვლო ხანმა, ბოლშევიკები შემოიჭრნენ, მოხდა საქართველოს გასაბჭოება. „საქმე“, ფილიპეს რჩევით აღებული, არ აღმოჩნდა ჯავახიშვილისთვის ხელსაყრელი. ეხლა ისევ კალამს დაუბრუნდა გაწბილებული. ნოველას ნოველა მოჰყვა და რომანი რომანს. მკითხველთა წრე ავტორისა წლითიწელ იზრდებოდა. არც ერთი მწერალის ნაქმს არ ჰქონია საქართველოში ისეთი გასავალი, როგორც ჰქონდა ჯავახიშვილისას — არც ერთი ქართველი ავტორი არ თარგმნილა იმდენ უცხო ენაზე როგორც იგიო“. (გ. რობაქიძე — მ. ჯავახიშვილი).

მოხდა საქართველოს გასაბჭოება და, ვთქვათ პირდაპირ, საბჭოთა სინამდვილეს სასიცოცხლოდ დასჭირდა მწერლობითა და ხელოვნებით გვერდის გამაგრება, მწერლობისა და ხელოვნების გვერდით ამოყენება. ძნელია გავიხსენოთ ქვეყანაზე სხვა ეპოქა, როცა მწერლობასა და ხელოვნებას ასეთი დიდი როლი დაკისრებოდეს და მინიჭებოდეს ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უსაზღვროდ გაიზარდა მწერლობის ფასიც და, უნდა ითქვას, დაფასებაც, „მკითხველთა წრე ავტორისა წლითიწელ იზრდებოდა“ და არაერთხელ დაწერილა იმაზეც, რომ ყველაზე მასობრივი მკითხველი ლიტერატურას საბჭოთა კავშირში ჰყავსო. თუ ოდესღაც მიხეილ ჯავახიშვილს ფილიპე გოგიჩაიშვილი ურჩევდა „ნამდვილ საქმეს მოჰკიდე ხელიო“, ახლა საბჭოთა სინამდვილეში მწერლობა „ნამდვილი საქმე“ შეიქმნა. მიხეილ ჯავახიშვილმა, რამდენადაც მე გამიგია ის „ნამდვილი საქმეც“ კარგად იცოდა, მაგრამ მორჩა და გათავდა, „ნამდვილი საქმეები“ ახლა სახელმწიფოს ჩაბარდა. მწერლობა და ხელოვნება უკვე სავსებით „საპატიო“ საქმეა და ისეთი საპატიოც, რომ ბატონ-ბატონობა თვით სტალინმაც კი აღარ იუკადრისა და იმ ოცდაათიანი წლების ერთ მშვენიერ დღეს, მანამდე რომ არასგზით ნებას არ რთავდა და „ულვაშებშიც მაგრად ეცინებოდა“, ჩვენს პრესაში უკვე გამოქვეყნდა მისი ახალგაზრდობის ლექსები „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი გადახვეოდა იასაო“ და სხვა. და არა მარტო ქართულად გამოქვეყნდა, არამედ დაუყოვნებლივ ითარგმნა რუსულ და ათას სხვა ენაზეც.

ყველას, ნამდვილად ყველას, ცოტად თუ ბევრად ცნობილ მწერალს და ხელოვანს, როგორც ცნობილია, მიღებული გვაქვს საბჭოთა მთავრობის მრავალგვარი საპატიო ჯილდოები და მე არასდროს დღემდე არ გამიგია, ვისმე ამ ჯილდოებზე უარი ეთქვას მთელ საბჭოთა კავშირშიც კი. არ ყოფილა ასეთი შემთხვევა არც საქართველოში. პირიქით კი განაწყენებული ბევრი მახსოვს, მეორე ჯილდოს მოლოდინში.

და, აი, გავიდა ათეული წლები. საბჭოთა სინამდვილე მიადგა თავის დასასრულს. ახლა როგორც ჩანს. იწყება „ნამდვილი საქმეების“ ეპოქა. ლიტერატურა და ხელოვნება მარადიულია; ის კვლავაც საუკუნეებში იცოცხლებს. ეს უეჭველია. მაგრამ, მაინც რა მოელის მას აგერ, ხვალინდელ დღეს, რა ყურადღებით ისარგებლებს ლიტერატურა და ხელოვნება, აგერ, ახლო მომავალში?

ამ რამდენიმე ხნის წინ საქვეყნოდ ცნობილი ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აიტმატოვი შეშფოთებული წერდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“.

«Те люди, та среда, с которой я привычно общался, стали иными, и наши критерии иные. Прежде даже небольшая статья, не говоря уже о повести или романе, вызывала мгновенные отклики. Я чувствовал, что высказанное находит своего адресата. Сейчас не так. Я понимаю, что всем не до литературы, все охвачены политическим безумием. А как дальше — будет ли литература властелином умов, душ, чувств. Или у нас кончилась ее эпоха? Признаюсь, я страдаю из-за того, что не чувствую жизнь литературную в той

значимости, в той энергии, которые были всегда ей присущи и в которых я видел смысл своего труда».

ვაი, თუ ისევ გაისმის იმ ჩვენი ძველი ფილიპე გოგიჩაიშვილის შორეული ხმა „დამწყები ავტორისადმი“ — „საქმეს მოჰკიდე ხელიო!“,

მაგრამ ეს ყოველივე ჩვენი უახლესი დროის აგერ 80-იანი 90-იანი წლების პრობლემებია. ჩვენ ძალიან შორს, ნახევარი საუკუნის აქეთ, ექვსი ათეული წლით გადმოვხტით წინ; ჩვენი სარბიელი და ასპარეზი კი ამ საუკუნის ოცდაათიანი წლებია. დაუყოვნებლივ დავბრუნდეთ უკან!

ეს ყოველივე კი გრიგოლ რობაქიძის წერილმა „მიხეილ ჯავახიშვილი“ გამახსენა. თვითონ გრიგოლ რობაქიძეზე კი იმ ოცდაათიან წლებში უკვე აღარაფერი აღარ ისმოდა. საერთოდ ემიგრანტები თითქოს არც კი არსებობდნენ. მხოლოდ ერთი ქართველი ემიგრანტი პოეტის სიმონ ბერეჟიანის ლექსმა ჩამოაღწია ჩვენამდე როგორღაც, და მისი უკანასკნელი, სევდით სავსე სტრიქონები აქამდე ჩამრჩა მეხსიერებაში: მგონი ასე: „გაძარცვულ ალვებს დასჩხავის ყვავი ირყევა ქარში დაშლილი ოდა, მე რომ ალვის ხედ გავჩენილიყავ, შენთან დარჩენა შემეძლებოდაო“. პოეტი ბერეჟიანი, როგორც შემდეგ გავიგე, გერმანელებს ოკუპირებული საფრანგეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გამოუწვევიათ, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე მას ველარ ჩამოულწევია; უბედური, სადღაც გზაში დაღუპულა.

სამაგიეროდ ჯერ კიდევ ერთობ სენსაციური ხმები ჩამოდიოდა ძმებზე მდივნებზე, რომელიც უცხოეთში როგორღაც თავი რევოლუციისგან დევნილი სამეფო გვარის ბრწყინვალე თავადებად გაასაღეს და უმდიდრეს და ულამაზეს ქალებს დაუახლოვდნენ. ერთი მათგანი, როგორც ამბობდნენ, დაქორწინდა იმ დროს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოვარსკვლავზე. უმდიდრეს და ულამაზეს მსახიობ ქალზე პოლა ნეგრზე. (მე მათი ვილა მაჩვენეს ერთხელ ვენეციაში ზედ დიდი არხის ნაპირას. შემდგომში ეს ძმები გამოაქანავეს. ახლა მათზე მოგვითხრო თავის წიგნში, „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე“ დეილ კარნეგიმ. (მოსკოვი. პროგრესი. 1990 წელი).

ამას ზედ ემატებოდა მიხეილ ჯავახიშვილის ახალი რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ გამოქვეყნების მეორე დღესვე თბილისის ოჯახებში გაჩაღებული საუბრები რუსეთის უკანასკნელი მეფის კარზე რასპუტინის წლებში დატრიალებულ ინტრიგებსა და ავანტურისტულ საქმეებში ქართველ დიდგვაროვანთა მონაწილეობის შესახებ. ისევ ამოტივტივდნენ გვარები — მეფის კამერგერის ივანე ნაკაშიძისა; მეფის ფლიგელ-ადიუტანტის ალექსანდრე ერისტოვისა, მეფის ფავორიტის ალეკ ამილახვარისა, „წითელი ჯვრის მთავარი სამმართველოს წევრის“ უჩა დადიანისა; „კავკასიელი კნიაზის“ ნიკოლოზ ნიშარაძისა (ნიჟარაძის) ანდრონიკოვისა, შერვაშიძისა, დუმბაძისა, ორბელიანისა, თარხანოვისა; მაგრამ ყველაზე მეტად რასაკვირველია, რასპუტინის სასიძო სიმონ ფხაკაძისა („კვაჭი კვაჭანტირაძე“), რომელიც ცნობილი რუსი მწერლის პიკულის ერთი ნაწარმოების მიხედვით პეტერბურგში იკლავს თავს, არა, მან იქ, რასპუტინის თანდასწრებით, მხოლოდ თავი დაიჭრა პისტოლეტით. იგი გადარჩა და კომუნისტურ პარტიაშიც კი შევიდა შემდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღესვე თბილისში, კომპარტიის ცეკას ერთ პირველსავე (თუ პირველივე) ბიუროს სხდომაზე იგი გარიცხეს პარტიიდან რასპუტინის ოჯახთან სიახლოვის გამო.

—.—

ქართველ მწერალთა ოჯახებში შეხვედრებით გულმოჯერებული ჩვენი სტუმრები, რუსი პოეტები, ბორის

პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვები შემდეგ თბილისიდან დაიძრნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსაკენ. როგორც თბილისში, ყველა ღონისძიების. ასევე ამ მგზავრობის პირველი სულისჩამდგმელები, რასაკვირველია, იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე.

ზესტაფონში იმ ხანებში იხსნებოდა ფერომანგანუმის ახლადაგებული ქარხანა და ეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მაშინ ერთი უდიდესი მოვლენა იყო. დასავლეთისკენ დაძრული სტუმრებიც, რასაკვირველია, პირველ რიგში იქ იყვნენ მიწვეულნი. მახსოვს, ეს ზეიმი როგორ დაამშვენა ამ სტუმართა გამოსვლებმა, მათ შორის ბორის პასტერნაკის გამოჩენამაც მიტინგის ტრიბუნაზე. მე ეს გამოსვლა ამ რამდენიმე ხნის წინ გავიხსენე პოეტის რომელიღაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ქარხანა რომ დავათვალიერეთ და ცეცხლოვან ღუმელებთან დატრიალებული მუშები ვნახეთ, პასტერნაკი მეტად აღელდა და ტრიბუნაზე გამოსვლისას, იმის მაგიერ, რომ მუშები შეექო და ისინი თავისი „მომწოდებელი" სიტყვით „შრომის ცეცხლით აენთო", ბორის ლეონიდის ძემ სიტყვა ასე დაიწყო. — ო, უბედურო მუშებო, რომ იცოდეთ, როგორ მეცოდებითო. — შეიქმნა ერთი ამბავი და ქარხნის რომელიღაც უფროსმა დაუყოვნებლივ ჩამოიყვანა ძირს ცრემლიანი ორატორი.

ყველანი ვწუხდით, რომ ჩვენთან ერთად არ იყო გიორგი ლეონიძე. ქუთაისში წამოსვლის წინადღეს კი სწორედ მასთან ვისხედით, სტუმრებთან ერთად.

გიორგი ლეონიძეს ერთი „ნაკლი" ჰქონდა — თბილისზე უსაზღვროდ შეყვარებულს, თბილისიდან იშვიათად თუ დაძრავდით. ქალქში კი მთელი ღამეები შეეძლო ეხეტიალა, რომ სისხამ დილით თითქოს ცხელ-ცხელი ენა-ხახაში, ხილი და თონიდან ამოყრილი პური".

უსაზღვროდ სტუმართმოყვარე კაციც გახლდათ. მისი ბინა ქალაქის ცენტრში ,ზედ მაჩაბლის ქუჩის თავში სწორედ რომ, „სახიფათო" ადგილზე იყო. მწერალთა კავშირში რაიმე ლიტერატურული საღამოს შემდეგ თუ ჩვენი ხუთმანეთიანებით ჩვენ რესტორან „ინტურისტისკენ" მოხუცი ნიკო ლორთქიფანიძის წინამძღოლობით არ მივეშურებოდით, შუაღამითაც კი ავსულვართ მასთან ხოლმე, მეორე სართულზე და მივდგომივართ კარს ფეფიკო ლეონიძეს, ყველა ჩვენგანისთვის დაუვიწყარ დიასახლისს. აბა, თუ ერთხელაც უამური თვალით შემოგვხედავდა, ან უძილობა დაეტყობოდა. იყო მუდამ ხელგაშლილი, რაც ებადა და რაც გააჩნდა. სუფრაზე თვითონვე წამოიწყებდა მის საყვარელ ქართლურ სიმღერას „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსაო". თვითონ გიორგი ლეონიძეც ყოველთვის კარებშივე შემოგვხვდებოდა: „ლეონიძე კოხტა ბიჭო, შენ კი გენაცვალეო" შეუძახებდა, შეიქებდა თავს და საქმეს შეუდგებოდა.

გიორგი ლეონიძე არსებითად უფრო ოციანი, ოცდაათიანი წლების პოეტია იმ წლებში შექმნა მან თავისი საუკეთესო ლექსები, „ნინოწმინდის ღამე"; „ყივჩაღის პაემანი", „მაშ, რა ვუყოთ პოეტებო, ამ თბილისის დილას", „სიმღერა პირველ თოვლისა", „ტყუპი იაგუნდები", „ციცარი", „წავა ლექსი და წაიღებს" და კიდევ ბევრი — ქართული პოეზიის მშვენება და სილამაზე... დიახ, სწორედ მის ახალგაზრდობაში შექმნა და შემდეგ სევდიანად თვითონვე თქვა: „სიჭაბუკე და ლექსი ერთია. ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილიო". „წავა ლექსი და წაიღებს ახალგაზრდობის ნიშანსაო".

„როგორ ატყვია უშენობა ამ შემოდგომას;
ამ ზეცის შეცვლას,
დღის მოკლებას, მზის შემოკვდომას,

თითქოს ჩვენს მთებში
პასტერნაკის ეფრინოს დემონს, —
მცხეთის, ავჭალის, ტაბახმელის
წაეღოს გემოც

ეს ჩემი სტრიქონებია.

ქუთაისში სტუმრებსა და ქართველ მწერლებს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ნიკო ლორთქიფანიძეს, შალვა დადიანს, ალექსანდრე ქუთათელს, სიმონ ჩიქოვანს, ბესარიონ ჟღენტს და ამ სტრიქონების ავტორს (ცისფერყანწელებიც და ფუტურისტებიც ოციან წლებში ერთმანეთისადმი თითქოს მტრულად განწყობილნი, ახლა უკვე ერთ ფრონტს წარმოადგენდნენ). გველოდა დაუვიწყარი დღეები და რიონჰესის მშენებელი ვლადიმერ ჯიქია, ბაგრატის ტაძარი და შეხვედრა გაბაშვილის გორაზე.

—.—

ჩვენი ამ სტუმრების, განსაკუთრებით ბორის პასტერნაკის პირველივე თარგმანების მეოხებით რამდენიმე ქართველი პოეტი, უფრო მეტად პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი უკვე ასე თუ ისე ცნობილნი იყვნენ სსრკ მწერალთა 1934 წლის პირველი ყრილობის მონაწილეთათვის (ზოგ ქართველ მწერალს, პოეტს, მოსკოვის ლიტერატორთა გარკვეულ წრეში უფრო ადრეც იცნობდნენ, როგორც ვთქვით, ესენინის ცნობილი ლექსით „Поэтам Грузии“ ანდრეი ბელის წიგნიდან «Ветер с Кавказа» და რუს მწერალთა სხვა ქმნილებებიდან). ხოლო პაოლო იაშვილი, არა მარტო ცნობილი, აქაც, ამ მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი ფორუმის მონაწილეთათვის ერთ-ერთი თვალსაჩინო და პატივსაცემი კაციც გახდა მას შემდეგ, რაც იგი ტრიბუნაზე დადგა ისაკ ბაბელის და ანდრეი მალროს გამოსვლათა შორის და ეს ულამაზესი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ქართული ზრდილობით და ევროპული თავაზიანობით, გოლიათის ხმით ტრიბუნაზე მის გრიალში მიესალმა ყრილობის უცხოელ სტუმრებს, რაც მანამდე არავის მოფიქრებია. მერე თავისი გულითადი ღიმილით განაცხადა —

— «Со дня сотворения мира не было случая, чтобы столько писателей радовались вместе».

მიხაროდა მეც, ყრილობაზე ერთ ყველაზე ახალგაზრდათაგანს, 24 წლის მონაწილეს, რომელიც ამ ფორუმის დელეგატად საქართველოს მწერალთა შეკრებაზე სწორედ პაოლო იაშვილმა, სწორედ ამ ორატორმა დამასახელა. დელეგაციის თბილისში დაბრუნებისთანავე ჩვენმა ლიტერატურულმა გაზეთმა გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის კარიკატურა დიდი ყანწით ხელში; ქვემოდ წარწერა ლექსად ჩემი იყო: „სტუმრებს მიუძღვნა პაოლომ სიტყვა, ურითმო შაირი: მობრძანდით, ყანწით დალიეთ ჩვენი საბჭოთა ჰაერი“.

ეს პაოლოს არ სწყენია, პირიქით.

ამ ყრილობის ყველა ნაკლისა და საიდუმლო მიზნების მიუხედავად, რაზეც ამ ბოლო ხანებში ბევრი იწერება რუსულ პრესაში და რაც დღეს ჩვენი საჯაროობის წლებში განსაკუთრებით ჩანს, ერთი ისიც უნდა ითქვას, რომ იქ, მის ტრიბუნაზე ზოგიერთი ორატორის გამოსვლაში. იმ ეპოქაში, როცა სოციალური დაკვეთის პრაქტიკა უკამათოდ მეფობდა და ზეიმობდა, პირველად გაისმა სიტყვები ლიტერატურის, ხელოვნების ჭეშმარიტი არსის შესახებაც, რომელიც ბერდიაევს ფორმულის სახით აქვს ჩამოყალიბებული:

«В творчестве снизу раскрывается божественное в человеке, от свободного начала самого человека, а не сверху. В творчестве сам человек раскрывает в себе образ и подобие Божье».

აქ ნუღარ ვისაუბრებთ ამ ყრილობის სხვა ზოგიერთ დამსახურებაზეც, რაც უკვე დიდი ხანია ცნობილია ჩვენი

საზოგადოებისათვის, მათ შორის, კლასიკოსების რეაბილიტაციაზეც, როცა გამოჩნდა „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“: ეს იყო ჩრდილოეთში რუსთაველთან შეხვედრით გამოწვეული ჩემი უდიდესი სიხარული, რაც საბედნიეროდ ერთხელ კიდევ განმეორდა 35 წლის შემდეგ, ახლა უკვე სამხრეთში — პალესტინაში.

დიდი ხანია ცნობილია და აქ ნურც ქართული მწერლობის დიდ გამარჯვებაზეც ვისაუბრებთ, ქართველი მწერლების გამოსვლებზე. განსაკუთრებით მალაქია ტოროშელიძის მოხსენებაზე.

აქ გავიხსენოთ ერთიც: იმ ხანებში, მით უფრო ამ ყრილობის შემდეგ, ხალხში აქა-იქ იყო ფარული ლაპარაკი იმაზეც, რომ სტალინს საკუთარი ინტერესებისათვის დასჭირდა საქართველო — მისი მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა და ხელოვნება, მაღალკულტურული ეროვნული ისტორიის გამოყენება თავისი ეროვნული ფესვების, ეროვნული წარმომავლობის მსოფლიოს თვალში საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცებისათვისო.

ასე იყო თუ ისე იყო, იმ დღეებში ქართული მწერლობა მოექცა ამ ყრილობისა და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოს კულტურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. და ეს იმიტომაც, რომ დიდმა ქართულმა მწერლობამ თვითონ დამსახურებულად მიიქცია ეს ყურადღება და ქართველმა მწერლებმაც კარგად გამოიყენეს ეს უნიკალური შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობის შედეგი ჭეშმარიტად ქართულ საქმედ იქცა. ქართული მწერლობა ამ მაღალი ტრიბუნიდან პირველად გახმაურდა მთელ მსოფლიოში. საქართველოც...

მალაქია ტოროშელიძე ძველი ინტელიგენტი რევოლუციონერი, მარქსისტულად განათლებული კაცი იყო, იგი, რამდენადაც ვიცი, ქართველთაგან ვლადიმერ ლენინს პირველი შეხვედროდა და, ალბათ, ამ შეხვედრამ განაპირობა მისი მომავალი პრინციპული ბოლშევიკობაც. მწერალთა კავშირში კი, სადაც იგი პარტიის [illegible] ით, როგორც ზემოთ [illegible] თიან წლებში თავმჯდომარედ აირჩიეს, მწერლობაზე არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდა (ამ შემთხვევაში იგი გამონაკლისი იყო. სხვა ყველა ჩვენთან მოვლინებული, მაშინვე მწერლობასაც იწყებდა ხოლმე; თავმჯდომარე კი არა, მისი მძღოლიც კი). იგი აქ თავის პარტიულ დავალებასა და მოვალეობას ასრულებდა. მაგარი კაცი იყო, ნამდვილად იდეური კომუნისტი, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე. ალალი. გულჩვილი კაციც. ერთხელ, ეს იყო 1934 წელს, რომელიღაც იუბილის შემდგომ სასტუმრო „პალასში“ გამართულ ბანკეტზე პოეტებმა ლექსები რომ წავიკითხეთ, მე ჩემი „გადარჩენის ბალადა“ წარმოვთქვი, სადაც მამაჩემის გარდაცვალებაზეა სტრიქონები; მალაქია ტოროშელიძე, სუფრის მეთაური, ამ სტრიქონებმა მეტად ააღელვა და შეღვინიანებულს ცრემლებიც მოერია. ამის შემდეგ, როცა იგი მწერალთა შეკრებაზე რისამე გამო განრისხდებოდა და თავისებურად ხმას აუწევდა, ზოგიერთი „შეჩვენებული“ მწერალი დარბაზში ხუმრობით ჩურჩულს ასტეხდა: — ირაკლის, ირაკლის დაუძახეთო

—.—

სწორედ საბჭოთა კავშირის მწერალთა I ყრილობის წინ (როცა ამ ყრილობის ტრიბუნიდან მთავარ მოხსენებებში იმ ხანებში პირველად გაისმა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთისა და ყოფილ იმპერიაში შემავალი ქვეყნების გამოჩენილ მოღვაწეთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის სახელები) საქართველოში დაიწყო კიდევ ერთი სამკვდროსასიცოცხლო შეტევა დიდი ილიას წინააღმდეგ. ამჟამადაც ამ საქმეს, რასაკვირველია, იგივე ადამიანი შთააგონებდა და ასულდგმულებდა. რომელსაც ახლა უკვე საქართველოში განუსაზღვრელი უფლებები და უმაღლესზე უმა-

ღლესი თანამდებობა ეჭირა და რომლის ხელშიც ახლა ყველა საშუალება და პირობა იყო მიზნის მისაღწევად. ამ-ჟამად მიზანში იქნა ამოღებული ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის იდეებზე აღზრდილი კაცი პროფესორი სიმონ ხუნდაძე.

სიმონ ხუნდაძე ახალგაზრდობის წლებში მემარცხენე სოციალ-ფედერალისტი ყოფილა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იგი კომუნისტურ პარტიაში გადავიდა, მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში ისწავლა და ოციანი წლების ბოლოს, როცა მეც უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, იგი იქ თვალსაჩინო მეცნიერად, ლიტერატურათმცოდნედ, სოციოლოგად ითვლებოდა. იქ გავიცანი როგორც ჩემი ლექტორი და შემდეგ მე მას ძალიან ხშირად ვხვდებოდი რედაქციებსა და გამომცემლობებში, სადაც იგი ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყო ხოლმე და მეჩვენებოდა, რომ იგი ჩემდამი დიდ სითბოსა და ყურადღებას იჩენდა. ის ალბათ ყველასთანაც ასეთი იყო, ნამდვილად კეთილშობილი, განათლებული, დინჯი, ლამაზი კაცი და მეცნიერი.

მთელი ცეცხლი წარიმართა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ჯერაც ცოცხალი ფედერალიზმის“ წინააღმდეგ და ამ ცეცხლში პირველ რიგში გაეხვია. რასაკვირველია, სიმონ ხუნდაძე.

თბილისის უნივერსიტეტში, სადაც მაშინ დიდი და მრისხანე კამპანია მიმდინარეობდა „კონდრატიევშჩინის“, ძველი პროფესურის წინააღმდეგ, საქართველოს მწერალთა კავშირში, თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში განუწყვეტლად აკრიტიკებდნენ სიმონ ხუნდაძეს. იგი ბოლოს და ბოლოს საქმეებიდან გაანთავისუფლეს და მახსოვს, ერთ დღეს მაჩაბლის ქუჩის თავში რომ შემხვდა, ხელზე თავისი ლამაზი „კოვერკოტის“ ლაბადით, გამაჩერა, სახეზე წამოწითლდა და ამაყმა და ლამაზმა ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა, რომელთანაც მე ყოველთვის მორიდებული ვიყავი და ჩვენს შორის ჯერ კიდევ მაინც პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთობა იყო, უცებ სესხად სამი მანეთი მთხოვა. ერთხანს დავიბენი...

ეს იყო 1933 წლის გაზაფხულზე ხოლო იმ ზაფხულს. აგვისტოში, როცა ოჯახი აგარაკზე ჰყავდა, სახლში, ვაკეში, მარტოდ დარჩენილს გულმა საბოლოოდ უღალატა და ლოგინიდან იატაკზე უსულოდ დაეცა. სულ ოცდათექვსმეტი წლის ვაჟკაცი. იმ ზაფხულს მეც თბილისში ვიყავი და მახსოვს, ერთმა პირველთაგანმა გავიგე ეს უბედურება და ერთი პირველთაგანი დავადექი მას თავზე.

სულ ერთი წელიც რომ გაეძლო... 1934 წლის სსრკ მწერალთა I ყრილობამდე...

—.—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მე იმ ოცდაათიანის პირველ წლებში ასპირანტად ვირიცხებოდი, ძველი პროფესურის წინააღმდეგ ბატალიები საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში, იმ ხანად პირველ რიგში უფრო პროფესორი შალვა ნუცუბიძის მისამართით იყო მიმართული და ეს მაშინდელ საზოგადოებაში მეტად რელიეფურად ჩანდა. პროფესორ ივანე ჯავახიშვილის პრობლემამ უკვე როგორღაც მეორე ადგილზე გადინაცვლა, მას შემდეგ, რაც იგი უნივერსიტეტს არსებითად ჩამოაშორეს. მის წინააღმდეგ საჯაროდ, წერილობით თუ ზეპირად ხმის ამაღლება, საქართველოს ისტორიაში ღრმა მეცნიერულ განსწავლულობას, საქართველოს ისტორიის უამრავი, უხვი წყაროების ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვდა; მისი ავტორიტეტისა და დამსახურების შიშველი ნიჰილისტური უარყოფის გარდა მოითხოვდა დიდ ტალანტსა და საერთო ერუდიციას. ასეთი მეცნიერები კი სწორედ რომ ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თუ იყო მაშინდელ საქართველოში. ზოგადად

იქნა განცხადებული, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი იდეალისტური მკვლევარია, ამით ადმინისტრაციული დასკვნებიც იქნა გამოტანილი და საქმეც თითქოს მოთავდა. არც ერთი მეცნიერულად სერიოზული შრომა არ დაწერილა პროფესორის შემოქმედების სერიოზული ანალიზით. რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ კამათში გამოწვევას, იგი ამ საქმეში არ ერეოდა. ჭეშმარიტად მაღალი მეცნიერისა და ქართველი კაცის სიდინჯით თითქოს ყოველივე ამას ყურადღებასაც კი არ აქცევდა; დიდი მოღვაწის საუკუნეებში ნაცადი და გამოცდილი უტყუარი მეთოდით ხელმძღვანელობდა — ვაცალოთ, ყველაფერს დრო და მომავალი განიხილავს და შეაფასებსო.

თანამედროვეობა ძალიან ხშირად იმ დამწყებ, ჯერ სათანადოდ გამოუცდელ, ან სხვა საქმეში ხელმოცარულ პედაგოგს ჰგავს, რომელიც შეგირდს ნიშნის დასმისას არა მისი ნიჭისა და მომზადების მიხედვით აფასებს, არამედ მასთან წუთიერ პირად ანგარიშებს ასწორებს.

სხვა მდგომარეობაში იყო პროფესორი შალვა ნუცუბიძე. ფილოსოფიას (თავისთავად „შავ კატას ბნელ ოთახში") იმდროინდელ საქართველოში ძალიან ბევრი ეტანებოდა (როგორც ეს ჩვენში პოეზიაშიც ხდება) და ბევრს ჰქონდა პრეტენზია ამ საქმის ცოდნისა. იმ ხანებში რამდენიმე ახალგაზრდა უცხოეთშიც, გერმანიაშიც სწავლობდა ამ მეცნიერებას და საბჭოთა კავშირის ცენტრებშიც. მარქსისტულ ფილოსოფიას დაუფლებულნი ბევრი მათგანი, ბუნებრივია ,მეტად აგრესიულად იყო განწყობილი იდეალისტური ფილოსოფიის მიმართ, და ვინ უნდა ყოფილიყო მათი შეტევის ობიექტი? რასაკვირველია, პირველ რიგში, შალვა ნუცუბიძე. შალვა ნუცუბიძეც როგორც კარგი მოფარიკავე. ორთავე ხელში ორი ხმლით ტრიალებდა მარჯვნივ და მარცხნივ მისი დიდი ერუდიციით, დიდი და ბასრი იუმორით, დაუზოგავი ირონიით, ენით. კამათს, შეტაკებებს [illegible] დაც არ გაურბოდა, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იყო, ეძებდა კიდეც ხშირად მას, რომ სული მოეთქვა და სწორედ ამ ორომტრიალში იყო იგი ნამდვილად თავის ფორმაში. აუარებელი მისი მოსწრებული სიტყვა და ალეგორიული ფრაზა ფრინავდა იმდროინდელი თბილისის ჰაერში და იყო სიცილ-„ხარხარიც", (ასეთსავე დღეში იყვნენ პროფესორი სერგი დანელიაც და კონსტანტინე კაპანელიც; თუმცა ისიც უნდა ითქვას, მათაც, ამ ფილოსოფოსებსაც ქონდათ შეხლა-შემოხლა ერთმანეთშიც).

შალვა ნუცუბიძე საბოლოოდ თბილისის უნივერსიტეტში ჩამოაშორეს ფილოსოფიის კათედრას, მას დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსი ჩაბარეს. უხვი მოსავლის ოსტატი მხოლოდ პურის მცხობელად დასვეს.

ძველ პროფესურასთან ბრძოლა უფრო მეტად საზოგადოებრივ მეცნიერებას შეეხო და ეს გასაგებიცაა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჯერ დაუდუღარი ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რასაკვირველია, უფრო ძნელია ასეთი შეტევების წამოწყება; აქ ბრძოლის ველზე აუცილებელია წინა პლანზე მძიმე არტილერიის წამოწევა. რაც ჯერ საქართველოში ნაკლებად იშოვებოდა. ბრძოლის ველზე კი უნივერსიტეტში სწორედ ახალგაზრდობა იყო გასული რომლებსაც იქ ოფიციალურადაც კი „მსუბუქი კავალერია" ეწოდებოდა და რომლებიც ყველაფერთან ერთად ზრდილობის დიდი დეფიციტიც გამოირჩეოდნენ. და ეს განსაკუთრებით იქ, უნივერსიტეტის კედლებში შეიმჩნეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარული მწერლების ასოციაცია, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე

საქართველოშიც იმ 1932 წლის აპრილის დადგენილებით ორგანიზაციულად გაუქმდა და დაიშალა, მისი მრავალწლოვანი ბრძოლა ე. წ. „ლიტერატურული ჰეგემონიისთვის“ კვლავაც გაგრძელდა ვიდრე 1934 წლის სსრკ მწერალთა პირველ ყრილობამდეც კი. ამის მაგალითად მე გავიხსენებ თუნდაც იმ ფაქტს, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა, რომელიც იმ აპრილიდან ორი თვის შემდეგ, 1932 წლის ივნისში შედგა, გახსნა ყოფილ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთმა მდივანმა, ბელეტრისტმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ. იმ ხანებში განსაკუთრებით გააქტიურდა ამ ასოციაციის, როგორც მაშინ ვეძახდით, ის „მემარცხენე ვულგარიზატორთა“ ჯგუფი, რომელიც „ქვეყანაში კლასთა ბრძოლის გაძლიერების“ გამო არა მარტო თანამედროვე „ბურჟუაზიულ“ მწერლობას, არამედ განსაკუთრებული სიმკაცრით უტევდა კლასიკოსებს. აქ კი უკვე ეს ასოციაცია იდეურადაც დაიშალა; „ვულგარიზატორთა ჯგუფის“ უმკაცრეს პოზიციას ბევრმა კატეგორიულად არ დაუჭირა მხარი და მათ შორის თვით პარტიულმა მებრძოლმა თეორეტიკოსმა, წლების მანძილზე საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის აღიარებულმა ლიდერმა შედარებით ზომიერმა ბენიტო ბუაჩიძემ. რადგანაც ამ ჯგუფში თითქმის მხოლოდ ის „ვულგარიზატორები“ შედიოდნენ, ჩვენ მას უჯარისკაცო არმიას ვეძახდით, მხოლოდ ერთადერთი პოეტი ფრიდონ ნაროუშვილი იყო მათი ჯარისკაცი, რომელიც მათ ისე აიყოლიეს, რომ იგიც სასტიკი ლექსებით უტევდა ქართველ კლასიკოსებს. (მაგალითად: საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში იმ ხანებში ეკიდა ილია ჭავჭავაძის და ეგნატე ნინოშვილის დიდი სურათები, ეს ფაქტი პოეტის სტრიქონებში ასე აისახა: „დარბაზი ორად გაყოფილი:... ჩვენი ეგნატე, მათი ილია“... ბოლო, მეორე კლასიკოსი, გრიგოლ ორბელიანი — „ებდღვნა დაღესტანს, სისხლი ადინა“...) ყოველივე ეს, რასაკვირველია, იყო არა მხატვრულ-ლიტერატურული, არა სამწერლო, არამედ თანამედროვეთა შორის მხოლოდ შიშველი პოლიტიკური. მხოლოდ შიშველი პარტიული და ხშირად ამბიციურ თანამდებობრივი ბრძოლა, რომელიც იმ წლებში და ხშირად სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციული დამსჯელი ორგანოების აქტიური ჩარევითაც მთავრდებოდა, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მწერლობაში ე. წ. „მამათა და შვილთა“ ისტორიულად ცნობილ ბრძოლასთან.

ამასთან დაკავშირებით, (უფრო სწორად, ამასთან დაუკავშირებლად) აქ უნდა გავიხსენოთ ლიტერატურაში „მამათა და შვილთა“ შორის დამოკიდებულების ჩვენი საუკუნის,ჩვენი ეპოქისეული გამოვლინებაც: როგორც ცნობილია, კლასიკოსებისადმი თავისი ერთობ კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე ქართული ლიტერატურის ახალმა გენერაციამ, „ცისფერყანწელებმა“, თავის პირველ მანიფესტებში, თავისი პირველი ნაბიჯების წლებში; რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა სინამდვილეში, ასევე შეუტიეს კლასიკოსებს თავისი პირველი ნაბიჯებით ე. წ. „მემარცხენეებმაც“ და „პროლეტარულმა მწერლებმაც“ (სამწუხაროდ, იმ ფეხის ხმას აყოლილნი. ჩვენც, მაშინ ჯერ კიდევ უმწიფარი ლიტერატურული ახალგაზრდობაც, ცოტ-ცოტას ყველანი ვცოდავდით). მაგრამ დღეს კატეგორიულად უნდა ითქვას — რომ არავის არც რევოლუციამდელ ლიტერატურულ თაობას, არც იმ ოციანი, ოცდაათიანი წლების დასაწყისის თაობებს წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ ეს ლიტერატურული ბრძოლა ოცდაათიან წლებში საბოლოოდ ასეთ უმახინჯეს შიშველ პოლიტიკურ, პარტიულ, ადმინისტრა-

ციულ სახესა და ხასიათს მიიღებდა. მით უფრო, თუ იგი ცოცხალ ადამიანებს იმსხვერპლებდა კიდეც.

ამიტომაც მოახდინა სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის ქართულ დელეგაციაზე მოსკოვში ასეთი დიდი, ისტორიულად წარუშლელი შთაბეჭდილება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შოთა რუსთაველის სურათის მოულოდნელმა გამოჩენამ მსოფლიოს დიდ კლასიკოსთა შორის.

მახსოვს, იმ სხდომაზე დარბაზში ერთად ვისხედით მე და სიმონ ჩიქოვანი, ორივე თვალებში ცრემლმორეული, უსაზღვროდ აღელვებული ვუერთდებოდით ყრილობის მქუხარე ოვაციას.

—.—

სიმონ ჩიქოვანთან მე მწერლობაში მოსვლის დღიდანვე ახლო მეგობრობა მაკავშირებდა. იგი ჩემზე უფროსი მაინცდამაინც დიდად არ იყო და ჩვენი ლიტერატურული და ცხოვრებისეული ინტერესებიც ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. მით უფრო ამ ყრილობაზე არამც თუ სიმონ ჩიქოვანის, არამედ მთელი ქართული დელეგაციის წევრების სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების, ლიტერატურული მრწამსის ინტერესები ერთმანეთისაგან არსებითად უკვე აღარ განსხვავდებოდა.

უკვე მას შემდეგ, რაც 1932 წლის აპრილის დადგენილებით სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნა პროექტი სსრკ მწერალთა საერთო. საკავშირო მწერალთა კავშირის შექმნის შესახებ და ამ ყრილობაზე შეიქმნა კიდეც ეს სსრკ **მწერალთა კავშირი,** (და არა „სსრკ **საბჭოთა** მწერლობის კავშირი“. სიტყვა „საბჭოთა“, როგორც მახსოვს, ალექსანდრე ფადეევის წინადადებით, საჭიროდ და აუცილებლად არ იქნა მიჩნეული, რადგანაც ეს თავისთავად იგულისხმებოდა — ამ კავშირში გარდა საბჭოთა მწერლებისა სხვა არავინ ერთიანდებოდა) მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც დაიშალა მწერალთა ყველა გაერთიანება და დაჯგუფება და ჩვენც ამ ყრილობაზე ერთი ფრონტით, ერთი სულისკვეთებით მივედით.

სიმონ ჩიქოვანი, ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობის არა მარტო შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც ერთი გამორჩეული ფიგურათგანი, წლების მანძილზე „მემარცხენეთა“ ლიდერი გახლდათ საქართველოში. (ეს ლიტერატურული ჯგუფი დაარსებიდანვე, როგორც ცნობილია, საბჭოთა სინამდვილის პოზიციაზე იდგა). იგი თანამედროვე ლიტერატურულ. პოეტურ პრობლემებში, ახლებური მხატვრული აზროვნების ნიუანსებში ღრმად ჩახედული კაცი იყო, უფრო ცინცხალ და უახლეს ნიუანსებში ჩახედული ვიდრე, აგერ, წინა თაობის პოეტები (ტიციან ტაბიძის ვამოკლებით) კარგად იცნობდა რევოლუციისა და ოციანი წლების საქვეყნოდ სახელგანთქმული რუსული ავანგარდიზმის, ე. წ. „ფორმალისტების“ თეორეტიკოსთა, განსაკუთრებით „ოპოიაზის“ და მისი მთავარი ლიდერის ბ. მ. ეიხენბაუმის დაკვირვებათა და გამოცდილებათა შედეგებს და კარგადაც იყენებდა მას საჯარო ლიტერატურულ დისპუტებში. მისი გამოსვლა ყოველთვის საყურადღებო და საინტერესო იყო ხოლმე. ამ ყრილობაზეც სიმონ ჩიქოვანიც და ბესარიონ ჟღენტიც გამოსვლისათვის, როგორც მახსოვს, მზად იყვნენ, მაგრამ სიტყვა მათ არ შეხვდათ.

—.—

სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გახმაურდა რამდენიმე ქართველი პოეტის და მათ შორის პირველ რიგში პაოლო იაშვილის სახელი საქართველოშიც და ქვეყნის საზღვრებს იქეთაც.

სწორედ იმ ხანებში განმტკიცდა მეგობრობის საფუძველი არამარტო რუსე-

თის გამოჩენილ მწერლებთან და ხელოვნების ოსტატებთან, არამედ მრავალი ერის ძოწინავე ადამიანებთან. ჩვენ გვჯეროდა, დიდხანს გვჯეროდა, რომ ჩვენს მეგობრობას კეთილი შედეგები მოჰქონდა საქართველოსთვის, ქართული საქმისთვის და მე ახლაც მჯერა, რომ ჩვენს სამშობლოს მეგობრები უნდა მრავლად ჰყავდეს. ესაა მწერლის ერთ-ერთი წმინდა მოვალეობათაგანი. „ვინ მოყვარესა არ ეძებს"... ანუ აღმოსავლურად: — „ჩვენ მოყვრები ვეძებოთ. მტრები თვითონაც მოგვნახავენო".

ჩვენი მოდგმის გაჩენის დღიდან, როგორც ყოველი ადამიანის სულსა და ხასიათში, მით უფრო ხალხების, ერების წიაღში და, კიდევ უფრო მეტად, ყოველი ეთნიკური ფორმირების, სახელმწიფოების ურთიერთობებში ღვთის განგებით ანგელოსიც და დემონიც ერთად სხედან. მერე, როგორც ეს ბავშვმაც კი იცის, მიდის და მიდის ამ ორ საწყისს შორის ხელჩართული ბრძოლა. (ჯერ, თავიდან, მილიონი წლის უკან მუშტიკრივით, მერე ხმლითა და თოფით, ახლა კი უკვე ატომური იარაღით). კეთილი ნების ადამიანი ქვეყნის გაჩენის დღიდან მთელი თავისი უმწეო ძალისხმევით ეხმარება იმ უბედურ ანგელოსს, რაც შეიძლება მაგრად დაედოს ხელფეხზე ბორკილი დემონს. ეს ქვეყანა ეტყობა საბოლოოდ ამ ბედნიერ დღეს ვერასოდეს მოესწრება, მაგრამ ცივილიზებულმა ქვეყნებმა ხომ მიაღწიეს რაღაც წარმატებებს ამ უმძიმეს და უიმედო ომში.

„ხალხთა მეგობრობის", „ხალხთა ძმობის" განმტკიცება მე მიმაჩნდა დემონის დაბორკვის საქმეში მთავარ, უებარ საშუალებად. მე ათეული წლების მანძილზე მხარს ვუჭერდი ამ ექსპერიმენტს.

თვალის ერთ დახამხამებაში გაირბენს ოცდაათიანი წლებიდან გრძელი ექვსი ათეული წელი, იმ ეპოქისეული ეს ტანჯვითა და ვაებით ნაჭედი ბორკილები უცებ უარყოფილი იქნება და დაიმსხვრევა კიდეც და ახლა ახალმა თაობებმა თავისებურად, თავისი ჭკუით, ბუნებითა და ხასიათით სხვა მასალით, სხვა ლითონით სჭედონ იგი, თუ მანამდე ამ ბორკილაყრილმა, აშვებულმა, ეთნოკრიზისების მონსტრმა დედამიწის ერთი მეექვსედის ამ მრავალეროვან, მრავალენოვან, უბედურ ტერიტორიაზე ყველაფერი არ მოსრა და მოათავა.

ამ მედალს მეორე მხარეზე პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ხშირად შოვინიზმიც აწერია. პატარა ერები ამ მხრივ მუდამ „ცხელი წერტილებია" ჩვენს პლანეტაზე. [illegible] — „ქვეთხვევები, პერიოდები, [illegible]" განსაკუთრებით ცხელდება და მწვავდება. ეს პერიოდები საბედისწერო ეთნოკრიზისებია, როცა ეს გამძაფრებული გრძნობა, არა მარტო ხალხების მოწინავე, განსაკურებით „მგრძნობიარე" შვილებს, არამედ თვით ხალხთა მასებს ეუფლება. აი სწორედ მაშინ სჭირდება ყველა ერს ისეთი მოღვაწეები, როგორიც იყო, ზეციური დანიშნულების ენით მოლაპარაკე. ჩვენი ილია ჭავჭავაძე, რომელზედაც მისმა რუსმა მეგობარმა, ძველი რუსეთის გამოჩენილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ თქვა: „მასში არაფერი მოგვაგონებს ჩვენი დღეების ზოოლოგიურ ნაციონალიზმსო" და გამოჩენილი სოციოლოგის, ისტორიკოსის, მარქსიმ კოვალევსკის ამ აზრს მეც პირველად არ ვიხსენებ საერთოდ ჩემს სტრიქონებში.

(აქვე დავუმატოთ — თუმცა ამ საქმეს მერე ველარც ილია ველარაფერ შველის, ან უკეთ, მერე თვითონაც ილიას ველარაფერი შველის).

გამოხდება ხანი, კაცობრიობა გამოიგონებს ზღაპრულ იარაღს, ატომურს და ეს იარაღი მოხსნის მომავალი დიდი მსოფლიო ომების საშიშროების და მსოფლიო ისევ, როგორც მილიონი წლების მანძილზე, დაუბრუნდება ლოკალური, მცირე ერთა შორის საომარ შეტაკებებს, რადგანაც, როგორც ჩანს, მართალია ის კაცი და ომი მართლაც „პროფილაქტიკაა", ომი მართლაც, სამწუხაროდ, აუცილებელი რამაა. მსოფლიო დაუბრუნდება ლოკალურ ომებს და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირი, სადაც რამდენიმე ათეული წლით „ხალხთა ძმობის" ხელოვნური ლოზუნგით ეს ომები იყო შეკავებული და არა მარტო ერთა შორის, არამედ, ჩვენდა სამწუხაროდ, თვით ერთსა და იმავე ერებშიც კი იფეთქებს ძმათა მკვლელი შეტაკებები.

მაგრამ ეს ყოველივე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

კაცობრიობა ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება მზად უომარი არსებობისთვის, უომრად ცხოვრებისათვის. კაცობრიობის ამ მარდი ცხოველური ბუნების შემობრუნებას, გარდაქმნას საუკუნეები მაინც დასჭირდება.

ჩვენი დიდი წინაპრებისგან საუკუნო და სავალდებულო ანდერძად დატოვებული ამ დიდი მიზნით (იდეით და არა მხოლოდ და მხოლოდ პირადი კეთილი ზრახვებით) იყო გამთბარი ქართველი ინტელიგენციის შეხვედრა უკვე საქვეყნოდ ცნობილი ლექსის: „19 октября"-ს ავტორთან და გულუხვი მასპინძლობა ორთაჭალის ბაღებში; ან ,ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა „ვეფხისტყაოს-

ნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელთან. ან მეოცე საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელისადმი ისეთი დიდი ყურადღება თბილისსა და ქუთაისში. დიახ, ჩვენ ასე გვჯეროდა და გვწამდა;. დიახ, ამ მრწამსით იყო გამთბარი შალვა დადიანისა და დიდი რუსი მწერლის ალექსი ტოლსტოის მეგობრობა; კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრობა სომხური ისტორიული რომანის დიდოსტატ დერენიკ დემირჭიანთან. ქართველი პოეტების მეგობრობა სერგეი ესენინთან, სომხეთის დიდ ვარპეტთან ავეტიქ ისააკიანთან და ოვანეს თუმანიანთან ოციან წლებში და კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ?...

მერე კი, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, როგორც ვთქვით ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა, ამ საშვილიშვილო საქმეში ჩვენი ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით ყველანი ენერგიულად ჩავერთეთ. ჩვენც ეს მიგვაჩნდა მაშინ პირველი რიგის „ქართულ საქმედ“ ჩვენი დაუცხრომელი სურვილი იყო საქართველოს მეგობრად გაგვეხადა ყველა გამოჩენილი ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან და მათ შორის, პირველ ყოვლისა, ასეული წლების გრძელ მანძილზე საქართველოსთან დაკავშირებული რუსეთიდან. მით უფრო, რომ რუსულ ენაზე თარგმნილ ქართველ მწერალთა ქმნილებებს შემდეგ მსოფლიოს სხვა ენებზეც ეხსნებოდათ გზა. ჩვენი დაუცხრომელი სურვილი იყო მთელ ჩვენს პლანეტას გაეგონა საქართველოს სახელი, არსებობა ქართული გენიისა, ქართული სულისა. ვიმეორებ, აი. ჩვენი პირველი რიგის **ქართული საქმე.** ეს კი უპირატესად შესაძლებელი იყო სწორედ ლიტერატურის, ხელოვნების მეშვეობით.

მე-20 საუკუნის რუსეთის ერთ-ერთ უგამოჩენილეს პოეტთან, ბორის პასტერნაკთან ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე ჰქონდათ ურთიერთობა ქართველ პოეტებს, ჯერ კიდევ 1931 წელს აპრილში იწვევდა მას საქართველოში პაოლო იაშვილი დასასვენებლად და ქვეყნის ლირიშესანიშნაობათა სანახავად:

«Нас всех очень обрадовало Ваше решение приехать в Грузию. Мы к этому готовы и вот наша наметка...»

და იგი სთავაზობდა მთელ მარშრუტს და დასვენების პუნქტებს კოჯორსა და მანგლისში, აბასთუმანსა ქობულეთში, საქართველოს სამხედრო გზასა და შემდეგ გზას სომხეთსა და სევანის ტბაზე, გზას ქუთაისსა და შოვში. სთავაზობდა ვლადიკავკაზში შეხვედრას «Это, говоря по пушкинский «наслаждение неизъяснимое». («Мир Пастернака» 144 стр.).

ასე ჩამოვიდა საქართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას უბრწყინვალესი მთარგმნელი, თანამედროვე „Стихи о Грузии“-ს ავტორი. ბორის პასტერნაკი.

ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების ლექსთა თავისი ჭეშმარიტად ოსტატური თარგმანების პირველი პატარა კრებული ბორის პასტერნაკმა რამდენიმე წლის შემდეგ, 1937 წელს გამოსცა მოსკოვში. ეს წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. სულ რამდენიმე. თანამედროვე პოეტის ლექსია ამ წიგნში მოთავსებული ვაჟა-ფშაველასთან ერთად და მე მიხარია რომ მათ შორის ჩემი ახალგაზრდობის ლექსიც „გადარჩენის ბალადა“.

შესაძლოა სიტყვა გამიგრძელდეს, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო დიდი ხნის შემდეგ, 1958 წელს ბორის პასტერნაკის სსრკ მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხიც, როცა იგი ნობელის პრემიით დაჯილდოვეს მისი „ჟივაგოს“ გამო. ამ გარიცხვის თაობაზე ერთხანს საქართველოში მითქმა-მოთქმა შეიქმნა და მეც ჩემს 1989 წელს გამოცემულ წიგნში „გუშინ, გუშინწინ“, პასტერნაკზე მოგონებაში სქოლიოში აღვნიშნე:

„სხვათაშორის ამ გარიცხვის შემდეგ, როგორც ეს პიროვნების კულტის და ხრუშჩოვის ბატონობის დროს ხდებოდა ხოლმე, დაუყოვნებლივ „ჩვენი აზრი გამოგვათქმევინეს“ რეს-

პუბლიკების მწერალთა კავშირებს, სხვა შემოქმედებით კავშირებთან ერთად, მაგრამ ამაზე სხვა მოგონებაში-მეთქი". (ისევე. როგორც ოდესღაც გრიგოლ რობაქიძის უახლოეს მეგობარ მწერლებს გამოათქმევინა „თავისი აზრი" როცა გრიგოლ რობაქიძე საქართველოდან მოიკვეთეს და რაზეც მე ზემოთ გიამბეთ ამ მოგონებაში).

დაე, აი, ეს იყოს სწორედ ის „სხვა მოგონებაც":

იმ დღეების მოსკოვის პრესა წყევლა-კრულვით იხსენიებდა ბორის პასტერნაკის სახელს. და ჩვენც საქართველოს უმაღლეს ორგანოებში ცენტრიდან მიღებული სასწრაფო დავალებით „ჩვენი აზრი გამოგვათქმევინეს".

მე ამას წინათ არქივიდან ამოვიღე იმდროინდელი ჩვენი „ლიტერატურული გაზეთი", სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 29 ოქტომბრის სხდომის ანგარიშია მოთავსებული .აი რა წერია იქ: „სხდომაზე სიტყვა წარმოთქვეს: (და ჩამოთვლილია 15 მწერლის გვარი, მათ შორის პასტერნაკის უახლოესი მეგობრების, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი ქართველი პოეტებისა).

სხდომას მე ვთავმჯდომარეობდი, როგორც მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი და მოსკოვშიც დეპეშა ასევე გაიგზავნა. მე კი აი, რა განვაცხადე იმ სხდომაზე. (სიტყვასიტყვით მომყავს იმავე გაზეთიდან) „29 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენელებმა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ბორის პასტერნაკის მოქმედებისა, რომელიც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლის სახელთან. ამ საკითხის შესახებ საინფორმაციო ცნობით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ამ საკითხის განხილვის მსვლელობა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროსა და რსფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე". ეს არის და ეს დაახლოებით ასე „დაიძვრინა თავი" სხდომის ყველა მონაწილემ, ყველა თხუთმეტმა გამომსვლელმა.

ამბობენ, ბორის პასტერნაკის ერთ მეგობარ ქალს, ო. ივინსკაიას, ნიუ-იორკში გამოცემულ თავისი მოგონებების წიგნში თავისი მკითხველისთვის უამბნია თუ როგორ დაღონებულა პოეტი საქართველოდან მიღებული ამ ცნობის გამო. თქმა არ უნდა, განსაკუთრებით დააღონებდა ბორის ლეონიდეს ძეს მისი მეგობარი ქართველი პოეტების „პოზიცია". დააღონებდა. მაგრამ მე არ მგონია მას, ჩვენს ეპოქაში დიდი გამოცდილების კაცს, (თუნდაც მისი, სტალინისა და მანდელშტამის, დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი ისტორიის შემდეგ) ეს ამბავი დიდად გააკვირვებდა და რამდენადაც ერთ ქართველ მწერალთან მისი უკანასკნელი შეხვედრიდან ვიცი, არც გაჰკვირვებია.

იმ ათწლეულის ბოლოს დატრიალებულმა ტრაგედიამ, დღეს შეიძლება ეს ითქვას, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ქვეყანაზე მაშინ პირველად, მაგრამ საბოლოოდ გასტეხა წელში სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთაშორისო იდეა. ხოლო რაც შეეხება ამის შემდგომ ატეხილ მეორე მსოფლიო, ანუ დიდ სამამულო ომს — იქ საბჭოთა კავშირი წავიდა არა სოციალიზმისა და კომუნიზმის, არა მარქსისა და ენგელსის, არამედ ალექსანდრე ნეველის. ალექსანდრე სუვოროვის, პეტრე ბაგრატიონის საბრძოლო დროშებით.

ეს იყო სოციალიზმის იდეის ერთი მთავარი პირველი „მწუხრისა ზარი" ოცდაათიანი წლებიდან.

ბევრი რიგითი ადამიანი კი საბოლოოდ მაშინაც დარწმუნდა, რომ სოციალიზმის სამოთხე თუ კი შეიძლება სადმე აშენდეს, აშენდება სხვა პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე, სადაც ამ პლანეტისეული ადამიანებისგან შემდგარი ხალხები, (მით უფრო ისეთი ხალხები, როგორიც ჩვენს საბჭოთა ქვეყნებში) ცხოვრობენ, ალბათ ვერ აშენდებაო.

(და მე ახლა იმასაც ვფიქრობ. რომ დღეს უკვე ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის რევოლუციის თავკაცებიდან, პირველი მათგანის — ჩამორჩენილ რუსეთში შვიდი წლის ბატონობისა და მეორის — თითქმის ოცდაათი წლის ბატონობის შემდეგ, პირველი — „ნეპის" ავტორი გორკაში ლოგინზე, ხოლო მეორე — უკვე გენერალსიმუსი, აგარაკ „ბლიჟნის" ხმელ იატაკზე, სიცოცხლეს ისე გამოეთხოვენ. რომ საბოლოოდ ნამდვილად და მტკიცედ. ძველებურად სწამდათ.

V

— მეტისმეტად ხუმრობ შვილო, პაოლო, მეტისმეტად — ასე წინასწარ უგრძნო გულმა პაოლოს მამას — ჯი-

ბო იაშვილს, სწორედ იმავე წლებში ამ ქვეყნიდან წასვლის წინ, მომავალი უბედურება, ხმაურის, მით უფრო ზედმეტად ხმაურის უფლება კი რესპუბლიკაში ეკუთვნის მხოლოდ ქვეყნის თავკაცს — ესეც ოცდაათიანი წლების საზოგადოების მორალური კატეგორიიდან.

პაოლო იაშვილის მრავალრიცხოვან ნათესავთაგან დღეს თბილისს მხოლოდ რამდენიმეღა შემორჩა. მისი უსაყვარლესი ერთადერთი ქალიშვილი მედეა, ქართული ენციკლოპედიის თანამშრომელი მისი დაარსების დღიდან. დისწული, ცნობილი ქართველი მეღვინე ვახტანგ მოდებაძე, ძმისშვილები ნოდარ, ოთარ და ნათელა იაშვილები. არა ასეთი ახლობელი მაგრამ მისი ნათესავი ვიყავი მეც, ანუ ჩემი ნათესავიც იყო იგი დედაჩემის — მოდებაძის ქალის მხრიდან. პაოლოს დაჲ პაშა გახლდათ ბიცოლაჩემი, მეუღლე პლატონ მოდებაძისა.

პოეტის თვითმკვლელობის შემდეგ ყველა მისი ახლო ნათესავი იყო დევნილი, ხოლო მათ შორის ძმისწულმა ნოდარ იაშვილმა 15 წელი გაატარა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებაში. ჩემი სტუდენტობის დროს, ოციანი წლების ბოლოს, ერთხანს ბიცოლაჩემის ბინაშიც კი ვცხოვრობდი, ყოფილ გუნიბის ქუჩაზე, სადაც უფრო მეტად პაოლოს უმცროს ძმასთან ტუპია (ივანე) იაშვილთან ვმეგობრობდი, ამ მშვენიერი ვაჟკაცის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. პაოლო იაშვილს ამ ოჯახში იშვიათი შემთხვევის გარდა, მე მხოლოდ საზოგადოებრივ შეკრებებზე, საქართველოს მწერალთა კავშირში და სხდომების შემდეგ „მესამე განყოფილებებზე“ ვხვდებოდი, ან რომელიმე შემოქმედებით მივლინებაში.

ამას წინათ ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის გაზეთმა „ლიტერატურა და სხვამ“ თავის 1990 წლის ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „სანდრო ეულის არქივიდან“. (სანდრო ეული იმ ხანებში მწერალთა კავშირის მდივანი იყო და შეთავსებით მწერალთა პარტიული ორგანიზაციის მდივანიც). იქ, 1936 წლის 17 ნოემბრის პარტიული კრების ოქმში არის ასეთი ადგილი: „ამხ. სამსონიძე ამბობს, რომ ოლქკომის აპარატი უნდა გავაჯანსაღოთ ასათიანი (ლევან ასათიანი. ი. ა.) უნდა მოიხსნას „მნათობის“ მდივნობიდან. ცხადია, რომ ირაკლი აბაშიძე (მაშინ მე „მნათობში“ პოეზიის განყოფილებას განვაგებდი) იმყოფებოდა ცისფერყანწელების გავლენის ქვეშ“... და იქვე: „ირ. აბაშიძეს ჰქონდა ტენდენციები პროლეტარული ლიტერატურისგან მოწყვეტისა, მაგრამ ამჟამად მას ემჩნევა მობრუნება აქტუალური თემატიკისაკენ“-ო.

ცისფერყანწელების გავლენა იმ ხანებში ირაკლი აბაშიძეს კი არა თვითონ ცისფერყანწელებსაც აღარ ჰქონდათ; მაგრამ მაინც დაგვიანებული, მეტად დაგვიანებული მადლობა მინდა ვუთხრა იმ უკანასკნელი მაშინდელი დროისათვის მეტად საჭირო ფრაზისთვის საცოდავ სამსონიძეს, რომელიც თვითონაც ემსხვერპლა იმ შავ წელს.

ცისფერყანწელების გავლენა კი იმ წლებში დაწერილი რამდენიმე ლირიკული, „უიდეო“ ლექსის გარდა მდგომარეობდა იმაში, რომ ცისფერყანწელებს და მათთან ტრიბუნაზე (და არა ცხოვრებაში შეურიგებელ „მემარცხენეებს“ ვმეგობრობდი, მათთან დავდიოდი და ისინიც, ჩემი უფროსი თაობის პოეტებიც, მიუხედავად იმისა, რომ კამათებში მათ მეც „მედგრად ვებრძოდი“, ჩემთან, ამ ახალგაზრდა პოეტთან, მეგობრობას არ გაურბოდნენ (თუმცა რაღა უფროსი თაობის პოეტები, ისინი ხომ ჩემზე სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლით იყვნენ უფროსები, „მემარცხენეები“ კი არც ამდენით);

—.—

მე ახლაც ვფიქრობ ხოლმე, როგორ იცხოვრებდა, რითი იარსებებდა იგი, წინ რომ ღვთისმიცემული ცხოვრების დიდი გზა ჰქონოდა. პრაქტიკული ცხოვრებისთვის ის სრულიად მოუმზადებელი იყო. ახალგაზრდობაში დიდხანს „ჯიბოს ჯიბით“ ცხოვრობდა, როგორც თვითონ ხუმრობდა ხოლმე. (გერონტი ქიქოძე იგონებს — „განებივრებული იყო შეძლებული მამის მიერო“). თუმცა ბევრი პოეტი მაშინ ასევე თავისი „ჯიბოების ჯიბეებით“ ცხოვრობდა, ან სადმე დაწესებულებაში ისხდნენ პატარა თანამდებობებზე. (ტიციან ტაბიძე მაგალითად ყაზბეგის მუზეუმის დირექტორად ითვლებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისიდან). დიდი თანამდებობისა და კარიერიზმის ავადმყოფობა 30-იანი წლებიდან შემოვიდა, „ნეპის“ გაუქმების შემდეგ.

თუ ძველად მისივე ცისფერყანწელი მეგობრები, ახლა პაოლო იაშვილს უკვე მოძმე ხალხების პოეტები უძღვნიან ლექსებს და ისიც ასევე გულუხვად პასუხობს მათ, მათ შორის შესანიშნავ უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს. მონაწილეობს ქართული ლიტერატურის დღეებში ლენინგრადში, მინსკში, ბაქოში...

კიდევ უფრო აღზევდა მისი სახელი რაც 1936 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 15 წლისთავზე რესპუბლიკის თავკაცმა იგი შეიყვანა ქართველი ხალხის წარმომამადგენელთა დელეგაციაში, მოსკოვში სტალინთან წარსადგენად, საიდანაც იგი „შრომის წითელი დროშის ორდენით“ დაბრუნდა .(სხვათა შორის დელეგაციაში არ იყო გალაკტიონ ტაბიძე, იგი ისე დააჯილდოვეს მაშინ ლენინის ორდენით).

იაშვილი სტალინს მეტად მოსწონებოდა; ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თავის სტიქიაში იგი იმ შეხვედრაზე. სტალინმა გადაარქვა მაშინ სახელები ნატა ვაჩნაძეს და პაოლო იაშვილს და ქართულად უწოდა მათ ნატო და პავლე. არსებობს იმ შეხვედრის ჯგუფური ფოტოსურათიც პაოლოს დისწულის ვახტანგ მოდებაძის არქივში.

თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედ იყო.

შორს კი შორს იძროდნენ შავი ღრუბლები, რომელთა მოახლოვებამდე ერთი წელიც კი აღარ რჩებოდა.

—.—

„მეტისმეტად ხმაურობ შვილო, მეტისმეტად...“

მეტისმეტად გახმაურდა ვლადიმერ ჯიქიას სახელიც. თუ ძველი რევოლუციონერების (ვისაც ცალ-ცალკე ყველას რევოლუცია თავის პირად დამსახურებად მიაჩნდა) ბუნებრივი [illegible] არის. საიდან მოვიდა [illegible] ნის, საქართველოს თავკაცს ახელებდა და ნერვებს უშლიდა, ვლადიმერ ჯიქიას სახელ-დიდებას იგი სავსებით ველარ იტანდა. ჯიქია ძველი რევოლუციონერიც იყო და ახალი ქვეყნის მშენებელიც. ჯიქია მას თითქმის არაფერში ანგარიშს არ უწევდა; მას ცენტრთან ჰქონდა უმჭიდროესი კავშირი და უდიდესი ძველი ნაცნობობა, საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება მას თითქმის არაფერში სჭირდებოდა.

ასე გაჩნდნენ იმ წლებში უადგილმამულო „ახალი ფეოდალები“, რომელთა ფეოდებსაც მათი საქვეყნოდ გახმაურებული სახელები წარმოადგენდა. მათ შორის განსაკუთრებით ვლადიმერ ჯიქიას გარდა იყო უცხოეთში განათლებული და იმხანებში საქართველოში დაბრუნებული, საზოგადოებაში ერთობ პოპულარული მეცნიერი ბაქტერიოლოგი, ძალიან ლამაზი კაცი „ლაველასი“ (პაოლო იაშვილის შერქმეული) გიორგი ელიავა, რომელმაც თბილისში, მცხეთისკენ მიმავალ გზაზე ააგო დიდი ბაქტერიოფაგის ლაბორატორია, სრულიად ახალი რამ ქართულ მიწაზე და იქ შექმნა თავისი დამოუკიდებელი სამყარო; იყო ალექსანდრე ახმეტელი, სახელოვანი ქართველი რეჟისორი, რომელიც ჯერ კიდევ 1931 წელს მოსკოვში რუსთაველის დრამატული თეატრის წარმატებული გასტროლების დროს სერგო ორჯონიკიძემ წარუდგინა სტალინს და ამის შემდეგ მასაც , მისდა საუბედუროდ, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად; კიდევ ზოგი ახალი „ფეოდალი“ და ბოლოს პაოლო იაშვილიც, რომელიც თვითონ მან, ქვეყნის თავკაცმა, მისდა სამწუხაროდ, მიჰგვარა და წარუდგინა სტალინს. შეიქმნა შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ ისურვებდნენ, ნესტორ ლაკობას მსგავსად, იაშვილსაც და ახმეტელსაც (მით უფრო რომ ისინი ერთ-

მანეთის უახლოესი მეგობრებიც იყვნენ) შეეძლოთ უშუალოდ სტალინთან დაკავშირება საქართველოს თავკაცის გვერდის ავლით. აქ კი, აბა, შენ ვინღა ხარ, საქართველოს თავკაცო?

ოცდაათიანი წლების ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ფეოდალიზმის მსგავსი სუბორდინაციების შეურყეველი, რკინისებური აუცილებლობაც იყო დემოკრატიზმის სრული უგულვებელყოფით.

* * *

თითქოს რაღაც განგებით, იმისთვის, რომ ადამიანებს ქვეყნის იმ უმძიმეს ატმოსფეროში ცოტაოდენი სულიერი შეღავათი ეგრძნოთ, ბევრისთვის იმ საბედისწერო წელს დაემთხვა რამდენიმე დიდად მნიშვნელოვანი „მრგვალი", საიუბილეო თარიღი — ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისა და დაღუპვის 30 წლისთავი; ალექსანდრე პუშკინის დაღუვის 100 და რაც მთავარია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" დაწერიდან 750 წლისთავი, რომლის აღნიშვნაც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, იმ ხანებში ბევრისთვის მოულოდნელად გადაწყდა, თუმცა ამისთვის საფუძველი სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე, კლასიკოსთა აღდგენით, საჯაროდ მომზადდა.

ჩვენ აქ ბევრს ნულარ ვისაუბრებთ წინა ორ იუბილეზე — ეს იყო დღევანდელი საზომებით რომ ვთქვათ, ორდინალური იუბილეები, თუმცა იმ დროისათვის, როცა ჯერ კიდევ დიდი იუბილეების გამოცდილება ნაკლებად გვქონდა, მაინც გამორჩეული, თუნდაც იმითაც, რომ სწორედ მაშინ აღიმართა წიწამურში ილიას ობელისკი.

აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვთქვათ „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილეზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა საბჭოთა კავშირიდან, და ვთქვათ არა არსებითად. მის ორგანიზებასა და ღირსებებზე, არამედ მის ზოგიერთ მიზანსა და დანიშნულებაზე, რამდენადაც დღეს — საჯაროობის ეპოქაში, ეკვე — შესაძლებელია ამაზე საუბარიც.

ისევე, როგორც სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის გამო, (სადაც როგორც ვიცით, ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებულად გაიჟღერა) რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" იუბილის გამოც აქა-იქ იყო მითქმა-მოთქმა, რომ ესეც ი. ბ. სტალინს დასჭირდა მსოფლიოში მისი ავტორიტეტის ამაღლებისა და განმტკიცებისთვისო.

არც ეს არის გამორიცხული და ამის შესახებ აქ პირდაპირ უნდა ითქვას. კაცმა რომ თქვას, მის ადგილზე, ალბათ სხვაც, პატარა ერის, მსოფლიოსთვის ჯერ კიდევ უცნობი ქვეყნის სხვა შვილიც შესაძლოა ასევე მოიქცეოდა და ვერც გაამტყუნებდით. მით უფრო იმ ხანებში ჩვენში ხმა გავრცელდა, თითქოს უცხოეთის რომელიღაც ქვეყანაში დაეწეროთ — საბჭოთა ქვეყანას ველური ქვეყნიდან მისული ხელმძღვანელი მართავსო. ამ კაცმა კი ჯერ სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე. შემდეგ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლოვანი იუბილით მთელ ქვეყანას გააგებინა — ნახეთ რა ველური ქვეყნიდანაც გახლავართო. იმ ხანებში არამარტო რუსეთში მთელ საბჭოთა კავშირში მრავალი წერილი დაიბეჭდა რუსთაველის ეპოქაზე, საქართველოს ისტორიაზე, უძველეს ქართულ კულტურაზე, ქართულ სასულიერო და საერო ძველ არქიტექტურაზე, ჩვენს ხელოვნებაზე, ენაზე, უძველეს პოლიფონიურ მუსიკაზე, ხალიბთა მეტალურგიაზე, ოქრომჭედლობაზე, ფოლკლორზე... იქნებ მართლაც ეს ყოველივე მას კიდეც დასჭირდა იმ დროს, მაგრამ ეს ყოველივე სინამდვილეში რომ არ არსებულიყო, იგი მას საიდან იშოვიდა? და მეორეს მხრივ ობიექტურად, დიახ, ობიექტურად, ეს ჩვენთვის, საქართველოსთვის რასაკვირველია, სრულებითაც საზიანო არ იყო. თუმცა იგი სა-

ქართველოს სადიდებლად სრულიადაც არ იყო ჩაფიქრებული.

(აქ ადამიანს გებადება ერთი სურვილიც — უფრო ღრმად ჩაუფიქრდე პიროვნულისა და საზოგადოებრივის ურთიერთობის დიალექტიკას. ზოგადთეორიული დასკვნებისათვის ეს მართლაც საინტერესო პრობლემაა და საამისო მასალას მრავლად ვნახავთ სწორედ ოცდაათიან წლებში; სწორედ ოცდაათიანი წლების ბევრი მოვლენა იძლევა ამისთვის ნოყიერ ნიადაგს).

გავიხსენოთ ეპიზოდიც სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის მოსამზადებელი პერიოდიდან: როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, იმ ყრილობის წინა თვეებში 1934 წელს ი. სტალინმა მოსკოვში მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ტოროშელიძე, და, როგორც ესეც ცნობილია, თბილისში დაბრუნებისთანავე თავმჯდომარემ თავისი საყრილობო მოხსენება სასწრაფოდ ძირეულად, პრინციპულად შეცვალა—თუ მისი ის მოხსენება არსებითად ქართული მწერლობის საბჭოთა პერიოდს ასახავდა და იქ საუბარი იყო ეგნატე ნინოშვილიდან მოყოლებულ ქართულ დემოკრატიულ, პროლეტარულ მწერლობაზე, ახლა სურათი სავსებით შეიცვალა და შეიცვალა ყველასთვის სასარგებლოდ, იგი დაიწყო ბუნებრივად მეხუთე საუკუნიდან, ჩვენი პირველი საამაყო რომანიდან და მოვიდა დღევანდლამდე. თორემ მოხსენების ის პირველი ვარიანტი არამც თუ ვისიმე სხვის ავტორიტეტს, არამედ თვითონ მომხსენებლის ავტორიტეტსაც კი მეტად დაბლა დასცემდა. მით უმეტეს რაღა ვთქვათ საქართველოს ავტორიტეტზე.

იმ წლებში, სწორედ ოცდაათიან წლებში იწყებოდა იოსებ სტალინზე, როგორც თეორეტიკოსზე, ლაპარაკი. ამ ლაპარაკს კი, როგორც ჩანს, სათავე დაედო უფრო ადრე, ოციან წლებში, როცა იოსებ სტალინმა ერთ-ერთ დიდ ტრიბუნაზე გამოსვლის დროს არა მარტო ხალხების შერწყმაზე, არამედ კომუნიზმის შორეულ მომავალში ეროვნების საბოლოო შერწყმაზეც — ილაპარაკა, ნიკო მარმა, დიდმა საბჭოთა ენათმეცნიერმა განაცხადა — ერთმანეთს დაემთხვა მეცნიერი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსი რევოლუციონერის აზრები (თუმცა, როგორც ცნობილია, ნიკო მარის ეს თეორია, რომელიც მან გაკვრით წამოაყენა ოციან, წლებში, მეცნიერებამ არ მიიღო). გავიმეოროთ — „პრაქტიკოსი რევოლუციონერის“ აზრებიო. და თქვენ წარმოიდგინეთ მაქსიმ გორკიმაც კი. აგერ სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზეც თავის შესავალ სიტყვაში იოსებ სტალინის მხოლოდ «Железная воля»-ზე ილაპარაკა. მაშ, პრაქტიკოსი მხოლოდ...

დაიწყო გაშლილი მუშაობა ი. ბ. სტალინის — როგორც თეორეტიკოსის ნაწარმოებთა მრავალტომეულის გამოცემაზე. თბილისის უნივერსიტეტს დაერქვა სტალინის სახელი. (ხოლო ენის საკითხებზე თეორიული კამათი ნიკო მართან ოცი წლის შემდეგ გაგრძელდა.)

ყოველივე ამას სათავე სწორედ იმ ოცდაათიან წლებში დაედო. იმ წლებშივე დაკანონდა აზრი, რომ ქვეყნის მეთაური ყველა სპეციალობის მთავარი სპეციალისტია, სხვა ყველა ჭანჭიკია. მას სადაც გინდა მოუჭერ, სადაც გინდა მოაძრობ. რაც შეეხება პოლიტიკურ კამათებს, გავიხსენოთ — პოლიტიკური კამათები საბჭოთა კავშირში უკვე ოციან წლებში დამთავრდა.

თუ იმ წლის დასაწყისსა და გაზაფხულზე ალექსანდრე პუშკინისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეები თბილისში ასე თუ ისე, მიახლოვებით საზეიმოდ ჩატარდა, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლოვანი საიუბილეო ზეიმი იმავე წლის ბოლოს ჟამიანობის დროინდელ წვეულებას დაემგვანა. ყველა იუბილე კი ნაძალადევი, ნირწამხდარი, ხელოვნურად ზეიმური იყო. სამთავეს ეპოქისმიერი უკიდურესი დაძაბულობა, და აშკარა უდროობა ეტყობოდა.

მაგრამ ყველა ეს იუბილე იმ წელს მაინც ჩატარდა.

—.—

თბილისში ინტელიგენციის წრეებში გახშირდა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზეც, რომ ბოლო დროს უკიდურესად გართულდა ურთიერთობა ორი კომუნისტის, რესპუბლიკის თავკაცსა და ვლადიმერ ჯიქიას შორის. ისედაც დაძაბულ ძველ ურთიერთობას ახლა ზედ დაერთო ზოგიერთი სხვა მეტად პირადული მომენტიც. ამ გართულებას. რასაკვირველია კარგი არაფერი მოჰქონდა არა მარტო ჯიქიასთვის, არამედ მისი ახლობელი ადამიანებისთვის და მათ შორის პირველ რიგში პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისთვის. როცა მით უფრო რესპუბლიკის თავკაცის ყურამდე მიაღწია პაოლო იაშვილის რუსულად თქმულმა პატარა ექსპრომტმაც „Была страна Иберия...“ (რაც გადმოსცემდა რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელის საზღვარგადასულ ამორალურ, ამურულ ცხოვრებას და რაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინდელ თბილისში. მე ჩემს ამ მოგონებაში ამაზე საუბარს გვერდს ავუვლი — იქნებ ბევრი რამ აქ ჭორის დონეზეც იყო), ისევე, როგორც სტალინის ყურამდე მიაღწია მანდელშტამის გამქიქებელმა ლექსმა. ქვეყნის თავკაცი, მას შემდეგ, რაც მან პაოლო იაშვილი მოსკოვში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში წაიყვანა, მას თავის კაცად თვლიდა, იაშვილი კი, აგერ, ისევ ძველი მეგობრების, ჯიქიას, ელიავას. უკვე ხალხის მტრად გამოცხადებული ვინმე ძველი კომუნისტის ალნიაშვილის ერთგული მეგობარი დარჩა (ჯიქიას იაშვილი მოსკოვშიც კი ჰყავდა წარგზავნილი რიონჰესის წარმომადგენლად თვეების მანძილზე).

შორეული შავი ღრუბელი სულ უფრო და უფრო ახლო მოიწევს პაოლო იაშვილის კუთვნილ ცის ნაჭერზე.

დასავლეთის სამყარომ 1937 წლის საბჭოთა კავშირში დატრიალებული ამბები ლიონ ფოიხტვანგერის წიგნით «Москва, 1937 год» გაიგო. და არამარტო დასავლეთის სამყარომ, არამედ ჩვენც, ჩვენშიც, რამდენიმე ჩვენ მოსკოვის ამბები ვიცოდით მხოლოდ ისე, როგორც მაშინ ოფიციალური გაზეთები გვაწვდიდნენ. ეს წიგნი დღეს, როცა ყველაფერი ასე გაირკვა და იმდროინდელი ბევრი რამ ნათელი გახდა, შეიძლება მხოლოდ ღიმილს იწვევდეს თავისი გულუბრყვილობით და სინამდვილის არცოდნით, მაგრამ მაშინ ხელიდან ხელში გადადიოდა, როგორც მრავალი საიდუმლო ამბის მთხრობელი.

მაგრამ ფოიხტვანგერის წიგნი მხოლოდ რუსეთის, მხოლოდ მოსკოვის მოვლენებზე მოგვითხრობდა. მოგვითხრობდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ცენტრში და ქვეყნიერებაზე არავინ იცოდა, რა ხდებოდა ადგილებზე, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. რესპუბლიკებში კი «Агентами империализма оказались все без исключения главы трех десятков советских республик»“ — ეს სიტყვები ეკუთვნის იმ შავი წლის უცხოეთში მყოფ მეორე მთავარ, ძირითად შემოქმედს, ძირითად დამნაშავეს, რომელმაც არც თვითონ იცოდა, სხვა რა ხდებოდა ამ რესპუბლიკებში, სხვა კიდევ ვინ აღმოჩნდა იქ „агентами империлиазма“ გარდა რესპუბლიკების ხელმძღვანელებისა; ასეთები კი იქ ათასეულები იყვნენ.

VI

თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ საშიშროება უფრო მეტად სხვა მწერლებს, მათ შორის, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას მოელოდა და ვის ეგონა, რომ ეს საშიშროება პირველ ყოვლისა პაოლო იაშვილს და მიხეილ ჯავახიშვილს მიადგებოდა კარზე. ეს ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო. მიხეილ ჯავახიშვილიც სწორედ ერთი წლის წინ „შრომის წითელი დრო-

შის ორდენით“ დააჯილდოვეს; აკ თვითონაც, როცა მას კარზე მიადგნენ გაოცებით უთქვამს მათთვის — მე ხომ ორდენოსანი ვარო. და მართლაც დიახ, მიხეილ ჯავახიშვილი ძალიან მიღებული კაცი იყო იმ ხანებში და არა მარტო მკითხველთა ფართო მასებში, განსაკუთრებით „არსენა მარაბდელის“ შემდეგ. დიახ, იგი იმ ხანებში ნომერი პირველი რომანისტი იყო, ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეზეც. საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზეც 1934 წელს მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილთან ერთად, არამარტო სსრკ მწერალთა კავშირის ახლადარჩეულ გამგეობაში, არამედ მის პრეზიდიუმშიაც კი აირჩიეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძესთან ერთად. (ეს საკითხი, თუ ვინ უნდა აერჩიათ საქართველოდან იქ იმ ხელმძღვანელ ორგანოებში, რასაკვირველია, საქართველოშივე წყდებოდა). თუმცა იმ შავი წლის გაზაფხულზე მიხეილ ჯავახიშვილიც იმ მწერალთა რიცხვში მოექცა, რომელთაც რესპუბლიკის ხელმძღვანელის თქმით „თავიანთი ყოფაქცევა უნდა გადასინჯონო.“

—.—

იმ ტრაგიკული წლის მაისის თვეში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა უმაღლეს ტრიბუნაზე თქვა — დროა გონს მოეგოს უკვე ორმოც წელს გადაცილებული პოეტი პაოლო იაშვილიო.

ჩანს, პოეტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საქმეს ვეღარაფერს შველიდა პოეტის გამოსვლა (სხვა ქართველ ცნობილ მწერლებთან ერთად) მიტინგზე იმ ტრაგიკული წლის დასაწყისში როცა ჯიქიაც. ელიავაც უკვე რეპრესირებულნი იყვნენ (იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1937 წლის № 1—2). ვერც მისი ლექსი „ანდრე ჟიდს — მოღალატეს“, ფრანგი მწერლის, ანტიკომუნისტის ანდრე ჟიდის წინააღმდეგ — (კომუნიზმი და ანტიკომუნიზმი აქ უკვე აღარაფერ შუაში იყო).

ანდრე ჟიდი სწორედ ფრანგ მწერალთ ადრე 1936 წლის ივლისში ჩამოვიდა საქართველოში. ეს მაშინ თბილისში სენსაცია გახლდათ; უცხოელი კაცი მაშინ ჩვენში საერთოდ უცხო ხილი იყო და უცებ ანდრე ჟიდი — უგამოჩენილესი წარმომადგენელი დასავლეთის სამყაროს მხატვრული სიტყვისა. რასაკვირველია მისი მასპინძლობა და გიდობა პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს დაევალა თვითონ მთავრობის მიერ და მათაც მთელი საქართველო მოატარეს: სასურველ უცხო სტუმარს, ამ მოგზაურობაზე მაშინ, მახსოვს, ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისში, მათ შორის ზოგ კომიკურ შემთხვევაზეც. მაგალითად, საუბრობდნენ თუ როგორ გაოცებულა უცხოელი სტუმარი თელავის სასტუმროში, როცა საწოლში ღამით რაღაც წითელმა მწერებმა დილამდე არ დააძინეს, დილით კი რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში შეუხვევია საფრანგეთში წასაღებად, იქ უნდა შევისწავლოთო.

ანდრე ჟიდს ამ თავის მოგზაურობაზე მალე პარიზში გამოუქვეყნებია დღიურები, სადაც საქართველოზე ბევრი რამ თავისი კრიტიკული შენიშვნაც უთქვამს: ეს წიგნი ჩვენამდე არ მოღწეულა და მასზე აქ ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს სტუმრის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაკლისა და „ჩრდილოვანი მხარეების“ დანახვისთვის გაკიცხეს მისი მასპინძლები, გიდები. პაოლო იაშვილი და განსაკუთრებით ტიციან ტაბიძე, რომელიც ჟიდს თავის დღიურებში მოწმედ დაუსახელებია. ერთი წლის შემდეგ კი მათ ეს მოწმეობა კიდევ უფრო საბედისწეროდ შემოუბრუნდათ.

თავისი უბოროტო გულუბრყვილობით ამ „ჩრდილოვან მხარეებზე“ ტიციან ტაბიძემ იქნებ კიდეც თქვა რაიმე ანდრე ჟიდთან და ამისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია.

(ტიციან ტაბიძის გულუბრყვილობასა და ალალ გულზე მე თავის დროზე უფრო ვრცლად ვილაპარაკე მისადმი მიძღვნილ ჩემს წერილში „უჭკნობი პოეტური მემკვიდრეობა“).

დღეს, ბუნებრივია, ახალ თაობებს დაებადება კითხვა: სად იყვნენ სხვები? სად იყავით თქვენ? (მაშინ სრულიად არაფრის შემძლე ახალგაზრდები) ვუპასუხებ: ყველას, ვისაც თავისი სახელმწიფოებრივი თუ პარტიული გავლენით ამ „ეჭვმიტანილების“ მიმართ რაიმე დახმარება შეეძლოთ, ან რაიმე ავტორიტეტი გააჩნდა, თვითონვე ჰქონდა საკუთარი გაჭირვება—არავინ იცოდა, ხვალ ვის რა მოელოდა, ვის რა დაბრალდებოდა. მათი დახმარება შესაძლოა კიდევ უფრო გაართულებდა „ეჭვმიტანილთა“ საქმეს, ან მათ თვითონ გაურთულებდა მდგომარეობას. არავინ იყო დაზღვეული უბედურებისაგან, ზემოდ, სულ ზემოდ იმ ერთის გარდა. ბედისგან და ხელისუფლებისგან რაიმე მოსაზრებით, რაიმე მიზნით საბოლოოდ განწირულთა დახმარება არავის შეეძლო თვით თავდადებითაც კი.

—.—

ხმამაღალი ლაპარაკიც კი აღარ ისმოდა საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეზოში; იყო საიდუმლოებით მოცული ჩურჩული. ახლა ჩურჩულებდნენ უფრო ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელიც იმ წინა დღეს ბათუმში სასამართლო პროცესზე თავის მეგობრად და თანამებრძოლად დაესახელებინა ბრალდებულ გრიგოლ ლაღიძეს, მენშევიკების დროინდელ ქართველ მოღვაწეს. ნიკო ლორთქიფანიძეც იქვე უსიტყვოდ იდგა. პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწერალთა კავშირში. ხელში გაზეთებში შეხვეული თავისი დაშლილი თოფი ეჭირა, მისი ცნობილი ძვირფასი „ლებო“ (ერთ დღეს რომ კინაღამ სერგეი ესენინს აჩუქა, ის რომ თავმდაბლად არ შეჭპირებოდა, მოსკოვში დაბრუნებისთანავე სწორედ ასეთ თოფს ვიყიდი)—გასაყიდად წამოვიღე, მაგრამ ... რეთა კავშირში კაპიკებ... მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგეს. რიფსიმეს, ვალი 7 მანეთი გადაუხადა და წავიდა. არავის მიუქცევია ყურადღება, რომ წასვლისას მას თოფი ხელში უკვე აღარ ეჭირა, სადღაც დატოვა და მწერალთა სასახლიდან იგი უკან უთოფოდ გაბრუნდა.

ამ საიდუმლო ჩურჩულში გაისმოდა სახელი პაოლო იაშვილისაც, რომელიც, როგორც ყველამ იცოდა. იმ დღეებში არაერთხელ იყო გამოძახებული უმაღლეს დაწესებულებებში და იქიდან ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არავინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან; საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული; ასე იკითხება ეს პაოლო იაშვილის უკანასკნელ, თვითმკვლელობის წინა დღით ცოლისა და შვილისადმი დატოვებულ წერილებშიც. უკვე ყველა გრძნობდა, რომ ვლადიმერ ჯიქიასა და გიორგი ელიავას შემდეგ ჯერი პაოლო იაშვილზეც მოდგა, მაგრამ არავის მისი დახმარება არ შეეძლო და ამას, როგორც ზემოთ ვთქვით ვერც ვერავინ მოიწადინებდა. იგი ახლა მხოლოდ ბედის ანაბარა რჩებოდა ამ უსაზღვრო ცის ქვეშეთში.

ამ ტერორს შეიძლება საუკუნის ტერორიც ეწოდოს .იგი ჯერ კიდევ 1905-იან წლებში დაიწყო და თავის ზენიტს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს მიაღწია და, შეიძლება ითქვას, მას შემდეგ არ შეწყვეტილა. „კერპებისა“ და ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლამ, უსაზღვროდ შემტევმა ნიჰილიზმმა, ჯერ კიდევ ადრე, ჯერ კიდევ მანამდე გაშალა ფრთები და ქვეყანაზე შეიქმნა შიშის, თავის გადარჩენის, თავის არიდების, ჩაურევლობის სინდრომი, ერთი მაგალითი: ილია ჭავჭავაძის მეუღლემ, იმ ეროვნული ტრაგედიის შემდეგ ხომ ოცი წელიწადი იცოცხლა და, როგორც ცნობილია, 1927 წელს გარდაიცვალა, რა ვიცით ჩვენ ამ წლებზე? ვინ ზრუნავდა ამ უბედურ ქალზე მთელი ამ ორი ათეული წლის მანძილზე? ვინ, რითი და როგორ ეხმარებოდა მას? მაშინ ჯერ კიდევ ხომ ცოცხალი იყო მე-19, მე-20 სა-

უკუნის დიდი ქართული ინტელიგენცია? ან თუნდაც თვით ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობრები? ალბათ ზრუნავდნენ, როგორ არ ზრუნავდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს. უკიდურესი კონსპირაციის პირობებში. ოფიციალურად 20-იან წლებში მხოლოდ ტიციან ტაბიძემ აღძრა ერთხელ მწერალთა კავშირიდან მთავრობის წინაშე ოლღა თადეოზის ასულისადმი დახმარების საკითხი.

ან კიდევ ,ქართველი ინტელიგენციიდან არავინ იცოდა არაფერი ბერბიჭაშვილის არსებობის შესახებ? როგორ არა, იცოდნენ. მე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ოციან წლებში გამიგონია ბიძაჩემისგან (დედის ძმა) საქართველოში მეცნიერული, ევროპული, მევენახეობა-მეღვინეობის ერთი მამამთავრის, პროფესორ კონსტანტინე მოდებაძისგან — ის კაცი რომ დადის და საქვეყნოდ ტრაბახობს, თავადი ილია ჭავჭავაძე მე მოვკალიო, ამას რატომ არავინ აქცევს ყურადღებასო? ვინ გაბედავდა მაშინ, რომელი ქართველი ინტელიგენტი, ამ საქმის წამოწყებას? ბიძაჩემი ცხრაასიან წლებში შვეიცარიაში სწავლობდა და თუმცა ილიას მკვლელობის ამბავში, სენშობლოში დაბრუნების შემდეგ, საკმაოდ იყო ჩახდეული — არც მას დაუძრავს სიტყვა ამ საქმეში.

* * *

იმ საღამოს მწერალთა კავშირისკენ კრებაზე მიმავალს იგი თავისუფლების მოედანზე, კიროვის ქუჩის მოსახვევში შემხვდა, თავისი საყვარელი თეთრი „ტოლსტოვკით“ და „რაგოჟის“ ტუფლებით. ᲛᲔ იქით, ის აქეთ; შევჩერდით, ერთმანეთს მივესალმეთ — ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწროო, მითხრა, (მე მაშინ მეგონა, კრების დაწყებამდე მოსწრებაზე მეუბნებოდა) შემობრუნდა და წამოვიდა. სახე უსაზღვროდ ჰქონდა შეცვლილი; არ გამკვირვებია. რაც მას იმ დღეებში მოელვარება შეხვდა. ისიც ვიცოდი, რომ იგი იმ წინა დღითაც იყო „გამოძახებული“. მერე უცებ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავისი ბოხი ხმით მოულოდნელად მკითხა — გეშინია ჩემს გვერდით სიარულიო? მე გაკვირვებით შევხედე — არა, კი არ გეწყინოს, მაგრამ გუშინ ბაბოსთან რომ მიდიოდი, მე ფანჯარაზე ვიყავი გადმომდგარი, შენ არ მომესალმეო. (პაოლოს გვერდით, ჯაფარიძის ქუჩაზე ჩემი დაᲓ, ბაბო ცხოვრობდა, პაოლო № 7, ბაბო № 5 სახლში. მე უცოლშვილობა ᲩᲔᲛᲘᲡ დასთან ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ვსადილობდი) ოლო, გუშინ მე ბაბოსთან საერთოდ არ ვყოფილვარ, რას ამბობ, რა შიშზე მეუბნები, აგერ ხომ გვერდით მოგყვები-მეთქი. — არა. მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო; ყველას დავუმტკიცებ... იმათაც, იმათაც... და მე მაშინ კარგად ვერ მივხვდი — ვის „იმათაც“, რესპუბლიკის თავკაცებს რომლებსაც იგი იმ დღეებში იძულებით ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ხვდებოდა, თუ უკვე რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს მეგობრებს — იგი თითქმის ძაგძაგებდა და არეულად ლაპარაკობდა, ამიტომაც ჩვენი საუბარი გზადაგზა ვერაფრით ვერ გაება, მეც ერთსა და იმავე ფრაზას ვიმეორებდი — პაოლო, შენს ვაჟკაცობას კიდევ მეტი მტკიცება რაღად უნდა-მეთქი. — არა, მე დავუმტკიცებ ყველას და „იმათაცო“... მერე გზად სხვა მწერლებიც შემოგვხვდნენ.

ჩვენ ერთად წავედით იმ საბედისწერო სხდომაზე.

* * *

მწერალთა კავშირში კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. სხდომის დარბაზი მაინცდამაინც გადატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ. იხილებოდა პოლიტიკური „სიფხიზლის“ საკითხი. სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე.

ერთხანს დარბაზში ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ამ სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი. ისეთი სიძლიერისა როგორიც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმე და რომლებიც მე თავის მხრივ იქ, ომში, ყოველთვის ამ გასროლას მაგონებდნენ. ეს იყო გასროლა მისი საამაყო

„ლებოს“ ორივე ლულიდან, ჩვენი სასახლის მეორე სართულზე, იმ მისი საყვარელი თოფისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც ისევე როგორც ყოველთვის, არ ულალატა.

ყველანი თავგზააბნეული წამოვცვივდით, რა მოხდა? ვინ საით, ვინ საით. აფეთქება? მაგრამ სად? რისი? კედლებიც და ყველაფერიც თავის ადგილზეა. მაშ სად? და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამორბის დამლაგებელი ქალი ანა, წივილ-კივილით — იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევ სამარისებური სიჩუმე. ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა:

— ნამდვილად ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე: რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:

— მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!

—.—

„შენ, შენ დაეცი იმ წელს
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა“.

ეს სტრიქონები ეკუთვნის იმ, ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, როგორც 1989 წლის აგვისტოს „სახალხო განათლებაში“ პედაგოგი თენგიზ მდივანი ერთ თავის მოგონებაში წერს: „იქვე კუთხეში იდგა და გულამოსკვნით ქვითინებდა“... და რომელიც ამ ქვითინმა თვითონაც კინაღამ განსაცდელში ჩააგდო, რომ არა მისი უახლოესი მეგობრები, მისი კეთილი „ცრუ მოწმეები“, პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჟურნალისტი გიგა მებუკე, და რომელიც, ალბათ, ბედისგან და საბოლოოდ განწირული მაშინ, მაინცა და მაინც ანგარიშში ჩასაგდები კაცი არ იყო.

—.—

მაგრამ მე ჩემს მკითხველს ახლა კიდევ უფრო მძიმე სტრიქონები უნდა შევთავაზო: დღემდე არ გამოქვეყნებულა პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილები ცოლშვილისადმი, დაწერილი იმ ტრაგიკული დღის წინა ღამეს, 22 ივლისს. ისინი პირველად დღეს იკვლევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ.

„ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო,
ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ!
მედეა!

მაპატიე,

გემუდარები, მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

მთელი ღამე არ მიძინია, დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ვერც შენ გადამარჩინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დაგტოვებენ არცერთი წუთით, და რამდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას.

მეტის წერა აღარ შემიძლია
მშვიდობით მამიკო

მედეა, მედეა, მშვიდობით.

ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული **მამა**“

22.VII.37.

Дорогая, любимая Тамара!

Прощай. Перед смертью чувствую особую любовь к тебе. Рад твоим успехам в институте и уверен, что ты будешь полезным человеком для нашего общества. Береги здоровье, лечись. О Медее нечего тебе писать, я убежден, что ты

из нее сделашь настоящего человека.

Причина моей смерти невозможность соединить имя поэта, с теми оскорблениями, которые мне нанесли люди, с которыми я дружил и которые **действительно** (я в этом вполне убежден) оказались врагави грузинского народа.

Тебе будет очень трудно, но мужайся, я убежден, тебе помогут воспитать нашу дорогую и горячо любимую дочь, наше счастье и радость Медею.

Когда выйдешь замуж, старайся, чтобы Медея не охладела к моим родным и близким.

Прости мне мои ошибки
я тебе все прощаю.
Целую крепко, крепко
Твой искренний друг

П. Яшвили

22.VII.37
Тбилиси

Умираю с каким-то светлым чувством, и поэтому верю, что ты и Медея перенесете горе. Ты кое-что заметила, но я тебя смог успокоить Береги себя и Медею. Дружи с Пашей и с моими братьями. Привет Н. Мих. и Георгию Ильичу.

Паоло.

ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მკითხველს მეტად გაუჭირდება კვლავაც გაჰყვეს ჩემს მოგონებებს. მეც აქ დავამთავრებ... და დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე წერილი პაოლო იაშვილზე ოდესღაც, ჯერ კიდევ იმ ორმოცდაათიან წლებში, უდროოდ დაღუპული სამი ქართველი მწერლის რეაბილიტაციის დროს — „პაოლო იაშვილი, თითქმის [illegible] მოუცლელობის გამო, ჯერ კიდევ [illegible] ეშვებდა თავის ჭეშმარიტად ძლიერ ენერგიას მაღალი ძაბვის ხაზებში, ან მხედრის ენაზე რომ ვთქვათ, ცხენს სადავეს არ აძლევდა, თავს უჭერდა, თუ ხანდახან მიუშვებდა, ისიც საჩვენებლად, სალაღობოდ, მაყურებელთა საცქერლად და გასაკვირველად; მაშინვე კი იქვე ყალყზე შეაყენებდა — შემდეგაც მოვესწრებითო! თავდავიწყებულ პოეტურ მარტვილობას ერიდებოდა, ყოველდღიური ცხოვრება არ ეთმობოდა... პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“...

VII

„დადის ქალაქში ბევრის მსგავსი
ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია
ლექსის მწერალი“,
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია
გამოხვეული
ეს ჩემი **ტვინი დახაჭცევი** ტვინი ვერანი“.

და ეს (ალბათ კოშმარულ სიზმარში ნახული) სტრიქონები აღმოხდა მას წინასწარ, ზუსტად ათი წლით ადრე, 1927 წელს.

1991.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ აქ ხარ, აქ ხარ...

„უნდა წახვიდე გულის დამჭრელად, უნდა წახვიდე მოულოდნელად“, წერდა ირაკლი აბაშიძე ერთ უსათაურო ლექსში და აქ იგულისხმებოდა წასვლა მიღმა ქვეყნად, რომელიც ხალხურმა პოეზიამ სულეთის სახელით მონათლა. ირაკლი მართლაც რომ პირნათლად, მაგრამ ქართველი მკითხველის გულის დამჭრელად და მოულოდნელად წავიდა. ძნელია შერიგება იმ აზრთან, რომ ცოცხალთა შორის ირაკლი აღარ არის, ვეღარ დავინახავთ მის გაღიმებულ სახეს, ქართული ენციკლოპედიის შენობის მესამე სართულის ფანჯრიდან მაღლა აწეული ხელებით რომ მიესალმებოდა ქუჩაზე მიმავალ ნაცნობებსა და მეგობრებს. ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ბებერს ეძახოდა თავის თავს, „გიძღვნის შენი ბებერი თანამოკალმეო“, ასე წამიწერა თავის ბოლოდროინდელ ერთტომეულზე. რამდენჯერმე ლექსებშიც დაიჩივლა და ინანა, რომ მოახლოვდა წუთი ამ წუთისოფლიდან განშორებისა, ხოლო ლექსში „მე ველი სიზმარს“ მან მოუთხრო მკითხველს იმ მოლოდინზე, როცა სიზმრეულ მისტიკურ ზმანებაში მას გამოეცხადება მოხუცი მამა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში დაკარგა თვალის სინათლე და პატარა ირაკლი იყო მისი მეგზური, დაატარებდა მამას სოფლის გზებსა და ბილიკებზე. მიღმა ქვეყნიდან მოსულ სტუმარს ნაცნობი ჩალისფერი ჩოხა აცვია, ნაცნობია მისი ჩექმებიც, საუბრის კილოც, ბავშვობის წლებიდან სამუდამოდ რომ ჩარჩენილა მეხსიერებაში, და აი, მოხუცი მამა ჰპირდება შვილს აწლა თვითონ გაუწიოს მეგზურობა სულეთის გზებზე, კვლავ დამიდექი, როგორც მაშინ, მკლავმარჯვნივ და მომყევიო.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პოეტი, რაც წლები გადიოდა, სულ უფრო და უფრო ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე, რომელიც მიუხედავად რვა ათწლეულისა, მაინც მოულოდნელი იყო. აბა რა ხელი ჰქონდა სიბერის მოღლილობასა და მოქანცულობას იმ კაცთან, რომელიც მხნედ და გულიანად ამბობდა: „არ დავბერდები, გულო, არასგზით, (სხვა გზა რომ მქონდეს, სხვა შესაფარი), ვიწამლებ ჩემი მტკვრით და ალაზნით, ჩემი ზეკარით, ჩემი ლატფარით. ახალგაზრდულად კვლავ მზეს ვეფეროთ, წლებსაც, — ჩვენზე რომ ლახვრად დაძრულა... ახალგაზრდულად, გულო ბებერო, ცოტაც, სულ ცოტაც, ახალგაზრდულად“.

პოეტმა დაასახელა ის თილისმა, ის ჯადო-წამალი, რომელიც მას თვით დაღლილობის დროსაც აძლევდა სასიცოცხლო ძალასა და მხნეობას — ამ თილისმის სახელია სამშობლოს ლურჯი ზეცა და მისი მზედაფრქვეული ზურმუხტისფრად ამწვანებული მიდამოები; სწორედ ამის გამო მიმართავდა პოეტი თავის თავს: „მიდი, შენ

ისევ იფრინე ლაღად — მიწა გაქვს ტახტად, ზეცა გაქვს პერად; თუ შეცდი ასჯერ, მაშ შეცდი ახლაც — გაუღე გული ვინც შენს გულს სჯერა. კვლავ ქვეყნის გულში, კვლავ მზისკენ, მზისკენ! დაჯექ თვით ღმერთთან, დაჯექ მშივრებთან... და ლექსთან, ლექსთან ყრმა იყავ ისევ, როგორც ბავშვი ხარ შვილიშვილებთან".

ეს მაჟორული განწყობილება იყო მხოლოდ ერთი მხარე ირაკლის პოეზიისა; იყო მეორე მხარეც — ტრაგიკული, აღსავსე ცრემლით, მძიმე სევდითა და მჭმუნვარებით, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. ჯერ კი ის აღვნიშნოთ რომ პოეტმა, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანვე, თავის უმაღლეს მიზნად სამშობლოს სამსახური და საქვეყნო სიკეთე მიიჩნია. ე. წ. „სოციალისტური რეალიზმი", რომლის ოფიციალური აღიარება მოხდა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე (ირაკლი ამ ყრილობის დელეგატი იყო), კაცმა არ იცოდა რა იყო, მას არა ჰქონდა თავისი საკუთარი ესთეტიკური კონცეფცია, ისეთი. როგორიც შეეფერება და მოეთხოვება ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას. არა და, უკონცეფციოდ, თეორიული პრინციპების გარეშე არც კრიტიკული რეალიზმი დარჩენილა, არც რომანტიზმი, სიმბოლიზმი თუ სხვა ლიტერატურული სკოლები. „სოციალისტური რეალიზმი" კი რაღაც ტრიბუნიდან გადმოსროლილ ლოზუნგსა ჰგავდა და მის საფუძველზე არც ახალი „პოეტიკა" დაიწერებოდა, არც ახალი „ლოკონი" და არც ახალი „ხელოვნების ფილოსოფია". თვითონ ირაკლის თავის მოგონებაში „ჩვენი პირველი ყრილობა" არც კი უხსენებია ეს უდღეური მიმდინარეობა, ეს აღნიშნა მხოლოდ — „მწერალთა პირველი ყრილობის მიზნები ბინდბუნდით იყო მოცულიო".

მაშ რა იყო, რა წარმართავდა ახალგაზრდა პოეტის მგზნებარე შემოქმედებით ფანტაზიას? ეს იყო ნათელი გზა, სახელოვანი ტრადიცია /იმ გენიალური პოეტისა, რომლის ეპიტრეტი იმავე პირველ ... ... კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, ერთ-ერთ სვეტზე დაინახეს ქართველმა მწერლებმა. ამ ყრილობის დელეგატებმა. „ეს იყო შოთა... უცებ ღელვა და ჟრუანტელი, უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი — კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი". მისმა სახელოვანმა ტრადიციამ მისცა ძალა ქართველ პოეტებს ყოფილიყვნენ მესიტყვენი და მესაიდუმლენი თავისი ხალხისა, შემოქმედნი მისი სულიერი კულტურისა, იმ საგანძურისა, რაც ამ საუკუნემ მომდევნოს უნდა დაუტოვოს. და სწორედ ამ ახალის წარმოქმნის ინტერესები მოითხოვდნენ პოეზიას არ შეეგიწროებინა თავისი ადრინდელი, დიდი და თვალგადაუწვდენელი ჰორიზონტები, რუსთაველისა, ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ჰორიზონტები.

ირაკლი აბაშიძე მუდამ ცდილობდა წასულიყო ამ დიდოსტატთა მიერ გაკვალული გზით. როცა მის ლექსებს კითხულობთ, თქვენ გრძნობთ პოეტის გულის მართლაც რომ გადამდებ მღელვარებას, თრთოლვას; სტრიქონი აქ დაელექტრონებული და დამუხტულია ძალიან დიდი სიყვარულითა და სინათლით. თავის ლექსში მან მიაღწია იმ პირვანდელ უშუალობას გრძნობისას, რომელიც ნამდვილსა და მაღალ პოეზიას განასხვავებს და გამოარჩევს, ზუსტად ისევე, როგორც პატიოსანი თვალი გამოირჩევა რიყეზე დაყრილი ქვებისაგან. ჭეშმარიტი პოეტის გულში ერთად და დაუბერებელად ცოცხლობენ ჭაბუკიც, მებრძოლი ტრიბუნიც და ფილოსოფოსიც, გატაცებული რომანტიკოსიც და ფხიზელი რეალისტიც.

„მომავალ ნახევარ საუკუნესაც იყავი ისეთი ჭაბუკი და ბრძენი, როგორც ამ ნახევარ საუკუნეში გიცნობდითო", — ასე მიმართა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ალ. ტვარდოვსკიმ. ირ.

აბაშიძეს დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე. ტვარდოვსკი რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ იტყოდა, რომ ქართველმა პოეტმა ზუსტად შეასრულა მისი დანაბარები. ირ. აბაშიძის პოეზია მართლაც რომ ჭეშმარიტი შეერწყმა და შეერთებაა სულის ჭაბუკური თრთოლვისა და მღელვარებისა სამყაროს ფილოსოფიური განჭვრეტის სიღრმესთან. ამ სინთეზს, ამ ჰარმონიულ შეერთებას აქვს თავისი შორს მიმავალი ეროვნული ფესვები. ლექსში „მიახლოება“ პოეტი ამბობს: „თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება, გული მგოსნური, სული ფრთოსნური, ახალგაზრდობის ყველა ცდუნება, თუმცა სულ ჩემზე იყო მოსული, მაგრამ ვაი თუ სტრიქონს აწინდელს დააკლდეს ჟღერა და ხმოვანება, ლექსი კვლავ ვეღარ გამიყმაწვილდეს, ბგერას არ ჰქონდეს წებოვანება“!. ეს შინაგანი შიში და კონტროლი არ შეიმღვრას „სული ფრთოსნური“ მუდამ იგრძნობოდა მის პოეზიაში. ქართული სულის ამაღლება, შფოთიანი ტემპერამენტი, მუდმივი მზადყოფნა სტოიკური თავგანწირვისათვის კარგად გამოხატა პოეტმა თავის ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიაც ნათქვამია:.

თუ არის ლხინი —
ძირს დაღვრემა,
სევდა და ჯავრი!
თუ არის ტანჯვა —
უნდა იყოს ტანჯვა იობის...
სწორია სწორი,—
როცა კვდება შეშლილი მავრი,
ნამდვილ სცენაზე
უნდა მოკვდეს თვით მსახიობი.
არ არის სხვა გზა,,
სრულყოფისკენ,
სხვა გზა არ არის,
მაშ, დავტკბეთ დღესაც,
მთელს ჩვენს გზაზე
როგორც ვტკბებოდით.
დიდება ღვთის მადლს —
მეც ლხინის წილ ვიყავ ჰარალი,
დიდება ღვთის მადლს —
სიკვდილის წილ მეც თვით
ვკვდებოდი.

ზემოთ ჩვენ უკვე გაკვრით აღვნიშნეთ, რომ მძიმე სევდა [illegible] ლიანობა იშვიათი სტუმარია [illegible] ირ. აბაშიძის პოეზიაში. მასში მძაფრად იგრძნობა ტრაგიკული მოტივები და რაკიღა ნამდვილი მწერლობა ხალხის ცხოვრების მართალი გახსნა და გამოსახვაა, ვერცერთი პოეტი თვალს ვერ აარიდებდა იმ მწვავე ტკივილებს, იმ სოციალურ წყლულებს, იმ მორალურ კატასტროფებს, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელი იყო კომუნისტური რეჟიმისათვის. თავის ერთ აღსარების კილოზე დაწერილ ლექსში ირ. აბაშიძე ამბობს, რომ ეს ეპოქა მას ხან „ანთებდა სხივით ნათელით“, ხან კი მის „სულს გლეჯდა აფთრის კბილებით“, ვინ რას დამძრახავს, მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებითო, დაასკვნიდა პოეტი. მეორე ლექსში პოეტი ეკითხება ადამიანს, თავის თანამედროვეს — რატომ არის ჩამობნელებული შენი ცარგვალი, რად არ გაიხარეცით, როგორც ფრინველმა, მთით, როგორც ირემმა, მზით, როგორც ბალახმა, წყლით, როგორც კალმახმა, დღით, როგორც აპრილმა, რად არ გაიხარე, ადამიანო, ეს წუთისოფელი, ეს ტურფა საბალნარო ხომ შენი სიხარულისათვის გააჩინა განგებამ.

ქართულ პუბლიცისტიკაში, საერთოდ ჩვენს პრესაში ფრთიან ფრაზად იქცა ერთი სტრიქონი ირ. აბაშიძის ლექსიდან „პაოლო იაშვილს“, „შენ, შენ დაეცი იმ წელს, როცა საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა“. ამ ფრაზას უმალ გაიხსენებენ ხოლმე, როცა სიტყვა ოცდაათიანი წლების რეპრესიებზე ჩამოვარდება. დასახელებულ ლექსში ჩვენს წინაშე წარმოსდგება სახე ცამდე მართალი ადამიანისა, ბრწყინვალე პოეტისა და კეთილშობილური სულის რაინდისა, — პაოლო იაშვილისა, და მით უფრო გულისდამწველია მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი სტრიქონები, რომ ირაკლი მისი უმცროსი მეგობარი და უახლოესი ადამიანი იყო. და მა-

ინც თავის დროზე, გასაგები მიზეზის გამო, ვერ შეიძლო მისი გამოტირება, ამის გამო პოეტის ფარული ცრემლები ბუნებრივად იქცნენ ლექსის მწველ სტრიქონებად.

ლექსების ამ ციკლიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ვრცელი ბალადის ჟანრის ლექსი „უკვდავ იმედით". ეს ლექსი უმაგალითოა მთელ თანმედროვე ქართულ პოეზიაში. იგი გულსაკლავი მოთქმაა, მიმართული დედისადმი, რომელსაც შვილების სიკვდილის გამო მიუტირებენ ხოლმე. ეს არის ზარიანი ხმით შეცხადება, რომლის გვერდით მე დავაყენებდი საქართველოს მთიანეთის ფოლკლორიდან ე. წ. ხმით ტირილს, რომელიც ქვის გულსაც კი დაადნობს. „სად არის ღმერთო, ახლა ჩემი ათასი ტოლი, — ასე იწყებს პოეტი და განაგრძობს, — ზოგს მოყვრის ჭორი, ზოგს მტრის ტყვია, ზოგს წარღვნის ტორი; მე მომსწრე ქვეყნის ამდენ ცვლის და ამდენ დრამისაც, მე დღემდე შევრჩი, დღემდე შევრჩი ამ დედამიწას. სად არის, დედავ, ახლა შენი თერთმეტი შვილი, ზოგს სიყრმის ჭირი, ზოგს სიბერე, ზოგს კოხის ჩხირი, ხსოვნას რომ წვავს და გულს არ ტოვებს ერთი წამითაც... მე ერთი შევრჩი, ერთი შევრჩი ამ დედამიწას. თორემ ინებეთ — მე მნახველი ამდენ მკრეხელთა ამდენ ვარამში, ამდენ ჭირში, ამდენ ავდარში, მე ზოგის თვალში კითხვის ნიშანს განა ვერ ვხედავ — თუ ვაჟკაცი ხარ, თუ ხარ კაცი, რატომ გადარჩი? მაინც რა გახდა, რა ჩვენს ჟინზე გადგა გამჩენი, ბორგავს, კვლავ ბორგავს ის რაც გუშინ, ის რაც დღეს არი — არ იქნა ზავი, არ დაადგა ჩვენს წლებს საშველი — არ დაწყდა წყალი, მოუსწრებელს ვერ მოვესწარი".

ამას მოჰყვა ომის წლები... ფრონტი... ყირიმისა თუ ჩრდილო კავკასიის მიდამოები. ომის ყველაზე უფრო ცხარე დღეებში დაიწერა „კაპიტანი ბუხაიძე". ეს ლექსი ბრძოლის ველიდან შორს კი არა, ახლად გათხრილი საფლავის პირას იყო დაწერილი. ამიტომ ჰგავს იგი ძველებურ ქართულ მოტირილსაც და ძველებურ ვაჟკაცურ გამოფხიზლებასაც, როცა წასული ამ ცხოვრებიდან უბარებს დარჩენილებს იდგნენ ამაყად და უშიშრად. ეს ლექსი დაწერილია ეპიტაფიის სტილის მიხედვით; ძველებურ საფლავის ქვებში თვითონ მიცვალებული ლაპარაკობს და იყო ამაში რაღაც მიამიტური თუ ბრძნული რწმენა, რომ ის ვინც გიყვარდა, ისევ ცოცხალია და მიწიდანაც, სულეთიდანაც ისევ მოგაწვდენს ხმას. ასევე ისმის საფლავიდან მამაცი ქართველი ოფიცრის ხმა:

> და ვუბარებ ყველა ქართველს,
> მისი წმინდა ვალი არი —
> მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
> დერბენტი და დარიალი.

* * *

ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა" იყო უდიდესი აღმოჩენა არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, არამედ მთლიანდ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორიაში.

უკვე დიდი ხანია ჩვენს პლანეტაზე აღარსად მოიძებნება ე. წ. თეთრი ლაქები. სად, რომელ კუნჭულში არ შეაღწია საოკეანო ხომალდმა თუ ხიფათის მაძიებელი მეზღვაურის პატარა ნავმა, ავტომანქანამ თუ თვითმფრინავმა, მატარებელმა თუ ქვეითად მოხეტიალე ტურისტმა. გეოგრაფიამ ამოხსნა დედამიწის ყველა საიდუმლო და დღეს მეშვიდე კლასის ფრიადოსანმა მეტი იცის, ვიდრე სტრაბონმა და პტოლომეიმ იცოდნენ.

მაგრამ ასევე როდია საქმე ისტორიის მეცნიერებაში, შორეულ საუკუნეებს ასე ადვილად ვერ მისწვდები. იქ ზემძლავრი საჰაერო ლაინერით, ათიათას ცხენისძალიანიც რომ იყოს, მაინც ვერ შეაღწევ, თვით უზუსტესი რადიოლოკატორის ეკრანიც კი ვერაფერს აღბეჭდავს, ვერაფერს დაგანახვებს. მართალია, აქაც ბევრი რამ ვიცით, ბევრი იკვლია და ეძება ადამიანმა და ბევრ საიდუმლოს აჰხადა ფარდა, მაგ-

რამ ზოგ რამეს ჯერ ისევ საუკუნეების ნისლი და ბურუსი ჰფარავს.

ადამიანის გაღვიძებულ აზრს კი რა დაცხრომს, რა მოასვენებს — მას უნდა ყველაფერი იცოდეს. ამ დაუცხრომელმა წყურვილმა ბევრი ისეთი რამ გახსნა და სამზეოზე გამოიტანა, რუსთაველის ბიოგრაფიაში, რაზედაც ადრე წარმოდგენაც არა გქონდა. კერძოდ, ბევრი რამ გვითხრა რუსთაველის სურათის აღმოჩენამ სამოციან წლებში. ახლა, სამი ათწლეულის შემდეგ, კვლავ რომ ვიხსენებთ და თვალს გავადევნებთ ამ ძიების მთელ პროცესს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს რეაქტიული ლაინერი, რომელსაც ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე მიჰყავდა იერუსალიმში, მიფრინავდა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც, გარდასულ საუკუნეებში მიფრინავდა; და როცა ვამთავრებთ, ირ. აბაშიძის ლექსების კითხვას პალესტინაზე, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პოეტი ისე მიდიოდა პალესტინაში, თითქოს სურათისთვის კი არა, ცოცხალი რუსთაველის სანახავად წასულიყოს. პოეზია ოცნებაა, მიუწვდომელის მიწვდომაა და ირ. აბაშიძის ამ ლექსების მომხიბლველობა იმაშია, რომ პოეტს იმდენი უტრიალნია იერუსალიმის ტაძარში, მანამდე არ მოშვებია და არ დახსნია უტყვ და მდუმარ სვეტებსა თუ ქვებს, ვიდრე არ აულაპარაკებია ისინი. ლექსსა და ოცნებას უზარმაზარი ძალა აქვთ — მათ შეუძლიათ ქვაც აიძულონ და აამეტყველონ.

ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“ ქართული კულტურის ისტორიის დიდმა მკვლევარმა და მოაზროვნემ აკად. შალვა ნუცუბიძემ და არა მარტო მან, ზეციდან შთაგონებულად აღიარა, მასში არა მხოლოდ უბადლო პოეტური განჭვრეტა, არამედ ღრმა ფილოსოფიური ძიება დაინახა და ნაწარმოები მთლიანად აღიარა სიბრძნის წარუვალ ძეგლად, რომელიც აღმართულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საფლავზე. „გასაგებია, — წერდა ნუცუბიძე, — ირაკლი აბაშიძის პოეზია კი არ მეტყველებდა, რომ ვიდა. გასაგებია, რომ მას „ციდან ჩამოესმა რეკვა“. მიწაზე დადებული ზარი ჯერ არავის დაურეკავს, საჭირო იყო დიდი სამრეკლო. ეს სამრეკლო მისთვის პალესტინა იყო. თვითოეული ლექსი დამთავრებული შემოქმედებითი ფენომენია, ფორმა და შინაარსი იშვიათი ხვეულებით არის ერთი მეორესთან გადაკინძული. ტეხილი ლექსის სტროფები იმ დიდი უხილავი კიბის საფეხურებია, ზეცისა და მიწის შუა აღმართულ იერარქიულ სავალზე ამოკვეთილი, რომლითაც რუსთაველის შემოქმედება კოსმოსურ განფენილობას აღწევდა. ამ საფეხურების გასწვრივ რუსთაველი აღსასრულისას „სენაკის თვისის ცას შესცქეროდა“, როცა მას „სწამდა“, რომ ეს საფეხურები მას არ უღალატებდა, და „სჯეროდა“ მათივე ხედვით „ცოდვა არცოდვის ჭეშმარიტი სად ძევს საზღვარი“. ირაკლი აბაშიძის თვითოეული ლექსი აქ სიბრძნეშია გადასული, ეს კრებული ვეებერთელა მიზანდასახულობაა“.

თავის დროზე ასევე მაღალი შეფასება მისცეს ირაკლის პალესტინურ ლექსებს დემნა შენგელაიამ, ლავროსი კალანდაძემ, შოთა ძიძიგურმა, თამაზ ჭილაძემ, სერგი ჭილაიამ, რევაზ თვარაძემ, ბესარიონ ჟღენტმა, გიორგი ჯიბლაძემ, შალვა აფხაიძემ, ნიკოლოზ ტიხონოვმა, იური სუროვცევმა და ამ სტრიქონების ავტორმა. გარდა ლექსების ვრცელი ციკლისა, ირაკლის კალამს ეკუთვნის პროზად მოთხრობილი „პალესტინის დღიური“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ სწმენდნენ ჩვენი აკადემიკოსები ჯვრის მონასტრის მარჯვენა სვეტს, რომ რუსთაველის პორტრეტისათვის შავ-ლურჯი საღებავი გადაეცილებინათ. ძნელია სიტყვით გამოხატო იმ წუთების აღტაცება, როცა ნელ-ნელა გამოანათა რუსთაველის პორტრეტმა, აღტაცება, რომელიც ჯერ ჩვენმა აკადემიკოსებმა,

და შემდეგ, მთელმა საქართველომ განიცადა. და მაშინ უზომო აღელვებით წამოიძახა ირაკლიმ: „შენ აქ ხარ, აქ ხარ, დასრულდა კვალი, მშობელი მიწის ეს მედო ვალი; აქ შენი მშვიდი ნაბიჯი შეწყდა, აქ დაწდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა“, ამ სიტყვებით დაამთავრა პოეტმა ძებნა რუსთაველის სამუდამო ადგილსამყოფელისა.

აქ შეიძლებოდა დამესვა წერტილი, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ — თავის უკანსკნელ წიგნში „გუშინ, გუშინწინ“, რომელშიაც პოეტის პუბლიცისტური წერილები და მოგონებებია შესული, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნარკვევი — „და ისევ პალესტინა“. ეს ნარკვევი მოწმობს რომ ამ ბოლო წლებში, სამი ათწლეულის გავლის შემდეგ, ირაკლი ისევ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე ფიქრობდა, სადაც მას არა მარტო რუსთაველის, არამედ თვით დიდი თამარის საფლავი ეგულებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირად ახსოვდა ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვები: „დიდი მეფეთ-მეფე თამარი... აღვიდა წინაშე ღმრთისა თუესა იანვარსა თორმეტსა, დამარხეს ახალსა მონასტერსა „ბელათს“. მიუხედავად ამ ცნობისა, ირაკლის „თამარის საფლავი პალესტინის ჯვრის მონასტერში ეგულებოდა“. რა საბუთი ჰქონდა, რატომ აყენებდა ესოდენ სენსაციურ ჰიპოთეზას? ამისთვის მას საკმაოდ დამაჯერებელი და სარწმუნო საბუთები მოაქვს. ამ საბუთებიდან ზოგი უკვე ნაცნობია მეცნიერთათვის, ზოგი კი ახალია და გულდაგულ შეჯერებას მოითხოვს. ჩვენ კი ამჯერად ის გვაინტერესებს რომ პოეტს თავის უკანასკნელ დღეებში ისევ საყვარელი აჩრდილები ელანდებოდნენ„ და თავის ფიქრებში ისევ მათს საფლავებს დაეძებდა.

გიორგი ნატროშვილი

---

* * *

საქართველოს საყოველთაო ტკივილს კიდევ ერთი დიდი ჭრილობა დაემატა — გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც ფანატიკოსთა ძალისხმევით შექმნილ ბოროტების იმპერიაში შეინარჩუნა პიროვნული ღირსება და სალაყბო პოლიტიკაზე აშენებულ ქვეყანაში საქმით ემსახურა მშობლიური ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ერის სიყვარულით გარემოსილმა მოაზროვნე პოეტმა და საზოგადომოღვაწემ, ადრევე ირწმუნა, რომ იგი არ ყოფილა მითიური ქვეყნის შვილი, სიცოცხლის არსი და მიზანი იმქვეყნიური ცხოვრებით რომ გაემართლებინა და განსდგომოდა მიწიერ ბედნიერებას.

ბატონი ირაკლისათვის არ ყოფილა არაფერი უცხო, რაც ადამიანს ერთი სიცოცხლის გზაზე ბედის სახით თან სდევს, არც დიდი სიხარული და არც ტკივილი, არც გოლგოთა და არც იუდების ამბორი, მან შესანიშნავად იცოდა ადამიანის ბუნება და ყოველთვის ცდილობდა აღზევების თუ დაცემის ჟამს მისთვის თანაეგრძნო შეემსუბუქებინა მიწიერი სიმძიმე.

დროდადრო ხალხი თავის მზერას მიაპყრობს ხოლმე ადამიანებს, რომელთა ცხოვრების წესი, საქმე ესიტყვება ერის სულიერ მოთხოვნილებას. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა ბატონი ირაკლი აბაშიძე, რომელმაც ოთხმოცდაორი წელი იცოცხლა მაგრამ თავისი ქვეყნის ყველაზე უფრო ახალგაზრდა მოჟალაქედ გარდაიცვალა . მისი პიროვნული მომხიბვლე-

ლობა არ ყოფილა განპირობეული, მხოლოდ — მაღალი პოეტური სულით, იუმორის გრძნობით და სიყვარულის გაცემის ნიჭით, იგი განაპირობა სამშობლოს წინაშე იმ პასუხისმგებლობის გრძნობამ, რაც მას მიწიერ სიმძიმეს უმსუბუქებდა — კაცთმოყვარეობამ და დიდბუნებოვნებამ.

მან ურთულეს ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ ვითარებაში შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა, მაგრამ მაშინ დაეცა, როცა ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებას ერმა იჭვიანი მზერა მიაპყრო, და ძმას ძმის მოსაკლავად ხელი უბიძგა.

ირაკლი აბაშიძე საქართველოს კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელთა ნაღვაწის არ დაფასება დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — „მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ერს“. მის მიერ საქართველოს სასიკეთოდ გადადგმული რამდენი ნაბიჯი შეიძლება გავიხსენო, რამდენი ქვეყნის საზღვარი გადაუკვეთავს სამშობლოს სახელის შორს გასატანად, მის სადიდებლად და ასამაღლებლად. ნათქვამია — „ერი ყველა ტკივილს გაუძლებს თუ ამ ტკივილს თან ახლავს სინდისის ქენჯნა“. ირაკლი აბაშიძე გარდაიცვალა მაშინ, როცა თვითოეული ჩვენგანი განვიცდით სინდისის ქენჯნას ძმათა შორის ატეხილი ომის და ამ ომში დაღვრილი სისხლის გამო, ტრაგიკულად სახეშეცვლილი საქართველოს გამო.

ეს დიდი ტკივილი ალბათ, ერის სულიერი კათარზისის გამოხატულებაა „სოდომის და გომორის“ ცოდვის უმძიმესი მორალური საზღაურია.

როგორ საგანგაშოდაც არ უნდა აჭრელდეს ჩვენი ვნებები, როგორც არ უნდა გადაფასდეს სულიერი ღირებულებანი, ბატონ ირაკლი აბაშიძის სახელს, მის მაღალ პოეზიას და მამულიშვილობას ჩრდილი არასოდეს, მისწვდება, ვიდრე ქართველი იმ ენაზე ილოცებს რომელსაც პოეტმა შეუდარებელი ჰიმნი მიუძღვნა, დღეს ამ ჰიმნით ემშვიდობება მშობლიური ერი დიდ შემოქმედს, რომლის სული ამ ერიდან მარადიულობაში გარდაისახება.

ელგუჯა ამაშუკელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/შ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17; 93-55-29.

გადაეცა ასაწყობად 11. 12. 91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 02. 92 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი 70×108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58, ტირაჟი 9.000. შეკვთ. 2227. მ. კოსტავის ქ. № 14.

67/41

ფასი 5 მან.
ხელმოწერათათვის 2 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინდეკსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ